შალვა ამონაშვილი

ამონ-რა
ლეშვინდა ქვის ფერადებ

შალვა ამონაშვილის
საგამომცემლო სახლი

მოსკოვი - თბილისი
2007

ავტორი დიდ მადლობას უხდის

ლამარა იანვარაშვილს,

ვალერია ნიორაძეს,

ნათელა ამონაშვილს,

პაატა ამონაშვილს,

რომელთა შრომითაც გამოიცა ეს წიგნი.

რედაქტორი
ლამარა იანვარაშვილი

Ш. ამონაშვილი, ამონ-რა, ლეგენდა ქვის შესახებ.

„იყოს შენი გზა მოკლე და უსასრულო, ეკლიანი და აღმავალი“,— ეს ამოიცნო პატარა ბიჭმა ამონ-რამ საკუთარ ქვაწერილში. იგი შეხვდა იესო ქრისტეს, განიმსჭვალა მისი მოძღვრებით და გაიარა საკუთარი გზა. ეს არის ნამდვილი ზღაპარი, რომელსაც შეუნელებელი ინტერესით წაიკითხავს დიდიც და პატარაც. ყოველი გვერდი მკითხველს განაცდევინებს სიხარულს, შფოთსა და გულისტკივილს.

© შალვა ამონაშვილი
© „შალვა ამონაშვილის საგამომცემლო სახლი“, მოსკოვი 2007
დაბეჭდილია შპს „თობალისში“

ISBN 978-99940-942-1-9

ამონ–რა მთელი გულით უძღვნის
ამ წიგნს ყველას, ვინც მას მიიღებს

2003-2007 წლებში წიგნი მოსკოვში გამოიცა ოთხჯერ.

„ამონ-რას“ გმირების ცხოვრება გრძელდება ავტორის შემდეგ წიგ-ნებში: „სალომეა“, „ილია“, „სინათლე წყვდიადში“, „წინამძღოლი“. (გამოიცა ქ. მოსკოვში)

ბიჭი კავკასიის მთათა ღრუბლებიდან

კავკასიის მთები არსაიდან ჩანან ისე კარგად, როგორც ბუშეტში ჩემი სახლის ვერანდიდან. უყურე მათ, ესიყვარულე და მოგივა შთაგონება.

კავკასიის მთები იმიტომ არსებობენ, რომ კეთილ საქმეთათვის აღძრან ადამიანები: მევენახე — მზით სავსე და თაფლივით ტკბილი მტევნების მოსავლის მისაღებად; მჭედელი — ჩვეულებრივი, ზოგჯერ ჟანგიანი რკინისაგან ბედნიერებისა და სიხარულის ნალების გამოსაჭედად; მწყემსი — ციური და ღვთიური სალამურის დასაკრავად; მექოთნე — სიცოცხლისადმი სიყვარულით სავსე დოქებისა და ჯამების გამოსაძერწად; ბავშვი — უხილავი ცისფერი ფრინველის საძებნელად; პოეტი — სულის ფრთების, წმინდა სტრიქონების შესაქმნელად; მასწავლებელი კი სიტყვა „მასწავლებელში“ ჩაქსოვილი უდიდესი საიდუმლოს ამოსაცნობად.

ღრუბლები მთების ფიქრიაო, პოეტს უთქვამს. ღრუბლები ინახავენ ყველაფერს, რაც ნახეს და განიცადეს მთებმა. ღრუბლები — მთების სიბრძნეა. მათშია ჩამალული სამყაროს წუხილი და სიხარული, მათ იციან წარსული და მომავალი ადამიანებისა, რომლებიც სახლობენ ვარსკვლავთა უსასრულო სივრცეში მქროლავ პატარა დედამიწაზე.

ჩემი ვერანდიდან კავკასიის მთებს ლამის ხელით შეეხები. ერთხელ ისე შემიპყრო მათ სიახლოვემ, ისე მომინდა მოვფერებოდი მათ, რომ ველარ მოვითმინე, ეზოში გავიქეცი და მანქანა დავქოქე. „პაპა, სად მიდიხარ?“ — მომცვივდნენ შვილიშვილები. „დასხედით!“ — გავეცი განკარგულება და გზას მივაშურე. „მალე, ძალიან მალე, აი ამ მანქანით ავაღწევ რომელიმე მთის მწვერვალს, — ვფიქრობდი ჩემთვის, — ხელს შევახებ მარადიულ თოვლს, ცისარტყელის ფერებით რომ თამაშობენ, განვიბანები ღვთიურ ღრუბლებში და ვეტყვი შვილიშვილებს: „აი, აღსრულდა თქვენი პაპის ოცნება!“

მაგრამ მთები რატომღაც სულ უფრო და უფრო შორს გამირბოდნენ, უფრო და უფრო მაღლა მიიწევდნენ, მერე კი სულაც გამიქრნენ თვალიდან, თითქოსდა უსასრულობაში ჩაიკარგნენო. „სად არიან მთები, კავკასიის მთები?“ — ვეკითხებოდი ყველას, ვინც კი ახლო-მახლო ცხოვრობდა. ისინი

მხრებს იჩეჩავდნენ: „რა მთები? არ არიან აქ კავკასიის მთები!“

და მხოლოდ ერთმა ბრძენმა მოხუცმა, — ბრძენმა იმიტომ, რომ თოვლივით სპეტაკი გრძელი წვერი ჰქონდა, ხელში კი კვერთხი ეჭირა, — თავისი უძირო თვალები ცისკენ აღაპყრო და წარმოთქვა: „მთები იქ არიან, შვილო!“

მაშინ პირველად ჩემს ცხოვრებაში გულით შემებრალნენ ადამიანები, რომლებიც მთათა ფერხთით ცხოვრობენ, მთებს კი ვერ ხედავენ.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ისევ გავედი ჩემს ვერანდაზე და მთათა სილუეტებს გავხედე. იმედი მქონდა, რომ მთები გამომიგზავნიდნენ შთაგონების ნაპერწკალს, მიწყალობებდნენ თავიანთ სასწაულებრივ ძალას, რომ სწრაფად და უშეცდომოდ განვვლო მასწავლებლის რთული ცხოვრება. მთების თავზე უზარმაზარი, ღრუბლები მოძრაობდნენ, ფორმასა და ფერს იცვლიდნენ. აშკარა იყო, მთები ფიქრობდნენ.

უცბად ღრუბლებში პატარა ბიჭის სახე აღმოვაჩინე. რაღაც საოცრებით ბიჭმა ღრუბლებიდან ჩემს ვერანდაზე გადმოინაცვლა და წყნარად მითხრა: „დაწერე ჩემზე!“

„ვინ ხარ? ან რა უნდა დავწერო შენზე, როცა არაფერი ვიცი?“ ანგელოზივით ბიჭს გაოგნებული შევყურებდი.

„მე ჩემს ცხოვრებას შენს ფიქრებსა და წარმოსახვაში გავივლი, შენ კი დაწერე, როგორც გულმა გიკარნახოს!“

ბიჭმა ისევ უზარმაზარ ღრუბლებს მიაშურა და გაუჩინარდა.

რაღაც შინაგანმა მოუსვენრობამ დამძალა. მაშინვე მაგიდას მივუჯექი და წერა დავიწყე. მაგრამ კი არ ვწერდი, არამედ გადმოვიწერე მოვლენები, რომელთა მხილველიც ბედის წყალობით გავხდი. მე ვხარობდი პატარა ბიჭის სიხარულით და მტკიოდა მისი ტკივილები, ვსწავლობდი მისგან სიყვარულს და სიკეთის გაცემას...

მე არ მინდა ფსევდონიმს ამოვეფარო. ამიტომ ვაცხადებ: კარგად ვიცი, ყველა როდია ავტორი იმისა, რასაც წერს, რადგან არსებობენ უხილავი თანაშემწენი და მოკარნახენი. ასე მომაქვს თქვენთან ისტორია პატარა ბიჭისა, რომელიც ათასი ლეგენდისა და ზღაპრის ჭეშმარიტებად იქცა.

არ ვკარგავ იმედს, რომ მთები, რომლებიც არ აპირებენ ჩემი საყვარელი კავკასიის დატოვებას, — რადგან მათ

ადამიანთა შთაგონების გარდა სხვა დავალებაც აქვთ: თავიანთი ყოვლისშემძლე მხრებით დაიკავონ ცის უზარმაზარი ნაწილი ვარსკვლავებითა და თანავარსკვლავედებით, — ოდესმე გამახარებენ და ღვთიურ ნაპერწკალს მიბოძებენ. მე კი ეს ნაპერწკალი ძალიან მჭირდება, რათა ჩავწვდე ერთი სიტყვის საიდუმლოებას. ეს სიტყვაა „მასწავლებელი“.

მოთმინებით ველოდები ამ ნაპერწკალს ბუშეტში ჩემს ვერანდაზე.

პირველი თავი

დაბადების დღე

რას დილაადრიან გაელვიძა, მაგრამ ადგომა არც განუზრახავს.

— რა! — ალერსით ჩასჩურჩულა დედამ და თან საბანი გადახადა.

რამ თავი მოიმძინარა. დედამ ისევ წააფარა საბანი და ეზოში გავიდა.

დღეს რას დაბადების დღეა, შვიდი წლის ხდება. რამდენ რამეს დაპირდნენ უფროსები! — ბიჭი ოცნებას მიეცა.

დედამ უთხრა, ნამცხვრებს გამოგიცხობ და ვინც გინდა, ის მოიწვიეო.

„ვინ დავპატიჟო? — ფიქრობს რა, — ილიას დავუძახებ, მართალია, ჩემზე უფროსია, მაგრამ ჩემთან მეგობრობს, ხშირად ერთად ვთამაშობთ. სალომესაც მოვიწვევ, უბანში ყველაზე ლამაზი გოგოა, დიდი თვალები აქვს და ხალისიანი კისკისი იცის. იქნებ ცოლად შევირთო, როცა გავიზრდები!.. კიდევ ვინ, ვინ დავპატიჟო?“

რას ფიქრებმა ახლა მამაზე გადაინაცვლა. კარგი მამა ჰყავს რას — მაღალი, ღონიერი, ლამაზი. ბუხუნა ხმა აქვს, მაგრამ მეტად კეთილია. მამა საუკეთესო მებადურად არის ცნობილი ქალაქში.

მამა ძველი მეომარი იყო, მაგრამ როცა რომაელმა ლეგიონერებმა ამონელები დაჩაგრეს, მამაცი მეომარი ტყვედ ჩაიგდეს და სამშობლოდან შორს — იუდეაში გაასახლეს.

აქ შეირთო მამამ გრძელნაწნავიანი მარა. ქალიშვილი ბევრს მოსწონდა, მაგრამ მან ახალგაზრდა მეომარი ამჯობინა, მამაცი და კეთილშობილი. მამას ამონს ეძახდნენ, მაგრამ ეს არ იყო მისი ნამდვილი სახელი. ნამდვილი სახელით იუდეაში მას არვინ იცნობდა. არც რამ იცოდა მამის ნამდვილი სახელი. რას დედისგან ჰქონდა გაგონილი, რომ ქვეყანას, რომელსაც მამა იცავდა და უყვარდა, ამონი ერქვა, იქ ამონელები ცხოვრობდნენ. ამიტომ იუდეაში მამას ამონი დაარქვეს.

ბევრმა შეიყვარა კუნთმაგარი მებადური, რომელიც დაჭერილი თევზიდან ნახევარს ყოველთვის გაჭირვებულებს, ხეიბრებს, ქვრივ-ობლებს ურიგებდა. ოჯახში კი იმდენი მიჰქონდა, რამდენიც არსებობისათვის იყო საჭირო. მამას ეამაყებოდა, რომ თავისი სამშობლოს სახელს ეძახდნენ და ხშირად ნატრობდა, ნეტავ ისეთი დრო დადგეს, ჩემი ცოლშვილით ამონეთში დავბრუნდეო.

საბნის ქვეშ ჩამალული რა მამის დაპირებას იხსენებდა, ზღვაზე წაგიყვან და ბადით ერთად დავიჭიროთ თევზიო. რასთვის ეს დიდი ბედნიერება იყო, ხშირად უოცნებია, როდის იქნება მამასთან ერთად ნავში ჩავჯდე და თევზის ჭერაში დავეხმაროო. დღეს რა თევზაობასაც ისწავლის და კაცურ საქმესაც გააკეთებს. რაც მთავარია, მამასთან ერთად გაივლის ქალაქის ქუჩებში და ყველა დაინახავს, როგორ მიაქვს მამაშვილს ბადე, როგორ გაზრდილა რა!

ბიძა ჰყავს კიდევ რას — დედის ძმა. ბიძას ხალხი ფილოსოფოსს ეძახის. რა კი მას ნამდვილი სახელით მიმართავს — ანდრია. არც ბიძა უშლის დისშვილს ანდრია დაუძახოს და არა „ბიძია ფილოსოფოსი“ ან „ბიძია ანდრია“, ან სულაც შემოკლებით — „ძია“. ბიძას ძალიან უყვარს დისშვილი, ანებივრებს და ზოგჯერ საოცარ ამბებს უყვება. ანდრიას ბევრი წიგნი აქვს წაკითხული. ახალგაზრდობისას ეგვიპტეში სწავლობდა და ისეთი საიდუმლოებანი იცის, რაც იუდეაში არავის გაუგია — არც მღვდელმთავრებს და არც მეფეს. იცის, რა არის სამყარო, რატომ არიან ვარსკვლავები ცაზე მიმაგრებულნი, რა არის სული. ისიც იცის, რომ დედამიწა ბრტყელი კი არ არის, მრგვალია და, თურმე, ბრუნავს.

ანდრიამ რამდენჯერმე სცადა, რომ რაც იცოდა, სხვებისთვისაც ესწავლებინა, მაგრამ მღვდელმთავრები და ფარისევლები ძალიან გაბრაზდნენ და ჩაქოლვა დაუპირეს. მაშინ ანდრია გაჩუმდა, ჩაიკეტა თავის გამოქვაბულში და წერა დაიწყო. წერდა და წერდა ანდრია... დახვეულ პერგამენტებს კი სკივრში აწყობდა. რას წერდა, არავინ იცოდა. არც არავისთან სურდა საუბარი და აზრის გაზიარება. მარტო ერთ ადამიანს - რას გაუმართავდა ხოლმე საუბარს.

ოთხი წლისა იყო რა, როცა ანდრიამ უთხრა: თვალები დახუჭე, არაფერზე იფიქრო და რასაც დაინახავ, მომიყევიო. თვალდახუჭულმა რამ სახე ჭერისაკენ აღაპყრო და სულაც

არ გაჰკვირვებია, რომ მართლაც დაინახა. დაინახა ცეცხლის წითელი ალები... ქალაქი იწვოდა. ცხენებზე ამხედრებული მეომრები ერთი მიმართულებით მიჰქროდნენ. ისმოდა ხმლებისა და შუბების ჭახა-ჭუხი, კვნესა... დაინახა უზარმაზარი ურჩხულები, რომლებიც შემზარავი გრუხუნით დაფრინავდნენ ცაში, მათ ქვეშ კი მიწა იწვოდა... ამ ორომტრიალში რამდენიმე მშვიდი სურათიც გამოჩნდა. ადამიანები ზეიმობდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ და ტაძარს აშენებდნენ. მოხუცები ლოცულობდნენ.

ეს ყველაფერი ოთხი წლის რამ ანდრიას უამბო, თუმცა ბევრი რამის თქმა ვერ შეძლო, რადგან ძალიან შფოთავდა და განიცდიდა. ამის გამო თითქოს ენაც ჩაუვარდა. ბევრი რამ, რაც დაინახა, არ იცოდა, რა სიტყვებით გადმოეცა.

ანდრია ჩქარ-ჩქარა იწერდა ყველაფერს, და როცა ბიჭმა თვალები გაახილა, ანდრიას შეშფოთებულმა სახემ შეაშინა.

შარშან, ვიდრე ექვსი წლის გახდებოდა, რამ ანდრიას თხოვნით კიდევ დახუჭა თვალები და სულ რამდენიმე წამში იისფერ ცეცხლში ჩაიძირა. ცეცხლი არ იყო მწველი, როგორც წითელმა ცეცხლმა იცის; იისფერმა ცეცხლის ალმა თითქოსდა განბანა და განწმინდა ბიჭი, ალი თითქოს ეფერებოდა რას, რაღაცას ეჩურჩულებოდა. თუმცა ბიჭს არ ესმოდა, რადგან ჩურჩული სხვანაირი იყო — უსიტყვო და უხმო, მაგრამ სიბრძნით სავსე. რა გრძნობდა, რომ ყველაზე დიდი სიბრძნე სიტყვებით არ ითქმის, სმენით ვერ აღიქმება, მარტო გული მისწვდება მას — უსიტყვოს, უხმოსა და ცეცხლოვანს. ეს სიბრძნე ცისფერ ცეცხლსა ჰგავს, თანაც უსაზღვროა, შენ კი ნამცეცი ხარ და შიგ იძირები. ნამცეცი კი ხარ და სიბრძნის უსაზღვროებაში იძირები, მაგრამ ის როგორღა ხდება, რომ უსაზღვროება ნამცეცში იძირება? ეს ყველაფერი იგრძნო რამ, ანდრიას კი ვერაფერი უთხრა. მხოლოდ ერთიორჯერ წამოიძახა: იისფერი ცაო, ცისფერი ზღვაო, ჩავიძირეო და მეტი ვერაფერი. ცოტა ხნის შემდეგ რას სახე გაუნათდა, თვალწინ დაუდგა დიდებული ხატი კაცისა, რომელიც რაღაცით ანდრიას ჰგავდა, რაღაცით ამონს. დიდებული სახე უღიმოდა რას, ბიჭი მოიხიბლა.

ანდრიამ დისშვილის სახეზე ნეტარება ამოიკითხა.

— რა, ამოიღე ხმა! რას ხედავ? — ჩასძახოდა ანდრია.

ბიჭმა მარტო ერთი სიტყვის თქმა შეძლო, რომელშიც ანდრიას ყველაფერი უნდა ამოეცნო და ამოიცნო კიდეც.

— ი მ ა ს !

ანდრია გაოგნდა და მზერა სივრცის იმ ნაწილს მიაპყრო, საითაც რა იყურებოდა. რა ყველაფერს ხედავდა, ანდრიამ კი მხოლოდ წამით მოკრა თვალი რაღაც ოვალურ ცისფერ ნათებას — დიდს. ნათება სივრცეში გაიშალა და გაუჩინარდა. რამ თვალი გააყოლა სახეს, რომელიც ნელ-ნელა ქრებოდა, გაუღიმა და ხელი დაუქნია.

„იმასო," — თქვა რამ, და ანდრია მიხვდა, ვინც გამოეცხადა ბიჭს, რამ კი მხოლოდ ის იგრძნო, რომ ვიღაც ძალიან ახლობელი იხილა, იხილა ის, ვინც ანდრიასაც უყვარდა, დედასაც და მამასაც უყვარდა, სალომესაც უყვარდა და ვისკენაც თვითონაც მიისწრაფვოდა. მაგრამ ვინ იყო ის ახლობელი და რა ერქვა მას, რამ არ იცოდა.

ამის შემდეგ ანდრიამ კიდევ უფრო დაიახლოვა დისშვილი და თავისი საიდუმლოებანი გაანდო.

— ჩემი წიგნების სკივრი შენ უნდა დაგიტოვო, შენ გაიგებ, რასაც ვწერ, სხვები ვერ გაიგებენ!

მაგრამ რად გინდა წიგნები, თუ კითხვა არ იცი?

— ხვალიდან კითხვასა და მეცნიერებას გასწავლი, თევზაობის მერე ჩემთან წაგიყვან და პირველ მეცადინეობას ჩაგიტარებ! — უთხრა ანდრიამ რას.

ეს მისი საჩუქარი იყო დაბადების დღისთვის.

რამ გაიხარა.

„კითხვა და მეცნიერება ჩემი ცხოვრების საჩუქარი იქნება", — გაიფიქრა თავზე საბანწაფარებულმა რამ. აქაოდა ყველაფერი მოვასწრო და ეს ჩემი დაბადების დღე არ გამეექცესო, საწოლიდან წამოხტა და ეზოში დედას გაეკიდა.

— მამა ხომ არ წავიდა უჩემოდ? სად არის მამა?

— ბადე მოამზადა მამამ და შენ გელოდება! — დაამშვიდა დედამ.

მეორე თავი

თუ გინდა გადარჩე, გამარჯვებაზე იფიქრე

მზე საცაა ამოვიდოდა. მამა-შვილმა მძიმე ბადე მხრებზე გადაიკიდა. რა წინ წავიდა, მამა უკან გაჰყვა. ამაყად მიაბიჯებდა რა, თუმცა ბადე ადვილი სატარებელი არ იყო.

— ამონ, შვილი წამოგწევია! — უთხრა ოქრომჭედელმა ოსტატმა, როცა მის სახელოსნოს ჩაუარეს.

ამ ოქრომჭედელთან უცხო ქვეყნიდანაც მოდიოდნენ ვაჭრები, მდიდრები, დიდებულთა მსტოვრები და სამკაულებსა და ნაირ-ნაირ ძვირფას ნივთებს უკვეთავდნენ. როცა ზაქარია — ასე ერქვა ოქრომჭედელს — რაიმე ნივთს ქმნიდა, თვეობით გარეთ არ გამოდიოდა. იჯდა თავის ციცქნა ჩაბნელებულ სახელოსნოში და სანთლის შუქზე ადნობდა ოქროს, აწახნაგებდა ძვირფას თვლებს და ქმნიდა ლეგენდას. მისი ყოველი ნამუშევარი მართლაც ლეგენდა იყო, რადგან მუშაობდა ზაქარია და თან განუწყვეტლივ რაღაცა საიდუმლოს ჩურჩულებდა. ხალხში ამბობდნენ: ზაქარიას ნაკეთობას ჯადოსნური ძალა აქვსო, თუ წინასწარ ეტყვი, რისთვის და ვისთვის გჭირდება ნივთი, მაშინ ზაქარია შესაფერის ძალას ჩაადუღებს მასშიო. თუ ზაქარიას შეეკითხებოდნენ, მართლა ასეა თუ არაო, ის არაფერს უპასუხებდა, მაგრამ თუ დაინტერესდებოდნენ: როგორ ქმნი ლამაზ ნივთებს მაგ კოტიტა თითებით ან როგორ უძლებს შენი თვალები ამ სიბნელეში, სანთლის შუქზე ასეთი ციცქნა და ერთმანეთში ჩახლართული ხაზებისა და ფიგურების გამოყვანასო, ერთს იტყოდა: თუ გული სიყვარულით გაქვს სავსე, ოქრომჭედლობას ფეხის თითებითაც ისწავლიო.

ახლა ზაქარია თავისი სახელოსნოს წინ იჯდა, იმიტომ კი არა რომ საქმე არაფერი ჰქონდა. იჯდა იმიტომ, რომ მზის ამოსვლას შეჰხაროდა და თავის სანუკვარ სიმშვენიერეზე ფიქრობდა.

რას გაგებული ჰქონდა, ზაქარიას ოქროს ხელები აქვსო. ნაბიჯი შეანელა და ოქრომჭედელს ხელებში დააკვირდა.

დააკვირდა და გაუკვირდა, ხელები არც ოქროსი იყო და არც ლამაზი.

ზაქარიამ თვალი გაადევნა სათევზაოდ მიმავალ მამა-შვილს.

არავინ იცოდა ზაქარიას საიდუმლო — რატომ არ შეირთო ცოლი, რატომ ცხოვრობს ოქრომჭედელი ასე ღარიბად. მარტო თვითონ იცოდა საკუთარი საიდუმლო.

დიდხანს უყურებდა ზაქარია რას, ვიდრე მამა-შვილმა მეორე ქუჩაზე არ შეუხვიეს, და კეთილი სინანულით გაიფიქრა: „ეჰ, ეს ბიჭი ჩემი შვილი შეიძლებოდა ყოფილიყო;" შემდეგ ისევ ამომავალ მზეს დაუწყო ცქერა და თავისი ოცნებები გააგრძელა: „ამომავალი მზე ოქროსა და ძვირფას თვლებში... ღმერთო ჩემო, ნუთუ ვერ შევქმნი ჩემი ხელოვნების გვირგვინს?"

მამა-შვილი ახლა მეორე ვიწრო ქუჩას მიუყვებოდა. აქ სხვა ნაცნობები ხვდებოდნენ: მტვირთავები, მექოთნეები, თერძები და მეწაღლეები, ვაჭრები და მედუქნეები. ვიღაცამ მხრებზე ხელი შემოჰკრა რას — ნამდვილი კაცი ხარო, ვიღაც ამონს გამოელაპარაკა — დაჭერილი თევზი ჩემს დუქანში მომიტანეო, თან შვილიც შეუქო. სახლიდან გამოსული რა, ვიდრე მამა-შვილი ზღვას მიაღწევდა, თვალსა და ხელს შუა გაიზარდა, თვალებში სიბრძნის ნაპერწკალი ჩაუდგა. და ბიჭმა აშკარად იგრძნო, განიცადა, რომ დღეს მართლაც შვიდი წლის ხდებოდა, დიდი ხდებოდა. ხალხმა მამასთან ერთად სამუშაოდ მიმავალი დაინახა, როცა ზღვიდან დაბრუნდება, ანდრია კითხვისა და მეცნიერების სწავლას დააწყებინებს. მეტი რაღაა დიდობა!

მამამ ნავი ახსნა, რა ნავში ჩახტა და ზღვის სივრცეს გახედა. მოუთმენლობამ შეიპყრო, როდის შევიდოდნენ შუა ზღვაში და ბადეს ჩაუშვებდნენ.

ისინი მარტო არ იყვნენ ზღვაში. აქა-იქ ათიოდ ნავი ჩანდა. ზოგი უკვე შესდგომოდა თევზის ჭერას. ერთმა მეთევზემ ამონს გამოსძახა: დღეს თევზი ცუდად მოდისო, სამჯერ ვისროლე ბადე, ყველა უშედეგოდო.

ამონმა იცოდა, საითკენ უნდა წაეყვანა ნავი, ან იქნებ სულ სხვა რამეც იცოდა, მაგალითად, როგორ უნდა მოეზიდა თავისი ბადისკენ თევზის ქარავანი. რა გაფაციცებით ადევნებდა თვალს მამის მოძრაობებს. მამა ნიჩბებს უსვამდა გაჩ-

ქარებით და თან, ოქრომჭედელი ზაქარიასავით, რაღაცას ბუტბუტებდა. არცერთი სიტყვა არ ესმოდა რას, მაგრამ ხვდებოდა, რომ მამა საიდუმლო ძალას უხმობდა.

ნავი სწრაფად შესრიალდა ზღვის სიღრმეში და ამონმა რას დახმარებით ბადე ჩაუშვა. ბუტბუტი არ შეწყვეტილა, ისე ჩასცქეროდა ზღვას. ოციოდე წუთის შემდეგ რას გადმოსძახა: — აბა, ვაუკაცო, ამოვწიოთ ბადე.

ოჰ, რა ძნელი ყოფილა ბადის ამოწევა! რას კუნთები დაეჭიმა. ამოიტანეს მამა-შვილმა ბადე და ნავში ვერცხლისფერი თევზის გროვა გადმოცალეს. თევზები ხტოდნენ, ჰირს აღებდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ.

მეორედ ჩაუშვეს ბადე, მესამედ, და ნავის ფსკერი თევზებით დაიფარა.

ამონი კიდევ აპირებდა ბადის სროლას, მაგრამ ახლაღა შენიშნა, რომ ნაპირიდან მეტად შორს წასულიყო ნავი, ხოლო ჰორიზონტიდან მუქი ღრუბლები მოიწევდნენ, მათ გრიგალი მიაქროლებდა. განა არა, დილით ამონმა გაიფიქრა, ნეტავ დღეს როგორი ამინდი იქნებაო. მშვიდი და კრიალა რიჟრაჟის ცა საშიშს არაფერს ეუბნებოდა და, რაც მთავარია, შვილს დაჰპირდა — სათევზაოდ წაგიყვანო, ეს ჩემი საჩუქარი იქნება დაბადების დღისთვისო. ბიჭი დიდი ხანია ელოდა ამ ბედნიერ დღეს, და ამონს არ შეეძლო გაეცრუებინა მისი მოლოდინი.

ჰორიზონტი ნავისკენ მოიწევდა და ამონი ხედავდა და გრძნობდა მოახლოებულ ბობოქრობას. მეთევზეებიდან ზღვაზე აღარავინ იყო. მათ, როგორც ჩანს, ადრევე შენიშნეს მოსალოდნელი უბედურება და ნაპირს მიაშურეს.

— მაგრად ჩასჭიდე ხელი ნავს! — მკაცრად გააფრთხილა მამამ რა და ნიჩბები აამოძრავა.

რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიაქანებდა ამონი ნავს ნაპირისკენ, მაგრამ ხედავდა, რომ კიდევ უფრო ჩამუქებული ჰორიზონტი სჯობნიდა სისწრაფეში.

„ღმერთო ჩემო, ბავშვი!“ — გაიფიქრა შიშით ამონმა. გამოცდილებით იცოდა, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ გრიგალს. ნავმა რყევა დაიწყო, ტალღებმა სიმაღლეს მოუმატეს, ზღვა აგრუხუნდა.

ამონმა ნაპირს გახედა. შორს იყო ნაპირი, თანაც ძლივს ჩანდა მოულოდნელად წამოსულ თქეშში.

დაკვირვებული ბიჭი იყო რა. მამის შფოთი არ გამოეპარა. „რაღაც საშიში ხდება“, — გაიფიქრა ბიჭმა და, როგორც ანდრიამ ასწავლა, თვალები დახუჭა, სიბნელეს ჩახედა. რამ ყველაფერი დაინახა, რაც კი სულ რამდენიმე წუთში უნდა მომხდარიყო.

მამამ ძლივს დაფარა ზღვის გრუხუნი და შვილს გააგებინა:

— დაიმახსოვრე, შიში სიკვდილს ვერ იხსნის! მაშინ გადარჩები, თუ გამარჯვებისთვის იბრძოლებ და არა გადარჩენისათვის! გაიგე?.. გაიმეორე, რაც გითხარი!

— გადარჩენის გზა გამარჯვებაა! — რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა რამ.

მამამ გაიგო და თავი დაუქნია, კიდეც გაუღიმა შვილს, ასე აფორიზმივით რომ გამოთქვა მისი გრძელი დარიგება. რამ მოასწრო ამ ღიმილის დაჭერა და იმავე წამს თავს გადავლებულმა ტალღამ მამა გაიტაცა.

აი, ეს დაინახა რამ ორიოდ წუთის წინ, როცა თვალებდახუჭულმა სიბნელეს ჩახედა.

ტალღის მუცელში ჩანთქმული ამონი ისევ უღიმოდა რას, უკანასკნელ ალერსს უგზავნიდა, უკანასკნელ დარიგებას აძლევდა: „ძლიერია, ვისაც უყვარს, იმარჯვებს, ვინც სიყვარული იცის, გახსოვდეს, ჩემო ბიჭო!“ ზღვამ თითქოს გრუხუნი შეწყვიტა, რომ ამონის ძახილი მისი მუცლის სიღრმიდან შვილს გაეგო. რას მართლაც ჩაესმოდა ყურში — ნათლად, მკაფიოდ, მშვიდად — მამის მოწოდება, თუმცა ამონი, მისი კეთილი და მამაცი მამა, აღარ ჩანდა, და რამ იცოდა, რომ აღარც არასდროს გამოჩნდებოდა — სხეული მისი ზღვაში ინთქმებოდა, სული კი მაღლა მიიწევდა.

შიში სიკვდილს ვერ იხსნისო, თითქოს ყურში ჩასჩურჩულა მამამ რას. არა, ამონის სული ჯერ ისევ აქვეა და შვილის გადარჩენაზე ზრუნავს. თუ ახლა არ მოვსპობ ჩემს შიშს, მაშინ ვერასოდეს მოვსპობ მას და ვერც გადავრჩები, — გაიფიქრა რამ. რაც უფრო დიდი განსაცდელის წინაშე ხარ, მით უფრო დიდი შიში გიპყრობს. აი, სწორედ ამ დროს უნდა მოიკრიბო ძალა და გაანადგურო იგი, დაიცალო შიშისგან, ისე რომ ნამცეციც არ დაიტოვო მისი. ბევრჯერ დაუმარცხებია რა შიშს, როცა ელვას ცა გაუპია და ქუხილს დედამიწა დაუნგრევია, როცა წყლის ჩხრიალი მგლის ღრია-

ლად გადაქცეულა, როცა ღამის სიბნელეში კუნძს რქები გამოუბამს და უკან გაჰკიდებია. მაშინ მთელი სხეული ებურძგლებოდა რას, გულისცემა აუვარდებოდა, განწირული ყვირილი აღმოხდებოდა და დიდხანს ცახცახებდა.

მამა უკვე ჩაყლაპა ტალღამ, ახლა მასაც უპირებს ჩანთქმას. აი მოდის უზარმაზარი შავი მთა, გრუხუნითა და შხუილით. მოექანება მშიერი, ძლიერი, ბოროტი და მძვინვარე ტალღა. მას შეუძლია გემები დაფშვნას, ამ პატარა ბავშვს კი, დღეს შვიდი წლის რომ გამხდარა, გააქრობს უკვალოდ, ვითომც არც არსებულა.

ზეიმობს შიში, რას სულსა და სხეულში ჩასახლებული.

ბორგავს, იკუმშება, გორგლდება და ხარობს. ემსგავსება ხან ერთს, ხან მეორე, ხან მესამე მოჩვენებას, ერთმანეთზე მახინჯსა და ამაზრზენს.

— შეხედე, როგორი ვარ, ბიჭო! გადმოკარკლე თვალები, აცახცახდი და დაფეთდი! — სისინებს შიში რას თვალებში და გულისკენ მიიწევს, გულში სადგურდება, იქ იკრებს ძალას სულზე თავდასხმისათვის, შეეევედრე ყველა ღმერთს ერთად, იქნებ ერთმა მაინც მოგხედოს და გიშველოს, ხა-ხა, თუ შესძლებს! ვერავინ გაიგებს ამ ზღვათა წარღვნაში შენს ღრიალსა და მოთქმას! შენი ტირილია ვედრება, განწირული კივილი ჩემთვის ნამღერი დიდებული სიმღერა იქნება! ხა-ხა, მიმღერე სიმღერები, შეჰკივლე განწირულად, ვაიმე-თქო, დაიძახე! გამახარე შენი უსუსური კივილით: „მიიიიშვეეეეელეეეეეეთ!“ მარტო მე გავიგებ შენს კივილს ამ დაუნდობელ სტიქიაში და გავიხარებ! გაბოროტდი, ბიჭო, ხომ ხედავ, ყველამ მიგატოვა, უმწეოდ მიგაგდო, არავის უნდიხარ, აღარც არავის ახსოვხარ და უყვარხარ! გაქრება ყველა იმედი, მალე მისი ნატამალიც არ დაგრჩება! ინანე, რომ გაჩნდი ამ ქვეყნად! იწყევლე თავბედი! დაწყევლე დედაშენი, რომ დაგბადა! შეაჩვენე მამაშენი, ასეთი დაბადების დღე რომ გიძღვნა! გაურისხდი ღმერთს, შეაჩვენე უფალი და შეიზიზღე — რად მოგიზღო ასეთი ბედისწერა! ხა-ხა! მე ვარ შენი მბრძანებელი, მე — შენი შიში! ამისთვის გამზადებდი და ამ წუთს ველოდი! როცა შენ ჩემგან დაფეთებული დედის კალთას ეფარებოდი, მე ფრთები მესხმოდა და ვლაღობდი! როცა შენ შიშისაგან ბღაოდი, მე ვმღეროდი! როცა შენ შიშისაგან ცახცახებდი, მე ვცეკვავდი! როცა შენ იმედს კარგავდი, მე ვპოულობდი!

გიქრობდი ლამაზ სიზმრებს და ვამპირებს გისევდი, გავიწ-
ყებდი ანდრიასაც და სალომესაც! ო, უსუსურო და უგუნურო
ბალღო, ვერ იხსნი ჩემგან თავს, ვერსად დამემალები, რადგან
მე შენში ვარ, შენს გულში ვარ ჩაბუდებული და აქედან გი-
ფორიაქებ სულს და გიმღვრევ სისხლს! შენ უნდა დაგშალო,
რომ მე ავშენდე, შენ უნდა დაგამდაბლო, რომ მე ავმაღლდე!
შენით ვიკვებები და ვძლიერდები მე, ხა-ხა! შენს სიხარულს
მე ვხრავ, შენს ოცნებებს მე ვსვამ, შენს სიკეთეს ბოროტად
ვაქცევ! ასე ვიზეიმებ შენზე! ტალღა კი არ შეგჭამს შენ!
ტალღა ვერც გხედავს და არც უნდიხარ ასეთი ღლაპი! მე
გადაგყლაპავ, შენით გაძლიერებული და შენივე საკუთარი
შიშის გორგალი! გამოგწოვ ყველაფერს — სულსა და იმედს,
ფიქრსა და ოცნებას, სიკეთესა და სიყვარულს, აწმყოსა და
მომავალს, ჩვრად გაქცევ და მიგაგდებ ტალღას! შენს სხე-
ულს ზღვის მტაცებლები დაფლეთენ, შენს სულს ფროები
ჩამოსცვივდება და ისიც ცის მაჯლაჯუნათა კერძი გახდება!
მე კი გავძლიერდები, გავდიდდები და შენგან მოცლილი ახლა
სხვას, შენსავით უნიათოსა და ბრიყვს ჩავუსახლდები, იმასაც
დავშლი და დავანგრევ; მერე სხვას მივადგები, უფრო გაძ-
ლიერებული და გაავებული! ასე გავიზრდები, გავიშლები და
განვეფინები მთელ სამყაროს! ხა-ხა! დადგება ის ბედნიერი
დროც, როცა დედამიწაზე მარტო მე — შიში ვიბატონებ!
მაშინ ადამიანებს დააფეთიანებს მინდვრის ყვავილიც და კაშ-
კაშა ვარსკვლავიც, მზის სხივიც და თავისი ჩრდილიც, წაყ-
როს რაკრაკიც და დედის ალერსიც, ჩიტების ჟღურტულიც
და საკუთარი ხმაც! ადამიანები ღმერთს დაემალებიან, უფლის
ანგელოზებს ტალახს ესვრიან! ერთმანეთს ზიზღითა და
უნდობლად დაუწყებენ ყურებას! ადამიანებს თვალები საცრის-
ხელა გაუხდებათ, ყურდღლის ყურები და ფეხები გამო-
ესხმებათ და სულ გასაქცევად ექნებათ საქმე, რომ თავს
უშველონ! შიში ვარ მე, ბიჭო, შენი საკუთარი შიში! შიში
სიკვდილს ვერ იხსნისო, ასე დაგარიგა მამაშენმა, მაგრამ ვერ
გამოგადგება მამაშენის სიბრძნე! სიკვდილი ჩემი ტყუპის
ცალია! აი, დაგადექით თავს, შიშიც და სიკვდილიც! ხედავ,
რამხელა ტალღა მოემართება, რომ ჩაგნთქას! წამიც და არა-
ფერს დავტოვებ შენგან: შენი სხეული — ზღვას, შენი სული
— ჩვენ, ხა-ხა! შენ ქვემოთ, ჩვენ ზემოთ! ჩვენი ლუკმა ხარ,
უსუსურო! აბა, ჰა, რაღას ელოდები, გასძახე განწირულად,

სასოწარკვეთით, ბოღმითა და სიძულვილით ამ დაუნდობელ ცასა და დედამიწას, ამ უგულო და დაყრუებულ ღმერთებს: „მიიიიშვეეეელეეეეთ!“ — და მორჩება ყველაფერი! დაფეთდი, ბიჭო, მოვიდა აღსასრული! ასე ზეიმობდა და სისინებდა შიში, ვიდრე აბობოქრებული ტალღა მაღლა-მაღლა მიიწევდა, რომ შემდეგ თავისი ძალა ეჩვენებინა ყველასთვის, ვინც კი ქვეშ მოჰყვებოდა, გაენადგურებინა ყველაფერი, რასაც კი დაემხობოდა.

— ვერ მომერევი, შიშო! — თითქოს ელვამ დაჰკვესაო, ისე გაანათეს რას სული ამ სიტყვებმა, — ვერაფერს მიზამს ტალღა, თუ თევზი და თოლია ვარ!“

შიშის გორგალი მოუთმენლად ელოდა რას განწირულ კივილს. რამ კი ახედა ტალღას, კეთილად შესცინა და შესძახა:

— დიდება, უფალო, შენს ნებას!

და ვიდრე ტალღა თავისას იზამდა, რას სულის კეთილმა ძალამ ერთად შეუტია გულში დაბუდებულ შიშის გორგალს და ტალღებისკენ გასტყორცნა.

შიშის გორგალი, შავზე შავი, მოულოდნელობით გაოგნებული, ცოტახანს ჰაერში გაიყინა. შიშის გორგალი ნამდვილად არ ელოდა ასეთ დასასრულს, ასეთ ულირს მოპყრობას შვიდი წლის ბიჭისგან. არ იცოდა, რომ გულიდან სწორედ მაშინ გამოაძევებდნენ, როცა თავზარდამცემი წამები მოახლოვდა, რისგანაც თავად გული უნდა გამსკდარიყო. ჰაერში გაყინულ შიშის გორგალს კიდევ ჰქონდა იმედი: აი, ვერ გაუძლებს ბავშვს ნერვები, საცაა შიშისგან შეჰკივლებს და ისევ შევუსახლდები სულშიო, ყველა ანგელოზს ერთად დავუფრთხობო, მაგრამ ტყუილად.

— თუ გინდა გადარჩე, გამარჯვებაზე იფიქრე! იმარჯვებს, ვისაც უყვარს! — გუგუნებდა მამის ხმა და ამ ხმას მიჰყვებოდა რა. „თევზი ვარ!“ — გაიფიქრა რამ. არ დაელოდა ნავის გადაბრუნებას და ნაფოტებად დაქუცმაცებას და ზღვის სიღრმეს მიმართა. მთასავით ტალღა კი, შიშივით შავი და დაუნდობელი, ზედ დააცხრა რასგან ამოტყორცნილ შიშის გორგალს და ერთიანად დაფლითა, დაგლიჯა და არარაობად აქცია. „ახლა კი თოლია ვარ!“ — გაიფიქრა ზღვის სიღრმეში რამ, ცაში ასხლტა და მომდევნო ტალღას, რომელიც თავის ძმობილს უკან მოსდევდა, ქოჩორზე მოექცა.

გეყოფა ტირილი, დროა საქმეს შევუდგეთ

რა გადარჩა. მამა ზღვამ შთანთქა.

მეოთხე დღეს იპოვნეს რა ნაპირზე გამორიყული, თანაც შორს თავისი ქალაქიდან. საიდან სად გაიტაცა ბიჭი ზღვამო, უკვირდათ მძებნელებს.

რას ყველაფერი ახსოვდა: მამის უკანასკნელი ღიმილიც, მისი ბოლო დარიგებაც, ტალღაც, რომელმაც მამა გაიტაცა, და ტალღა, რომელსაც შესცინა.

„თუ გინდა გადარჩე, გამარჯვებაზე იფიქრეო," — იმეორებდა ბიჭი და ებრძოდა ტალღებს. მისი შიშის გორგალი ზღვამ მოსპო. ბიჭი, რომელსაც დაბადების დღე ჰქონდა და შვიდი წლის გახდა, ზღვის აბობოქრებულ ტალღებზე გამარჯვებას ზეიმობდა, გამარჯვებას საკუთარ შიშზე. შიში დაამარცხა რამ, ამიტომ ზღვის გრუხუნი და ტალღების ხეთქება კიდეც ართობდა ბიჭს. რა მოხდა, რომ ჯერ პატარაა? ან რას ნიშნავს პატარა? განა დიდია თუნდაც ორმოცდაათი წლის კაცი, კურდღლის ფაჩუნზე ვაიმეს რომ გაიძახის? პატარა მაშინ ხარ, როცა შიში გძალავს, როცა ვიღაცის ან რაღაცის გეშინია. დიდი ხარ მაშინ, როცა საკუთარ შიშს წირვას გამოუყვან, თუნდაც ხუთი, ექვსი ან შვიდი წლის იყო.

დაბადების მესამე დღეს, ვიდრე რა ნაპირზე აღმოჩნდებოდა, დელფინები გამოჩნდნენ.

ზღვა ნელ-ნელა დამშვიდდა, მაგრამ რა ნაპირიდან ძალიან შორს იყო. დაღლილ-დაქანცული ზღვაზე გულაღმა იწვა და ისვენებდა.

სამი დღე და ღამე ბობოქარიანი ტალღები ნაფოტივით ისვროდნენ რას ზემოთ-ქვემოთ. მაღლა შესროლილი რა თოლიასავით დაეშვებოდა ხოლმე ტალღაზე, ზღვაში ჩანთქმული კი თევზად იქცეოდა და ზედაპირისაკენ მოისწრაფოდა. გამარჯვების გზას მიჰყვებოდა რა ზღვასთან ჭიდილში. ვინ უფრო ძლიერია, შვიდი წლის ბიჭი თუ აბობოქრებული ზღვა?

ზღვაო, იტყვიან გამოცდილი ადამიანები.

რას ხანგრძლივი ცხოვრების გამოცდილება არა აქვს, მაგრამ ზღვასთან ჭიდილში დიდი გამოცდილება კი ნამდვილად შეიძინა.

შეუძლია თუ არა აბობოქრებულ ზღვას ჩაძიროს ან ჩანთქას ნაფოტი?

ზღვას, მით უფრო, თუ ის აბობოქრებულია, შეუძლია გემები ჩაძიროს, კლდეებს ძირი გამოუნგრიოს, ქალაქები წალეკოს, მაგრამ ნაფოტს კი ვერა და ვერ მოერევა. ნაფოტს არ ეშინია ზღვის, ამიტომ ზღვაც ვერაფერს უშვება მას. ნაფოტს არა თუ არ ეშინია აბობოქრებული ზღვის, არამედ კიდეც მოსწონს ზღვასთან თამაში. ზღვა მას ნაპირისაკენ ისვრის, ის კი უკან ბრუნდება, მაღლა ააგდებს, ის კი ტალღებზე ეშვება, ჩანთქავს, და ისევ ამოტივტივდება. ნაფოტი იცინის, ხალისობს, თამაშობს, ზღვა კი რისხდება და ბობოქრობს.

რამ განიცადა ნაფოტის სიბრძნე და გაიმარჯვა.

ბიჭი ზღვაზე გულაღმა იწვა და ცას შესცქეროდა.

ჯერ კიდევ რიჟრაჟი იყო.

ვარსკვლავები მკრთალად ციმციმებდნენ ცაზე. რა მათ შორის მამის ვარსკვლავს დაეძებდა. რომელ ვარსკვლავზეა ახლა ამონის სული? ან იქნებ ჯერ კიდევ აქ არის, არც გაფრენილა არსად, თავს დასტრიალებს შვილს?

ამ ფიქრებში იყო ბიჭი, როცა დელფინები მოსრიალდნენ.

რას არ შეშინებია დელფინების, არც იცოდა, რომ ისინი დელფინები იყვნენ. გინდაც მტაცებელი თევზები ყოფილიყვნენ, რას მაინც არ შეეშინდებოდა, რადგან შიშის გორგალი ზღვაში მოახრჩო. დელფინებმა ჯერ ქვემოდან შეათვალიერეს რა, შემდეგ რამდენჯერმე ზემოდან გადაახტნენ და, თითქოს იცინესო, გაულიმეს, წრიპინით რაღაც უთხრეს, ფარფლებითა და ცხვირით მიეალერსნენ. ისინი ოთხნი იყვნენ და ისე შეწყობილად მოქმედებდნენ, თითქოს ერთის ნებას ასრულებდნენ. ორი მათგანი ქვემოდან შეუდგა რას, თითქოსდა ტახტზე დააწვინესო, ორი წინ გაუძღვა და ასე ისრიალეს ნახევარი დღე, ვიდრე ნაპირს არ მიაღწიეს. რას ამასობაში ჩაეძინა კიდეც. დელფინებმა ბიჭი ნაპირზე გადაიყვანეს. ისე ფრთხილად იქცეოდნენ, რომ რას არც გაღვიძებია, და უკან გაბრუნდნენ.

საღამო ხანს მძებნელებიც გამოჩნდნენ და რა ქალაქში დედას მიუყვანეს.

დედა უკვე აღარ ტიროდა. ჩაწითლებულ და ჩასიებულ თვალებში ოთხი დღის წარსული იყო ჩახატული. მძებნელებმა რა სახლის წინ კარებთან დააყენეს. მარამ მადლიერებით გაბრწყინებული სახე ცისკენ აღაპყრო, ორივე ხელი ღმერთს გაუწოდა. შემდეგ მუხლებზე დაეშვა, შუბლი დედამიწას მიადო და მკლავები ისე შემოხვია მიწის ნაფლეთს, თითქოს მთელი დედამიწის ჩახუტება უნდაო. ასე გარინდებული ეფერებოდა მარა რამდენიმე წუთს დედამიწას, რომლის აბობოქრებულმა შვილმა — ზღვამ — ქმარი წაართვა, მაგრამ შვილი დაუბრუნა. მადლობას უხდიდა მარა დედამიწასაც და მის შვილსაც, მხურვალედ კოცნიდა და ეფერებოდა მიწას.

შემდეგ წამოდგა, თავსაფარი გაისწორა და ახლა საკუთარი შვილი, სასწაულებრივად გადარჩენილი, გულში ჩაიხუტა.

რას წვეთი ცრემლიც არ გადმოვარდნია თვალიდან, როცა მამა ზღვამ ჩაყლაპა, და არც უფიქრია, რომ მამა მოკვდა, რომ მამის სულს საუკუნოდ გაშორდა. ზღვაზე გულაღმა მწოლარემ რამდენჯერმე დახუჭა თვალები და სიბნელეს ჩახედა. ჯერ ოქროსფერი ღრუბელი ამოსრიალდებოდა ხოლმე, შემდეგ კი მამის ღიმილიანი სახე გამოანათებდა. მამა იქ არის, სადაც უნდა იყოს, მამა აქაც არის, მის გვერდით, დედის გვერდით, დედას ეფერება და ამშვიდებს.

ახლა კი გულმდუღარედ ატირდა რა, დედას ჩაეკრა და ცხელი ცრემლებით მკერდი დაულბო. იმიტომ კი არ ტიროდა რა, რომ მამა დაეღუპა. არც იმიტომ, რომ მამა ეცოდებოდა — საწყალი, რა ადრე წავიდა ამ ქვეყნიდანო; არც იმიტომ, რომ ვინმესთვის თავი შეებრალებინა — ნახეთ, რა ადრე დავობლდიო, არც იმიტომ, რომ დედის დაქვრივებას წუხდა. მოხდა ის, რაც უკვე მოხდა და რაც უნდა მომხდარიყო. წარსულში არაფერი შეიცვლება. შვიდი წლის რამ ეს სიბრძნე ანდრიას დახმარებით უკვე შეიცნო. რა ტიროდა ცხარე ცრემლებით იმის გამო, რომ უყვარდა დედა და უყვარდა მამა, და იმის გამო, რომ დედის სამდღიანი ცრემლების ღვრისთვის ეთანაგრძნო, მისი წუხილი შეემსუბუქებინა.

რატომ ტირიან ბოლოსდაბოლოს ადამიანები, რა არის ცრემლი?

ვინ იმიტომ ტირის და გოდებს, რომ რაღაც ნივთი დაკარგა და მისი დაბრუნება სურს. ვინ იმიტომ, რომ ახლო ადამიანი გარდაეცვალა და მისი ცოდვით იწვის, ან თავისი თავი ეცოდება, — უშენოდ მე რა მეშველებაო; ვინ იმიტომ, რომ აწყენინეს, რაღაც არ შეუსრულეს, შეურაცხყოფა მიაყენეს — არ გეცოდებითო, არ გრცხვენიათო; ვინ იმიტომ, რომ წაიქცა და რაღაც იტკინა — გამწარდა და ღმერთს უსაყვედურა, რა დაგიშავეო. მოკლედ, ტირიან ადამიანები და საკუთარ თავს იბრალებენ, ან წარსულს ებღაუჭებიან და უკან დაბრუნება უნდათ. ტირიან და გულს იმშვიდებენ, საკუთარ თავს დასტირიან. ეს ცრემლები წარსულის ცრემლებია. ასეთ ცრემლებს რომ გემო გაუსინჯო, სიმლაშეში იქნებ სიმწლაკესა და სიმწარესაც აღმოაჩენ. ეს ცრემლები ადამიანებს თვალებს უბნელებენ და სინათლესაც უკარგავენ.

მაგრამ სხვანაირი ტირილიც იციან ადამიანებმა და სხვანაირ ცრემლებსაც ღვრიან. ეს სხვანაირი ტირილი მაშინ იციან, როცა ცხოვრების გზას იცვლიან, თანაც მოულოდნელად. ამ დროს ცრემლი სეტყვისა და ჭექა-ქუხილის შემდეგ მოვარდნილ ნიაღვარს ჰგავს. იგი გზას ჩაუხერგავს წარსულს, რათა წარსული აწმყოსა და მომავალში არ შემოიჭრას. ან იქნებ სულაც წალეკოს წარსული, რომ კვალიც არ დატოვოს მისი. დარჩება წარსული გაღმა, გამოღმა კი — ახალი ცხოვრება დაიწყება.

წაიქცა კაცი და მოიტეხა ფეხი, გადმოღვარა სიმწრის ცრემლი, მაგრამ რად წავიქეციო, ამას კი არ ნანობს, არამედ როგორ მოვიქცე, რომ ეს აღარ დამემართოსო, ამაზე იფიქრებს.

დაკარგა ნივთი ადამიანმა. უყვარდა ნივთი და აღარ აქვს. გული დასწყდება, იტირებს, მაგრამ თან კი არ გაჰყვება; ალბათ, ახლის შეძენის დრო დადგაო, გაიფიქრებს.

გამოეცალა ხელიდან ძვირფასი ადამიანი — მამა ან მეუღლე, როგორც ეს დაემართათ რას და მარას, მაგრამ ცრემლი იმიტომ კი არ დაღვარეს — შემიცოდეთო, დავობლდი და დავქვრივდიო, არამედ იმიტომ რომ სიყვარულს აუგეს ძეგლი. ასეთი ცრემლი ცოტამ იცის, ძნელია ასეთი ტირილი, რადგან იგი ადამიანისგან მსხვერპლს ითხოვს. ეს ცრემლები

მომავალს აშენებს. ასეთი ცრემლები თვალებს კი დაგწვავს, მაგრამ სინათლეს არ ჩაგიქრობს. პირიქით, უფრო ნათლად დაინახავ.

ცხარე ცრემლებით ტიროდა რა, მაგრამ ეს ცრემლები იმედიანი იყო. ის არ მისტიროდა დაღუპულ მამას, არც თავის დაობლებას დასტიროდა. აბობოქრებული ტალღების თავზე თოლიასავით ჩამომჯდარ ბიჭს, ამ ზღვის უფსკრულში თევზად ქცეულს წარსულისაკენ მოსაბრუნებელი აღარაფერი ჰქონდა. ან რატომ უნდა ეტირა ამონი, რომელმაც ამაღლებული, გამარჯვებული სიკვდილი იზეიმა. ამონის სული ხარობს და საკუთარი ვარსკვლავისაკენ მიიწევს, გლოვის, სინანულის, ვიშ-ვიშის ცრემლებმა კი შეიძლება დაამძიმოს მისი ფრთები. რას ცრემლები უძირო მდინარე იყო, ტიროდა რა დედის გულის სანუგეშოდ და დასამშვიდებლად.

მარა შვილს ეფერებოდა და, მართლაც, მშვიდდებოდა, ხალისი და იმედი ეძლეოდა.

ალბათ, კიდევ დიდხანს იტირებდა რა, დედის უბეში თავჩარგული, მაგრამ მხრებზე ვიღაცის სათუთმა შეხებამ გამოარკვია.

— გეყოფა ტირილი. წამოდი ჩემთან, დროა საქმეს შევუდგეთ!

ეს ანდრიას ხმა იყო.

რა უცბად დამშვიდდა. დედამ გაუღიმა და ხელისგულებით თვალები შეუმშრალა.

— გაჰყევი! — უთხრა მშვიდი, კეთილი და იმედიანი ხმით.

რამ დედას აკოცა, შებრუნდა და უკვე ქუჩაში გასულ ანდრიას დაეწია.

სამყაროს არა აქვს დასასრული, ყველგან ყველაფერია

გრძელი და ვიწრო ქუჩა ნელი ნაბიჯით გაიარეს.

საღამო ხანი იყო. ქუჩაში ბავშვები თამაშობდნენ, ერთმანეთს დასდევდნენ, ეჭიდებოდნენ, ან ჯგუფად შეკრულნი მღეროდნენ და ცეკვავდნენ. უფროსები თავიანთი სახლებისა და სახელოსნოების წინ პატარა სკამზე ისხდნენ, ან სულაც ფეხმორთხმით ისხდნენ მიწაზე და საუბრობდნენ.

ქუჩის ყველა უბნის უფროსები და ბავშვები ცნობისმოყვარე თვალებით აცილებდნენ ფილოსოფოსსა და მის დისშვილს. ზოგმა გადარჩენა მიულოცა რას და მამის დაღუპვის გამო მიუსამძიმრა. ბავშვები მორიდებით შესცქეროდნენ რას, რომელიც სამი დღე აბობოქრებულ ზღვას ებრძოდა და გადარჩა. ერთგან მოხუცმა ქალმა რა გულში ჩაიხუტა, აკოცა, თავზე ხელი დაადო და რაღაც იჩიფჩიფა — შეულოცა, რომ ავი სულებისგან დაეცვა. შემდეგ ახლად გამომცხვარი მთელი პური ჩაუდო ხელში და ჩაულაპარაკა: „შვილო, ღმერთის ნებით გადარჩი. უსმინე ღმერთს!“

ვიწრო და გრძელი ქუჩა დაილია. ანდრია და რა ქალაქს გასცდნენ და მთაზე ამავალ ბილიკს გაჰყვნენ. რამ ვერც შენიშნა, როგორ აღმოჩნდნენ კლდოვან ბილიკზე, როგორ გააღწიეს თავი ეკალ-ბარდებს და, საერთოდ, როგორ მიადგნენ გამოქვაბულებს. ისინი სიბნელეში მიდიოდნენ და რა არც ცდილობდა ნაბიჯი მოეზომა, წინ დაეხედა. ანდრიას ფეხის ხმასა და ჩურჩულს მიჰყვებოდა ბიჭი და საკუთარი ფიქრებისა და განცდების ტკვირთი მიჰქონდა. ანდრია რამდენიმე წელი იყო, რაც გამოქვაბულებში ცხოვრობდა.

მას შემდეგ, რაც ხალხს განერიდა და წერა დაიწყო, აღარც ქალაქში გაჩერდა. მთის ძნელად მისასვლელ ადგილას გამოქვაბულები იპოვა და იქ დასახლდა. გამოქვაბული ბევრი იყო. ანდრიამ რამდენიმე შეარჩია. ერთში წიგნებს წერდა, აქვე ედგა სკივრები, რომლებშიც წიგნებსა და ნაწერებს ინახავდა. მეორეში ცდებს ატარებდა, ამიტომ უცნაური მოწყობილობები ჰქონდა გამართული. მესამე კი ანდრიამ იმას მი-

უძღვნა, ვის გამოცხადებასაც ხუთი წელია ელის. ეს გამოქვაბული გამორჩეული სიყვარულით მოაწყო და მოხატა. ანდრიას წარმოდგენაში ის, ვისაც ამ გამოქვაბულში იხილავდა, მოულოდნელად მოვიდოდა მასთან, იქნებ არც ღამეს გაათევდა, იქნებ არც ჩაიმუხლებდა, ასე ფეხზე მდგარი გაესაუბრებოდა მის მომლოდინე და მონატრებულ ანდრიას, რაღაცას ეტყოდა და ამით მის მთელ ცხოვრებას შეცვლიდა. იმ ერთი გამოცხადებისთვის, იმ წამიერი გამოცხადებისათვის მოამზადა ანდრიამ ეს დარბაზ-გამოქვაბული. ყოველ დილა-საღამოს შედიოდა შიგ, რომ სანთლები შეეცვალა, ყვავილებისთვის წყალი დაესხა და ელოცა.

ანდრიამ რასთვის ცალკე გამოქვაბული მოაწყო. ერთი კედელი უცნაური სურათებით მოხატა. მეორეზე ასოები და ბრძნული აზრები ამოკვეთა, მესამეზე კი მთელი წიგნი იყო დაწერილი. არც გამოქვაბულის ჭერი დაივიწყა: გუმბათივით ჭერზე მზე, მთვარე, ვარსკვლავები კიაფობდნენ. ლამაზი ფერები ერთმანეთს ერწყმოდა, კედლების ძირზე კი ქოთნებში ყვავილები ყვაოდნენ. გამოქვაბულის შუაგულში ტახტი და პატარა მაგიდა იდგა.

— მოვედით! — რასთვის მოულოდნელად თქვა ანდრიამ.

რამ ირგვლივ მიმოიხედა, მაგრამ უკუნ სიბნელეში ვერაფერი დაინახა.

— ჩემს ხმას გამოჰყევი! — უთხრა ანდრიამ და საიდუმლო სიტყვების ჩურჩულით შევიდა გამოქვაბულში. ჩურჩული შეწყდა. შემდეგ რაღაც ჩხაკუნი გაისმა და ნაპერწკლები აელვარდა. კიდევ, კიდევ და ბოლოს გამოქვაბული სუსტმა ალმა გაანათა. ანდრიას გრძელი ჩხირი ეჭირა ხელში, რომლის ერთ ბოლოს ცეცხლი ეკიდა. ანდრიამ კედლებზე მიმაგრებული სანთლები აანთო და გამოქვაბული განათდა.

— ეს შენი გამოქვაბულია, დღეიდან აქ იცხოვრებ. დაათვალიერე!

რას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: სურათებითა და წარწერებით მოხატული კედლები, ცასავით გუმბათი, იატაკზე ხალიჩები და ბალიშები, ტახტი.

— მოგწონს? — ჰკითხა ანდრიამ.

— ძალიან! — უპასუხა რამ. ბიჭს მოუთმენლობა იპყრობდა, — ანდრია, როდის მასწავლი კითხვასა და მეც-

ნიერებას? როდის წავიკითხავ და გავიგებ, რაც ამ კედელზე წერია?

— ეს სამი დღის წინ უნდა დაგეწყო. ამიტომ ნულარ დავიგვიანებთ, ახლავე შევუდგეთ სწავლას! — დინჯად უპასუხა ანდრიამ.

შემდეგ დოქიდან ჯამი რაღაც სითხით გაავსო და რას გაუწოდა. ბიჭს სწყუროდა და ეგონა, წყალს მთავაზობსო. მაგრამ როგორც კი ჯამი პირთან მიიტანა, მიხვდა, რომ რაღაც სასიამოვნო რამ იყო: სიამოვნებით გამოცალა ჯამი. სურნელოვანმა და გემრიელმა სითხემ სხეულში დაუარა და ძალა და ხალისი შემატა.

— რა დამალევინე, ანდრია?

— რაც გჭირდებოდა!

ანდრიამ თავადაც გამოცალა ყვავილოვანი სითხით სავსე ჯამი. შემდეგ ბიჭი ერთ კედელთან მოიხმო და ჩურჩულით, რომ რას მეტს არავის გაეგო, თითქოსდა გამოქვაბულში კიდევ იყო ვინმე, ჩურჩულითა და საიდუმლო ხმით დაიწყო.

— აი, ეს ის მთაა, რომლის გულშიც ჩვენ ვართ, აქ არის ჩვენი გამოქვაბულები. ამ მთის იქიდან მზე ამოდის, შეხედე მზეს...

მთის წვერი ოქროს სხივებით იყო განათებული, სხივები მაღლა გუმბათისკენ მიიწევდნენ.

— ეს მზის ამოსვლაა, — დილით ადრე ამ საოცრებას ვიხილავთ!

ანდრიამ ბიჭი საპირისპირო კედელთან მიიყვანა.

— შეხედე, აქაც მთაა, მაგრამ სხვა. ამ მთის იქით მზე ჩადის.

რამ იცნო ჩამავალი მზის სხივები — მოწითალო-მოყვითალო.

„როგორ დახატა ეს ანდრიამ, თითქოს ნამდვილიაო?!“ — უკვირდა ბიჭს, მაგრამ ანდრიას უბრალო კითხვამ კიდევ უფრო გააოცა.

— მითხარი ერთი, როგორ ხდება, რომ მზე ერთი მთიდან ამოდის და მეორე მთის იქით ჩადის?

რამ ვერც მოასწრო რამე მოეფიქრებინა, რომ ანდრიამ მეორე და მესამე კითხვაც მისცა:

— რატომ იბადება ადამიანი, რას ეძებს ამქვეყნად და რატომ ვერ პოულობს, რასაც ეძებს?

რას ძალიან რომ სდომებოდა, მაინც ვერაფერს უპასუხებდა ანდრიას. არც ანდრია ელოდა პასუხს. რა კითხვებმა ჩააფიქრა: ცხოვრობ დედამიწაზე, შეჰხარი მზეს და არ იცი, ვინ ხარ, საიდან მოხვედი, რას ეძებ და საით მიდიხარ, ყოველდღე შეჰხარი მზეს და არ იცი, რატომ და როგორ ამოდის და ჩადის მზე.

— გავიდეთ გარეთ! — უთხრა ანდრიამ.

ისინი რასთვის უცნობ ბილიკს გაჰყვნენ და ათიოდ წუთში მთის წვერზე აღმოჩნდნენ. თავზე ვარსკვლავებით მოჭედილი ცის გუმბათი ედგათ. ორმტკაველიან მთის წვერზე ანდრია და რა ძლივს ეტეოდნენ. „ნეტავ როგორ ჩანს აქედან ქალაქი? — გაიფიქრა რამ.

— გახედე ცას. მოგწონს?

ბდღვრიალებდნენ და ციმციმებდნენ ვარსკვლავები, დიდები და პატარები. ისე ციმციმებდნენ და ირხეოდნენ, თითქოს ერთმანეთს ელაპარაკებიანო, ერთმანეთს უცინიანო.

— ვინ და რატომ შექმნა ასეთი გუმბათი ჩვენ თავზე? რა ხდება ვარსკვლავებზე?

კარგა ხანს უყურეს ცას ანდრიამ და რამ, ჩუმად უყურებდნენ და ფიქრობდნენ. ანდრია იმაზე ფიქრობდა, როგორ მიეხვედრებინა რა, რომ ყველაფერი ეს უსასრულობაა, რომელშიც აზრი ბატონობს, ხოლო აზრი სიყვარულით სავსე სამყაროს საწყისია. სიყვარული სამყაროს სიმყარე, სამყაროს დედაა. რამდენი წელი უნდა ასწავლოს რას ანდრიამ, რომ ბიჭს გონება გაუნათდეს და შემდეგ თავად გააგრძელოს საიდუმლოთა ამოცნობა. რას ფიქრები კი ვარსკვლავებს უფრენდნენ გარშემო. „რა არის ამ ვარსკვლავების იქით? კიდევ იქით? იქით? — ფიქრობდა რა და ვერ წარმოედგინა, რომ სადღაც ვარსკვლავების მიღმა აღარაფერი იქნება. „სამყაროს არ შეიძლება ჰქონდეს დასასრული! ყველგან ყველაფერია!“ — გაიფიქრა რამ და გაუხარდა, რომ ასეთ აზრს მიაგნო.

როცა ისევ გამოქვაბულში დაბრუნდნენ, ანდრიამ უთხრა:

— უკვე გვიანია. მაგრამ თუ გინდა, ნუ ჩააქრობ სანთლებს, უყურე კედლებს და იფიქრე!

ასე დაიწყო რას პირველი გაკვეთილები კითხვასა და მეცნიერებაში.

რა საინტერესო ქვაა, თითქოს ზედ რალაცეები წერია

ანდრია რას გაკვეთილებს უტარებდა დილა-საღამოს, შუადღისას და შუაღამისას, გამოქვაბულში და მთის მწვერვალზეც, ხის ძირშიც, როცა ისვენებდნენ, და გზაზეც, როცა სადმე მიდიოდნენ. მთელი დღე და ღამე და ყველაფერი, რაც ირგვლივ არსებობდა, ერთ დიდ გაკვეთილად იყო ქცეული. მოწყურებული ირემივით ეწაფებოდა რა ცოდნას. ცოდნის წყარო კი თურმე ყველგან ყოფილა. ანდრიამ რას სიბრძნის წიგნებად უქცია ჭიანჭველების ბუდე და ღრუბლები, მდინარის ჩხრიალი და სუფთა ჰაერი, ვარდის ბუჩქი და ბულბულის გალობა, ხის ფესვები და ვარსკვლავების ციმციმი, სილის ნამცეცი და აყუდებული მთა, სინათლე და არწივის ფრთები, ადამიანი და სამყარო.

— თუ გინდა ცოდნა ღვარად მოედინებოდეს შენსკენ, სამ რამეს უნდა დაეუფლო: დაკვირვებას, გაკვირვებას და გაოცებას! — ასწავლიდა ანდრია რას.

რამ სწაფად ისწავლა დაკვირვება და გაკვირვება. ამიტომ შენიშნა გზაზე უცნაური ქვა, დასწვდა, შეათვალიერა და გაუკვირდა. ანდრია და რა ამ დროს ქალაქში მიდიოდნენ მარას სანახავად.

— ანდრია, შეხედე, რა საინტერესო ქვაა, თითქოს ზედ რალაცეები წერია! — უთხრა რამ მასწავლებელს.

ანდრიამ ქვას დახედა. გზის პირას ჩამოჯდა და ისეთი ყურადღებით დაუწყო თვალიერება, რომ შუბლი შეეკრა. კარგახანს იყო ჩაფიქრებული. შემდეგ სახე გაეხსნა და გაიღიმა.

— ეს არ არის უბრალო და შემთხვევითი ქვა, ეს შენი ქვაწერილი უნდა იყოს! — დინჯად თქვა ანდრიამ, თუმცა მის ხმაში რალაც აღელვებაც იგრძნობოდა.

ქვა რას დაუბრუნა.

— გარეცხე მდინარეში, ნახე, როგორი გახდება!

რამ ქვა იქვე მდინარეში გარეცხა.

ქვამ გაიხარა, გაიცინა. ის რას ხელისგულს ჰგავდა და ხელისგულზე ეტეოდა, ბრტყელი და ქათქათა თეთრი იყო,

და, როგორც ქაღალდზე, ისე ეწერა ზედ რაღაც ასოების მსგავსი; როგორც ხელისგული, ისე იყო დაბილიკებული.

— ანდრია, აქ მართლა წერია რამე თუ ეს ტყუილი ხაზები და ასოებია? — ჰკითხა რამ. იგი სულ უფრო იხიბლებოდა ქვით.

— დაიხსომე, ჩემო ბიჭო, — უპასუხა ანდრიამ, — სამყარომ, ბუნებამ, ქვამ, მდინარემ, ვარსკვლავებმა, ღრუბლებმა, ქარმა, მზემ, მთვარემ, ხის ფოთოლმა თუ ფესვმა არ იციან, რა არის ტყუილი. ბუნება მხოლოდ სიმართლეს ამბობს და სიმართლის წიგნებს წერს. არც ცხოველებმა, ფრინველებმა, ჩიტებმა თუ ჭიანჭველებმა იციან ტყუილის არსებობა. ტყუილის თქმა ამ უსასულო სამყაროში მხოლოდ ადამიანმა ისწავლა და ამით თავი შეირცხვინა. ქვა, რომელიც ხელში გიჭირავს, ჭეშმარიტებას ღაღადებს, რაღაც საიდუმლოს გამცნობს.

— მე მამცნობს?! — გაუკვირდა რას.

— კი, შენ გამცნობს.

— რა საიდუმლოს უნდა მამცნობდეს ეს ქვა? — ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო რა.

ანდრიამ მშვიდად განუმარტა.

— ხომ გითხარი, ეგ ქვა იქნებ შენთან მილიონი წლის წინ გამოგზავნილი წერილია. დაგიდეს გზის პირას, რომ აიღო და წაიკითხო.

რას უცბად მოეძალა აუარებელი კითხვა. ანდრია ისეთ რამეს ეუბნებოდა, რომ გაგება გაუჭირდა: „მილიონი წლის უკან შენთვის გამოგზავნილი წერილიაო.“

— მერე როგორ წავიკითხო ეს ასოები და ხაზები? შენ არ გისწავლებია ჩემთვის ასეთი ნიშნები!

— მე ყველაფერს ვერ გასწავლი, ჩემო ბიჭო, თავად არ ვიცი ყველაფერი. დაელაპარაკე ქვას, სთხოვე დაგეხმაროს.

— ქვას დაველაპარაკო?! — გაოცდა რა, — ქვამ ლაპარაკი იცის?!

— ლაპარაკი ქვამაც იცის და ხემაც, წყალმაც და ჩიტმაც. ლაპარაკი ყველაფერმა იცის. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ქვას არ შეუძლია ისწავლოს ადამიანის ენა. ქვამ ბუნებისა და სამყაროს ენა იცის. ისწავლე ქვის ენა და გაიგებ, რა წერია მაგ ქვის ორივე მხარეს.

რამ ქვა გადააბრუნა, ორივე მხარეს ერთგვაროვანი ნიშნები და ხაზები იყო გამოყვანილი.

— შენ ამბობ, რომ ეს შეიძლება ჩემთვის გამოგზავნილი წერილი იყოს? — ჰკითხა რამ დაეჭვებით.

— შეიძლება. თუ არა და, რატომ მაინცდამაინც შენ გელოდებოდა ეგ ქვა, რატომ სხვამ არ აიღო? ალბათ, დღეს ბევრმა ჩაიარა ამ გზაზე, ბევრმა მოჰკრა თვალი მაგ ქვას, მაგრამ არვინ დასწვდა. არც შენ იღებ ყველანაირ ქვას, რაც გზაზე გხვდება. აგერ, კიდევ გდია გზის პირას რაღაც მაგდაგვარი ქვა, არ გინდა, ისიც აიღო?

— არა, ეს ერთიც მეყოფა.

— მართალს ამბობ, — დაუდასტურა ანდრიამ, — ის ქვა შეიძლება სხვისი ქვაწერილი იყოს. როდისმე ის სხვაც ჩამოივლის ამ გზაზე და მიიღებს თავის წერილს. შენ კი, დარწმუნებული ვარ, შენთვის გამოგზავნილი წერილი გიჭირავს ხელში.

— თუ ასეა, ვის უნდა გამოეგზავნა ეს წერილი ჩემთვის?

— მაგას კი ნამდვილად ვერ გეტყვი, — უთხრა ანდრიამ, — ალბათ, იმან გამოგიგზავნა ქვაწერილი, ვინც იცის, რომ შენ ხარ, შენზე ზრუნავს და შენი იმედი აქვს. ტყუილად ხომ არ დაწერდა წერილს ქვაზე? რაღაცას მეტად მნიშვნელოვანს გაუწყებს.

რა ჩაფიქრდა, ცდილობდა გარკვეულიყო ყველაფერში, რასაც ანდრია ეუბნებოდა. რამ იცოდა, რომ ანდრია არ ეხუმრებოდა მას, მაგრამ არც ისეთი ადვილი აღმოჩნდა იმ სიღრმეში წვდომა, რასაც იგი განუმარტავდა.

— ანდრია, ხომ იცი, რომ მე შვიდი წლის ვარ. როდის უნდა იყოს ეს ქვაწერილი გამოგზავნილი? განა არ ეტყობა ქვას, რომ ის შვიდი წლის კი არა, იქნებ შვიდასი წლისაცაა. ეს ნიშნები ქვაზე კი არ არის დაწერილი, ქვაშია ჩასმული. გამოდის, რომ მე გაჩენილიც არ ვიყავი, როცა წერილი გამომიგზავნეს! აბა, როგორ მოხდებოდა ეს?

„ოჰო, — გაიფიქრა ანდრიამ, — ბევრ რამეს ხვდება ეს ბიჭი. მაშ, რასაც ახლა ვეტყვი, იმასაც მიხვდება.“

— ჩემო ბიჭო, მომაპყარ გულისყური. გაჩენა და დაბადება სხვადასხვა რამ არის. ეგ ქვა, ხელში რომ გიჭირავს, შვიდი წლის კი არა, შვიდი მილიონი წლისაც იქნება. შენ

მაგ ქვაზე ადრე ხარ გაჩენილი, დიდი, ძალიან დიდი ხნით ადრე. მაგრამ დედამიწაზე შვიდი წლის წინ დაიბადე. ღმერთმა გაგაჩინა, როგორც სამყაროს ნაპერწკალი, უკვდავი სული. დედამ კი დაგბადა, როგორც დედამიწის ადამიანი. გაჩენილი ერთხელ ხარ, როგორც სული, დაბადებული კი, ვინ იცის, რამდენჯერ, იქნებ ასჯერ, იქნებ შვიდასჯერ. ადამიანი იმიტომ იბადება, რომ თავისი ცხოვრებით, მოღვაწეობით, აზრებით საკუთარი სული განავითაროს. ახლა, თავად იფიქრე, რამდენი წლის წინათ იწერებოდა ეგ წერილი, ან ვინ წერდა მას შენთვის, ან რატომ წერდა.

— მაშ, მე ბევრჯერ ვარ დაბადებული ამქვეყნად?! — რას ერთ გაოცებას მეორე და მესამე გაოცება დაერთო.

— დიახ, ასეა!

— მე რომ არაფერი ვიცი და არაფერი მახსოვს ჩემი წარსული ცხოვრებიდან? რატომ?

— არ არის საჭირო და იმიტომ. წარსულ ცხოვრებათა გახსენებამ შეიძლება ხელი შეუშალოს ადამიანს საკუთარი სულის განვითარებაში. შენ არ გახსოვს, მაგრამ შენმა სულმა ყველაფერი იცის. შენს ახლანდელ ცხოვრებას შენი სული ხელმძღვანელობს! — ანდრია მშვიდად ესაუბრებოდა რას, მაგრამ ეტყობოდა, რომ იგი გულდაგულ ეძებდა სიტყვებს, რათა შვიდი წლის ბიჭი მიეხვედრებინა, როგორ იგება სულიერი, უხილავი სამყარო.

— ქვაწერილს ყველა ადამიანს უგზავნიან თუ მარტო ზოგიერთებს? — ჰკითხა რამ ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ.

— ქვაწერილს ყველას უგზავნიან. მაგრამ საკუთარი სულის განვითარების მანძილზე ადამიანი ერთხელ შეხვდება თავის ქვაწერილს. ეს მაშინ მოხდება, როცა ამის აუცილებლობა იქნება. ქვაწერილი გაფრთხილებაა, რომ ადამიანი არ ასცდეს სულის განვითარების გზას, ან ღირსეულად დაასრულოს ეს გზა. მინდა, კარგად გაიგო, ჩემო ბიჭო, რა დიდი ბედნიერებაა, რომ საკუთარი ქვაწერილი გიჭირავს ხელთ.

— ნამდვილად იცი, რომ ეს ქვაწერილი ჩემია?

— გული მეუბნება, რომ ასეა. შენც მალე გაიგებ! — უპასუხა ანდრიამ.

რას ათასი კითხვა ეძალებოდა თავში. რომელი ერთი ჰკითხოს ანდრიას? ზოგში ალბათ თვითონ უნდა გაერკვეს. ანდრიას ისეთი რამ უნდა ჰკითხოს, რომლის პასუხს თავად ვერ იპოვის. აი, კიდევ ორიოდ ასეთი კითხვა.

— ანდრია, დაგღალე, — მოუბოდიშა რამ, — მაგრამ კიდევ მინდა გკითხო.

ანდრიამ კეთილად გაუღიმა დისშვილს. უხაროდა ანდრიას, რომ რა ასე გულმოდგინედ იძიებდა ქვაწერილის საიდუმლოს და, საერთოდ, დიდი მონდომებითა და ნიჭით ეწაფებოდა მეცნიერებას.

— მკითხე, თუ ვიცი, გიპასუხებ.

— შენ ამბობ, რომ ეს ჩემი ქვაწერილია, მაგრამ ხომ შეიძლება მოხდეს, რომ ადამიანმა სხვისი ქვაწერილი იპოვოს და თავისი ეგონოს?

— იშვიათად, მაგრამ ხდება. რა თქმა უნდა, არ ივარგებს, თუ ვინმე სხვის ქვაწერილს აიღებს და თავისი ეგონება. ჯერ ერთი, გაუჭირდება წაკითხვა, ადვილად ვერ ამოიცნობს მის აზრს; მეორე, რომც გაიგოს, რა დავალებაა წერილში, სხვისი საქმის კეთებას დაიწყებს და კარგად ვერ გამოუვა. ყველამ თავისი ქვაწერილით უნდა იცხოვროს. სხვისი წერილით ცხოვრება არა მხოლოდ საკუთარი ბედის, არამედ მრავალი ადამიანის ბედის არევ-დარევასაც გამოიწვევს. თუ გული გეუბნება, რომ ეს ქვაწერილი შენი არ არის, არც ხელი უნდა ახლო და არც ადგილი შეუცვალო. მხოლოდ აუცილებლობა გიკარნახებს, როდის შეიძლება შეეხო და გადააადგილო სხვისი ქვაწერილი, და მაშინ შეიძლება არც იცოდე, რომ რაიმე ქვაწერილთან გაქვს საქმე.

— ანდრია, როგორ უნდა მიხვდეს ადამიანი, რომ აი, თუნდაც ის ქვა, წელან რომ დამანახე, მისი ქვაწერილია? ადამიანებმა ხომ არც იციან, რომ ვინმე მათ ქვაწერილებს უგზავნის? ჩამოივლის ქვაწერილის პატრონი ამ გზაზე და ვერ დაინახავს თავის ქვაწერილს, ჩაუვლის გვერდით და წავა თავისი გზით. რა მოხდება მაშინ?

— თუ ადამიანი სულის განვითარებაზე ზრუნავს, ადრე თუ გვიან მიაგნებს თავის ქვაწერილს. მერე რა, რომ არ იცის საკუთარი ქვაწერილის არსებობა. არც შენ იცოდი, მაგრამ მოგეწონა ქვა და აიღე. სხვა ფეხს წამოჰკრავს ქვას და ასე იპოვის თავის ქვაწერილს. მაგრამ გაბოროტებულ ადა-

მიანს გაუჭირდება იცნოს ქვაში ისეთი რამ, რაც მისი სულის განვითარებასთან არის დაკავშირებული. სამწუხაროდ, ხშირად ხდება ასე.

— ვის მიაქვს ქვაწერილი მის პატრონთან? ვინ მომიტანა ეს ქვაწერილი?

— მოდი ასეთი რამ წარმოვიდგინოთ. ნიაღვრებმა, რომლებიც ათიათასი წლების წინათ ხდებოდა, შენი ქვაწერილი მაღალი მთებიდან ხევში ჩამოაგორეს. მიწისმთხრელმა თავისი ნიჩბით შორს მოისროლა. ვიღაც მწყემსმა ხელი დაავლო და მგელს ესროლა. შემდეგ ვიღაც განდეგილი დასწვდა, მიხვდა, რომ წერილი პატრონისკენ მიიწევდა, ადგა და გზისკენ ისროლა. ქვა გზისპირას დავარდა. ამასობაში ათასი, ათიათასი წელი გავიდა. ასე ნელა, მაგრამ ბეჯითად მოემართებოდა ქვაწერილი შენსკენ. ახლა კი ხელში გიჭირავს იგი და რაღაც მეტად მნიშვნელოვანს გამცნობს. სხვასთან ქვაწერილი სხვა გზით მივა, აუცილებლად მივა. ქვაწერილები არ იკარგებიან.

გაოცებული ისმენდა რა ანდრიას საუბარს და თეთრ ქვას უფრო და უფრო ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა და ეფერებოდა. მართლაც, ლამაზი იყო ქვაწერილი, ზედ გამოყვანილი ნიშნები ჩუქურთმებს ჰგავდა, ხაზები კი გარშემო არშიასავით ევლებოდა.

ბიძამ და დისშვილმა, მასწავლებელმა და მოწაფემ გზა გააგრძელეს.

კარგახანს ჩუმად მიდიოდნენ.

— ანდრია, — მიმართა რამ, ვიდრე ქალაქში შევიდოდნენ, — შენც მიიღე ქვაწერილი?

ანდრია შეჩერდა და მკერდზე ჩამოკიდებულ ტოპრაკზე მიუთითა.

— აი, ჩემი ქვაწერილი. მე უკვე წავიკითხე ჩემი საიდუმლო და მივყვები მას.

მეექვსე თავი

შენ ხომ გიყვარს სალომე, მოარჩინე, განკურნე

ნახევარი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც რა სახლიდან წამოვიდა. დედა მოენატრა. თანატოლების ნახვაც მოუნდა.

რა მოხდება, რომ ასწავლოს მათ კითხვა და მეცნიერება? მართალია, ანდრიასავით კარგად ვერ უამბობს და აუხსნის ყველაფერს, მაგრამ ძალიან შეეცდება.

მარას თითქოს გული უგრძნობდაო, სახლის წინ, ქუჩაში პატარა სამფეხა სკამზე იჯდა, წინდას ქსოვდა და თან გზას გასცქეროდა. შორს შენიშნა, რომ ანდრია და რა მოდიოდნენ. ვერ მოითმინა და მათკენ გაიქცა.

— რა, ჩემო საყვარელო, ჩემო ერთადერთო! — შესძახა მარამ და ადგილიდან მოსწყდა. დედა შვილს გულში იკრავდა, სახეს უკოცნიდა, შემდეგ თვალებში ჩახედა და გაოცდა.

— ანდრია, ჩემი ბიჭი ძალიან დაბრძენებული მეჩვენება! მართლა ასეა?

— ასეა, მარა, — დინჯად მიუგო ძმამ, — ნიჭიერია რა, ბევრს კითხულობს, სწრაფად ხვდება, ნათელი სული აქვს რას!

რადგან შაბათი დღე იყო და ხალხი არ მუშაობდა, მარას ეზოში ბევრი მეზობელი შეიკრიბა. ისინი რას სანახავად მოვიდნენ, უფროსები სიყვარულით მხრებზე ხელს უთათუნებდნენ, ეფერებოდნენ, ანდრიას მოწიწებით შესცქეროდნენ. რამ კითხვა ისწავლა, ახლა უკვე წიგნებს კითხულობს და მეცნიერებას ეუფლება. სწავლის გზაზე დამდგარ ყმაწვილს მეზობლები დიდი პატივისცემით შეხვდნენ.

მარას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

როგორ შეძლო ან მოასწრო ამ მარტოხელა ქალმა ნაირ-ნაირი საჭმელების მომზადება?

ციცქნა სახლში ამდენი ხალხი არ დაეტეოდა, ამიტომ მარამ ეზოში გამოიტანა ყველაფერი. სუფრა მიწაზე გაიშალა, ძველი კაკლის ხის ჩრდილქვეშ.

კარგახანს ზეიმობდნენ მეზობლები, კიდეც იმღერეს და იცეკვეს.

რას ეგონა, სალომეც გამოჩნდებოდა, და რადგან დაიგვიანა, დედას ჰკითხა:

— სალომე რატომ არ მოდის?

დედას სახიდან ღიმილი და ხალისი გაუქრა, მოიღუშა.

— რა მოხდა, დედა? — ისევ ჰკითხა რამ შეშფოთებით.

— შვილო, არ მინდოდა მეთქვა, რომ გული არ გტკენოდა, ძალიან ავად არის სალომე, — შემდეგ ყურში უჩურჩულა, — შვილო, ვერავინ შველის სალომეს, ამბობენ, ვერ გადარჩებაო!

რას გულში ძარღვი ჩაუწყდა. სალომე უყვარს, სალომე კეთილი გოგონაა, ლამაზი და ჭკვიანი. რატომ უნდა მოკვდეს სალომე?

— ანდრია, — მივარდა რა მასწავლებელს, — სალომე ავად ყოფილა, ვერ გადარჩებაო, ასე ამბობენ, იქნებ...

ანდრიამ იცოდა, ვინ იყო სალომე, რამ ყველაფერი უამბო, რომ ცოლად შერთვას აპირებს, როცა გაიზრდება. ანდრიამ არ აცალა სიტყვის დამთავრება რას.

— შენ ხომ გიყვარს სალომე, მოარჩინე, განკურნე!

რა გაოგნდა.

— მე განვკურნო?! — ბიჭს ეგონა, ანდრია თავად გასინჯავდა სალომეს და უმკურნალებდა, — მე როგორ უნდა განვკურნო?!

— შენ გიყვარს სალომე, ამიტომ მარტო შენ შეგიძლია მისი განკურნება. სხვა მას ვერ უშველის, რადგან შენზე ძლიერ ის არავის უყვარს. მაგრამ როგორ უნდა უშველო სალომეს, არ ვიცი. მაგას მხოლოდ შენ მიხვდები.

რამ გაუგო ანდრიას. ის ეუბნებოდა: თვალები დახუჭე და რასაც დაინახავ, ისე იმოქმედეო. მარა ვერ მიხვდა მათ საუბარს. მან არც იცოდა, რომ რას რაღაცის დანახვა შეეძლო.

რამ სახე ანდრიას მკერდში ჩამალა, თვალები დახუჭა და გაირინდა. წუთის შემდეგ მარტო ანდრიასთვის გასაგები ჩურჩულით იკითხა:

— ანდრია, მართალია, რასაც ვხედავ?

— შენ მხოლოდ მართალს ხედავ! — უპასუხა ანდრიამ, — ნუღარ დააყოვნებ!

რამ დედას სთხოვა სალომესთან გაჰყოლოდა.

როცა სალომეს ჩაბნელებულ ოთახში შეეიდნენ, ქალის დახშული ქვითინი მოესმათ: სალომეს დედა ჯერ კიდევ ცოცხალ შვილს დასტიროდა.

ოთახში თითქმის არაფერი ჩანდა, დღის სინათლე მხოლოდ ციცქნა კარიდან შემოდიოდა. რამ იგრძნო, რომელ ოთახში იდგა სალომეს ტახტი. უფრო სწორედ, იგრძნო და კიდეც დაინახა მბჟუტავი ცისფერი ნათება. ეს სალომეს ნათება იყო. იმის მიხედვით, თუ როგორ იდგა ბნელ ოთახში მარა და ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავდა, რა მიხვდა, რომ სალომეს ცისფერ ნათებას ის ვერ ხედავდა. ცისფერი ცეცხლით იწვოდა სალომე, დედამისი კი თავთან ეჯდა და ქვითინებდა. რამ გოგონას ტახტთან ჩაიმუხლა, მისი ერთი ხელი ხელში ჩაიდო, მეორე ხელი შუბლზე დაადო.

— სალომე, — ჩასჩურჩულა ყურში გოგონას, — მე ვარ, რა!

სალომემ პასუხი არ გასცა, მაგრამ მისი ცისფერი ნათება გაძლიერდა.

— სალომე, — გააგრძელა რამ ჩურჩული, — შეეეედრე, ვისაც ახლა ხედავ, რომ გაცალოს. უთხარი, რომ მე არ გიშვებ, რადგან მიყვარხარ... შეეეედრე, სალომე!

ცისფერი ნათება კიდევ უფრო გაძლიერდა. საკვირველი იყო, რომ ვერცერთი დედა ამას ვერ ხედავდა.

რა დაიხარა გოგონას სახისკენ და მის ცისფერი ალით ანთებულ ტუჩებს ეამბორა.

ეს იყო რას პირველი კოცნა, ნაზი, კეთილი, სიყვარულით სავსე კოცნა.

ეს იყო სამკურნალო კოცნა.

რამ თითქოს თავის თავში შეიწოვა სალომეს ავადმყოფობა და სიყვარულის ძალით მოაშთო.

სალომემ თვალი გაახილა.

— წყალი დამალევინე, დედა! — სუსტი ხმით დაილაპარაკა სალომემ.

დედამ შეჰკივლა: სალომემ ხმა ამოიღოო.

— ახლავე, შვილო!

— რატომ ბნელა აქ? სინათლეზე გამიყვანე, დედა! — სალომეს ხმაში ძალა დაეტყო.

— სად არის რა?

— აქ არის, შვილო!

ახლავეო, იძახდა დედა, მაგრამ ისე იყო სიხარულისგან გაოგნებული, რომ ადგილიდან ვერ იძვროდა.

ისევ მარა მოეგო გონს. გოგონა ფეხზე წამოაყენა და დღის სინათლეზე გაიყვანა.

სალომე გახალისდა და ავადმყოფობა გაუქრა.

— რატომ ვიწექი საწოლში, როცა გარეთ ასეთი ლამაზი დღეა? — იკითხა გოგონამ.

— ავად იყავი, შვილო, ძალიან ავად... იმედი გადაწურული მქონდა, მაგრამ სასწაული მოხდა და გადამირჩი!

ახლა უკვე სხვა ხმით ტიროდა სალომეს დედა. იგი ღვთის სადიდებელ ცრემლებს ღვრიდა.

რა უკან გამოჰყვა სალომეს, მაგრამ ეს ის რა აღარ იყო, ცოტახნის წინათ თანატოლებთან ერთად რომ ცეკვავდა. ეს იყო რა, რწმენით სავსე. ეს იყო რა, რომელმაც შიშის გორგალი ზღვას გაატანა, ხოლო რწმენის ფიალა უკანასკნელ წვეთამდე შეიესო. როცა სალომეს ტუჩებს ეამბორა, მაშინ იგრძნო, როგორ განდევნა სენი სალომეს სხეულიდან.

— რას მოსვლამ გადამირჩინა ქალიშვილი! — გაიძახოდა სალომეს დედა, მაგრამ სულაც არ სჯეროდა, რომ ეს მართლაც ასე მოხდა. რა და მარა სწორედ მაშინ მოვიდნენ, როცა ეს სასწაული უნდა მომხარიყო, ისინი სასწაულის მოწმენი გახდნენ. — ასე ფიქრობდა სინამდვილეში სალომეს დედა.

სალომე რას მხრებამდე სწვდებოდა, ან რამხელა იქნებოდა ხუთი წლის გოგო. იგი უცბად შემოტრიალდა რასკენ და ორივე ხელით კისერზე ჩამოეკიდა.

— დამატრიალე, როგორც მაშინ! — შეეხვეწა ბიჭს.

რა დატრიალდა, დატრიალდა და კისერზე ჩამოკიდებული გოგონა მაღლა აიტაცა. იქნებ კიდეც აფრენილიყო ჰაერში, რომ დედების არ მორიდებოდა. სალომე კი კისკისებდა ისე გულიანად, რომ ვერავინ დაიჯერებდა, თუ ორიოდ წუთის წინ ის სიკვდილს დაეხსნა და, საერთოდ, მძიმე ავადმყოფი იყო.

როცა რა სალომესთან და დედებთან ერთად ეზოში დაბრუნდა, მომხიარულე მეზობლებს თვალები გაუფართოვდათ: სალომე გადარჩაო. სასწაული მოხდაო.

მარტო ანდრიას არ გაჰკვირვებია არაფერი. მასწავლებელი დინჯად მიუახლოვდა მოწაფეს და ჩუმად უთხრა:

— დროა საქმეს შევუდგეთ!

მთელი ქუჩა გამოეფინა რას გასაცილებლად. დედა დანაღვლიანდა. სალომე ისევ კისერზე ეკიდებოდა, კიდევ როდის მოხვალო, ეკითხებოდა.

მეზობლებს ერთი მოხუცი ქალი გამოეყო, მას ყველა ბებიას ეძახდა, რასთან მივიდა და ყველას გასაგონად უთხრა:

— შენ ხარ რა, მამაშენს კი, რომელიც ძალიან გვიყვარდა, ამონი ერქვა. დაე, დღეიდან ყველამ დაგიძახოს ამონ-რა, ეს იყოს შენი სახელი!

— ამონ-რა, ამონ-რა!.. — ხალისით აიტაცეს რას ახალი სახელი დიდებმაც და პატარებმაც.

მარაც გახარებული იყო რას ახალი სახელით.

დედამ ქუჩის ბოლომდე გააცილა ანდრია და ამონ-რა და, როცა შვილს ემშვიდობებოდა და გულში იკრავდა, დაეჭვებით ჰკითხა:

— შვილო, მართლა შენ მოარჩინე სალომე?

— სალომე განიკურნა, სალომე დიდხანს იცოცხლებს, დედა!

მარა მიხვდა, რომ შვილი მეტს ვერაფერს ეტყოდა.

მეშვიდე თავი

უებარი მალამო

რას უყვარდა ღამღამობით დიდხანს ფიქრი და საიდუმლოებათა ამოხსნა.

თავისი გამოქვაბულის კედლების სურათები სანთლის შუქზე შეისწავლა. ტექსტები, ანდრიამ რომ დაუწერა კედლებზე, თითქმის ყველა წაიკითხა. მაგრამ მარტო წაკითხვა ხომ არ კმაროდა? რა ყოველ აზრს უკვირდებოდა და სიღრმეში ჩაწვდომას ცდილობდა. ეს კი ხანგრძლივ ფიქრს მოითხოვდა.

„ღამე იმიტომ კი არ არის მოგონილი, რომ დახუჭო თვალები და დაიძინო, — ფიქრობდა რა, — ღამით შეიძლება ბევრი იფიქრო, წიგნები წაიკითხო. ანდრია ღამით მუშაობს — ცდებს ატარებს და წიგნებს წერს. ძილშიც უნდა იშრომოს ადამიანმა. გულში უნდა ჩაიყოლო რამე დიდი ფიქრი, რომ უფრო ადვილად ამოიცნო საიდუმლო. ფიქრი ძებნაა. ვინც ეძებს, ის პოულობს, ასე მასწავლა ანდრიამ. ეძებს ის, ვინც ფიქრობს.“

ანდრია და დღეიდან უკვე ამონ-რა დიდი საფიქრალით დაბრუნდნენ თავიანთ გამოქვაბულებში.

ანდრიას საფიქრალი ამონ-რას რწმენა იყო. ანდრიამ რწმენა ჩაუნერგა ბიჭს, მან კი სალომე სიკვდილს გამოსტაცა. „რა ძალა ჰქონია ამ პატარა ბიჭს, ან რა უნდა ვასწავლო კიდევ?“ — აი, ანდრიას საფიქრალი და გადასაწყვეტი.

ამონ-რამ მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიაქცია თავის ძალას. არც გაამაყდა, არც გაუკვირდა, დაივიწყა კიდეც. მთავარი ის იყო, რომ სალომე ფეხზე წამოდგა, ყელზე ჩამოეკიდა და დამატრიალეო, სთხოვა. ამონ-რას თვალწინ ედგა სალომეს გაბრწყინებული სახე და ყურში მისი კისკისი ჩაესმოდა. უყვარს სალომე, სალომე მისი საცოლეა.

დიდი საფიქრალი, რითაც ამონ-რა გამოქვაბულში დაბრუნდა, ქვაწერილი იყო.

ნამდვილად მას ეკუთვნის ქვაწერილი თუ სხვას?

რა წერია მასზე?

როგორ აალაპარაკოს ქვა, როგორ გაიგოს მისი ენა?

ამას ერთი ღამის ფიქრი არ ეყოფა. არც ერთი ღამე ეყოფა და არც ბევრი ღამე, კარგად ხვდებოდა ამონ-რა.

მაგრამ გული იმასაც ეუბნებოდა, რომ საქმის გადადება არ შეიძლებოდა.

„შეუდექი საქმეს", — ჩაესმა ყურში ანდრიას მშვიდი ხმა.

ამონ-რამ შვიდი ალაპლაპებული სანთელი დაიდგა წინ და მათი სინათლით ალიცლიცებულ თეთრ ქვას ჩაუკვირდა. ჯერ ხაზებს მიაპყრო ყურადღება. „მაღლა მიდიან თუ ქვევით ეშვებიან ეს ხაზები? სწორად მიჭირავს თუ არა ქვა?" ქვა შემოაბრუნა. ასეც თითქოს სწორადაა ყველაფერი და ისეც. მაგრამ მაინც ამჯობინა ქვა ისევ ისე დაეჭირა, როგორც პირველად. ქვის ქვემოთა ნაპირიდან ერთი ხაზი კლაკნილად მიემართებოდა ზემოთ, მაგრამ მალე ორად იყოფოდა, მარცხენა ხაზი უწყვეტად ადიოდა მაღლა და უფროდაუფრო შორდებოდა მარჯვენა ხაზს, შემდეგ მკვეთრად იხევდა და უკან ბრუნდებოდა, თანაც წყვეტილად, თითქოს წვიმის წვეთებად იქცაო. ქვის შუაგულში ხაზი იკარგებოდა.

მარჯვენა ხაზმა კი ცოტა გზა გაიარა და გაწყდა. შემდეგ, თითქოს მიწისქვეშა გვირაბი გაიარა, ისევ აღმოცენდა და მაღლა-მაღლა გაემართა. ამონ-რას ხელში წვრილი ჩხირი ეჭირა და იმის წვერით მიჰყვებოდა ხაზს. ხაზმა გაიარა ქვის ზემოთა საზღვარი და მეორე მხარეს გადავიდა. ამონ-რამ ქვა გადმოაბრუნა. ხაზი ისევ მაღლა ისწრაფვოდა, წვრილდებოდა, ფერმკრთალდებოდა და რაღაც სივრცეში იკარგებოდა.

„ნუთუ მართლა რამეს ნიშნავს ეს ხაზები? — გაიფიქრა ამონ-რამ, — ან რას უნდა მაუწყებდნენ ისინი?"

ქვა ყურზე მიიდო და გაიტრუნა. „მითხარი, ჩემი ქვაწერილი ხარ თუ სხვისი? ანდრიამ თქვა, რომ ქვამ ლაპარაკი იცისო, ამოიღე ხმა!" — ფიქრით ეხვეწებოდა ამონ-რა ქვას, მაგრამ ქვა ხმას არ იღებდა. „რა უნდა იყოს ქვის ლაპარაკი? მართლა ხმით ხომ არ ილაპარაკებს? აი, მოგიტანა ხაზები, ნიშნები, გამოიცანი და გაიგებ წერილის შინაარსს. ქვის ლაპარაკიც ეგ იქნება!" — მოესმა ამონ-რას ანდრიას ჩურჩული. ამონ-რამ კარგად იცოდა, რომ ანდრია ახლა ლაბორატორიაში ცდებს ატარებდა. მაგრამ მიჩვეული იყო, როცა ფიქრობდა ან რაიმე რთულ ცდას ატარებდა, დროდადრო ჩაეს-

მოდა ხოლმე ყურში ანდრიას ხმა. არც ახლა გაჰკვირვებია ანდრიას ჩურჩული. მასწავლებლის დარიგება მაშინვე მიიღო, ქვა ისევ სანთლების შუქზე დადო და ნიშნებსა თუ ასოებს ჩაუკვირდა. „გამიხსენი შენი საიდუმლო! გამიხსენი საიდუმლო!“ — უხმოდ ევედრებოდა ქვას, ისე, რომ ნიშნებსა და ხაზებს თვალს არ აცილებდა.

ამ მცდელობაში ვერც შენიშნა, ისე ჩაეძინა. უკვე მზე ამოდიოდა, როცა ანდრიამ გააღვიძა: საქმეს შევუდგეთო, უთხრა.

ბიჭს ქვაწერილი გულში ჰქონდა ჩახუტებული.

— ანდრია, ვერაფერი გავუგე ამ ქვას!

— გაუგებ! — მშვიდად უპასუხა ანდრიამ.

ბიჭს პურის ნაჭერი და ჯამით რძე გაუწოდა.

— ისაუზმე და ლაბორატორიაში მოდი ჩემთან!

ამონ-რამ წუთში გადაყლაპა რძე და პური; იმიტომ კი არა, რომ მშიერი იყო, არამედ ანდრიას ლაბორატორიში შესვლას ჩქარობდა. იქ მხოლოდ ერთხელ შეიხედა ამონ-რამ, როცა თვითონ ანდრიამ უთხრა: — აქ ჩემი ლაბორატორიაა და ცდებს ვატარებო. ნახევარი წელი გავიდა მას შემდეგ. ამონ-რამ მხოლოდ ის იცოდა, რომ ანდრია იქ რაღაცას აკეთებდა, მაგრამ რას, ამაზე წარმოდგენა არ ჰქონდა.

ამონ-რა იქ გაიქცა, სადაც ანდრიას საგუბარი ჰქონდა მოწყობილი. ცივ წყალში ჩახტა და სხეულის ყველა ნაწილიდან გააძევა ძილი. რამდენიმე წუთში ბიჭი ანდრიას ლაბორატორიაში იჭვრიტებოდა და ნებართვას ელოდა, რომ შესულიყო.

— შემოდი! — ხმადაბლა მიიხმო ანდრიამ.

ამონ-რა მის გვერდით დადგა.

სანთლებით განათებული გამოქვაბული საკვირველებით იყო სავსე. ბიჭი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. ყველაფერი ერთბაშად უნდოდა გაეგო: რატომ არის ეს თიხის ჭურჭლები ასეთი უცნაური ფორმის, თანაც ერთმანეთზე გადაბმული? ან რატომ ამოდის ცისფერი ალი ჯამიდან, რანაირი ცეცხლი ანთია შიგ? რა ჭურჭელია გაწყობილი კედელში ამოკვეთილ თაროებზე? ეს რა გამხმარი ყვავილები და მცენარეებია, ან ეს ქვის ნატეხები რაღაა და რატომ ბზინავენ? რას ადუღებს ანდრია ახლა? მაგრამ ისევე, როგორც საზღვარი არ ჰქონდა ამონ-რას ცნობისმოყვარეობას, უსაზღვრო იყო მისი მოთმინე-

ბის ძალაც. იცოდა, რომ მასწავლებელი ყველაფერს თანმიმ-
დევრობით აუხსნიდა, გააგებინებდა, ასწავლიდა და დაარიგებ-
და. ამიტომ მორჩილად შეჰყურებდა ანდრიას და თვალს
აძევნებდა მისი ხელების მოძრაობას: მარჯვენამ ხის კოვზით
ჯამიდან რაღაც სითხე ამოიღო და ცეცხლზე მდგარ ჭურ-
ჭელში ჩაასხა, მარცხენას კი ამ ჭურჭლის საყურე ეჭირა.
ჭურჭლიდან ოხშივარი ამოდიოდა. ანდრია ხის კოვზით ურ-
ევდა სითხეს.

— აიღე თაროდან მწვანე ფერის ქოთანი.

ამონ-რამ სწრაფად მოძებნა ქოთანი და ანდრიასთან მიი-
ტანა.

— ახადე სახურავი... ხომ ხედავ, შიგ პატარა კოვზია.
მაგ კოვზით ამოიღე ქოთნიდან ფხვნილი.

ამონ-რამ დავალება შეასრულა.

— ჩაყარე ქვაბში!

ანდრია შეუჩერებლივ ურევდა ხის კოვზით ჭურჭელში
სითხეს.

— მთავარია, რომ არ მიიწვას. ძლიერ ცეცხლზე უნდა
იდუღოს, მაგრამ არ უნდა მიიწვას. შეგიძლია ურიო ასე?

— ვცდი! — უპასუხა ამონ-რამ და კოვზი გამოართვა.

— იცოდე, კარგახანს მოგიწევს მორევა. სითხე ჯერ
გასქელდება და თანდათანობით დაშრება. რაც დარჩება, მზეზე
უნდა გააშრო და კარგად დაფქვა. ამასობაში მე ქონს მოვამ-
ზადებ.

დილით დაწყებული საქმე ამონ-რამ შუადღისას დაამ-
თავრა. მარჯვენა ხელის თითები ორთქლით დაეწვა, ბუშტები
გაუჩნდა და კანი გადასძვრა, მაგრამ როცა ქვაბში ჩამშრალი
მასა მზეზე გააშრო და ფქვილად აქცია, კმაყოფილი დარჩა,
რადგან დავალება შეასრულა.

ანდრიამ ფქვილი გასინჯა და მოიწონა.

ჯამში ანდრიას ყვითელი ქონი ჰქონდა მომზადებული.
ამონ-რა ფქვილს უყრიდა, ანდრია ქონში ზელდა. ერთი საათი
იმუშავეს ასე. ქონი გასქელდა. ანდრიამ მთელი მასა ორ
მცირე ზომის თიხის ქილაში გაანაწილა და სახურავები დაა-
ხურა.

ერთი ქოთანი ამონ-რას გაუწოდა.

— ეს უებარი მალამოა, კურნავს ჭრილობებს,
მოტეხილობებს, აშუშებს კანზე ჩირქოვან გამონაყარს, აყუ-

ჩებს ტკივილებს. თითით უნდა ამოიღო ცოტაოდენი და მტკივნეულ ადგილზე წაუსვა. წადი ახლა ქალაქში, იარე ქუჩებში და თუ ვინმეს მუხლი გადაუტყავებია ან მუწუკები გამოსვლია, წასცხე ეს მალამო და მოარჩინე.

ამონ-რამ სიხარულით მიიღო მასწავლებლის დავალება და გამოქვაბულიდან სირბილით დაეშვა დაბლა.

მერვე თავი

მკურნალო, ახლა შენი თავი გექნება სამკურნალო

განაპირა უბნის ბიჭები ქუჩაში ოთურმას თამაშობდნენ: ათიოდე წლის ბიჭი წაკუზული იდგა და სხვები ზედ ახტებოდნენ. ამონ-რამ ბავშვები შეათვალიერა. აგერ იმას, ყველაზე კანჭას, სახეზე მუწუკები აყრია. ნამდვილად სჭირდება მალამო. ვერ მოასწრო ამონ-რამ ბიჭის დაძახება, რომ საშინელი ამბავი დატრიალდა. გამოქანდა ბიჭი, რომელსაც იორამს ეძახდნენ და აქეზებდნენ, — აბა, შენ იციო, — ასხლტა ჰაერში და ის იყო წაკუზულს ხელებით ზურგზე უნდა დაყრდობოდა და გადამხტარიყო, რომ წაკუზულმა უღალატა — მიწამდე დაიხარა და იორამს ზურგი გამოარიდა. ჰაერში ამხტარი იორამი პირდაპირ მიწას დაენარცხა და შიშველი მუხლებით წვრილქვებიან და მტვრიან გზაზე გასრიალდა.

„თუ ვინმეს მუხლი გადაუტყავებიაო," — გაახსენდა ამონ-რას. საიდან იცოდა ანდრიამ, რომ ეს იორამი ორივე მუხლს ისე საშინლად გადაიტყავებდა, რომ მარჯვენა კვირისტავიც კი გამოუჩნდებოდა. მუხლებზე აგლეჯილი ხორცი ეკიდა, აბღავლდა ბიჭი სიმწრისგან.

მოღალატემ ჯერ იცინა, მერე კი როცა დაინახა, არავის მოეწონა მისი საქციელი და რამდენიმემ თავშიც წაუთაქა, როგორ გაბედეო, ნირი წაუხდა და მობოდიშება დაიწყო.

ბიჭები გარს შემოეხვივნენ დაშავებულს. ამონ-რა პირველი მიიჭრა და დამშვიდება სცადა.

— ნუ გეშინია, იორამ... ახლავე დაგიამებ, იორამ... ნუ ტირი, იორამ...

ზოგმა იცნო ამონ-რა, მაგრამ ზოგმა არ იცოდა, რომ ის კითხვასა და მეცნიერებას სწავლობდა და ფილოსოფოსთან ერთად გამოქვაბულში ცხოვრობდა.

— შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარ! — შეუტია ყველაზე დიდმა ბიჭმა — გაიწიე იქით, ჩვენც კარგად მოვუვლით იორამს!

დიდმა ბიჭმა წიხლი ჰკრა ამონ-რას და წააქცია. ამონ-რა უხერხულად დაეცა და მარცხენა ხელის იდაყვი იორამის მუხლივით გადაიქლიესა. ჭრილობამ მიწის მტვერი და წვრილი კენჭები მიიკრო.

ამონ-რა მშვიდად წამოდგა, ვითომ არც არაფერი სტკენია, არც არაფერი სწყენია, ისევ იორამს მიუჩოჩდა და გაუმეორა:

— ახლავე დაგიამებ, იორამ, ახლავე მოგირჩენ...

— შენ რისი მომრჩენი ხარ! — კიდევ უფრო გაბრაზდა დიდი ბიჭი და ისევ წიხლი უნდოდა ეთხლიშა ფერდში.

ამონ-რას სულაც არ უნდოდა დიდ ბიჭთან ჩხუბი, იორამის მორჩენა კი ძალიან უნდოდა. ამიტომ ჩამოვიდა მთიდან ანდრიას დავალებით: ადამიანებს უმკურნალეო. და ვიდრე დიდი ბიჭი მეორედ ჩასცხებდა წიხლს, ამონ-რა მის მოქნეულ ფეხს კოჭში სწვდა და ჰაერში შეაჩერა. დიდი ბიჭი გაცეცხლდა: ამ ლაწირაკმა ეს რა გამიბედაო. ფეხის გათავისუფლება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა, ამონ-რას მაგრად ეჭირა ჰაერში მისი ფეხი. დიდი ბიჭი ცალ ფეხზე ხტოდა, ამის მაყურებელი ბავშვები კი ხარხარებდნენ, ჩანდა, კმაყოფილნი იყვნენ, რომ თავხედი ისჯებოდა, თუმცა ამონ-რა სულაც არ სჯიდა მას.

— დამაცდი თუ არა, რომ ვუმკურნალო იორამს?

— გამიშვი ხელი, შე... — დაუყვირა დიდმა ბიჭმა ამონ-რას და უწმაწური სიტყვები მიაყოლა.

— თუ არ დამაცდი, ფეხს მოგიგრეხ, აი ასე! — და ამონ-რამ ცოტათი გადაუგრიხა ფეხი დიდ ბიჭს.

— აბა, აბა... გამიშვი მეთქი ხელი... მე შენ გიჩვენებ... — დაემუქრა დიდი ბიჭი.

— მერე მიჩვენე რაც გინდა, ახლა კი დამაცდი თუ მოგიგრიხო ფეხი? — და ფეხი უფრო გადაუგრიხა, მაგრამ არ წააქცია.

დიდმა ბიჭმა იგრძნო ამონ-რას ხელის ძალა. მოუგრეხდა კი არა, კიდეც მოსტეხდა ფეხს, თუ მოინდომებდა. თან შეეშინდა, თან ბოღმით გაივსო.

ამ ამბის მაყურებელი ბავშვები ზეიმობდნენ. აშკარა იყო, რომ დიდმა ბიჭმა ბევრს გაუმწარა სიცოცხლე, ბევრი დაჩაგრა და დააშინა. ახლა ერთი პატარა ბიჭი ყველას უხდიდა სამაგიეროს.

— ჰო, ჰო... გამიშვი... ვნახოთ ერთი, როგორ უმკურნალებ! — დაისისინა დიდმა ბიჭმა.

— მაშ წადი და დოქით წყალი მომიტანე, რომ მუხლები მოვბანო! — მკაცრად უთხრა დიდ ბიჭს ამონ-რამ და ისიც, რატომღაც, მორჩილად გაიქცა.

ამასობაში იორამი დამშვიდდა. ამ სეირმა ისიც გაამხიარულა და ტკივილი ცოტახნით დაავიწყა.

ამონ-რას არ ახსოვდა თავისი ჩამოტყავებული იდაყვი, საიდანაც სისხლი სდიოდა. მას ახლა საკუთარი იდაყვი კი არა, იორამის მუხლები სტკიოდა.

დიდმა ბიჭმა მართლა მოიტანა დოქით წყალი, მაგრამ გული დაბოღმილი ჰქონდა. ძალიან უნდოდა, რომ იორამი უარესად გამხდარიყო და მაშინ ამონ-რას ბავშვებს მიუსევდა: დავცხოთ მატყუარა ექიმსო.

ამონ-რამ პერანგის სახელო ჩამოიხია, წყალში დაასველა და ფრთხილად მობანა იორამს ორივე მუხლი. ბავშვები გასუსულები აღევნებდნენ თვალყურს. ზოგმა, ვინც წინ იყო, ჩაიმუხლა, რომ უფრო ახლოს დაენახა, რას აკეთებდა პატარა მკურნალი. საშინელი სანახავი იყო იორამის მუხლები. შეძლებდა კი ოდესმე ბიჭი ფეხზე წამოდგომას? შეუხორცდებოდა კი როდესმე კვირისტავამდე აგლეჯილი ხორცი? იორამმა გაუძლო მწარე ტკივილებს და თავადაც ინტერესით ელოდა, რა უნდა მომხდარიყო.

„ბიჭოს! — გაუკვირდათ ბავშვებს, როცა ამონ-რამ აბგიდან თიხის პატარა ქოთანი ამოიღო, — ამას რაღაც მალამო ჰქონია!“

ამონ-რამ ქოთანს სახურავი მოხადა, თითით მალამო ამოიღო და იორამს მუხლებზე მოუსვა. წუთიც არ გასულა, რომ იორამმა სიხარულით წამოიძახა:

— აღარ მტკივა... გამიქრა ტკივილი...

— ტყუიხარ, გტკივა და გვატყუებ! — თვალები დაუბრიალა დიდმა ბიჭმა, — როგორ შეიძლება არ გტკიოდეს, როცა ძვლები გიჩანს!

— არ ვგრძნობ ტკივილს, ბიჭებო! — გაიმეორა იორამმა.

„რას იზამს ეს მალამო, ახლავე შეუხორცებს და გაუქრობს ჭრილობებს, თუ ეს რამდენიმე დღის შემდეგ მოხდება? ძალიან საჭირო კია, რომ ახლავე ყველას თვალწინ შეუხორცდეს. მაშინ ყველა დაიჯერებს, რომ ანდრიას მალამო

მართლა მალამოა!“ — ფიქრობდა ამონ-რა და თვალს არ აცილებდა იორამის გასაცოდავებულ მუხლებს.

„მარტო ჩემი მალამო ვერ გაუქრობს იორამს ჭრილობებს, ეგ ძალა შენშია“, — თითქოსდა ყურში ჩაესმა ანდრიას მშვიდი ხმა. „რა ძალაა ჩემში?“ — გაუკვირდა ამონ-რას და გაახსენდა, როგორ განკურნა სალომე — სიყვარულით განკურნა, გულიანი სიტყვით განკურნა, უწამლოდ და უმალამოდ, — „ამ ძალაზე მიმანიშნებს ანდრია?“

და ამონ-რამ, როგორც სალომეს საწოლთან, აქაც გული მოიმარჯვა. იორამის მუხლებს ზემოდან ორივე ხელი დააფარა და თქვა სიტყვები, რომლებიც არავის გაუგია. გულში თქვა სიტყვები, თანამომმისადმი სიყვარულითა და თანაგრძნობით სავსე. ეს სიტყვები ხმამაღლა ვერც ითქმოდა, რადგან ამ ამბის მაყურებელი ბავშვები ვერაფერს მიხვდებოდნენ და, ალბათ, დასცინებდნენ კიდეც. მაშინ ეს გულიანი და სიყვარულიანი სიტყვები ძალას დაკარგავდნენ. კიდევ იმიტომ ვერ იტყოდა ამონ-რა ამ სიტყვებს, რომ დიდი სიყვარულისა და თანაგრძნობის განცდა მარტო სიტყვებში ვერ ჩაეტევოდა. ამონ-რამ თვალები დახუჭა, ირგვლივ ყველაფერი დაივიწყა, მარტო გული გაივსო პირთამდე ამ გრძნობებით, კიდევ იმედით, ვედრებით და ის, რაც გულში დაუგროვდა, იორამის მუხლებს მოაფრქვია. როცა გამოერკვა და თვალები გაახილა, დაინახა ბავშვების გასუსული სახეები, ყველას თვალები ამონ-რას ხელებს მისჩერებოდა. ამონ-რას ხელები უხურდა, ეწვოდა, თითქოს თვალი მოჰკრა, როგორ ლიცლიცებდა იორამის მუხლებზე მისი ხელისგულებიდან გამოსული ცისფერი ალი. ახლა იგრძნო ამონ-რამ, ორივე მუხლი საშინლად სტეხავდა, და გაუხარდა. იორამს კი მშვიდი ღიმილი დასთამაშებდა, ბიჭი ტკივილებში კი არა, განცხრომაში იყო.

ამონ-რამ ნელი მოძრაობით მოაცილა ხელები იორამის მუხლებს.

— ეს რა მოხდა, ბიჭებო! სასწაული მოხდა! — დაიძახა ერთმა, რომელსაც ლამის ცხვირი ჰქონდა მიდებული იორამის მუხლებზე, — გაქრა ჭრილობები! გაქრა!

ყველამ წინ წაიწია, კისერი წაიგრძელა. ყველას უნდოდა საკუთარი თვალით ეხილა იორამის მუხლები, ჩამოფლეთილი, დაგლეჯილი, ჭუჭყითა და კენჭით გავსებული. ამონ-რამაც შეხედა იორამის მუხლებს: ჭრილობები მთლიანად

გამქრალიყო, მხოლოდ ერთგან პატარა ზოლი იყო დარჩენილი, როგორც ნიშანი თითქოსდა დიდი ხნის წინათ ნაჭრილობევისა.

— წამოდექი! — უთხრა იორამს.

დაბნეული იორამი თვალს არ აცილებდა ამონ-რას.

— ვინ ხარ შენ? საიდან მოხვედი?

ამონ-რამ პასუხი არ გასცა. ბავშვები ალაპარაკდნენ:

— ეგ მეთევზის შვილია, მაგისი სახელი რაა!

— მაგას რაც ჰქვია და ამონიც დაარქვეს!

— ეგ ის არის, მამასთან ერთად რომ თევზაობდა, მერე ქარიშხალი ამოვარდა, მამა დაიღუპა, ეგ კი გადარჩა.

— ეგ ფილოსოფოსთან ცხოვრობს, ის კითხვასა და მეცნიერებას ასწავლის!

— გამოქვაბულში ცხოვრობენ.

ვისაც რა ჰქონდა გაგებული, იმას ამბობდა ამონ-რაზე.

— შენ ამონ-რა ხარ? — ჰკითხა იორამმა.

— წამოდექი თუ შეგიძლია! — გაუმეორა ამონ-რამ.

— შემიძლია, მაშ! — ხალისით წამოიძახა იორამმა, მკვირცხლად წამოხტა, რამდენჯერმე ფეხები მოხარა და გაშალა, მერე კი ხტუნვაც დაიწყო.

— მოვრჩი... მომირჩა! — ხარობდა ბიჭი.

ამონ-რა კი ძლივს წამოდგა ფეხზე — იორამის მუხლების ტკივილმა მის ფეხებში გადაინაცვლა. დიდ ბიჭს, სასწაულის მხილველს, სახე გაუასპიტდა. მას ის უფრო გაუხარდებოდა, თუ იორამი ხეიბრად დარჩებოდა, მაშინ ამონ-რას, როგორც ცრუ მკურნალს, კინწისკვრით გააძევებდა. მაგრამ მის ბოროტულ სისინს არავინ აქცევდა ყურადღებას.

— ახლა შენ მოდი ჩემთან! — მიმართა ამონ-რამ ბიჭს, რომელსაც სახეზე მუწუკები ეყარა, — არ გინდა, ეგ მუწუკები მოგაცილო?

ბიჭი ნდობით დაუდგა წინ და, რადგან ისე მაღალი იყო, რომ ამონ-რა ვერ მისწვდებოდა, ჩაცუცქდა და სახე მიუშვირა.

— ერთი წელიწადია, ეს მუწუკები მაწუხებს, ამას მომირჩენ?

— მოვირჩენ, მაგრამ უცბად ვერა! — რწმენით უთხრა ამონ-რამ, — სამი დღის შემდეგ გაქრება და სახე გაგისუფთავდება.

ამონ-რამ ბიჭს ორივე ლოყაზე მალამო გადაუსვა სიყვარულითა და დიდი თანაგრძნობით.

— მაშ სამი დღის მერე მომირჩება? — ჰკითხა ბიჭმა.

— ჰო, მოგირჩება! კვალიც არ დაეტყობა შენს ლოყებს.

ამონ-რა მხრებში გაიმართა. ახლაღა შენიშნა, რომ ამ ბიჭების გუნდში ის ყველაზე პატარა იყო ასაკითაც და ტანითაც. თიხის პატარა ქილა აბგაში ჩადო, მხარზე გადაიკიდა და რკალი გაარღვია.

— იდაყვიდან სისხლი გდის, გადატყაული გაქვს, წაისვი შენი მალამო და მოირჩინე! — უთხრა ერთმა.

— არა! — გადაჭრით თქვა ამონ-რამ.

— რატომ? — გაუკვირდა ბიჭს.

— ვაითუ სხვა გაჭირვებულისთვის არ მეყოს მალამო, იმიტომ! მშვიდობით!

უკან არ მოუხედავს, ისე გაიარა ქუჩის ბოლომდე.

უცბად ხმაური შემოესმა.

— არ ესროლო, არ გაბედო! — ყვიროდნენ ბიჭები.

— მკურნალო! — გამოსძახა დიდმა ბიჭმა.

ამონ-რა შემობრუნდა.

— მკურნალო, ახლა შენი თავი გეჭნება სამკურნალო!

ქუჩის ბოლოდან დიდმა ბიჭმა მისკენ დიდი სიპი ქვა გამოსტყორცნა.

— აუჰ, ეს რა ჰქენი! — აღმოხდათ ბავშვებს.

მაგრამ ქვა უკვე მოქროდა, და როცა ნახევარი გზა გაიფრინა, თითქოს ჰაერში შეჩერდა და საცაა დაბლა დაეცემოდა. დიდი ბიჭი დაძაბული მისჩერებოდა ქვის მოძრაობას. და როგორც კი იგრძნო, რომ შეიძლება ქვა ვერ მისწვდებოდა მიზანს, გამწარებულმა და დაბოღმილმა შეჰყვირა:

— მიდი, მიდი... არ გაჩერდე, თორემ დაგფშვნი... მიდი, თორემ დაგფშვნი!

ჰაერში წამით შეჩერებულმა ქვამ გზა გააგრძელა. ამონ-რას არც უცდია განგზე გამდგარიყო და აეცდინა ქვა, ისიც დაუნდობლად ეძგერა შუბლში. ამონ-რას თვალთ დაუბნელდა, წაბარბაცდა და წაიქცა. როცა გონს მოვიდა, ისევ იმ ბიჭების შეწუხებული სახეები დაინახა, ისინი მის ირგვლივ შეჯგუფულიყვნენ და წამოყენებას ცდილობდნენ. იორამი შუბლს

უწმენდდა. მარტო დიდი ბიჭი არ იყო მათ შორის. ის ქუჩის თავში იდგა და შურისგებით ყვიროდა:

— დაანებეთ თავი, ხომ აქვს მალამო, წაისვას და მორჩეს!

ამონ-რა ბიჭებმა ფეხზე წამოაყენეს.

— წაისვი მალამო, ცოდო ხარ! — სთხოვა ისევ იმ ბიჭმა, რომელიც წელანაც ეხვეწებოდა, იდაყვი მოირჩინეო.

— არა, სხვებისთვის არ მეყოფა! — უპასუხა ამონ-რამ.

ამონ-რა სულაც არ იყო გაბოროტებული და შურისძიებით აღვსილი. აბგაში თიხის ქილა მოსინჯა, ხომ არ გატყდაო, და დამშვიდდა.

— აი, რამხელა ქვა გესროლა მაგ ბოროტმა! — დაანახვა მიწაზე დაგდებული სიპი ქვა მუწუკებიანმა ბიჭმა.

ამონ-რა ქვას დასწვდა და გაოცდა: ქვაზე უცნაური ხაზები და ნიშნები იყო გამოყვანილი. „ქვაწერილია! — გაიფიქრა ამონ-რამ და შეშფოთდა, — იქნებ გამოვეკიდო და ვუთხრა, რომ ეს ქვა შეიძლება მისი საკუთარი ქვაწერილი იყოს? იქნებ გავაგებინო, როგორ აუცილებელია საკუთარი ქვაწერილის წაკითხვა?“ კიდეც დააპირა ასეც მოქცეულიყო, მაგრამ გულის ძახილმა გააჩერა: ეს ბიჭები იფიქრებენ, რომ დიდ ბიჭს სამაგიეროს გადასახდელად გამოეკიდაო; დიდ ბიჭს კი, რა თქმა უნდა, სასაცილოდ არ ეყოფა ქვაწერილის ზღაპარი. ისევ ანდრიას უნდა ჰკითხოს, როგორ მოიქცეს. კისერზე ჩამოკიდებულ პატარა ტოპრაკს პირი გაუხსნა; შიგ თავისი ქვაწერილი ედო, თან დაჰქონდა, როგორც ანდრიას, და თავისუფალ დროს ჩაჰკირკიტებდა. თავის ქვაწერილს დიდი ბიჭის ქვაწერილი ჩაუსვა და პირმოკრული ტოპრაკი ისევ უბეში ჩაიბრუნა.

— მშვიდობით! — უთხრა ბიჭებს და გზას გაუყვა.

უკან იორამი დაედევნა.

— მეც შენთან წამოვალ, დაგეხმარები!

— როგორც გინდა! — უპასუხა ამონ-რამ.

ალბათ ბიჭები ექიმობანას თამაშობენ ან მეხუმრებიან

ოქრომჭედელი ზაქარია თავისი სახელოსნოს წინ იჯდა და თავი მუხლებში ჰქონდა ჩარგული. ამონ-რას არასოდეს უსაუბრია მასთან. ახლა კი რატომღაც შეებრალა ძიაკაცი. ამონ-რა და იორამი აქეთ-იქით შემოუსხდნენ ზაქარიას. ოქრომჭედელმა ბიჭებს შეხედა, ამონ-რა იცნო და გაუღიმა.

— კარგი ბიჭი ხარ შენ! — უთხრა თბილი, ალერსიანი ხმით.

— რა იცი? — ჰკითხა ამონ-რამ.

— კარგი ბიჭი ხარ, ჩემს გვერდით რომ ჩამოჯექი!

— იმიტომ ჩამოვჯექი, რომ მგონია რაღაც გაწუხებს, ხელები ხომ არ გტკივა?

— როგორ მიხვდი, ვინმემ გითხრა? — გაუკვირდა ოქრომჭედელს.

— არავისაც არ უთქვამს, ვხედავ შენს ხელებს, დამწვარი უნდა გქონდეს.

ზაქარია ოქრომჭედელმა ამოიოხრა.

— ეჰ, — თქვა ნაღვლიანად, — მე მართლაც დამეწვა ხელები, თვეზე მეტია ვეღარ ვმუშაობ და არც ვიცი, გავაკეთებ კიდევ რამეს, თუ არა. ეს მითხარი, შენ რატომ გაწუხებს ჩემი უბედურება?

— იმიტომ მაწუხებს, რომ შენც კარგი კაცი ხარ. მე მალამო მაქვს, ანდრიას დამზადებულია. ნამდვილად მოგირჩენს ხელებს, მიჩვენე.

ზაქარიამ გაშლილი ხელები გაუშვირა ამონ-რას და თან გულისტკივილით დასძინა:

— ამას რა მალამო მოარჩენს.

„ეს რა დამართნია ამ კეთილ კაცს?“ — შეწუხდა ამონ-რა.

ოქრომჭედელს ხელისგულები წყლულებით ჰქონდა დაფარული, გადატყავებულ თითებზე ფრჩხილები ძლივს ეკიდა.

ამონ-რას გული შეეკუმშა ზაქარიას საცოდაობით. ოქრომჭედელმა კაცმა თუ ოქროს ხელები დაკარგა, როგორღა

მოქსოვოს და გამოძერწოს სიმშვენიერე ოქროში? თვეზე მეტია ზაქარიას არაფერი შეუქმნია, ზის თავისი სახელოსნოს წინ დაწყლულებულ-დასისხლიანებული ხელებით და ელოდება, რა მოხდება, მოურჩება თუ არა.

„ახლავე უნდა განვკურნო ოქრომჭედლის ოქროს ხელები, ანდრიას მალამოც მაქვს და საკუთარი ძალაც," — გაიფიქრა ამონ-რამ. იორამს ქილა დააჭერინა, ორი თითით მალამო ამოიღო და ზაქარიას ხელისგულებს, ფრჩხილებს, თითებს უხვად წაუსვა. რაც ქილაში მალამო იყო, სულ გამოიყენა. და როგორც წელან იორამს ურჩენდა მუხლებს, ახლაც ისევე დახუჭა თვალები, თავისი ხელები ოქრომჭედლის ხელებს ნაზად შეახო და შეკუმშული გული სიყვარულით, თანაგრძნობით, სიბრალულით, რწმენითა და იმედით გაავსო და გააფართოვა. ასე გარინდებული იყო დიდხანს. თვალებით სიბნელეში ოქრომჭედლის ხელებს დაეძებდა. აი, ხელებიც გამოჩნდნენ, საღ-სალამათი ხელები; ხედავს ამონ-რა, როგორ ადუღებენ ხელები ოქროს, ძაფები გამოჰყავთ; კოტიტა თითები ისე წნავენ ოქროს ძაფებს, თითქოს ლითონს ეალერსებიანო; ძაფებში ფერად ქვებს აქსოვს. ისინიც, ალერსით გახალისებულნი, ლამაზდებიან, ბრწყინდებიან, ამომავალ მზეს ემსგავსებიან; პირველ სხივთა ელვარებამ და სიმშვენიერემ გააოცა ამონ-რა; ოქრომჭედლის ხელისგულზე იშვიათი ნაკეთობა ძევს.

ოქრომჭედელი ზაქარია გატრუნული იჯდა და, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული ადევნებდა თვალ-ყურს — რას შვება ეს ბიჭიო? ზაქარიას არც ჰქონდა იმედი, რომ ეს ხელები მართლაც მოურჩებოდა. ალბათ, ბიჭები ექიმობანას თამაშობენ, ან მეხუმრებიანო — ასე ეგონა ზაქარიას და ბავშვებს მიენდო. მაგრამ როცა დაინახა, რომ ამონ-რას სახე შეეცვალა და თითქოს სუნთქვაც შეეკრა, შეშფოთდა და ბიჭის გამოფხიზლება მოინდომა. ეს შენიშნა იორამმა და ხელით ანიშნა, გაჩუმდი და არ გაინძრეო. მაშინ ზაქარიასაც მოუნდა თვალების დახუჭვა, ჩათვლიმა და უჩვეულო ტკბილ სიზმარში ჩაიძირა. და ნახა სიზმრად, როგორ აუხდა ოცნება: მიაგნო ამომავალი მზის სხივების მოძრაობას, მიაგნო მზის პირველ ღიმილს და სახეს, რომელიც მასშია ჩამალული. ზაქარია ადნობს ოქროს, სხივებს წნავს, თვლებით აგვირისტებს...

რამდენ ხანს გაგრძელდა ზაქარიას განცხრომა?

კარგახანს. მზე უკვე ჩავიდა.

ამასობაში ამონ-რამ თვალები გაახილა და ისევ ცისფერი ცეცხლის ალები დაინახა; ალები მისი ხელისგულებიდან გამოდიოდნენ და ოქრომჭედლის ხელებს, თითებს გარშემო ევლებოდნენ.

ახლა უკვე მიხვდა ამონ-რა, სად ჩნდებოდა ეს ცეცხლი. ეს გულის ცეცხლი იყო, გულში ანთებული სიყვარულისა და თანაგრძნობის, სიბრალულისა და რწმენის ცეცხლი. იქიდან მოემართებოდნენ ეს საკვირველი ცისფერი ალები, რომლებიც ოქრომჭედლის ხელებს არჩენენ, წელან კი იორამის მუხლები განკურნეს, უფრო ადრე სალომე სიკვდილს გამოსტაცეს. „აი, სად ყოფილა ჩემი ძალა, აი, რა ყოფილა ჩემი ძალა“, — გაიფიქრა ამონ-რამ. და თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ზაქარიას ხელები მთლიანად განიკურნენ, მაინც თავისი ხელები არ მოაცილა, ვიდრე ცისფერი ცეცხლის ენები, რომლებიც ოქრომჭედლის ხელებს ლოკავდნენ და კოცნიდნენ, თანდათან არ განელდა და ჩაქრა.

ამონ-რამ ხელებზე საშინელი წვა იგრძნო. „მაშ, ეშველა ზაქარიას!“ — გაუხარდა ბიჭს, — „საწყალი, თურმე როგორ იტანჯებოდა!“ ახლაღა ასწია თავისი ხელები და ოქრომჭედლის ხელებს დააკვირდა. იორამმა კი პირი დააღო: სადღა იყო წყლულები, სისხლი, მოგლეჯილი ფრჩხილები?! ყველაფერი მთლიანად გამქრალიყო.

ზაქარია ისევ სიზმარში იყო და არც გაუგია, როგორ გადააბრუნეს და გადმოაბრუნეს მისი ხელები ამონ-რამ და იორამმა, შემდეგ მუხლებზე დაუწყვეს და წამოდგნენ.

ანდრიას მალამოსაგან გამოცარიელებული პატარა ქილა ამონ-რამ აბგაში ჩაიდო და იორამს ხელით ანიშნა — წავიდეთო. ასე დატოვეს სახელოსნოს წინ ჩაძინებული ოსტატი.

იორამი მკვირცხლად მიხტოდა, გახარებული იყო, რომ ამონ-რას დაეხმარა და სასწაულის მოწმე გახდა. ამონ-რას კი სიარული უჭირდა, რადგან ისევ სტკიოდა იორამის მუხლები, საკუთარი გადატყავებული იდაყვი და გატეხილი შუბლიც აწუხებდა, ახლა კი ზაქარიას ხელებიც ეწვოდა. მაგრამ არ იმჩნევდა არაფერს, თავს ძალას ატანდა და იორამს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა.

თუ არ გინდათ, ნუ დაიჯერებთ: ისინი ცაში დაფრინავდნენ

დედასთან და სალომესთან მიდიოდა ამონ-რა. დაღამებამდე მათ ნახვასაც მოასწრებდა და გამოქვაბულებშიც დაბრუნდებოდა.

აი, ამონ-რას უბანიც. აქაც თამაშობდნენ ბიჭები ქუჩაში. გოგოები ცალკე თამაშობდნენ, და ამონ-რამ სალომეს კისკისი გამოარჩია. შორიდან დაინახა სალომემ ამონ-რა და მისკენ გამოენთო.

—რა, რა, რა! — იძახდა გახარებული გოგონა.

სალომემ ამონ-რას კისერზე მაგრად მოხვია ხელები და აკოცა, აკოცა, აკოცა.

— დამატრიალე, დამატრიალე! — შეეხვეწა სალომე.

ამონ-რას უცბად გაუქრა მუხლების ტკივილიც, ხელების წვაც, აღარც გადატყავებული იდაყვი და გატეხილი შუბლი ახსოვდა. დაავიწყდა ყველაფერი. სალომემ აკოცა, და ესეც საკმარისი იყო, რომ ლონე და ძალა მომატებოდა. დატრიალდა ბიჭი, დატრიალდა. ყელზე ჩამოკიდებული სალომე თითქოს ჰაერში იწვა და კისკისებდა.

— კიდევ, კიდევ! — აქეზებდა ამონ-რას.

და ამონ-რას ძალიან მოუნდა სალომესთან ერთად ცაში აფრენა.

მოუნდა და ვერც შენიშნა, რომ თურმე უკვე ცაში იყვნენ ორივენი, ცაში ტრიალებდნენ, ცაში კისკისებდა სალომე. სახლებსა და ხეებზე მაღლა აფრენილ გოგო-ბიჭს ქვემოდან იორამი შეჰყურებდა და თვალებს არ უჯერებდა. არ იცოდა, ყვირილი აეტეხა, — ბავშვებს უშველეთ, ჰაერში აფრინდნენ და არ ჩამოცვივდნენო, — თუ ეს ყველაფერი მოჩვენება იყო. მალე კიდევ ორმა გოგონამ მოირბინა, ოთხი-ხუთი წლისანი თუ იქნებოდნენ, სალომე მაღლა რომ დაინახეს, გაიკვირვეს და შეეშინდათ კიდეც, ამიტომ ყვირილი დაუწყეს:

— სალომე, მანდ რა გინდა! ჩამოდი, სალომე, ჩამოვარდები!

ცაში მობზრიალე გოგონა კი კისკისებდა და კისკისებდა.

ამონ-რამ სალომე ხელში აიყვანა, მერცხალივით შეინავარდა სახლებს ზემოთ, ბავშვების წინ მიწაზე დაეშვა. სალომე ბედნიერი იყო. კიდევ ბევრი აკოცა ამონ-რას.

— ხომ დაინახეთ, ცაში დავფრინავდი! ამონ-რამ ცაში ამაფრინა! ხომ დაინახეთ?! — ეუბნებოდა იორამსა და გოგონებს. ისინი თავს უქნევდნენ — დავინახეთო, მაგრამ სალომეს აღტაცებას ვერ იზიარებდნენ, რადგან დაბნეულები და გაოგნებულები იყვნენ.

ამონ-რაც კმაყოფილი იყო, თუმცა გაოგნებულიც: მოუნდა ცაში აფრენა სალომესთან ერთად, და სულაც არ ეგონა თუ მართლა აფრინდებოდა. იქნებ მომეჩვენაო, გაიფიქრა ბიჭმა, მაგრამ იორამის კიდევ უფრო გაოგნებულმა გამომეტყველებამ დაარწმუნა, რომ ყველაფერი მართალი იყო. იორამმა ხმის კანკალით ჰკითხა:

— ამონ-რა, როგორ აფრინდი ცაში? ვინ გასწავლა ცაში აფრენა?

აბა რას ეტყოდა ამონ-რა, არავისაც არ უსწავლებია ცაში აფრენა, და არც იცის, როგორ აფრინდა. ამ დროს ქუჩაში ქალებმა ჩამოიარეს, კოკით წყალი მოჰქონდათ. მოდიოდნენ და მოლაპარაკობდნენ. მათ შორის სალომესა და ამონ-რას დედებიც იყვნენ.

სალომე დედას მიეჭრა და ახარა:

— დედა, დედა, ამონ-რამ ცაში ამაფრინა!

ამ ამბის მომსწრე გოგონებიც მისცვივდნენ თავიანთ დედებს.

— დედა, ამონ-რა და სალომე ცაში დაფრინავდნენ!

— დედა, არა გჯერა? მართლა დაფრინავდნენ.

მარამ ყურადღება არ მიაქცია ბავშვების ლაპარაკს, კოკა მიწაზე დადგა და ამონ-რა გულში ჩაიხუტა, მოეფერა. „ნეტავ ვერ შენიშნოს დედამ, რომ შუბლი მაქვს გატეხილი, იდაყვი — გადატყავებული, შეწუხდება, გული ეტკინება," — გაიფიქრა ამონ-რამ. აბა, როგორ ვერ დაინახავდა დედა შვილის გატეხილ და დასისხლიანებულ შუბლს! მაგრამ ჩაიხუტა მარამ ამონ-რა, მოეფერა, თავზე ხელი გადაუსვა, თვალებშიც ჩახედა და ვერაფერი შენიშნა, ვერაფერს მიხვდა.

ამონ-რას ახლა გაახსენდა, რომ არც ოქრომჭედელს უკითხავს, შუბლზე რა დაგემართაო.

„არ მეტყობა არაფერი, თუ ვერ ხედავს დედა?“ — გაუკვირდა ამონ-რას.

— როგორ ხართ შენ და ანდრია იქ, მთებში? — ზრუნვით ჰკითხა დედამ, — იქნებ რამე გიჭირთ? რას ჭამთ, როგორ უვლით თავს?

— კარგად ვართ, დედა, ჩემზე არ იდარდო! — უპასუხა იმედიანად ამონ-რამ.

— რას გასწავლის ანდრია, შვილო?

— ბევრ რამეს, დედა! — უპასუხა ამონ-რამ.

ამონ-რა ვერ აუხსნიდა და უამბობდა დედას, რა ასწავლა ანდრიამ. ისეთი რამეები ასწავლა, რაც ამ ქალაქში ალბათ არავინ იცის, არც დიდმა და არც პატარამ. ახლა კი ამონ-რა საკუთარ ქვაწერილს სწავლობს. ვერ ეტყვის ამას ყველაფერს დედას. ზოგი რამის თქმა, როგორც ანდრიამ დაარიგა, არ შეიძლება, საიდუმლოა; ხოლო, რისი თქმის უფლებაც აქვს, იმას ასე უცბად ვერ აუხსნის. ამიტომ ამონ-რამ მოკლედ უთხრა:

— ახლა ვერ გეტყვი, დედა, სხვა დროს გიამბობ!

ბავშვები ერთმანეთს არ აცლიდნენ, ისე უამბობდნენ დედებს, როგორ დაფრინავდნენ ცაში ამონ-რა და სალომე.

— მაშ ფრთები გამოესხათ და ისე დაფრინავდნენ? — იცინოდნენ დედები, არ სჯეროდათ მათი მონაყოლის.

— დიახაც დაფრინავდნენ! — გაბრაზდა ერთი გოგონა, — თუ არ გინდათ, ნუ დაიჯერებთ! ისინი კი ცაში დაფრინავდნენ!..

სალომეს დედა კი შეფიქრიანდა: ბავშვს ახლა სხვა რამ ავადმყოფობა ხომ არ დაემართა, რა ფრენის მოჩვენება დაეწყოო.

— წავიდეთ, შვილო, უკვე ბნელდება, შინ მიამბე ყველაფერი!.. — უთხრა დედამ გოგონას.

სალომემ ამონ-რასთან მიირბინა.

— კიდევ როდის მოხვალ? ხომ ამაფრენ ცაში კიდევ? — და ფეხის წვერებზე შედგა, რომ ეკოცნა.

— მოვალ, მოვალ! — შეპირდა ამონ-რა.

დედამ ხელი მოკიდა სალომეს და თან გაიყოლა.

ქალებმა ისევ წამოიკიდეს კოკები და გზას გაუყვნენ.

— მივდივარ, დედა! — უთხრა ამონ-რამ დედას.

მარა შეწუხდა.

— ამაღამ დარჩი ქალაქში, შვილო! როგორღა ახვალ გამოქვაბულებში, უმთვარო ღამეებია, როგორ ივლი? — შეეხვეწა შვილს.

„დედასთან თუ მასწავლებელთან?“ — ჰკითხა ამონ-რამ გულს.

„მასწავლებელთან,“ — უპასუხა გულმა.

ამონ-რამ დედას ლოყაზე აკოცა.

— უნდა წავიდე, დედა, ანდრია მელოდება, არ უთქვამს, დარჩიო.

მარამ ისევ ჩაიკრა შვილი გულში.

— კარგი, რაკი ასეა, წადი, მაგრამ ფრთხილად იარე!

ამონ-რა გზას გაუდგა, იორამი მას გაჰყვა.

მარას სიყვარულით სავსე თვალები დიდხანს მიაცილებდნენ ალმართზე მიმავალ ბიჭებს.

ამონ-რა და იორამი ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ.

— იორამ, ვგრძნობ, რაღაცის თქმა გინდა! — დაარღვია სიჩუმე ამონ-რამ.

— ამონ-რა, წამიყვანე შენთან, წამიყვანე ფილოსოფოსთან... — შეევედრა იორამი.

— არ ვიცი, ანდრიას უნდა ვკითხო! — უპასუხა ამონ-რამ, — მშვიდობით, იორამ!

იორამმა ამონ-რა ქალაქის ბოლომდე მიაცილა. უკვე ბნელოდა, და ამონ-რა მალე გაუქრა მხედველობიდან. „როგორ ივლის ამ წყვდიადში? — გაიფიქრა იორამმა, — მხეცების, მაინც არ ეშინია?“ ის კი არ იცოდა იორამმა, რომ ამონ-რამ შიშის გორგალი ზღვაში ჩანთქა.

ბოროტი საკუთარ ქვაწერილს ვერაფერს გაუგებს

ანდრიას სანთლები ენთო და წერდა. ფეხის ხმა რომ გაიგო, სანთლით გარეთ გამოეგება ამონ-რას.

— დაიგვიანე... როგორ იარე ამ სიბნელეში? — ზრუნვით ჰკითხა მოწაფეს.

ამონ-რამ გაუღიმა მასწავლებელს.

— ანდრია, შენმა მალამომ სასწაულები მოახდინა!

ანდრიამ ამონ-რა გამოქვაბულში შეიყვანა.

— ჯერ ლუკმა შეევჭამოთ, დაისვენე, მერე მიამბე...

ყველი, პური, რძე და ხილი... სწრაფად ივახშმეს.

შემდეგ ამონ-რამ დაწვრილებით უამბო მასწავლებელს, როგორ მოურჩინა მის მიერ დამზადებული მალამოთი იორამს გადატყავებული მუხლები, ოქრომჭედელს ზაქარიას კი — დამწვარი, დასნეულებული ხელები.

ანდრია ჩაფიქრდა. „მაშ რა გამოდის? — გაიფიქრა ანდრიამ, — ჩემი მალამო არაფერ შუაშია. ბიჭმა თავადაც არ იცის, რა შეუძლია. როგორ უთხრას ანდრიამ ამონ-რას, რომ მალამო სულაც არ იყო მალამო. ეს იყო კეთილად შეზავებული ნელსაცხებელი. ბიჭი კი ნახევარი დღე იმიტომ აწვალა ლაბორატორიაში, იმიტომ აყურებინა, როგორ მუშაობდა თვითონაც, როგორ ძნელად მზადდებოდა ვითომდა სამკურნალო მალამო, რომ ამონ-რას რწმენა გასჩენოდა და რწმენით წაესვა იგი ჭრილობებზე. ანდრიამ დღეს ამონ-რას რწმენა გამოსცადა, მისი სიყვარულის, თანაგრძნობის, სიკეთის ძალა გამოსცადა, საერთოდ მისი გულის ცეცხლი გამოსცადა. ეს ცეცხლი კი ძლიერზე ძლიერი ყოფილა. „არა, — გადაწყვიტა მასწავლებელმა, — როდესმე თავად მიხვდება ყველაფერს, ჯერ, დაე, ასე იყოს.“

ამონ-რამ დიდ ბიჭთან მომხდარ უსიამოვნებაზეც უამბო და მისი ნასროლი ქვა უჩვენა.

ანდრიამ სანთლის შუქზე გულისყურით დაათვალიერა ქვა და გულისტკივილით ჩაილაპარაკა:

— ეს ქვაწერილია. და რადგან იგი მის ფეხებთან ეგდო, გამოდის, მისი ქვაწერილი ყოფილა. გაბორიტებული რომ არ ყოფილიყო, მოეწონებოდა ეს ქვა, შინ წაიღებდა, მერე, დროთა ვითარებაში, იქნებ რაღაცასაც მიმხვდარიყო და კიდეც ამოეცნო ქვაწერილის საიდუმლო. აი, რას ჩაადენინებს ადამიანს სიძულვილი და შური, საკუთარ ბედს ამსხვრევინებს. ახლა ბევრი, ძალიან ბევრი წელი გაივლის, ვიდრე ეს ქვაწერილი ისევ მიაკითხავს მას...

— წავუღებ... ახლავე წავუღებ! — აენთო ამონ-რა, მაგრამ ანდრიამ დააშოშმინა.

— ტყუილი წვალება იქნება, ქვა წაშლილია. მაგ დიდმა ბიჭმა უკვე აირჩია გზა. ამ ცხოვრებაში საკუთარ ქვაწერილს ვერაფერს გაუგებს. შენ მიუტან და მაგ ქვით ახლა სხვას გაუხეთქავს თავს.

— მაშ რა ვუყოთ ამ ქვას? — შეშფოთდა ამონ-რა.

— რაც გულმა გითხრას, ის მოიმოქმედე. როდესმე ქვაწერილი თვითონ გაუდგება გრძელ გზას და მიაგნებს თავის პატრონს. ვილოცოთ, რომ მაშინ მაინც არ ესროლოს სხვას თავისი ბედი.

ანდრიამ ამონ-რას და სალომეს ცაში აფრენის ამბავიც მოისმინა.

— მოდი ახლაც აფრინდი, გამოქვაბულის ჭერი მაღალია, აბა, სცადე! — სთხოვა მასწავლებელმა.

ამონ-რა წამოდგა და დატრიალდა, როგორც სალომესთან ტრიალებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ვერა და ვერ აფრინდა მაღლა, ერთი მტკაველითაც ვერ აიწია.

— ანდრია, მართალს გეუბნები, ავფრინდი! — შეწუხდა ამონ-რა.

— მჯერა! — მშვიდად უპასუხა ანდრიამ, — სცადე გამოიცნო, როგორ აკეთებ ამას, რომ ყოველთვის გამოგივიდეს.

მასწავლებელი კმაყოფილი იყო მოსწავლის დღევანდელი წარმატებებით. ანდრიას იმედები უმართლდებოდა. ბიჭს შუბლზე ხელი გადაუსვა, შემხმარი სისხლი მოაცილა, იდაყვზეც მოუთათუნა ხელი. ამონ-რა მიხვდა, რომ ანდრიამ ნასროლი ქვის ნაკვალევი წაშალა, იდაყვი შეუხორცა, მალამო კი არ უხმარია.

— დღეს შენ ბევრი იშრომე, წადი და დაიძინე.

ამონ-რამ მორჩილად მიიღო მასწავლებლის დარიგება.

ვინც კითხვა და მეცნიერება იცის, ის ბავშვი აღარ არის

სიზმარი ნახა ამონ-რამ ყველა სიზმრისგან გამორჩეული.

ნახა, ვითომ ქვაწერილს იკვლევდა. მისი ქვაწერილი სამი მტკაველის ხელა გამხდარიყო, ამიტომ უფრო კარგად შეიძლებოდა ხაზებისა და ასო-ნიშნების დათვალიერება. ქვაწერილის გვერდით მისი გადიდებული ხელისგული იდო. მასზეც ხაზები მიდი-მოდიოდნენ, იყოფოდნენ და ერთმანეთს კვეთავდნენ. „ჩემი ხელისგული და ჩემი ქვაწერილი ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი", — გაიფიქრა ამონ-რამ. ჯერ ხაზები შეისწავლა. „აჰა, მივხვდი!" — გაუხარდა ბიჭს. შემდეგ ასო-ნიშნებს ჩაუკვირდა. „აჰა, ამასაც მივხვდი, — ისევ წამოიძახა გახარებულმა, — მადლობა, უფალო!" მაშ, საიდუმლო უკვე ამოცნობილი ჰქონდა, ახლა საჭირო იყო, რომ ქვა აელაპარაკებინა, ან, უფრო სწორად, ის, რაც ქვაზე ეწერა. ის იყო დააპირა ნიშნების ამოკითხვა, რომ დიდი ბიჭის გადიდებული ქვაწერილი წარმოესახა წინ. „რატომ? — გაუკვირდა ამონ-რას, — რა მესაქმება მე სხვის ქვაწერილთან?" უყურა მის ხაზებს და ნიშნებს, შეადარა თავისას, მაგრამ ვერაფერი ნახა საერთო. არადა დიდი ბიჭის ქვაწერილი სიზმრიდან არ გადიოდა. რამდენჯერაც სცადა ისევ თავისას დაბრუნებოდა, იმდენჯერ ეს ქვაწერილი ზედ გადაეფარებოდა და წაკითხვის საშუალებას არ აძლევდა. ბოლოს ყველაფერი უცბად გაქრა და ამონ-რას ისე გაეღვიძა, რომ ამოხსნილი საიდუმლოებანი სიზმარში დარჩა. მარტო ის დაამახსოვრდა, რომ რაღაც იცოდა საკუთარი ქვაწერილის შესახებ, მაგრამ რა? — ყველაფერი პირწმინდად გაქრა.

ამონ-რამ ველარ დაიძინა.

შუაღამე გადასული იყო.

სანთელი აანთო და ქვაწერილს მიანათა.

ვერ მოასწრო რაშე გაეხსენებინა, რომ ანდრია შემოვიდა და ჩურჩულით უთხრა:

— ადექი და გამომყევი!

ამონ-რას ეუცხოვა ანდრიას ხმა. იგი აღელვებული ჩანდა.

სწრაფად წამოდგა და ანდრიას გაჰყვა.

ისინი სასტუმრო გამოქვაბულთან შეჩერდნენ. ამონ-რას იქ არასოდეს შეუხედავს. იცოდა, რომ ანდრიასთვის ეს წმიდათა-წმიდა ადგილი იყო, ერთი სტუმრისათვის შექმნილი. ანდრიამ შესასვლელთან ჩამოკიდებული დიდი ფარდაგი გადასწია და შიგ შევიდა. ამონ-რას ხელით ანიშნა, შემოდიო.

ორივემ სანთლები მაღლა ასწიეს, რომ იქაურობა განათებულიყო.

ამონ-რამ მოპირდაპირე კედელზე დიდი სურათი დაინახა და ცნობისმოყვარეობით დააკვირდა. ანდრიამ შვიდი სანთელი აანთო და გამოქვაბულის კედელთან ისე განალაგა, რომ სურათი ნათლად გამოიკვეთა. ამონ-რამ იცნო, ვინც იყო კედელზე გამოსახული. ის იყო, ერთხელ თვალებდახუჭულმა რომ იხილა და ანდრიას უთხრა: ის დავინახეო. ისიც გაახსენდა, როგორ იძირებოდა მაშინ უსაზღვროებაში, უსაზღვროება კი — მასში.

მოკაჟადოებულივით უყურებდა ბიჭი დიდებულ სახეს; ის თითქოს ღრუბლებიდან გამოდიოდა და თან ოქროსფერი ნათება მოჰყვებოდა.

ანდრია მუხლებზე დაეშვა.

ამონ-რაც მუხლებზე დაეშვა მის გვერდით.

ანდრიამ სურათს მავედრებელი თვალები მიაპყრო და ლოცვა აღავლინა. დიდხანს ლოცულობდა ანდრია. ამონ-რა ვერ ხვდებოდა, რა სიტყვებით ლოცულობდა იგი. მასაც მოუნდა ლოცვა, გულში თავად დალაგდნენ სიტყვები, და ამონ-რამ უხმოდ წარმოთქვა ღაღადისი:

—ღმერთო დიდებულო!

თაყვანს ვცემ შენს წმიდათა-წმიდა სახელს.

მიმიღე შენს მონა-მსახურად,

ამკიდე ტვირთი შენი

და ამატანინე ეკლიანი ბილიკებით

მთის მწვერვალზე,

საიდანაც ჩავწვდები

შენი სიყვარულის უსაზღვროებას

და შევიცნობ

შენი სიბრძნის სიღრმეს.

ამინ!

იმეორებდა და იმეორებდა ამონ-რა ამ ლოცვას. ყველაფერი სხვა დავიწყებული ჰქონდა. მეტყველებდა არა მისი ენა და გონება, არამედ სული და გული. მალე იგრძნო, რომ აუცილებელი არ იყო სიტყვები, გულს უნდა განეცადა ამ სიტყვებში ჩაქსოვილი ვედრება. თანდათანობით მთელი სხეული რაღაც უცნაური ჟრუანტელით გაევსო. ბევრჯერ ულაპარაკნია ანდრიას სულზე. ახლა მიხვდა, რომ მის სხეულში სული თრთოდა, ცისფერი ცეცხლით ენთო და ამ ცეცხლის ცისფერი ალები, ანდრიას ცისფერ ალებთან ერთად, ანათებდა გამოქვაბულს; ცეცხლი მთელ გამოქვაბულს მოსდებოდა და კედლის სურათი უფრო ცოცხალი და მომხიბვლელი ჩანდა.

მასწავლებელს და მოსწავლეს მთელი ამ ხნის განმავლობაში ხატებისთვის თვალი არ მოუცილებიათ. ასე იდგნენ მუხლებზე, ხელები ღვთიური სახისკენ ჰქონდათ გაწვდილი, იწვოდნენ, ცისფერი ალებით გამოქვაბულს ანათებდნენ.

ვერცერთმა ვერ შენიშნა, როგორ მოხდა, რომ სურათი გაცოცხლდა და მათ წინაშე თავად ის აღიმართა, ნამდვილი, მომღიმარი, გასხივოსნებული უფრო დიდებულად, ვიდრე სურათზე. ის ანდრიასთან მივიდა ახლოს, თავზე ხელი დაადო, და ორივემ ნათლად გაიგონა, რაც თქვა:

— მშვიდობა თქვენდა, ანდრია, ნუ დააყოვნებ, წადი შენს ძმასთან.

ანდრიამ ფეხები დაუკოცნა და თრთოლვით ჩაილაპარაკა:

— ჰო, უფალო!

ამონ-რაც დაუკოცნიდა ფეხებს, მაგრამ ვერ გაბედა.

ამასობაში ის თითქოს კედელში შევიდაო, გაქრა, კედელზე კი ისევ აღიბეჭდა მისი დიდებული სახე.

ანდრია ჩოქვით მივიდა სურათთან და ფეხებთან ეამბორა.

— მიყვარხარ, უფალო! — წარმოთქვა გრძნობით, თუმცა ძლივს გასაგონად.

ამონ-რამ გაიმეორა მასწავლებლის მოქმედება.

შემდეგ ანდრია სწაფად წამოდგა და გამოქვაბულიდან გავიდა.

რიჟრაჟი ახლოვდებოდა, უმთვარო ღამის სიბნელე საშუალებას არ აძლევდა მასწავლებელსა და მოსწავლეს ერთმანეთი დაენახათ. ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ანდრიამ ამონ-რა ახლოს მიიზიდა.

— ხომ გაიგონე, რა თქვა მან?

— გავიგე!

— გაიმეორე!

— მშვიდობა თქვენდა! ანდრია, ნუ დააყოვნებ, წადი შენს ძმასთან!

— ჰოდა, არ უნდა დავაყოვნო!

ანდრია გაჩუმდა. ამონ-რა ვერ ბედავდა რაიმე ეკითხა. გაგონილი ჰქონდა, რომ მარას კიდევ ერთი ძმა ჰყავდა — სიმონი. ის გალილეის ზღვის ნაპირზე ცხოვრობდა, ორი დღის საკალზე. ძმები მებადურები იყვნენ და ამით არჩენდნენ ოჯახს. შემდეგ ანდრია კითხვისა და მეცნიერების შესასწავლად სხვადასხვა ქვეყნებში გაემგზავრა, ეგვიპტეშიც იყო, ბევრი იხეტიალა და ბოლოს გამოქვაბულებში დასახლდა. და აი, დადგა დრო, როცა ანდრია დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდეს ძმასთან. ალბათ, ასეა საჭირო.

ამონ-რა ელოდა, კიდევ რას ეტყოდა ანდრია.

— შენ მე აღარ გჭირდები, უჩემოდაც გაიკვლევ გზას! — ანდრია ქვაზე ჩამოჯდა, ამონ-რა მის გვერდით ჩაიკეცა. ანდრია თავზე და ბეჭებზე ხელს უსვამდა ამონ-რას, ეფერებოდა. ეტყობოდა, ღელავდა, მაგრამ მის ხმაში სიმშვიდე და სიყვარული იგრძნობოდა, — გამოქვაბულში რაც არის, ყველაფერს შენ გიტოვებ, გამოიყენე, როგორც საჭიროდ ჩათვალო. მე აქ აღარ დავბრუნდები...

ამონ-რას ტირილი მოუნდა.

— ვეღარასოდეს გნახავ? ანდრია, ძალიან მიყვარხარ!

— მეც მიყვარხარ, ჩემო ბიჭო! ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს. ეცადე დროზე ამოიცნო ქვაწერილის საიდუმლო!

— შეეცდები! — დაპირდა ამონ-რა. უნდოდა ეთქვა, როგორი სიზმარი ნახა ქვაწერილთან დაკავშირებით, მაგრამ გადაიფიქრა, სიზმარი ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ქვაწერილის ამოცნობას. მასწავლებელთან უხმო საუბარი გააბა. სხვა დროს არაერთხელ ჩაესმოდა ხოლმე ყურში ანდრიას ხმა, როცა ანდრიასგან სადმე მოშორებით იმყოფებოდა. ახლა კი მასწავლებელი და მოწაფე უხმოდ საუბრობდნენ.

„შედი ჩემს ლაბორატორიაში, იქ ბევრი მალამოს დამზადების წესს იპოვი.“

„კარგი, — ფიქრით უპასუხა ამონ-რამ, — შეიძლება იორამს ვასწავლო, რაც შენ მასწავლე?“

„იორამი კარგი ბიჭია. ასწავლე იმდენი, რამდენიც შეგეძლოს. გული გეტყვის, რა შეიძლება გაუმხილო მას, — უპასუხა ანდრიამ და გააგრძელა, — დაათვალიერე ჩემი ხელნაწერები. სკივრებში ბევრი წიგნია, გამოიყენე შენი მოწაფეებისათვის“.

„მე რომ მოწაფეები არა მყავს?“— გაიკვირვა ამონ-რამ.

„გეყოლება.“

„ანდრია, შენი ქვაწერილი ხომ არ გავიწყდება?“

„ქვაწერილს გამოქვაბულში ვტოვებ, ის მე აღარ დამჭირდება, უკვე ყველაფერი მითხრა“.

„ანდრია, სასტუმრო გამოქვაბულში რომ შევიდე, შეიძლება?“

„სასტუმრო გამოქვაბულს უფლის გამოქვაბული დავარქვათ. შედი უფლის გამოქვაბულში, როცა გულმა გითხრას.“

„ანდრია, ირიჟრაჟა.“

„ჰო, ირიჟრაჟა, ჩემი წასვლის დროა.“

ანდრია ფეხზე წამოდგა. ამონ-რას თვალებში ჩახედა. ბიჭის სახეში დილის პირველი ნათება ირეკლებოდა, მისი გული სიყვარულის ცეცხლს აფრქვევდა ანდრიას, გზას ულოცავდა მასწავლებელს.

„ამონ-რა, დაიხსომე, შენ უკვე დიდი ხანია აღარა ხარ პატარა, — ჩაესმა ამონ-რას ანდრიას მშვიდი ხმა, — ვინც კითხვა და მეცნიერება იცის, ის აღარ არის ბავშვი. მიჰყევი შენს გზას, როგორი ძნელიც არ უნდა იყოს იგი.“

ამონ-რას მასწავლებლის დარიგება გულში კეთილ სითბოდ ჩაეღვარა. ხელები კისერზე შემოხვია და ჩაეკრა. გრძნობდა ამონ-რა, რომ ანდრიამ ეკლებიანი და გაუკვალავი გზა აირჩია, ეს გზა მაღლა-მაღლა მიემართება. ანდრია ამ ეკლიანი გზის გასატკეპნად მიდის, რომ სხვებსაც გაუადვილდეთ აღმასვლა. ძნელი ცხოვრება ექნება ანდრიას, შეუძლია არ წავიდეს, გამოქვაბულში იჯდეს და წეროს წიგნები, ატაროს ცდები თავის ლაბორატორიაში, გამოიგონოს ახალი სამკურნალო მალამოები. ანდრიას შეუძლია არ წავიდეს გრძელი გზით, მაგრამ არ შეუძლია, რომ სწორედაც ამ გზით

არ წავიდეს. ეს მისი გზაა. ალბათ, ასე წერია მის ქვა-წერილზე. ანდრიას კიდეც უხარია, რომ დადგა დრო, და სულ მალე ძნელ გზას გაუყვება. რამდენი წელი ელოდა გამოქვაბულში მოვლენას, რომელიც ახლახანს მოხდა. და აი გამოეცხადა ის, ვინც უნდა გამოცხადებოდა, მას მიყვება მასწავლებელი, კეთილი იყოს შენი ეკლიანი გზა, ანდრია. ამ ფიქრებში ეფერებოდა მოწაფე მასწავლებელს.

— მადლობა, ჩემო ბიჭო, რომ გიყვარვარ, მენდობი! — ყურში უჩურჩულა ანდრიამ ამონ-რას, — მშვიდობით, ღმერთი გფარავდეს!

მზის პირველმა სხივმა ამოწვერა.

მასწავლებელი თავის გზას დაადგა. წავიდა ისე, რომ უკან არ მოუხედავს. ამონ-რა დიდხანს იდგა გამოქვაბულის წინ.

დამეხმარე, ქვაწერილო, გამიხსენი საიდუმლო

მზე კარგახნის ამოსული იყო, მისი ფიქრი კი ისევ ანდრიას უტრიალებდა.

„მადლობთ, მასწავლებელო, მე უკვე დიდი ვარ, და ეს შენი წყალობითაა!“ — მისძახოდა ფიქრებით ანდრიას.

„ქვაწერილი გამოიცანი!“ — ჩაესმა ყურში ანდრიას ხმა და ამონ-რა მაშინვე ქვაზე ჩამოჯდა, უბიდან ტოპრაკი ამოაცოცა და ქვაწერილი ამოიღო. იქვე დიდი ბიჭის ქვაწერილიც იდო. ორივე მიწაზე დააწყო და დააკვირდა.

ამონ-რამ სიზმრის გახსენება სცადა. ახსოვდა, რომ საიდუმლოების გასაღებს მიაგნო, მაგრამ ვეღარ მოასწრო სიზმრიდან მისი გამოტანა, რაღაცამ შეუშალა ხელი და გასაღები სიზმარში ჩარჩა. რამ შეუშალა ხელი?

დაჰყურებდა ამონ-რა ქვაწერილს და ისევ სიზმარში შესვლას ცდილობდა.

„რაღაცამ შემიშალა ხელი... გასაღები ხელიდან გამაგდებინა... იქნებ, დიდი ბიჭის ქვაწერილმა შემიშალა ხელი? რატომ ვატარებ ამ ორ ქვაწერილს ერთად? ან რატომ დავდე დიდი ბიჭის ქვაწერილი ჩემი ქვაწერილის გვერდით? — გაიფიქრა ამონ-რამ და იმედი მიეცა, დიდი ბიჭის ქვაწერილი მოშორებით დამალა ბუჩქებში, თავისი კი ხელისგულზე დაიდო და ხაზებს ჩახედა.

ხაზები! რა თქმა უნდა, ხაზები ქვაზე და ხაზები ხელისგულზე! სიზმარში სწორედ ამ ხაზებს ადარებდა ერთმანეთს. ახლაც ეს გააკეთა ამონ-რამ: ხან ხელისგულის ხაზებს აკვირდებოდა, ხან ქვაწერილის ხაზებს. და უცბად სიხარულმა აიტანა: ხაზები ერთმანეთს გვანან, ერთნაირად არის დახაზული ჩემი ხელისგულიც და ქვაწერილიც. მაშ ეს ქვაწერილი ნამდვილად ჩემია!“ ადრეც გრძნობდა, რომ ქვაწერილი მისი იყო, ამჯერად კი საიდუმლოს ფარდა აეხადა.

მთავარი ასო-ნიშნების ამოკითხვაა. სიზმარში ამასაც მიაგნო, მაგრამ რა იყო ეს?

ამონ-რამ ასო-ნიშნებს დაუწყო კირკიტი. „რა ლამაზი ასო-ნიშნებია! რას მაუწყებენ ისინი?“

ასო-ნიშნები ქვის ორივე მხარეს ჯგუფ-ჯგუფად და დახრილად იყო განლაგებული. მათში ამონ-რამ მსგავს ნიშნებს დაუწყო ძებნა და თითოეული მათგანი ჩხირით მიწაზე გამოსახა. სულ ოცდაერთი ასო-ნიშანი გამოვიდა. ზოგი მათგანი ხშირად მეორდებოდა. ანდრიამ ასწავლა, რომ მეტყველებაში ხშირად გრძელი ბგერები მეორდებიან და მეტყველების მუსიკას ქმნიანო. „მაშ თუ ასეა, ეს ოთხი ნიშანი გრძელ ბგერებს უნდა აღნიშნავდეს, — დაასკვნა ამონ-რამ, — დავუშვათ, ეს ნიშანი არის „ა“, ეს კი „ი“, ვნახოთ, რა გამოვა“. მათი მეშვეობით ამონ-რამ ამოიკითხა:

„ა . . ა . ა . ი . “ სხვა ორ ნიშანს „ე“ და „უ“ უწოდა. შემდეგ მოკლე ბგერების ნიშნების დაჯგუფება სცადა. ასე მიადგა ნიშანთა ჯგუფს, რომელიც მეორე მწოლარე ხაზის ბოლოს იყო გამოყვანილი: „უ . ა . . უ . .“

მოკლე ბგერების ჩანაცვლებით მიაკვლია „ს“, და წაიკითხა:

„უსას . უ . .“

„დამეხმარე, ქვაწერილო, შემეშველე, გამიხსენი საიდუმლო!“ — შეეხვეწა ამონ-რა ქვაწერილს და ამ დროს გაახსენდა, როგორ წამოიძახა სიზმარში: „აჰა, ამასაც მივხვდი! გმადლობთ, უფალო!“ უფალი... უფლის გამოქვაბული, უფალი ეწვია ღამით ანდრიას. „უფალი?!“ — გაუკვირდა ამონ-რას და გულის სიღრმიდან თითქოს ვიღაცამ ამოსძახა: „ჰო, უფალი!“

ამონ-რამ იმ სიტყვას დაუწყო ძებნა, რომელიც „უ“-თი იწყებოდა. მიაგნო კიდეც, ეს ბოლო სიტყვა იყო. დიდი ჯაფა აღარ დასდგომია, ადვილად ამოხსნა ყველა ნიშანი და წაიკითხა: „უფლისა“. გაიხარა ბიჭმა. აი, სიზმარში დარჩენილი გასაღებიც. ექვსი ასო-ნიშანი ნამდვილად იცის. ისევ მიუბრუნდა მეორე მწოლარე ხაზის სიტყვას და ადვილად ამოიკითხა: „უსასრულო“. ექვს ასო-ნიშანს კიდევ სამი მიემატა. ცხრა ასო-ნიშანი გამოცნობილია, ქვაწერილი ლაპარაკს იწყებს. მოუთმენლობამ შეიპყრო ამონ-რა. „რას მეტყვის ჩემი ქვაწერილი?“ გულისძგერით ჩაუკვირდა პირველ სიტყვას და, როგორც კითხულობს ხოლმე ბავშვი, რომელმაც ეს-ეს არის ისწავლა ანბანი, ასო-ასო, ჩათვლით,

ნელა და ბორძიკით, — ისე წაიკითხა ქვაწერილის სტრიქონები, რომლებიც ამონ-რას აუწყებდნენ:

„იყოს გზა შენი
მოკლე და უსასრულო,
ეკლიანი და აღმავალი,
რამეთუ
შენ ხარ ვენახი
უფლისა“.

ამონ-რა სიხარულისგან ფეხზე წამოხტა და ხტუნვა დაიწყო, საზღვარი არ ჰქონდა მის ბედნიერებას. სად არის ანდრია, რომ ისიც გაახაროს. ქვაწერილს ნაზად მოეფერა, როგორც ცოცხალ და საყვარელ არსებას; აკოცა და გულთან მიიკრა. ახლაღა შენიშნა, რომ მზე უკვე ჩასული იყო და კიდეც დაღამდა. ირგვლივ არაფერი ჩანდა, მარტო ცაზე ციმციმებდნენ ვარსკვლავები. „როგორ ვკითხულობდი ქვაწერილს სიბნელეში?!“ — გაუკვირდა ამონ-რას და ქვაწერილს დახედა. დახედა და სახტად დარჩა: ქვაწერილზე ხაზებიც და ასოებიც ცისფრად ანათებდნენ, მკრთალად და ნაზად, ქვაწერილი ლაპარაკობდა, ღაღადებდა. როგორ უცბად და შეუმჩნევლად გაიქცა დღე. დილას აქეთ ზის გამოქვაბულების წინ და კოსმოსის სიღრმიდან გამოგზავნილი გამოცანის ამოხსნას ცდილობს. მიაღწია მიზანს, სიზმარიც დაეხმარა, სამყაროც დაეხმარა და წაიკითხა საკუთარი ქვაწერილი. მზე კი ჩაეიდა და დაღამდა, მაგრამ ამონ-რას გულში ამოვიდა მზე და განათლდა გულიც და გონებაც. ამონ-რამ ვეღარ დაიტია მოზღვავებული სიხარული და მისმა გულმა მასწავლებელს გასძახა: „ანდრიაااა! წავიკითხე ქვაწერილი, ანდრიაااა!“ — და ქვაწერილის ცისფერცეცხლოვანი ასოები კიდევ ერთხელ, იქნებ მეათასედ, გაახმიანა. თავისთვის კი არა, ანდრიას წაუკითხა ხმამაღლა, რომ გაეგო მასწავლებელს, და მასაც გახარებოდა. კითხულობდა ამონ-რა ქვაწერილს და თითქოს სამყაროც მოსძახოდა, ვარსკვლავიდან ვარსკვლავზე გადასცემდა ექოს, რომ იქნებ როგორმე მოსწავლის ძახილი მასწავლებლის ყურამდე მიეტანა: „... რამეთუ შენ ხარ ვენახი უფლისა!“ აი, რა მითხრა ქვაწერილმა, ანდრიაااა!“ ამონ-რამ ყური მიუგდო ვარსკვლავების ექოს და პასუხს დაელოდა. პასუხიც მალე მიიღო. „ამონ-رااا! ვამაყობ შენით! — ჩამოსძახეს ვარსკვლავებმა ანდრიას გახარებული ხმით, — ახლა

ყოველი სიტყვის საიდუმლოს ჩაწვდი, შენი მისია ამოიცანი და მიჰყევი მას, ამონ-რაა!“ ვარსკვლავები დადუმდნენ, მხოლოდ ბრწყინავდნენ და ციმციმებდნენ. სრულმა დუმილმა დაისადგურა ამონ-რას ირგვლივ. და ბიჭი გრძნობდა, როგორ ივსებოდა მისი სული სამყაროს ცეცხლით. იგი ამ დროს გამოქვაბულის წინ კი არ იდგა და ვარსკვლავებს გასცქეროდა, არამედ უსაზღვროებაში დაჰქროდა და ვარსკვლავებს ეთამაშებოდა. თანდათან გამოერკვა ამონ-რა და ისევ აყღერდა მასში ანდრიას ძახილი — შენი მისია ამოიცანიო. ამონ-რა მიხვდა, რომ წაკითხვა და წაკითხულის გაგება სხვადასხვა რამ არის. სიტყვაში აზრია ჩადებული, საიდუმლოა ჩაკეტილი. ამ საიდუმლოს ანდრიამ მისია უწოდა. ქვაწერილს ბოლომდე არ უთქვამს თავისი სათქმელი. რატომ დატოვა თავისი ქვაწერილი ანდრიამ გამოქვაბულში? იმიტომ რომ ჩაწვდა მის საიდუმლოს, ამოიცნო საკუთარი გზა და მოთმინებით ელოდა გამოცხადებას. რა გაიგო ამონ-რამ თავისი ქვაწერილიდან? იყოს შენი გზა მოკლე და უსასრულოო. მიხვდა განა, როგორ შეიძლება იყოს გზა მოკლეც და უსასრულოც? შენ ხარ ვენახი უფლისაო. რატომ არის ამონ-რა ვენახი და როგორია უფლის ვენახი? ეკლიანი და აღმავალიო. მართლა ეკალ-ბარდები იგულისხმება აქ და აღმართზე მიმავალი ბილიკი? რაც უფრო ღრმად უკვირდებოდა ამონ-რა ამ კითხვებს, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ დიდი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: ან ამ გზით უნდა წასულიყო, ან იმ გზით. ქვაწერილზე ერთი წერტილიდან ორი ხაზი ამოდიოდა: ერთი მაღლა-მაღლა მიემართებოდა და ღრუბლებში იკარგებოდა, თუმცა დასაწყისში კიდეც წყდებოდა; მეორეც მაღლა მიემართებოდა, მაგრამ ღრუბლებიდან დაბლავე წვიმასავით ეშვებოდა. რა გზებია ეს და რომელ გზას ურჩევს ქვაწერილი?

უკვე გვიანი იყო, და ამონ-რამ გამოქვაბულს მიაშურა. მართალია, ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა გასარკვევი, მაგრამ სული მაინც ზეიმობდა. ამონ-რას ძალიან მოუნდა უფლის გამოქვაბულში შესვლა. ადვილად მონახა სიბნელეში სანთლები. შვიდი სანთელი აანთო და გამოქვაბულში ისე გააწყო, როგორც ანდრიამ იცოდა. განათდა გამოქვაბული და უფლის დიდებული გამოსახულება. ამონ-რამ მუხლი მოიყარა, ორივე ხელი მისკენ გაიშვირა და წინა ღამით დაბადებული ლოცვით

გული გაივსო. „ღმერთო დიდებულო, — სასოებით ღაღადებდა გული, — თაყვანს ვცემ შენს წმიდათა-წმიდა სახელს. მიმიღე შენს მონა-მსახურად, ამკიდე ტვირთი შენი და ამატანინე ეკლიანი ბილიკებით მთის მწვერვალზე, საიდანაც ჩავწვდები შენი სიყვარულის უსაზღვროებას და შევიცნობ შენი სიბრძნის სიღრმეს. ამინ!“

მთელი დღის უჭმელსა და უსმელს არც უგვრძვნია, რომ შია ან წყურია.

არც დაღლა უგვრძვნია.

უფლის გამოსახულების წინ ლოცვაში ჩაეძინა ამონრას.

მეთოთხმეტე თავი

სული შრომობს და კეთილშობილებით მდიდრდება

სული შრომობსო, ასწავლიდა ანდრია თავის მოწაფეს.

სხვანაირი შრომა სცოდნია სულს.

სული მაშინ შრომობს და ოფლად იღვრება, როცა გწყურია და მაცოცხლებელ წვეთებს მოწყურებულს ასმევ; როცა გშია და ლუკმას, რომელმაც უნდა გადაგარჩინოს, დამშეულს გაუწვდი; როცა ავად ხარ და წამალს, რომელმაც უნდა განგკურნოს, შენსავით ავადმყოფს ახმარ.

სული მაშინ შრომობს, როცა არ გინდობენ და ინდობ, არ გითმობენ და უთმობ, არ გახარებენ და ახარებ, არ გეესალმებიან და ესალმები.

სული შრომობს, როცა სიკეთეს თესავ, როცა მდაბლდები, რათა აღამაღლო სხვა, როცა ლოცულობ შენი მაწყევრისათვის, როცა სხვის საშველად მიიჩქარი.

სული შრომობს, როცა ქარის ჩურჩულს ისმენ და ეხმიანები, როცა ჩიტი გალობს და ემადლიერები, როცა ძაღლი დაგყეფს და მიეალერსები, როცა ვარსკვლავებს გასცქერი და გული მათკენ მიგიწევს.

სული შრომობს, როცა შიშს სპობ, პატივმოყვარეობას ცეცხლში ფერფლავ, შურს წყალს გაატან, უნდობლობას ქვასანაყით დანაყავ.

სული შრომობს იქ, სადაც წყვდიადია და სანთლად აინთები, უწყლობაა და წყლად იქცევი, არ არის ხიდი და ხიდად გაიდები, მიუსაფრობაა და თავშესაფრად იქცევი.

სული შრომობს, როცა გაოცებს სამყაროს უსაზღვროება და სილის ნამცეცი, მზის სხივი და ციცინათელას ნათება, ღრუბელთა ქარავანი და ახლადბადებული ბატკანი.

სული შრომობს, როცა საკუთარ ქვაწერილს ეძებ, მის საიდუმლოს ამოიცნობ და შენს გზას დაადგები.

სული შრომობს, როცა ადიდებ და თაყვანს სცემ შემოქმედს.

სულის შრომა სიყვარულია.

სულის შრომა სიყვარულში ანთებული ფიქრია.

ფიქრი და სიყვარული სულის ამაღლების საფეხურებია.

ლამაზად, გმირულად და სიყვარულით იფიქრეო, არიგებდა ამონ-რას ანდრია.

სული ტყუილად კი არ შრომობსო, განუმარტავდა ანდრია, შრომობს იმიტომ, რომ ამაღლდეს, გაძლიერდეს, უსაზღვროების სივრცეებს მისწვდეს, ვარსკვლავიდან ვარსკვლავზე გადაფრინდეს.

სულმა არ იცის დასვენება, შრომობს დღითაც და ღამითაც, მაშინაც, როცა სიზმარში ხარ ან ღრმა ძილით გძინავს.

ღრმა ძილით ჩაიძინა ამონ-რამ უფლის გამოქვაბულში, უფლის გამოსახულების წინ, ლაპლაპა სანთლების შუქზე. იწვა მარჯვენა მხარზე, წელში მოხრილი; ხელები სურათისკენ დარჩა გაწვდილი. სუნთქა შეუნელდა, თითქოს აღარც სუნთქავდა და აღარც გული უცემდა.

ამონ-რას ღრმა ძილით ეძინა, მისი სული კი შრომობდა.

სული მსუბუქად ამოსრიალდა სხეულიდან; სხეულს არაფერი უგვრძვნია.

სულმა ჯერ ხატს სცა თაყვანი, მის ფერხთით განეფინა, შემდეგ ნელა ასრიალდა მაღლა, კედლის სურათის გულში გაიარა და გამოქვაბულიდან გარეთ გავიდა.

უმთვარო ღამე კი იყო, მაგრამ სული ყველაფერს ხედავდა. ხედავდა იმასაც, რასაც ყველა ადამიანი ხედავს, და იმასაც, რასაც ადამიანები ვერ ხედავენ. სული იქითა, უხილავ სამყაროში იმყოფებოდა.

ამონ-რას სულს დიდი საზრუნავი ჰქონდა.

ამონ-რამ უკვე მიაგნო საიდუმლოს, რომლითაც მალე სრულად შეიცნობს საკუთარ ქვაწერილს. ანდრიამ მოწაფე სწორ გზაზე დააყენა. მაგრამ ვინ იცის, რა სიძნელეები დახვდება გზაზე პატარა ბიჭს? ამონ-რა გაიგებს, რას ნიშნავს ქვაწერილში ნათქვამი — იყოს შენი გზა მოკლე ან იყოს შენი გზა ეკლიანი. როგორ მოიქცევა ამონ-რა, — აირჩევს მოკლე და ეკლიან გზას და გაჰყვება მას ერთგულად, თუ გრძელ და უეკლო გზას ამჯობინებს? ბიჭი ბევრ ცდუნებას შეხვდება ცხოვრებაში. გაუძლებს თუ ვერა მათ?

კოსმოსი კი გაფრთხილებას იძლევა: ადამიანმა თვითონ უნდა აირჩიოს გზა და ბილიკი.

ამონ-რას სულმა საკუთარი ძალების გამოცდა მოიწადინა.

„ვნახოთ, სადამდე ავფრინდები?“ — თქვა და ელვისებური სისწრაფით აიჭრა მაღლა. დიდი მთების მწვერვალები ქვევით დარჩა. თანდათანობით დედამიწაც დაპატარავდა, დაპატარავდა და ციცქნა ვარსკვლავის ხელა გახდა. მიიწევს ამონ-რას სული სანატრელი ვარსკვლავისაკენ. იგი რამდენიმე ათასი წელია ეძახის ამონ-რას სულს, იქ მას სხვა სრულყოფა და განვითარება ელის. მიქრის სული ვარსკვლავისკენ, ის კი დიდდება, უზარმაზარი ხდება, ფერებს იცვლის, თანდათანობით ცისფერ ცეცხლად იქცევა და სხივებად ცისარტყელებს უშვებს. სული აღტაცებულია, ცოტაც და სულ ახლოს მივა მასთან.

მაგრამ... სანუკვარ ვარსკვლავს ამონ-რას სულმა ვერ მიაღწია, რაღაც ძალა დააკლდა, რომ მის ცისფერ ალს, ცისარტყელის სხივებს შეხებოდა. ამან არ დააღონა სული, პირიქით, ბედნიერება განიცადა, რადგან ამჯერად უფრო მაღლა აფრინდა, ვიდრე ერთი წლის წინ; ამჯერად ცისარტყელის სხივებიც დაინახა. ეს გამარჯვებაა.

მაშასადამე, ამონ-რა საკუთარ გზას მიჰყვება, გუმანით მიდის ამ გზით. სული საბოლოო გამარჯვებას მაშინ მიაღწევს, როცა ამონ-რა თავის მოკლე და ეკლიან გზას ბოლომდე გაივლის. აი მაშინ შეიძენს სული იმ ნაკლულ ძალასაც, რაც ახლა დააკლდა. მაგრამ, თუ მოხდა ისე, რომ ბიჭმა შეცდომა დაუშვა, თუ რამე ცდუნებას ვერ გაუძლო, სული იმ სიმაღლესაც დაკარგავს, რასაც მილიონი წლის ცხოვრებითა და შრომით მიაღწია, დაბლა დაეშვება და, ვინ იცის, რამდენი ათასი წელი დასჭირდება, რომ ისევ მოიკრიბოს ძალა.

ამიტომ ზრუნავს ამონ-რას სული: ეს არ უნდა მოხდეს, ბიჭმა ბოლომდე უნდა გაუძლოს ცხოვრების გამოცდას.

ამონ-რას სული მრავალი ათასი წლის განმავლობაში ვითარდებოდა და სინათლის გზას მიჰყვებოდა. იგი მრავალჯერ დაიბადა დედამიწაზე და სხვადასხვა ცხოვრება გაიარა.

ერთ ცხოვრებაში ამონ-რა მწყემსად მოევლინა ქვეყანას, მაშინ მას გენადოსი ერქვა, რაც კეთილშობილს ნიშნავს. უკრავდა კეთილი მწყემსი სალამურზე, ხარობდა მთებითა და ველებით, ყვავილებითა და ნაკადულებით. გადაჰყავდა ცხვრის

ფარა ერთი საძოვრიდან მეორეზე, ზრუნავდა თითოეულ ცხვარზე და ახალდაბადებულ ბატკანზე.

მეორე ცხოვრებაში ალექსანდროსს ანუ დამცველ ვაჟკაცს ეძახდნენ. იგი მეომარი იყო და სხვათა თავდასხმებისგან იცავდა თავის ტომს. მამაცურად იბრძოდა და ბრძოლაში დაიღუპა.

მესამე ცხოვრებაში ვაჭარი გახდა. მას კონსტანტინე ანუ შეუპოვარი ერქვა. მიჰყავდა კონსტანტინეს აქლემების ქარავანი ერთი ქვეყნიდან მეორეში, მიჰქონდა და მოჰქონდა ადამიანებისთვის სავაჭრო საქონელი, შეუპოვრად სერავდა უდაბნოებს. მაგრამ ერთხელაც უდაბნოში ყაჩაღები დაესხნენ, მეგობრები დაუხოცეს, თვითონ კი მაშინ მოკლეს, როცა ბავშვიან ქალს იცავდა.

მეოთხე ცხოვრებაში იგი იოანეს სახელით გახდა ცნობილი. ეს სახელი ღვთისგან შეწყალებულს ნიშნავს. მას მბრძანებელი განურისხდა, რადგან მისი ბნელი საქმეები და ბოროტებანი აშხილა. მბრძანებელმა იგი დილეგში ჩააგდო. ოცდაათი წელიწადი გაატარა დილეგში. იქ დაიწყო ლექსების წერა და ხალხმა შეიყვარა იგი.

მეხუთე ცხოვრებაში ტაძრის მსახური იყო და სიმონს ეძახდნენ. „ღმერთი ისმენს მის ლოცვასო“, — ეს აზრი ჟღერდა მის სახლში. ტაძრის გარშემო იშვიათი სილამაზის ბაღი გააშენა; უყვარდა და ეფერებოდა ყოველ ბუჩქს. ვარდის, ლოტოსის, კამელიების სურნელი უხვად იფრქვეოდა ტაძრის ირგვლივ. მხურვალე ლოცვა იცოდა სიმონმა და ღრმად მოხუცმა ლოცვაში დალია სული.

მეექვსე ცხოვრებაში მეფე გახდა, მაქსიმუმს ანუ უდიდესს უწოდებდნენ. ბრძნულად მართავდა დიდ სახელმწიფოს, სამეფოში სამართლიანობა დაამყარა, გაჰყავდა გზები, აშენებდა ხიდებს, ტაძრებს, მეგობრულად ცხოვრობდა მეზობელ სახელმწიფოთა მეფეებთან და ხალხს თავიდან აცილებდა ომებს, სისხლისღვრებს, ნგრევას და ძარცვას.

რომელიღაც ცხოვრებაში ტყვედ ჩაიგდეს და მონად გაყიდეს, მან კი მონები ბატონების წინააღმდეგ ააჯანყა და თავისუფლება მოითხოვა. მოღალატეებმა ვერაგულად მოკლეს.

კიდევ რომელიღაც ცხოვრება საშინელ სიღატაკეში გაატარა, მაგრამ არ გაბოროტდა, არც ქურდობისა და ყაჩაღობის გზას დაადგა.

ასე გაიარა ბევრმა ცხოვრებამ.

ახლა კი, ახლანდელ ცხოვრებაში, სული პატარა ბიჭის სხეულშია, რომელსაც ამონ-რა ჰქვია.

მისი ცხოვრების ყველა გზა მაღლა და მაღლა მიიწევდა. სული კეთილშობილებით მდიდრდებოდა და ციურ ძალებს იკრებდა. ცოტაც და ამონ-რას სული ცეცხლოვანი სამყაროს მკვიდრი გახდება, სანუკვარ ვარსკვლავს მიაღწევს და განვითარების ახალ გზას დაადგება. მაგრამ პატარა ბიჭმა, რომელსაც მოკლე და ეკლიანი გზა უწერია, შეცდომა არ უნდა დაუშვას.

ორივეს ღიმილი რაღაც საიდუმლოს ფარავდა

ამონ-რას სული არ ჩქარობდა გამოქვაბულში დაბრუნებას, იგი ჯერ მძინარე მარასთან მიფრინდა.

მარა ფანჯარასთან იწვა.

შფოთიანად ეძინა.

მთელი დღე მეზობლის ავადმყოფ ბავშვს უვლიდა. ბავშვს დედა არ ჰყავდა, რა უნდა გაეკეთებინა მამას ბავშვისთვის, რომელიც სიცხით იწვოდა და მუცლის ტკივილით იტანჯებოდა. ბავშვი, როგორც იყო, გადაარჩინა მარამ, მაგრამ ნერვიულობამ და დაღლილობამ წელი მოსწყვიტა და არაქათგამოცლილს ჩაეძინა. ჩაეძინა და შფოთიანი სიზმარი დაადგა თავს. ხედავდა, როგორ ბობოქრობდა ზღვა და უზარმაზარი ტალღა ამონს ეჭიდებოდა. „გეყოფრები, ტალღავ, არ წამართვა ქმარი!“ — შესთხოვდა მარა ტალღას, მაგრამ იგი არ უსმენდა. მარას უნდოდა თავადაც გადაშვებულიყო ზღვაში, ამონისთვის ეშველა ან მასთან ერთად დაღუპულიყო, ტალღა კი უკანვე ისროდა ქალს და ამონს არ ანებებდა.

ამ სიზმარში იყო მარა, როცა ფანჯრიდან ამონ-რას სული შემოფრინდა და მის სიზმარში შეიხედა. „საწყალი მარა, საწყალი ქალი, როგორ იტანჯება!“ — შეწუხდა სული და დაუყოვნებლივ გააძევა ცუდი სიზმარი. სამაგიეროდ მარას ახლა შვილის განათებული სახე წარმოუდგა. დედას გაუხარდა, მიუალერსა შვილს. „როგორ ცხოვრობ, ჩემო ბიჭო, რა გასწავლა ანდრიამ?“ შვილმა გაუღიმა დედას და უამბო, როგორ იპოვა საკუთარი ქვაწერილი და როგორ ცდილობს ამოიცნოს მისი საიდუმლო. მძინარე მარას სახე შეეცვალა — დაუმშვიდდა და სიზმარს მთელი გულით მიეცა.

ამონ-რას სული მოეფერა მარას, სხეულში კეთილი ჟრუანტელი ჩაუღვარა და გაფრინდა.

გაფრინდა, მაგრამ შორს კი არ წასულა.

ქალაქის მეორე უბნის ერთ პატარა ეზოში იორამი იწვა ნაბადზე.

შუაღამე გადასული იყო, ბიჭს კი ძილი არა და არ ეკარებოდა. შესცქეროდა ვარსკვლავებიან ცას და ამონ-რაზე ფიქრობდა.

როცა დედას უამბო, როგორ გადაუტყავდა მუხლები და როგორ მოურჩინა ამონ-რამ, დედამ არ დაუჯერა. მუხლები გაუსინჯა და უთხრა: არაფერიც არ გეტყობა გადატყავებულის და სისულელეებს ნუ ლაპარაკობო. რამდენიც არ უმტკიცა დედას, მართალს გეუბნებიო, არაფერი გამოვიდა. ბოლოს, როცა თავისი დაიჟინა, დედა გაბრაზდა კიდეც.

— იმ ბიჭს ახლოს აღარ გაეკარო, ეშმაკისეულია ეგ ბიჭი, მამაშენიც გაგირისხდება! — გააფრთხილა დედამ მკაცრად.

„რატომ უნდა იყოს ამონ-რა ეშმაკისეული?“ — ფიქრობდა იორამი. კიდევ კარგი, რომ დედას ისიც არ უთხრა, როგორ აფრინდა ამონ-რა ჰაერში და სალომეც აიტაცა. „განა მარტო ეშმაკებმა იციან გადატყავებული მუხლების მორჩენა ან ცაში აფრენა? კეთილ ანგელოზებსაც ხომ შეუძლიათ ასეთი რამეები გააკეთონ? ამონ-რა ეშმაკისეული არ უნდა იყოს. მასავით კეთილი სახე მარტო კეთილ ანგელოზებს თუ ექნებათ. ამონ-რა კეთილი ანგელოზია...“ ასე ფიქრობდა იორამი, მაგრამ დედის სიტყვები მაინც ეჭვის ჭიასავით შეუჩნდა და მოსვენებას არ აძლევდა. სად ნახოს იორამმა ამონ-რა, რომ ჰკითხოს, ვინ არის ის. თუ კეთილი ანგელოზია, მაშინ წაიყვანოს თავისთან და ასწავლოს ყველაფერი, რაც თვითონ იცის. თუმცა გაუშვებენ მშობლები იორამს ამონ-რასთან? მშობლებს არც არასდროს უფიქრიათ, რომ ერთადერთი შვილისთვის კითხვა და მეცნიერება ესწავლებინათ. მამა იმასაც კი გაიძახოდა, რომ კითხა ეშმაკების მოგონილიაო, მეცნიერება ეშმაკების საქმეაო. და ვინც ქალაქში კითხვა იცის, მამა ყველას ეშმაკსა და ჯადოქარს ეძახის. ეგენი ცეცხლში დასაწვავნი არიან თავიანთ წიგნებთან ერთადო. დედაც მამის აზრებს იზიარებს. რას იტყვიან ისინი, როცა გაიგებენ, რომ მათ შვილს იორამს კითხვისა და მეცნირების შესწავლა სურს.

ამ ფიქრებში იყო იორამი, როცა ამონ-რას სული მის ეზოში შეფრინდა.

უხილავი სული, რა თქმა უნდა, ვერ დაინახა იორამმა, მაგრამ მისი ფიქრები სულ სხვანაირად შეიცვალა.

იორამს უცბად თვალწინ წარმოუდგა ამონ-რას განათებული სახე. ამონ-რა ულიმოდა მას.

„წამოდი ჩემთან, მე შენ მკურნალობას გასწავლი, ადამიანებს გადაარჩენ!“

„შენ საიდან იცი მკურნალობა?! - უკვირს იორამს, — შენ ჯერ პატარა ხარ, ჩემზე უმცროსიც კი ხარ!“

„მე არ ვიცი, მაგრამ აქ ანდრიას ლაბორატორიაცაა, წიგნები კი ანდრიას ნაწერებია. ერთად ვისწავლით მალამოების დამზადებასა და გამოყენებას!“

„დედამ თქვა, რომ შენ ეშმაკეული ხარ. ამიკრძალა შენთან შეხვედრა. მართლა ეშმაკეულისა ხარ?“

„შენ გულს ჰკითხე, ის გეტყვის“, — უპასუხა ამონ-რამ.

„შენთან რომ მოვიდე, კითხვა და მეცნიერება უნდა ვისწავლო. მამა კი ამბობს, კითხვა ეშმაკის მოგონილიაო, ყველა წიგნი დასაწვავიაო.“

„შენ ხომ თვითონ მთხოვე, წამიყვანე შენთანო, ჰოდა მოდი!“

„გთხოვე, მაგრამ... არ გამომიშვებენ!“ — შეწუხდა იორამი.

„ვინ გაკავებს? ადექი და წამოდი!“

„გამოვიპარო?!“

„ამას გამოპარვა არ ჰქვია. ეს შენი გზაა!“ — რწმენით უპასუხა ამონ-რამ.

იორამი ფეხზე წამოდგა და ირგვლივ მიმოიხედა. სად არის ამონ-რა? ვის ველაპარაკებოდი? მაგრამ ამონ-რა არსად ჩანდა.

ამონ-რას სულმა ბიჭს გულში სიმშვიდე და სითამამე ჩაუნერგა და გადაწყვეტილება მიაღებინა.

„როგორ მოვიდე შენთან, გზა რომ არ ვიცი?“ — ჰკითხა იორამმა.

„იარე, როგორც გულმა გატაროს, და მომაგნებ!“

იორამი ისე გავიდა ეზოდან და ქუჩას გაჰყვა, რომ სიბნელეზე არც უფიქრია. ამონ-რას სულმა ბიჭი გამოქვაბულების ბილიკამდე მიაცილა და შთააგონა: „არ შეგეშინდეს, რწმენით იარე!“

„არ უნდა შეშეშინდეს, რწმენით უნდა ვიარო!“ — უთხრა თავის თავს იორამმა და ბუჩქებში შევიდა. აქედან იწყე-

ბოდა მაღლა მიმავალი ბილიკი. იგი არ ჩანდა, მაგრამ ფეხებს არ უჭირდათ მისი გაგნება.

ამონ-რას სული ახლა კი სალომესთან მიფრინდა. მიეალერსა მძინარე გოგონას და თვალებში სიზმარი შეუგზავნა.

— რა, — ჩაილაპარაკა სიზმარში სალომემ, — ძალიან მომენატრე!

დედამ, რომელიც სალომეს გვერდით იწვა, ყური ცქვიტა: ბავშვს ხომ არ აბოდებსო. ბალიში გაუსწორა და შუბლზე ფრთხილად აკოცა.

— ამონ-რა, იცოდე, დედას გამოვეპარები და შენს გამოქვაბულში მოვალ!

დედას გაუკვირდა, რას ლაპარაკობს ეს გოგოო.

სალომეს სიზმარი კი უფრო ხალისიანი ხდებოდა. ამონ-რამ ხელში აიყვანა სალომე, დატრიალდა და მასთან ერთად ცაში აფრინდა. ისინი მაღლიდან დასცქეროდნენ მთებს, ველებს, სოფლებსა და ქალაქებს. შემოიფრინეს ნახევარი დედამიწა. სიზმარში ყველაფერს ცისფერსხივებიანი მზე ანათებდა. აღტაცებული გოგონა ხანდახან წამოიძახებდა:

— რა ლამაზია! კიდევ შემოუფრინე ამ მთებს! კარგად დამანახე ეს სოფელი!

ცისფერ ველზე ბიჭი ცისფერ ცხენებს აძოვებდა და სალამურზე უკრავდა.

— თუ შეიძლება, დავეშვათ იმ პატარა მწყემსთან და მოვუსმინოთ სალამურის ჰანგებს, — შეეხვეწა სალომე ამონ-რას.

სალომეს დედა ისმენდა ამ სიტყვებს და ვერ გაეგო, რანაირ სიზმარს ხედავდა შვილი. ის იყო გოგონას გაღვიძება დააპირა, რომ ამონ-რას სულმა დედას ძილი მოჰგვარა და მის თვალებშიც კეთილი სიზმარი შეუშვა.

სალომემ დიდად გაიხარა, არასოდეს მოუსმენია არც ასეთი მომხიბვლელი მუსიკა, ტანში რომ ჟრუანტელს ჰგვრიდა, და არც ასეთი ცისფერი ცხვრების ფარა უნახავს, სალამურის ხმაზე ტალღასავით რომ ირწეოდა. შემდეგ სალომე მწყემსი ბიჭის სახემ მიიზიდა და გაკვირვებით წამოიძახა:

— ამონ-რა, როგორ გგავს ეს ბიჭი შენ, ოღონდ ცოტა უფროსია!

ამონ-რამ გაიღიმა და არაფერი თქვა. მწყემსმა ბიჭმაც გაიღიმა. ორივეს ღიმილი რაღაც საიდუმლოს ფარავდა.

— რა გქვია შენ? — ჰკითხა სალომემ ბიჭს.

„გენიდოსი!“ — უპასუხა მწყემსმა. სახეზე კვლავ საიდუმლო ღიმილი დასთამაშებდა.

ამონ-რამ ისევ ღრუბლებში ააფრინა სალომე.

იქ, ძალიან მაღლა, სულ სხვანაირი სოფლები და ქალაქები გამოჩნდა. სალომეს არ შეეძლო სიტყვებით ეთქვა, რას ხედავდა, გული უძგერდა და სიხარულით ევსებოდა.

ამ სიზმარში დატოვა სალომე ამონ-რას სულმა და უფლის გამოქვაბულისკენ გაფრინდა.

ამონ-რა ისევ ისე გაუნძრევლად იწვა, როცა მისმა სულმა გამოქვაბულში შემოანათა. მან ჯერ მადლი შესწირა უფალს, ხატებს ფეხებზე ეამბორა. შემდეგ ნელი და მსუბუქი მოძრაობით ამონ-რას სხეულში შესრიალდა და გაქრა.

ამონ-რამ გაიზმორა. „სად ვარ და ნეტავ რა დროა?“ — გაიფიქრა ბიჭმა.

გარეთ უკვე რიჟრაჟმა დაისადგურა.

თვალები გაახილა და მის წინ კედელზე უფლის გამოსახულება აღიმართა.

ამონ-რა მუხლებზე დადგა და გულიდან მხურვალე ლოცვა აღავლინა, ანდრიას სიყვარული შეუთვალა, ადამიანებს სიკეთე უსურვა, და ამ დროს გარედან ფრთხილი ძახილი მოისმა:

— ამონ-რა, მოვედი შენთან!.. ამონ-რა, მოვედი შენთან!

იორამი?!

ამონ-რამ ყურებს არ დაუჯერა.

საიდან გაჩნდა იორამი?!

ამონ-რას წარმოდგენაც არ ჰქონდა იმაზე, რომ მისმა სულმა იმოგზაურა და ძალები მოსინჯა, შემდეგ მარას და სალომეს მოევლინა სიზმარში, ხოლო იორამს ძნელი, მაგრამ მისთვის მეტად საჭირო გადაწყვეტილება მიაღებინა.

ამონ-რა წამოდგა და იორამის შესახვედრად გაემართა.

მეთექვსმეტე თავი

თუ შენ გაოცება არ შეგიძლია, გასაოცარს ვერაფერში დაინახავ

ამ ბილიკით იორამს არასოდეს უვლია. ამ მთაზე არასოდეს ასულა.

ბავშვები ერიდებოდნენ ამ მთაზე ასვლას. ჯერ ერთი, უფროსები აშინებდნენ, ქვეწარმავლები და ხვლიკები არიანო, გამოქვაბულში ეშმაკები ცხოვრობენო; მეორეც, რატომ უნდა ასულიყვნენ მთაზე, როცა იქ არაფერს კარგს არ ელოდნენ. ამიტომ ქალაქში ყველას გაუკვირდა, ფილოსოფოსი გამოქვაბულში რომ დასახლდა. მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ მთაში, გამოქვაბულში, ფილოსოფოსთან ერთად, შვიდი წლის ბიჭი ცხოვრობსო და ფილოსოფოსი მას კითხვას და მეცნიერებას ასწავლისო, ყველა ალაპარაკდა, რა უნდა პატარა ბიჭს გველებსა და ხვლიკებში, ეშმაკების სამოსახლოში, რად გაწირა ასე დედამ შვილი? — ამბობდნენ ერთნი, ისინი, ვინც ღარიბ მებადურს შორიდან იცნობდნენ და რომლებისთვისაც ფილოსოფოსი ეშმაკის მოციქული იყო, — გამოქვაბულების დიდი ეშმაკი პატარა ეშმაკს წვრთვნისო, — ავყიობდნენ ისინი.

მაგრამ ვინც მარასა და ამონს იცნობდა, ვინც იცოდა, რა კარგი ბიჭი ჰყავდა მებადურს, იმას ცუდს ვერ ათქმევინებდი ანდრიასთან სასწავლებლად გადასახლებულ პატარა ბიჭზე. კითხვასა და მეცნიერებას ისწავლის და კაცი დადგებაო, — ამბობდნენ ისინი. იორამი ქალაქის ბავშვებიდან პირველი იყო, ვინც გამოქვაბულებისკენ მიმავალ ბილიკს მიაშურა. „არ შეშინდე, რწმენით უნდა იარო!“ — ეუბნებოდა თავის თავს იორამი და მიდიოდა ზევით-ზევით, უკუნ ღამესა და სიბნელეში. მიდიოდა იმ რწმენით, რომ გული ატარებდა და ბილიკს არ გადაცდებოდა. იორამი აღარ ფიქრობდა იმაზე, რას იტყოდნენ ან რა დღეში ჩაცვივდებოდნენ მშობლები, როცა დილით ვერ იხილავდნენ ბიჭს, ეზოში ნაბადზე მწოლარეს, და როცა გაიგებდნენ, რომ თურმე ფილოსოფოსთან და მის მოწაფესთან, ანუ სატანებთან (ალბათ, ასე იტყოდა მამამისი) გაპარულა. მოიძულებდნენ შვილს, შინ აღარ შეუშ-

ვებდნენ. იორამი განუდგა ამ ფიქრებს. რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს, ამონ-რა კი სატანა არ არის! — ეს დაიჯერა იორამმა იმ საუბრის შემდეგ, რომელიც მას, ნაბადზე წამოწოლილს, ამონ-რამ გაუმართა. აღარც ის უკვირდა იორამს, როგორ მოხდა, რომ ამონ-რა, რომელიც თავზე ედგა ნაბადთან, უღიმოდა და ესაუბრებოდა, უცბად თვალიდან გაუქრა.

„თვალდახუჭულმა რომ ვიარო, ბილიკს მაინც არ გადავუხვევ", — ფიქრობდა ბიჭი. არც რამის ფაჩუნი აშინებდა, არც ჭოტის კივილი. ლომიც რომ გამოვარდნილიყო საიდანღაც, იორამი დარწმუნებული იყო, ისიც არაფერს დაუშავებდა კეთილ საქმეზე მიმავალ კაცს, მითუმეტეს ბავშვს, არც ლომი და არც მგელი, არც ქვეწარმავალი არაფერს ერჩის. ამ რწმენით მიაბიჯებდა ბიჭი ფეხშიშველა ფეხით, ეკალ-ბარდებიანი ბილიკით მაღლა და მაღლა და სიბნელეში ვერც ხედავდა, რომ მიდიოდა ტყეში, რომელსაც ქალაქელები ახლოსაც არ ეკარებოდნენ. ფეხებში არ ედებოდა ეკალ-ბარდები, ქვები და კუნძები, რადგან ეს ბილიკი სხვაგვარი ბილიკი იყო, — მას კაცი კითხვისა და მეცნიერების გზით მიჰყავდა.

ირიერაჟა, როცა იორამი გულმა გამოქვაბულის წინ დააყენა. ბიჭმა ძლივს დაინახა გამოქვაბულებში შესასვლელი. იქიდან არავითარი ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. იორამმა ფრთხილად და ხმადაბლა დაიძახა:

— ამონ-რა, მოვედი შენთან!.. ამონ-რა, მოვედი შენთან!

იორამმა ცოტახანს მოიცადა, და ისევ აპირებდა დაძახებას, როცა ამონ-რა გამოქვაბულიდან გამოვიდა.

— იორამ, როგორ მოხვედი აქ? ვინ გასწავლა გზა? ღამით მოდიოდი?

— შუაღამის მერე მოვდივარ! — უპასუხა იორამმა, — შენ ხომ მითხარი, გული გასწავლის გზასო. გულმა მომიყვანა! — უპასუხა იორამმა.

— მერე რატომ მოხვედი?

— როგორ თუ რატომ? შენ ხომ მითხარი, წამოდი ჩემთანო? კითხვასა და მეცნიერებას გასწავლის ანდრიაო. იმიტომ მოვედი, შენ დამპირდი, მკურნალს გაგხდიო!

ამონ-რამ ვერ გაიხსენა, როდის დაპირდა იორამს, მკურნალს გაგხდიო, ან როდის მოიწვია ის გამოქვაბულებში.

— ანდრია წავიდა! — ანდრიასავით მშვიდად თქვა ამონ-რამ, — ანდრია აღარ მოვა!

— მაშ ვინ მასწავლის კითხასა და მეცნიერებას? — შეწუხდა იორამი.

— არ ვიცი! — დაფიქრებით თქვა ამონ-რამ და ქვაზე ჩამოჯდა. იორამიც მის პირდაპირ დაჯდა ქვაზე.

აღმოსავლეთი მხარე თანდათან წითლდებოდა. მზე ამოსასვლელად ემზადებოდა.

იორამი საგონებელში ჩავარდა. „შინ არ დავბრუნდები, — ფიქრობდა ბიჭი, — მაგრამ სხვაგან ვისთან წავიდე, რომ კითხვა და მეცნიერება მასწავლოს?"

ამონ-რაც ჩაფიქრდა: „ვასწავლი იორამს კითხვას და მეცნიერებას. ანდრიამ თქვა — იორამი კარგი ბიჭია, ასწავლე იმდენი, რამდენსაც შეძლებსო. ვასწავლი, მაგრამ მე ხომ არ ვეტყვი, რომ მისი მასწავლებელი ვიქნები? იორამი ჩემზე უფროსია, შეიძლება ეწყინოს."

იორამი კი ამ დროს სწორედ ამას ფიქრობდა: „ამონ-რამ უკვე იცის კითხვა და მეცნიერება. ვთხოვ, რომ მასწავლოს."

— ამონ-რა, იყავი ჩემი მასწავლებელი, — გულწრფელად წარმოთქვა იორამმა, — ერთგული და ბეჯითი მოწაფე გეყოლები!

ამონ-რამ ანდრიასეული სიმშვიდითა და უბრალოებით უპასუხა:

— კარგი, ვიქნები, თუ შენ გინდა!

— მინდა, ძალიან მინდა! — გაუხარდა იორამს.

ამონ-რა წამოდგა და გამოქვაბულში შევიდა. მალე დოქი და ორი ჯამი გამოიტანა. ორივე ჯამი ყვავილოვანი სითხით შეავსო.

— დალიე! — გაუწოდა ჯამი იორამს.

იორამმა ჯამი გამოცალა და გაბრწყინებულმა შეხედა ამონ-რას.

— რა დამალევინე?

— მოგეწონა?

— ძალიან, მაგრამ რა არის?

— ის, რაც გჭირდებოდა, რომ ღამენათევმა და ნამგზავრმა ძალები მოიკრიბო და საქმეს შევუდგეთ. მაგრამ, ჯერ მითხარი, როგორ მოხვედი ამ სიბნელეში?

ამონ-რა კმაყოფილი იყო, რომ იორამმა სწავლისა და მეცნიერების წადილით ასეთი სიძნელე გადალახა, მაგრამ

გამოუცდელი ბიჭისთვის მთის ბილიკით სიარული საშიში იყო.

— ხომ გითხარი, გულმა მომიყვანა მეთქი. ასე არ მასწავლე შენ? ჩემს წინ უჩინრად იდექი, მესაუბრებოდი და მარწმუნებდი, მკურნალს გაგხდიო, შემდეგ კი უცბად გაქრი. მეც დაუყოვნებლივ გამოგყევი შენ, მაგრამ როგორ ამომასწარი? ალბათ, სირბილით მოდიოდი!

ამონ-რა ჩააფიქრა იორამის ნათქვამმა. აშკარა იყო, იორამმა რაღაც მოჩვენება იხილა, მაგრამ ალარ გაჰყვა ვითარების გამორკვევას, რადგან ეს მისთვის არ იყო მთავარი.

— კარგი, სხვა დროს გავარკვიოთ ეს, ახლა კი საქმეს შევუდგეთ. გამომყევი!

ამონ-რამ იორამი თავის გამოქვაბულში შეიყვანა, რომლის კედლები და გუმბათი ანდრიას მიერ ასოებით, ტექსტებით, სურათებით, ვარსკვლავებიანი ცით იყო მოხატული. მზის პირველი სხივები გამოქვაბულში შემოიჭრნენ და იქაურობა გაანათეს.

იორამი გაოცდა.

— ამონ-რა, ყველაფერს მასწავლი, რაც აქ წერია და ხატია?

— შენ თვითონ ისწავლი. მე მხოლოდ დაგეხმარები. ამას კი არა, ბევრ სხვა რამესაც ისწავლი.

ამონ-რამ აცალა, რომ იორამს კედლები დაეთვალიერებინა. შემდეგ თავისთან მოიხმო და ჩურჩულით, რომ იორამის მეტს არავის გაეგო, თითქოსდა გამოქვაბულში მათ გარდა სხვა ვინმეც იყო, ჩურჩულით და ანდრიასეული ხმით დაიწყო:

— ეს ის მთაა, რომლის გულშიც ჩვენ ვართ. აქ არის ჩვენი გამოქვაბულები. აი კიდევ სხვა მთა, რომლის იქიდან მზე ამოდის. შეხედე მზეს...

ასე შეუდგა იორამი კითხვისა და მეცნიერების გზას.

ამონ-რამ უკვე იცოდა, რომ ეს გზა იოლი არ იყო, მაგრამ ანდრიასგან ახსოვდა, რომ ამ გზაზე სწრაფად, ხალისიანად და ნაყოფიერად მიდის ის, ვისაც გაოცება შეუძლია. ანდრიამ გაოცების საიდუმლოც აუხსნა ამონ-რას.

ერთხელ ანდრიამ ამონ-რა ბილიკზე გააჩერა და ყვავილი დაანახვა.

— გინახავს ასეთი ყვავილი?

— კი, ჩვენს ბილიკზე ბევრია ასეთი ყვავილი! — უპასუხა ამონ-რამ.

— რა იცი მაგ ყვავილის შესახებ?

ამონ-რამ ვერაფერი უპასუხა: ყვავილის არც სახელი იცოდა და არც სხვა რამ.

— რას ხედავ მასში გასაოცარს? — ჰკითხა ისევ ანდრიამ.

ამონ-რა ყვავილს დააკვირდა.

— არაფერს, ჩვეულებრივი ყვავილია.

— დაიხსომე, ჩემო ბიჭო, — უთხრა ანდრიამ მშვიდი და ალერსიანი ხმით, — არც დედამიწის ზურგზე და მის სიღრმეებში, არც ცასა და სამყაროში არაფერი არ არის ჩვეულებრივი. ირგვლივ ყველაფერი არაჩვეულებრივია. ადამიანებმა ყველაზე ცოტა იციან იმის შესახებ, რაც ჩვეულებრივად ეჩვენებათ და ვერც ვერასოდეს გაიგებენ ბევრს, ვიდრე არ მიხვდებიან, რომ ყველაფერი არაჩვეულებრივია. შენც არაჩვეულებრივი ხარ, აი, ის ღრუბელიც არაჩვეულებრივია, ეგ ყვავილიც არაჩვეულებრივია.

— მაშ, რატომ არ მაოცებს ეს ყვავილი? — ჰკითხა ამონ-რამ.

— რატომ უნდა გაგაოცოს ყვავილმა? ყვავილმა კი არ უნდა გაგაოცოს, არამედ შენ უნდა გაოცდე და ყვავილიც გააოცო. თუ შენ გაოცება არ შეგიძლია, გასაოცარს ვერაფერში დაინახავ და ვერც ვერაფერს ჩაუღრმავდები.

ამონ-რა უცბად ვერ მიუხვდა მასწავლებელს.

ანდრიამ ყვავილთან ჩაიმუხლა.

— მოდი, გაოცება ვისწავლოთ. ჯერ სიტყვის აზრი ამოვიცნოთ: გა-ოც-ება. როცა გა-ოც-ებული ხარ, ეს ნიშნავს, რომ შენში მაშინ ერთი ამონ-რა ოცად იქცა, რადგან ერთმა ამონ-რამ ვერ შეძლო სინამდვილის შეცნობა. ოცად ქცეული ამონ-რას ოცი გულისყური, ოცი თვალი, ოცი ფიქრი ერთად შეესევა საგანს და ყველაფერს მოუსინჯავს, საგანსაც ოცად აქცევს, რომ ყოველმა ამონ-რამ გულისყურით შეიცნოს იგი.

მასწავლებელმა ყვავილი მოწყვიტა და მოწაფეს გაუწოდა.

ამონ-რა ყურადღებად იყო ქცეული.

— ამისთანა ყვავილი მართლაც ბევრია ჩვენს ბილიკზე, — გააგრძელა ანდრიამ, — თვალშიც ხშირად გვხვდება, მაგრამ რა ვიცით მის შესახებ? არაფერიც არ ვიცით, გარდა

იმისა, რომ ამ ყვავილს სხვა ყვავილებში არ ავურევთ. თუ არ გაოცდები და ამ ყვავილსაც არ გააოცებ, ჩვენი ცოდნა ამით დამთავრდება. ახლა სცადე, რომ ოცად იქცე და ეს უბრალო და ჩვეულებრივი ყვავილი, რომელიც შენს თვალს არ იზიდავს და არაფრით გაკვირვებს, შენს ოცივე ამონ-რას მიეცი შესასწავლად. ერთი ფერს დაუკვირდეს. რას გვეტყვის ეს ამონ-რა? იმას გვეტყვის, რომ ამ ყვავილს მეტად მდიდარი ფერები აქვს, ხოლო თუ ყვავილს ხელით გასრეს, თითზე დიდხანს ვერ მოიცლი ცისფერ ლაქას. ხომ არ გამოგვადგება ეს ყვავილი საღებავების დასამზადებლად? მეორე ამონ-რამ გემო გაუსინჯოს და გამოიკვლიოს საკვები თვისებები, იქნებ მისგან სანელებლები დამზადდეს? მესამემ ყვავილის სურნელი შეისწავლოს — იქნებ ნელსაცხებლების დასამზადებლად გამოდგეს? მეოთხემ ღეროს წვენი იკვლიოს და გამოსცადოს — გამოდგება თუ არა ჭრილობების სამკურნალოდ? მეხუთემ ფესვები შეისწავლოს — გაახმოს, დაფქვას, სხვა მცენარეთა ნაყენში შეურიოს, იქნებ გულის ფრიალის წამლად გამოდგეს? მეექვსემ ადგილი შეისწავლოს — სად და რა პირობებში ხარობს ეს ყვავილი. მეშვიდემ... მერვემ... მეოცემ... ოცივე ამონ-რა შემდეგ მთავარ ამონ-რას მოახსენებს, რა გაიგო და დაადგინა ბილიკის უბრალო ყვავილზე. ამ გზით მთავარ ამონ-რას დაუგროვდება მრავალმხრივი ცოდნა, რომელსაც გაიაზრებს და სხვასაც გაუზიარებს. სხვებიც თავიანთი გაოცებით გაამდიდრებენ მას. ცოდნას მხოლოდ ის ადამიანები აღმოაჩენენ, რომლებმაც გაოცება ისწავლეს. გაოცებული ადამიანი სიღრმეში მიიწევს, ის კი, ვისაც გაოცება არ შეუძლია, ცოდნის სიღრმეში ერთი მისხალითაც ვერ ჩააღწევს.

ანდრია ცოტახანს გაჩუმდა და აცალა ამონ-რას, რომ ნათქვამი შეეთვისებინა. შემდეგ დაასრულა:

— მე კიდევ ბევრჯერ დამჭირდება გაოცება, რომ ეს ბილიკის შეუმჩნეველი ყვავილი უფრო ღრმად შევიცნო. ახლა კი ის ვიცი, რომ ამ ყვავილისგან შეიძლება დამზადდეს სითხე, რომელიც დაღლილობას გაგიქრობს და ძალებს შეგმატებს.

— შენ რომ დამალევინებ ხოლმე ჯამით? — ჰკითხა გაკვირვებულმა ამონ-რამ.

— ჰო, ის სურნელოვანი, ყვავილოვანი სასმელი აი ამ ვითომდა ჩვეულებრივი ყვავილისგან მზადდება.

ამონ-რამ ყვავილს დასუნა და მის ნაზ სურნელში იგრძნო ნაცნობი, მომხიბვლელი სურნელება.

ამ საუბრის შემდეგ ამონ-რამ უფრო სწრაფად გაამრავლა და გააღრმავა თავისი ცოდნა, რადგან ყველაფერს ოცად ქცეული გულისყურით სწავლობდა.

— ცოდნას ძირი არ ჰქონია, ანდრია! — გაანდო ერთხელ თავისი აღმოჩენა მასწავლებელს.

მაშინ ანდრიამ უთხრა:

— ცოდნას არც ძირი აქვს და არც ნაპირები. მთავარია, ადამიანმა გაორება გადალახოს, როცა დაბნეული იყურება აქეთ-იქით და ვერ გაუგია, რა ხდება მის ირგვლივ. თუ გაორებას გადალახავს, გაოცებას ადვილად მიაღწევს. მაგრამ თუ სინამდვილეს გაასებული და გაათასებული გულისყურით შეხედავ, მაშინ ქვეყანას ბრძენად მოევლინები.

ეს ყველაფერი კარგად შეითვისა ამონ-რამ და ახლა იორამს თავად ასწავლიდა გაოცებას.

დღე დღეს მიჰყვებოდა, კვირა კვირას და ექვსი თვე ერთ დიდ გაკვეთილად იქცა.

პატარა მასწავლებელი წინ მიუძღოდა უფროს მოსწავლეს, ხოლო უფროსი მოსწავლე გაოცების კიბეზე სკუპ-სკუპით მიხტოდა.

ამონ-რამ იორამი ანდრიას ლაბორატორიაში გადაიყვანა. აქ მათ ერთად შეისწავლეს სხვადასხვა მალამოსა და წამლის დამზადება. ანდრიას ყველაფერი ზუსტად ჰქონდა აღწერილი, და ბიჭებს არ უჭირდათ გარკვეულიყვნენ მის რჩევა-დარიგებებში. შუადღემდე ისინი მთის ფერდობზე და ტყეში სამკურნალო ბალახებს აგროვებდნენ, შუადღის შემდეგ კი გვიანობამდე ლაბორატორიაში წამლებსა და მალამოებს ამზადებდნენ, თიხის პატარა ქილებში ასხამდნენ და თაროებზე აწყობდნენ.

იორამს ძალიან მოსწონდა ეს საქმე და ანდრიას სამკურნალო წიგნები რამდენჯერმე გულმოდგინედ გადაიკითხა.

მეჩვიდმეტე თავი

უკვე რვა წლის გახდი, შვილო, როგორ გაიზარდე

ექვსი თვის თავზე ამონ-რამ იორამს განუცხადა:

— გვეყოფა წამლებისა და მალამოების დამზადება, დროა ადამიანებს ვუმკურნალოთ.

იორამს გაუხარდა.

იორამმა ამონ-რასგან ისიც ისწავლა, რა უნდა გახარებოდა. ის კი არ გაუხარდა იორამს, რომ ქალაქში თავს გამოიჩენდა თავისი ცოდნით და ყველა მასზე ალაპარაკდებოდა; ან მშობლებს გამოეჭიმებოდა და ეტყოდა: აი, ხედავთ, როგორი ნასწავლი დაგიბრუნდითო; ან მკურნალობისთვის ფულს მისცემდნენ და გამდიდრდებოდა. ამონ-რამ აუხსნა იორამს, რომ მათ მკურნალობის ცოდნა არვისგან უყიდიათ და არც გაყიდვის უფლება ჰქონდათ.

იორამს ის უხაროდა, რაც უნდა გახარებოდა: ავადმყოფს წყლულებისგან გაათავისუფლებდა, ხეიბარს ფეხზე დააყენებდა, ბრმას თვალებს აუხელდა, ყრუს სმენას მოჰგვრიდა. უხაროდა, რომ ადამიანებს გაახარებდა.

ბიჭებმა წამლებისა და მალამოების ქილები აბგებში ჩააწყვეს და დილაადრიან გამოქვაბულიდან დაღმართს დაუყვნენ. შუადღეც არ იქნებოდა, როცა ქალაქის პირველ უბანში შევიდნენ. აქაურმა ბავშვებმა, რომლებიც კვლავინდებურად ქუჩაში თამაშობდნენ, იცნეს ამონ-რა, და როცა მის გვერდით იორამი დაინახეს, დიდად გაიკვირვეს.

— იორამ, შენ მშობლებს მკვდარი გონიხარ!

— იორამ, ხმა გავარდა, რომ შენ ღამით მგლებმა დაგლიჯეს! — ეუბნებოდნენ ბიჭები იორამს.

ზოგიერთები მის მშობლებთან მახარობლად გაიქცნენ. „ცოცხალია თქვენი იორამი, ცოცხალია!“ — უნდოდათ შორიდანვე შეეძახათ, რათა გაეხარებინათ ისინი. ყველას კი ქვასროლია დიდმა ბიჭმა გაუსწრო. გარბოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, რომ ყველაზე პირველს დაეყვირა: „თქვენი შვილი სატანასთან გაამხანაგებულა, სატანაა თქვენი შვილი!“

ამონ-რა და იორამი ბიჭების გუნდთან ერთად ქალაქის მთავარ მოედანზე მივიდნენ და ხის ჩრდილქვეშ დაბანაკდნენ.

— შეატყობინეთ ხალხს, ვინც ავადმყოფია, მოვიდეს და ვუმკურნალებთ! — უთხრა იორამმა ბიჭებს და ისინიც მთელს ქალაქს მოედნენ ძახილით: ვისაც რამე გტკივათ და გაწუხებთ, მოედანზე მოდით, მკურნალები მოვიდნენო.

ამონ-რამ და იორამმა აბგებიდან ქილები ამოალაგეს და ფრთხილად დააწყვეს დიდ თეთრ საჯილდაო ქვაზე.

ამასობაში მოედანზე ავადმყოფებიც შეიკრიბნენ და სეირის მოყვარულებიც.

როცა რამდენიმე შუახნის კაცმა და ქალმა მკურნალად პატარა ბავშვები დაინახეს, ძალიან შეიცხადეს და კიდეც გაუბრაზდნენ ბავშვებს: როგორ არ გრცხვენიათ, გვატყუებთ და გვამასხარავებთ, თქვენი ტოლები ხომ არ გგონივართო. უკან გაბრუნდნენ და გზადაგზა სხვებსაც აფრთხილებდნენ: არ დაიჯეროთ, ბავშვების ოინებია ყველაფერიო.

მიუხედავად ამისა, მაინც მოვიდა რამდენიმე ხანდაზმული ადამიანი. მოვიდნენ დედებიც, რომლებმაც ავადმყოფი ბავშვები მოიყვანეს.

— შვილებო, რანაირი მკურნალები ხართ? — დაეჭვებით ჰკითხა ამონ-რას და იორამს ერთმა მოხუცმა, რომელიც ორ ყავარჯენზე იდგა.

— პაპავ, გამოგვცადე! — უპასუხა იორამმა.

— მაშ, აი, სახსრები მტეხავს, დავიტანჯე კაცი, ძლივს მოვაღწიე თქვენამდის, მეგონა, მართლა მკურნალები გამოჩნდნენ მეთქი ჩვენს ქალაქში, აქ კი ბუბუმწოვარა ბალღები გნახეთ. რას უნდა ველოდო თქვენგან?

— პაპავ, გამოგვცადე! — ისევ გაუმეორა იორამმა.

მოხუცმა ხელი ჩაიქნია:

— კარგი, ეგრე იყოს!

ამონ-რამ და იორამმა მოხუცს სახსრები გაუსინჯეს. „ხელს მაგრად ნუ მიჭერთ, მტკივა!“ — იძახდა მოხუცი. ბიჭებმა ერთმანეთში რაღაც მოითათბირეს. შემდეგ იორამმა ქვაზე დაწყობილი ქილებიდან ერთი ამოარჩია და მოხუცს გაუწოდა.

— პაპავ, შენი ხელით წაისვი ეს მალამო იმ ადგილებში, სადაც გტკივა.

მოხუცმა ეჭვით ჩამოართვა ქილა იორამს და ვიდრე მალამოს ისვამდა, ამონ-რა და იორამი ერთ-ერთ დედას მიუტრიალდნენ: რა სჭირს ბავშვს?

ქალს სამიოდე წლის გოგონა ეჭირა ხელში. ბავშვი გადადებულს ჰგავდა, სიცხისგან იწვოდა. მუცელი გასიებული ჰქონდა.

— უკვე მესამე დღეა, სიცხე არ უვარდება, კუჭიც ვერ მოქმედებს!

დედა ტიროდა.

ბავშვი იორამმა გასინჯა. ამონ-რას რაღაც უჩურჩულა. შემდეგ ორი ქილა აიღო. ერთიდან კოვზზე წამალი დაასხა, ბავშვს პირი გაუხსნა და დაალევინა. მეორედან მალამო წაუსვა მუცელზე, ბეჭებზე, შუბლზე.

სეირის მოყვარულები ეჭვიანი ღიმილით ადევნებდნენ თვალყურს ბიჭების მკურნალობას.

ამ დროს ყავარაჯნიანმა მოხუცმა ყველას გასაგონად დაიძახა:

— ხალხნო, ტკივილმა გამიარა! აი, ნახეთ!

მოხუცმა ყავარჯნები სხვას დააჭერინა და ნელი მოძრაობით ფეხზე წამოდგა, რამდენიმე ფრთხილი ნაბიჯი გადადგა და ისევ დაიძახა:

— ხალხნო, არ მტკივა! დამიჯერებთ?

მოხუცებული ერთდროულად გახარებულიც იყო და გაოცებულიც.

ამონ-რა და იორამი ისე იყვნენ დაკავებულნი პატარა გოგონათი, რომ მოხუცს საკმაო ყურადღება ვერც მიაქციეს. მას კი იორამის გულში ჩახუტება უნდოდა.

— შენ გაიხარე, შვილო! შენ გენაცვალე, ბიჭო! — იძახდა მოხუცი და იორამისკენ იწვდიდა ხელებს.

ამონ-რა და იორამი ახლა ქალს სინჯავდნენ. ის თავის ტკივილებს და გულის ფრიალს უჩიოდა.

ამასობაში გამოირკვა, რომ გოგონას სიცხე დაუვარდა. ბავშვს მუცლის ტკივილიც გაუქრა და გამოცოცხლდა. ახლა ბავშვის დედა, გახარებული და გაბედნიერებული, ცდილობდა ამონ-რასა და იორამს მოფერებოდა.

— გმადლობთ, გმადლობთ, შვილებო, თქვენ გადამირჩინეთ ჩემი გოგონა! — გაიძახოდა ცრემლმორეული ქალი.

ავადმყოფების რიგი გაიმართა.

ამონ-რა და იორამი დაუღლელად და ხალისით მუშაობდნენ. სეირის მოყვარულებს ეჭვიანი ღიმილი გაუქრათ და მხოლოდ გაკვირვებას გამოხატავდნენ სახითაც და შეძახილებითაც. ამონ-რამ ვერ შენიშნა, რომ ხალხში დედამისიც იდგა და შვილის საქმიანობას ადევნებდა თვალყურს. დედის გული სიამაყით ივსებოდა, როცა განკურნებული მორიგი ვინმე — კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ყველას ხმამაღლა აუწყებდა: მეშველაო, დამიამდაო, თავს უკეთ ვგრძნობო. ერთი სული ჰქონდა, როდის დამთავრდებოდა მკურნალობა, რომ შვილს მოფერებოდა და სახე დაეკოცნა. ამ დროს მოულოდნელი რამ მოხდა: ერთმა ხელკეტიანმა შეკრებილნი გაარღვია და იორამს დაადგა.

— მამა! — სიხარულით წამოიძახა იორამმა, მაგრამ ავადმყოფს სინჯავდა და მამას ვერ გადაეხვია. ან როგორ გადაეხვეოდა, როცა ხელკეტიანი რისხვით შესცქეროდა შვილს.

— მაშ, შენ ცოცხალი ხარ! — დაუღრიალა კაცმა იორამს, — ცოცხალი ხარ და ხალხსაც მკურნალობ, არა. მაშ შენ ამ ეშმაკის ფეხს გადაეკიდე!

— მამი, — შიშითა და მუდარით შესძახა იორამმა, — დამშვიდდი, მამი! ცოცხალი ვარ, ეს კი ეშმაკის ფეხი არ არის, მეცნიერია!

— შენც მეცნიერი გაგხადა მაგან? თავისკენ გადაგიბირა, არა! შენც სატანა გახდი!

ხალხი დაბნეული შესცქეროდა მამა-შვილს.

— მამი, მამი! — ევედრებოდა იორამი და მამის დამშვიდებას ცდილობდა. მაგრამ გაავებულ, გაცოფებულ კაცს არაფერი ეყურებოდა.

— მე შენ გაჩვენებ, რა მეცნიერიც ხარ! — და კეტი გამეტებით მოიქნია, იორამს უმიზნებდა, მაგრამ მის გვერდით მდგარ ავადმყოფ ქალს დასცხო და თავი გაუტეხა.

— მამიიი... რა ჩაიდინე, — სასოწარკვეთით ყვიროდა იორამი.

— მოკლა ქალი... დაიჭირეთ... დაიჭირეთ! — ყვიროდა ხალხი.

მამამ ისევ მოუქნია კეტი შვილს, ისევ ააცდინა და ახლა პატარა ბიჭს მოსტეხა ფეხი.

ბიჭმა გულსაკლავად შეჰკივლა.

ხალხი გამწარდა: ვილაცამ ქვა ესროლა ხელკეტიანს, კიდეც მოარტყა, მაგრამ მას არაფერი უგვრძვნია.

— გააჩერეთ ეგ გიჟი... დაიჭირეთ... ნუ გეშინიათ, მიდით... — აქეზებდნენ უკანანი წინ მდგომებს, მაგრამ ხელკეტიანთან და გაცოფებულთან შებმას ვერავინ ბედავდა.

იორამი სულაც არ გაურბოდა მამას, მარტო მუდარით გაიძახოდა:

— მამიიი.. დაწყნარდი, მამიიი..

მამამ საჯილდაო ქვაზე დაწყობილ ქილებს მოჰკრა თვალი. მოუჭნია კეტი და ყველა ქილა ერთიანად მილეწა.

— ეს რა ჰქენი, მამიიი... — გამწარდა იორამი და დამსხვრეულ ქილებთან ჩაიჩოქა, — რად გაანადგურე წამლები, მამიიი... როგორღა ვუშველოთ ამ ხალხს?! — ბღაოდა იორამი და ქილების ნამსხვრევებს ეფერებოდა.

მამამ კეტი შემართა და ნამსხვრევებთან დაჩოქილი შვილისაკენ გაიწია.

— გააჩერეთ, გააჩერეთ... — ყვიროდნენ აქეთ-იქიდან, — არ მიუშვათ, მოკლავს...

იორამმა თავი ასწია და სახეში შეხედა მამას — გამძვინვარებული კაცი მხეცს ჰგავდა. იორამს არც უცდია განზე გაწეულიყო და კეტი აეცდინა. კეტსაც თვალი გაუსწორა, მამასაც და ორივეს შეჰღრიალა:

— რას ერჩოდით ამ ქილებს, რად დაამსხვრიეთ?!

და ამ დროს საშინელი დარტყმა იგრძნო, თითქოს საჯილდაო ქვა დაეცა შუბლშიო.

იორამი გადაიქცა და გახეთქილი თავიდან სისხლი წასკდა.

— მოკლა შვილი მაგ გიჟმა... შვილი მოკლა... — აყვირდა ხალხი.

— დაიჭირეთ, გათოკეთ!

რამდენიმე ახლგაზრდა უკნიდან მიეჭრა ხელკეტიანს. ის კი ამ დროს ამონ-რას უყვიროდა.

— არც შენ დაგტოვებ ცოცხალს, შე გველის წიწილო!.. — შეუყვირა და მთელი ძალით მოუქნია კეტი.

არც ამონ-რას უფიქრია აეცდინა კეტი, ის მხოლოდ ერთზე ფიქრობდა, იორამისთვის ეშველა.

— მაგასაც მოკლავს... — ყვიროდა ხალხი და ერთმანეთს ეხეთქებოდა.

ამ არეულობაში ვერავინ შენიშნა, როგორ ან რანაირი სისწრაფით გაჩნდა მარა შვილთან და წინ გადაეფარა. კეტმა ქალს საფეთქელი გაუხეთქა და ძირს დასცა.

— დედა, დედა!

ამონ-რამ ძირს დაცემულ ქალს დახედა და კინაღამ თვალთ დაუბნელდა.

— დედა, დედა... — გულზე დაემხო ამონ-რა დედას, — დედა, ჩემო ტკბილო, საყვარელო დედა!

ვიღაცამ მოასწო და გაგიჟებულ კაცს სარმა გამოსდო. კაცი გადაიქცა და კეტი ხელიდან გაუვარდა. რამდენიმე კაცმა მაშინვე მაღლა ასწია და მთელი ძალით ზურგით საჯილდაო ქვაზე დაანარცხა. კაცმა ტკივილისგან დაიღრიალა და სცადა ფეხზე წამოვარდნილიყო, რომ ყველასთვის სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ ისევ დაეცა და სიმწრისაგან სახე დაეგრიხა.

ვინ იორამს მივარდა და მობრუნება დაუწყო.

ვინ თავგახეთქილ ქალს ასულიერებდა.

ზოგი ფეხმოტეხილ შვილს შველოდა.

მარას გარშემოც შეიკრიბა ხალხი.

უპატრონოდ მარტო წელგატეხილი კაცი ეგდო და სიმწრისაგან ბღაოდა.

სისხლი მარას თვალებში ჩამოსდიოდა.

ამონ-რა ტიროდა და ხელით უწმენდდა მარას სისხლს.

მარამ სისხლიანი თვალები გაახილა და შვილს გაუღიმა. ამონ-რამ დედის გულიდან წამოსული სიყვარულის ნაკადი იგრძნო.

— დედა, ჩემო კარგო დედა... — ტიროდა ამონ-რა.

მარამ კიდევ გაიღიმა.

— ნუ ტირი, შვილო... — ამოილაპარაკა მან.

ამონ-რა ცოტათი დამშვიდდა.

— უკვე რვა წლის გახდი, შვილო... როგორ გაიზარდე... სიზმარში გნახე და მიამბობდი, რა გასწავლა ანდრიამ... — მარა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, — ხალხსაც მკურნალობ...

ამონ-რა ხედავდა, როგორ ჟონავდა მარას სახიდან ცისფერი ცეცხლი.

მარა გაჩუმდა და ძალა მოიკრიბა.

— მაკოცნინე შუბლზე, შვილო....

ამონ-რამ შუბლი დედას ტუჩებთან მიუტანა. დედის ამბორმა გულში სითბო და სინათლე ჩაულვარა. მარას თავი გვერდზე გადაუვარდა.

— გათავდა... — თქვა ვიღაცამ.

— სული დალია საწყალმა... — წუხილით ჩაილაპარაკა მოხუცმა ქალმა.

— ჰო, მოკვდა... — თითქოს ვიღაცას უხსნისო „სული დალიას“ მნიშვნელობას, ისე თქვა შუახნის კაცმა.

პაპამ კი, რომელმაც წელან ყავარჯნები გადაყარა, მთელი ცხოვრების ფილოსოფია მოიმარჯვა და დინჯად, ყველას გასაგონად, თანაც ისე, რომ ყველამ იგრძნო, რაღაც საიდუმლოს გვანდობსო, წარმოთქვა:

— არც დაიღუპა, არც სული დალია, არც მოკვდა... ეს ქალი გარდაიცვალა... გარდაიცვალა ეს ქალი... ნათელი დაადგეს, იქ, სადაც გადავიდა...

მაგრამ სად გადავიდა მარა, არც პაპამ იცოდა და არც სხვებმა.

და ვერც ვერავინ დაინახა, როგორ გადადიოდა მარა ციურ სამყაროში.

მარტო ამონ-რას სულმა იცოდა, რაც ხდებოდა.

ამონ-რას თითქოს თვალთ დაუბნელდა და კიდეც დაყრუვდაო — გარშემო ვერაფერს და ვერავის ხედავდა და არც არაფერი ესმოდა. სხვა რამეს ხედავდა ამონ-რა.

მარას სხეულიდან მსუბუქად ამოსრიალდა ნაზი, ცისფერი ნათება და ამონ-რას დაადგა თავს. ამონ-რამ გაიღიმა და მისკენ ხელები გაიშვირა.

„დედა, გაფრინდი მაღლა, მაღლა... სულ მაღლა, ყველაზე ლამაზ ვარსკვლავზე... იქ გელიან, დედა, იქ მოვფრინდები მეც...“ — უსიტყვოდ, ფიქრით ესაუბრებოდა ამონ-რა მარას სულს, რომელსაც არ უნდოდა შვილთან განშორება. „არ შეგეშინდეს, დედა... სიკვდილი არ არსებობს, ასე მასწავლა ანდრიამ. ეს შენი მიწიერი სხეულია, დედა, აქ რომ წევს. ეს სხეული აღარ გჭირდება, ასე მასწავლა ანდრიამ. შენ სხვა სხეული გაქვს უკვე, დედა, სხვა სახელი გქვია მანდ, აქ მარა იყავი, ციურ სამყაროში კი შენი უკვდავი სახელით გიცნობენ, ასე მასწავლა ანდრიამ... ანდრიამ მასწავლა, რომ ცეცხლოვან სამყაროს მხოლოდ ნათელი სულები აღწევენო, დედა, შენი სული კი ნათელია... უზენაესს ესწ-

რაფვე, დედა, ღმერთს ესწრაფვე, ეს მასწავლა ანდრიამ... მან ბევრი რამ მასწავლა, ამიტომ მე დიდი ვარ უკვე... გაფრინდი, დედა... ჰო-ჰო, ასე... რა ლამაზად ფრენ... ხედავ, ამონის სულიც გამოჩნდა, შენს შესახვედრად მოფრინდა, დედა...“

ამონ-რას სახე ზღვა სიხარულით ბრწყინავდა. ვინც უყურებდა, გაოგნებული იყო: სად იყურება ეს ბალღი, ან რა დაემართაო. ზოგმა ჩაიჩურჩულა, ნამდვილად შეიშალაო, და შეშინებულმა უკან დაიხია.

ამონ-რა უცბად გამოერკვა. დედის სხეულს დახედა, სახეზე და თმებზე ხელი გადაუსვა და თვალები დაუხუჭა.

„იორამი“, — გაუელვა თავში და იქ გადაინაცვლა, სადაც ხალხი იორამს ეხვეოდა.

იორამს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

ერთი ქალი შუბლს უწმენდდა, სისხლი კი არ წყდებოდა. მეორე ჩასძახოდა: იორამ, იორამო! ზოგი ჩურჩულით ამბობდა — მოკვდაო.

ბავშვები შეშინებული თვალებით დასცქეროდნენ თავგახეთქილ და დასისხლიანებულ ბიჭს.

— გაიწიეთ! — დინჯად, მაგრამ მკაცრად უთხრა ყველას ამონ-რამ.

ხალხი გაიწ-გამოიწია, და ამონ-რა იორამთან მიუშვეს.

— მაცალეთ! — გააფრთხილა ქალები, რომლებიც თავს ადგნენ იორამს, სისხლს სწმენდნენ და თან ჩასძახოდნენ: იორამ, იორამ!

ამონ-რამ მზერა იორამს მიაპყრო.

„არ შეიძლება იორამი მოკვდეს... გადაარჩინე იორამი! — ჩაესმა ამონ-რას ყურში. ანდრიას ხმას ჰგავდა. ანდრიას ხმა ამონ-რას გულის ძახილი იყო.

„როგორ გადავარჩინო? აღარ მაქვს მალამოები!“ — უპასუხა ამონ-რამ.

„შენ ხარ მალამო. ნუ დააყოვნებ! იმოქმედე!“ — თითქოს უბრძანაო გულმა თუ ანდრიამ.

ამონ-რამ თვალები დახუჭა, ორივე ხელი იორამს თავზე დაადო და გულს მიმართა:

„გადავარჩინოთ იორამი... იორამი კარგი ბიჭია... იორამი მკურნალია...“

ამონ-რამ მთელ კეთილ გრძნობებს — სიყვარულს, სიბრალულს, თანაგრძნობას, იმედს, რწმენას, თავგანწირვას,

ერთგულებას, სიხარულს, აღტაცებას, ზრუნვას, სილამაზეს გულში მოუყარა თავი. სხეული და სული ლიმონივით ჩაწურა გულში. გული გაევსო. მისმა სხეულმა ცახცახი დაიწყო. ხელებზე თითქოს ცეცხლი წაეკიდა. გულის მთელი განცდა ხელებისკენ მიემართებოდა და იორამს ეფრქვეოდა.

ამონ-რა აღარ იყო ამონ-რა, განცდად და ვედრებად იქცა იგი.

ხალხის თვალწინ ხდებოდა ის, რასაც ვერავინ ხედავდა, ვერც გრძნობდა, ვერც ხვდებოდა და ვერც ისმენდა: ამონ-რას სული იორამის სულს ესაუბრებოდა, ორი ცისფერი ალი ყველას თვალწინ, მაგრამ ყველას უხილავად, ერთმანეთთან საუბრობდა.

„ამონ-რა, ცოდო ხარ, ჩემი გულისთვის ნუ წირავ თავს.“

„იორამ, ცოდო ის არის, ვინც თავს არ წირავს.“

„ამონ-რა, არ გეყოფა ძალა ჩემს მოსაბრუნებლად. შეხედე ჩემს თავს - შუბლი მაქვს გადახსნილი.“

„იორამ, შენც შემეშველე და გავიმარჯვებთ.“

„ამონ-რა, როგორ შეგეშველო, შეხედე, რა უსიცოცხლოდ გდია ჩემი სხეული.“

„იორამ, შენც შეხედე, რა უბედურია ის ქალი, საკაცით რომ მოუყვანიათ შენთან სამკურნალოდ.“

„ამონ-რა, მე ველარ ვუშველი მაგ ქალს.“

„იორამ, მაშინ ამ პატარა ბავშვსაც შეხედე, თუ არ უმკურნალებ, რამდენიმე დღეში მოკვდება.“

„ამონ-რა, გული მტკივა მათ გამო.“

„იორამ, შენი გულისტკივილი შენი ძალაა. კარგია, რომ გული გტკივა.“

„ამონ-რა, რა მემართება?“

„იორამ, ბრუნდები... ბრუნდები!“

ამონ-რა გულაღმა გადავარდა. ვიღაცამ დაიყვირა: „უშველეთ, ეგეც კვდებაო.“

მაგრამ იმან, რაც იმავე წუთს მოხდა, ყველა საგონებელში ჩააგდო.

იორამმა სისხლით დაფარული თვალები მოისრისა. სახეზე სისხლი შეჰხმობოდა. ნელ-ნელა წამოიმართა და ირგვლივ მიმოიხედა.

— გაცოცხლდა იორამი! — დაიყვირა პატარა ბიჭმა, რომელიც იქვე იდგა და თვალს არ აცილებდა, რაც ხდებოდა. ახალგაზრდა ქალმა კი, რომელიც იორამს ედგა თავს და სისხლს წმენდდა, შეშფოთებით წამოიძახა:

— ამონ-რა მოკვდა! უშველეთ!

სახტად დარჩენილი ადამიანები ერთმანეთს ჩურჩულით გადასცემდნენ — „მოკვდა“ და „გაცოცხლდაო,“ და ვიდრე კიდევ რამეს იტყოდნენ ან გამოერკვეოდნენ, სიზმარში იყვნენ თუ ცხადში, ეჩვენებოდათ თუ მართალს ხედავდნენ, ამონ-რა წამოდგა და იორამისაკენ გაიხედა.

— როგორ ხარ, იორამ? — ჰკითხა ამონ-რამ.

— მგონი წავიქეცი და რაღაც ვიტკინე, მაგრამ გამიარა. შენ როგორ ხარ? რა მოხდა აქ?

არც ამონ-რას და არც იორამს არ ახსოვდათ, რა მოიმოქმედეს მათ სულებმა, ორივეს სულმა დაფარულად შეინახა თავისი საუბარი.

ბიჭები — მასწავლებელი და მოსწავლე — ერთმანეთს ღიმილით შესცქეროდნენ.

ქალებმა გამბედაობა გამოიჩინეს და იორამს სახეზე სისხლი მოჰბანეს. და როცა სახე მთლიანად მოსწმინდეს, ენა დაებათ.

— კეტი ასცდა?! — გაუკვირდა ერთს.

— როგორ ასცდა, თუ შუბლი გახეთქილი ჰქონდა! — გაუკვირდა მეორეს.

— მაშ, სად არის ნაჭრილობევი?! — გაუკვირდა მესამეს.

ვერაფერი გაეგოთ: როგორ მოხდა, რომ იორამი გაცოცხლდა, ან როგორ მოხდა, რომ თავგახეთქილს ჭრილობების ნაკვალევიც არ აღმოაჩნდა.

ამ დროს გაოგნებულ ადამიანებს შორის სისინი გაისმა. ყველამ იქითკენ მიიხედა. სისინებდა დიდი ბიჭი.

— სატანები არიან ეგენი... სატანები არიან...

დიდი ბიჭი მთელ სეირს ადევნებდა თვალს და უხაროდა, რომ იორამის მამა მისი წაქეზებული იყო.

— სატანები არიან ნამდვილად... — დაისისინა სხვამაც, — ისე ვერ გაცოცხლდებოდნენ...

ხალხის ნაწილი, შეშინებული იმით, რომ სატანებს მათთვის რამე არ ევნოთ, გაეცალა იქაურობას. ფეხმოტეხილი

და თავგატეხილიც წაიყვანეს — სატანებისგან არაფერი გინ-
დათო.

მაგრამ ვინც დარჩა, დარჩა სწორედ იმ განცდით, რომ
რაღაც დიდ სიკეთეს ეზიარა.

მეთვრამეტე თავი

შენ უნდა მოარჩინო მამაშენი

ბევრმა დაიტირა მარა.

ქალაქელებს უყვარდათ კეთილი ქალი, რომელიც ყველას ხალისით ეხმარებოდა, მოხუცებსა და ავადმყოფებს უვლიდა, მარტოხელა დედებს შვილების მოვლასა და გაზრდაში ეშველებოდა.

შეიცოდეს ამონ-რა, რომელსაც აღარც დედა ჰყავდა.

დაკრძალვაზე შეკრებილი ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

ყველაზე ბოლოს ოქრომჭედელმა ზაქარიამ დატოვა სასაფლაო. თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

ბევრი ეფერა ამონ-რას მორჩენილი ოქროს ხელებით და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა.

— შვილო, სასაფლაოდან ჩემთან მოდი სახელოსნოში! — სთხოვა ამონ-რას, — ხომ მოხვალ?

ამონ-რა გრძნობდა, რომ ზაქარია მას განსაკუთრებული სიყვარულით ეფერებოდა. „იქნებ იმიტომ, ხელები რომ მოვურჩინე?“ — ფიქრობდა თავისთვის.

— კარგი, მოვალ! — დაამშვიდა ოქრომჭედელი.

აი, მოდის ახლა იგი თავჩაღუნული და მხრები უცახცახებს, ეტყობა, ქვითინებს.

სასაფლაოზე ამონ-რასთან მისი მეგობრები დარჩნენ: იორამი და ილია.

ილია, როგორც იორამი, სამი თუ ოთხი წლით უფროსი იყო ამონ-რაზე, მაგრამ ამონ-რას მასთან მეგობრობა სიხარულს ჰგვრიდა. ამიტომ უნდოდა ილიას მოწვევა დაბადების დღეზე, როცა შვიდი წლის ხდებოდა, მაგრამ ვერ იზეიმა მაშინ ამონ-რამ დაბადების დღე. მას მერე ერთმანეთს არ შეხვედრიან. მარას შვილივით უყვარდა ილია, უდედმამო ბიჭი. დედა მშობიარობას გადაჰყვა. მამა და უფროსი ძმა ზრდიდნენ. ილია ოთხი წლის იყო, როცა მამასა და ძმას საქმიანობაში ეხმარებოდა. რვა წლისამ დურგლობა ისწავლა და მშვენიერი ხელოსანი გახდა — მისი ნაკეთობანი ისეთი ლამაზი, მოხერხებული და გამძლე იყო, რომ ბევრს არ

სჯეროდა, თუ ამას პატარა ბიჭი აკეთებდა. ვიდრე რამეს შექმნიდა, ილია ჯერ თიხის ფირფიტაზე დახატავდა ხოლმე. მნახველებს უკვირდათ, როგორ დახატე ასეთი ლამაზი რამ ან როგორ აკეთებ.

ახლა ისხდნენ სამივენი მარას საფლავთან.

იორამი და ილია ხმას არ იღებდნენ, არ უნდოდათ ფიქრებში ჩაძირული ამონ-რასთვის სიმშვიდე დაერღვიათ.

ამონ-რამ მკერდზე ტოპრაკი მოისინჯა — ქვაწერილი იქ იყო.

ფიქრებით ქვაწერილს უტრიალებდა ამონ-რა.

„იყოს შენი გზა ეკლიანი", — ეწერა ქვაწერილზე.

„ამონი ტალღამ მომტაცა. მაგრამ დამიცვა, გადამარჩინა, სამაგიეროდ აქ განისვენებს მარა, ჩემი დედა. ანდრიამაც დამტოვა. სად წავიდა ანდრია? რატომ არ გამიყოლა თან? დიდმა ბიჭმა ქვა მესროლა და თავი გამიტეხა — რატომ მკურნალობ იორამსო. იორამის მამამ წამლები და მალამოები გაგვინადგურა. ზოგიერთებმა იორამს და მე სატანები გვიწოდეს და განგვიდგნენ. იქნებ ეს არის ეკლიანი გზა? იქნებ უკვე შევუდექი ეკლიანი გზით სიარულს? მართლა ეკლებზე ხომ არ ლაპარაკობს ჩემი ქვაწერილი?"

ასე ფიქრობდა ამონ-რა და ცდილობდა გარკვეულიყო მოვლენებში, რომლებიც მის ცხოვრებაში ხდებოდა. განსაკუთრებით ერთი რამ აწუხებდა: რატომ ხდებოდა ისე, რომ ადამიანები სიკეთეს ბოროტებით პასუხობდნენ? ექვსი თვე შეუსვენებლივ და გულმოდგინედ სწავლობდნენ ამონ-რა და იორამი წამლებისა და მალამოების დამზადებას. რამდენი შრომა მოანდომეს სამკურნალო ბალახების შეგროვებასა და დამუშავებას, შეზავებას. როგორი მონდომებითა და სიყვარულით აკეთებდნენ ყველაფერს, რომ შემდეგ ადამიანებს - ავადმყოფებს, ხეიბრებს დახმარებოდნენ. გაბოროტებულმა კაცმა კი კეტის ერთი მოქნევით დაულეწა მკურნალებს ქილები. ან იმ დიდმა ბიჭმა რატომ გამოუცხადა მტრობა? საკუთარ ქვაწერილს დასტაცა ხელი, ნაცვლად იმისა, რომ გახარებოდა და თავისი გზის საიდუმლო ამოეცნო, ამონ-რას ესროლა და შუბლი გაუტეხა. იქნებ ეს არის ეკლიანი გზა?

„იყოს გზა შენი მოკლე და უსასრულო."

როგორი უნდა იყოს გზა მოკლე და უსასრულოც? ეკლიანი, მოკლე, უსასრულო! კიდევ — აღმავალი იყოს შენი გზაო. ეკლიანი, აღმავალი გზა!

„გზა დღეების გარეშე არ არსებობს, — გაიფიქრა ამონ-რამ, მაშ დღეებს უნდა გავხედო, მივდივარ თუ არა აღმავალი გზით. ანდრიამ მასწავლა გზის სიბრძნე. ადამიანებს ჰგონიათ, გზები იმიტომ არის მოგონილი, რომ იარონ, ერთი სოფ-ლიდან მეორე სოფელში მივიდნენ, იყიდონ და გაყიდონ, გაახარონ ვინმე ან ავნონ ვინმეს. ადამიანები გზებს იმისთვის იყენებენ, რომ ვიღაც გამქელს ჩაუსაფრდნენ და გაძარცვონ. იმას კი არ ფიქრობენ, მასწავლიდა ანდრია, რომ ყველა გზა, რაც დედამიწაზე არსებობს, ერთ დიდ მიზანს უნდა ემსა-ხურებოდეს — სულის სრულყოფასა და ამაღლებას. დღეები გზებია, გზები კი დღეებია, რომლებმაც სულის სიმაღ-ლეებისაკენ უნდა გვატარონო.

შემდეგ ამონ-რას გამოქვაბულისაკენ მიმავალი ბილიკი გაახსენდა.

ეს ბილიკი ეკლიანი არის და აღმავალიც. არც მაინც-დამაინც გრძელია, ნახევარი დღეც არ სჭირდება ასვლას და ჩამოსვლას. იქნებ ამ ბილიკზეა ლაპარაკი ქვაწერილში? „მაშინ რა გამოდის? — გაიფიქრა ბიჭმა, — მთელი ჩემი ცხოვრება ამ ბილიკით უნდა ვიარო? ავიდე და ჩამოვიდე?! ეს უაზრობაა, მარტო ასვლა-ჩამოსვლა სულის წინსვლას ვერ დაეხმარება. რა მიგაქვს მაღლა და რა ჩამოგაქვს დაბლა — ეს არის გზა... სულის გზა — ზრუნვის გზაა.“

გზა... გზა... გზა!

ამონ-რა ხვდებოდა, რომ ქვაწერილის საიდუმლო ამ სიტყვებიდან იწყებოდა. რა იგულისხმება მასში? რა არის გზა?

მეხსიერებაში ანდრიას დარიგებათა საგანძურს მიმართა.

რას ამბობდა ანდრია? საგანძურიდან ნელნელა ამო-ტივტივდნენ აზრები და ანდრიას ხმით აელერდნენ.

ანდრია ამბობდა: „გზა — ცხოვრებაა... ადამიანი სამ-ყაროს მარადიული მგზავრია... დედამიწაზე ცხოვრება მარადი-ული ცხოვრების ერთი მონაკვეთია... სული ხილული და უხილავი გზებით მიემართება... მგზავრის ღირსება მისი ტვირთია...“

შემდეგ ანდრია ამბობდა: „გზა სიბრძნის დედაა... იოლი გზის მაძიებელი თავის სულს დაღმართზე მიაქანებს... გზა ფიქრია, ყველაზე რთული გზა ფიქრია... ამაღლებული ფიქრი ამაღლებული გზით სიარულია. გზა ბევრია, მაგრამ ყოველ ადამიანს თავისი გზა აქვს და ის მას დაბადებით დაჰყვება!..

„ადამიანი მაშინ ცხოვრობს, — ეუბნებოდა მოწაფეს ანდრია, — როცა საკუთარ გზას მისდევს. გული კი ამ გასაღებს სიყვარულის ფასად იძლევა.“

ამ აზრებმა ბევრ რამეში გაარკვია ამონ-რა, მაგრამ ქვაწერილის ამოცანა ბოლომდე მაინც ვერ ამოხსნა.

ამონ-რა გამოერკვა ფიქრებიდან.

იორამი და ილია მის გვერდით ისხდნენ მიწაზე.

— იორამ, — მიმართა ამონ-რამ და ფეხზე წამოდგა, — გამოქვაბულში მოგიწევს ასვლა, რომ მოტეხილობის მალამო წამოიღო...

— ვისთვის? — ჰკითხა იორამმა.

— შენ უნდა მოარჩინო მამაშენი.

იორამს სახე შეეცვალა.

— მამაჩემი ღირსია, რომ საწოლზე იყოს მიკრული. მაშინ ნაკლებ ბოროტებას ჩაიდენს. განა მან არ მოკლა დედაშენი?

ამონ-რამ ანდრიასეული სიმშვიდით გაიმეორა:

— იორამ, ნუ ვიქნებით მამაშენის მსაჯულები. შენ მკურნალი ხარ.

— ბოროტიც უნდა განვკურნო? მტერიც უნდა განვკურნო, რომ ისევ მიმტროს? — ვერ მშვიდდებოდა იორამი.

— ჰო, თუნდაც იცოდე, რომ ისევ გიმტრობს. შენს მეტი მამაშენთან არავინ მივა, რომ უმკურნალოს.

იორამმა აღარაფერი უპასუხა.

ქალაქამდე გზა ჩუმად გაიარეს.

იორამმა გამოქვაბულებს მიაშურა.

ილია თავის სადურგლოს დაუბრუნდა.

ამონ-რა ოქრომჭედელ ზაქარიას სახელოსნოსკენ გაემართა.

ზაქარია სახელოსნოს წინ იჯდა და ამონ-რას ელოდებოდა. სახე გაებადრა, როცა დაინახა.

— შემოდი, შვილო, სახელოსნოში, ნახე, როგორ ვცხოვრობ! — ოქრომჭედელი ღელავდა, თუმცა ვერ აეხსნა, რა იყო ამის მიზეზი.

სახელოსნო სუსტად იყო განათებული. ოქრომჭედელს სანთლების შუქზე უყვარდა მუშაობა. სახელოსნოს ერთ კუთხეში ვიწრო ტახტი იდგა. დანარჩენი კუთხე-კუნჭული, კედელში ჩატანებული ნიშები ხელსაწყო იარაღებით, ოქროსა და ვერცხლის პატარა ნაჭრებით, ჯამებით იყო დაკავებული. ჯამებში ძვირფასი ქვები ეწყო. სახელოსნო პატარა იყო, სუფთა და კრიალა.

ამონ-რას ეგონა, რომ სახელგანთქმულ ოქრომჭედელს თავის სახელოსნოში საკუთარი ნაკეთობანი ექნებოდა გამოფენილი. ეგონა, რომ ზაქარია ხან ერთ ნაკეთობას გადმოუღებდა და სიამაყით უჩვენებდა, ხან მეორეს. მაგრამ მიხვდა, რომ თავმდაბალი და მორიდებული ზაქარია არ მოიწყობდა სახელოსნოში გამოფენებს, ხოლო ღარიბი და დაუცველი ოქრომჭედელი ვერც შეძლებდა ამას. თუ რამეს გააკეთებდა, შემკვეთებს მიჰქონდათ, მას მხოლოდ თავისი ოქროს ხელები რჩებოდა. ამ რამდენიმე ხნის წინ კინაღამ ხელებიც დაკარგა. ან იქნებ სიზმარში მოხდა ყველაფერი: ხელების დაწვაც და მორჩენაც? ზაქარია ვერ მიმხვდარიყო, როგორ მოხდა, რომ ამონ-რამ ხელები მოურჩინა.

— აი ასე ვცხოვრობ, შვილო! — ხელები გაშალა ზაქარიამ, — ეს არის, რაც მაქვს, მეტი არც მინდა.

ამონ-რა ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ოქრომჭედლის იარაღებს და ხელსაწყოებს, ზაქარია გვერდით ედგა და ბიჭს თვალს არ აცილებდა.

შემდეგ ტახტზე ჩამოსხდნენ.

ზაქარიამ პატარა ყუთი გახსნა და იქიდან თავისი ნახელავი ამოიღო.

— ეს შენ, შვილო! — ნაკეთობა ბიჭს ხელისგულზე დაუდო.

ამონ-რა ნაკეთობას დააკვირდა.

ეს იყო ოქროსა და ძვირფას თვლებში გამოყვანილი ამომავალი მზე. მზე ელვარებდა, პირველ სხივებს აფრქვევდა, თითქოს საცაა ამოვა და ქვეყანას გაანათებსო.

ნამდვილი პატარა მზე ედო ამონ-რას ხელისგულზე.

ბიჭს ტანში გააჟრჟოლა: განა ამ მზეს არ ხედავდა თვალდახუჭული, როცა ოქრომჭედლის ხელებს კურნავდა? მაშინ მის თვალწინ მთელმა სანახაობამ ჩაიარა: როგორ იმორჩილებდა ზაქარია ლითონს, მისი კოტიტა თითები როგორ გრეხდნენ და წნავდნენ უწვრილეს ძაფებს, როგორი სიზუსტითა და სინატიფით აწყობდნენ შიგ ძვირფას თვლებს. და, აი, რა გამოვიდა: ნამდვილი, პატარა ამომავალი მზე!

ამონ-რა მიხვდა, რომ ეს ნაკეთობა ოქრომჭედლის შედევრი იყო. და თუმცა მებადურის შვილს არ ჰქონდა გამოცდილება ოქრომჭედელთა ნამუშევრების შეფასებისა, გულმა უგრძნო, რომ მის ხელისგულზე იდო არა ოქრომჭედელ ზაქარიას შემოქმედების შედევრი, არამედ მომავალ საუკუნეთა იშვიათობა.

კიდევ ერთი უცნაური განცდა დაეუფლა ამონ-რას.

რაც უფრო აკვირდებოდა ნაკეთობას, მით უფრო ცხადად ხედავდა ამომავალ მზეში მარას სახეს. მზის ოქროს დისკი ალაგ-ალაგ შეუმჩნევლად იბურცებოდა და ამონ-რას წარმოდგენაში მარას სიკეთით სავსე სახეს ქმნიდა.

„ვკითხავ,“— გაიფიქრა ამონ-რამ.

— ზაქარია, მეჩვენება თუ მართლა ვხედავ მარას სახეს?

ოქრომჭედელმა არ იუცხოვა ამონ-რას კითხვა. ალალად, გულწრფელად უპასუხა:

— მართალი ხარ, შვილო, მე მიყვარდა მარა. მას კი ამონი უყვარდა. მარა ციდან ჩამოსული ანგელოზი იყო...

— ზაქარია, რამდენი დრო მოანდომე ამ სილამაზის შექმნას?

— მთელი სიცოცხლე და ერთი ღამე! — უპასუხა ზაქარიამ.

— ეგ როგორ? — გაუკვირდა ბიჭს.

— დედაშენი მთელი სიცოცხლე მიყვარდა და ამიტომ სულ დავეძებდი, როგორ გამომეხატა სამკაულში ეს სიყვარული. ცხადშიც და სიზმარშიც დავეძებდი მზისა და მარას ერთობას. ამას კი მხოლოდ წუხელ მივხვდი და, აი, რაც ხელში გიჭირავს, ეგ გავაკეთე. მარა რომ ცოცხალი ყოფილიყო, მას მივართმევდი. ახლა კი შენ გეკუთვნის...

ამონ-რას უნდოდა ეთქვა, დაიტოვე ეს ძვირფასი ნივთიო, მაგრამ ზაქარიამ გააჩერა.

— ყოველთვის თან ატარე, შვილო, ბოროტებისგან დაგიცავს!

ამონ-რას ნაკეთობა გამოართვა, თავისი კოტიტა თითებით მოეფერა, აკოცა, შემდეგ ბიჭს კისერზე ჩამოჰკიდა.

— ახლა დავმშვიდდი! — ჩაილაპარაკა ზაქარიამ და ამონ-რასაც თავზე ხელი გადაუსვა.

— გმადლობთ, ზაქარია... რა კარგი გული გაქვს, ზაქარია... — უთხრა ამონ-რამ.

ცოტახანს სიჩუმე ჩამოვარდა და ამ ორიოდე წუთის განმავლობაში ამონ-რამ და ზაქარიამ ერთმანეთს კეთილი გრძნობები გაუცვალეს. მათი დუმილი სალომეს ძახილმა დაარღვია.

— ძია ზაქარია, მანდ ხომ არ არის ამონ-რა? ამონ-რას ვეძებ! — იძახდა გოგონა ქუჩიდან.

ორივე გარეთ გავიდა.

სალომეს გაუხარდა, ამონ-რა რომ დაინახა.

— მთელი ქალაქი შემოვირბინე შენს ძებნაში! — გოგონა აღელვებული ჩანდა.

— რატომ, სალომე, რა მოხდა? — ჰკითხა ამონ-რამ.

— რა მოხდა?! წამოდი, ნახე, რამდენი ხალხი შეიკრიბა მოედანზე... შენც წამოდი, ძია ზაქარია!

სალომემ ხელი ჩასჭიდა ამონ-რას და მოედნისკენ წაიყვანა.

უკან ზაქარია ოქრომჭედელი მიჰყვებოდა.

ელიან თუ არა შენგან სიკეთეს – ჰქმენ სიკეთე

– რატომ იკრიბება ხალხი მოედანზე, სალომე? – ჰკითხა ამონ-რამ.

ხალხი მართლაც მიედინებოდა მოედნისკენ, დიდი და პატარაც.

– რა არის მესია? – ჰკითხა თავის მხრივ სალომემ.

– მესია მხსნელს, წინასწარმეტყველს ნიშნავს.

– ჰოდა, ასე ამბობენ, მესია მოდისო. იესო ჰქვია მესიასო.

როცა მოედანზე მივიდნენ, სადაც ორი დღის წინ ამონ-რა და იორამი ავადმყოფებს კურნავდნენ, ნახეს, რომ აუარებელ ხალხს მოეყარა თავი, ტევა არ იყო.

ვიღაც ხმამაღლა აცხადებდა: იესო ქრისტე მზის ჩასვლამდე მოვაო.

რას არ ლაპარაკობდა ხალხი.

ზოგი ამბობდა, რომ იესო ღმერთიაო, ღმერთის შვილიაო.

ჰყვებოდნენ სასწაულებზე, რაც იესომ მოახდინა: ბრმას თვალი აუხილა, ხეიბარი ფეხზე დააყენა, კეთროვანი მოარჩინა, მკვდარი ლაზარე გააცოცხლა, აბობოქრებული ზღვა დააწყნარა.

ჰყვებოდნენ, რას უქადაგებდა იესო ხალხს: მოახლოებულია ღვთის სასუფეველიო, ილოცეთ თქვენი მტრებისთვისო. ერთმანეთს უამბობდნენ იესოს იგავებს მთესველზე, ბოროტ მევენახეებზე, სამარიელზე.

ზოგს სჯეროდა, რომ იესო მართლა მესიაა, მართლა ქრისტეა, ზოგი გაიძახოდა, თვალთმაქციაო. საიდანღაც ილია გამოჩნდა და ამონ-რასა და სალომეს სიახლოვეს დადგა.

მზე ჩასასვლელად ემზადებოდა.

ისევ გამოაცხადა ვიღაცამ, რომ იესო აქ არ მოვა, ის თავისი მოწაფეებითა და მიმდევრებით ზეთისხილის მთის ძირას დაბანაკდა, ხვალ დილიდან იქ იქადაგებს და განკურნავს ავადმყოფებსო.

ხალხი შეწუხდა, ყველას ძალიან უნდოდა ენახა მესია, ავადმყოფებს კი განკურნება ეჩქარებოდათ.

ბევრმა თქვა, ახლავე წავალთ და ჩვენც ზეთისხილის მთასთან გავათევთ ღამეს, რომ დილით კარგ ადგილას დავდგეთ და იესო ახლოს დავინახოთო.

ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

— ჩვენც წავიდეთ, — თქვა სალომემ, — მეც უნდა გამოგყვეთ!

ამ დროს იორამის ძახილი მოესმათ.

— ამონ-რა, — იორამმა ხალხის ნაკადი გაარღვია და მათთან მივიდა, — დედაჩემმა ეზოშიც არ შემიშვა, — მამაშენს არც შენი დანახვა უნდა და არც შენი განკურნებაო. როგორ მოვიქცე? აი, მალამოც წამოვიღე გამოქვაბულიდან.

„იყოს გზა შენი ეკლიანი!“

თითქოს ქვაწერილმა დაიწყო ლაპარაკი და ამონ-რას ყურში ჩასჩურჩულა: არჩევანი შენზეა.

უნდა ჩაასხა თუ არა პირში წამალი ავადმყოფს, ან წასცხო ხეიბარს ჭრილობაზე მალამო, თუ არც ერთს და არც მეორეს არ სურს, რომ შენ უმკურნალო? უნდა მოარჩინო თუ არა ავადმყოფი, რომელსაც შენი დანახვა არ სურს? უნდა დარჩე თუ არა ანგელოზად იმისათვის, ვინც შენ მხოლოდ სატანად გაღიარებს?

ამონ-რას წარმოდგენაში საკუთარი ქვაწერილი სიბრძნის წიგნად იქცა და თავისით გადაიშალა. ამონ-რამ წიგნის კითხვა დაიწყო:

„იყოს გზა შენი ეკლიანი.

არ ეძიო სხვა გზა, გარდა გზა სიკეთის ქმნისა.

მიუხედავად იმისა, ელიან თუ არა შენგან სიკეთეს — ჰქმენი სიკეთე!

დაინახავენ თუ არ დაინახავენ შენს სიკეთეს — ჰქმენი სიკეთე!

ღებულობენ თუ არ ღებულობენ შენგან სიკეთეს — ჰქმენი სიკეთე!

სიკეთით მოგიზღვავენ თუ ბოროტებით — ჰქმენი სიკეთე!

ჰქმენი სიკეთე და არასოდეს ითხოვო ვინმესგან ნებართვა, რადგან არავინ არის მბრძანებელი შენს სიკეთეზე.

ჰქმენი სიკეთე და არ იკითხო მისი ნაყოფი, არ ეძიო მისი მიმღები!

სიკეთის მთესველი ის არის, ვინც არასოდეს მოიკითხავს თავის მოსავალს და უხარია, როცა სხვა იმკის.

სიკეთით აივსე გული მაშინაც, როცა ბოროტების მორევში მოექცევი, და მაშინაც, როცა წვეთი იქნები სიკეთის ზღვაში.

ჰქმენი სიკეთე უხმაუროდ, რადგან დაფარულ სიკეთეს ადვილად მიესვლება მასთან, ვისაც ის სჭირდება.

დაფარულ სიკეთეს მადლიერებით მიიღებს მტერიც და მოყვარეც, ბოროტიც და კეთილიც, ხეიბარიც და საღ-სალამათიც.

დაფარული სიკეთე სულს ვარსკვლავებზე გასაფრენად ამზადებს.

ძნელია სიკეთის ქმნა, სიკეთის გზაა ეკლიანი, ბოროტების გზაა უეკლო...“

— ამონ-რა, სად იყურები?! როგორ მოვიქცე, როგორ მივუდგე მამაჩემს? — უკვე მერამდენედ ჩაეკითხა იორამი.

ამონ-რამ მოასწრო სიბრძნის წიგნის გადაშლილი გვერდის ბოლომდე ჩაკითხვა.

ახლავე ეტყვის იორამს, როგორ უნდა მოიქცეს, „დაფარული სიკეთე!“ — აი, რისი ქმნაა საჭირო.

— იორამ, ჩამოჯექი ამ საჯილდაო ქვაზე.

იორამი ქვაზე ჩამოჯდა. ამონ-რა მის მუხლებთან მოეწყო.

— იორამ, გაივსე ახლა გული მადლიერებით მამის მიმართ — მან შეგქმნა, გამსჭვალე გული სიბრალულითა და თანაგრძნობით მამის მიმართ, — მან თავისი უმეცრებით დაკარგა შვილი, მთელ შენს სიყვარულს მოუხმე გულში და მამისკენ მიმართე — მამა მოყვასია შენი. ამ მალამოსთან ერთად გაუგზავნე მას გულის ცეცხლი. იორამ, შენ სიკეთის შემოქმედი ხარ, მოარჩინე მამა.

იორამი დაჰყვა ამონ-რას — თვალები დახუჭა და თანდათან სხვა სივრცეში ჩაიძირა.

სახეზე ტკივილი და თანაგრძნობა აესახა, თვალები ცრემლით აევსო.

მალამოს ქილა ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული.

იორამი მამას უახლოვდება. მისი გული ლოცვასავით ღაღადებს:

„შენი შვილი ვარ, მამა, შენი იორამი!
მამა ხარ და მიყვარხარ, როგორიც ხარ!
შვილი ვარ და მიმიღე, როგორიც ვარ!
ნუ შიშობ, მამა, მე სიკეთის გზაზე ვდგევარ. სიკეთეს არაფერი ესაქმება სატანასთან.
მე მკურნალი ვარ!
მაცალე, განგკურნო!
შემდეგ ჩემი ხელით მოგცემ კეტს და, რაკი ასე გინდა, კიდევ დამარტყი.
მამა, მარა დაიტირა დღეს ხალხმა, შვილს გადაეფარა და მას მოხვდა შენი კეტი.
მაგრამ ამონ-რა არ არის შენზე გაბოროტებული.
მაცალე განგკურნო, მამა, არ მინდა ხეიბრად დარჩე მთელი ცხოვრება.
მიჩვენე ზურგი, მალამოს წაგისვამ!
აი, აქ წაგისვამ მალამოს.
სამ დღეში ადგები, მამა.
ჩემო მამა!“
ილია და სალომე იორამის წინ ისხდნენ მიწაზე. ისინი შეშფოთებულები უყურებდნენ იორამის შეცვლილ სახეს. „რა მოუვიდა, ცუდად ხომ არ გახდა?“ — უჩურჩულა შეშინებულმა სალომემ ამონ-რას. ამონ-რამ პასუხი არ გასცა, რადგან თავადაც იქ იყო, სადაც იორამი, და მის მამას საკუთარ გულის ცეცხლს აშველებდა.
მოედანზე დარჩენილი რამდენიმე ადამიანი თავს დაადგა ბავშვების ჯგუფს, ზოგი დაცინვით, ზოგი ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა საჯილდაო ქვაზე ჩამომჯდარ ბიჭს, რომლის მთელი გონება სულ სხვაგან იყო გადასული.
იორამი ეფერებოდა მამას და ხედავდა, რა ხდებოდა იქ — პატარა ბნელ ოთახში, სადაც მამა იწვა დაბალ ტახტზე და გმინავდა.
— ქალო, — დაუძახა ცოლს, — მომხედე, მიშველე გადავბრუნდე!
ცოლი მყისვე გამოჩნდა.
— რა იყო, კაცო, რა გინდა?
— დამეხმარე გადავბრუნდე...
ცოლი მოეხმარა და კაცი კვნესით გადაბრუნდა.
იორამმა ამ დროს მამას ზურგზე პერანგი აუწია, წელი გულის ცეცხლში შეზელილი მალამოთი დაუზილა.

— რა მემართება, ქალო, - მიმართა კაცმა ცოლს, — თითქოს ზურგში რაღაც სასიამოვნო სითბო მივლის! შენ მიშვრები რამეს თუ ასე იცის სიკვდილის წინ?

— გეჩვენება რაღაც. მე არაფერს გიკეთებ. ნუ გეშინია, არ მოკვდები! — უპასუხა ცოლმა, — მაგრამ, შე უღმერთო, რას ერჩოდი ან შვილს, ან სხვებს? საწყალი ქალი შვილს რომ გადაეფარა და შენი კეტისგან დაიცვა, დღეს დაკრძალეს. არ მოგასვენებს მისი ცოდვა...

იორამი აგრძელებდა მალამოთი წელის ზელას.

კაცი გრძნობდა, რომ ტკივილი უყუჩდებოდა.

— ნამდვილად არ ვკვდები, — ჩაილაპარაკა, — ღმერთი მშველის, ტკივილები მიქრება.

— შენისთანებს ღმერთი არ უშველის, — მიუგო ცოლმა, — თვითონ ხარ ქვასავით მაგარი, შენ ვერაფერი მოგერევა, მაგრამ ნურც შენ ცდილობ, რომ სხვებს მოერიო...

—ისევ ჭკუას მარიგებ? — გაბრაზდა ქმარი. კიდევ რაღაც უკულმართი უნდოდა ეთქვა ცოლისთვის, მაგრამ ამ დროს თვალებში იორამის სახე ჩაუდგა და ყურში კი მისი ხმა ჩაესმა: „აი აქ წაგისვამ მალამოს. სამ დღეში ადგები, მამა!“

თითქოს ცეცხლმა დაუარაო, უცბად ისე გაუხურდა და აეწვა ზურგი.

— ქალო, იორამი აქ არის?! — წამოიძახა გაოგნებულმა.

— რას ლაპარაკობ, კაცო, ნამდვილად მოჩვენებებში ხარ! შენ არ მითხარი, ეგ ეშმაკის ფეხი ეზოში არ შემოუშვაო! დედა რომ გააგდებს სახლიდან ერთადერთ შვილს, ის რა დედაა? ან ის რა მამაა, შვილს მოსაკლავად რომ დასდევს? რა ვართ ახლა ჩვენ? — დედას ეტირებოდა, მაგრამ თავს იკავებდა, უფრო არ გადავრიო ქმარიო.

— მაშ, იორამი აქ არ არის? — ისევ ეჭვით იკითხა კაცმა, თვალწინ კი იორამის სახე დაუდგა.

— ხომ გითხარი, არა მეთქი, სად ხედავ იორამს, შე უბედურო!

— გაიწყვიტე ხმა! — შეუტია ცოლს ქმარმა, — მე ვიცი, სადაც ვხედავ... აი აქ ვხედავ, ჩემს თვალწინ...

— ისეც მეხი დაგაყარე!

— ეჰ, ადგომა შემეძლოს, ვნახავდი, რა მეხსაც დამაყრიდი... იქნებ ეს დროც დადგეს! — და ისევ ეჭვით შეუტია, — მაშ შენ მიზელ ზურგს?

— მე არაფერსაც არ გიზელ. შენ არ ამიკრძალე, ხელი არ .დამაკაროო...

— ვერ გამიგია, რა მემართება! — თითქოს მოუბოდიშა ცოლსო, ისეთი ხმით ჩაილაპარაკა ავადმყოფმა, — მამ დაიხსომე, თუ სამ დღეში მოვრჩები და ფეხზე წამოვდგები, იორამი მომიიბნე და შინ მომიყვანე.

„თავი კი გაგიხმეს! — სამ დღეში იქნებ ფეხებიც გაფშიკო. რა სასწაული წამოგაყენებს ფეხზე? ამ კაცს რაღაც სხვა ემართება. ისევ ექიმბაშთან უნდა წავიდე, რამე მირჩიოს,“ — გაიფიქრა ქალმა.

— რად უნდა მოგიყვანო, ისევ კეტი რომ ჩასცხო, სასიკვდილოდ გაიმეტო? — შეუტია ცოლმა.

— შენ მომიყვანე და მე ვიცი, რასაც ვიზამ! — ისეთი სინანულის ხმით ჩაილაპარაკა ავადმყოფმა, რომ ცოლმა გაიფიქრა, ალბათ, სიკვდილი უახლოვდება და მონანიება უნდაო...

... ამონ-რამ თვალი გაახილა და იორამს შეეხმიანა.

— საკმარისია, მესამე დღეს მამაშენი ფეხზე წამოდგება.

იორამმა წელში ძლიერი ტკივილები იგრძნო, თითქოს ხერხემალი აქვს გადატეხილიო. ადგომა გაუჭირდა. სალომე და ილია მიეშველნენ.

— რა დაგემართა, იორამ! — შეწუხდა სალომე, — ამონ-რა, უშველე იორამს!

არც სალომემ და არც ილიამ არ იცოდა, რა მოხდა ამ რამდენიმე წუთის განმავლობაში, სად იყო იორამი ან რატომ ასტკივდა ასე მოულოდნელად წელი. ამონ-რამ კი იცოდა ყველაფერი, რადგან ისიც იქ იყო, სადაც იორამი.

— ნუ შიშობ, გაუვლის, — უთხრა სალომეს. იორამს კი მალამოს ქილა ჩამოართვა და შიგ ჩაიხედა. იორამმაც ჩაიხედა ქილაში და გაკვირვებით წამოიძახა:

— ამონ-რა, ქილა სავსე იყო! სად არის მალამო?!

— აბა, რით უზელდი მამაშენს ზურგს? — უპასუხა ამონ-რამ.

მათ ირგვლივ შეკრებილმა ცნობისმოყვარეებმა ბიჭების მოქმედება სულელურ თამაშად მიიჩნიეს და წავიდნენ.

სალომემ ისევ გაიხსენა, რომ ხვალ დილით მესია ზეთისხილის მთასთან იქადაგებს და დაიჟინა, ახლავე წავიდეთო.

— შორია, ღამით მოგვიწევს სიარული და შენ დაიღ-ლები. ჯობია, დილით ადრე წავიდეთ! — თქვა ილიამ.

ამონ-რას გული ზეთისხილის მთისკენ ეწეოდა.

— სალომე სწორს გვირჩევს. დღეს გვირჩევნია წასვლა. შუაღამემდე იქ მივალთ და მოხერხებულ ადგილს ავირჩევთ, რომ კარგად მოვისმინოთ ქადაგება. ცოტას კიდეც წავიძი-ნებთ.

დაუჯერეს ამონ-რას და ოთხივე ზეთისხილის მთისკენ მიმავალ გზას გაუყვა.

მეოცე თავი

შენ ხარ ვენახი უფლისა

მთვარიანი ღამე იყო და გზის გაგნება უადვილდებოდათ. მათ გარდა უამრავი ხალხი მიემართებოდა მთისკენ. სალომემ ბიჭებს სთხოვა, ცოტა ფეხს ავუჩქაროთ, წინ მიმავლებს გავუსწროთო. მაგრამ იორამს სწრაფად სიარული არ შეეძლო, ილია ედგა მხარში და მას მიჰყავდა.

შუაღამე ცოტა გადასული იყო, როცა ზეთისხილის მთასთან მივიდნენ.

ერთად თავმოყრილი ამდენი ხალხი არცერთ მათგანს არასოდეს ენახა. აქ იყვნენ იუდეველებიც, რომლებიც სულ ემატებოდნენ და ემატებოდნენ, გალილეველებიც, სამარელებიც, ათქალაქელებიც, ფინიკელებიც, კესარიელებიც, ამონელებიც, რომაელებიც, სირიელებიც, ბერძნებიც, იყო რამდენიმე იბერიელიც და სომეხიც. იყვნენ ქალები, ბავშვები, ახალგაზრდები და მოხუცები. ბევრი იყო ავადმყოფი და ხეიბარი. ზოგი საკაცით მოეყვანათ.

ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იჯდა მინდორზე. ცეცხლი დაენთოთ და საჭმელს ამზადებდნენ. უკრავდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ.

ამონ-რამ და მისმა მეგობრებმა დიდხანს ეძებეს მოხერხებული ადგილი, საიდანაც, მათი აზრით, კარგად დაინახავდნენ და მოუსმენდნენ იესოს.

მათთან მოხუცი ქალი მივიდა კალათით ხელში.

— მშივრები იქნებით, შვილებო! — უთხრა და ოთხივეს პურის დიდი ნაჭერი და თევზი მისცა, — წყალი კი იქ დალიეთ! — და ხელი ჭისკენ გაიშვირა.

მოხუცს მადლობა გადაუხადეს, ჭამეს და მალე დაიძინეს. სალომემ თავი მხარზე დაადო ამონ-რას და ჩაეძინა.

აღმოსავლეთი ოდნავ შეფაკლული იყო, როცა ამონ-რამ თვალი გაახილა. ბანაკში თითქმის ყველას ეძინა. ამონ-რას წამოდგომა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა, სალომე არ გავაღვიძოო, გოგონა მის მხარზე მშვიდად ფშვინავდა.

ამონ-რა ფიქრს მიეცა.

სიტყვა მესია ანდრიასაგან ჰქონდა გაგებული. მესია მოვა და ხალხს დიდ ცოდნას მოუტანსო, ეუბნებოდა ანდრია. თუ ხალხი მის სწავლას გაჰყვება, სიკეთეს ეწევა, თუ არა და გაუბედურდებაო.

— საიდან უნდა მოვიდეს მესია? — ჰკითხა ამონ-რამ.

ანდრიამ ამონ-რა ვარსკვლავებისკენ გაახედა, — აი იქიდანო.

ამონ-რას წინათგრძნობა დაეუფლა. ვის ელოდებოდა ანდრია წლების განმავლობაში ასე მოთმინებით? ვისი სურათი დახატა გამოქვაბულში? უფლის გამოქვაბული ვუწოდოთ ამ გამოქვაბულსო. მესია უფალია? მესია ის იყო, სურათიდან რომ გადმოვიდა?

ამონ-რამ თვალები დახუჭა და სიბნელეს ჩახედა. „ანდრია აქ არის, — გაუხარდა ბიჭს, — ანდრიას ვნახავ! ანდრია უფალთან, მესიასთან არის, მისი მოწაფეა ანდრია!“ გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო და სიხარულით აუძგერდა. ალბათ, ამ გულის ხმაურმა გააღვიძა სალომე. გოგონამ თვალები მოიფშვნიტა და წამოდგა.

იორამმა და ილიამაც გაიღვიძეს.

ბანაკიც იღვიძებდა.

აღმოსავლეთი გაწითლდა და ხალხი თანდათან აფუსფუსდა. მესიასთან შესახვედრად თავს იწესრიგებდნენ, თმას ივარცხნიდნენ.

— საიდან გამოჩნდება მესია? — იკითხა სალომემ, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

ღამით კარგად ვერ გაარჩიეს, სად დაბინავდნენ, მაგრამ ახლა დაინახეს, რომ მათ ირგვლივ ბევრ ხალხს მოეყარა თავი.

— აქედან დავინახავთ მესიას? აქედან გავიგებთ მის ხმას? — შფოთავდა სალომე.

ამ დროს მზის პირველმა სხივმაც გამოანათა და ბანაკში ჩაიქროლა ჩურჩულმა:

— მესია, მესია... იესო, იესო!!!

— აბა, მესია, საიდან მოდის მესია?

— აგერ მესია, საიდანაც მზე ამოდის...

ვინც ჯერ კიდევ იწვა ან იჯდა, ფეხზე წამოხტა, დაბლები თითის წვერებზე შედგნენ, დიდებმა პატარები მხრებზე შეისვეს. ხეიბრები და ავადმყოფებიც წამოიმართნენ:

— მესია, მესია...
— იესო, იესო...
— ქრისტე, იესო ქრისტე...
— ამონ-რა, დამანახე მესია! — შეეხვეწა სალომე.
ამონ-რამ სალომე ხელში აიყვანა და კისერზე შეისვა.
— ვხედავ, ვხედავ!.. მზესავით განათებულია... თეთრი აცვია... ანათებს... — იძახდა სალომე.
ამონ-რა ვერ ხედავდა მესიას, მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაც ძალიან დიდი მოვლენის მოწმე ხდებოდა. მესია, იესო ქრისტე — ეს ის იყო, უფლის გამოქვაბულში სურათიდან რომ გადმოვიდა. ამონ-რა ვერ ხედავდა, ვინ მოჰყვებოდა მესიას, მაგრამ ამასაც გრძნობდა: ერთ-ერთი მათ შორის, ვინც მესია-უფალს, იესო ქრისტეს ახლდა, ანდრია იყო. და აი, სალომემაც დაიძახა:
— ამონ-რა, მის გვერდით, მარჯვენა მხარეს, ბიძაშენი ანდრია დგას! ნამდვილად ანდრიაა, არ მეშლება!
უცბად ბანაკში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. წამიც და ყველა მუხლებზე დაეშვა.
ამონ-რამ სალომე დაბლა ჩამოსვა და თვითონაც დაიჩოქა.
წინ უკვე აღარავინ ეფარებოდა და ამონ-რამ დაინახა ის - უფალი, რომელსაც ხალხი მესიას და იესო ქრისტეს უწოდებდა.
იესო შემაღლებულ ადგილზე იდგა. იქვე იყვნენ მისი მოწაფეები, რომელთა შორის ამონ-რამ ანდრია შეიცნო.
ამონ-რა იესოს ნათებით იყო მოხიბლული.
შეუძლია თუ არა ვინმემ თქვას, როგორ გამოიყურება ჭეშმარიტი სიკეთე, ჭეშმარიტი თანაგრძნობა, უმაღლესი სიყვარული? „იესო ქრისტეა სიკეთის, თანაგრძნობის, მშვენიერებისა და ღვთიური სიყვარულის ხატი!“ — დაასკვნა ამონ-რას გულმა.
შორს იდგა იესო მათგან, მაგრამ ამონ-რასთვის ის იქვე იყო, მის გვერდით, მის ახლოს, სალომეს, ილიასა და იორამს შორის. იქვე იდგა და სუნთქვაც და გულისცემაც ესმოდა მისი.
იესომ ხალხისკენ ორივე ხელი გაიშვირა.
— მშვიდობა თქვენდა!

ეს იგივე ხმა იყო, რაც ამონ-რამ უკვე მოისმინა უფლის გამოქვაბულში.

შორს იდგა იესო, მაგრამ სიტყვები პირდაპირ ყურში ჩაესმა ამონ-რას.

იესომ ქადაგება დაიწყო.

იესოს ხმა, მისი ყოველი სიტყვა, სულისა და სახის მოძრაობა გულში ეჭრებოდა ამონ-რას, მის გულსა და გონებას ავსებდა.

— ისმინეთ, მაშვრალნო, სულით ღარიბნო, გულით სუფთანო!

ეს არის პირველი და უმთავრესი მცნება რჯულისა:
უფალი ღმერთი ერთია!
შეიყვარე უფალი ღმერთი შენი
ყოვლითა გულითა შენითა,
ყოვლითა სულითა შენითა,
ყოვლითა გონებითა შენითა.
და ამის მსგავსი მეორე მცნება:
შეიყვარე მოყვასი შენი,
ვითარცა თავი შენი.
ღმერთი არის სული,
და მისი თაყვანისმცემელნი თაყვანს უნდა სცემდნენ
სულითა და ჭეშმარიტებით.
უფლის სასუფეველი ძალისხმევით აიღება,
ვინაიდან წვეული ბევრია, რჩეული კი ცოტა.
ძალისხმევა რწმენაშია.
თუ რწმენა გექნებათ და არ დაეჭვდებით,
ამ მთას რომ უთხრათ, აიწიე და ზღვაში ჩავარდიო,
ასე მოხდება.
ძალისხმევა სიტყვაშია.

ყოველი ფუჭი სიტყვისათვის, რომელსაც იტყვიან ადამიანები,

პასუხს აგებენ განკითხვის დღეს.
ვინაიდან შენივე სიტყვებით გამართლდები
და შენივე სიტყვებით გამტყუნდები.
ძალისსხმევა საქმეებშია.

ამიტომ ყველაფერში, როგორც გინდა, რომ მოგექცენ ადამიანები,

თქვენც ისევე მოექეცით მათ.

კეთილ კაცს კეთილი საგანძურიდან სიკეთე გამოაქვს,
ბოროტ კაცს ბოროტი საგანძურიდან ბოროტება გამოაქვს.
შედით ვიწრო კარიბჭით,
ვინაიდან ფართოა კარიბჭე და განიერია გზა, რომელიც დაღუპვისაკენ მიემართება,
და მრავალნი დადიან მასზე,
ვინაიდან ვიწროა კარიბჭე და ვიწროა გზა, რომელიც სიცოცხლისკენ მიემართება,
და მცირედნი ჰპოვებენ მას.
ერიდეთ სიმართლის კეთებას ადამიანთა თვალწინ, მათ დასანახად,
თორემ ვერ მიიღებთ საზღაურს თქვენი ზეციური მამისაგან.
და როცა მოწყალებას გასცემ,
შენს მარცხენას ნუ ეცოდინება, რას აკეთებს მარჯვენა.
თქმულა ძველთა მიმართ:
„არ დაიფიცო ტყუილად, არამედ შეასრულე შენი ფიცი უფლის წინაშე.“
მე კი გეუბნებით თქვენ:
საერთოდ არ დაიფიცოთ,
არც ცა, რადგან ღვთის ტახტია იგი,
არც დედამიწა, რადგან მისი ფერხთა სადგომია იგი,
არც საკუთარი თავი დაიფიცო,
რადგან ერთი ღერი თმის გათეთრება ან გაშავება არ შეგიძლია.
არამედ იყოს შენი სიტყვა: ჰო-ჰო, ან არა-არა.
რაც ამაზე მეტია, ის ბოროტისგანაა.
თუ გაცდუნებს შენი მარჯვენა თვალი,
ამოითხარე და გადააგდე.
ვინაიდან უმჯობესია შენთვის, რომ ერთი ასოთაგანი დაგეღუპოს,
ვიდრე მთელი შენი სხეული გეენაში ჩავარდეს.
თუ შენი მარჯვენა ხელი გაცდუნებს,
მოიკვეთე და გადააგდე,
ვინაიდან უმჯობესია შენთვის, რომ ერთი ასოთაგანი დაგეღუპოს,
ვიდრე მთელი შენი სხეული გეენაში ჩავარდეს.
გიყვარდეთ თქვენი მტრები,

დალოცეთ თქვენი მაწყევრები,
სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს
და ილოცეთ მათთვის, ვინც გავიწროებთ და გდევნით,
რათა იყოთ თქვენი ზეციერი მამის ძენი,
ვისაც თავისი მზე ამოჰყავს ბოროტთა და კეთილთა თავზე
და წვიმას უგზავნის მართლებსა და უსამართლოებს.
ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ,
ვამსგავსებ კეთილგონიერ კაცს,
რომელმაც სახლი კლდეზე ააშენა.
მოვიდა წვიმა,
გადმოსკდნენ მდინარეები,
ამოვარდნენ ქარები და
ეკვეთნენ იმ სახლს.
ის კი არ დაეცა,
ვინაიდან კლდეზე იყო დაფუძნებული.
ხოლო ყოველი, ვინც ისმენს ამ ჩემს სიტყვებს და არ ასრულებს,
ვამსგავსებ უგუნურ კაცს,
რომელმაც ქვიშაზე აიშენა სახლი.
მოვიდა წვიმა,
გადმოსკდნენ მდინარეები,
ამოვარდნენ ქარები და
ეკვეთნენ ამ სახლს.
ის კი დაეცა და
ფრიად დიდი იყო მისი დაცემა.
ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება,
არ არის ჩემი ღირსი.
ნუ დაიუნჯებთ დედამიწაზე,
სადაც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და
სადაც ქურდები თხრიან და იპარავენ.
არამედ დაიუნჯეთ ზეცაში,
სადაც ვერც ჩრჩილი და ვერც ჟანგი ვერ მოსპობს და
ვერც ქურდები თხრიან და იპარავენ,
რადგან სადაც თქვენი განძია,
თქვენი გულიც იქ იქნება.
მაშ იყავით სრულყოფილნი ისევე,
როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი.

ვისაც ყურები აქვს — ისმინოს.

ხალხი სულგანაბული უსმენდა იესო ქრისტეს. მხოლოდ აქა-იქ თითო-ოროლა ფარისეველი და მედავითნე აპირებდა ხელის შეშლას. ერთმა წამოიძახა: „რომელი ხელმწიფებით ამბობ ამას? ან ვინ მოგცა შენ ეს ხელმწიფება?“ მეორე კი — „შენ იესო არა ხარ, იოსების შვილი, ნაზარეთიდან, საიდან იცი ყველაფერი ეს?“ მაგრამ ხალხმა ჩააჩუმა ისინი.

ამონ-რას დავიწყებული ჰქონდა, სად იყო, ვერც მის ირგვლივ აუარებელ ხალხს, ან თუნდაც სალომეს ხედავდა. ამჟამად აქ მხოლოდ ორნი იყვნენ — იესო ქრისტე და ამონ-რა. იესო ქრისტე მხოლოდ მას — ამონ-რას — უხსნიდა ცათა სასუფევლის საიდუმლოს, მხოლოდ მას განუმარტავდა თავისი იგავების აზრს. იესო ქრისტეს მისი ქვაწერილი ეჭირა ხელში და ხმამაღლა უკითხავდა იმას, რაც ამონ-რამ ვერ ამოიკითხა. ის ახლა უკვე ქვაწერილის თითოეული სიტყვის, თითოეული ხაზისა და ნიშნის აზრს ხვდებოდა. ამონ-რასთვის სრულიად ნათელი გახდა საკუთარი ქვაწერილის საიდუმლო. ამიტომ არჩევანიც მას ეკუთვნოდა: მოკლე და ეკლიანი გზით ევლო თუ ფართო და გრძელი გზით, ვიწრო კარიბჭით შესულიყო თუ ფართო კარიბჭით. მაგრამ ამ არჩევანს ფიქრიც არ სჭირდებოდა. ამონ-რა ანდრიას მოწაფეა, ანდრია კი — იესო ქრისტეს მოწაფეა. ანდრიამ უკვე აიღო თავისი ჯვარი, იტვირთა იესო ქრისტეს ტვირთი და ერთგულად მოჰყვება მას. ამონ-რაც აიღებს თავის ჯვარს, იტვირთებს იესოს ტვირთს და გაჰყვება ანდრიას.

— ამონ-რა, უყურე, რა ხდება!.. უყურე, რა ხდება, ამონ-რა! — შეაჯანჯღარა იგი სალომემ.

ილიას კისერი წაეგრძელებინა და პირდაღებული, გაკვირვებული, გაოგნებული შეჰყურებდა იესოს. მისთვისაც, იორამისთვისაც, სალომესთვისაც იესო ქრისტე მოშორებით კი არ იდგა ამაღლებულ ადგილას, არამედ იქვე იყო, მათ შორის, მათ თვალწინ. იორამს აღარ სტკიოდა ხერხემალი და ზურგი, ისიც ქრისტეს შეჰყურებდა გაოცებული.

— ამონ-რა, უყურე, უყურე, — ეკიდებოდა მკლავზე სალომე, — ბრმას თვალი აუხილა!

კაცმა, დაბადებით ბრმამ, პირველად დაინახა ქვეყანა; შეჰყურებს მზეს, ცას, მთას, ხეებს, ხალხს. მუხლებზე ეხვევა

ქრისტეს, უკოცნის ფეხებს და ტირის, ბღავის სიხარულისაგან.

იესო ქრისტემ ფეხზე ააყენა და უთხრა:

— შენმა რწმენამ განგკურნა შენ!

იესო ქრისტეს ახლა საკაცით ქალი მოუყვანეს. ასე წევს დამბლადაცემული ეს საცოდავი უკვე ცხრა წელიწადიაო, ეუბნებიან შვილები, უფალო, მარტო შენი სჯერაო.

— ქალო, ადექი ფეხზე, აიღე შენი საწოლი და წადი შინ!

ეს სიტყვები იესო ქრისტემ წყნარად, მშვიდად და მბრძანებლურად წარმოთქვა. მათში ძალა იყო ჩადებული, ციური ძალა. ეს უცნაური ძალა იესოს სიტყვებისა იგრძნო ამონ-რამ და მაშინვე სასწაულის მოწმე გახდა: ქალი წამოდგა, სიხარულის ტირილით ატირდა, იესო ქრისტეს ფეხები დაუკოცნა, აიღო ხელში თავისი საწოლი და წავიდა. შვილებმაც მუხლი მოიყარეს იესო ქრისტეს წინაშე, მათაც ფეხები დაუკოცნეს უფალს და უკან გამოეკიდნენ დედას.

ახლა კეთროვანი დადგა იესოს წინ. ხალხმა შიშით უკან დაიწია — არ გადაგვედოსო. კეთროვანი საშინელი სანახავი იყო: სხეულზე ხორცები ულპებოდა, ლოყები ჩამოსცვენოდა და ყბის ძვალი მოუჩანდა.

— უფალო, თუ ინებებ, შეგიძლია ჩემი განწმენდა! — ძლივს-ძლივობით და ვედრებით ამოილაპარაკა კეთროვანმა.

იესო ქრისტემ გაიწოდა ხელი, შეახო მას და თქვა:

— მნებავს, განიწმინდე!

ეს არ იყო სიტყვები, რომლებსაც ადამიანები წარმოთქვამენ. ეს იყო ნება უფლისა. კაცს მყისვე მოშორდა კეთრი, სხეული დაუცხრა, სახე გაულამაზდა. ხალხმა მშვენიერი, ჯან-ღონით სავსე მამაკაცი იხილა.

— დიდება შენდა, უფალო! დიდება შენდა, უფალო! — ატირდა სიხარულისაგან კაცი.

იესო კი ამ დროს თავის ნებას ხელგამხმარ კაცზე აღასრულებდა.

„იესო ქრისტეს ძალა მის ზეციურ ნებაშია, — გაიფიქრა ამონ-რამ, — ხმიანი იქნება მისი სიტყვა თუ უხმო, მასში ჩადებული ნება ყველაფერს გარდაქმნის."

და ხელგამხმარი კაცი უკვე აღარ იყო ხეიბარი, იესო ქრისტეს ნება აღსრულდა.

დრო შეუმჩნევლად გაფრინდა.

შუადღე გადავიდა, მზის ჩასვლა მოახლოვდა.

ავადმყოფთა ნაკადი დაილია.

ხალხი ისევ ჯგუფ-ჯგუფად დაბინავდა ზეთისხილის მთის ძირში. ადამიანები არ ჩქარობდნენ შინ დაბრუნებას, ყველას ისევ იესო ქრისტეს ქადაგების მოსმენა სურდა. ამიტომ ხვალინდელ დილას ელოდებოდნენ. ალაგ-ალაგ ცეცხლი დაანთეს და ქალებმა საჭმლის მომზადება დაიწყეს. ისინი გაცხოველებით მსჯელობდნენ დღევანდელ დღეზე, იესოს სიტყვებსა და სასწაულებზე.

იესო ქრისტესთან დედებმა ბავშვები მიიყვანეს, უნდოდათ, რომ იესო ხელით შეხებოდა მათ. რამდენიმე მოწაფემ გზა გადაუღობა დედებს და უსაყვედურა: განა არ ხედავთ, რომ იესო დაიღალა, ნუღარ შეაწუხებთ მასო.

იესომ შეამჩნია ეს, მოწაფეებს გაუწყრა:

— გამოუშვით ბავშვები და ნუ უშლით ჩემთან მოსვლას, ვინაიდან მაგათნაირებისაა ცათა სასუფეველი!

ბავშვები რიგში გამწკრივდნენ და სათითაოდ მოდიოდნენ მასთან.

— ჩვენც მივიდეთ... მივიდეთ... მივიდეთ!.. — გაიხარა სალომემ, ამონ-რას ხელი ჩაავლო და თან გაიყოლა. მათ იორამი და ილიაც მიჰყვნენ.

იესო ყოველ ბავშვს ეხვეოდა, თავზე ხელს ადებდა, უღიმოდა, დარიგებას აძლევდა.

აკურთხა ერთი, მეორე, მესამე... მეათე... ოცდამეათე...

— უფალო, დაისვენე... — მორიდებით უთხრა ერთმა მოწაფემ.

ქრისტემ მოწაფეებს გადახედა.

— ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, — მიმართა იესომ, — ვინც ბავშვივით არ მიიღებს ღვთის სასუფეველს, ვერ შევა შიგ.

იმავე მოწაფემ შემთხვევით ისარგებლა და ჰკითხა:

— უფალო, ვინ უფრო დიდია ცათა სასუფეველში?

იესო ქრისტე ამ დროს სალომეს ადებდა თავზე ხელს. იესომ აკურთხა სალომე, შემდეგ ხელი მოჰკიდა და მოწაფეების შუაში ჩააყენა.

ამონ-რას ამ სანახაობამ სუნთქვა შეუკრა.

იესომ მშვიდად და მოთმინებით განუმარტა მოწაფეებს:

— ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ ისე არ მოიქცევით და არ იქნებით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში. ვინც მიიღებს ერთ ასეთ ბავშვს (იესომ სალომეს ნიკაპზე მიადო ხელი, სახე აუწია, წკრიალა თვალებში ჩახედა და გაუღიმა) ჩემი სახელით, მე მიმიღებს. ხოლო ვინც ერთ ამ მცირეთაგანს, რომელსაც ჩემი სწამს, აცდუნებს (იესოს ხმა გაუმკაცრდა), მისთვის აჯობებდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ.

მოწაფეები და ახლო-მახლო მდგომნი სულგანაბულნი უსმენდნენ იესოს.

— შეხედეთ, — გააფრთხილა იესომ მოწაფეები, — აბუჩად არ აიგდოთ არც ერთი ამ მცირეთაგანი! გეუბნებით მე თქვენ, რომ მათი ანგელოზები ზეცაში ყოველთვის ხედავენ ჩემი ზეციერი მამის სახეს. ვინაიდან კაცის ძე დაღუპულის სახსნელად მოვიდა. რა გგონიათ თქვენ, — გააგრძელა იესომ, — კაცს რომ ასი ცხვარი ჰყავდეს და ერთ მათგანს გზა რომ აებნეს, განა მთებში არ მიატოვებს ოთხმოცდაცხრამეტს და არ წავა გზააბნეულის მოსაძებნად? თუ მოხდება და იპოვის მას, უფრო მეტად გაიხარებს მასზე, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტზე, რომლებსაც გზა არ აბნევიათ. ასევე არა აქვს სურვილი თქვენს ზეციერ მამას, რომ დაიღუპოს ერთი ამ მცირეთაგანი.

იესომ აცალა, რომ მოწაფეებს შეეთვისებინათ მისი სიტყვები, და დაასკვნა:

— უდიდესი თქვენს შორის თქვენი მსახური იყოს. ვინც თავს აიმაღლებს, დამდაბლდება, ხოლო ვინც თავს დაიმდაბლებს, ამაღლდება. დამდაბლდით, რათა ამაღლდეთ.

იესომ სალომე გაუშვა და ილია მიიკრა გულთან, ხელი დაადო და აკურთხა.

— იტვირთე ჩემი ტვირთი! — უთხრა ბიჭს.

შემდეგ იორამი წარუდგა იესოს.

იესო მასაც მოეფერა, ხელი დაადო და აკურთხა.

— იორამ, — მიმართა ბიჭს, — იყავი ადამიანის სხეულისა და სულის კეთილი მკურნალი. რა საწყაოთიც მიუწყავ, იმავე საწყაოთი მოგეწყოს შენ!

— ჰო, უფალო! — უპასუხა შთაგონებულმა იორამმა.

იორამს უნდოდა შეეედრებოდა იესოს — მამა მომირჩინეო, მაგრამ ვერ გაბედა. იესო კი თავად მიუხვდა.

— კარგი შვილი ჰყავს მამაშენს. მიეტევა ცოდვები შენს გამო. ხვალ ადგება. მოინახულე და გაიხარე!

იორამის მთელმა არსებამ უძღვნა იესოს მადლიერების განცდა, სიტყვით კი ბიჭმა მარტო ორი სიტყვა წარმოთქვა:

— გმადლობთ, უფალო!

იესო ქრისტეს წინაშე ამონ-რა დადგა. ბიჭი მუხლებზე დაეშვა და ფეხებზე ემთხვია იესოს.

იესომ ააყენა.

— ანდრია, აი, შენი დისშვილი, ამონ-რა! — მიმართა თავის მოწაფეს.

ანდრია იქვე იდგა, იესოს მარჯვნივ, და ნეტარების სახით შესცქეროდა იესო ქრისტესა და ამონ-რას შეხვედრას.

— ჰო, უფალო! — სწრაფად უპასუხა ანდრიამ.

იესო ქვაზე ჩამოჯდა და ამონ-რას თვალებში ჩახედა.

— სხეულის სანთელი თვალია, — თქვა იესომ, — ჰოდა, თუ თვალი სუფთაა, მთელი შენი სხეულიც ნათელი იქნება!

იესომ გაუღიმა ამონ-რას. ცოტა ხანს გაჩუმდა. მერე ხელები გაიწოდა და თავზე დაადო.

ამონ-რას მთელი სხეული უცნაურმა განცხრომამ და ჟრუანტელმა ააღელვა.

ამონ-რას სული ნეტარების თრთოლვამ მოიცვა.

იესო ქრისტეს ხელებიდან ამონ-რას სულსა და გულში, მთელ სხეულში ნაკადად მიედინებოდა ძალა, ცეცხლი, სიბრძნე. სხეული ფრთებს ისხამდა, სული ნათლდებოდა.

— შენ ხარ ვენახი უფლისა!

იესო ქრისტეს სიყვარულით სავსე ხმამ, სიტყვებმა, გამომეტყველებამ, თვალების ძალამ ამონ-რა მეცხრე ცაზე და კიდევ უფრო ზემოთ აიტაცა. იქ, ცათა სასუფეველში, ამონ-რა ისმენდა იესოს გაკვეთილს, რომელიც მას ამქვეყნიური არსებობის აზრს, ცხოვრების აზრს ჩააგონებდა. იესო უხმოდ განუმარტავდა მას:

„რას ვამსგავსო ღვთის სასუფეველი?

ასეთია ღვთის სასუფეველი,

კაცმა რომ თესლი ჩააგდოს მიწაში, ეძინოს და დგებოდეს ღამით თუ დღისით,

თესლი კი აღმოცენდება და იზრდება,

მან კი არ იცის, როგორ.

რადგან მიწა თვითონ გამოიღებს ნაყოფს:
პირველად ჯეჯილს,
მერე თავთავს,
შემდეგ კი სავსე მარცვალს თავთავში.
რაკამს მომწიფდება ნაყოფი,
მაშინვე გამოგზავნის ნამგალს, რადგან მოაწია მკამ.
კიდევ რას შევუდარო ღვთის სასუფეველი?
იგი მდოგვის მარცვალს ჰგავს,
რომელიც ყველაზე მცირეა მიწაზე არსებულ თესლთა შორის,
დათესვის შემდეგ კი ამოდის და მის ფოთლებში ფრინველნი იბუდებენ.
ამონ-რა,
შენ მოცემული გაქვს ცოდნა ღვთის სასუფევლის საიდუმლოსი.
შენ ჩემი პატარა მწყემსი ხარ."
იესო ქრისტემ მსუბუქად მოაშორა ხელები ამონ-რას.
ამონ-რა განცხრომის მეცხრე ციდან ნელა დაეშვა მიწაზე.
იესოს თვალს ვერ აცილებდა.
უნდოდა ჩახუტებოდა, უნდოდა მოფერებოდა, უნდოდა ჩაძირულიყო იესო ქრისტეში.
იესო ქრისტე თავად მოეფერა ბიჭს, გულზე ძიიხუტა. შემდეგ ანდრიას მიმართა:
— ანდრია, გააცილე შენი დისშვილი. აქ მისი დარჩენა აღარ არის საჭირო.
ანდრიამ მხოლოდ ახლა გაბედა ამონ-რასთან მისულიყო. ხელში ხელი მოჰკიდა.
— გამომყევი, ჩემო ბიჭო! — უთხრა მშვიდი ხმით.
როგორც კი იესოს თვალს მიეფარნენ, ანდრიამ შუბლზე აკოცა ამონ-რას, მოეფერა.
— ბედნიერი ვარ, რომ გნახე! — უთხრა ანდრიამ, — ბედნიერი ვარ, რომ ქრისტემ გაკურთხა!
ამონ-რაც ბედნიერი იყო მასწავლებელთან შეხვედრით. რამდენი რამ უნდოდა ეთქვა და ეკითხა მისთვის. მარა აღარ ჰყავთ არც ანდრიას, არც ამონ-რას; იორამმა წამლების დამზადება და მკურნალობა ისწავლა, ქვაწერილი ამოცნობილია, დღეს კი მის ყველა სიტყვასა და ხაზს ჩასწვდა;

ალბათ, სალომესა და ილიასაც ასწავლის კითხვასა და მეცნიერებას.

ეს ყველაფერი და ბევრი სხვაც ერთად და უეცრად გაიფიქრა ამონ-რამ. ანდრიამ კი მისი ყველა ფიქრი ერთად დაიჭირა.

— აი რას გეტყვი, ჩემო ბიჭო! — ხმამაღლა უპასუხა ანდრიამ ამონ-რას ფიქრებს, — მარას სული ცათა სასუფეველშია. ნათელი იყო მისი ცხოვრება და მისი სულიც ნათელ სამყაროში დამკვიდრდა. ხშირად გაიხსენე მარა და უსურვე, რომ კიდევ უფრო სრულყოფილი გახდეს მისი სული.

ანდრია ცოტახანს გაჩუმდა. ალბათ, მარას სულს კეთილი ფიქრები გაუგზავნა.

— ასწავლე კითხვა და მეცნიერება სალომეს, ილიას და სხვებს, ვინც მოისურვებს. აკეთეთ კეთილი საქმეები, განკურნეთ ადამიანები, უამბეთ მათ იესო ქრისტეზე...

ანდრია ისევ გაჩუმდა. შემდეგ ამონ-რას თვალებში ჩახედა და თითქმის უჩურჩულა:

— ამონ-რა, შენ უკვე შეიცანი შენი ქვაწერილი. იყავი შენი გზის ერთგული.

ანდრიამ სალომე, იორამი და ილიაც მოიხმო თავისთან, მათაც მოეფერა.

— თქვენ ყველა ქრისტეს შვილები ხართ. დაეხმარეთ ერთმანეთს, ისწავლეთ ერთმანეთისაგან, იცხოვრეთ, როგორც იესო ქრისტემ დაგარიგათ. ამონ-რა იყოს თქვენი მასწავლებელი.

დასასრულ ანდრია ისევ სათითაოდ მოეფერა ყველას და აგრძნობინა, რომ წასვლის დრო აქვთ.

— ნულარ გაჩერდებით აქ, დაბრუნდით ქალაქში. გული გეტყვით, რა უნდა გააკეთოთ და როგორ მოიქცეთ. გზისა ნუ შეგეშინდებათ, მთვარიანი ღამეა. და, საერთოდ, არასოდეს არაფრის შეგეშინდეთ.

ამონ-რას უჭირდა მასწავლებელთან განშორება.

— მშვიდობით, ანდრია!

— ღმერთი გფარავდეთ ყველას!

ამონ-რა წინ გაუძღვა თავის მეგობრებს, ან, როგორც ანდრიამ თქვა, თავის მოწაფეებს. უკან მისი მასწავლებელი დარჩა. ანდრია დიდხანს აჰევნებდა თვალს მიმავლებს, შემდეგ, როცა ისინი თვალთაგან მიეფარნენ, თავის მასწავლებელთან დაბრუნდა.

პირველი გაკვეთილი მოწაფეებთან

სალომე და ბიჭები დიდხანს მიდიოდნენ ჩუმად.

თითოეული იესოსთან შეხვედრის შთაბეჭდილებებში იყო ჩაძირული და ცდილობდა თავის თავში გარკვეულიყო.

„რატომ უთხრა იესომ თავის მოწაფეებს — თუ ესე არ მოიქცევით, არ იქნებით როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველშიო? — ფიქრობდა სალომე, — როგორ იქცევიან ბავშვები? თამაშობენ, ცელქობენ, ჩხუბობენ და იბუტებიან. იმას ხომ არ ეუბნებოდა იესო მოწაფეებს — თქვენც ითამაშეთ, იცელქეთ, იჩხუბეთ და გაიბუტეთ, თორემ ცათა სასუფეველში არ შეგიშვებენო? ოჰ, რა სისულელეა! როგორ შეიძლება დიდებს ასეთი დარიგება მისცე. ან როგორ უნდა იცელქონ და ითამაშონ დიდებმა? ისე მოიქეცით, როგორც ბავშვებიო. ეს სხვა რამეს ნიშნავს. ისეთები იყავით, როგორც ბავშვებიო. აქ რაღაც საიდუმლოა. — სალომეს ფიქრებმა იესოს სხვა აზრებზეც გადაინაცვლა, — კიდევ იესომ თქვა: ვინც ერთ ასეთ ბავშვს ჩემი სახელით მიიღებს, ის მე მღებულობსო. მაშ, ვინც მე იესოს სახელით მიმიღებს, ის იესოს მიიღებს. გამოდის, რომ მეც იესო ვარ? — სალომე თავისმა დასკვნამ გააკვირვა, — ამონ-რას ვკითხავ, ის გამარკვევს.“ ყველაზე დიდი გამოცანა კი სალომესთვის სულ სხვა რამ იყო: „მათი ანგელოზები ზეცაში ყოველთვის ხედავენ ჩემი ზეციერი მამის სახეს,“ — ასე თქვა იესომ. „მეც ჩემი ზეციერი ანგელოზი მყავს? ის ჩვენს ზეციერ მამას ხედავს? რატომ მე ვერ ვხედავ ჩემს ანგელოზს ან ღმერთს? ვინ არის ზეციერი მამა, ღმერთი? — სალომეს ფიქრები ვერა და ვერ ლაგდებოდა, გოგონა ვერ პოულობდა თავისი კითხვების პასუხებს, — ამონ-რას ყველაფერი ეცოდინება. მას ვკითხავ.“ ამ ფიქრებით მოჰყვებოდა გვერდით სალომე ამონ-რას, მაგრამ ჯერ არაფერს ეკითხებოდა, ხედავდა, რომ იგი თავად იყო ფიქრებში ჩაძირული.

ილია გაოგნებული იყო იმით, რისი მოწმეც გახდა. იესოს სიტყვები კარგად ვერ გაიგო, მაგრამ გული უგრძნობდა, რომ დიდ ცოდნას ეზიარა, გონებაში რაღაც სინათლე და-

უმკვიდრდა. მიაბიჯებდა ისე, თითქოს ზურგზე უკვე აკიდებული ჰქონდა იესოს ტვირთი, მაგრამ რა ტვირთი იყო, ვერ ხვდებოდა, რადგან არ ამძიმებდა. „რას ნიშნავს — იტვირთე ჩემი ტვირთიო? ასე მითხრა იესომ. ვიტვირთავ, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდე, რა არის ეს ტვირთი, სად არის ის, სად უნდა მივიტანო? იესო ქრისტეს ტვირთი... იქნებ ეს ტვირთი მისი ფიქრებია, რასაც ის ხალხს ასწავლიდა? მიჭირს გავერკვე. ამონ-რას უნდა ვთხოვო დამეხმაროს, მას ეცოდინება. ამონ-რა ჩემი მასწავლებელია.“ ასე ფიქრობდა ილია, მაგრამ არ ჩქარობდა, რომ ამონ-რასთვის კითხვები მიეცა, სხვა დროს ვკითხავო.

იორამი მიაბიჯებდა რწმენითა და იმედით სავსე. იესომ უთხრა: ადამიანის სულისა და სხეულის კეთილი მკურნალი იყავიო. ამ გზიდან არ გადაუხვევს იორამი. ზეპირად შეისწავლის წიგნებს, რომლებიც ანდრიამ ამონ-რას დაუტოვა, ისწავლის ანდრიას ნაწერებს; მათში ბევრი ცოდნაა საკურნალო ბალახების და მკურნალობის შესახებ. იორამი უმკურნალებს ყველას განურჩევლად — კეთილსაც და ბოროტსაც, რადგან ასე თქვა იესომ: „დალოცეთ თქვენი მაწყევრები და სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს. კიდევ იესომ უთხრა: რა საწყაოთიც მიუწყავ, ისეთი საწყაოთი მოგეწყოს შენო. რას ნიშნავს ეს? იორამი თითქოსდა ჩასწვდა ცათა სასუფევლის საიდუმლოს: როგორი სიკეთითაც ილვაწებ აქ, დედამიწაზე, ის დაუბრუნდება შენს სულს იქ, ცათა სასუფეველში. მაგრამ იორამი ვერ გაერკვა იესოს ნათქვამში: მიეტევა მამაშენს ცოდვაში შენს გამოო. რას ნიშნავს ცოდვების მიტევება? — ფიქრობდა იორამი, — მამაჩემის სული განიწმინდა? ისევე განიწმინდა, როგორც კეთროვანი? მაშინ როგორი კაცი გახდება მამაჩემი?“ იორამს გაუჭირდა ამის გაგება, ვერა და ვერ წარმოედგინა, როგორი შეიძლებოდა გამხდარიყო ადამიანი, რომელიც ბოროტებით ცხოვრობდა და, უეცრად, ყველაფერი მიატოვა. ინახულე და გაიხარეო, უთხრა იესომ. „ამონ-რას უნდა გავესაუბრო, ის გამარკვევს,“ — გაიფიქრა იორამმა, მაგრამ ამონ-რას სიმშვიდე არ დაარღვია.

ამონ-რა წინ მიუძღოდა მეგობარ-მოწაფეებს. ფეხები თავად აგრძელებდნენ გზას, თვითონ კი მთლიანად ფიქრებში იყო წასული. წვრილ-წვრილად იხსენებდა ყველაფერს, თუმცა განცდილის, მოსმენილისა და დანახულის არცერთი

დეტალი წვრილმანად არ მიაჩნდა. იხსენებდა იესო ქრისტეს ხელებს და სიტყვით გამოუთქმელ იმ ძალასა და განცდას, რაც მას სულსა და გულში ჩაეღვარა, როცა იესომ ხელები თავზე დაადო. ამონ-რას გონებაში საკვირველი სინათლე შეიჭრა, სინათლე კი არა, გაგება, მიხვედრა; ყველაფერი განათდა მის გონებაში, ქვაწერილის მთელი საიდუმლო ამონ-რამ უეცრად ამოიცნო. აი, უბეში უდევს თავისი ქვაწერილი, ზეპირად იცის ყველა ხაზი, ყველა ასო-ნიშანი. რამდენს წვალობდა მათ ამოხსნაზე. ახლა კი ქვაწერილი მთლიანად ალაპარაკდა. გაიგო ამონ-რამ, რას ნიშნავს გზა, რომელიც მოკლეც არის და უსასრულოც, ეკლიანიც და ალმავალიც. ამონ-რამ მკერდზე ჩამოკიდებული ქვაწერილი მოისინჯა და მოეფერა, მოესიყვარულა. „იყოს მოკლე და იყოს ეკლიანი, — გაიფიქრა ბიჭმა, — გავუძლებ.“ მიუძღოდა წინ თავის მოწაფეებს ქრისტეს პატარა მწყემსი და ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ უნდა ემწყემსა ისინიც, ვინც მას ახლა ფეხდაფეხ მისდევდა, და ისინიც, ვინც მოისურვებდა, რომ გაჰყოლოდა.

ღამის სიჩუმეს ოთხი მგზავრის ნაბიჯები არღვევდა. საესე მთვარე უკნიდან უნათებდათ გზას და თითოეულ მათგანს წინ საკუთარ გრძელ ჩრდილს უჩენდა.

შორიდან ცხენების თქარათქური მოესმათ.

სალომე შეკრთა და ამონ-რას მიეკვრა.

— რა უნდა ვქნათ, თუ ყაჩაღები არიან? — ჰკითხა ამონ-რას.

— ნუ გეშინია, — დაამშვიდა ამონ-რამ, — და, საერთოდ, არასოდეს არაფრის შეგეშინდეს.

მალე გზაზე მხედრების მთელი რაზმი გამოჩნდა. ცხენოსნები ბავშვებს მიუახლოვდნენ. წინ მომავალმა, ალბათ, უფროსმა ხელი ასწია და რაზმი გაჩერდა. ცხენოსნები მახვილებითა და შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი.

— ეი, თქვენ, საიდან მოდიხართ ამ შუალამისას, ან სად მიდიხართ?

— ჩვენ ზეთისხილის მთასთან ვიყავით, იქიდან ვბრუნდებით ქალაქში. — უპასუხა მშვიდად ამონ-რამ.

— რა გინდოდათ იქ? —მწყრალად ჰკითხა უფროსმა.

— იესო ქრისტესთვის გვინდოდა მოგვესმინა.

— მერე, მოუსმინეთ? იქ არის თქვენი მესია? — დასძინა უფროსმა.

— არა, იესო არ მოვიდა იქ.

— როგორ თუ არ მოვიდა?! მაშ სად წავიდა იესო? — გაუკვირდა უფროსს.

— გალილეაში წავიდაო, ასე თქვეს.

— რას ამბობ?! — არ დაიჯერა უფროსმა, — განა ახლა იესო ზეთისხილის მთასთან არ არის თავის მოწაფეებთან ერთად?! განა იქ აუარებელი ხალხი არ შეიკრიბა?!

— ხალხი ძალიან ბევრი შეიკრიბა, მთელი ღამე და დღე ველოდეთ იესო ქრისტესა და მის მოწაფეებს. მაგრამ მხოლოდ მათგან გამოგზავნილი მოვიდა და შეგვატყობინა, რომ იესო იუდეაში არ მოვაო.

— რატომ არ მოვაო? — ჩაეკითხა უფროსი ამონ-რას. ცხენიდანაც ჩამოხტა, რომ მისთვის თვალებში ჩაეხედა, — შენ მართალს ამბობ?

— ასე თქვა გამოგზავნილმა: ვისაც იესოს ქადაგების მოსმენა ან მკურნალობა გინდათ, გალილეაში წადით, იესოს თაბორის მთასთან ან გენესარეთის ზღვასთან იპოვითო.

— ისევ გეკითხები, — მუქარით უთხრა უფროსმა, — რატომ არ მოვაო იესო?

— ასე თქვეს: იუდეაში მეფეს იესოს შეპყრობა უნდაო. იესოს შეატყობინეს ეს, ისიც უკან დაბრუნდა, ის გენესარეთის ზღვით ბეთსაიდაში აპირებს წასვლას, რომ მეფეს დაემალოს. — მშვიდად უპასუხა ამონ-რამ.

— შენ მართალს ამბობ?

— დიახ, მართალს მოგახსენებთ.

უფროსი ამონ-რას მეგობრებს მიუბრუნდა;

— მართალს ამბობს თქვენი ამხანაგი?

მაგრამ ვერცერთმა ვერ გაიგო, რას ეკითხებოდა მათ შეიარაღებული კაცი, თანაც რატომ იყო ასე გამწყრალი. უფროსი კიდევ უფრო გაბრაზდა, როგორ თუ პასუხს მიგვიანებენო და მათრახი შეათამაშა, აქაოდა ხომ არ გინდათ მათრახის გემო გაგასინჯოთო.

— მე თქვენ გეკითხებით, თქვენც ხომ იყავით ზეთისხილის მთასთან? მართლა არ მოვიდა იქ მესია? — უფროსმა ისე შეჰყვირა, რომ ბავშვებმა იგრძნეს, მეტად სახიფათო საქმეს გადაეყარნენ.

ბავშვები ისევ დუმდნენ.

— რატომ არ უპასუხებთ? — ჰკითხა ამონ-რამ მეგობრებს.

— როგორ ვუპასუხებთ, როცა არ გვესმის, რას გვეკითხება? ამონ-რა, რა ენაზე ელაპარაკები მაგ კაცს?! — იორამის პასუხი სამივესთვის საერთო იყო.

— როგორ თუ რა ენაზე? განა არ გეყურებოდათ, ჩვეულებრივ ენაზე!

— არა, შენ სხვა ენაზე ელაპარაკები მაგას, ჩვენ ეგ ენა არ გვესმის!

უფროსი მოუთმენლად ელოდა პასუხს და ბავშვების ამ მოლაპარაკებამ მისთვის უცხო ენაზე მთლად გამოიყვანა მდგომარეობიდან.

— რას დუდღუნებთ თქვენთვის? — შეჰყვირა და ამონ-რას გადაუჭირა. სალომემ წამოიყვირა და ამონ-რას გადაეფარა. ილია და იორამიც მზად იყვნენ დაეცვათ მასწავლებელი, მაგრამ ამონ-რას სიმშვიდემ ისინი გააჩერა. ამონ-რას თავად ვერ გაეგო, რა ხდებოდა, მაგრამ ამბობდა იმას, რასაც გული ჰკარნახობდა, ხოლო ენა თავისით გამოთქვამდა სიტყვებს. ახლაც გულმა უკარნახა, ენამ კი თქვა:

— ბატონო, ჩემი მეგობრები ვერ გიპასუხებენ, რადგან მათ თქვენი ენა არ იციან.

— შენ საიდან იცი რომაული? — დაინტერესდა უფროსი.

— ერთი წელიწადი რომში ვცხოვრობდი, იქიდან მახსოვს.

— მაშ შენ ამბობ, რომ იესო ზეთისხილის მთასთან არც მისულა?

— დიახ.

— ხალხი რას შვრება? მარტო თქვენ ბრუნდებით ქალაქში?

— ხალხის ნაწილი გალილეაში წავიდა, იქნებ იქ მაინც ვნახოთ იესოო. ბევრი იყო ხეიბარი და ავადმყოფი. იესო მოგვარჩენსო, ამბობდნენ...

— სხვებმა?

— დანარჩენები ქალაქში დილით ადრე წამოვლენ. ღამით არ უნდოდათ სიარული.

— თქვენ რატომღა წამოხვედით? — შეუტია უფროსმა ამონ-რას.

— ჩვენ მეგობარს, — ამონ-რამ იორამზე მიუთითა, — მამა ჰყავს ძალიან ავად, დარჩენა არ შეეძლო. ჩვენ მარტო არ გვინდოდა გამოგვეშვა და გამოვყევით.

უფროსი ცოტახანს ჩაფიქრდა. შემდეგ თავისებს ჰკითხა:

— ხომ გაიგეთ, რას ამბობს ეს ბიჭი, როგორ მოვიქცეთ?

ერთმა თქვა, იქნებ გვატყუებს ეგ ბავშვი, ამიტომ წავიდეთ ზეთისხილის მთასთან და დავრწმუნდეთო. სხვებმა კი იგრძნეს უფროსის განზრახვა და ურჩიეს: ეს ბავშვი არ გვატყუებს, რატომ დავკარგოთ დრო, დავბრუნდეთ და ასისთავს მოვახსენოთ, რაც შევიტყვეთო.

უფროსს მოეწონა მათი რჩევა.

— ბავშვები? — იკითხა უფროსმა, — დავტოვოთ თუ თან წავიყვანოთ?

— ბავშვები თან რომ წავიყვანოთ, შევბრკოლდებით, მაგათთვის ცალკე ცხენები არ გვყავს, ჩვენ კი ცხენებზე ვერ შევისხამთ! — თქვა ერთმა.

უფროსი კმაყოფილი ჩანდა. თუ რამ გაუგებრობა მომხდარა, ყველაფერს ჩემს მრჩეველს დავაბრალებო, გაიფიქრა.

— გავიგოთ, ვინ არიან ეს ბავშვები, თუ გვატყუებენ, სად დაგვემალებიან, მოვძებნით! — დაუმატა მეორემ.

— აბა, მითხარი, რა გქვია შენ და შენს ამხანაგებს, სად ცხოვრობთ! — უბრძანა უფროსმა ამონ-რას.

— ქალაქში ვცხოვრობთ, — უპასუხა ამონ-რამ და ყველას სახელი ჩამოუთვალა.

— შენი სახელი რად დაგავიწყდა?

— მე ამონ-რა ვარ, მებადურ ამონის ძე. მამა თევზის ჭერის დროს აღელვებულ ზღვაში დაიღუპა.

ცხენებიდან სამი ლეგიონერი ჩამოვიდა, ბავშვების მთვარით განათებულ სახეებს ახლოდან დააკვირდა და დაიხსომა.

— შენ ხომ იცი არამეული? — ჰკითხა უფროსმა.

— ვიცი! — უპასუხა თამამად ლეგიონერმა.

— მერე და ხომ ხედავ, შე სულელო, რომ მარტო ეს ერთი ბიჭი ლაპარაკობს ჩვენს ენაზე. დაკითხე სხვებიც და გავიგებთ, ისინი რაღას იტყვიან.

ლეგიონერმა პირი გააღო და თითქოს რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ მისთვის მოულოდნელად გაურკვეველი ლუღლუღი ამოუშვა.

— ასე ლაპარაკობენ არამეულად? — გაუკვირდა უფროსს, — ჰკითხე, გეუბნები, სად არის ახლა მაგათი იესო!

ლეგიონერმა ისევ გააღო პირი და ისევ ალუღლუღდა.

— რა გემართება? — გაწყრა უფროსი.

ლეგიონერმა ზლუქუნი დაიწყო.

— რა მოუვიდა ამას?

ორმა ლეგიონერმა პირში ჩახედა აზლუქუნებულს და, რადგან სიბნელის გამო ვერაფერი დაინახა, ერთმა ხელი ჩაუყო პირში.

— აუჰ! — შეიცხადა, — ამას ენა გადაუყლაპავს! ენა აღარ აქვს პირში!

— რას ამბობ?! — გაოგნდა უფროსი, ეგონა — მამასხარავებენო, — ამწუთს არ ლაპარაკობდა?

— ლაპარაკობდა, მაგრამ ვეღარ ილაპარაკებს... ენა გადაყლაპა... — გაიმეორა ლეგიონერმა.

უფროსმა გადაწყვიტა თავად შეემოწმებინა ყველაფერი.

— გააღე პირი! — დაუყვირა აზლუქუნებულ ლეგიონერს.

ლეგიონერმა საცოდავად დაიგმინა და ხახა დააფჩინა. უფროსმა უბედური მთვარისკენ შემოაბრუნა, აქაო და კარგად დავინახოო, და შიგ ჩახედა. პირში არაფერი ჩანდა. მაშინ უფროსმა თავად ჩაუყო თითები ხახაში და იქაურობა მოათვალიერა. ენაგადაყლაპულმა „ბუყო“ და რა საძაგლობაც აჭამეს ყაზარმაში, უფროსს სახეში შეასხა.

— თფუ... — გაცოფდა უფროსი, — წყალი... წყალი...

წყალი ლეგიონერებიდან არავის აღმოაჩნდა. უფროსს იორამი მიეშველა: აბგიდან დოქი ამოიღო და პირი მოაბანინა.

— ეი, შენ, — დაუყვირა უფროსმა ყველაზე ძლიერ ლეგიონერს, — გაულაწუნე ერთი მაგას ყბაში და ამოუგდე ენა...

ლეგიონერმა ხალისით შეასრულა უფროსის ბრძანება და აზლუქუნებულს ყბაში ლაზათიანი მუშტი სთხლიშა. ენაგადაყლაპული მიწაზე გაიშხლართა. მეორე ლეგიონერი მაშინვე ზედ მოაჯდა და ისევ ჩაუყო პირში ხელი, რომ ენა მოესინჯა. მაგრამ გამწარებულმა ენაგადაყლაპულმა ისე მაგრად მოუჭირა თითებზე კბილები, რომ ლეგიონერმა ყვირილი ატეხა — მიშველეთ, ხელი მომაჭამა ამ ვირმაო. ენაგადაყლაპულს ჩასცხეს და ძლივს გააღებინეს პირი; საცოდავი ლეგიონერი, რომელსაც ძალიან უნდოდა გმირობა გაეწია,

თვითონ გახდა საეჭიმო, რადგან ენაგადაყლაპულმა ნეკი მოაკვნიტა და პირიდან გამოაფურთხა.

კიდევ ბევრი ცუდი ამბავი მოხდებოდა, მაგრამ უფროსმა ჭკუა იხმარა: ლეგიონერებს უბრძანა ცხენებზე შემსხდარიყვნენ, ყველა ზურგისკენ შეაბრუნა, თვითონ თავში დაუდგა და მომყევითო, დაიძახა.

მამაც მეომართა შორის ერთი — თითმოკვნეტილი — მოთქმით ტიროდა, მეორე, რომელმაც ასე დროულად გადაყლაპა ენა, ბღაოდა, ზოგი სიცილით ბჟირდებოდა, უფროსი კი, რომელსაც „ბუყის“ სუნი ახრჩობდა, იგინებოდა.

ვიდრე ცხენების ფეხის ხმა შეწყდებოდა, ბავშვები ადგილზე იდგნენ და მიმავალ რაზმს უყურებდნენ. შემდეგ კი ვითარების გარკვევა დაიწყეს.

— ამონ-რა, ვინ იყვნენ ისინი? რა უნდოდათ? — ჰკითხა მოუთმენლობით სალომემ.

— რა ენაზე ელაპარაკებოდი მათ?! შენ იცი ენები?! — გაოცებული იყო იორამი.

— სად მიდიოდნენ ან რატომ დაბრუნდნენ უკან? — უკვირდა ილიას.

ამონ-რამ თავადაც არ იცოდა კარგად, რა მოხდა.

რა თქმა უნდა, ამონ-რა მიხვდა, რომ შეიარაღებულები რომაელი ლეგიონერები იყვნენ და ცუდი განზრახვით მიიჩქაროდნენ ზეთისხილის მთისკენ; იმასაც მიხვდა, რომ მათ თურმე, როგორც უფროსმა თქვა, რომაულ ენაზე ელაპარაკებოდა, თუმცა არც რომაული და არც სხვა ენები, გარდა მშობლიური არამეული ენისა, არ იცოდა. კიდევ იმას მიხვდა ამონ-რა, რომ მოატყუა ლეგიონერები და უკან გააბრუნა, მაშ, დაიცვა იესოც და ხალხიც, რომელიც ზეთისხილის მთასთან იყო შეკრებილი. ჩასწვდა ყველაფერ ამას. მაგრამ როგორ მოხდა ეს ყველაფერი სწორედ ასე — ეს ვერ აეხსნა ამონ-რას.

რაც შეეძლო და რაც საჭირო იყო, განუმარტა მეგობრებს. მაგრამ ვერ აუხსნა და ვერ განუმარტა, საიდან მოუფრინდა თავში ლეგიონერების ენა და რამ აალაპარაკა ამ ენაზე, თანაც ისე, რომ თვითონაც არ იცოდა, თუ სხვა ენაზე ლაპარაკობდა. გული ახსენებდა, რა უთხრა იესო ქრისტემ განშორების წინ: „ამონ-რა, შენ მოცემული გაქვს ცოდნა

ღვთის სასუფევლის საიდუმლოსი", მაგრამ ამ სიტყვების აზრი ამონ-რამ ჯერ ვერ ამოიცნო.

გზა გააგრძელეს.

ამონ-რას საუბარმა ლეგიონერებთან და ლეგიონერების უკან დაბრუნებამ, იმანაც, როგორ გადაყლაპა ერთმა საცოდავმა ლეგიონერმა ენა და მეორეს თითი მოაჭამა, ბავშვები ძალიან გაახალისა. სალომე გულიანად კისკისებდა: ასე უნდა მაგათ, რას ერჩიან იესოსო. შემდეგ წარმოიდგინა, რა დაემართება უფროსს, როცა გაიგებს, რომ პატარა ბიჭმა განგებ შეიყვანა შეცდომაში და მთელი რაზმი, იესოს დასაკავებლად მომზადებული, უკან დააბრუნა; როგორ გადაირევა და რას ეტყვის მას კიდევ უფრო დიდი უფროსი. „ახია მაგათზე, ახია!" — იძახდა სალომე, იცინოდა და სხვებსაც აცინებდა, ხარობდა და ამონ-რას ეფერებოდა: „ყოჩაღ, რა კარგად მოიფიქრე, როგორ უეცრად მიხვდი, რაც უნდა გეპასუხა, მათი ენაც როგორ გაიგე!" ამონ-რას უნდოდა ეთქვა, რომ ეს მისი დამსახურება არ იყო, მაგრამ ხედავდა: აღტაცებული სალომე და ილიაც ამას ვერ გაიგებდნენ.

ილიასთვის ამონ-რა გამოცანა აღმოჩნდა: თითქოს რაზდენიმე წელია იცნობდა ამონ-რას, მეგობრობდა მასთან, მაგრამ ვერც წარმოიდგენდა, რომ ამონ-რამ ასე კარგად იცოდა კითხვა და მეცნიერება, შეეძლო გულთამხილაობა და წინასწარმეტყველება. ილია მის მიმართ დიდი მოწიწებით განიმსჭვალა და უფროსი მეგობრის გრძნობა მოკრძალებული მოწაფის განცდით შეეცვალა. ილიამ ველარ მოითმინა და ამონ-რას მიმართა:

— ამონ-რა, ასე თქვა ანდრიამ - ამონ-რა თქვენი მასწავლებელი იყოსო. მე მინდა შენი მოწაფე ვიყო. როდის მასწავლი კითხვასა და მეცნიერებას?

— ჰო, ჰო, მეც შენი მოწაფე ვარ, მეც უნდა მასწავლო! — დაუმატა სალომემ, — როდის, როდის?

„ანდრიას არ უყვარდა საქმის გადადება," — გაიფიქრა ამონ-რამ. გზიდან გადავიდა და ხის ქვეშ ქვაზე ჩამოჯდა. სალომე და ილია ვერ მიხვდნენ, რატომ გაჩერდა ამონ-რა ასე მოულოდნელად.

— დასხედით, — უთხრა ამონ-რამ, — შევუდგეთ კითხვისა და მეცნიერების გზას. ამ გზას კი, — და ხელი შარაგზისკენ გაიშვირა, — მერე გავაგრძელებთ.

სალომე მაშინვე მის ფეხებთან მოეწყო, ბიჭებიც მის წინ დასხდნენ.

— დავიწყოთ იმით, რომ ცას გავხედოთ. რას ხედავთ ცაზე?

მოწაფეებმა თავები მაღლა აწიეს და ვარსკვლავებიან ცას დაუწყეს ცქერა.

— ვარსკვლავებს, მთვარეს.

— გათენდება და მზესაც დავინახავთ...

— მზე გაათენებს, ღამეს დღით შეცვლის...

— რამდენი ვარსკვლავია ცაზე? — ჰკითხა ამონ-რამ.

— აუარებელი... ძალიან ბევრი...

— უთვალავი...

უპასუხეს მოწაფეებმა.

— შეხედეთ, როგორ არიან ვარსკვლავები განლაგებულნი. რატომ არ იცვლიან ისინი თავიანთ ადგილებს?

მოწაფეებმა პასუხი ვერ მონახეს.

— ცაზე არიან მიმაგრებულნი და იმიტომ! — თქვა სალომემ.

ამონ-რამ აცალა მოწაფეებს, რომ ცოტახანს ეცქირათ ცისთვის და გაოცებულიყვნენ.

— რა საინტერესოა ცა. რა ხდება ნეტავ ვარსკვლავებზე? — თქვა სალომემ.

ილიაც მოხიბლული იყო ცით, თითქოს პირველად ახედა ვარსკვლავებსო. იორამიც ცნობისმოყვარეობით ისმენდა ამონ-რას გაკვეთილს, თუმცა ეს საფეხური მას დიდი ხანია ათვისებული ჰქონდა.

— ყველაფერი, რაც ჩვენს ზემოთ არის, ერთი დიდი წიგნია, რომლის წაკითხვაც უნდა ვისწავლოთ და მაშინ ბევრ საიდუმლოს გავიგებთ. ამ წიგნს სამყარო ჰქვია.

— სამყარო... — გაიმეორა სალომემ.

— ახლა მიმოიხედეთ ირგვლივ, რას ხედავთ? — ჰკითხა ამონ-რამ მოწაფეებს.

— ხეებს, მთებს...

— ქვებს, ყვავილებს, ბალახს...

— მინდვრებს...

— ტბებს, ზღვებსა და მდინარეებსაც დავინახავდით, ახლოს რომ ვიყოთ მათთან...

— ცხოველებსა და ფრინველებსაც დავინახავდით, მაგრამ ღამეა...

— რა ჰქვია ადამიანების დიდ სახლს?

სალომემ და ილიამ ვერაფერი უპასუხეს.

— დედამიწა... — თქვა იორამმა.

— დედამიწა, დედამიწა! — გაიმეორა სალომემ.

ილია გულში იმეორებდა ყველაფერს.

— ყველაფერი, რაც დედამიწაზე წარმოიშვა და აღმოცენდა, რაც ჩვენს გარშემოა და რითიც ვცოცხლობთ, მეორე დიდი წიგნია, პირველი წიგნის შვილი. ამ წიგნის წაკითხვაც უნდა ვისწავლოთ და მისგანაც საიდუმლოებს შევიცნობთ. ამ წიგნს ბუნება ჰქვია.

— სამყარო და ვარსკვლავები, დედამიწა და ბუნება... — შეაჯამა თავისი ფიქრები სალომემ.

ამონ-რამ გააგრძელა:

— ახლა დახუჭეთ თვალები და თქვენს გონებაში, თქვენს გულში შეიხედეთ, რა ხდება და რა ინახება იქ?

ცოტახნის შემდეგ სალომე აჩურჩულდა:

— რა ხდება ჩემს გულში, რა ხდება ჩემს გონებაში... ფიქრები მაქვს თავში... გულში სიხარული მაქვს... დედა მიყვარს და ამონ-რა მიყვარს, ეს მაქვს გულში...

— სინდისს ვხედავ გულში, — მორიდებით თქვა ილიამ.

— სურვილები მაქვს გულში... — დაუმატა სალომემ.

— წუხილი და საზრუნავი მაქვს... თავში ათასნაირი აზრი მიჩნდება! — თქვა იორამმა.

— სიზმრებს ვხედავ ხოლმე. სიზმრები ხომ გონებაში ხდება? — კიდევ დაუმატა სალომემ.

— ვოცნებობ ხოლმე, როცა ჩემთვის ვფიქრობ, თითქოს ვიღაცას ველაპარაკები... — თქვა ილიამ.

ამონ-რამ აცალა მოწაფეებს, რომ კიდევ მოეძებნათ კითხვის პასუხი. შემდეგ განუმარტა:

— ის, რაც თქვენს გულსა და გონებაშია, ყველაზე მთავარი წიგნია, მასში მეცნიერებათა მეცნიერებაა ჩაწერილი. თუ მის წაკითხვას ვისწავლით, მაშინ კიდევ უფრო ღრმად გავიგებთ სამყაროსაც და ბუნებასაც. ამ წიგნს სული ჰქვია.

— სამყარო, ბუნება, დედამიწა, სული... სული, სამყარო, დედამიწა... სამი მთავარი წიგნი... — გაიმეორა თავისთვის სალომემ.

ასე დაიწყო ამონ-რამ პირველი გაკვეთილი თავის მოწაფეებთან.

გაკვეთილი ხის ქვეშ, მთვარის შუქზე, როცა შუაღამე უკვე გადასული იყო.

ეს იყო ღიმილი სინანულის, ბოდიშისა და იმედის

როცა ცოლმა დილით ადრე გაიღვიძა, რაც დაინახა, თვალებს არ დაუჯერა: ქმარი ფეხზე იდგა, ღიღინებდა და საგარეო ტანსაცმელს იცვამდა.

მაგრამ მარტო ეს კი არ გაუკვირდა ცოლს, ქმარი კარგ გუნებაზე იყო, — აი, რამ გააოგნა ქალი.

— ამას რას ვხედავ! — ჩაილაპარაკა ცოლმა, — ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, გამაგებინე, რა ამბავია ამ კაცის თავს!

ოთხი დღის წინ ღონიერმა ბიჭებმა მაღლა ასწიეს მისი ქმარი და საჯილდაო ქვაზე ზურგით დაანარცხეს. ქმარს ხერხემალი გადაუტყდა და ნეკნები ჩაელეწა. ექიმბაშმა თქვა: ფეხზე ველარასოდეს გაივლისო. გუშინწინ კი მოჩვენებები დაეწყო: ზურგს უკან ვინ მიდგასო, იორამი აქ ხომ არ არისო. მოკლედ, ბოდავდა. ისიც კი თქვა, სამ დღეში ფეხზე ავდგებიო.

ცოლი ისევ ექიმბაშთან გაიქცა და ყველაფერი უამბო. რა ვქნა, როგორ მოვიქცეო, ჰკითხა. ექიმბაშმა კი უფრო გადარია ცოლი: შენი ქმარი ვერც ფეხზე გაივლის და თანაც გონთ გადასულაო. დღეს კი რას ხედავენ მისი თვალები?

ჯერ ერთი, ქმარი ღიღინებს და კარგ ხასიათზეა. რაც თავი ახსოვს, ქმარს არასდროს უღიღინია. იძინებდა ცუდ ხასიათზე და დგებოდა ცუდ ხასიათზე. მთელი დღეც გინებასა და ჩხუბში იყო. ეჩხუბებოდა და აგინებდა ცოლს, საცემად დასდევდა შვილს. მოძულებული ჰყავდა ყველა — ნათესავები და მეზობლები. ბოროტი და ბოღმიანი კაცი იყო ქმარი.

მეორეც, ქმარი, რომელიც მთელი ცხოვრება დავრდომილი უნდა ყოფილიყო, ფეხზე დგება და საგარეო ტანსაცმელს იცვამს. ისე კოხტად და სხარტად მოძრაობს, თითქოს ოცი წლის საღ-სალამათი ბიჭი ყოფილიყოს. დღეს სწორედ ის მესამე დღეა, როცა ადგომა იწინასწარმეტყველა.

— ღმერთო დიდებულო, რა ხდება ამ კაცის თავს? — ჩაილაპარაკა გაოგნებულმა ქალმა.

მაგრამ წუთიც არ გასულა, რომ ერთ გაოგნებას მეორე მიემატა, ნამდვილად სიზმარში ვარო, გაიფიქრა და ლოყაზე იჩქმიტა. მერე მეორედ იჩქმიტა, რადგან ქმარმა მეორედ გადმოსძახა ისევ ისეთი ალერსიანი ხმით, სიყვარულით:

— ანა, შენი ჭირიმე, დილა მშვიდობისა! ხომ არ გაგაღვიძე?

ანაო?!

ქმარმა სახელით მიმართა ცოლს!

თანაც მიუალერსა, დილა მშვიდობისაო!

ცოლს აღარც ახსოვდა, რომ სახელი ერქვა. ქმარი ან ცოლს ეძახდა, ან ქალოს, გარეშენი კი მხოლოდ ქალითა და დედაკაცით მიმართავდნენ. რაც თავი ახსოვს, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქმარმა ანა დაუძახა.

— კაცო, შენს ჭკუაზე ხარ?! — თუმცა ნაჩქმეტი ეტკინა, ქალს თავი მაინც სიზმარში ეგონა.

არც თვითონ მიუმართავს არასდროს ქმრისათვის სახელით, სულ კაცოს ეძახდა.

ქმარმა თავაზიანად გაუსწორა:

— ანა, განა არ იცი ჩემი სახელი?

— ვიცი, რა გინდა მერე? — უხეშად უპასუხა ცოლმა.

ცოლ-ქმარს შორის შეუღლების პირველ დღიდან არ თქმულა საალერსო სიტყვა. მეხი კი დაგაყარე, აგორებულ მიწაში ჩაგაგდეო, შენ კი მომიკვდიო და მისთანანი ცოლისთვის ჩვეულებრივი სახმარი სიტყვები იყო. არც ქმარი აკლებდა ამდაგვარ სამკაულებს: შე ძუკნა ძაღლოვო, შენი ეგრე და აგრეო. და უეცრად ყველაფერი თავდაყირა დგება. როგორ შეიძლება გაუძლოს ამას ადამიანმა?

— ჰოდა, დამიძახე სახელით! — სთხოვა ქმარმა მშვიდი და ალერსიანი ხმით.

— მეხი კი დაგაყარე... — დააპირა ცოლმა ძველებურად გაესწორებინა ქმრისთვის ანგარიში.

მაგრამ ქმარმა აღარ დაამთავრებინა სათქმელი, ახალგაზრდულად ისკუპა მისკენ, ქალი საწოლიდან ხელში აიტაცა და გულში ჩაიხუტა.

— ანა, ახალ ცხოვრებას ვიწყებ! — უჩურჩულა ცოლს ყურთან, — რაც ვიყავი, დავიწყე, აღარ ვარ ის. მოკვდა ჩემში ყველაფერი, რისთვისაც სასიკვდილეს მეძახდი...

ქმარმა ანას ნაჩქმეტი ლოყები დაუკოცნა და მოეფერა.

— კაცო, დამსვი დაბლა! — გაწყრა ანა.

— ანა, დამიძახე ნამდვილი სახელი, იმიტომ რომ ნამდვილი კაცი ვხდები, ადამიანი ვხდები, გესმის? შენც შენს სახელს გიბრუნებ. ანა ხარ შენ, ჩემი საყვარელი და ერთგული მეუღლე!

— იაკობ, დამსვი მიწაზე! — მოურბილა ხმას ანამ და ქმრის სახელი გაიხსენა.

— აი ეგრე, ჩემო საყვარელო, იაკობი ვიყავი და იაკობს ვუბრუნდები... ახლა შენც ჩაიცვი საგარეო ტანსაცმელი...

— იაკობ, წელი როგორ გაქვს, არ გტკივა? — ჰკითხა ანამ.

— წელი... ხერხემალი... ანა, რა დროს წელზე ლაპარაკია? სიზმარი ვნახე, ნამდვილი სიზმარი. ისეთივე ნამდვილი, როგორც გუშინწინ რომ იორამი მომეჩვენა, წელი დამიზილა და მითხრა: მამა, სამ დღეში ადგებიო. აი, ხომ ხედავ, მართლა ავდექი...

— დამსვი, კაცო...

— იაკობი ვარ, ანა... ახლა კი დამიჯერე, რასაც გეუბნები. როგორც კი მზე ამოვა, იორამი მოვა შინ. სიზმარში ერთი ნათელი კაცი გამომეცხადა, ციდან ჩამოფრინდა, წინ დამიდგა და მითხრა: მოგეტევა შენი ცოდვები. წელში გაიმართე და სწორ გზას დაადექიო. ხომ ხედავ, ანა, დღეს ახალი კაცი ვიბადები და სახელად იაკობი დამიძახე!..

იაკობმა ხელში ატაცებული ანა კიდევ დააატრიალა, აკოცა და საწოლზე ფრთხილად დასვა. ანამ ვერა და ვერ დაიმორჩილა თავი. უნდოდა რაღაც კარგი ეთქვა, თვითონაც მოფერებოდა იაკობს, მაგრამ ვერ ახერხებდა, არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, როგორ უნდა ეთქვა ქმრისთვის კეთილი და საალერსო სიტყვა.

— ისევ გეკითხები, შენს ჭკუაზე ხარ მეთქი? — ჰკითხა ძველებური გაღიზიანებით ქმარს.

— ანა, როგორ ვერ ხვდები, ღმერთი გამომეცხადა სიზმარში, იესო ქრისტე ვარო, მითხრა. სწორ გზას დაადექიო, ცოდვები კი მიგეტევაო. მე აქამდის არ ვიყავი ჩემს ჭკუაზე. ახლა კი ნამდვილად ვუბრუნდები ჩემს თავს. დამიჯერე, ანა, სასწაული ხდება შენს თვალწინ!

მართლაც სასწაული ხდებოდა ანას თვალწინ: იაკობმა საწოლთან დაიჩოქა და ანას მუხლები დაუკოცნა.

— შენც მაპატიე, რა დღეშიც მყავდი, ანა! ვიცი, კეთილი გული გაქვს, მაგრამ მე გაგიქვავე. მაპატიე, ანა! მაპატიე, ჩემო კარგო!

იაკობმა ტირილი დაიწყო.

ანასაც გული აუჩუყდა, მოულბა, დაუთბა, იაკობს თავზე თავი მიადო, ხელები შემოხვია და ცრემლები წასკდა. კარგახანს ტიროდნენ იაკობი და ანა, ცრემლები ღვარად სდიოდათ, მიწის იატაკზე პატარა გუბეც დადგა. ტიროდნენ და უხაროდათ, რომ ტიროდნენ; ცრემლები სდიოდათ და ბედნიერებას განიცდიდნენ, რადგან ახლად იბადებოდნენ.

ბოლოს დამშვიდნენ და ერთმანეთს შესცინეს.

— ამ დილით იორამი მოვა. მერე ჩვენ მარას საფლავზე წავალთ! — უთხრა იაკობმა ანას, — ჩაიცვი საგარეო ტანსაცმელი, ანა!

ანამ თავი დაუქნია — კარგიო. წამოდგა და ძველ სკივრს ახადა. რამდენი წელია, შიგ არც ჩაუხედავს. ან რისთვის უნდა ჩაეხედა? ვისთვის უნდა გამოწყობილიყო ანა იმ ერთადერთ საგარეო ტანსაცმელში, რომელიც მზითვად გამოატანეს და რომელშიც ქორწილის დღეს მშვენიერ დედოფლად გამოიყურებოდა? ქმარს ეს არ სჭირდებოდა, სხვები კი დასცინებდნენ. ახლა იაკობი სთხოვს და ანაც დაყაბულდა; ის კი არა, მოუთმენლობამაც შეიპყრო — უნდოდა ჩქარა ჩაეხედა მტკაველისხელა სარკის ნატეხში და თავისი თავი ეხილა. აი, იაკობი როგორ გაახალგაზრდავდა, რა მშვენიერი მამაკაცი გახდა. ანამ ღირსეულად უნდა დაუმშვენოს მხარი.

ცოტახნის შემდეგ ერთმანეთით მოხიბლული ცოლქმარი, ანა და იაკობი, თავიანთი ღარიბული სახლიდან ეზოში გავიდნენ.

— საცაა იორამი მოვა, მასთან ერთად ამონ-რაც იქნება, მარას ანგელოზი შვილი! — იმეორებდა იაკობი და ალმოსავლეთს გაჰყურებდა, მზის პირველ სხივებს ელოდებოდა.

ანას ჯერ კიდევ ბოლომდე არ სჯეროდა იაკობის სიზმრისა, ეს ხომ წინასწარმეტყველებაა, ფიქრობდა, საიდან იცის იაკობმა წინასწარმეტყველება, მაგრამ ქმარს არაფერს აგრძნობინებდა.

როგორც კი პირველმა სხივებმა ეზოში შეითამაშა, ქუჩიდან იორამის ხალისიანი ძახილი გაისმა:

— მამა, ხომ კარგად ხარ, ხომ ადექი ფეხზე, მამა!

ხალისიანად იცინდა იორამი, მაგრამ ეზოს ჭიშკარი მაინც ფრთხილად შეაღო.

იორამი ჭიშკართანვე გაშეშდა: ეზოში საზეიმოდ გამოწყობილი წყვილი იდგა: დედა და მამა. მამის სახეზე ასეთი სიყვარულიანი, კეთილი ღიმილი იორამს არასოდეს უნახავს. რა ლამაზი დედა ჰყოლია იორამს, რა მშვენიერი მამამისი!

მამამ შვილისკენ მორიდებული ნაბიჯები გადადგა. ულიმოდა შვილს, მაგრამ ეს არ იყო მამური ღიმილი, შვილის ნახვით გამოწვეული. ეს იყო ღიმილი სინანულის, ბოდიშისა და იმედის.

იაკობმა არ ჩაიხუტა შვილი — შერცხვა, ვერ გაბედა, ვერ შეჰკადრა.

მამა შვილს — იაკობი იორამს — მუხლებში ჩაუვარდა და მეორედ ატირდა ამ დილით.

— მაპატიე, შვილო, მაპატიე, იორამ. ცუდი მამა გყავდი ძალიან...

იორამი არ ელოდა ამას, გაოგნებული იდგა და ზემოდან უყურებდა მამას, ის კი მუხლებზე ეხვეოდა და ქვითინებდა.

ამონ-რამ, რომელიც უკან იდგა, იორამს უჩურჩულა: შენც ცოდვიანი ხარ მამის წინაშე, შენც შეევედრე მიგიტევოსო. იორამი მაშინვე მუხლებზე დაემხო, მამას კისერზე ხელები შემოაჭდო და, ალბათ, თავის ცხოვრებაში პირველად წვერებიანი ლოყები დაუკოცნა.

— შენც მაპატიე, მამა, არ მიყვარდი, არც შენი მორჩენა მინდოდა... შევცდი, მამა, მაპატიე...

იაკობი ტკბილად მოეფერა შვილს.

ლამაზმა ანამ — დედამ — გულში ჩაიკრა შვილი, ეფერა და ეფერა.

რა ნეტარება ყოფილა დედის ალერსი, დედის მკერდში თავის ჩარგვა, დედის ხელები, დედის ჩურჩული — „შენი ჭირიმე, შვილო... შენ გენაცვალე, იორამ... რა ბედნიერი ვარ, რომ გხედავ... მაპატიე, რომ სახლიდან გაგაგდე, ჩემო ბიჭო, ჩემო იორამ...“

იორამს უნდოდა ახლა ამონ-რას ჩავარდნოდა მუხლებში, მაგრამ ამონ-რამ არ დაანება.

— მე დედა მოგიკალი, კეთილი ანგელოზი ქალი — მარა! — შესტირა იაკობმა ამონ-რას.

— უფალმა მიგიტევა ცოდვები, იაკობ! — უთხრა ამონ-რამ, — ახლა შენზეა, რა გზას აირჩევ.

— გზა უკვე ავირჩიე, შვილო! — გრძნობით უპასუხა იაკობმა, — შენს საქმეებს უნდა შევუწყო ხელი, ეს არის ჩემი გზა...

ახლა შემოვიდნენ ეზოში სალომე და ილია. ისინი აქამდე გარედან ადევნებდნენ თვალს ეზოს მოვლენებს. ანამ და იაკობმა ისინიც კეთილად მიიღეს.

როცა ანამ გაიგო, რომ ბავშვები მთელი ღამე ზეთისხილის მთიდან მოდიოდნენ, დაღლილები და მშივრები იყვნენ, მაშინვე დაფაცურდა: ახლავე საჭმელს მოგიტანთო და მერე აქვე დაისვენეთო. ყველანი ხის ქვეშ გაფენილ დიდ ნაბადზე დასხდნენ და თითქოს საუზმეს ელოდნენ. მაგრამ ვიდრე ანა დიდ ხონჩაზე სანოვაგეს აწყობდა, ბავშვები ერთმანეთის მიყოლებით ნაბადზე მიწვნენ და მიიძინეს.

ანა და იაკობი ცრემლიანი თვალებით უყურებდნენ ბავშვებს, რომლებიც მშვიდად და უშფოთველად სუნთქავდნენ. სალომეს თავი ამონ-რას მხარზე ჰქონდა მიდებული, იორამი გულაღმა იწვა და ხელი თავქვეშ ამოედო, ილია ხეს იყო ზურგით მიყრდნობილი და თავი მუხლებში ჩაერგო.

— იაკობ, — ჩაიჩურჩულა ანამ, — ანგელოზები განა ასეთები არ არიან?

იაკობმა ანა ახლოს მიიზიდა და თმებზე აკოცა.

— მე პირველად ვხედავ ანგელოზებს, ანა! ბედნიერი ვარ, რომ თვალი ამეხილა!

სილამაზეს სიყვარულით სავსე გული ბადებს

ანდრიას გამოქვაბულში ახალი ცხოვრება დაიწყო.

იესო ქრისტესგან ნაკურთხმა ბავშვებმა გატაცებით მოჰკიდეს ხელი კითხვისა და მეცნიერების შესწავლას. იაკობმაც გამოთქვა სურვილი — მეც მასწავლეო, მეც შენი მოწაფე ვიქნებიო, — სთხოვა ამონ-რას.

ამონ-რას ეუხერხულებოდა მასწავლებლად დასდგომოდა თავს მამისხელა კაცს, მაგრამ იაკობმა თავისი გაიტანა და იშვიათი მუყაითობაც გამოიჩინა.

ყოველი დღე მასწავლებელსა და მოწაფეებს მეტად დატვირთული ჰქონდათ.

ამონ-რა შეიყვანდა ხოლმე მოწაფეებს თავის გამოქვაბულში, რომელიც ანდრიამ მოუწყო. კედლებს თვითონაც დაუმატა ახალი ტექსტები — ეს იყო იესო ქრისტეს აზრები, რაც მათ ზეთისხილის მთასთან მოისმინეს. დააყენებდა თითოეულ მათგანს კედლის იმ ნაწილთან, სადაც მისთვის შესაფერისი ტექსტი ეწერა, და დავალებას აძლევდა. თავად ხან ერთთან მიდიოდა და ეხმარებოდა, ხან მეორესთან. ბავშვები და იაკობი სწრაფად მიიწევდნენ წინ და ამონ-რასგან უფრო და უფრო რთულ დავალებებს ღებულობდნენ. იორამი გულმოდგინედ აგრძელებდა სამკურნალო ბალახების შესწავლას და მალამოების დამზადებას. კითხულობდა და კითხულობდა ანდრიას წიგნებსა და ნაწერებს, რომლებიც სკივრებში ეწყო. აგროვებდა სამკურნალო ბალახებს, ანდრიას ლაბორატორიაში ხარშავდა მათ, ერთმანეთში აზავებდა, კიდევ სხვა ნივთიერებებს უმატებდა და ასე ამზადებდა სხვადასხვა ავადმყოფობისათვის საჭირო სამკურნალო მალამოებსა და წამლებს. ბალახების შეგროვებასა და გამოხარშვაში მას სხვებიც ეხმარებოდნენ და თავადაც იძენდნენ იორამისგან ცოდნას.

ამონ-რამ იორამს ანდრიას საიდუმლო გაანდო.

— ხომ გახსოვს, გატეხილი მუხლი რომ მოგირჩინე? — ჰკითხა იორამს.

— მაგას რა დამავიწყებს, — უპასუხა იორამმა, — რომელი მალამო წამისვი მაშინ?

— ის არ იყო მალამო, ის ნელსაცხებელი იყო.

იორამმა ვერ გაიგო, რას ეუბნებოდა ამონ-რა.

— როგორ თუ არ იყო მალამო?!

ამონ-რამ უამბო იორამს, როგორ ამუშავა ანდრიამ ნახევარი დღე მალამოს დასამზადებლად, შემდეგ ქალაქში გაგზავნა და დაარიგა — ადამიანებს უმკურნალეო. ამონ-რას ეგონა, რომ მართლა მალამო მიჰქონდა პატარა ქილით. სინამდვილეში ანდრიამ უვნებელი ნელსაცხებელი გაატანა.

— მაშ როგორ მომირჩა ფეხი და გამიქრა ჭრილობა? — გაუკვირდა იორამს, — ამ მალამოებს ტყუილად ვამზადებ? წიგნებიც ტყუილად წავიკითხე?

ამონ-რამ დაამშვიდა შეშფოთებული იორამი.

— სულაც არა. ეს მალამოები საუკეთესო საშუალებებია. მაგრამ თუ მალამოსთან ერთად შენი გულის ცეცხლსაც გამოიყენებ, მაშინ ავადმყოფი უფრო სწრაფად მორჩება. და რაც უფრო ძლიერი იქნება შენი გულის ცეცხლი, მით უფრო ნაკლებად დაგჭირდება მალამოებისა და წამლების გამოყენება. ზოგჯერ შენი ხელის შეხება, შენი ერთი ცეცხლიანი სიტყვაც საკმარისი იქნება, რომ ავადმყოფი განიკურნოს. სამაგიეროდ მისი ტკივილის ნაწილი შენში გადმოინაცვლებს. აბა, გაიხსენე, როგორ მოარჩინე მამაშენი?

„მართლაც, — გაიფიქრა იორამმა, — მამაჩემისთვის ხომ არაფერი მალამო არ წამისვია, არც ახლოს ვიყავი მასთან. ძალიან მინდოდა, რომ გამთელებოდა ხერხემალი, ჩემს წარმოდგენაში ვუზელდი ზურგს მალამოთი. აი, თურმე, როგორ გაიყოლა ჩემი გულის ცეცხლმა მალამო მამაჩემთან. სამაგიეროდ მე ამტკივდა წელი, ილია მეხმარებოდა სიარულში.“

— ამონ-რა, — შესძახა გაოცებულმა იორამმა, — მე უკვე ვხვდები, როგორ გტკიოდა ფეხი, როცა მე განმკურნე... მაგრამ ნელსაცხებელი როგორ იქცა მალამოდ?

— მალამოდ იქცევა ყველაფერი, რასაც გულის ცეცხლი შეეხება. ამბობენ, იესო ქრისტემ ერთი ბრმა მიწით განკურნაო. მიწა თავისი ნერწყვით დაასველა, თვალებზე წაუსვა და როცა კაცმა თვალები მოიბანა, მხედველობა აღუდგა...

— აბა, მომისმინე, სწორად გავიგე თუ არა შენი ნათქვამი: მე უნდა ვავარჯიშო ჩემი გულის ცეცხლი და სრულ-

ვყო მალამოების დამზადების წესი. როცა ვინმეს ვუმკურნალებ, მალამო გულის ცეცხლში უნდა შევუზავო. ასეა?

— მართალს ამბობ! — და კიდევ უფრო დააზუსტა იორამის დასკვნა, — გულის ცეცხლი უნდა გამოიყენო მაშინაც, როცა სამკურნალო ბალახებს ეძებ; მაშინაც, როცა მათ ხარშავ და აზავებ; მაშინაც, როცა ადამიანებზე ფიქრობ და მათ მკურნალობ. აი, ასე მოიკრებს ძალას შენს მიერ დამზადებული მალამო.

იორამმა მადლიერებით შეხედა ამონ-რას და მოწიწებით დაუხარა თავი:

— ამონ-რა, მივხვდი, რა დიდი საიდუმლო გამანდე. მადლობთ, მასწავლებელო!

ამ საუბრიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ამონ-რამ ურჩია იორამს ქალაქში წასულიყო და ავადმყოფებისა და დავრდომილებისათვის ემკურნალა.

— გაიყოლე ანა და იაკობი, ისინი შენი დამხმარენი იქნებიან. იარე კარდაკარ და იკითხე, ხომ არ სჭირდება ოჯახში ვინმეს მკურნალობა. უმკურნალე განურჩევლად ყველას! — დაარიგა ამონ-რამ.

იორამი ასეც მოიქცა.

დადიოდა ქალაქის ქუჩებში და ამა თუ იმ ჭიშკართან შესძახებდა:

— მკურნალი ხომ არ გჭირდებათ, მკურნალი!

უკან ანა და იაკობი მისდევდნენ კალათებით, რომლებშიც სამკურნალო საშუალებები ეწყო.

ვინ ეჭვით შეხვდებოდა — შენ მკურნალობისა რა გეცოდინებაო.

ვინ იაკობს რომ დაინახავდა, ჭიშკარს ცხვირწინ უკეტავდა, რადგან ბევრს ახსოვდა მისი ბოროტებანი. ვის დიდი ბიჭისგან გაგონილი ჰქონდა, რომ იორამი სატანას გაუამხანაგდა, ამიტომ ახლოს არც მას იკარებდა.

მაგრამ ყოველთვის არ ხდებობა ასე.

— მკურნალი? შენ ის ბიჭი არა ხარ, მოედანზე მოხუცი კაცი და ბავშვი რომ განკურნე? შემოდი, ღმერთმა გამოგგზავნა ჩვენთან!

და მაშინ ანა და იაკობი ნაზად და სათუთად მობანდნენ ავადმყოფს მტკივნეულ ადგილს, წამოჯდომაში თუ გადაბრუნებაში ეხმარებოდნენ. აკეთებდნენ ისინი ამას მთელი სიყვარულით, მზრუნველობითა და თანაგრძნობით. იორამი გასინ-

ჯავდა და გაესაუბრებოდა ავადმყოფს. შემდეგ ანა კალათიდან საჭირო მალამოს ქილას მიაწვდიდა. იორამის ხელები ამ დროს ავადმყოფისკენ გულის ცეცხლს აფრქვევდნენ. ზოგჯერ რამდენიმე წუთში, ზოგჯერ კი რამდენიმე დღეში ავადმყოფი მომჯობინდებოდა და პატარა მკურნალს ხელს უკოცნიდა. იორამი არასდროს ითხოვდა გასამრჯელოს. მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოართმევდა ვინმეს ერთ პურს ან ლეპტას, თუ შენიშნავდა, რომ ოჯახი შეძლებული იყო, და ისიც იმიტომ, რომ მეგობრებისათვის გამოქვაბულში სანოვაგე მიეტანა.

გავიდა მცირე დრო და ქალაქში თორმეტი წლის ბიჭს — იორამს — საუკეთესო მკურნალის სახელი გაუვარდა. ხალხი იმაშიც დარწმუნდა, რომ ანა და იაკობი სიკეთით სავსე ადამიანები გახდნენ. ხმები დადიოდა: შვილმა ბოროტების საწინააღმდეგო წამალი გამოიგონა და მამა განკურნაო. როცა ქალაქში ვინმე ავად გახდებოდა ან რამეს მოიტეხდა, მაშინვე ანასთან გარბოდნენ: ღვთის გულისათვის, გვიშველოს იორამმაო. იორამმა რამდენიმე ბავშვი სიკვდილს გადაარჩინა, რამდენიმეს თვალი აუხილა ან დამბლა მოუხსნა.

ასე იცვლებოდა ქალაქში ხალხის დამოკიდებულება იორამისა და მისი მშობლების მიმართ.

ამონ-რას ხელმძღვანელობით ილიაც სწრაფად დაწინაურდა. კითხვა ორ კვირაში შეისწავლა და წიგნებს ხარბად დაეწაფა. დასაწყისში კითხულობდა ყველა წიგნს, რასაც ანდრიას სკივრებში ნახულობდა. მერე და მერე კი ხუროთმოძღვრებამ გაიტაცა, ანდრიას ნაწერებსა და წიგნებში ხუროთმოძღვრების მეცნიერებას მიაგნო და მთელი მონდომებით შეუდგა მის დაუფლებას. მუშაობდა დღითა და ღამითაც: კითხულობდა, ხაზავდა, ხატავდა, ანგარიშობდა, ფიქრობდა. ილია მიხვდა, რომ საშენებლო საქმე მათემატიკასა და გეომეტრიას ემყარებოდა, ამიტომ კარგად გაერკვა ორივეში. შეისწავლა ხიდების, ციხე-სიმაგრეების, სახლებისა და სასახლეების აშენება. შექმნა კიდეც რამდენიმე პროექტი, რითაც აღტაცებაში მოიყვანა თავისი მეგობრები. ამონ-რამ კი ისეთი რამ ურჩია, რომ ილიას ყველაფერი დაავიწყა, ძილი და მოსვენება დაუკარგა.

— ასეთი ნაგებობა რომ შექმნა, სამი საიდუმლო გჭირდება — რწმენა, ცოდნა და ზაქარია ოქრომჭედლის ოქროს ხელები! — განუმარტა ამონ-რამ.

ილია დაუყოვნებლივ ეწვია ზაქარია ოქრომჭედელს.

— ღმერთი გიშველის, ზაქარია, —შეეხვეწა ილია, — აჰა, ჩემი უბრალო და გამოუცდელი ხელები და მიქციე ისინი შენნაირ ოქროს ხელებად!

ზაქარიამ არ იჩქარა ილიას ხელების დათვალიერება.

— ჯერ შენს თვალებში ჩამახედე! — უთხრა ოქრომჭედელმა.

— თვალები! — გაუკვირდა ილიას, — აი, ჩამხედე თვალებში... კარგად ვხედავ...

ზაქარიამ ბიჭი სინათლეზე დააყენა, თვალები მოჭუტა და მის თვალებს ჩახედა. კარგახანს უყურა თვალებში. ილია ალალად შეჰყურება ოქრომჭედელს.

— კარგად ვხედავ, ზაქარია, თვალები არ შემიშლის ხელს ოქრომჭედლობის დაუფლებაში!

— გულმა რომ შეგიშალოს? შენი თვალები შენს გულზე მელაპარაკებიან! — უპასუხა ზაქარიამ.

— გული? გულმა რატომ უნდა შემიშალოს? — კიდევ გაუკვირდა ილიას.

— შენი ხელები ისწავლიან ოქრომჭედლობას, გული კი გაწვრთნილ ხელებს ბოროტ ნივთებს დაამზადებინებს!

— მერე? რას გეუბნებიან ჩემი თვალები?

ზაქარიამ გაიღიმა, ილიას თავზე ხელი მოუცაცუნა.

— რას მეუბნებიან და კარგი ბიჭია ილიაო, ასწავლე ოქრომჭედლობაო, მაგრამ ჰკითხე ერთი, რად სჭირდება ოქრომჭედლობაო! — ხალისით წარმოთქვა ზაქარიამ.

— ამონ-რამ დავალება მომცა, მაგრამ თუ შენისთანა ხელები არ მექნება, დავალებას კარგად ვერ შევასრულებ! — უპასუხა ილიამ.

— კარგი გული გაქვს, ხელებიც გაიწვრთნებიან...

ბევრი ოფლი ღვარა ილიამ, ვიდრე ზაქარიასგან ისწავლა, როგორ გაევსო გული სიყვარულით და ამ სიყვარულიანი გულით ურთულესი და ულამაზესი ჩუქურთმები გამოეყვანა. ილია თანდათანობით ჩაწვდა ზაქარია ოქრომჭედლის ფილოსოფიას. სილამაზეს სიყვარულით სავსე გული ბადებს, ეუბნებოდა ზაქარია, ოქროს ხელებსაც გული ჰქმნის, რომ რაც შიგ აქვს, გარეთ გამოიტანოს და ადამიანებს მოახმაროს. გულს უნდა სხვაც გაახაროს იმით, რაც თვითონ უხარია. ხელები მაშინ გახდებიან ოქროსი, განუმარტავდა ზაქარია,

როცა გული სიყვარულით თრთის. ხელები კი არ სწავლობენ ოქრომჭედლობას, გული სწავლობს და ხელებს ავარჯიშებს, წვრთნის...

ილიას გული ბეჯითად ითვისებდა ზაქარიას დარიგებებს და წვრთნიდა ხელებს. იმ ექვსი თვის განმავლობაში, ვიდრე ოქრომჭედლობას სწავლობდა, ილიამ ბევრჯერ დაიშავა ხელები, ბევრი უძილო ღამე მოახმარა რომელიმე უხილავი მოძრაობის დაუფლებას.

უცნაურ დავალებებს აძლევდა ზაქარია გამოუცდელ ბიჭს. მისცემდა ოქროს ციცქნა ნაჭერს და ეტყოდა — ალერსად აქციეო, ან ზრუნვად აქციეო, ან მფარველად აქციეო. როგორ ვაქციო ალერსად, უკვირდა ბიჭს. ზაქარია კი ეტყოდა: თუ ალერსი არ იცი, არაფერი გამოგივა, ეალერსე, ესიყვარულე უფერო ლითონს და ისიც თვითონ მიიღებს ფორმასო. და როცა ილიამ ეს საიდუმლო შეიცნო, მაშინ მიხვდა, როგორ დაუწყო წვრთნა გულმა ხელებს და როგორ გაუადვილდათ ხელებს ურთულესი საოქრომჭედლო ოპერაციების შესრულება.

შემდეგ ზაქარიამ კიდევ უფრო სიღრმეში ჩაახედა და თავისი დაფარული საიდუმლო გაანდო: თუ გინდა, რომ შენმა ნაკეთობამ ვინმე ადამიანი ავი თვალისაგან დაიცვას, მაშინ შენი სუფთა გულით უნდა განუწყვეტლივ შესთხოვო უფლის ძალებს, რომ დაისადგურონ შენს მედალიონში, ბეჭედში თუ სხვა რამ ნივთსა და სამკაულში და ავი თვალისაგან დაიცვან კეთილის მოქმედი ადამიანი; და ვიდრე ამ ნივთს ჰქმნი, გარეთ არ უნდა გაიხედო, არავის დაელაპარაკო, სხვა არაფერზე იფიქრო, უნდა შენს სახელოსნოში იჯდე და სანთლის შუქზე იმუშაო. ამ დროს ხელები კი არ შრომობენ, დაასკვნა ზაქარიამ, სული შრომობს, სული ძერწავს, ხელები კი ეხმარებიან; თუ კაცს გული ოქროსი არა აქვს, არც ხელები ექნება ოქროსი.

ილია ენერგიითა და ხალისით სავსე დაბრუნდა გამოქვაბულში: ზაქარია ოქრომჭედელმა იგი ქებით გაისტუმრა. ამონ-რამ კმაყოფილება გამოთქვა ილიას სიბეჯითის გამო.

— ახლა კი შექმენი პროექტი ნაგებობისა, რომელმაც საუკუნეებს უნდა გაუძლოს! — უთხრა ილიას.

დაიწვი, ცუდო, და აღარასოდეს დამიბრუნდე

ილია გამოქვაბულში განმარტოვდა და მთელი გულისყურით შეუდგა საქმეს.

სალომეც იშვიათი მოწაფე აღმოჩნდა. სწავლობდა გულმოდგინედ და დაუსვენებლად ეძებდა პასუხს ათასნაირ კითხვაზე. ამონ-რა მოთმინებით და გასაგებად განუმარტავდა სალომეს იესო ქრისტეს გამოთქმებს, უხსნიდა ცათა სასუფეველის ცხოვრებას და სამყაროს აგებულებას. გოგონას განსაკუთრებით უკვირდა და აოცებდა ორი რამ: სამყაროს უსასრულობა და ადამიანის სულის უკვდავება.

—კიდევ მითხარი, კიდევ გამიმეორე! — შესთხოვდა ამონ-რას და მთელი გულისყურით ისმენდა მის ყოველ სიტყვას.

ამონ-რაც უხსნიდა და განუმარტავდა. სამყარო უსაზღვროა, ეუბნებოდა ამონ-რა, ჩვენ სამყაროს შვილები ვართ. ჩვენ პატარა დედამიწაზე ვსახლობთ, მაგრამ უსასრულობაში ვცხოვრობთ. ადამიანი დედამიწაზე იმიტომ იბადება, რომ სული განივითაროს, სრულყოს. გახსოვს, რა უთხრა სალხს იესო ქრისტემ ზეთისხილის მთასთან? იყავით სრულყოფილნი ისევე, როგორც თქვენი სულიერი მამაა სრულყოფილიო. ადამიანმა ბევრი ცხოვრება უნდა გაიაროს, რომ ასეთ სრულყოფას მიაღწიოს. მაშინ ის ადამიან-ღმერთად იქცევა, სამყაროს სხვა სფეროებში გადაინაცვლებს და სინათლის ძალთა სამსახურში ჩადგება, რათა აღასრულოს ღვთის ნება. ხოლო თუ ადამიანი არ იზრუნებს სულის სრულყოფაზე, მაშინ შემოქმედი დაშლის მის სულს როგორც გამოუსადეგარ მასალას.

— როგორ უნდა ვიზრუნო ჩემი სულის განვითარებაზე? — კიდევ და კიდევ ეკითხებოდა სალომე ამონ-რას.

— იფიქრე ღმერთზე, გიყვარდეს ადამიანები, ჰქმენი სიკეთე, ესწრაფვე სილამაზეს. ეს არის სულის განვითარების გზა! — განუმარტავდა ამონ-რა.

დღე დღეს მისდევდა, სალომე ფიქრობდა, კითხულობდა და ისევ უბრუნდებოდა უსასრულობასა და უკვდავებას.

— როცა ადამიანი კვდება, რა არის ეს? — ჰკითხა ერთხელ სალომემ თავის თავს და გაუხარდა, თავში პასუხი რომ მოუვიდა: აქ სიკვდილი იქ დაბადებას ნიშნავს, სხეული კვდება, სული კი აგრძელებს თავის გზას.

სალომე ბიბლიამ გაიტაცა. ძალიან უჭირდა, მაგრამ ამონ-რას დახმარებით ბიბლიის ბევრ საიდუმლოებაში ვაერკვა. ამასთან სურვილი გაუჩნდა, რომ როდისმე სკოლა გაეხსნა და ქალაქის ბავშვებისათვის კითხვა და მეცნიერება ესწავლებინა. ამონ-რამ მოუწონა აზრი და უთხრა, ნუ გადადებდა ამ საქმეს. სალომეს გაუკვირდა.

— მასწავლებლობას მაშინ დავიწყებ, როცა გავიზრდები. ჯერ მე თვითონ ვარ ბავშვი, თანაც ცოტა ვიცი. რვა-ათი წლის შემდეგ დიდიც ვიქნები და ბევრიც მეცოდინება!

მაგრამ ამონ-რამ სხვა გზა გამონახა.

— ტყუილად გგონია, რომ ცოტა იცი. განა გაცილებით ბევრი არ იცი იმაზე, ვინც არაფერი იცის? ასეთი ბავშვი კი ქალაქში ბევრია. შენ მათთვის საუკეთესო მასწავლებელი იქნები.

— მე ვინ მომბარებს ბავშვს სასწავლებლად? — კიდევ უფრო გაუკვირდა სალომეს.

— შენ ხალისიანი და ჭკვიანი გოგო ხარ. ბავშვებს უყვართ შენთან თამაში, ბევრი მეგობარიც გყავს. ითამაშე მათთან ყოველდღე სკოლობანა და მასწავლებლობანა. რადგან მათზე მეტი იცი და თამაშის წამომწყებიც შენ იქნები, მასწავლებლად შენ აგირჩევენ. ბავშვებს თამაში ეგონებათ, შენ კი მართლა ასწავლი კითხვასა და მეცნიერებას და ისინიც მართლა ისწავლიან. აი ასე გახდები მასწავლებელი.

სალომე არ მოელოდა საქმის ამდაგვარად გადაწყვეტას.

ამონ-რამ გაუღიმა და დაუმატა:

— იაკობი თიხის ფირფიტებს მოგიმზადებს. ზედ ასოები და ლექსები დავწეროთ, ფსალმუნები დავწეროთ, იესო ქრისტეს იგავები დავწეროთ, სურათები დავხატოთ. ბავშვებს მოეწონებათ ასეთი წიგნები. შენ მათ ბიბლიის ისტორიებს უამბობ. დარწმუნებული ვარ, ისინი არ მოგცილდებიან. მშობლებიც კმაყოფილნი დარჩებიან, რადგან ბავშვები უთავბოლოდ აღარ იქნებიან ქუჩებში... აბა, როდის დაიწყებ მასწავლებლობას?

ამონ-რას იდეით აღტაცებულმა სალომემ ეს საქმე მართლაც არ გადადო.

უბნის ათიოდე ბავშვს თავისი სახლის ეზოში მოუყარა თავი და სკოლობანას თამაში დააწყებინა. ბავშვები მოიხიბლნენ თამაშით. მათთვის უცხო და საინტერესო აღმოჩნდა ყველაფერი, რასაც სალომე უამბობდა და აკეთებინებდა. უყვებოდა ბიბლიის ისტორიებს, ესაუბრებოდა ვარსკვლავებსა და სამყაროზე, უსასრულობასა და უკვდავებაზე, იესო ქრისტეზე. სალომეს სკოლაში ბავშვები მღეროდნენ და ცეკვავდნენ, ქუჩებში წარმოდგენებს მართავდნენ.

თიხის ფირფიტების მეშვეობით, რომლებიც იაკობმა დაამზადა, ბავშვებმა ისწავლეს სოლომონის იგავები, ფსალმუნები, ისწავლეს თვლა, შეკრება და გამოკლება. ბავშვებს უფრო და უფრო უძლიერდებოდათ სკოლობანას სიყვარული, და როცა სალომე ეუბნებოდა — დღეს გვეყოფა თამაშიო, შინ წასვლა არავის უნდოდა, კიდევ ვითამაშოთო, ეხვეწებოდნენ მასწავლებელს.

სალომეს სკოლას ემატებოდნენ და ემატებოდნენ ბავშვები. დედებს თვითონ მოჰყავდათ ბავშვები და სალომეს თხოვდნენ, ესენიც ათამაშეო. და რადგან ერთი მასწავლებელი ვერარ ართმევდა თავს, სალომეს იაკობი შეეშველა. ბავშვებმა სწრაფად შეიყვარეს კეთილი და დაუზარელი ძია იაკობი, რომელიც მათ მთებსა და ხეობებში ატარებდა, გამბედაობასა და ურთიერთდახმარებას ასწავლიდა.

სალომეს სკოლამ ერთი ისეთი რამ მოიმოქმედა, მთელი ქალაქი აალაპარაკა.

ძია იაკობმა გულახდილად უამბო ბავშვებს, როგორი ცუდი კაცი იყო ადრე, რამდენ ბოროტებას ჩადიოდა, როგორ ეჩხუბებოდა ყველას, შვილიც კი გააგდო სახლიდან, ცუდს ფიქრობდა, ცუდს ლაპარაკობდა. შემდეგ ისიც უამბო, როგორ გავარდა მოედანზე ხელკეტით და რა უბედურება დაატრიალა იქ, როგორ შეიპყრეს ღონიერმა ახალგაზრდებმა, ზურგით ქვაზე დაანარცხეს და ხერხემალი გადაუტეხეს. ჰყვებოდა ამას ძია იაკობი და ტიროდა, ბავშვებს პატიებას სთხოვდა. უამბო, როგორ გამოეცხადა იესო ქრისტე და უთხრა: სწორ გზას დაადექიო. ღვთის წყალობით სამ დღეში განიკურნა. „მეც ავდექი და იესო ქრისტეს გზას გავყევი. არასოდეს ჩავიდენ ბოროტებას, გულში არ გავივლებ ცუდ განზრახვას, აღარ წამომცდება ცუდი სიტყვა. ყველაფერი ცუდი, რაც ჩემ-

ში იყო, დავწვი. თუ ვინმეს გაქვთ რამე ცუდი თვისება, ან აუგი ფიქრები და სიტყვები გაწუხებთ, აიღეთ და დაწვით თქვენც," — უთხრა ბავშვებს ძია იაკობმა.

ბავშვებმა განიცადეს იაკობის ბედი. მასთან ერთად ტიროდნენ და თანაუგრძნობდნენ. როცა მან თავისი ამბის მოყოლა დაასრულა, ბავშვებმა ჰკითხეს:

— ძია იაკობ, როგორ დავწვათ ჩვენი ცუდკაცობა?

ყველამ მოისურვა თავისი ცუდი თვისებებისა და ცუდსიტყვაობის დაწვა, მაგრამ როგორ?

და მაშინ ძია იაკობმა ურჩია:

— თითოეულმა თქვენგანმა ჭინჭის ფუფალა დაამზადეთ და მას გადაეცით თქვენი ცუდი ფიქრები, სიძულვილი, უღირსი სიტყვები, მასში გადაიტანეთ ყველაფერი, რისგანაც გინდათ განიწმინდოთ. შემდეგ წავიყვანოთ ეს ჭინჭის ფუფალები და ქალაქის მოედანზე დავწვათ. ყველამ დაინახოს, როგორ იწვის ცუდკაცობა და როგორ ძლიერდება სიკეთე.

რამდენიმე დღის შემდეგ ბავშვებს მზად ჰქონდათ თავიანთი ჭინჭის ფუფალები. ფუფალები მახინჯები, უშნოები, დაგრეხილები იყვნენ, უსუფთაო ძონძებში გახვეულნი. ისინი მეტის ღირსნი არ არიან, ამბობდნენ ბავშვები. წავიდნენ ქალაქის მოედანზე, კოცონი დაანთეს და აუარებელი ხალხის თვალწინ ფუფალები შიგ ჩაყარეს, თან მისძახოდნენ: დაიწვი, ცუდო, და აღარასოდეს დამიბრუნდეო.

ასე განიწმინდნენ სალომეს სკოლის ბავშვები. ამ კოცონის შემდეგ თითოეული მათგანი უფრო ლამაზი, კეთილი და ხალისიანი გახდა.

სალომეს სკოლაში დადიოდა ათი წლის ბიჭი, სახელად თეოფილე, უპატრონო და ღატაკი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ნახევრად მშიერი იყო, ბიჭი მეცადინეობებს არ აცდენდა და გატაცებით ითვისებდა ყველაფერს, რასაც სალომე და იაკობი ასწავლიდნენ. თეოფილე არ თამაშობდა სკოლობანას, ის მთელი სერიოზულობით სწავლობდა. სალომეს მოეწონა თეოფილე, ნიჭიერი ბიჭიაო, და ამონ-რას ნებართვით გამოქვაბულში აიყვანა.

ამონ-რა კეთილად შეხვდა თეოფილეს. გამოჰკითხა, რით ცხოვრობს, რატომ აღმოჩნდა მარტო. მშობლები რაღაც ავადმყოფობით გახდნენ ავად და ერთ დღეს დაიხოცნენ, უთხრა თეოფილემ, თავს კი იმით ვირჩენ, რომ ვის რაში ვეხმარები და ვის რაში, ასე ვშოულობ ლუკმა პურსო.

ბიჭს ყელზე გახვრეტილი ქვა ჰქონდა ჩამოკიდებული.

— რა არის ეს? — ჰკითხა ამონ-რამ.

— ქვაა. ჩემი სახლის წინ ეგდო. მომეწონა, გავხვრიტე და ყელზე ჩამოვიკიდე! — უპასუხა თეოფილემ.

ამონ-რამ ქვა ხელისგულზე დაიდო და დაკვირვებით შეათვალიერა. „საკუთარი ქვაწერილი უპოვია, — გაიფიქრა ამონ-რამ, — რაკი მოეწონა და თან დააქვს, ადრე თუ გვიან წაიკითხავს კიდეც.“ ქვაწერილის ხაზებმა ამონ-რა რაღაცას მიახვედრა.

— თეოფილე, — უთხრა ბიჭს, — თვალისჩინივით გაუფრთხილდი ამ ქვას. ეს უბრალო ქვა არ გეგონოს, ეს შენი ქვაწერილია.

თეოფილემ ვერ გაიგო, რას ნიშნავს ქვაწერილი, და უნდოდა ეკითხა, მაგრამ ამონ-რამ დაასწრო:

— მოვა დრო და თავად გაიგებ, რა არის ქვაწერილი, და კიდეც ამოიცნობ, რა წერია შენს ქვაწერილში.

თეოფილემ სწავლა ამონ-რას ხელმძღვანელობით გააგრძელა და მალე ხატვაში გამოიჩინა თავი. ამონ-რამ ასწავლა საღებავების დამზადება და ფერების შერჩევა. შემდეგ საშუალება მისცა რამდენიმე თავისუფალი გამოქვაბულის კედელი მოეხატა. თეოფილემ იშვიათი ნიჭით ასახა კედლებზე ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრების სურათები, მთები, ცხოველები. ერთი გამოქვაბულის ჭერი ცის მნათობებითა და ღრუბლებით მოხატა.

„ეს ბიჭი საბერძნეთში უნდა გავაგზავნოთ, რომ დაოსტატდეს,“ — გაიფიქრა ამონ-რამ, როცა თეოფილეს მხატვრობას ათვალიერებდა. იორამს სთხოვა გასამგზავრებელი ფული შეეგროვებინა. თეოფილეს დარიგებანი მისცა, როგორ უნდა ეცხოვრა და რომელ მხატვრებთან დაოსტატებულიყო. შემდეგ იაკობმა ბიჭი დიდ ზღვაზე გააცილა და სანავსადგურო ქალაქ იაფეში საბერძნეთისაკენ მიმავალ გემზე დასვა. თეოფილეს თან გაჰყვა ამონ-რას დარიგება: ყელზე ჩამოკიდებულ ქვას გაუფრთხილდი, ის შენი ქვაწერილიაო.

უნდა გაგახაროთ: ჩვენთან სტუმარი მოდის

ერთ დღეს ამონ-რამ თავისი მოწაფეები უფლის გამოქვაბულში მოიწვია. ყველამ იცოდა, რომ ამონ-რასთვის ეს გამოქვაბული წმიდათაწმიდა ადგილი იყო, მაგრამ რა იყო შიგ, ეს კი არავინ იცოდა. თეოფილე ჯერ წასული არ იყო, და ისიც ესწრებოდა ამ მოვლენას.

როცა ბავშვები და იაკობი უფლის გამოქვაბულში შევიდნენ და კედელზე გამოსახულება დაინახეს, სახტად დარჩნენ. თავისდაუნებურად ყველამ უეცრად მუხლი მოიყარა მის წინაშე.

გამოქვაბულის მშვიდი და დუმილიანი სივრცე მოწაფეებმა სწრაფად შეავსეს ძლიერი განცდებით, ნათელი ფიქრებით, ამაღლებული წარმოსახვებით. თითოეულის სულში სიყვარულის, თაყვანისცემის, მადლიერების სიმები აჟღერდა. „ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა, ყოვლითა გონებითა შენითა," — თითოეულ მათგანს ჩაესმოდა ყურში ამ სიტყვების ციური ჟღერა. მოწაფეთა დუმილიანი განცდები და ფიქრები ერთმანეთში შეიკრა და ერთიან ლოცვად იქცა. გამოქვაბული ნელ-ნელა განათდა ცისფერი ალით, ცისფერი ცეცხლის ენები ლიკლიკებდნენ ბავშვების თავებზე, გუმბათისკენ მიიწევდნენ და ქარგავდნენ ვედრებას, რომლის სიტყვები ერთი წლის წინ თავისთავად დალაგდნენ ამონ-რას გულში, როცა ის ანდრიამ პირველად მოიყვანა აქ.

„ღმერთო დიდებულო,
თაყვანს ვცემ შენს წმიდათაწმიდა სახელს.
მიმიღე შენს მონა-მსახურად,
ამკიდე ტვირთი შენი
და ამატანინე ეკლიანი ბილიკებით
მთის მწვერვალზე,
რომლიდანაც ჩავწვდები
შენი სიყვარულის უსაზღვროებას
და შევიცნობ
შენი სიბრძნის სიღრმეს.
ამინ."

ასე იყვნენ კარგახანს ცისფერი ცეცხლის ალში გახვეულნი და უფლისადმი ცისფერ ვედრებას აღავლენდნენ. დუმილს თანდათან ყრუ ქვითინი შეერია.

ტიროდა იაკობი, ქვითინებდა გულამოსკვნით და შეებით.

„თუ არ იქნები, როგორც ბავშვი, ვერ შეხვალ ცათა სასუფეველში," — ჩაესმოდა იაკობს ყურში ციური ხმა. „ჰო, უფალო, ჰო, უფალო..." — ჩურჩულებდა და ქვითინებდა იაკობი, ცრემლები კი სდიოდა და სდიოდა. იაკობი ჩოქვით მივიდა კედლის სურათთან და უფალს მუხლებზე ეამბორა. შემდეგ ცოტა დამშვიდდა და ბავშვებისკენ მოიხედა. მის სახეზე უმშვენიერესი სიყვარულის ღიმილი დაიქარგა.

ამონ-რა ფეხზე წამოდგა და გასავლელისკენ გაემართა. მას სხვებიც გაჰყვნენ. უხმოდ და ფრთხილად მოძრაობდნენ, რომ გამოქვაბულის დუმილის ჰარმონიაში ზედმეტად არაფერს გაეფაჩუნა.

მზე ჩასვლას აპირებდა.

განცდებით სავსე, მოწაფეები გამოქვაბულების წინ პატარა მოედანზე მოეწყვნენ ამონ-რას გარშემო და უსიტყვო საუბარი გამართეს. ისინი ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ ფიქრებით, უზიარებდნენ განცდებს, ეკითხებოდნენ და უპასუხებდნენ, საკუთარ შთაბეჭდილებებში ერკვეოდნენ.

უკვე წელიწადი გავიდა, რაც ისინი ანდრიას გამოქვაბულის მკვიდრნი გახდნენ. ამ ხნის განმავლობაში

ამონ-რა ცხრა წლის გახდა,
სალომე — შვიდი წლის,
იორამი — თორმეტი წლის,
ილია — ცამეტი წლის,
თეოფილე — ათი წლის,
იაკობი — ორმოცდაორი წლის.

ამ ერთი წლის განმავლობაში თითოეული ვიწრო ბილიკით მიიწევდა წინ.

ამონ-რამ საკუთარი ქვაწერილის საიდუმლო ამოიცნო და, რაც მთავარია, იესო ქრისტეს სიტყვების საიდუმლოსაც მიხვდა: „ამონ-რა, შენ მოცემული გაქვს ცოდნა ღვთის სასუფეველის საიდუმლოსიო." ეს ცოდნა და ძალა მას იესო ქრისტემ მიანიჭა.

იორამმა ახალ სამკურნალო მცენარეებს მიაგნო, ანდრიას საექიმო წიგნები შეისწავლა, ქალაქში სახელთგანთქმუ-

ლი მკურნალი გახდა, და, რაც მთავარია, ამონ-რას დახმარებით საკუთარი სამკურნალო ძალის საიდუმლოებას მიხვდა.

ილიამ ხუროთმოძღვრების მეცნიერება აითვისა, ხიდების, სასახლეების, ციხე-სიმაგრეების მშენებლობა ისწავლა, ზაქარია ოქრომჭედლის დახმარებით გულის ფილოსოფიაში გაერკვა, ხელები ოქროსი გაიხადა და, რაც მთავარია, მის სულსა და გულში უკვე იქმნებოდა ამონ-რასგან ჩაგონებული დიდებული ნაგებობა.

იაკობმა მთელი არსება განაახლა, სიკეთით აღივსო და, სწორ გზას დაადგა — ამონ-რას საქმეებს გაჰყვა.

თეოფილემ სალომეს სკოლაში კითხვა ისწავლა, ამონ-რას ხელმძღვანელობით მეცნიერების შესწავლას შეუდგა, მხატვრობის ნიჭი გამოავლინა და მალე საბერძნეთში წავა, რომ დიდ მხატვრებთან დაოსტატდეს და, რაც მთავარია, ამონ-რასგან დარიგება მიიღო — ყელზე ჩამოკიდებულ ქვას თვალისჩინივით გაუფრთხილდი, ის შენი ქვაწერილიაო.

უფლის გამოქვაბულიდან ეს-ეს არის გამოსული მოწაფეები ფიქრებით უხდიდნენ მადლობას მასწავლებელს — ამონ-რას, ხოლო ამონ-რა ფიქრებით ეთაყვანებოდა თავის მასწავლებელს ანდრიას და მუხლებზე ეხვეოდა იესო ქრისტეს. ანდრია კი ამ დროს თავის მასწავლებელს იესო ქრისტეს მიჰყვებოდა ფეხდაფეხ. ამონ-რა ქვაზე იჯდა და ზურგით გამოქვაბულის კედელს იყო მიყრდნობილი. თვალებდახუჭული გასცქეროდა სივრცეს.

— სამყარო...

ჩამავალი მზით გაოქროვილ სიჩუმეში ჩუმადვე ჩაილაპარაკა ამონ-რამ, თითქოს თავისთვის ფიქრობსო. მოწაფეებმა ყურები ცქვიტეს, იგრძნეს, რომ ამონ-რას მათთვის რაღაც ახალი საიდუმლო უნდა ემცნო.

ამონ-რამ თვალები გაახილა და ცას გახედა. მოწაფეებმაც ცისკენ აიხედეს. ლამაზი ფორმის ღრუბლები ჩამავალი მზის სხივებში ნებივრობდნენ და ადამიანებს გარდასახვის ხელოვნებას უჩვენებდნენ. ამონ-რა და მისი მოწაფეები მოხიბლულნი შეჰყურებდნენ ფერად-ფერად ღრუბელთა ნელ თამაშს.

— მალე ვარსკვლავები აკიაფდებიან და უფრო სრულად დავინახავთ სამყაროს, დავინახავთ სამყაროს იმ ნაწილს, რომელსაც ჩვენი თვალი სწვდება, ჩვენმა გულმა კი იცის, რომ

სამყაროს დასასრული არა აქვს, სამყაროს არა აქვს საზღ-
ვრები...

ისევ გაჩუმდა ამონ-რა. კარგა ხანს დუმდა. ამასობაში კიდეც დაბინდდა და ცაზე ვარსკვლავები დასხდნენ. ამონ-რა შთაგონებული გაჰყურებოდა ვარსკვლავებიან ცას.

— იესო ქრისტე ღმერთი მასწავლებელია, ის ადამიანთა გზაა, მასწავლებელი მოწაფის გზაა... იესო ადამიანებს იმიტომ მოევლინა, რომ ასწავლოს, როგორ იცხოვრონ, რათა სული განიკითარონ, სული დაღუპვას გადაარჩინონ... იგი ადამიანებს მოუწოდებს გახდნენ ისეთივე სრულყოფილნი, როგორი სრულყოფილიც არის ჩვენი ზეციერი მამა... მას უნდა, რომ ადამიანები ღმერთებივით გახდნენ და სამყაროს მშენებლობაში მიიღონ მონაწილეობა...

ამონ-რას მთელი გონება სადღაც შორს იყო წასული და იქიდან ეხმიანებოდა მის ირგვლივ შემოკრებილ მოწაფეებს. კარგახნის დუმილის შემდეგ ისევ აშრიალდნენ მისი ფიქრები.

— ყოველ ადამიანს სამყაროში თავისი დიდი მზრუნველი ჰყავს... იგი შორს ჭვრეტს და სამყაროსა და საუკუნეების სიღრმიდან უგზავნის ადამიანს ქვაწერილს... ადამიანი ქვაწერილს მიიღებს თავისი სულის განვითარების განსაკუთრებით მნიშვნელოვან პერიოდში, და თუ შეეცდება ამოიცნოს მისი საიდუმლო, მაშინ გაიგებს, რას ურჩევს სამყაროს დიდი სული... ვინც საკუთარი ქვაწერილის გზას გაჰყვება, ცათა სასუფეველის ჭიშკარში შევა... ბედნიერია, ვინც უბრალო ქვაში საკუთარ ქვაწერილს შეიცნობს...

ამონ-რას მზერა და გონება უფრო ღრმად შეიჭრა ვარსკვლავთა სივრცეში. სრულ დუმილში მისი ფიქრები პეპლის მსუბუქი ფრთებივით ფარფატებდნენ.

— ცხოვრებაში ის მიდის ვიწრო ბილიკებით, ვინც განუწყვეტლივ ემზადება ღირსეული მოწაფე გახდეს და ესწრაფვის მასწავლებლის შეცნობას. მაშინ ქვაწერილიც ადვილად მიაგნებს თავის პატრონს, ხოლო პატრონი შეძლებს ამოიცნოს ქვაში ჩამალული საიდუმლო...

ამონ-რას ფიქრები შენელდა.

სამაგიეროდ მოწაფეთა ფიქრები აშარიშურდნენ. ისინი მიხვდნენ, რომ მასწავლებლობისა და ქვაწერილის სიბრძნით ამონ-რამ დაასრულა მათი მომზადების ერთი დიდი საფეხური.

ამონ-რა წელში გაიმართა, გარშემო მიმოიხედა და მთვარის შუქზე ვიღაცას თუ რაღაცას დაუწყო ძებნა. უეცრად ხალისიანად წამოიძახა:

— უნდა გაგახაროთ, ჩვენთან სტუმარი მოდის!

გამოქვაბულში სტუმრების მიღებას მიჩვეულები არ იყვნენ. საიდან მოდის ან ვინ არის ჩვენი სტუმარიო, გაუკვირდა ყველას.

— არ შეგეშინდეთ, კეთილი სტუმარია! — დაუმატა ამონ-რამ.

და იმავ წუთს შემოესმათ უცნაური ნაბიჯების ხმა. ბუჩქები გადაიწია და იქიდან დიდი წაბლისფერი დათვი გამოვიდა.

სალომემ შეჰკივლა და ამონ-რას მიეკრო. სხვებიც შეშინდნენ.

— არ შეშინდეთ, — გაუმეორა ამონ-რამ, — სამეგობროდ მოვიდა!

დათვი იმდენად დიდი იყო, რომ მთელი შეკრებილობა ერთად ჩაეტეოდა მის მუცელში.

დათვმა იორამსა და იაკობს თავზე გადააბოტა და ამონ-რას წინ თავი დახარა.

მოწაფეების გაოცების საზღვარი არ ჰქონდა.

ამონ-რამ დათვს თავზე ხელი მოუთათუნა, მიეფერა და უსიტყვოდ ჰკითხა:

„ვინ გამოგგზავნა?“

„იმან,“ — უპასუხა დათვმა ასევე უსიტყვოდ.

„რატომ გამოგგზავნა?“

„იმიტომ.“

„რა გქვია?“

„ბუნგლო.“

ამონ-რამ მეგობრებს დათვი გააცნო:

— ეს ბუნგლოა. ჩვენთან იცხოვრებს. გიყვარდეთ და იმეგობრეთ.

სალომეს უეცრად დაეუფლა სიმშვიდე და გამბედაობა, ბუნგლოს სქელ კისერზე მოეხვია, თუმცა ხელები ვერ შემოაწვდინა, და აკოცა.

— მიყვარხარ, ბუნგლო! — უთხრა დათვს.

ბუნგლომ თავი დაუქნია სალომეს და ყველას. მეც მიყვარხართო, ამბობდა ბუნგლო.

ოცდამეექვსე თავი

უცნობი ხუროთმოძღვარი

იუდეაში ხმა გავარდა: ერთ რომაელ დიდებულს — იუსტინეს — მდინარე იორდანის ნაპირას სასახლის მშენებლობა აქვს განზრახულიო. ეს ამბავი გამოქვაბულში იაკობმა მოიტანა. ამონ-რას გაუხარდა.

— ილია, გამოვცადოთ შენი ხელოვნება!

ილიამ ვერ გაიგო, რას ითხოვდა ამონ-რა. მაშინ ამონ-რამ დააზუსტა:

— შექმენი სასახლის პროექტი და გავუგზავნოთ რომაელ დიდებულს.

ამონ-რამ კარგად იცოდა, რომ იუსტინე სასახლის ასაშენებლად ცნობილ ხუროთმოძღვრებს მიიწვევდა და, რა თქმა უნდა, არ დათანხმდებოდა, რომ გამოუცდელი და უცნობი ცამეტი წლის ბიჭისათვის მიენდო ეს საქმე. მიუხედავად ამისა, ილიას ურჩია წასულიყო და კარგად შეესწავლა ის ადგილი, სადაც დიდებულს სასახლის აშენება ჰქონდა გადაწყვეტილი, შემდეგ რამდენიმე თვე ემოგზაურა და რომის იმპერიის საუკეთესო სასახლეები ენახა. მერე კი დაემუშავებინა პროექტი, ხარჯების ანგარიში, მშენებლობის ვადების გეგმა.

— ყველაფერს ამას დიდებულს გავუგზავნით, იქნებ მიიღოს შენი პროექტი?

— მე ვინ მანდობს სასახლის აშენებას?! — შეიცხადა ილიამ, მაგრამ ამონ-რამ დაამშვიდა.

— ჯერ შექმენი საუკეთესო პროექტი.

ილიამ დაუჯერა ამონ-რას. საქმეს მთელი გატაცებით შეუდგა. იმოგზაურა რომში, საბერძნეთში, შეისწავლა ყველაზე ცნობილ დიდებულთა სასახლეები, წაიკითხა წიგნები. შემდეგ იორდანის ნაპირებიც დაათვალიერა. ამონ-რას დავალებით მთელ ამ საქმიანობაში მას იაკობი ეხმარებოდა. გავიდა ხუთი თვე და ილიამ ამონ-რას თავისი პროექტი და დაანგარიშებანი უჩვენა. ამონ-რამ მოიწონა სასახლის პროექტი.

ვის უნდა მიეტანა იუსტინესთვის პროექტი და აეხსნა მისი შინაარსი?

ამონ-რამ ისევ იაკობს მიმართა.

— შენ წახვალ იუსტინესთან. ეტყვი, რომ დიდ ხელოვანს თავისი ვინაობის გამჟღავნება არ შეუძლია და შენ მისი წარმომადგენელი ხარ!

გამოაწყვეს იაკობი, როგორც განათლებულ კაცს და დიდი ხუროთმოძღვარის წარგზავნილს შეეფერებოდა, შესვეს თეთრ ცხენზე და გაუშვეს.

იაკობი მაშინ მიადგა იუსტინეს, როცა მან ის-ის იყო დაამთავრა მოლაპარაკება რომიდან მიწვეულ ხუროთმოძღვრებთან, მოიწონა მათი პროექტი და მოურიგდა მშენებლობაზე.

ამ დროს მსახურმა მოახსენა:

— ბატონო, თქვენთან თეთრი ცხენოსანი კაცია, ამბობს, დიდი ხუროთმოძღვრის წარმომადგენელი ვარო, და თქვენს ნახვას ითხოვს!

იუსტინეს გაუკვირდა, არ ეგონა, რომ რომიდან მოწვეულ ხუროთმოძღვრებზე უფრო სახელოვანი ხუროთმოძღვარი სხვაც იქნებოდა. რომაელმა ხუროთმოძღვრებმა ყურები ცქვიტეს.

იუსტინეს თუმცა გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ სასახლეს რომაელებს ააშენებინებდა, ცნობისმოყვარეობამ სძლია და უბრძანა მოეყვანათ სტუმარი.

იაკობი თავაზიანად მიესალმა და თავისი ბატონისგან წერილი გადასცა.

იუსტინემ წერილი წაიკითხა: ცნობილი ხუროთმოძღვარი, რომელსაც არ შეეძლო თავისი ვინაობის გამხელა, სახელგანთქმულ დიდებულს სასახლის პროექტს სთავაზობდა.

— მაჩვენე პროექტი, განა ეგ უფრო უკეთესი იქნება, ვიდრე რომაელმა ხუროთმოძღვრებმა შექმნეს? — ეჭვით თქვა იუსტინემ.

იაკობმა არაფერი უპასუხა. მხოლოდ დიდ მაგიდაზე პროექტი გაშალა და გვერდით სასახლის ხედების სურათები დააწყო.

იუსტინე გაჰკვირდა.

ასეთი მშვენიერება მის ბევრის მნახველ თვალებს არსად ეხილა — არც რომში, არც საბერძნეთში, არც ეგვიპტეი, არც მავრიტანიაში.

სასახლე ლაღად ეკვროდა მდინარე იორდანის მარჯვენა სანაპიროს და ულამაზესი ხიდით მეორე ნაპირს უერთდებო-

და. ეზო დამშვენებული იყო ბაღებით, ხეივნებით, ყვავილებით, ხეხილით, მყუდრო დასასვენებელი ადგილებით. იორდანის ერთი ნაკადი არხით ეზოს შუაგულისკენ მიემართებოდა და ტბას ჰქმნიდა. არხს ბოგირები ამშვენებდა. ტბაში გედები დაცურავდნენ, ტბის შუაგულში შადრევნები ჩქეფდა. ალაგ-ალაგ უმშვენიერესი ქანდაკებები იყო აღმართული. სასახლის დარბაზები მეტად მოხერხებულად იყო განლაგებული. დიდი ჩუქურთმიანი ფანჯრები უხვად ანათებდა სასახლის სივრცეს. რამდენიმე დარბაზი ხელოვნების ქმნილებათა გამოსაფენად იყო გათვალისწინებული. იუსტინეს იცნობდნენ როგორც ხელოვნების დამფასებელს და იშვიათი სურათებისა და ქანდაკებების კოლექციის მფლობელს.

იუსტინემ დიდხანს ათვალიერა პროექტი.

მის წარმოდგენაში სასახლის ხედებმა ხორცი შეისხეს და იუსტინემ ამაყად აწია თავი.

— რას იტყვით? — მიმართა რომაელ ხუროთმოძღვრებს, რომლებიც არანაკლებ გაოცებულები იყვნენ უცნობი ხუროთმოძღვრის პროექტით, მომავალი სასახლის ხედებით, მაგრამ არ იმჩნევდნენ. იუსტინემ პასუხი ვერ მიიღო.

მაშინ იაკობს მიუბრუნდა.

— ვინ არის ეს ხუროთმოძღვარი?

— ბატონო, ის თავის სახელს ვერ გაამჟღავნებს!

— მაშ ვინ უხელმძღვანელებს მშენებლობას?

— თავად უხელმძღვანელებს, მაგრამ თქვენ არ გეცოდინებათ, ვინ არის ის.

იუსტინემ იცოდა, რომ იყვნენ უცნობი მხატვრები, მოქანდაკენი, უცნობი ხუროთმოძღვარნი, რომელთაც შედევრები ჰქონდათ შექმნილი. ამიტომ აღარ ჩაეძია პროექტის მშენებელის ვინაობას, რადგან თავად პროექტით მოიხიბლა.

იაკობი ისე იქცეოდა, როგორც დარიგებული იყო.

— ბოტონო, ხომ არ ინებებთ ხარჯების ანგარიშს? — და იუსტინეს ქაღალდები გაუწოდა.

იუსტინემ ანგარიშს ჩახედა. მასში ყველაფრის ღირებულება წვრილად იყო ჩამოთვლილი, საერთო ჯამმა კი იუსტინე გაახარა.

რომაელი ხუროთმოძღვრები ნერვიულობდნენ. თუ უცნობი ხუროთმოძღვარი უფრო იაფად ააშენებდა სასახლეს,

ვიდრე ისინი, მაშინ, ცხადია, იუსტინე დაარღვევდა მათთან შეთანხმებას.

— აჰა, ნახეთ, გაეცანით! — იუსტინემ რომაელებს ანგარიშის ქაღალდები გაუწოდა.

რომაელები კარგახანს ჩაჰყურებდნენ ქაღალდებს, უნდოდათ რამე შეცდომა ეპოვათ, მაგრამ ამაოდ. მათი ანგარიში ორჯერ აღემატებოდა იმ ხარჯებს, რასაც უცნობი ხუროთმოძღვარი სასახლის მშენებლობისათვის ვარაუდობდა.

— რას იტყვით? — ჰკითხა მათ იუსტინემ.

რომაელებმა მხრები აიჩეჩეს.

იაკობმა ახალი ქაღალდები მოამზადა.

— ბატონო, მშენებლობის ვადებს ხომ არ გაეცნობით?

იუსტინეს წარმოდგენაში სასახლე უკვე აშენებული იყო. მოუთმენლობამ შეიპყრო. ქაღალდები არ ჩამოართვა იაკობს.

— მითხარი, რა წერია ამ ქაღალდებში, მოვესწრები სასახლის აშენებას?

— ბატონო, თქვენ დიდხანს იცოცხლებთ, — თავაზიანად უპასუხა იაკობმა, — სასახლე, თუ თქვენი ნება იქნება, ორ წელიწადში აშენდება!

რომაელები კი ოთხ-ხუთ წელიწადს ითხოვდნენ.

იუსტინემ გამეორებით იკითხა:

— კიდევ მითხარი, რას ამბობს შენი ხუროთმოძღვარი, რამდენ ხანში დავამთავრებო სასახლეს?

— ორ წელიწადში, ბატონო!

იუსტინემ ახლა უკვე მწყრალად გადახედა რომაელებს.

— თქვენ რას იტყვით?

ერთმა გაბედა და თქვა:

— შეუძლებელია ასე სწრაფად სასახლის აშენება!

იაკობმა ისევ გაუწოდა ქაღალდები იუსტინეს:

— ბატონო, ინებეთ მშენებლობის გეგმა. აქ ყველაფერია გათვალისწინებული!

იუსტინემ გამოართვა ქაღალდები და ყურადღებით გაეცნო.

— ოჰო, — წამოიძახა მან, — უცნობი ხუროთმოძღვარი მშენებლობისათვის ახალ ტექნიკას იყენებს! რას იტყვით? — და ქაღალდები რომაელებს გაუწოდა.

რომაელი ხუროთმოძღვრები მთლად დაიბნენ, ხმა ვერ ამოიღეს. ხუთივეს სახე ჰქონდა გაწითლებული, ბრაზი ახრჩობდა. დიდი დამარცხება იწვნიეს: ერთმა ვიღაც უცნობმა ხუროთმოძღვარმა მათზე გაცილებით უკეთესი პროექტი შექმნა, ორჯერ იაფი დააფასა და ორჯერ სწრაფად აპირებს აშენებას. შერცხვენილებმა მდაბლად დაუკრეს თავი იუსტინეს და დარბაზიდან გავიდნენ.

იუსტინე იაკობს მიუბრუნდა.

— არც ახლა გამიმხელ, ვინ არის უცნობი ხუროთმოძღვარი?

„ნეტავ რას მოიმოქმედებს რომაელი დიდებული, თუ ვეტყვი, რომ უცნობი ხუროთმოძღვარი ცამეტი წლის იუდეველი ბიჭია, ამიტომ არც სახელგანთქმული და არც გამოცდილი?“ — გაიფიქრა იაკობმა. იუსტინეს კი მოახსენა:

— ბატონო, თქვენ მას ნახავთ, მაგრამ არ გეცოდინებაო, რომ ის არის!

— კარგი, ასე იყოს. მოახსენე შენს ბატონს, რომ პროექტს ვღებულობ და მინდა სასწრაფოდ შეუდგეს მშენებლობას!

— მადლობას მოგახსენებთ, ბატონო!

გახარებულმა იაკობმა თავი დაუქნია იუსტინეს და დარბაზიდან ელვისებურად გაქრა. მალე თეთრი ცხენი უკან მიაქროლებდა მას.

ოცდამეშვიდე თავი

საქმე უბრალოდ გადაწყდა

დიდი ბიჭი დღითი-დღე უფროდაუფრო ბოროტდებოდა.

ბავშვებს არ უყვარდათ ის და გაურბოდნენ მასთან თამაშს. ის კი ხან ერთს აუტყდებოდა, დასცინოდა და აწვალებდა, ხან მეორეს. პატარებს კი აიძულებდა სახლიდან ნივთები და ფული მოეპარათ და მისთვის მიეცათ. მისგან დაშინებული პატარა ბავშვები ძალაუნებურად საკუთარი სახლის ქურდები ხდებოდნენ. როცა რომელიმეს მამა გაიგებდა — შვილმა საგვარეულო სამკაული, ან სადურგლო იარაღი, ან ფული მოიპარაო, დაიჭერდა საწყალ ბავშვს და ურტყამდა და ურტყამდა. ის კი ვერ ბედავდა ეთქვა, რომ ქურდობა დიდმა ბიჭმა ჩაადენინა.

სალომეს სკოლამ სულ გადარია დიდი ბიჭი.

ბევრმა ბავშვმა სალომესთან დაიწყო სიარული და ნაკლებად იცლიდა ქუჩაში სათამაშოდ, დიდ ბიჭს კი არც ეკარებოდა. სკოლაში სალომე და იაკობი ბავშვებს ისეთ რამეებს ასწავლიდნენ, რომ ისინი უფრო თამამები და შეუპოვრები ხდებოდნენ და აღარც დიდ ბიჭს ემორჩილებოდნენ. ის კი არა, რამდენიმე კიდეც შეიკრა მის წინააღმდეგ.

ერთხელ, როცა დიდი ბიჭი ერთ პატარას, რომელიც სკოლიდან ბრუნდებოდა, წინ გადაუდგა და დაავალა, სახლიდან რაღაც მოიპარე და მომიტანე, თორემო... ემუქრებოდა, მას მაშინვე ხუთი თანატოლი ამოუდგა, ექვსივემ ქვებს დაავლო ხელი და დიდ ბიჭს მოუღერა.

— აბა, მოუსვი აქედან, თორემ თავს გაგიხეთქავთ! — შესძახა ექვსივემ.

დიდ ბიჭს ეგონა, ძველებურად თვალებს დავუბრიალებ, ცხვირთან დანას შევუთამაშებ და ექვსივეს ერთად შევაშინებო. ასეც აპირებდა მოქცეულიყო, მაგრამ, ნურას უკაცრავად, — არცერთმა წარბიც არ შეიხარა.

— თუ სამ თვლაში გზიდან არ ჩამოგვეცლები, ჩაგქოლავთ! ერთი... ორი...

ისე გადაწყვეტით უთხრეს ბავშვებმა და ისე მოემზადნენ ქვების სასროლად, რომ დიდმა ბიჭმა დიდი საშიშროება

იგრძნო. მას ისღა დარჩენოდა, — მე თქვენ გიჩვენებთო, — დამუქრებოდა და იქაურობას გასცლოდა.

გათამამებულმა ბავშვებმა ყიჟინა დასცხეს და შესაშინებლად ქვები ბიჭის შორიახლოს ისროლეს. დიდმა ბიჭმა, — ვაიმე, უკვე მქოლავენო, — ისე მოკურცხლა, უკან არ მიუხედავს.

— მშიშარა, მშიშარა, — მისძახოდნენ ბავშვები.

ამ მარცხმა დიდ ბიჭს სულაც არ ასწავლა ჭკუა. მან სხვა გზებს დაუწყო ძებნა. „მე უნდა დავიმორჩილო და შევაშინო ისინი, ვინც მაგათ ხელმძღვანელობს," — გაიფიქრა. ასეთები კი, რომლებიც მტრად დაიგულა, იყვნენ ამონ-რა და მისი „ავან-ჩავანები," როგორც მათ დიდმა ბიჭმა უწოდა.

ამ „ავან-ჩავანებს" დიდი ბიჭი იცნობდა. იორამს იგი „ცუნცრუკა ექიმს" ეძახოდა. ილიაზე ამბობდა, მიკვირს ეს ჭკვიანი ბიჭი მაგ ტუტრუცანებს როგორ აჰყვაო. სალომეს დიდმა ბიჭმა გომბიო დაარქვა. იაკობისა კი ვერაფერი გაეგო.

დიდმა ბიჭმა თვალთვალი დაუწყო მათ. ხედავდა, რომ ისინი, ერთად თუ ცალცალკე, მთისკენ მიემართებოდნენ ან მთიდან ბრუნდებოდნენ. გაგებული ჰქონდა, რომ მთის რაღაც ადგილებში გამოქვაბულები იყო და იქ ფილოსოფოსი ცხოვრობდა თავის დისშვილთან — ამონ-რასთან ერთად. შემდეგ ფილოსოფოსი სადღაც გადაიკარგა. ამონ-რამ კი გარშემო შემოიკრიბა „თავისავით ტუტრუცანები," და ყველანი ყოველდღე გამოქვაბულებში დაძვრებიან. რა უნდათ გამოქვაბულებში, რას აკეთებენ იქ? დიდმა ბიჭმა არ იცოდა არც ის, თუ რა ხდებოდა გამოქვაბულებში, არც ის, თუ სად იმალებოდა იქ ასასვლელი ბილიკი.

რამდენიმე დღის თვალთვალის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, მიაგნო ბილიკის დასაწყისს. დაუყარაულდა, როცა, მისი ვარაუდით, გამოქვაბულში უკვე არავინ იქნებოდა, რადგან ამონ-რა და იორამი ერთად გამოვიდნენ ბუჩქებიდან და სადღაცას წავიდნენ, სალომე ბავშვებს სკოლობანას ეთამაშებოდა, ილია და იაკობი კი კვირაზე მეტია არ გამოჩენილან. „ვინღა დარჩებოდა გამოქვაბულებში?" — ჰკითხა დიდმა ბიჭმა თავის თავს, და თავმაც, ჩვეულებისამებრ, დაუფიქრებლად უპასუხა: „არავინ... მიდი, გააკეთე, რაც გინდა!" „რა მინდა და ბუდე მოვუშალო გამოქვაბულების ვირთხებს!" — დაისისინა გულში დიდმა ბიჭმა, ბუჩქებში შეძვრა და ბილიკს გაჰყვა.

ალაგ-ალაგ ბილიკი იკარგებოდა ან კლდის პირას მიდიოდა. დიდი ბიჭი ვაივაგლახით უბრუნდებოდა სწორ გზას.

თითქმის მთელი დღე მოუნდა გამოქვაბულებში ასელას.

აი, მიაღწია კიდეც პატარა მოედანს და გამოქვაბულის შესასვლელის წინ აღმოჩნდა. მაგრამ ვიდრე უკანასკნელ ბუჩქს გააღწევდა, ქვას წამოკრა ფეხი. ქვა დიდი არ იყო, — თხელი, პატარა, — არც ფეხი სტკენია ძალიან, მაგრამ დიდი ბიჭი მაინც გაბრაზდა. „ოჰ, შენი...“ — წამოიძახა ბოღმით, ქვას ხელი დაავლო და არც დახედა, იქვე დაგდებულ დიდ ქვაზე დაუპირა დამსხვრევა. მარჯვენა ხელი მაღლა შემართა და ის იყო პატარა ქვას დიდ ქვაზე დაახეთქებდა, მაგრამ მოულოდნელად ხელი ჰაერში გაუშეშდა. „რა დაემართა ჩემს ხელს?“ — გაუკვირდა დიდ ბიჭს. ხელი მშვიდად დაუშვა დაბლა და ქვას დახედა. მის გაყინულ სულში რაღაც უცნაურმა გაიფაჩუნა, მაგრამ სიძულვილმა მაშინვე იგი ნაკუწებად დაფლითა. მან პატარა ქვა დიდ ქვაზე დადო, აიღო მესამე ქვა, დიდი და მრგვალი, ასწია თავს ზევით და პატარა ქვას დასცხო. ააცდინა. ან იქნებ დიდ ქვას არ მოუნდა ხელისგულივით პატარა ქვას დასცემოდა და გვერდით ჩაიქროლა. დიდი ბიჭი, უფრო გაბოროტებული, ისევ დასწვდა მრგვალ ქვას, ორივე ხელით ასწია მაღლა, დაუმიზნა პატარა ქვას და ზედ დაანარცხა. ხელისგულივით ქვა ნამსხვრევებად იქცა. იმავე წამს დიდმა ბიჭმა გულში მწარე, აუტანელი ტკივილი იგრძნო. ტკივილმა, თითქოსდა წვეტიანი ნემსი ყოფილიყოს გრძელი ძაფით, მთელ სხეულში დაუარა და ყველგან წუხილი და სიმწარე დაუტოვა. შემდეგ ზემოთ გაემართა და თხემიდან გარეთ გავიდა.

მიუხედავად უსიამოვნებისა, რაც გამოქვაბულებისაკენ სავალ ბილიკებზე განიცადა და რაც ხელისგულისხელა პატარა ქვამ მიაყენა, დიდი ბიჭი მაინც გახარებული იყო. ხომ მოაღწია აქამდე, ხომ მიაგნო გამოქვაბულების ვირთხების ბუდეს. მალე დაუნგრევს მათ ამ ბუნაგს და მერე მის მდგმურებსაც უტირებს ყოფას.

და ვიდრე საქმეს შეუდგებოდა, დასვენება მოისურვა. ჩამოჯდა დიდ ქვაზე, რომელზეც ეს-ეს არის პატარა ქვა დაამსხვრია, და ზემოდან ქალაქს გახედა. „აუჰ, რა სიმაღლეზე ამოვსულვარ!“ — გაუკვირდა და ქალაქის ქუჩებისა და უბნების გარკვევა დაიწყო.

ამ დროს უკნიდან გაურკვეველი ფაჩუნი შემოესმა. მიხედვაც ვერ მოასწრო, რომ ვიღაცამ ორი მსხვილი და ძლიერი მკლავი იღლიებში ამოსდო, გამოქვაბულების წინ მოედანზე გაათრია და კალთაში ჩაისვა.

დიდი ბიჭი გაფართხალდა, მაგრამ ძლიერი მკლავები სალტესავით ჰქონდა შემოჭდომილი. და როცა ამ მკლავებს ჩასჭიდა ხელი, რომ გათავისუფლებულიყო, მიხვდა, რომ ის ადამიანის მკლავები არ იყო. ეს იყო რაღაც საშინელი ბანჯგვლიანი არსება, რომელიც არც უკან მიხედვის საშუალებას აძლევდა.

— გამიშვი... გამიშვი... — ღრიალებდა დიდი ბიჭი და უმწეოდ იქნევდა ფეხებსა და ხელებს.

შემდეგ აზრად მოუვიდა, რომ ბანჯგვლიან არსებას შეეძლო მისთვის თავი მოეჭამა. შეშინდა დიდი ბიჭი, დაფეთდა, ატირდა და ხვეწნა დაუწყო:

— არ შემჭამო... არ შემჭამო... არ მომკლა...

მაგრამ ბანჯგვლიანი არსება მას არ ჭამდა და არც კლავდა. ჩაბღუჯული ჰყავდა და არ უშვებდა, ეს იყო და ეს. ამ მდგომარეობაში იყო დიდი ბიჭი რამდენიმე საათი. შიშისგან თავში აზრიც გაუჩერდა. მოსაღამოვდა.

ამ დროს ფეხის ხმაც გაისმა. ამონ-რა და იორამი მოდიოდნენ და მოსაუბრობდნენ.

დიდ ბიჭს იმედი მიეცა, რომ ისინი გაათავისუფლებდნენ მას ბანჯგვლიანი არსების ტყვეობისაგან, მაგრამ შეშინდა კიდეც: მიხვდებიან, რისთისაც ვარ მოსული და რას მიზამენო.

ბუჩქებიდან ამონ-რა და იორამი გამოვიდნენ:

— ეს დიდი ბიჭი არ არის? რა უნდა აქ?! — გაუკვირდა იორამს.

ამონ-რას კი გაეცინა.

— რაც უნდა და რისთვისაც მოვიდა აქ, თვითონ იცის, მაგრამ რომ არ გამოუვიდა? — უპასუხა ამონ-რამ.

იორამსაც გულიანად გაეცინა, ისე ამაყად ჰყავდა ჩაბღუჯული ბუნგლოს დაუპატიჟებელი სტუმარი.

დიდი ბიჭი ხმას ვერ იღებდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: ეთხოვა ბიჭებისათვის, გამათავისუფლეთ და მეტს აღარ ვიზამო, თუ ბედს დალოდებოდა.

— რა ვუყოთ ამ დიდ ბიჭს? — ჰკითხა იორამმა ამონ-რას, — იქნებ ჰყავდეს ასე დატყვევებული ბუნგლოს ორი-სამი

დღე და მერე გავუშვათ? ან იქნებ სულაც ბუნგლოს მივანდოთ, რისი ღირსიც არის, ის უქნას?

იორამი, რა თქმა უნდა, ხუმრობდა, მაგრამ როგორ მოიქცეოდა ამონ-რა, არ იცოდა.

იორამის ხუმრობა დიდმა ბიჭმა სიმართლედ მიიღო, შიშისაგან ბუნგლოს თათებში მთლად აცახცახდა და რაღაც გაურკვეველი ლუღლუღი დაიწყო.

— ბუნგლო, გაუშვი! — მიმართა ამონ-რამ ბანჯგვლიან არსებას.

ბუნგლომ ნელ-ნელა გაშალა თავისი მსხვილი თათები.

დიდმა ბიჭმა შველა იგრძნო და ბუნგლოს მუხლებიდან მიწაზე ჩამოცოცდა. გაქცევა არც უფიქრია, ან სად გაექცეოდა ამ... დიდმა ბიჭმა შიშით შეხედა მის დამატყვევებელს და კინაღამ გული წაუვიდა: რამხელა დათვი... აი, ვის ჰყავდა ის ჩაბღუჯული!

იდგა ამონ-რასა და იორამის წინ დიდი ბიჭი, წოწლოკინა, მაღალი, გრძელკისერა. დაჰყურებდა ზემოდან მასზე დაბლებსა და ასაკითაც პატარა ბიჭებს. გაწითლდა, გაწითლდა, მაგრამ სირცხვილისაგან კი არა, არამედ ბოღმისა და სიძულვილისაგან. როგორ უნდოდა, რომ თვალები დაებრიალებინა, ერთისთვის კისერში ჩაევლო ხელი და მაღლა აეწია, მეორესთვის — პანჩური ამოეკრა, ორივესთვის თავისი ძალა ეჩვენებინა და თავის ყურმოჭრილ მონებად ექცია. თუ ამათ მოერეოდა, მაშინ მთელი ქალაქის ბავშვებიც მისი ყურმოჭრილი მონები გახდებოდნენ. აუჰ, რამდენ რამეს მოაპარინებდა მათ სახლებიდან. რატომ ეს ბანჯგვლიანი არსება, ეს დათვი, რომელიც გორასავით დგას გამოქვაბულის წინ, მას არ ემორჩილება! მაშინ ქალაქის ბავშვები კი არა, მათი მშობლებიც მისი მოსამსახურეები გახდებოდნენ, თვითონ ქალაქის მბრძანებლად იქცეოდა. ამ ცინგლიანებს კი, თავი რომ მეცნიერებად და ექიმებად მოაქვთ, დათვს ჩააყლაპვინებდა. მაგრამ რა ქნას ახლა უსუსურმა დიდმა ბიჭმა — თავისი მტრების ხელშია ჩავარდნილი, როგორ უშველოს თავს?

საქმე კი უბრალოდ გადაწყდა: ამონ-რამ მშვიდად, უბოროტოდ, მაგრამ გადაწყვეტით უთხრა დიდ ბიჭს:

— წადი აქედან. რაკი ამოსასვლელი ბილიკი იპოვე, ჩასასვლელსაც იპოვი!

ახლაღა მიხვდა დიდი ბიჭი, რა საშინელი გამოცდა ელოდა: უმთვარო ღამეში მთიდან დაბლა უნდა დაშვებულიყო. მთაში კი თურმე ასეთი უზარმაზარი ბანჯგვლიანი არსებანიც ყოფილან. ცოცხალი ვერ ჩააღწევს ქალაქში, ან განა როგორ უნდა გაიგნოს? რა ქნას დიდმა ბიჭმა, იქნებ შეეხვეწოს ამონ-რას, ამაღამ აქ გამათევინეთ და დილით ადრე წავალო?

— წადი, წადი! — მშვიდად გაუმეორა ამონ-რამ, — ნუ შიშობ, ჩააღწევ ქალაქამდე!

დიდი ბიჭი უიმედო ნაბიჯებით მიიმალა ბუჩქებში.

დედამიწაზე ნაირნაირი და უთვალავი ქვაა

იორამს ეგონა, ამონ-რა გაუწყრებოდა დიდ ბიჭს, დაემუქრებოდა, მეორედ არ გაბედო აქ მოსვლაო, ეტყოდა. ან კეთილად მაინც დაარიგებდა, რომ ბოროტებისათვის თავი დაენებებინა.

ამონ-რა ამ დროს მიწიდან ქვის ნატეხებს კრეფდა და დიდად შეწუხებული ჩანდა.

— რად გინდა ეგ ქვის ნატეხები? — ჰკითხა იორამმა.

— დიდი ბიჭი ჩვენ მტრად მიგვიჩნევს, არა და თვითონვეა თავისი თავის ყველაზე დიდი მტერი! — გულისტკივილით თქვა ამონ-რამ.

იორამმა ვერ გაიგო, რას გულისხმობდა ამონ-რა.

ამონ-რამ ქვის ნატეხებიდან მთლიანი ქვის აწყობა დაიწყო. უკვე ბნელდებოდა, და ეს საქმე არ იყო ადვილი.

— მოიტანე, თუ შეიძლება, წებო და სანთელი! — სთხოვა იორამს.

ანდრიას ლაბორატორიიდან იორამმა პატარა თიხის ჭურჭლით წებო და ანთებული სანთელი გამოიტანა.

ამონ-რამ ქვის ნატეხებს თავ-თავისი ადგილი მოუნახა და ერთმანეთს მიაწება.

— საკუთარი ქვაწერილი მეორედ მივიდა დიდ ბიჭთან, მან კი ვერ გაიგო, რა ეჭირა ხელში, და დაამსხვრია. იშვიათად ხდება, რომ ერთ სიცოცხლეში ქვაწერილი ორჯერ მივიდეს მასთან, ვისთანაც არის გამოგზავნილი. მაშ, ვინ არიან დიდი ბიჭის მტრები, თუ არა თვითონვე?

ამონ-რა ნამდვილად შეწუხებული იყო.

— ვერ ვხდები, რას გულისხმობ! — უთხრა იორამმა.

ამონ-რამ გამთელებული ქვაწერილი იორამს დაუდო ხელისგულზე.

— როგორ ფიქრობ, განა ეს ქვა ჩვეულებრივი ქვაა, როგორიც ბევრია აქაც და ხევშიც?

იორამმა თვალები მოჭუტა, რომ იისფერ სიბნელეში ქვას დაკვირვებოდა. მასზე ხაზები და ნიშნების მწკვრივები შენიშნა.

— ეს არ არის შემთხვევითი ქვა! — თქვა დარწმუნებით იორამმა, — მაშ ეს ის ქვაწერილია, შენ რომ ამასწინათ გველაპარაკებოდი?

— გეტყვი, იორამ, შენ უნდა იცოდე ქვაწერილის საიდუმლო.

ბუნგლო ბიჭების ახლოს მიწაზე დაწვა, ამონ-რა მოეფერა ბუნგლოს, შემდეგ მის მუცელს მიეყრდნო და თითქოსდა ხმამაღლა ფიქრობსო, ჩუმად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად აჩურჩულდა.

— ეს ქვა, რომელიც ახლა გავამთელეთ, დიდი ბიჭის ქვაწერილია. ერთხელ უკვე მივიდა ქვაწერილი მასთან, ის კი ვერ მიხვდა, რა ქვა ეჭირა ხელში, და მე მესროლა...

იორამს გაახსენდა ის დღე — თვითონაც იქვე იყო, როცა ამონ-რამ მიწიდან ის ქვა აიღო, რომლითაც დიდმა ბიჭმა მას შუბლი გაუტეხა.

— ამონ-რა, ნუთუ ეს ის ქვაა?! — ჰკითხა გაკვირვებით.

— ის არის... დღეს კი, ჩვენს მოსვლამდე, მეორედ მიაკითხა მას საკუთარმა ქვაწერილმა. ალბათ, ფესი წამოკრა მას, როცა ბუჩქებში გამოიარა. იქ მე დავმალე ეს ქვაწერილი. რამდენი ხანია იქ დევს და არავის წამოუკრავს ფეხი, მხოლოდ მისმა ჰატრონმა წამოჰკრა ფეხი. რატომ მაინცდამაინც იმ ბუჩქებით გამოიარა, როცა აქეთაც შეეძლო? იმიტომ რომ საკუთარმა ქვაწერილმა მიიზიდა. ვერც ამჯერად მიხვდა, რა ქვა იყო ან რატომ წამოჰკრა ფეხი. თუ ქვას მშვიდად აიღებდა და კეთილი გულით, ან ცნობისმოყვარეობით მაინც შეხედავდა, იქნებ დაფიქრებულიყო. მაგრამ ასე არ მოიქცა, გაბოროტებით დასტაცა ხელი და შური იძია: თავისი ცხოვრების საიდუმლო ამ ქვაზე დაამსხვრია. აი, ჩვენ აღვადგინეთ ქვაწერილი, მივაწებეთ ერთმანეთს ნამსხვრევები, დავდებთ მას გამოქვაბულში თაროზე. მაგრამ როდისღა მივა კიდევ ეს ქვაწერილი მასთან? ერთ ცხოვრებაში საკუთარ ქვაწერილთან ორჯერ შეხვედრა დიდი იშვიათობაა. მაშ რამდენი სიცოცხლე დასჭირდება კიდევ, რამდენჯერ უნდა დაიბადოს, რომ ამ ქვაწერილმა მესამედ მიაკითხოს დიდ ბიჭს, ხოლო ის მზად აღმოჩნდეს მის ამოსაცნობად?

იორამს სიტყვა-სიტყვით ახსოვდა ამონ-რას ამასწინანდელი საუბარი, როცა უფლის გამოქვაბულიდან გამოვიდნენ. მაშინ ამონ-რამ უთხრა ყველას, რომ დიდი სულები ადამიანებს ქვაწერილებს უგზავნიანო. ახლა კი იორამმა გაიგო,

რომ ადამიანი მთელ თავის ცხოვრებათა განმავლობაში ერთ ქვაწერილს მიიღებს. იორამი მოუთმენლობამ შეიპყრო: რას ეტყვის, რას გაუმხელს მას კიდევ ამონ-რა?

ამონ-რამ თავი ბუნგლოს თავს მიაყრდნო და ვარსკვლავებიან ცას დაუწყო ცქერა. შემდეგ ნელა და ჩუმად გააგრძელა შეწყვეტილი ფიქრები. იორამს ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს ამონ-რა ვარსკვლავებიან ცაზე კითხულობდა, რასაც ამბობდა.

— დედამიწაზე ნაირ-ნაირი და უთვალავი ქვაა. ყველას, უმცირეს კენჭსაც კი, თავისი დანიშნულება აქვს. ზოგის დანიშნულება ის არის, რომ ხეების, სახლების და სასახლეების, ციხე-სიმაგრეებისა და ტაძრების მშენებლობას მოხმარდეს. ზოგის ის, რომ ადამიანებმა მათგან მშვენიერება გამოძერწონ. ზოგს სამკაულებად აქცევენ, ასეთებს ძვირფას ქვებს უწოდებენ. ზოგს სასაფლაოებზე მიიტანენ — მათ საფლავის ქვები ჰქვია. ზოგი საჯილდაო ქვა გახდება და ახალგაზრდები ერთმანეთს თავიანთ ძალას უჩვენებენ. არსებობს ქვები, რომლებიც ფილოსოფოსთა გამოცანაა, ქვები, რომლებსაც მშენებლები დაიწუნებენ, მაგრამ შენობის ქვაკუთხედები გახდებიან. არიან ქვები, რომლებიც თხელ მდინარეზე გადასვლაში გვეხმარებიან. ქვების ერთი ნაწილი იმიტომ გაჩნდა, რომ ბუნების სიდიადეს ჰიმნი უგალობოს...

ამონ-რა გაჩერდა, თითქოს ვარსკვლავებიან ცაზე წასაკითხ ტექსტს დაეძებდა.

არათუ იორამი, ბუნგლოც სმენად იყო გადაქცეული.

— ქვები ადამიანთა განვითარებისათვის არიან შექმნილნი, — გააგრძელა ამონ-რამ, — მაგრამ ადამიანები ხშირად უპატივცემულოდ ეპყრობიან ქვებს, ერთმანეთის საზიანოდ და საბოროტოდ იყენებენ. ქვებს ერთმანეთს ესვრიან, ქვებით ვინმეს ჩაქოლავენ, ქვებით მაღალ და გრძელ კედელს ააშენებენ, რომ ერთმანეთს გაეთიშონ, საპყრობილეებსა და დილეგებს ააშენებენ, რომ ერთმანეთი დაამწყვდიონ. მაშინ ქვები თავიანთ დანიშნულებას კარგავენ, ქვებიც უბედურდებიან და ადამიანებიც...

ამონ-რა ისევ გაჩუმდა.

ბუნგლო ხელს ულოკავდა ამონ-რას.

წუთიც და ამონ-რას მშვიდი და ჩუმი ხმა ისევ აშრიალდა.

— მაგრამ არიან სულ სხვანაირი ქვები, რომელთა დანიშნულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასეთი ქვა იმდენია, რამდენიცაა ადამიანის სული, რომლებმაც დედამიწაზე უნდა ჰპოვონ სრულყოფა. დედამიწა ჩვენი განვითარების გზაა, უსასრულო გზის ერთი მონაკვეთია. ადამიანი დედამიწაზე ადამიან-ღმერთად უნდა იქცეს. ასე გვითხრა იესო ქრისტემ. ასეთ სრულყოფას რომ მიაღწიოს, ადამიანს ერთი ცხოვრება არ ეყოფა, არც ორი, არც ათი, არც ასი ცხოვრება ეყოფა. ამიტომ ადამიანი დაიბადება, იცხოვრებს, იღვაწებს და გარდაიცვლება, ანუ უხილავ სამყაროში გადავა, სადაც მისი სული ცათა სასუფეველში იმ სიმაღლეს მიაღწევს, რა სრულყოფაც დედამიწაზე ცხოვრებისას შეიძინა.

ამონ-რა დიდხანს იყო ჩუმად.

ამასობაში იორამი სამყაროს წიგნის არსს აცნობიერებდა. ისიც შეჰყურებდა ცას და ეჩვენებოდა, რომ ვარსკვლავები დაბლა დაეშვნენ, ცამ დაბლა დაიწია, რათა ამონ-რას გადადვილებოდა წიგნის გადაშლილი გვერდის კითხვა. „რას იტყვის კიდევ," — ეკითხებოდა იორამი ვარსკვლავებს. ვარსკვლავები კი საიდუმლოდ ციმციმებდნენ და უღიმოდნენ იორამსაც, ამონ-რასაც და ბუნგლოსაც. „იქნებ ვარსკვლავებიც სამყაროში გაბნეული ქვებია? — გაიფიქრა ბიჭმა, — მაგრამ როგორ ანათებენ ისინი, და რატომ არ ანათებენ დედამიწის ქვები?"

ისევ აშრიალდა ამონ-რას ხმა.

— ერთ ცხოვრებაში ადამიანს შეიძლება ილია დაარქვან, მეორეში — იორამი, მესამეში — ალექსანდრე, მეოთხეში — მიხეილი, მეხუთეში — ანა ან მარიამი და ასე შემდეგ. სული კი ერთია და სრულყოფას ესწრაფვის. ყოველი გარდაცვალების შემდეგ იგი ან უფრო მაღლდება ცათა სასუფეველში, ან დაბლდება. ადამიანის დაბადება ორ შემთხვევაში შეწყდება: როცა იგი ისეთსავე სრულყოფას მიაღწევს, როგორი სრულყოფილიც არის ჩვენი ზეციერი მამა; ან როცა ისე გადაგვარდება, რომ მისი შემდგომი სრულყოფა შეუძლებელი ხდება. პირველი — სიცოცხლის გზაა, რომელიც ვიწროა და ვიწრო კარიბჭისკენ მიემართება. ადამიანი ძალისხმევით დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველს და მაშინ შემოქმედი მას სრულყოფის ახალ გზაზე დააყენებს. მეორე — დაღუპვის გზაა, რომელიც ფართოა და ფართო კარიბჭეს დაეძებს. შემოქმედი ასეთ სულს დაშლის, როგორც უნაყოფოს სამყაროს მშენებ-

ლობისათვის. ყოველ ცხოვრებაში ადამიანს საკუთარი მისია ეძლევა, იგი მასშიეა ჩამალული და ადამიანმა უნდა ამოიცნოს, რატომ მოვიდა ამქვეყნად. თუ ამოიცნობს მისიას და გაჰყვება მას, მისი განვითარება დაჩქარდება, თუ საკუთარი მისიის საწინააღმდეგოდ იცხოვრებს, მისი განვითარება შეფერხდება.

ცა და ვარსკვლავები კიდევ უფრო დაბლა დაეშვნენ.

სანთელი დიდი ხანია ჩაქრა.

იორამი ცდილობდა აზრით შეეღწია ცათა სასუფეველში. ბუნგლო ისევ ულოკავდა ამონ-რას ხელს. ამონ-რამ განაგრძო.

— ქვაწერილები იმიტომ არსებობენ, რომ ადამიანებს დაეხმარონ გაიკვალონ გზა ცათა სასუფეველისაკენ. ყოველი ადამიანი დედამიწაზე თავისი მრავალი ცხოვრების განმავლობაში ერთხელ მიიღებს ქვაწერილს, მიიღებს მაშინ, როცა მას განსაკუთრებით სჭირდება რჩევა და როცა სამყაროში მისი სულის ბედი წყდება. ქვაწერილით დიდი სული ამცნობს ადამიანს, რომელზეც ის ზრუნავს, როგორ გააგრძელოს ცხოვრება. ამცნობს ამას საიდუმლო ნიშნების მეშვეობით. საკუთარი ქვაწერილის წაკითხვა მხოლოდ მას შეუძლია, ვისთვისაც ის არის გამოგზავნილი. ძალიანაც რომ გვინდოდეს, ჩვენ დიდი ბიჭის ქვაწერილს ვერ ამოვიცნობთ, მაგრამ თუ თავად შეეცდება ქვაწერილის წაკითხვას, ადრე თუ გვიან ჩასწვდება საკუთარი ბედის საიდუმლოს. მაშინ არჩევანის წინაშე დადგება, რომელ გზას გაჰყვეს: იმას — დიდმა სულმა რომ ურჩია, თუ იმას, რომლისკენაც მას ამქვეყნიური სურვილები ეწევიან...

ამონ-რა ცოტახანს გაჩერდა, თვალები დახუჭა და სიბნელე გაარღვია: დიდი ბიჭი „მიშველეთო“ ყვიროდა.

— ნუ გეშინია, გააგრძელე გზა, მიხვალ ქალაქში... — ჩაილაპარაკა ამონ-რამ და თვალი გაადევნა, როგორ დააღწია დიდმა ბიჭმა თავი ეკალ-ბარდებს და ისევ ბილიკს დაუბრუნდა.

რას ამბობს ამონ-რაო, გაუკვირდა იორამს და საუბრის გაგრძელებას დაელოდა.

— ქვაწერილის დანიშნულებაც ეს არის — ადამიანი გადამწყვეტი არჩევანის წინაშე დააყენოს. ამის შემდეგ იგი კარგავს თავის ძალას და ჩვეულებრივ ქვად იქცევა... ქვაწერილს დროულად ის მიიღებს, ვინც ელის მის გამოჩენას,

ვინც ეძებს მას. ეძებდე და ჰპოვებდეო, გვარიგებენ მასწავლებლები. ქვაწერილის ძებნა იმას კი არ ნიშნავს, რომ ხევზევ იარო და ქვებში საკუთარი ქვაწერილი ეძებო. ადამიანი იმით ეძებს ქვაწერილს, რომ სიკეთეს თესავს, ადამიანებს უთანაგრძნობს, ამაღლებულად და ლამაზად ფიქრობს და შრომობს, ესწრაფვის მასწავლებელს. ეს არის ძიების გზა. მაშინ ქვაწერილიც მოიჩქარის შენსკენ, უხილავ თუ ხილულ ძალებს მოაქვთ იგი შენთან. ხოლო თუ ადამიანი გამოიჩენს მონდომებას, რომ ამოიკითხოს ქვაწერილის საიდუმლო, მაშინ ამ საქმეში მას მასწავლებელიც დაეხმარება...

ამონ-რამ იორამს მთლიანად გაანდო ყველაფერი, რაც ქვაწერილის შესახებ იცოდა. დანარჩენს იორამი თვითონაც მიხვდება. იორამი თავადაც მიიწევს საკუთარი ქვაწერილის შესახვედრად და, ალბათ, მისი ქვაწერილიც მოიჩქარის მისკენ. მაგრამ რა ეშველება დიდ ბიჭს, რომელიც საკუთარ ბედს ამსხვრევს? ამონ-რამ დიდი ბიჭის გამთელებული ქვაწერილი იორამს გაუწოდა.

— გამოქვაბულში თაროზე დადე.

— იქნებ მივუტანოთ ქვაწერილი და ავუხსნათ, რაშია საქმე? — ჰკითხა იორამმა.

— არაფერი გამოვა, — უპასუხა ამონ-რამ, — დიდი ბიჭი ისეა შეპყრობილი ბოროტებით, რომ ქვაწერილს ვერაფერს გაუგებს, ისევ დაამსხვრევს. იდოს ეს ქვაწერილი ჩვენს გამოქვაბულში თაროზე. ოდესმე, რომელიღაც სიცოცხლეში, იქნებ კიდევ ერთხელ გაემართოს თავის პატრონთან შესახვედრად.

ამონ-რამ ისევ ჩახედა თვალებში სიბნელეს.

— დიდი ბიჭი კუნძმა დააფრთხო, დათვი ჰგონია, — ჩაილაპარაკა თავისთვის, — ადექი და გააგრძელე გზა, ახლოს ხარ ქალაქთან...

უკვე გვიანი ღამე იყო.

ბიჭებმა ბუნგლოს თბილ მუცელთან მიიძინეს.

ბუნგლომ თავისი დიდი თათები გადააფარა ერთსაც და მეორესაც.

დიდ დათვზე სხედან და ისე მოდიან

დიდი ბიჭი დაღმართ-დაღმართ მიდიოდა.

სირბილით გაივლიდა ამ ბილიკს, მაგრამ რომ ვერ ხედავდა? უმთვარო ღამეს ვარსკვლავები სუსტად ანათებდნენ. ესეც არ იყოს, როგორ უნდა დაენახა ბილიკი, რომელიც ბუჩქების, ეკალ-ბარდების, ხეების ქვეშ იმალებოდა! გული შიშით უცემდა დიდ ბიჭს და ყოველ ფაჩუნზე ლამის წაქცეულიყო. საკუთარი ფეხის ხმაც აშინებდა.

ერთგან იგრძნო, რომ ბილიკს ასცდა. ფეხი რაღაცეებში გაებლანდა და ეგონა, გველი მეხვევა ფეხებზეო. ამ დროს ჭოტმაც დაჰკივლა.

— მიშველეთ! — შეჰღრიალა დიდმა ბიჭმა, მაგრამ ამ ტყე-ღრესა და მთაში, უმთვარო ღამეში ვინ გაიგებდა მის ღრიალს? მეორედ დაიღრიალა მიშველეთო, მესამედ. და ამ დროს თითქოს ყურში ჩაესმა ამონ-რას ხმა: „ნუ გეშინია, გააგრძელე გზა, მიხვალ ქალაქში.“

დიდი ბიჭი დამშვიდდა. ფეხები გაითავისუფლა და გზა გააგრგძელა. „როგორ მომესმა მტრის ხმა?!" — ფიქრობდა გაოგნებული და იმის ნაცვლად, რომ მადლიერება დაუფლებოდა, მუქარა შეუთვალა ამონ-რას.

მიაბიჯებდა ნელა, ხელები წინ ჰქონდა გაშვერილი, რომ ხეს არ დაჯახებოდა. კიდევ იმის შიში ჰქონდა, გზას არ ასცდენოდა და კლდეში არ გადაჩეხილიყო.

გამოქვაბულის ბანჯგვლიანი ცხოველი გაახსენდა და ისევ შიშმა შეიპყრო. „ახლა რომ იმხელა დათვს გადავეყარო, რა მეშველება?!“ — გაიფიქრა და ლამის ჩაიკეცა, რადგან მის წინ მართლაც აღიმართა უზარმაზარი დათვი. თითქოს დაიღრიალა კიდეც, თათები მაღლა აღმართა და ის იყო, ზედ უნდა დამხობოდა დიდ ბიჭს. დიდმა ბიჭმა ისევ განწირულად შეჰყვირა: „მიშველეთ!“ — და გული წაუვიდა. როცა გონს მოვიდა, ვერაფერი დაინახა, ირგვლივ წყვდიადი იდგა. ყურში კი ამონ-რას ხმა ესმოდა: „აღექი და გააგრძელე გზა, ახლოს ხარ ქალაქთან.“

დიდი ბიჭი ფეხზე წამოდგა. „სით წავიდე?“ — გაიფიქრა და ხელები წინ გაიშვირა. „დაღმართს გაჰყევი. ახლოს ხარ ქალაქთან,“ — ისევ ჩაესმა ყურში. ფეხით დაღმართი მოსინჯა და ფრთხილად გადადგა ნაბიჯები. „საიდან მესმის მისი ხმა? ერთხელაც იქნება, ჩამივარდება ხელში...“ — გულში იმუქრებოდა დიდი ბიჭი.

გათენებისას მართლა გავიდა ქალაქისკენ მიმავალ დიდ გზაზე, თავი სამშვიდობოს დაიგულა და სიხარულმა შეიპყრო. ვიდრე ქალაქში შევიდოდა, გზის პირას ხის ქვეშ დაჯდა და ფიქრებს მიეცა. ფიქრები ბნელი და ჭვარტლიანი ჰქონდა: ისევ სიძულვილი, ისევ შური, მტრობა. ამასობაში ჩაეძინა კიდეც და ძალიან შეეშინდა, როცა ვიღაცის რიხიანმა და მუქარიანმა ხმამ ჩასძახა:

— შენ, ეი, რას გდიხარ აქ?

მზე უკვე ამოსულიყო.

დიდ ბიჭს თავზე ათიოდე რომაელი ლეგიონერი ედგა. ისინი შუბებითა და მახვილებით იყვნენ შეიარაღებულნი. ერთმა, რომელიც, ალბათ, უფროსი იყო, შუბის წვერი მკერდზე მიაბჯინა და ისევ მკაცრად დაჰყვირა:

— ვინ ხარ და რას გდიხარ აქ ამ დილაადრიანად?

დიდმა ბიჭმა ვერ გაიგო, რას ეკითხებოდა უფროსი, რადგან არ ესმოდა რომაელების ენა, მაგრამ მიხვდა, რომ ის ძალიან ბრაზობდა. შეჰყურებდა უფროსს დაფეთებული თვალებით და შუბის წვერის შიშით განძრევას ვერ ბედავდა.

ერთმა ლეგიონერმა უთარგმნა: გეკითხებიან, ვინ ხარ და აქ რას აკეთებო.

დაიბნა დიდი ბიჭი. რა უნდა ეთქვა? ხომ არ ეტყოდა, რომ ფილოსოფოსის გამოქვაბულებში უნდოდა შეპარვა და ყველაფრის განადგურება, რასაც იქ ნახავდა. ენა დაება, შუბის წვერი კი მკერდზე აწვებოდა.

— ამოიღე ხმა, რატომ ხარ აქ ამ დილაადრიანად, თორემ... — გააფრთხილა იმანვე, ვინც უთარგმნიდა.

დიდმა ბიჭმა დიდი ტყუილი დააბუთქა:

— აქ ვლოცულობ ხოლმე ყოველ დილით!

— შენ რა, ქრისტესი ხარ, მესიისა? — ჰკითხა ისევ უფროსმა, როცა დიდი ბიჭის ტყუილი უთარგმნეს.

— არა, არა! — ხელები გაასავსავა დიდმა ბიჭმა, — არ ვიცი, ვინ არის ქრისტე!

— ამ ქალაქში ბავშვებს იცნობ?

— ყველას ვიცნობ! — უპასუხა დიდმა ბიჭმა.

— აბა, უთხარი ამას იმ მაწანწალების სახელები! — უბრძანა უფროსმა ერთ თავის ლეგიონერს. ლეგიონერმა სწრაფად ჩამოთვალა გაზეპირებული სახელები:

— ამონ-რა, სალომე, ილია, იორამი...

— ვიცნობ, ვიცნობ! — გაუხარდა დიდ ბიჭს, რადგან გულმა უგრძნო, რომ ლეგიონერები მათ დაეძებნებენ.

— ადექი და გაგვიყვანე მათი სახლებისაკენ! — უბრძანა უფროსმა.

დიდმა ბიჭმა მთისკენ გაიშვირა ხელი.

— იქ, გამოქვაბულში?

ლეგიონერებმა ერთმანეთს გადახედეს. არავის უნდოდა მთებში წოწიალი იმ ლაწირაკების გამო.

— დაბლა არ ჩამოდიან? ქალაქში არ ცხოვრობენ?

— ქალაქში ახლა ერთია, სალომე. გაჩვენებთ მის სახლს!

არ იცოდა დიდმა ბიჭმა, რომ როცა ხის ქვეშ ჩაეძინა, სწორედ ამ დროს სალომე გამოქვაბულისკენ მიიჩქაროდა ამონ-რას სანახავად და ბუნგლოსთან სათამაშოდ. თან რძე და პური მიჰქონდა.

— გაგვიძეხი! — უბრძანა უფროსმა.

დიდი ბიჭი, რაკიღა შუბის წვერი მოაცილეს, თამამად წამოხტა და ლეგიონერებს წინ გაუძღვა.

როცა ქალაქის ქუჩებში მიდიოდნენ, ხალხი ეჭვით ეკითხებოდა ერთმანეთს: რას დადიან ქალაქში, ვის დაეძებენო. გამოცდილებით იცოდნენ, რომ ლეგიონერები ქალაქში ყოველთვის ვიღაცას დასდევდნენ დასაჭერად.

დიდი ბიჭი სალომეს სახლის წინ გაჩერდა.

— აქ! — და ხელი გაიშვირა.

— შედი და გამოიყვანე გარეთ, თუ არ დაგემორჩილოს, თმებით გამოათრიე! — გადასცა უფროსის ბრძანება მთარგმნელმა.

დიდი ბიჭი არც დაფიქრდა, რა ცუდი დავალება უნდა შეესრულებინა. სალომეს ციცქნა სახლში შევარდა და დაიყვირა:

— სალომე, გამოეთრიე გარეთ!

— რაშია საქმე? — ჰკითხა შეშინებულმა სალომეს დედამ, — რატომ ეძახი სალომეს ასე? სალომე არ არის შინ!

— როგორ თუ არ არის?! მაშ სად არის?

გააფთრებული დიდი ბიჭი ოთახის ყველა კუთხე-კუნჭულს ეძგერა. სალომე არსად იყო.

— გეუბნები, არ არის სალომე შინ, მთებში წავიდა ამ დილით! — გაუმეორა სალომეს დედამ.

მაშინ დიდმა ბიჭმა სალომეს დედას ჩაავლო ხელი და ძალით გამოიყვანა გარეთ.

ლეგიონერებმა გაიკვირვეს.

— შენ, ეი, ვერ გაიგე, რა გითხრეს? ჩვენ პატარა გოგო გვინდა, ეს კი ვინ არის?!

— ეს დედამისია! — აუხსნა დიდმა ბიჭმა.

— ჩვენ ქალიშვილი გვინდა, სულელო! — გაბრაზდა უფროსი და შუბი ყელში მიაბჯინა. დიდი ბიჭი შიშისაგან აცახცახდა და ძლივს გააგებინა, რომ სალომე მთებში წასულა, იქ არის, გამოქვაბულში.

— მერე აქ რატომ მოგვიყვანე? კვალს ფარავდი?

უფროსმა იფიქრა, ესეც იმათგანია და ისე მატყუებს, როგორც იმათ მომატყუესო, და შუბის წვერი კიდევ უფრო მიაჭირა ყელში. დიდი ბიჭი მიწაზე დაეცა და ატირდა.

— ადექი და გაგვიძეხი გამოქვაბულისაკენ! — დაუყვირა უფროსმა.

ლეგიონერები უკან გაბრუნდნენ. დიდი ბიჭი წინ მიდიოდა, ძლივს მიათრევდა ფეხებს. ლეგიონერები კი ზურგში შუბს აჭერდნენ და აჩქარებდნენ.

ქალაქის მოედანზე გავიდნენ და დაინახეს, რომ ხალხს მოეყარა თავი.

— რად შეკრებილა ხალხი, რა ამბავია? — იკითხა უფროსმა.

ვინ უთხრა — იესო ქრისტეს ელიანო, ვინ კი — მკურნალის მოსვლასო. ხალხი ემატებოდა და ემატებოდა. მაშინ უფროსმა იფიქრა, თუ მართლა მოვა ამათი მესია, იქნებ აქვე დავიჭიროო. მაგრამ სწრაფადვე გადაიფიქრა — ხალხის შეეშინდა. შემდეგ აზრად მოუვიდა, რომ იუდეველები შეიძლება რომაელების წინააღმდეგ ირაზმებიან, ამიტომ გადაწყვიტა შეჩერებულიყო და მოედანზე შეკრებილი ხალხისათვის თვალყური ედევნებინა. ლეგიონერებს უბრძანა შორიახლო განლა-

გებულიყვნენ, ერთი კი ასისთავთან გააგზავნა და შეატყობინა, რისთვის შეჩერდა მოედანზე.

შუადღემდე არც მესია გამოჩნდა და არც მკურნალი.

შუადღის მერე კი მოხდა ის, რამაც მთელი ქალაქი გაამხიარულა, ლეგიონერები კი ძალიან ცუდ გუნებაზე დააყენა.

ერთი ბიჭი მაღალ ხეზე იჯდა და იქიდან ახარებდა ხალხს — მოდიოდნენ თუ არა, ვისაც ელოდნენ.

— მოდიან! — დაიძახა ბიჭმა მაღლიდან და ხალხმა გაიხარა, — დიდ დათვზე სხედან და მოდიან!

ამ ბოლო ცნობამ ხალხი გააცინა: რა ხუმარა ბიჭი ზის ხეზეო, რას არ იტყვისო.

დიდმა ბიჭმა კი, დათვიო, რომ გაიგო, გაქცევა სცადა. რომაელმა ლეგიონერმა, რომელსაც ჩაბარებული ჰყავდა, კისერში სტაცა ხელი.

— სად გარბიხარ, გველის წიწილო? შენს ძმაკაცებს გინდა შეუერთდე?

— ხომ გაიგე, დათვზე სხედანო... ძალიან დიდი დათვია...

მაგრამ ლეგიონერმა მაგრად ჩასცხო თავში ფარი: ესეც შენი დიდი დათვიო.

ხეზე მჯდარი მახარობელი კი ისევ გაიძახოდა:

— მოდიან! დიდ დათვზე სხედან და ისე მოდიან!

და ვიდრე ხალხი მხიარულობდა და იცინოდა ხის კენწეროზე წამოსკუპებული მახარობლის ხუმრობაზე, ხოლო ლეგიონერები საბრძოლო განკარგულებას ელოდნენ, მთავარ ქუჩაზე მართლაც გამოჩნა დიდი დათვი. ასეთი დიდი დათვი ჯერ თვალით არავის ენახა. ხალხმა პირი დააღო, გაჰკვირდა. წესით, ყველა უნდა გაქცეულიყო და სადმე თავი შეეფარებინა; მაგრამ რატომღაც არავინ შეშინდა და არც მიიმალა. ლეგიონერები საგონებელში ჩაცვივდნენ და შუბები და მახვილები მოიმარჯვეს. ხალხის უმრავლესობა სიხარულითა და ნდობით შეჰყურებდა დიდ დათვს, დინჯად რომ მოაბიჯებდა მოედნისკენ და ზურგით მოჰყავდა სალომე, ამონ-რა და იორამი.

ხალხი გაიწ-გამოიწია და დათვი მოედნის ცენტრში აღმოჩნდა, დაბლა დაწვა და მგზავრები გადმოსხა.

— ვისაც მკურნალობა გინდათ, აქეთკენ დადექით რიგში! — გამოაცხადა იორამმა და ხელით უჩვენა, საით უნდა მოწყობილიყვნენ.

სალომე იორამს დაეხმარა და მალამოებითა და დასალევი წამლებით სავსე თიხის ქილები დიდ ქვაზე დააწყეს. ბუნგლო დიდ ქვასთან წამოწვა.

— დათვი არ დაგვგლეჯავს? — იკითხა ვიღაცამ.

— თუ თქვენ არაფერს დაუშავებთ, დათვი არ გერჩით! — უპასუხა იორამმა.

ლეგიონერების უფროსი შორიდან ადევნებდა თვალს მოვლენებს.

„მე ხომ მომატყუეს ამ ლაწირაკებმა, იესო ქრისტე არ მისულა ზეთისხილის მთასთანო, გამაბრიყვეს და მთელი რაზმით უკან გამაბრუნეს. ახლა ეს მაიმუნები ამდენ ხალხს ასულელებენ, ვითომ მოგარჩენთო. მაგათ ვაჩვენებ სეირს," — გაიფიქრა ათისთავმა.

იორამმა ავადმყოფების მკურნალობა დაიწყო. სალომე და ამონ-რა ეხმარებოდნენ მას.

ლეგიონერების უფროსმა ცოტახანს ითმინა, მერე ლეგიონერს დაუძახა, რომელსაც დიდი ბიჭი ჰყავდა ჩაბარებული, და უბრძანა:

— ეგეც იმათგანია, უთხარი, დათვი ცალკე გაიყოლოს, თორემ შუბზე წამოვაცვამთ!

როცა დიდმა ბიჭმა ეს ბრძანება მოისმინა, კინაღამ დამბლა დაეცა.

— შემჭამს, შემჭამს! — შეევედრა უფროსს.

— შეგჭამს და ღირსიც იქნები! შეასრულე, რაც გიბრძანე!

ლეგიონერმა დიდ ბიჭს პანჩური ამოჰკრა და წინ გაიგდო.

— აბა, ჰა, მიდი დათვთან! იცოდე, ეს შუბი შენზე მაქვს დამიზნებული!

სხვა ლეგიონერები ამ დროს ისე ეწყობოდნენ, რომ როგორც კი დიდი ბიჭი დათვს მოატყუებდა, მაშინვე სცემოდნენ მატყუარა მკურნალებს და დაეჭირათ. უფროსი კი ემზადებოდა, რომ ხალხისთვის გამოეცხადებინა — მაწანწალები და მატყუარები არიან ესენიო.

დიდი ბიჭი მიწაზე იწვა და ფორთხვით უახლოვდებოდა ბუნგლოს. „რა ვქნა, რა ვქნა, როგორ მოვიქცე?" — უდუღდა ტვინი დიდ ბიჭს. უკან ლეგიონერს შუბი ჰქონდა მისთვის გამზადებული, წინ — ბუნგლოს ხახა ელოდა.

ამონ-რამ შენიშნა, როგორ მიფორთხავდა დიდი ბიჭი ბუნგლოსკენ, ლეგიონერებიც დაინახა. მაგრამ ვიდრე რამეს მოიფიქრებდა, ბუნგლო წამოიმართა და ორ ფეხზე დადგა. ოჰ, რამსიმაღლე გახდა ბუნგლო! ლამის ხის კენწეროზე მჯდარ მახარობელს მისწვდებოდა.

— არ შეგეშინდეთ! — მიმართა ამონ-რამ ხალხს, — ბუნგლო თქვენ არაფერს გერჩით!

ამ დროს უფროსის ბრძანებით გაბრიყვებული ორი ლეგიონერი მოედნის ცენტრში გამოხტა და ამონ-რას შუბები მიუშვირა.

— დაჭერილი ხარ, გამოდი აქეთ! — შეუყვირა ერთმა.

ბუნგლომ საოცარი სისხარტე გამოიჩინა: ვერავინ დაინახა, როგორ მოხდა, რომ შუბები მიწაში ღრმად ჩარჭობილი აღმოჩნდა, ხოლო ლეგიონერები ისე მაღლა ისხდნენ ხეზე, რომ იქიდან მიწაზე დაბრუნება მათთვის ნეკნებისა და ფეხების მტვრევასთან იქნებოდა დაკავშირებული.

მაშინვე გამოხტა ცენტრში ოთხი ლეგიონერი და ოთხი შუბი მიუშვირა ბუნგლოს მუცელს.

ბუნგლომ თვალის დახამხამებაში ოთხივე შუბი იმ ორის გვერდით ჩაარჭო, ხოლო ლეგიონერებს ისე გაულაწუნა თათით ყბაში, რომ ისინი გულწასულნი დაეცნენ.

ამის მაყურებელი უფროსი გაცეცხლდა, მახვილი იშიშვლა და დარჩენილ ოთხ ლეგიონერს უბრძანა მიჰყოლოდნენ.

ხალხი გამხიარულდა. სანახაობა მეტად არაჩვეულებრივი იყო. ავადმყოფებსაც დაავიწყდათ თავიანთი უბედურება და სანახაობას თვალს არ აცილებდნენ.

— ყოჩაღ, ბუნგლო... მიდი, მიდი, ბუნგლო! — აქეზებდნენ ბუნგლოს, მაგრამ წაქეზება არ სჭირდებოდა. ბუნგლო თავის საქმეს აკეთებდა.

მახვილმომარჯვებული ლეგიონერები ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ და ბუნგლოს ალყაში იქცევდნენ. ბუნგლო ორფეხზე იდგა და წინა თათები მაღლა ჰქონდა აშვერილი. იდგა გაუნძრევლად და თვალებდახუჭული. უფროსმა თავისი ლეგიონერები ძალიან ახლოს მიიყვანა ბუნგლოსთან. სწრაფი ნახტომი და ხუთივე წვეტიან ორლესულ მახვილებს ბუნგლოს ხუთი მხრიდან გაუყრიდნენ მუცელში, ზურგში და გვერდებში. ხალხმა სული შეიგუბა — ბუნგლოს არაფერი ევნოსო.

— ჰოპ! — დაიძახა უეცრად უფროსმა და ლეგიონერები მგლებივით გადახტნენ წინ მახვილების ჩასაცემად. და კიდეც ეგონათ, საქმე გავაკეთეთო, რადგან ბუნგლო მაშინვე ზურგით მიწაზე დაეცა. მახვილები ჰაერში შეეჯახნენ ერთმანეთს. ვერც კი მოასწრეს ლეგიონერებმა გონს მოსულიყვნენ და გაეგოთ, რა ტყუილად ისკუპეს, რომ ბუნგლო მიწაზე ზურგით დატრიალდა, ხუთივეს ქვემოდან უკანა თათი ამოსცხო და ხუთი მახვილი ჰაერში აფრინდა. აბა, ვის შეეძლო ამოეხსნა ასეთი გამოცანა: როგორ მოხდა, რომ ჰაერში ავარდნილმა ხუთმა მახვილმა წვერი მიწისკენ იბრუნა, ბუნგალო კი დაბზრიალდა, ხუთივე ლეგიონერს უკანა თათი გამოჰკრა და მიწაზე გაშხლართა. მაშინვე წამოხტა, ორი ლეგიონერი ერთ იღლიაში ამოიჩარა, ორი მეორეში, მეხუთეს კი — უფროსს — მკერდზე თათი დაადგა და ამ მდგომარეობაში გახედა ხალხს.

ხალხი ხარხარებდა, ხარობდა, ტაშს უკრავდა.

— ბუნგლო, ბუნგლო, ბუნგლო! — გუგუნებდა ხალხი.

სალომე გარშემო ურბენდა ბუნგლოს და აღტაცებული კისკისებდა.

— ბუნგლო, მიყვარხარ, ბუნგლო! — გაიძახოდა სალომე.

ბუნგლომ ლეგიონერები მიწაზე დასხა.

წაქცეული ააყენა.

ხეზე შემსხდარნი დაბლა ჩამოსხა.

იორამმა გულწასულ ლეგიონერებს რაღაც მალამო მოსცხო ცხვირში და ოთხივემ თვალი გაახილა.

დაბნეული, დაბეჟილი, დაბეგვილი და განიარაღებული ლეგიონერები თავიანთ უფროსთან ერთად მოედნის ცენტრში იდგნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ.

ამონ-რა უფროსს მიუახლოვდა. „ოჰ, შენი თავი ჩამაგდებინა ხელში!“ — სიმწრით გაიფიქრა უფროსმა.

— წადი, წაიყვანე შენი ლეგიონერები! — უთხრა ამონ-რამ.

ლეგიონერებმა მიწაში ჩარჭობილ შუბებსა და მახვილებს მიმართეს. რამდენს არ ეწვალნენ, ვერცერთ მათგანს ძვრა ვერ უყვეს. ახლა ამ სანახაობამ აცინა და გაამხიარულა ხალხი.

— მაგ შუბებსა და მახვილებს მიწიდან ველარ ამოაძრობთ! — უთხრა ამონ-რამ უფროსს, რომელიც არა და არ ეშვებოდა ტარამდე ჩარჭობილ თავის მახვილს.

უფროსი წელში გაიმართა და ლეგიონერებს ანიშნა — გამომყევითო.

და ვიდრე ლეგიონერები მოედნიდან გავიდოდნენ, ბუნგლომ კიდევ ერთი რამ ჩაიდინა: მიწაზე გართხმული და ხის ძირში მიმალული დიდი ბიჭი მაღლა აიტაცა და ლეგიონერების უფროსს კისერზე დაასვა. უფროსმა კბილები გააკრაჭუნა, კისრიდან დიდი ბიჭის ჩამოგდება მოინდომა, მაგრამ ვერ მოახერხა: შიშისაგან გაფითრებულმა და მოულოდნელობით გაოგნებულმა დიდმა ბიჭმა ორივე ხელი მაგრად შემოაჭდო უფროსს ყბებთან, ხოლო ფეხები მის მკერდზე გადაგრიხა. ლეგიონერებმა სცადეს დახმარებოდნენ უფროსს, მაგრამ დიდ ბიჭს ფეხები ვერა და ვერ გაუხსნეს.

უფროსი გაუბრაზდა თავის ლეგიონერებს, გალანძღა კიდეც, რატომ ეს ნაბიჭვარი ვერ მომაცილეთო. მაგრამ მეტი გზა არ ჰქონდა, კისერზე შემჯდარი დიდი ბიჭით ძლივს გაარღვია ხალხის ღობე და თავისი მეომრებიც თან გაიყოლა.

— ვისაც მკურნალობა გინდათ, აქეთ დადექით! — ისევ გამოაცხადა იორამმა.

ხალხი დიდხანს ვერ დაწყნარდა. იორამი და მისი თანაშემწენი კი უკვე კურნავდნენ ავადმყოფებსა და დავრდომილებს.

მოსალამოვდა. ავადმყოფების რიგიც დაილია.

— დროა დავამთავროთ! — თქვა ამონ-რამ.

სალომემ კალათაში ჩააწყო წამლები.

— მე და იორამი ილიასთან და იაკობთან წავალთ, — უთხრა მას ამონ-რამ.

— მე მტოვებთ? — შეშფოთდა სალომე, — არ წამიყვანთ?

— შენ ხომ სკოლა გაქვს! მიატოვებ სკოლას? — უპასუხა ამონ-რამ.

— არა, სკოლას ვერ დავტოვებ... ბავშვებს ვერ ვუღალატებ...

— მაშინ შენ იცი, როგორ კარგად წაიყვან საქმეს ჩვენს მოსვლამდე.

— როდის დაბრუნდებით? — სალომემ მოიწყინა.

— არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ, რომ აუცილებელია იქ წავიდეთ.

შემდეგ ამონ-რა ბუნგლოს მიუბრუნდა. მის ირგვლივ ბავშვები ხარობდნენ. მათ შეიყვარეს ბუნგლო და არც ეშინოდათ მისი: ვინ მუცელზე უღიტინებდა, ვინ — კოცნიდა, ვინ — დინგზე ხელს უსვამდა.

— ბუნგლო, შენ სალომე შინ მიაცილე. შემდეგ კი გამოქვაბულში დაბრუნდი! — უთხრა ამონ-რამ თავის ბანჯგვლიან მეგობარს, რომელმაც დღეს მთელი ქალაქი გაახარა, ლეგიონერებს კი საშინელი მოგონებანი გაატანა.

ბუნგლო მიწაზე დაწვა, რომ სალომე ზურგზე შეეკდომოდა.

გოგონა ამონ-რას ჩაეხუტა და აცრემლდა.

— არ მინდა შენთან განშორება! ძალიან მიყვარხარ!

— მეც ძალიან მიყვარხარ! — უპასუხა ამონ-რამ და ლოყაზე აკოცა, — ახლა კი წადი სახლში, დედა გელოდება!

სალომე ბუნგლოსთან მივიდა და მოეფერა.

— მიდიან, ჩვენ კი ვრჩებით, არა?

ბუნგლომ თავი დაუქნია — ასეაო.

— ადექი და წავიდეთ. მე არ შეგაჯდები...

ბუნგლო წამოდგა. ჯერ ამონ-რასა და იორამს ლოყები აულოკა, შემდეგ გამოემშვიდობა და ისე შეჰღრიალა, რომ მთელი ქალაქი შეიძრა, ბოლოს სალომესთან ერთად მოედანი დატოვა. ბავშვები უკან აედევნენ.

ამონ-რამ და იორამმა თვალით გააცილეს სალომე, ბუნგლო და ბავშვები. მოედანი, რომელმაც სამუდამოდ შეინახა მეხსიერებაში ეს საკვირველი დღე, დაცარიელდა. ბიჭებმა ერთმანეთს შეხედეს და გაიღიმეს.

„მაშ, წავიდეთ?“ — ჰკითხა ამონ-რამ იორამს აზრით.

„წავიდეთ!“ — აზრითვე უპასუხა იორამმა.

ყველამ იმედისა და სიყვარულის თითო ნაპერწკალი ესროლეთ

უკვე სამი თვე გავიდა, რაც ილიამ და იაკობმა იუსტინეს სასახლის მშენებლობას მოჰკიდეს ხელი. საქმე ჩქარა წავიდა წინ. მშენებლობას იაკობი ხელმძღვანელობდა, როგორც უცნობი ხუროთმოძღვარის წარმომადგენელი. ილია კი იაკობმა იუსტინეს ისე გააცნო, ვითომ მისი მოსამსახურე იყო. აბა რას იფიქრებდა დიდებული, რომ სწორედ ეს პატარა ბიჭი იყო უცნობი ხუროთმოძღვარიც და მშენებლობის ნამდვილი ხელმძღვანელიც. ის ყოველთვის გვერდით ახლდა იაკობს და უკარნახებდა, რა დავალებები მიეცა მუშებისათვის, როგორი მასალა შეერჩია მშენებლობისათვის, სად რა ზომები დაეჭირა.

საძირკველი მუშებმა ახალი ტექნიკით გათხარეს. ეს იყო რაღაც უცნაური მანქანა, ბორბლებიანი; ხარები მანქანას ეწეოდნენ, მანქანის რკინის ძვლები ბრუნავდნენ და საძირკვლის ზომაზე მიწას ჭრიდნენ. უკან მეორე მანქანა მოჰყვებოდა, მასაც ხარები ეწეოდნენ. მანქანას სათხრელები ჰქონდა მიმაგრებული, ისინიც ბრუნავდნენ, მოჭრილი მიწა მაღლა ამოჰქონდათ და გვერდით ყრიდნენ. დანარჩენს მუშები ხელით ამთავრებდნენ: ამოღებული მიწა სწრაფად გაჰქონდათ ხელის ურმებით და ქვიან მინდორს ასწორებდნენ. რომაელი ხუროთმოძღვრები საძირკვლის გათხრას ერთ წელიწადს მაინც მოანდომებდნენ, იაკობმა და ილიამ კი ეს საქმე ორ თვეში დაასრულეს. ისეთივე მანქანით ამოთხარეს დიდი ტაფობი, რომელიც ტბად უნდა ქცეულიყო, გაიყვანეს არხი და მდინარე იორდანედან წყალი მიუშვეს. ტაფობი ორ თვეში გაივსო და მშვენიერი ტბა გაჩნდა; მასში გედებმა დაიწყეს სრიალი.

იუსტინე თავისი ამალით ხშირად აკითხავდა მშენებლობას და თვალებს არ უჯერებდა, როგორ სწრაფად კეთდებოდა ყველაფერი. იუსტინე გატაცებით აკვირდებოდა მშენებლებს, ოსტატებსა და ხელოსნებს და მათგან უცნობი ხუროთმოძღვრის გამოცნობას ცდილობდა. ხან ერთზე მიიტანდა ეჭვს,

ხან მეორეზე. ბოლოს თვალი იაკობს დაადგა: ნამდვილად თვითონვეა უცნობი და, თანაც, სახელთგანთქმული ხუროთ-მოძღვარი, მე კი მეუბნება — წარმომადგენელი ვარო.

შუადღე იქნებოდა გადასული, როცა ამონ-რამ და იორამმა, ორდღიანი სიარულის შემდეგ, როგორც იქნა, მიაღწიეს იორდანეს ნაპირს, სადაც გახურებული მუშაობა მიმდინარეობდა.

იაკობი ამ დროს იუსტინეს მშენებლობას ათვალიერებინებდა და უხსნიდა, სად რა და როგორ კეთდებოდა. ილიამ, რომელიც იაკობის გვერდით იდგა, შორიდანვე შენიშნა ამონ-რა და იორამი და ისე გაუხარდა, რომ მიატოვა იუსტინეც და იაკობიც და მათკენ გაიქცა. იუსტინეს გაუკვირდა, როგორ თვითნებურად მოიქცა უცნობი ხუროთმოძღვრის მოსამსახურე ბიჭი და იკითხა:

— იაკობ, რატომ გაიქცა შენი მონა ნებადაურთველად?

— ბატონო, — თავაზიანად მიუგო იაკობმა, რომელმაც თავადაც შენიშნა ამონ-რა და იორამი, თავადაც სიხარულით გაიქცეოდა მათკენ, რომაელი დიდებულის წინაშე რომ არ მდგარიყო, — დიდი ხნის უნახავი ორი მეგობარი მოვიდა მასთან, შორი გზიდან მოვიდნენ ისინი.

— რატომ მოვიდნენ, რა უნდა გააკეთონ მაგ ბავშვებმა აქ? — ისევ იკითხა იუსტინემ.

— ბატონო, თუ თქვენი ნება იქნება, შესაფერისი სამუშაოთი დავასაქმებ!

— რა უნდა იყოს მაგათი შესაფერისი საქმე? - დაეჭვდა იუსტინე, მაგრამ ჩათვალა, რომ ოსტატმა თავისი საქმე თვითონ იცისო, და დაუმატა, — კეთილი, ამუშავე!

იუსტინე იმ დღეს ადრე წავიდა მშენებლობიდან. იაკობს გაგებული ჰქონდა, რომ იუსტინეს ცოლი ჰყავდა ავად, მეტად მძიმე მდგომარეობაში, და ეჩქარებოდა მასთან დაბრუნება.

ილიამ და იაკობმა გაიხარეს ამონ-რასა და იორამის მოსვლით. მამამ შვილი გულში ჩაიკრა, ანას ამბავი გამოჰკითხა, სალომე როგორ არისო, ბუნგლო რას შვრებაო. ბევრი იცინეს ილიამ და იაკობმა, როცა მოისმინეს, რა დღე დააყარა ბუნგლომ დიდ ბიჭსა და გვარდიელებს. თავის მხრივ ილიამ და იაკობმა ბიჭებს მშენებლობა დაათვალიერებინეს, სათხრელი მანქანები უჩვენეს. უამბეს, როგორი კმაყოფილია იუსტინე.

როცა ტბას ათვალიერებდნენ და ქანდაკებებით შადრევნის შემკობაზე ლაპარაკობდნენ, იაკობთან შეშფოთებულმა მუშებმა მოირბინეს.

— ბატონო, — ქოშინით შესძახა ერთმა, — ცუდი ამბავი მოხდა... ქვის მტვრეველის შვილს ფეხზე ქვა დაეცა და კვდება... ბატონო, იქნებ უშველოთ...

სასახლის მშენებლობაზე ერთდროულად ხუთასზე მეტი კაცი მუშაობდა. ისინი საქმეების მიხედვით იყვნენ დაყოფილნი ჯგუფებად. იაკობი ყველას კეთილად ეპყრობოდა, ზრუნავდა მათზე, ამიტომ მუშებსაც შეუყვარდათ თავიანთი უფროსი და როცა რამე უჭირდათ, მასთან გარბოდნენ საშველად.

იაკობი იცნობდა ამ ბიჭს, ცხრა თუ ათი წლის ცელქ და მოუსვენარ ფილიპეს. მამა სადაც კი წავიდოდა სამუშაოდ, ბიჭიც თან დაჰყავდა. ან სად და ვისთან უნდა დაეტოვებინა, როცა არც სახლი ჰქონდა, არც ცოლი ჰყავდა და არც ახლობლობა. ფილიპე არ იყო მისი ნამდვილი შვილი. მოხეტიალე კაცმა ჩვილი ბავშვი გზაზე იპოვა, კატის კნუტივით გადაგდებული. დედაც გახდა მისთვის და მამაც. ფილიპე ცელქი კი იყო, მაგრამ შრომაც უყვარდა და მამას ყოველთვის გვერდში ედგა, ნიჭიც გამოიჩინა და რამდენიმე ხელობა ისწავლა. მუშებს შორის ფილიპე ყველაზე პატარა იყო, ამიტომ დიდები ანებივრებდნენ მას, ის კი ხალისით ასრულებდა მათ დავალებებს.

იაკობი შეწუხდა.

— რა შეიძლება ვუშველოთ პატარა ბიჭს? — ჰკითხა ამონ-რასა და იორამს.

— წავიდეთ, ვნახოთ! — თქვა ამონ-რამ და ყველანი სირბილით გაჰყვნენ მუშებს.

ამონ-რასა და მის მეგობრებს საცოდავი სანახაობა დახვდათ: ბიჭს ფეხი მოტეხილი კი არა, მთლიანად დამსხვრეული ჰქონდა. ან რა დაემართებოდა სხვა, როცა მამის გაუფრთხილებლობის გამო მაღლიდან ჩამოვარდნილი ლოდი ბიჭს ბარძაყზე დაეცა. ფეხი დანაყილს ჰგავდა, მამა კი ბღაოდა, ხალხი იჭერდა, თორემ თავი ქვისთვის უნდოდა დაეხეთქებინა.

— მეც თან გამოგყვები იმქვეყნად, შვილო, მარტოს არ გაგიშვებ, ფილიპე... — მოსქვამდა გაუბედურებული კაცი.

— ვცადოთ! — გადაულაპარაკა ამონ-რამ იორამს.

იორამმა სწრაფად ამოიღო ჩანთიდან საჭირო მალამო, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ბიჭს მხოლოდ ძლიერი გულის ცეცხლი თუ მოარჩენდა.

სამუშაო დღე უკვე დასრულდა, ამიტომ ბევრი მუშა შეიკრიბა უბუდურების ადგილას. ხალხს ძალიან იმედი ჰქონდა, რომ იაკობი სასწრაფოდ რაღაცას მოიმოქმედებდა. ამიტომ ვერავინ მიხვდა, რატომ იდგა იგი დაჩოქილი ფილიპეს წინ და შეწუხებული დასცქეროდა ბიჭს, არც ხმას იღებდა და არც რამე განკარგულებას იძლეოდა. პატარა ბიჭები კი, რომლებიც მას მოჰყვნენ, რაღაც უცნაურად იქცეოდნენ.

იორამმა მალამო ორივე ხელის გულზე სქლად გადაისვა და ამონ-რას ხელებთან ერთად თავისი ხელებიც დამსხვრეულ ფეხს დააფარა.

— იორამ, მოიმარჯვე მთელი სიყვარული და თანაგრძნობა! — ჩუმად გადაულაპარაკა ამონ-რამ და რამდენიმე წუთის შემდეგ ორივემ სხვა სამყაროში გადაინაცვლა, ორივე ცისფერი ცეცხლის უსაზღვრო სივრცეში ჩაიძირა. სხვა არაფერი იყო ირგვლივ, გარდა ცისფერი ცეცხლის ენებისა.

— იაკობ, რას გაშტერებულხარ, კაცო, შვილი მეღუპება, მიშველე რამე... — ღრიალებდა მამა.

მაგრამ იაკობს არ ესმოდა მამის მუდარა, ვერც ვერავის ხედავდა ირგვლივ. დაჩოქილი და თვალებდახუჭული იაკობი თავისი გულის ცეცხლს უგზავნიდა პატარა ფილიპეს, ამონ-რასა და იორამის გულის ცეცხლს აძლიერებდა. ვერავინ ვერც მიხვდებოდა, თუ რა სიკეთე ხდებოდა ამ დროს.

ბოლოს ხალხმა იფიქრა, ალბათ, იაკობმა იგრძნო, რომ ფილიპე უკვე ცოცხალი აღარ არის, ბავშვს აღარაფერი ეშველება და ამიტომ ვეღარც ვერაფერს ამბობს და აკეთებსო.

თითქოს უიმედობის და განწირულობის ღრუბელი ჩამოწვაო, თითქოს მისგან გლოვისა და მწუხარების თავსხმამ დაუშვაო, თითქოს მიუსაფრობის შიშმა დაჰქროლაო — იფრქვეოდა და იფრქვეოდა ადამიანთა გულებიდან დამფრთხალი ფიქრების ნაფლეთები პატარა ბიჭის თავზე და ძალად იკვრებოდა, ცოტაც და ეს შეკუმშული ენერგია უხმო მეხივით დაეცემოდა ბიჭს და გაიტაცებდა მის სულს. ამ დროს ილიამ, რომლის გულმა იგრძნო, რაც უნდა მომხდარიყო, და თვალებმა დაინახეს, როგორ ემზადებოდა საზეიმოდ ბნელი ძალა, სამარისებურ სიჩუმეში, როცა აღარც ბედს შეგუებული მამა

ბღაოდა — ყველას გასაგონად, მაგრამ ჩურჩულით, რომ ამონ-რასა და იორამისთვის ხელი არ შეეშალა, ბრძანება გასცა:

— ადამიანებო, რა გემართებათ... გადაარჩინეთ ფილიპე! ყველამ, ყველამ იმედისა და სიყვარულის თითო ნაპერწკალი ესროლეთ! აბა, ჰა, ერთად... იმედისა და სიყვარულის ნაპერწკალი... კიდევ... კიდევ... კიდევ...

და იმავე წამს ფილიპეს თავზე შეკრულ შავ ძალას პაწაწკინტელა ნათელი ცეცხლოვანი ისრები შეესია. შავმა ღრუბელმა გაიბრძოლა, ფილიპესკენ გაიწია, მაგრამ პაწაწ-კინტელა ნაპერწკლების გუნდმა არ დაანება, ცისფერ ალად იქცა, ბურთად შეიკუმშა, შავ ღრუბელში შეიჭრა და აფეთ-ქდა. შავი ძალა ნაფლეთებად იქცა და გაიფანტა. მის ადგი-ლას ისევ ცეცხლოვანი ბურთი გაჩნდა. იგი მიუახლოვდა ბიჭს, წამით მის თავზე შეითამაშა. შემდეგ მის სხეულში ჩა-იმალა. ამ ბრძოლის მოწმე მხოლოდ ილია იყო, მხოლოდ ის ხედავდა, რა ემართებოდა შავ ძალას, ხალხი კი ორიოდ წუ-თის შემდეგ საოცრების მოწმე გახდა: ფილიპემ თვალები გა-ახილა და ცელქი და მოუსვენარი ბიჭის ხმით იკითხა:

— მამა, რა მოხდა? გადავრჩი?

და თითქოს ელვამ გაჰკვესაო, ერთმა საერთო სიხა-რულმა გაანათა უეცრად იქაურობა; თითქოს საზეიმო ზარმა ჩამოჰკრაო, ისე აძგერდნენ ადამიანთა გულები.

მამამ უცბად ვერ გაიგო, რა მოხდა, ეგონა, შვილის ხმა მომეჩვენაო. მაგრამ როცა ფილიპე თვალებგახელილი და გა-ღიმებული დაინახა, თითქოს გული ამოუხტა მაღლა სიხარუ-ლისგანო, ისე შესძახა:

— შვილოო! შენ შემოგევლოს მამაშენი! გამოცოცხლდი, შვილო? — ფილიპესთან მიიჭრა, ამონ-რასა და იორამს ხელი ჰკრა — გაიწიეთო, და შვილს ჩაეკონა.

— გადარჩი, ფილიპე, გადარჩი, შვილო! რაკი ცოცხალი ხარ, ერთი ფეხი მაგის სანაცვლო იყოს!..

პირველი ამონ-რა გამოერკვა, შემდეგ იორამმა და იაკობმა გაახილეს თვალები. სამივეს მოწყვეტილი ჰქონდა წელი და ფეხებზე თითქოს დამბლა დაეცათო. საშინელ ტკი-ვილებს გრძნობდნენ. სცადეს წამოდგომა, მაგრამ ვერ შეძ-ლეს. არავის მოსვლია აზრად მიხმარებოდნენ, რადგან წარ-მოდგენაც არ ჰქონდათ, რა მოხდა ან რა დღეში იყვნენ იაკო-ბი და ორი ბიჭი, რომლებმაც, რატომღაც, ხელები დააფარეს

ფილიპეს ფეხზე. იორამს ხელისგულები მთლად გამომშრალი ჰქონდა, ზედ მალამოს ნასახიც არ იყო შერჩენილი.

— მამა, ქვა დამეცა ფეხზე, არა? — იკითხა ფილიპემ.

— ჰო, შვილო, ჩემი ბრალი იყო, მე გადმოვაგდე ქვა მაღლიდან... ღმერთმა გვიშველა, რომ თავზე არ დაგეცა... ფეხი... ერთი ფეხი... რას იზამ, შვილო...

— რას მეუბნები, მამა, ფეხი აღარა მაქვს? — ჰკითხა ფილიპემ გაოცებით. მის ხმაში სულაც არ იგრძნობოდა, რომ რამე ტკივილი აწუხებდა.

— ჰო, შვილო, აი, ერთი ფეხი... — შესტირა მამამ.

— არ უნდა მტკიოდეს, მამი? რატომ არ მტკივა ფეხი?

ზოგს გაუკვირდა: ეს ბიჭი რას ამბობს, როგორ თუ არ სტკივა ფეხიო, ზოგმა კი გაიფიქრა: საწყალი, ველარც ტკივილს გრძნობსო. ყველას ეცოდებოდა ცელქი და ხალისიანი ფილიპე, რომელსაც დღეის ამის იქით მხოლოდ ყავარჯნებით უნდა ევლო.

იაკობი და იორამი, როგორც იქნა, ერთმანეთის დახმარებით წამოდგნენ, ილია ამონ-რას დაეხმარა.

— იაკობ, — ჩუმად ჰკითხა ახლომდგომმა ოსტატმა, — მაგ ბალღს აღარაფერი ეშველება?

იაკობმა ამონ-რასა და იორამს შეხედა: რა ვუპასუხოო.

— წყალი მოიტანეთ და მობანეთ ფეხი! — უპასუხა ამონ-რამ იაკობის ნაცვლად.

ოსტატმა და სხვებმაც, ვინც ახლო იდგა, გაიკვირვა: ეს ბავშვი ვინ არის და რატომ გვარიგებს ჭკუასო, მაგრამ იაკობმაც გაიმეორა:

— სწორს გეუბნებიან, მოიტანეთ და მობანეთ ბიჭს ფეხი!

წყალი სწრაფად გააჩინეს და დიდი სიფრთხილით დაუწყეს ფილიპეს ფეხზე სისხლისა და ჭუჭყის ჩამობანა. თან განუწყვეტლივ ეკითხებოდნენ: ხომ არ გატკინეთო. ფილიპე არც კვნესოდა და არც ტიროდა, არაო, ამბობდა, მსიამოვნებს კიდეცო, და მოუთმენლად ელოდებოდა ენახა, რა დღეში ჰქონდა ფეხი.

ფეხი ნელ-ნელა გამოჩნდა.

არც დაჟეჟილობა, არც მოტეხილობა, არც ნაკაწრი.

მთელი და უვნებელი ფეხი!

ახლო მაყურებლებს, რომლებიც საშინელ სანახაობას ელოდნენ, თვალები გაუდიდდათ. მამამ კი გულუბრყვილოდ და სიხარულით წამოიძახა:

— შვილო, ლოდი არც დაგცემია ფეხზე... ალბათ, ხმამ შეგაშინა და იმიტომ წაგივიდა გული... ლოდი აგცდენია, შვილო...

ფილიპეც გაკვირვებული იყო. ბიჭს კარგად ახსოვდა, რაც მოხდა: თავისთვის გულაღმა წამოწოლილი იყო მიწაზე და მაღლა ხარაჩოებზე მამის საქმიანობას ადევნებდა თვალს. მამამ ხარაჩოებზე ლოდის გადაადგილება სცადა, მაგრამ უხერხულად გამოუვიდა და ლოდი შხუილით დაეშვა დაბლა. ფილიპემ ლოდს მაშინ მოჰკრა თვალი, როცა ის უკვე დაეცა ბარძაყში და გულიც წაუვიდა. აი, ლოდიც აქვე გდია. თუ ლოდი არ დაეცა, მაშ, რატომ ჰქონდა ფეხი სისხლითა და ჭუჭყით დაფარული? საიდან გამოუვიდა ამდენი სისხლი? რატომ არ ჩანს ჭრილობის ნაკვალევი?

ხალხმაც უთავბოლო ლაპარაკი დაიწყო. ყველაფერს ამბობდნენ. იმასაც, რომ ლოდი არც ჩამოვარდნილა ხარაჩოებიდან, ის დაბლა ეგდო და ბიჭმა, ალბათ, ფეხი წამოჰკრა და წაიქცაო; იმასაც, რომ ფილიპე ცელქი ბიჭია და გაგვათამაშაო; იმასაც, რომ ლოდი მართლაც დაეცა ბიჭს ფეხზე, მაგრადაც დაულეწა, — ჩვენი თვალით ვნახეთ, — მაგრამ სასწაული მოხდა და გაუმთელდაო.

ფილიპემ დაეჭვებით მოისინჯა ფეხი.

— მამა, მაშ შენ გგონია, რომ ფეხი აღარა მაქვს და ვეღარ გავივლი? აბა ეცადო!

ფილიპე ფეხზე წამოდგა, ჯერ გაირ-გამოიარა, შემდეგ შეხტა და გადახტა, რითაც ყველა გაახარა, და გულიანად გაიცინა.

ამონ-რამ, იორამმა და იაკობმა, მიუხედავად ძლიერი ტკივილებისა, — თითქოს ფეხებში ათასი ეკალი ერთბაშად შერჭობოდეს ან ათას კოლოს ერთბაშად დაეკბინოს, — იქაურობას ისე გააღწიეს თავი, რომ მათთვის არავის მიუქცევია ყურადღება და ვერც ვერავინ ხვდებოდა, რომ სწორედ მათ აღუდგინეს ფილიპეს ფეხი, სამაგიეროდ თან გაიყოლეს ყველა მისი ტკივილი. ილიამ იცოდა, რა დღეში იყვნენ ისინი, ამიტომ ხან ერთს ამოუდგებოდა მხარში და ხან მეორეს.

ყველას მოექეცი ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ

მშენებლობაზე ბევრი მუშა ცოლ-შვილით იყო მოსული. იაკობმა ქალებს მათთვის შესაფერისი სამუშაო მიუჩინა. ბავშვები კი მშობლებს ეხმარებოდნენ. მაგრამ იაკობმა ბავშვებისთვის ისეთი რამ მოიმოქმედა, რასაც არავინ არცერთ მშენებლობაზე არ მოსწრებია: ოცდაათამდე ბავშვს სკოლა გაუხსნა და სწავლა დააწყებინა. იაკობი ახერხებდა ყოველდღიურად, განსაკუთრებით საღამოობით, ერთი-ორი საათი ბავშვებთან ყოფილიყო. ასწავლიდა მათ კითხვას, ესაუბრებოდა სამყაროსა და ვარსკვლავებზე, სულის უკვდავებასა და ცათა სასუფეველზე, რაც ამონ-რასაგან ჰქონდა მოსმენილი, ესაუბრებოდა იესო ქრისტეზე — ღმერთზე, რომელიც ადამიანებთან მოვიდა. იაკობს ილიაც ეხმარებოდა, მან ბავშვებს მათემატიკა და გეომეტრია შეაყვარა.

ამ საქმეში ამონ-რა და იორამიც ჩაებნენ.

ამონ-რამ ბავშვებს გააგებინა, რომ სამყარო უსასრულოა, რომ ადამიანი სამყაროს შვილია, რომ აზრი სამყაროს ცეცხლია და რომ ადამიანი პასუხისმგებელია თავისი აზრების გამო. ამონ-რა ბავშვებს ასწავლიდა ლამაზად, სიყვარულით, ამაღლებულად, გმირულად აზროვნებას. განუმარტავდა იესოს მცნებებს და უყვებოდა იესოს იგავებს. ბავშვებს ძალიან მოეწონათ ამონ-რას საუბრები, შეუყვარდათ იგი და ყველას უნდოდა მასთან მეგობრობა.

იორამმაც ბავშვების დიდი სიყვარული დაიმსახურა. მან ბავშვებს შეასწავლა ავადმყოფის მოვლა, გაჭირვებაში ჩავარდნილის დახმარება. ასწავლა აგრეთვე ზოგიერთი ბალახის გამოყენება ამა თუ იმ ავადმყოფობის სამკურნალოდ.

იაკობის სკოლაში ფილიპეც დადიოდა.

როცა ამონ-რამ თავის საუბრებში ბავშვებთან იესო ქრისტე ახსენა, ფილიპემ ყურები ცქვიტა.

— მამაჩემისაგან მაქვს გაგებული, რომ იესო მესიაა, ღმერთის შვილია და დედამიწაზე მოვიდა, რომ ადამიანები დაღუპვისგან იხსნას! — უთხრა ამონ-რას.

ბავშვები რასაც სკოლაში ისმენდნენ და სწავლობდნენ, მშობლებსაც უამბობდნენ. ამიტომ ისე გამოდიოდა, რომ ბავშვებისთვის გახსნილ სკოლას დიდებშიც შეჰქონდა განათლება.

ფილიპემაც უამბო თავის მამას, რა თქვა ამონ-რამ იესო ქრისტეზე. მამამ კი მეორე დღეს თავის სამუშაო ჯგუფში გაერთიანებულ მუშებს უთხრა:

— ამ ბიჭს, რომელიც ჩვენს ბავშვებს ასწავლის, იესო ქრისტე უნახავს და მისი ქადაგებისთვის მოუსმენია. მოდით დავუძახოთ და ჩვენც მოგვიყვეს, ვინ არის იესო, მართლა მესიაა თუ ვინმე ცრუ!

მუშებმა ეს აზრი მოიწონეს. ბევრს ჰქონდა გაგებული იესო ქრისტეზე — ვინ რა იცოდა და ვინ რა. საერთო ჯამში კი გამოდიოდა, რომ იესო ქრისტე დედამიწაზე მოსული ღმერთია, ისრაელის მეფე დასაჭერად დასდევს, რადგან იესო ტახტის წართმევას უპირებს, ფარისეველები და მედავითნეები, მღვდელმთავრები და მათი მიმდევრები გაბრაზებულები არიან ქრისტეზე — როგორ ბედავს და თავს ღმერთის შვილად აცხადებსო, და ისინიც დასაჭერად დასდევენ. რიგიანად არავინ არაფერი იცოდა. გაუგზავნეს მუშებმა ამონ-რას კაცი და შეუთვალეს: მოდი და იესო ქრისტეზე გველაპარაკეო.

ამონ-რა მუშებს სამუშაო დღის ბოლოს ეწვია.

ნაჯაფარი ხალხი ერთი ქოხის წინ შეიკრიბა. აქ იყვნენ სხვადასხვა ქვეყნისა და რჯულის ადამიანები: იუდეველები და ბერძნები, რომაელები და პართველები, ეგვიპტელები და არამეები, იბერიელები და სომხები. ეს იყო ხალხი, რომელიც ან გაჭირვების გამო დადიოდა ქვეყნიდან ქვეყანაში და სამუშაოს დაეძებდა, ან მოგზაურობის ჟინმა გადაკარგა თავისი სამშობლოდან, ან ბედის უკულმართობამ აურია გზაკვალი. მათ შორის რამდენიმე საგანგებოდ იყო მოწვეული, როგორც ამა თუ იმ საქმის საუკეთესო ოსტატი.

შეკრებილნი მიწაზე ნახევარწრიულად დასხდნენ და წინ ამონ-რა დასვეს. უცხოელები, რომლებმაც ენა არ იცოდნენ, იუდეელების გვერდით მოთავსდნენ, რომ მათ, რამდენადაც შეეძლოთ, ეთარგმნათ და გაეგებინებინათ, რასაც ამონ-რა იტყოდა.

ამონ-რამ მშვიდად და რწმენით დაიწყო იესო ქრისტეზე საუბარი.

მსმენელები თანდათან იხიბლებოდნენ. ამონ-რამ მათ წინაშე იესო ქრისტეს ცოცხალი სახე წარმოადგინა. ახალი მთვარის შუქით მკრთალად განათებული ქოხის წინ შეკრებილი ადამიანები თითქოსდა თავად იესოს შესცქეროდნენ და უსმენდნენ, და არა ცხრა წლის ბიჭს.

ადამიანები ისმენდნენ მამა ღმერთზე, სულიწმიდაზე და კაცის ძეზე, უფლის სასუფეველზე, უფლის სასუფევლისკენ მიმავალ ვიწრო გზასა და ვიწრო კარიბჭეზე, დაღუპვისაკენ მიმავალ ფართო გზასა და ფართო კარიბჭეზე, იესო ქრისტეს მცნებებზე, სასწაულებზე, ავადმყოფთა განკურნებაზეც.

ვერც შენიშნეს, რომ შუაღამე ახლოვდებოდა და ხვალ მთელი დღის სამუშაო ელოდათ.

როცა ამონ-რამ დაასრულა საუბარი, სთხოვეს კვლავაც გაეგრძელებინა და სხვა რამეებიც ეთქვა.

მუშები ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს. აღმოჩნდა, რომ ყველამ ყველაფერი თარგმნის გარეშეც კარგად გაიგო.

— ეს ბიჭი მშვენივრად ლაპარაკობდა ბერძნულად! — თქვა ბერძენმა ოსტატმა, მაგრამ მას მაშინვე მეორე, შემდეგ მესამე და მეოთხეც გამოეპასუხა:

— როგორ თუ ბერძნულად? ის მხოლოდ არაბულად ლაპარაკობდა!

— რას ამბობთ, მე ყველაფერი რომაულად მესმოდა!

— სომხურად კი ნამდვილად ლაპარაკობდა!

— და კოლხურად არა?

და ადამიანებმა პირი დააღეს: გამოირკვა, რომ ყველას თავის ენაზე ესმოდა ამონ-რას ხმა და ვეღარ მიხვდნენ — ბოლოს და ბოლოს, რა ენაზე ლაპარაკობდა იგი. რადგან ამონ-რა იქვე იყო, მას მიადგნენ და ჰკითხეს:

— ბიჭო, განა შენ ბერძნულად არ ლაპარაკობდი?

— განა არაბულად არ ლაპარაკობდი?

— მე არამეულად მესმოდა ყველაფერი. ასე არ იყო?

ამონ-რა გაოცდა: ეს რას მეკითხებიანო. მას ვერც წარმოედგინა, რომ ყველა თავის ენაზე მოისმენდა მის ხმას და მთელი საუბრის შინაარსს. ის თავის არამეულ ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ როგორ მოხდა, რომ ბერძენს მისი საუბარი ბერძნულად ჩაესმა, იბერიელს — იბერიულად, სომეხს — სომხურად, ეგვიპტელს — ეგვიპტურად, რომაელს —

რომაულად? ან ის როგორღა ხდება, რომ თვითონაც ყველასგან ყველაფერი ესმის, თუმცა ადამიანები, როგორც ჩანს, თავ-თავის ენაზე ელაპარაკებიან? რა ენაზე დაპარაკობს ამონ-რა, რომ ყველას გაეგება მისი?

— მე ჩემს ენაზე ვლაპარაკობდი, — უპასუხა ამონ-რამ, — ახლაც ჩემს ენაზე ვლაპარაკობ. თქვენ რაღა ენაზე მელაპარაკებით?

— როგორ თუ რა ენაზე?! — გაიკვირვა არაბმა მუშამ, — არაბულ ენაზე! განა არ იცი, რომ შენც არაბულ ენაზე მპასუხობ, ჩემს ენაზე?

ამას დიდხანს იკვლევდნენ და შედეგით გაოგნებულები დარჩნენ. გამოირკვა, რომ თუმცა ამონ-რა თავის არამეულ ენაზე ლაპარაკობს, მისი ხმა ყურში ყველას თავ-თავის ენაზე ჩაესმის, ხოლო რა ენაზეც არ უნდა მიმართონ ამონ-რას, ის ყველაფერს მაშინვე იგებს.

— როგორ ხდება, კაცო, ეს?! — გაიძახოდა ერთი ეგვიპტელი ოსტატი, გაკვირვებულ-გაოგნებული, — რატომ ჩვენ ვერ ვიგებთ ერთმანეთის ენას? ეს ბიჭი კი ყველას ენას იგებს და ჩვენც ყველას მაგისი გვესმის?

— ამას ღმერთი აკეთებს, ღმერთი! ეგ ბიჭი კი ღვთის შვილია! ამიტომ ხდება ასე! — თქვა ბერძენმა ხელოსანმა და ბევრი დაეთანხმა მას.

მეორე დღეს მშენებლობაზე ყველამ გაიგო, რომ აქ ერთი პატარა ბიჭია, რომელმაც იესო ქრისტეზე ყველაფერი იცის და ყველა ენაზე ლაპარაკობსო. სხვებმაც მოისურვეს ამონ-რასთვის მოესმინათ. მაშინ იაკობმა უკეთესი ადგილი გამონახა საუბრებისთვის — ტბის პირას, შემაღლებულ ბორცვზე, და ერთი კვირის განმავლობაში მუშებსაც ორი საათით ადრე ამთავრებინებდა საქმეს. მსურველი სამასამდე კაცი აღმოჩნდა. ამონ-რა მონდომებით, ხალისით, გატაცებით უამბობდა მათ იესო ქრისტესა და მის მცნებებზე, უყვებოდა და განუმარტავდა იესო ქრისტეს იგავებს. გარდა ამისა, იორამთან ერთად კიდეც კურნავდა იმათ, ვისაც რამე სტკიოდა და აწუხებდა.

მუშები მეტად წაახალისა იესო ქრისტეს აზრებმა. ამონ-რასა და იორამის სამკურნალო მოღვაწეობამაც კეთილად იმოქმედა მათ შრომაზე და სასახლის მშენებლობის საქმე კიდევ უფრო სწრაფად წავიდა წინ.

ამონ-რას განუწყვეტლივ ეხვეოდნენ ირგვლივ დიდებიც და პატარებიც, ქალებიც და კაცებიც. ყველას უნდოდა მასთან საუბარი, თავისთვის რაღაცის გარკვევა.

ბავშვებისთვის კი ზეიმი იყო ამონ-რასთან ყოფნა და თამაში. ამონ-რა ესაუბრებოდა მათ ვარსკვლავებსა და შორეულ სამყაროებზე, ადამიანთა დიდ მასწავლებლებზე, ასწავლიდა მათ ლამაზად და კეთილად ფიქრს, აფრთხილებდა, რომ ცუდი აზრები, აუგი განზრახვები თქვენვე დაგიბრუნდებათ უკან და დაისჯებითო. „ყველას მოექეცი ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ,“ — ჩააგონებდა. თამაშობანი კი ისეთი იყო, რომ ბავშვებს უნდა გამოეჩინათ სიმამაცე და გამძლეობა, ყურადღება და ერთგულება. მუშები იღლებოდნენ, მაგრამ ამონ-რასთან განშორება არ უნდოდათ.

ერთ დღეს ამონ-რასა და იორამთან ფილიპე მივიდა.

— მე ვიცი, ვინც მომირჩინა ფეხი! — უთხრა ბიჭებს, — ეს თქვენ იყავით, ორნი, ხომ ასეა?

ამონ-რამ და იორამმა გაიღიმეს და არაფერი უპასუხეს.

— მე ვიცი, ჩემი ფეხის მორჩენა შეუძლებელი იყო, ტკივილებისაგან ვკვდებოდი. ამ დროს გონდაკარგულმა ორი ანგელოზი დავინახე, მეფერებოდნენ და მეალერსებოდნენ, ადრეა შენი სიკვდილიო, ერთმა ასე მითხრა. ტკივილები გამიქრა, და როცა თვალი გავახილე, თქვენ დაგინახეთ, თავს მედექით და რაღაცას აკეთებდით. მაშინ ვერ მივხვდი, ახლა კი, როცა ვნახე, როგორ კურნავთ ადამიანებს, ნამდვილად ვიცი, ის ანგელოზებიც თქვენ იყავით და თქვენ გადამარჩინეთ. ხომ ასეა? რატომ არ მიპასუხებთ? — აშკარა იყო, რომ ფილიპე არ მოეშვებოდა მათ, ვიდრე პასუხს არ გაიგებდა.

— მთავარია, რომ შენ კარგად ხარ და დარბიხარ, თამაშობ და ცელქობ, მუშაობ და კიდეც სწავლობ! — უპასუხა იორამმა.

მაგრამ ფილიპე ამით არ დაკმაყოფილდა.

— მე ვიცი, რა იქნება მთავარი, — თქვა მან და ამონ-რას მიუბრუნდა, — მთავარი ის იქნება, თუ მეც თქვენი გავხდები. თქვენ ერთნი ხართ — იაკობი, ილია, იორამი, ამონ-რა. მეც თქვენთან მინდა ვიყო. ყველაფერში დაგიჯეროთ, ოღონდ ბევრი მასწავლეთ, ათასჯერ უფრო მეტი, რასაც იაკობის სკოლაში ასწავლით!

ფილიპე ალალად, გულწრფელად ეხვეწებოდა ამონ-რას — მოწაფედ ამიყვანეო. და როცა ამონ-რამ უთხრა — კარგი, მიგიღებთო, — გაიხარა და რა გაიხარა: შეხტა, შეკუნტრუშდა, ამონ-რას მუხლებზე მოეხვია, იორამს ხელზე აკოცა.

— თქვენი ვარ... თქვენი ვარ... მეც ვნახავ იესო ქრისტეს, იქნებ მეც მაკურთხოს... აი, ნახავთ, როგორი ერთგული ვიქნები... — გაიძახოდა ფილიპე.

თქვენი მეულლე მორჩება, მე კი ოქრო არ მჭირდება

ერთი თვის შემდეგ ისევ გამოჩნდა იუსტინე თავისი ამალით.

— აბა, როგორ არის საქმე? — ჰკითხა იაკობს.

— ბატონო, — მიუგო იაკობმა, — თქვენ ხელთ გაქვთ მშენებლობის გეგმა. ყველაფერი გეგმის მიხედვით სრულდება!

იაკობმა, ილიასთან ერთად, იუსტინეს უჩვენა, სად რა და როგორ გაკეთდა. იუსტინემ კმაყოფილება გამოთქვა საქმის მსვლელობის გამო. მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ იგი სხვა რამესაც ეძებდა. მუშებს შორის მას თავისი მსტოვრებიც ჰყავდა, ისინი ყველაფერს ფარულად ადევნებდნენ თვალყურს და თუ რამ საეჭვოს შენიშნავდნენ, დაუყოვნებლივ აცნობებდნენ ხოლმე. იუსტინემ უკვე იცოდა, რომ ახლადმოსულმა ორმა ბიჭმა მუშებს შორის რაღაც რელიგია შემოიტანეს. მას იესო ქრისტეს სახელი გაგებული ჰქონდა, თუმცა არაფერი იცოდა იმაზე, თუ რას ქადაგებდა ახალი მესია. მსტოვრებმა მის ყურამდე მიიტანეს იუდეველი ფარისეველებისა და მედავითნეების აზრი, რომ იესო ქრისტე ცრუ მესიაა, ეს უმწიფარი ბიჭები კი ხალხს აბრიყვებენ და სისულელეებს უყვებიან. ამიტომ ურჩევდნენ მას გაეძევებინა ეს ბიჭები მშენებლობიდან და ისინიც მიეყოლებინა, ვინც მათ თანაუგრძნობდა. იუსტინეს ისიც შეატყობინეს, რომ უცნობი არქიტექტორის წარმომადგენელი, რომელიც მშენებლობას ხელმძღვანელობს, ამ გზააბნეული ბიჭების დიდი მფარველია და ეხმარება მათ იესოს სახარების ქადაგებაში.

ყველაფერმა ამან იუსტინე მეტად ჩააფიქრა. იცოდა, რომ იაკობის შემცვლელს ვერ მონახავდა. იუსტინეს მხოლოდ სასახლის გეგმა ჰქონდა, მშენებლობის საიდუმლო კი იაკობის ხელთ იყო: როგორ, რა საშუალებითა და ტექნიკით დააჩქარებდა სასახლის მშენებლობას, როგორ მოაწყობდა შადრევნებს, რა გზებით მოაჩუქურთმებდა სასახლის კედლებს. იუსტინე იმითაც იყო გაკვირვებული, რომ ხუთასზე მეტი მუშა იაკობის ხელმძღვანელობით ასე შეწყობილად

შრომობდა. კაცმა რომ თქვას, იუსტინეს ძალიან სჯეროდა იაკობის და დიდი ნდობით ეპყრობოდა მას. არც ახალი მესიის შესახებ მითქმა-მოთქმა აწუხებდა იუსტინეს. რა ესაქმებოდა მას, რომაელ დიდებულს, რომელიც იუდეის ერთ-ერთი პროვინციის მმართველად იყო დანიშნული, ვიღაც მესიასთან. მას მხოლოდ ის უნდოდა, რომ იუდეველ ფარისეველებთან და მღვდელმთავრებთან ურთიერთობა არ დარღვეოდა, ისინი თავის საწინააღმდეგოდ არ განეწყო.

გარდა ამისა, იუსტინეს კიდევ ერთი რამის გარკვევა სურდა.

— მართალია, რომ ვინმე ამონ-რა, პატარა ბიჭი, აქ ვიღაც მესიის სახარებას ქადაგებს? — ჰკითხა იაკობს.

— მართალია, ბატონო! — გულწრფელად უპასუხა იაკობმა.

— მერე, რატომ მიეცი ამის ნება? — მწყრალად და გაკვირვებით ჰკითხა იუსტინემ.

— იმიტომ, ბატონო, რომ ქრისტეს სახარებამ ეს ხალხი უფრო პატიოსანი, საქმის ერთგული და შრომისმოყვარე გახადა. განა არ შენიშნეთ, რომ დაჩქარდა მშენებლობა? — მშვიდად უპასუხა იაკობმა.

„ეს კი მართალია," — გაიფიქრა იუსტინემ.

— მერე, რას უქადაგებს ეგ ბიჭი ხალხს, რას ამბობს ქრისტეო?

— ბატონო, მაგას ამონ-რაზე უკეთესად მე ვერ მოგახსენებთ! — უპასუხა იაკობმა.

— ეს მითხარი, მაგ ბიჭს მართლა შეუძლია მკურნალობა? — ეს იყო, რაც იუსტინეს განსაკუთრებით აინტერესებდა.

იუსტინეს უმშვენიერესი და სათნო მეუღლე — ავგუსტა უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. მკურნალებმა ვერაფერი უშველეს. სისხლიც გამოუღეს, ნაირ-ნაირი ბალახების ნახარშებიც დაალევინეს, ტანიც დაუზილეს, მოკლედ, გააკეთეს ყველაფერი, რაც შეეძლოთ, მაგრამ უშედეგოდ. მკურნალები კი სახელგანთქმულნი იყვნენ. სამი დღის წინ მათ იუსტინეს გამოუცხადეს: ჩვენთვის ეს ავადმყოფობა უცნობია, ამიტომ ვერ ვუშველით თქვენს მეუღლესო. და როცა იუსტინემ ჰკითხა, რას მირჩევთო, მათ უპასუხეს: ღმერთს შეევედრეთ, იქნებ სასწაული მოხდესო.

და აი ამ დროს მსტოვრებმა იუსტინეს აცნობეს, რომ ეს ბიჭი ავადმყოფებს კურნავსო და რამდენიმე მაგალითიც დაუსახელეს.

იუსტინეს სასწაულებისა არ სჯეროდა. „ჩემს უსაყვარლეს ავგუტას ვერავინ მომირჩენსო," — ფიქრობდა გულში. მიუხედავად ამისა მაინც გადაწყვიტა ეს ბიჭი, ანუ ამონ-რა, როგორც მას ეძახოდნენ, თან წაეყვანა და ავგუსტას გართობა და ვითომ მკურნალობაც დაევალებინა. „დაე უამბოს ავგუსტას იესო ქრისტეზე, გულს გადააყოლებსო," — ფიქრობდა იუსტინე.

— ეგ ბიჭი თუ მართლა მკურნალია, თან გავიყოლებ! — ბრძანა იუსტინემ.

— ბატონო, — მოახსენა იაკობმა, — ამ რამდენიმე დღის წინ ამონ-რამ სასწაული მოახდინა — დამბლადაცემულ ოსტატს ძალა დაუბრუნა... — იაკობი კიდევ აპირებდა სხვებზეც ეთქვა, მაგრამ იუსტინემ გააწყვეტინა.

— მომგვარე ეგ ამონ-რა!

ცოტა ხანში ამონ-რა მის წინაშე იდგა.

იუსტინეს მოეწონა ბიჭი, ლამაზი და კეთილი სახის, ნათელი და ჭკვიანი გამომეტყველებით.

— ბიჭო, შენ არჩენ დამბლადაცემულებს? — ჰკითხა იუსტინემ.

ამონ-რამ არაფერი უპასუხა.

— მითხარი, როგორ განკურნე დამბლადაცემული? — ისევ ჰკითხა იუსტინემ.

— დამბლადაცემული ღმერთმა განკურნა! — მიუგო ამონ–რამ.

— კარგი, ასე იყოს. მაგრამ თუ შენ მეუღლეს მომირჩენ, შენს წონა ოქროს მოგცემ!

— თქვენი მეუღლე მორჩება, — მიუგო ამონ-რამ მშვიდად, — მე კი ოქრო არ მჭირდება.

— რა იცი, რომ მორჩება? — გაიკვირვა იუსტინემ.

— ვიცი. ღმერთის ნებაა ეს! — უპასუხა ამონ-რამ.

„ალბათ, ბავშვური მიამიტობით ლაპარაკობს ასე, არ იცის, რას ამბობს," — გაიფიქრა იუსტინემ.

— ოქრო რატომ არ გინდა? — ჰკითხა იუსტინემ, — იქნებ სხვა რამე მოგცე?

— მე არაფერი მინდა თქვენგან, — უპასუხა ამონ-რამ, — მაგრამ თუ ინებებთ და ერთ კეთილ საქმეს შეასრულებთ, თქვენსავე ღირსებას დაამშვენებთ.

— კარგი, ყველაფერს შევასრულებ. გამომყევი! — უბრძანა იუსტინემ.

და ვიდრე გაჰყვებოდა, ამონ-რამ მოასწრო იორამისთვის ეთქვა, ფილიპეს მიხედეო.

ამას ჯერ ის ყურები არა აქვს, რომ ისმინოს

ავგუსტა ბერძენი დიდებულის ქალიშვილი იყო.

ხუთი წლის წინ ბერძენმა დიდებულმა სტუმრად და სამეგობროდ მიიწვია რომაელი დიდებული იუსტინე და მის საპატივცემულოდ სასახლეში დიდი წვეულება გამართა. თავი მოიყარეს ათენის დიდებულებმა, მმართველებმა, განათლებულმა ადამიანებმა, უმშვენიერესმა ქალიშვილებმა და ქალბატონებმა. ერთმანეთს ცვლიდა ცეკვა, სიმღერა, ლექსაობა და მახვილსიტყვაობა.

და აი დიდ დარბაზში მოულოდნელად არფის სიმები აჟღერდა. ყველამ იქითკენ მიაპყრო მზერა. თეთრ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილ ქალიშვილს ხელში ოქროს არფა ეჭირა. აჟღერდნენ არფის სიმები, და დარბაზი ამაღლებული სულის მელოდიამ გაავსო, მელოდიას ქალიშვილის ხმაც შეუერთდა და თითქოს ანგელოზის ფრთები აშრიალდაო, ისე ჩაიქროლა ჩურჩულმა: „ავგუსტა, ავგუსტა!“! ულამაზესი ქალიშვილი უკრავდა და მღეროდა სიყვარულისა და უკვდავების ღვთაებრივ სიმღერას. შეკრებილნი სულგანაბულნი უსმენდნენ. ბევრი ცრემლს იწმენდდა.

ქალიშვილმა სიმღერა დაასრულა. სტუმრები კარგახანს გაოგნებულნი იყვნენ. შემდეგ კი დარბაზში ოვაციამ იქუხა.

— ავგუსტა... ავგუსტა... ავგუსტა... — ერთხმად იძახდა ყველა.

იუსტინემ მოსვენება დაკარგა. ქალიშვილი ნამდვილად ის იყო, ვინც მას ოცნებებში ეხატებოდა და ვისაც მისი გული დაეძებდა. ახალგაზრდა რომაელმა დიდებულმა იგრძნო, რომ ათენში სწორედ სიყვარულის საძებნელად ჩამოვიდა და იპოვა ის, თავისი ერთადერთი, რომელიც აქამდე თვალითაც არ ენახა, ახლა იხილა და იცნო. იგრძნო, რომ მის გარეშე რომში ვერ დაბრუნდებოდა.

წამიც არ დაუყოვნებია იუსტინეს, თავის ბერძენ მასპინძელს მიუბრუნდა და მოუთმენლობით ჰკითხა:

— მეგობარო, ვინ არის ეს ქალიშვილი?

— ავგუსტაა! — ღიმილით მიუგო დიდებულმა.
— აქ რატომ არის?
— ჩემი ქალიშვილია ავგუსტა!
იუსტინემ უცბად ვერ მონახა სათქმელი. რა თქმა უნდა, მისი მეგობარი მიხვდა, რომ მას მოეწონა ავგუსტა, მაგრამ იქნებ ავგუსტას უკვე ჰყავს საქმრო, ან იქნებ გათხოვილიც არის. როგორ უთხრას მეგობარს, რომ ავგუსტას გარეშე არ დაბრუნდება რომში? იუსტინემ თავისი ახალგაზრდული გულწრფელობით იმარჯვა, მასპინძელს თვალებში შეხედა და წარმოთქვა:
— ჩემო კეთილო მეგობარო, თუ ისეთ რამეს მოგახსენებ, რაც შენთვის მიუღებელია, მაშინ თვალები ამარიდე და მე ყველაფერს მივხვდები! მომეცი შენი ასული ცოლად და მე ის სიკვდილამდე მეყვარება!
ბერძენმა მეგობარმა ასევე თვალებში ჩახედა იუსტინეს, თითქოს იქ, თვალების სიღრმეში, ეძებდა გრძნობით ნათქვამი სიტყვების დასტურს. შემდეგ გულღიად და კეთილად უთხრა:
— ო, დიდებულო იუსტინე! ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი სიძე გახდები, მაგრამ ავგუსტას თანხმობაა საჭირო. შენვე გამოუცხადე მას ამის შესახებ და პასუხსაც ის გეტყვის!
— მაშ ახლავე ვეახლები მას! — თქვა იუსტინემ და ავგუსტასკენ გაემართა.
შეკრებილთა აღტაცება ჯერ ჩამცხრალი არ იყო, როცა ავგუსტას წინაშე იუსტინე წარსდგა.
ხალხმა იფიქრა, ალბათ უცხოელმა დიდებულმა მადლობა უნდა მოახსენოს ავგუსტას მშვენიერი სიმღერის გამოო და გაჩუმდა.
იუსტინემ ქალიშვილის წინაშე ცალ მუხლზე დაიჩოქა, ხელები მისკენ გაიწვდინა და სრულ სიჩუმეში ხმამაღლა და მთელი განცდით წარმოთქვა:
— ჩემი მეგობრის უმშვენიერესო ასულო! ბედმა მომიყვანა შენს წინაშე, რომ ჩემი სიყვარული გიძღვნა და შეგევედრო გაიზიარო იგი!
იუსტინემ ქალიშვილის კაბის კალთა აზიდა და ეამბორა.
ქალიშვილი არ მოელოდა ასეთ წინადადებას. შერცხვა, გაწითლდა, თუმცა გულმა მაშინვე უთხრა, რომ მასაც ეახლა ბედი.

მამა გვერდით ამოუდგა ქალიშვილს და უჩურჩულა:

— შვილო, ნუ დაიმორცხვებ, გულის კარნახით იმოქმედე და მოახსენე რომაელ დიდებულს შენი გადაწყვეტილება!

ავგუსტა თავდახრით იდგა და უფრო და უფრო წითლდებოდა.

— უპასუხე, ჩემო ასულო... მაგრამ იცოდე, რომ შენ თავისუფალი ხარ! — გაუმეორა მამამ.

ავგუსტამ თავი დააქნია.

— მაშ თანახმა ხარ? — ჰკითხა მამამ.

— თანახმა ვარ! — თქვა ჩუმად, მაგრამ იუსტინემ გაიგო მისი ნათქვამი, სწრაფად წამოდგა ფეხზე და ბედნიერმა, უსაზღვრო სიყვარულით შეპყრობილმა დარბაზობაზე მოწვეულ სტუმრებს მიმართა:

— ისმინეთ! ავგუსტა ჩემი ცოლი ხდება! ვფიცავ ჩემს ღმერთებს, მე ის სიკვდილამდე მეყვარება!

იუსტინე შეტრიალდა, მძლავრი მკლავებით ავგუსტა მაღლა აიტაცა და წამოიძახა:

— ამ წუთიდან ავგუსტა ჩემი ქალღმერთია!

შემდეგ ქალიშვილი გვერდით დაიყენა და მამამისს მიმართა:

— დიდებულო მეგობარო, ხომ არ ვაქციოთ დღევანდელი წვეულება ქორწილად?

ასე ეწია ბედს ათენში ერთი რომაელი დიდებული, ხოლო ბევრ ბერძენ დიდებულს ბედი ხელიდან გაუსხლტა.

იუსტინე რომში ავგუსტასთან ერთად დაბრუნდა. მალე იგი კეისარმა იუდეის პროვინციის მმართველად დანიშნა და ისინი იუდეაში ჩამოვიდნენ.

ავგუსტას კეთილშობილებამ, სათნოებამ და იშვიათმა სილამაზემ იუსტინეც გააკეთილშობილა. იუდეველებს არ უყვარდათ რომაელი დამპყრობლები, მაგრამ იუსტინე არ მიიჩნიეს მტრად. იუსტინე ლმობიერი და სამართლიანი მმართველი აღმოჩნდა და იუდეველებიც მას პატივისცემით ეექცეოდნენ. ავგუსტას შესახებ ლეგენდები გაჩნდა.

ხალხში ლაპარაკობდნენ, რომ ავგუსტას ხშირად იწვევენ ღმერთები თავიანთ ნადიმებზე, რათა დაუკრას არფაზე და იმღეროს; ღმერთები ისე იხიბლებიან მისი სიმღერით, რომ მზად არიან ნებისმიერი სურვილი შეუსრულონ, მაგრამ ავგუსტა მათგან არაფერს ითხოვს. კიდევ ამბობდნენ, რომ ავ-

გუსტას ღმერთებმა ერთი უცნაური ქვა გამოუგზავნეს, მასზე ცის საიდუმლოა ჩაწერილი; თუ ავგუსტა საიდუმლოს ამოიცნობს, მაშინ ღმერთები მას ანგელოზად გადააქცევენო. იმასაც ამბობდნენ, რომ ავგუსტას გული სიკეთით აქვს სავსე, ამიტომ არ იცის, რა არის ბოროტებაო.

იუსტინეს მცდელობას, რომ პროვინციაში სამართლიანობა დამყარებულიყო, ხალხი ავგუსტას მიაწერდა. იმასაც ავგუსტას დამსახურებად თვლიდნენ, რომ იუსტინემ ზღაპრული სილამაზის სასახლის აშენება გადაწყვიტა და ეს საქმე უცნობ, მაგრამ სახელგანთქმულ ხუროთმოძღვარს მიანდო.

იუდეაში ჩამოსვლიდან ორი წლის შემდეგ ავგუსტას სახეზე ფერი შეეცვალა, გაყვითლდა, გახდა, თვალები ჩაუცვივდა. ავგუსტამ არ ისურვა, რომ ვინმეს ის ასეთ მდგომარეობაში ეხილა, ამიტომ ჩაიკეტა და იუსტინეს გარდა თავისთან არავის უშვებდა. ავგუსტას სხეულში ძალა გამოელია, მოძრაობა უჭირდა, თავის ძლიერი ტკივილები დასჩემდა. იუსტინე ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მეუღლე გადაერჩინა. მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერმა ქალიშვილმა დაკარგა თავისი ბრწყინვალება და აჩრდილს დაემსგავსა, მიუხედავად იმისა, რომ ანგელოზივით ჰაეროვანი ქალიშვილი უმოძრაო მოჩვენებად იქცა, იუსტინეს მის მიმართ სიყვარული არა თუ გაუნელდა, პირიქით, უფრო გაუძლიერდა.

რომელი ქვეყნიდან და საიდან არ ჩამოიყვანა მკურნალები, რანაირი წამლები არ იხმარეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა — ავგუსტა უფრო და უფრო უარესად ხდებოდა. ჭკვიანმა ქალიშვილმა იცოდა, რომ ძალიან ავად იყო და, შესაძლოა, მისი სიცოცხლე მალეც დასრულდებოდა, მაგრამ სულის სიძლიერეს არ კარგავდა. როცა კი იუსტინე მის ოთახში შევიდოდა, ღიმილით შეხვდებოდა, თავში მხოლოდ კეთილი აზრები უტრიალებდა, არავის ადანაშაულებდა, არ წუწუნებდა და არ დასტიროდა თავის მდგომარეობას. უფრო იმაზე ფიქრობდა, რას გააკეთებდა კარგს, თუ გამოჯანმრთელდებოდა.

მკურნალებმა იუსტინეს ყველა იმედი გადაუწურეს, და საწყალი კაცი საგონებელში ჩავარდა — ავგუსტას გარეშე საკუთარი სიცოცხლეც უაზრობად ეჩვენებოდა.

ავგუსტაზე ფიქრები ეძალებოდა იუსტინეს მაშინაც, როცა მშენებლობიდან მიიჩქაროდა და თან ამონ-რა მიჰყავდა. „რა შეუძლია ამ ბავშვს, რა იცის ამან მკურნალობის? —

ფიქრობდა იუსტინე, — ტყუილად მიმყავს ავგუსტასთან, მაგრამ იქნებ მოსაუბრედ მაინც გამოდგეს!“ და უცბად გაახსენდა, რომ ავგუსტა იუსტინეს მხოლოდ ბერძნულად ელაპარაკებოდა, სხვა ენები არ იცოდა, ამიტომ რანაირი მოსაუბრე იქნებოდა ეს ბიჭი მისთვის?

— ბიჭო, — მიმართა იუსტინემ ამონ-რას, რომლებიც ცხენზე იჯდა და უკან მიჰყვებოდა, — შენ მხოლოდ არამეულ ენაზე ლაპარაკობ?

— არ ვიცი! — უპასუხა ამონ-რამ.

იუსტინეს გაუკვირდა ასეთი პასუხი. ალბათ, ვერ გაიგო, რა ვკითხეო.

— ბიჭო, მე გეკითხები, იცი თუ არა ბერძნული?

— შეიძლება ვიცოდე!

ვერც ამ პასუხს მიხვდა იუსტინე და მზად იყო გასწყრომოდა ამონ-რას, მაგრამ იფიქრა, ბერძნულად დაველაპარაკები, ვნახოთ, თუ გაიგებსო, და ბერძნულად ჰკითხა:

— რამდენი წლის ხარ შენ?

ამონ-რამ ვერაფერი გაიგო. მაშინ იუსტინემ იგივე რომაულად ჰკითხა. ამონ-რა ისევ ვერაფერს მიხვდა. იუსტინემ არაბულიც იცოდა, მაგრამ ამონ-რამ ვერც ამ ენაზე გაიგო რამე. მხოლოდ მაშინ, რაც იუსტინემ არამეულად ჰკითხა: რამდენი წლის ხარო, ამონ-რამ უპასუხა — ცხრა წლისო.

შეწუხდა იუსტინე. ბიჭის სამკურნალო ცოდნაში დიდად ეპარებოდა ეჭვი, ახლა კი იმაშიც დარწმუნდა, რომ ავგუსტა ვერ დაელაპარაკებოდა მას, ვერც ბიჭი გაართობდა ავგუსტას თავისი ზღაპრებით მესიაზე. „მეტი გზა არ არის, თარეჯიმანი დაგვჭირდება. მაგრამ ავგუსტას რომ არ უნდა ვინმე სხვამაც იხილოს მისი ახლანდელი ჩამქრალი სახე? როგორ მოვიქცე?“ — წუხდა იუსტინე თავის ფიქრებში.

გზის დიდი ნაწილი ისე გაიარეს, რომ იუსტინეს აღარაფერი უკითხავს. ამონ-რა გარემოს ათვალიერებდა და თავის ფიქრებს მიეცა.

როცა ამონ-რა ფიქრებში იძირებოდა, ათასნაირი ხილვა მოსდიოდა. საკმარისი იყო ეფიქრა, ვთქვათ, წყალზე, ცეცხლზე, ღრუბელზე, მთაზე, ვარსკვლავზე ან ვინმე ადამიანზე, რომ მის წინ ხატები გადაიშლებოდა, როგორც ცოცხალი წიგნი. ამონ-რა ხედებოდა, რომ მას შეეძლო სცოდნოდა ყველაფერი ყველაფერზე. ალბათ ეს იყო ცოდნა ღვთის სასუ-

ფევლის საიდუმლოსი, რაც მას იესო ქრისტემ მიანიჭა. მაგრამ ისიც შენიშნა, რომ ამ საიდუმლოს ყოველთვის კი ვერ სწვდებოდა, არამედ მაშინ, როცა გულწრფელად ეძლეოდა ფიქრებს, ან მაშინ, როცა ძალიან უნდოდა სიკეთის ქმნა. მაგრამ თუ თავის თავს გამოცდას დაუპირებდა, ერთი ვნახოთ, რა შემიძლიაო, თუ ვინმე ეჭვიანი მოუწყობდა გამოცდას, ვნახოთ, მართლა შეგიძლია თუ არაო, მაშინ, ნურას უკაცრავად, არაფერი გამოდიოდა. აი, ახლაც, როცა იუსტინემ გამოსაცდელად ჰკითხა რაღაც სხვადასხვა ენებზე, ამონ-რამ ვერაფერი გაიგო.

ამჯერად ამონ-რას ფიქრები თავად ფიქრს მიადგნენ. „უფალო, მომანიჭე ცოდნა ფიქრის, აზრის შესახებ!“ — შესთხოვა ამონ-რამ ცათა სასუფეველს. უნაგირზე რყევა ხელს არ უშლიდა, რომ მთელი ყურადღებით დაჰკვირვებოდა ხილვებს, რომლებიც თანდათანობით ჩნდებოდნენ მის წარმოდგენაში, და ამოეცნო ისინი.

აგერ, მუშაობს კაცი ვენახში. უვლის ვაზს და ესიყვარულება. თავში ნაირ-ნაირი, ზოგჯერ მთელი, ზოგჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტი აზრები მოსდის. ხან თავისთვის ჩაიბუტბუტებს, ხან წაიმღერებს, ხელები კი ეალერსებიან და უვლიან ვაზს. ეჰ, ამბობს თავისთვის მუშა-კაცი, მშვიდობა იყოს ქვეყანაზე, ყველა კარგად იყოს, ყველა ბედნიერი იყოს, და მეც და ჩემი ოჯახიც კარგად ვიქნებით. მერე მეზობელი ქვრივი ქალი გაახსენდა, გაჭირვებაში რომ ზრდის ოთხ შვილს. ვინ დაეხმარება მას? ვენახი უფუჭდება საცოდავს. უნდა მოვიცალო და ხვალ მის ვენახს მოვუარო. თუ ღმერთმა ინება და კარგი მოსავალი მივიღე, აგრძელებს ფიქრს მევენახე, მაშინ სტუმარსაც ვუმასპინძლებ, ცოტას კიდევ გავყიდი და ქალიშვილს მზითვს მოვუმზადებ. ოფლი წურწურით ჩამოსდის მუშა კაცს და მიწაში იღვრება, ის კი არ წუწუნებს, ეს რა დღეში ვარო, პირიქით, ღმერთს მადლობას სწირავს იმისათვის, რაც აქვს. მუშაობს ასე ვენახში მევენახე, ხოლო მის თავზე ლიცლიცებენ ცისფერცეცხლოვანი პაწაწკინტელა ღრუბლები. შემდეგ ისინი ელვისებურად მიისწრაფვიან მაღლა და იქ თავისსავე მსგავს უზარმაზარ ცისფერცეცხლოვან ღრუბელს უერთდებიან. ეს ცისფერცეცხლოვანი უზარმაზარი ღრუბელი კი დაიძვრის და მევენახისკენ გამოემართება, მის ვენახს გაანაყოფიერებს, მევენახეს კი ქვაზე ფეხს წამოაკვრევინებს, წააქ-

ცევს და ცხვირით მიწაში დაფლულ განძის ქოთანს აპოვნინებს. უხარია მშრომელ კაცს — რა ბედი მეწვიაო, და ახლა იმაზე ფიქრობს, როგორ გაახარებს ოჯახს, გაჭირვებულ ქვრივ მეზობლებსაც შეეშველება, სოფლისთვის ჭას გათხრის და მდინარეზე ხიდს გადებს. ისევ ისწრაფვიან ცისფერცეცხლოვანი ციცქნა ღრუბლები დიდი ცისფერი ცეცხლისაკენ და ასე დაუსრულებლივ.

ამ კაცის გვერდით მეორეც მუშაობს თავის ვენახში. მასაც ფიქრები ეძალება. უელის ვაზს და ბრაზობს — აი, წამოვა სეტყვა, დადგება გვალვა და გაუნადგურდება წლის მოსავალი. რა ფასი აქვს ამისთანა შრომას? გული ბოღმით და შურით ევსება — მისი მეზობლის ვენახი უკეთესად გამოიყურება, უფრო კარგად ასხია. ეს არის ღმერთის სამართალი? გაუჭირვა საქმე ქვრივმა მეზობელმა — ხან ერთ ბავშვს გამოგზავნის, ხან მეორესა და მესამეს, ან თვითონ მოადგება და ხელში მეოთხე ბავშვი უჭირავს — ერთი პური მასესხეო. ერთხელ ასესხა, მეორედ. რამდენჯერ შეიძლება ასე? ჭირმა წაიღოს ყველა. ცოლიც გაუხდა ავად. ესღა აკლდა! სად იშოვოს მისი მკურნალობის ფული? ბარემ ჩაბარდეს უფალს და ეგ არის. რად უნდა ავადმყოფი ქალი. შვილი მაინც არ გაუჩინა, ისეთი უჯიშოა. გავყიდი მთელ მოსავალს და გადავმალავ ფულს, ქოთანში ჩავდებ და მიწაში დავფლავ, როდისმე გამომადგება, ფიქრობს კაცი. ოფლი წურწურით ჩამოსდის მევენახეს და მზეს უწყრება — რას დააცხუნა ასე, მუშაობას არ დაგაცდის, ან ეს ღრუბლები სად გადაიკარგნენ, რომ ცოტა წამოწვიმოს. უბრაზდება კაცი ღმერთს: არც შვილი მომეცი, არც ვენახი მივარგა, სახლიც ვერ ავაშენე, ქოხმახში ვცხოვრობ. ეს არის, ღმერთო, შენი სამართალი? რატომ გამაჩინე, თუ არაფერს გაიმეტებდი ჩემთვის! მუშაობს ამ ფიქრებითა და ზრახვებით ვენახში მევენახე, ხოლო მის თავზე ჭვარტლიანი ღრუბლები გროვდება, კალიასავით ღრუბლები. ჭვარტლისფერი კალიების გუნდი ელვისებურად მიისწრაფვის, ოღონდ ძალიან მაღლა კი არა, სადღაც ახლოს, სადაც მსგავსი ჭვარტლიანი ღრუბლების გროვაა. დაიძვრის ეს შავშავი ფიქრების გროვა და კალიებს შეუსევს მევენახის ზვარს. მას კი ქვაზე ფეხს წამოაკვრევინებს და მოსტეხავს ფეხს. გაბოროტდება ეს კაცი და წყევლა-კრულვას შეუთვლის ყველას — ღმერთსაც და კაცსაც, ვენახსაც და მის პატრონ-

საც. რაღა მე დამემართა ესო, იგინება, აი იმ ჩემს მეზობელ მევენახეს რატომ არ მოსტყდა ფეხიო, ახიც იქნებოდა, რა ამღერებს ამ სიცხე პაპანაქებაშიო. ისევ ისწრაფვიან ჭვარტლიანი კალიების გუნდები, რომ კიდევ უფრო დიდი ჭვარტლიანი ღრუბლები დააყენონ თავს და ასე დაუსრულებლივ.

მეზობელი მევენახე კი, რომელმაც ეს-ეს არის თავის ვენახში განძით სავსე ქოთანი იპოვა, მორბის მის საშველად.

ამონ-რას ამ ხილვებიდან დასკვნები გამოაქვს და თანმიმდევრულად ალაგებს. მან უკვე იცის, რომ ფიქრებსა და აზრებს სული ბადებს და ისინი სულივით უკვდავნი ხდებიან; უკვე დაბადებული ფიქრები და აზრები არ ემორჩილებიან თავიანთ დამბადებელს, გარბიან მისგან შორს და სამყაროში არსებულ მსგავს ფიქრებსა და აზრებს უერთდებიან; ფიქრები და აზრები უბრუნდებიან თავიან დამბადებელს, მაგრამ მარტონი კი არა, არამედ უფრო გაძლიერებულნი მსგავსი ფიქრებითა და აზრებით; იმისდამიხედვით, თუ როგორები არიან ისინი — კეთილგანზრახულნი თუ ბოროტგანზრახულნი — მათ დამბადებელს შესაბამისს მიაგებენ; კეთილ აზროვნებას ადამიანი ცათა სასუფევლისკენ მიჰყავს, ბოროტი აზროვნება კი მას ცათა სასუფევლის სიახლოვესაც არ აკარებს; კეთილი ფიქრები და აზრები, კეთილი განზრახვები და საქმეები ის არის, რაც ადამიანმა ცათა სასუფეველში უნდა დაიუნჯოს, თუ უნდა, რომ მისმა სულმა მაღალ სამყაროებს მიაღწიოს. ცათა სასუფეველში ყველაფერს ფიქრი, ნათელი და ლამაზი აზრები ჰქმნიან. ამ ცოდნას, რაც მან ცათა სასუფევლისაგან მიიღო, ამონ-რა გაანდობს ყველას, ვინც მოუსმენს, ვისაც ყურები აქვს, რომ ისმინოს.

ამასობაში იუსტინე გამოერკვა.

— ისევ გზაში ვართ? — გაიკვირვა და ამონ-რას გადახედა, — ხომ არ ჩაგეძინა ცხენზე მჯდომარეს?

— არა, — უპასუხა ამონ-რამ, — ვფიქრობდი.

— რაზე? — ჩაეძია იუსტინე.

„ამას ჯერ ის ყურები არა აქვს, რომ ისმინოს, ამიტომ არაფერს ვეტყვი,“ — გაიფიქრა.

— ყველაფერზე. — უპასუხა იუსტინეს.

მზე ჩადიოდა, როცა სასახლის ეზოში შევიდნენ.

— მადლობა ღმერთს, მოვედით! — დაღლილი ხმით თქვა იუსტინემ.

მე მხოლოდ აღვასრულებ უფლის ნებას

დილით მოსამსახურე ქალმა ამონ-რას საუზმე მოართვა და გააფრთხილა: ბატონი შენთან ერთ საათში მოვაო. იუსტინე, მართლაც, მოვიდა ერთ საათში, უკან მონა მოჰყვებოდა და ტანსაცმელი მოჰქონდა.

— მონა გაბანავებს და ეს ტანსაცმელი ჩაიცვი! — ბრძანებით უთხრა იუსტინემ.

— რატომ, ასე არ შეიძლება ვიყო? — ჰკითხა ამონ-რამ.

იუსტინემ იწყინა სიტყვის შებრუნება.

— გესმის, ბიჭო, ის გააკეთე, რასაც გიბრძანებენ! — უთხრა იუსტინემ მკაცრად.

ამონ-რამ ყურადღება არ მიაქცია იუსტინეს ბრძანებასა და სიმკაცრეებს. ის იმიტომ კი არ გამოჰყვა იუსტინეს ამხელა გზაზე, რომ მან უბრძანა. ამონ-რას ერთადერთი მბრძანებელი ჰყავს — ეს მისი გულია. გულმა უთხრა, რომ ავგუსტას უშველოს, და ამონ-რაც გამოჰყვა იუსტინეს.

მალე ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი ამონ-რა მონამ იუსტინეს მიჰგვარა.

— წამოდი! — უბრძანა იუსტინემ.

მათ სასახლის დერეფნები გაიარეს და მოჩუქურთმებული კარების წინ შეჩერდნენ.

— მომისმინე, ბიჭო, — მკაცრად გააფრთხილა იუსტინემ ამონ-რა, — არაფერი შეიმჩნიო ავგუსტას დანახვისას და არც არავის უთხრა რამე მის შესახებ, თორემ დაისჯები. გასაგებია?

ამონ-რამ თავი დაუქნია. თუმცა მას ასეთი გაფრთხილებანი არ სჭირდებოდა.

იუსტინემ კარები გააღო და ოთახში შევიდა. ამონ-რას ხელით ანიშნა — მომყევიო.

უზარმაზარი ოთახი რამდენიმე სანთლით სუსტად იყო განათებული.

პატარა ფანჯრებზე ფარდები ეფარა, რომ დღის სინათლეს არ შემოელწია.

იუსტინე ავგუსტას საწოლთან მივიდა, ქალს აკოცა და ალერსით უთხრა:

— ჩემო ქალღმერთო, აი ის ბიჭი, რომელზეც ამ დილით გეუბნებოდი. იქნებ მოგინდეს მასთან საუბარი? მესიას შეხვედრია, იესო ქრისტეს რომ ეძახიან. კიდევ ამბობენ, ამ ბიჭმა მკურნალობა იცისო.

ეს ყველაფერი იუსტინემ ბერძნულად წარმოთქვა და ამონ-რამაც კარგად გაიგო ყველაფერი, მაგრამ ეგონა, რომ იუსტინე ავგუსტას არამეულ ენაზე ელაპარაკებოდა, და გაუკვირდა: ხომ უთხრა გუშინ იუსტინემ, რომ ავგუსტა მხოლოდ ბერძნულად ლაპარაკობს და ამიტომ თარჯიმანი დაგვჭირდებაო.

იუსტინე ამონ-რას მიუბრუნდა და არამეულად უთხრა:

— მოდი ახლოს, აქ დადექი და უპასუხე, რასაც ქალბატონი გკითხავს!

ამონ-რა მიუახლოვდა საწოლს და ავგუსტას შეხედა.

სატირალი სანახაობა წარმოუდგა თვალწინ.

ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ჯერ ოცდაერთი წელიც არ შესრულებია, თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ჩამქრალი თვალები სევდას ასხივებდნენ, თუმცა ჩამჭკნარ სახეზე უშფოთველობა ეწერა. ავგუსტამ გაუღიმა ამონ-რას და თითქოს სიკეთე გამოასხივაო, ისეთი მომხიბვლელი და უშუალო იყო მისი ღიმილი.

— ჰკითხე, ჩემო ქალღმერთო, რაც გინდა. მე ვუთარგმნი. ვნახოთ, რას გვეტყვის.

ისევ გაიღიმა ავგუსტამ. ეს ღიმილი ახლა უკვე ცისფერი ცეცხლის ალს ჰგავდა.

— რატომ ეძახი მას ბიჭს, ხომ აქვს სახელი? — მეტად სუსტი ხმით, ძლივს გასაგონად დაილაპარაკა ავგუსტამ.

— ამონ-რაა მისი სახელი. კარგი, ასე დავუძახებ.

სახე კი ჰქონდა ავგუსტას ჩამქრალი, მაგრამ სულის ძალას არაფერი დაჰკლებია. ამ სულის ძალამ ჰკითხა ამონ-რას:

— მე შენ სიზმარში გნახე?

იუსტინეს გაუკვირდა ავგუსტას ნათქვამი — საიდან ნახავდა ამ ბიჭს სიზმარში, პირველად ხედავს მას. ის იყო დაეპირა ბერძნულიდან არამეულად ეთარგმა ეს სიტყვები, რომ ამონ-რამ თავისი მშვიდი ხმით მიუგო:

— დიახ, ქალბატონო, ჩვენ სიზმარში ვნახეთ ერთმანეთი.

იუსტინეს ენა დაება: ამონ-რამ ბერძნულად უპასუხა ავგუსტას. თანაც რა სისულელეს ეუბნება: ჩვენ ერთმანეთს სიზმარში შევხვდითო.

— შენ ბერძნულად ლაპარაკობ?! — ჰკითხა ამონ-რას წყრომით, — რატომ დამიმალე, თუ ბერძნულად ლაპარაკი იცი?

— მე ბერძნული არ მისწავლია, არც რომაული, — უპასუხა ამონ-რამ, — მე ენა ვიცი და ვლაპარაკობ.

იუსტინემ ისევ ვერაფერი გაიგო, მაგრამ არც ამონ-რას შეეძლო აეხსნა მისთვის, როგორ ხდებოდა, რომ ზოგჯერ მისი ლაპარაკი ნებისმიერ ენაზე მოლაპარკე კაცს ესმოდა და ყველას ეგონა, რომ ეს ბიჭი ჩემს ენაზე ლაპარაკობსო. თავად ამონ-რამაც არ იცოდა, რა ენაზე მეტყველებდა ამ დროს. ან რა ენაზე უპასუხა ახლა ავგუსტას, რომ მან კიდეც გაიგო და კიდეც გაიკვირვა:

— შენც იხილე ის სიზმარი?!

— დიახ, ქალბატონო, მე თქვენ პეშვით ანკარა წყაროს წყალი მოგართვით.

— აჰ... — წამოიძახა სუსტი ხმით ავგუსტამ, — სწორედ შენ გნახე სიზმარში...

იუსტინე ვერც ამონ-რასა და ავგუსტას საუბრის შინაარსს ხვდებოდა.

— ამონ-რა, მიამბე იესო ქრისტეზე, რაც იცი! — სთხოვა ავგუსტამ.

— ქალბატონო, მე თქვენ გიამბობთ იესო ქრისტეზე ყველაფერს, რაც ვიცი, მაგრამ ჯერ გთხოვთ ოთახში მზის სინათლე შემოუშვათ.

ავგუსტას სახეზე შეშფოთება აღებეჭდა.

იუსტინეც გაწყრა: როგორ გაბედა ამ ბავშვმა ასეთი სითამამითა და თვითდაჯერებით ავგუსტას ნების დარღვევა. ის იყო აპირებდა დაეტუქსა ამონ-რა, რომ ავგუსტამ შეშფოთებით იკითხა:

— რატომ უნდა შემოვუშვათ მზის სხივები, შენ ჩემი ჩამქრალი სახე გინდა იხილო?! ან გინდა იუსტინემ უფრო კარგად ჩაიბეჭდოს, როგორი მოჩვენება მივდივარ ამ ქვეყნიდან?!

ავგუსტას ხმა აუკანკალდა, ალბათ, აქვითინდებოდა კიდეც. მაგრამ ამონ-რამ ისევ მშვიდი ხმით ჩააგონა:

— ქალბატონო, თქვენ უმშვენიერესი ბრძანდებით. თქვენი სულის სილამაზეს თქვენი სხეული ვერასდროს შეედრება. მალე თქვენ სხეულის პირვანდელი ბრწყინვალებაც დაგიბრუნდებათ. ამიტომ შემოუშვით მზე თქვენს ოთახში. სინათლე სიცოცხლის დედაა. ის თქვენს მკურნალობაში დამეხმარება.

— შენ ჩემს განკურნებას აპირებ?! — გაუკვირდა ავგუსტას.

— მე თქვენ პეშვით ანკარა წყაროს წყალი მოგართვით. შვიდი დღის შემდეგ ისეთივე იქნებით, როგორიც ხუთი წლის წინათ იყავით. სასახლე, რომელსაც თქვენი მეუღლე აშენებს, თქვენ უნდა დაამშვენოთ.

იუსტინეს გულში რისხვა მოაწვა. რას ამბობს ეს ბალღი! ატყუებს ამ საცოდავ ქალს — შვიდ დღეში მოგარჩენო — და კიდევ რაღაც წყალს გაიძახის! ჯერ ამონ-რას კინწისკვრით გაგდება უნდოდა ოთახიდან, მაგრამ გადაიფიქრა — ავგუსტა მიხვდებოდა, რომ აღარც იუსტინეს აქვს მისი გადარჩენის რაიმე იმედი.

— შენ შვიდ დღეში გინდა ფეხზე დამაყენო და ჩემი სილამაზე დამიბრუნო?! — ისევ უიმედო გაოცებით ჰკითხა ავგუსტამ.

— თქვენ მესამე დღეს ადგებით ფეხზე და საკუთარ ბაღში გაისეირნებთ. ვარდებს მოენატრათ თქვენი ხილვა, დიდი ხანია გელიან. მეშვიდე დღეს კი თქვენი მეუღლე წვეულებას გამართავს, რომ ყველამ იხილოს თქვენი ბრწყინვალება და თქვენი სიმღერაც მოისმინოს. დღესვე გაუგზავნეთ მალემსრბოლი მამათქვენს, რომ ამ ზეიმს ჩამოუსწროს.

ზეიმს თუ დაკრძალვასო, უნდოდა დაეყვირა იუსტინეს და თვალწინ წარმოუდგა, როგორ წევს ავგუსტას უსულო სხეული ვარდებში ჩაფლული. აი, რა ვარდებზე ლაპარაკობს ეს ლაწირაკი. იუსტინე წამოიმართა, რომ ბიჭისთვის სილა გაეწნა, მაგრამ ისევ ავგუსტას ხმამ შეაჩერა.

— განა რა წამალი გაქვს ისეთი, რომ განმკურნო, ვერ მხედავ, რა დღეში ვარ?

— მე არ მაქვს არავითარი წამალი და მალამო, — მიუგო ამონ-რამ.

— იუსტინე, მე ვიცი, რაც გითხრეს მკურნალებმა ჩემგან ფარულად. უთხარი ამონ-რას მათი გადაწყვეტილება, რომ მიხვდეს — ჩემი მორჩენა შეუძლებელია. როგორ უნდა განმკურნოს მან შვიდ დღეში, როცა შვიდი დღის სიცოცხლეც არ დამრჩენია. ალბათ, ასეთია ღვთის ნება, და მე ვემორჩილები მას!

იუსტინეს ისევ ჩაუვარდა ენა მუცელში. როგორ უთხრას ამ ბიჭს მომაკვდავი ქალის თანდასწრებით, რა უთხრეს მას მკურნალებმა. არ უნდა წამოეყვანა ეს ბიჭი! იქიდანაც უნდა გაეძევებინა, სადაც სასახლის მშენებლებს თავგზას უბნევდა თავისი სისულელეებით. აი, გაათრევს ამ ბიჭს გარეთ, კარგად გააჯოხინებს მსახურებს და გააგდებს აქედან.

— ქალბატონო, — თქვა ამონ-რამ, — თქვენმა მკურნალებმა უკვე ჩაიქნიეს ხელი თქვენზე და თქვენს მეუღლეს აუწყეს, რომ თქვენ მალე წახვალთ ამ ქვეყნიდან...

და ამ დროს იუსტინე ვეფხვივით წამოხტა და დაიღრიალა:

— გაიწყვიტე ხმა, შე...

და ვიდრე იუსტინე განზრახვას შეასრულებდა, ამონ-რამ სათქმელი დაასრულა:

— თქვენ უფლის ნებით განიკურნებით. მე მხოლოდ აღვასრულებ იესოს ნებას...

და ამ დროს იუსტინე თავზე დაემხო ამონ-რას.

— ესეც შენი იესო... ესეც შენი ქრისტე... ლაწირაკო... მაწანწალავ...

იუსტინემ ერთი ხელი ყელში სტაცა ბიჭს, მეორეთი კი სახეში ურტყამდა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა. მას არ ესმოდა მისუსტებული და ვედრებით სავსე ხმა ავგუსტასი:

— იუსტინე, რას შვრები... ცოდოა ბავშვი, იუსტინე... გაანებე თავი... არ მოკლა...

ამონ-რა მოწყვეტით დაენარცხა იატაკზე. იუსტინემ ფეხებში ჩაავლო ხელი და კარებისკენ გაათრია. აქ წამოეწია მას ავგუსტას განწირული კივილი:

— იუსტინე, მოიყვანე ამონ-რა ჩემთან...

იუსტინე შეჩერდა, სული მოითქვა. შეეცადა დამშვიდებულიყო და ისე მიმართა ავგუსტას:

— ჩემო ქალღმერთო, მაპატიე, რომ ეს მაწანწალა მოგიყვანე, შევცდი...

— იუსტინე, მოიყვანე ამონ-რა... იუსტინე, ჩამოგლიჯე ფარდები სარკმელებიდან... გაანათე ოთახი. იუსტინე...

იუსტინე არც დაფიქრებულა — მიანება ამონ-რას თავი და ფარდებს ეკვეთა.

წუთში განათდა ოთახი — შემოიჭრნენ მზის სხივები, ავგუსტას საწოლზეც დაიბუდეს და მის სახეს მიეალერსნენ.

იუსტინემ შეხედა მეუღლეს და გული მოუკვდა, ტირილი მოუნდა, მის საწოლთან დაიჩოქა და აზლუქუნდა.

ამონ-რა წვალებით წამოდგა ფეხზე და ავგუსტას საწოლთან მივიდა. თითქოს არც არავის უცდია მისი დახრჩობა, არც არავის დაუსისხლიანებია მისი სახე ან ფეხებით უთრევია, თითქოს არაფერი მსგავსი არც მომხარიყოს, მისთვის ჩვეული სიმშვიდითა და რწმენით თქვა:

— ქალბატონო, უბრძანეთ თქვენს მეუღლეს, დაგვტოვოს. უბრძანეთ, რომ მამათქვენს მალემსრბოლი გაუგზავნოს. უბრძანეთ იფიქროს ზეიმზე, რომელსაც ერთი კვირის თავზე მოაწყობს.

ავგუსტა ცოტა ხანს ჩუმად იყო. მამა არ უნახია ავგუსტას, რაც იუსტინემ წამოიყვანა. მოენატრა მამა. მართლაც, გააგზავნოს იუსტინემ მალემსრბოლი, იქნებ კიდეც მოუსწროს ქალიშვილს ცოცხალს. ზეიმიც მოაწყოს მამის საპატივსაცემოდ. იჩქაროს იუსტინემ. იქნებ ეს ერთი კვირა მისი უკანასკნელი დღეებია?

— იუსტინე, ხომ მოისმინე, რა თქვა ამონ-რამ? შეასრულე ყველაფერი, ჩემო კეთილო მბრძანებელო!

— ასეთია შენი სურვილი, ჩემო ქალღმერთო? — ჰკითხა იუსტინემ დაეჭვებით.

— ჰო, ჩემო კეთილო, ჩემი სურვილია... გთხოვ შეასრულო...

— ასე იყოს, შევასრულებ...

იუსტინემ ამონ-რას შეხედა. რისხვამ გაუარა, მაგრამ ეჭვმა — არა. თუმცა ვერაფრით აეხსნა, რა ძალა იხმარა ამ ბიჭმა ისეთი, რომ ავგუსტამ ოთახში მზის სხივები შემოუშვა და იუსტინეს თავისი დალეული, ჩამქრალი სახე სინათლის შუქზე დაანახა.

— ახლა კი დაგვტოვე, ჩემო ძვირფასო... — დაიჩურჩულა ავგუსტამ.

იუსტინე ფეხზე წამოიმართა. კარებთან მისულ მეუღლეს ავგუსტამ ძლივს მიაწვდინა ხმა:

— იუსტინე, თავად შეგატყობინებ, როდის მოხვიდე...

— დღის ბოლოს მოვიდეს, — თქვა ამონ-რამ. იუსტინე მზად იყო ისევ შემობრუნებულიყო და ახალი ძალით სცემოდა ამ თავხედს, რომელიც საყვარელ ცოლთან შეხვედრას უზღუდავდა.

მათ შორის ყველაზე პატარა ყველაზე დიდი იყო

ქრისტეზე საუბრისა და მკურნალობის მესამე დღე დადგა.

ავგუსტა მართლაც მოფერიანდა, გახალისდა და საწოლში წამოჯდა.

ავგუსტა ხარბად ისმენდა ამონ-რას მონათხრობებს იესო ქრისტეზე, ცათა სასუფეველზე, მცნებებზე. ივავების მეშვეობით ამონ-რა ცდილობდა დახმარებოდა ავგუსტას ჩასწვდომოდა იესო ქრისტეს მოძღვრებას. ავგუსტამ იწამა ძე ღვთისა და ძე კაცის რელიგია. სთხოვა ამონ-რას ესწავლებინა მისთვის ლოცვა და დღეში შვიდჯერ აღავლენდა ღვთის მიმართ გულწრფელ და მხურვალე ლოცვას.

ავგუსტას უკვირდა, რამდენი რამ იცოდა ამ პატარა ბიჭმა, რომლის სიკეთეს, სიყვარულსა და თანაგრძნობას საზღვარი არ ჰქონდა. მაგრამ კიდევ უფრო აოცებდა ამონ-რას რწმენა და სულის ძალა.

პირველ დღეს ამონ-რამ ის შეძლო, რომ ავგუსტას იმედი გაუჩინა და ხალისი მიანიჭა. მეორე დღეს ავგუსტას სახე შეეფაკლა და სხეულში ღონე იგრძნო, საწოლში წამოჯდა და ლამაზი ფიალიდან ღვინო მოსვა. იუსტინემ თვალებს არ დაუჯერა, როცა ავგუსტა გახალისებული და მოღონიერებული დაინახა. გულში კი გაიფიქრა, რომ ეს სიკვდილის მოახლოებას ნიშნავსო, და ისევ ტირილი მოუნდა. ამონ-რას კიდევ ერთხელ შესედა უნდობლობით და მუქარით: დრო მოვა, შენსას მიიღებო.

მესამე დღეს დილით ამონ-რა საწოლთან დაუჯდა ავგუსტას და გულის ცეცხლი მოიმარჯვა. მისი ხელები უხვად ულვრიდნენ ავადმყოფს სხეულში უცნაურ სითბოს. ავგუსტა ძლიერმა ჟრუანტელმა შეიპყრო, სხეულში სიცოცხლის ფესვები ამოძრავდნენ და ხარბად შეიწოვეს ამონ-რას გულის ცეცხლი. შემდეგ ამონ-რამ ჩურჩული დაიწყო და მის ხმასაც გულის ცეცხლი მიჰქონდა ავგუსტას სულში:

— იყო ერთი ქალი. თორმეტ წელიწადს იტანჯებოდა იგი სისხლისდენით. მკურნალებმა ვერაფერი უშველეს. რა უნდა ექნა ქალს? ვერ შრომობდა, უჭირდა ოჯახის გაძღოლა, შვილების მოვლა, რცხვენოდა ხალხში გასვლისა. ქალი დასუსტდა, მოიკაკვა, სიცოცხლე მობეზრდა. როგორ ფიქრობთ, ქალბატონო, რას მოიმოქმედებს ეს ქალი?

— თავს მოიკლავს? — შეშფოთდა ავგუსტა.

— ისმინეთ შემდეგ. ოჯახში მისულმა ერთმა სტუმარმა უამბო მასპინძელს იესო ქრისტეზე. ქალმა იწამა იგი და თავისთვის თქვა: მის სამოსელსაც რომ შევეხო, განვიკურნებიო. დაიწყო სოფელ-სოფელ სიარული და იესოს კვალის ძებნა. აი, ერთხელაც დაინახა — გარბის კაცი და იძახის: „იესო მოდის... იესო ქრისტე მოდის!..“ გაუხარდა ქალს და შუა გზაზე დაჯდა, რომ იესო ქრისტეს როგორმე ხელით შეხებოდა. გამოჩნდა იესო ქრისტე. გვერდით მოწაფეები უდგანან, უკან აუარებელი ხალხი მოჰყვება. გზაზეც ბევრი ხალხი შეიკრიბა იესოს შესახვედრად. საწყალი ქალი ხალხში ჩაიმალა. გაიარა იესო ქრისტემ გზაზე. ქალი მიწაზე განერთხო, რომ ხელი მიეწვდინა მისი სამოსელისათვის. მისწვდა სამოსლის კალთას, აკოცა და თქვა თავისთვის: „მოვიდეს სუფევა შენი, უფალო, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.“ იესომ იგრძნო, რომ ძალა გავიდა მისგან. მობრუნდა, დაინახა მიწაზე გართხმული ქალი და უთხრა: „გამხნევდი, ასულო, შენმა რწმენამ განგკურნა!“ ქალი მაშინვე განიკურნა, წელში გაიმართა და მადლი შესწირა უფალს.

ამონ-რამ თვალებში ჩახედა ავგუსტას და დაინახა შიგ რწმენით აგიზგიზებული ცისფერი ცეცხლი. ხელი გაუწოდა და ჩვეული მშვიდი ხმით, რომელშიც ცეცხლის ძალა იყო ჩაქსოვილი, უთხრა:

— ქალბატონო, თქვენი რწმენა განგკურნავთ თქვენ. მომეცით ხელი და გადმოდით საწოლიდან. ვარდებმა მოიწყინეს უთქვენოდ ბაღში.

ავგუსტა შეცბა.

— რწმენა თქვენი წამალია, — გაუმეორა ამონ-რამ, — მომეცით თქვენი ხელი.

ავგუსტამ მორჩილად გაუწოდა ხელი ამონ-რას და საწოლიდან გადმოვიდა.

— ახლა ჩაიცვით თქვენი ლამაზი თეთრი აბრეშუმის კაბა და გამოეწყვეთ.

ავგუსტამ ისევ მორჩილად შეასრულა ამონ-რას თხოვნა.

— ჩაიხედეთ სარკეში.

ავგუსტამ გადამალული სარკე მოძებნა, ჩაიხედა და მის სახეზე ბედნიერი გაოცება აისახა, თვალები სიხარულის ცრემლებით აევსო.

— ამონ-რა, მართალია, რასაც სარკეში ვხედავ, თუ სიზმარია ეს?

— ქალბატონო, წამობრძანდით ბაღში. იქ იუსტინეს ნახავთ, ის გეტყვით მართალს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ამონ-რა განუწყვეტლივ გვერდით ედგა ავგუსტას. ახლაც ხელი მოჰკიდა მას და ნელა, მშვიდი ნაბიჯებით კარებისკენ წაიყვანა.

— ქალბატონო, ეცადეთ არ გამიშვათ ხელი. — გააფრთხილა ამონ-რამ ავგუსტა.

ოჰ, რა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ავგუსტამ თავისი თავი ამ ოთხ კედელში ჩაკეტა. რა ხდება გარეთ? ისევ დაფრინავენ ცაში ჩიტები და გალობენ? ისევ იშლებიან ბაღში ვარდები და სურნელს აფრქვევენ? ისევ მოჩქეფს და მოიმღერის ნაკადული? ისევ დასრიალებენ ცაში ღრუბლები და წვიმას აგზავნიან? ისევ მიდის ავგუსტა გარეთ, საკუთარ ბაღში, რომ მიეალერსოს, მიეფეროს ჩიტებსაც, ვარდებსაც, ნაკადულსაც, ღრუბლებსაც?

ავგუსტა რწმენით გაჰყვა ამონ-რას, სასახლის კიბეები ჩაიარა და ბაღში გავიდა.

ამონ-რა ხელს არ უშვებდა ავგუსტას.

— ქალბატონო, თქვენ ბრძანდებით ამ ბაღის მშვენიერება.

ავგუსტა იღიმებოდა ისე, როგორც გაიღიმებს ხოლმე ჩვილი. მას ისევე აოცებდა და ახარებდა ყველაფერი, როგორც ბავშვს, რომელიც პირველად ხედავს ღრუბლებს, პირველად ხედავს ნაკადულს.

ბაღში დიდი სიცოცხლე სუნთქავდა და ხალისობდა. ავგუსტას გამოჩენამ თითქოს ახალი ნაპერწკალი შემატა მას და ბაღმა გულსავსედ ჩაისუნთქა და ამოისუნთქაო. აკლდა ბაღს ეს ნათელი ნაპერწკალი, წუხდა მის გამო და, აი, ავგუსტა თავისი ნაზი ღიმილით სიყვარულს უგზავნის ბაღის

თითოეულ არსსა და სულდგმულს. ბულბულმა ავგუსტას თავზე შეიფართხალა, შემდეგ ვარდის ბუჩქზე შემოჯდა, ხმა მოისინჯა და აგალობდა, ამღერდა, აქო და ადიდა შემოქმედი. ავგუსტამ სუნთქვა შეიკრა — მისი სულიც ამღერდა ბულბულის სტვენასთან ერთად.

— ქალბატონო, ბულბულმა საგალობელი გიძღვნათ თქვენ, — უთხრა ამონ-რამ.

ბულბულმა ისევ შეიფრთხიალა და თითქოს ბუჩქიდან ბუჩქზე გადაფრინდაო, ავგუსტას მხარზე დასკუპტა და ახალი სიმღერა წამოიწყო, ასე ეფერებოდა და ეალერსებოდა ავგუსტას. ნაკადულთან დაიხარა ავგუსტა, ამონ-რაც ჩაცუცქდა მასთან ერთად. ნაკადული აჩუხჩუხდა და შეთამაშდა. ავგუსტამ ხელი ჩაყო მოჩუხჩუხე წყალში და — ეს რა მოხდა! ნაკადული ჯერ გაჩერდა, შეგუბდა და გაისუსა, თითქოს და სარკედ იქცა ავგუსტასათვის — ნახე, რა მშვენიერი ხარო, ან იქნებ იმიტომ, რომ თავადაც მოიხიბლა და გაოცდა ავგუსტას ხილვით. შემდეგ კი მოულოდნელად შექანდა, აფეთქდა, თითქოს ქვებზე დაიმსხვრაო, შხეფებად იქცა და თავისი სიხარული იმით გამოხატა, რომ ავგუსტას სახეზე შეესხურა და კაბა დაუსველა. ავგუსტა შეხტა, გადაიკისკისა, ჰეშვით წყალი ამოიღო, ტუჩებთან მიიტანა და აკოცა, კიდევ აკოცა, თითებს შორის კამკამა წყაროს წყალი წვეთ-წვეთად ჩაიცალა და ხელისგულზე ლაჟვარდოვანი მარგალიტის მარცვალი დარჩა.

— ამონ-რა, შეხედე! რა არის ეს?! — გაიკვირვა ავგუსტამ.

— ქალბატონო, წყარომ მოგართვათ საჩუქარი სიყვარულის ნიშნად! — უპასუხა ამონ-რამ.

საკვირველად იქცეოდა ლაჟვარდოვანი მარგალიტის მარცვალი: ხელისგულიდან ავგუსტას მკლავს გაჰყვა, ყელი და ლოყა გაიარა, თან ცისფერ ნაზ სხივებს ისროდა, და შუბლის შუაგულში გაჩერდა. ავგუსტამ ხელი მოისვა შუბლზე, უნდოდა მარგალიტის მარცვალი ისევ ხელისგულზე დაესვა, მაგრამ ის არ დაემორჩილა, ისევ ხალისით გასრიალდა იმავე გზით და თავის ადგილს დაუბრუნდა.

მარგალიტის ცელქობით გართულ ავგუსტას მზის სხივებმა დაუწყეს თამაში — უჭყიტინებდნენ თვალებში, ლიცლი-

ცებდნენ სახეზე. რამდენიმე სხივი კი გულში შეუძვრა და იქ დაიბუდა. გული გაუთბა ავგუსტას, ესიამოვნა და გაუხარდა.

— გმადლობთ, მზეო! — ჩაიჩურჩულა.

ნიავი კი ძალიან გაცელქდა, ადრე უფრო თავაზიანი იყო, ახლა კი თმები დაუშალა. ისწორებს თმებს ავგუსტა, ისწორებს, ნიავი კი თავისას არ იშლის — თვალებში უბლანტავს თმებს, შემდეგ მაღლა შეისვრის, შემდეგ კისერზე შემოახვევს. ასე ეალერსება ავგუსტას ნიავი.

სად არიან ღრუბლები, სად გადაკარგულან? როგორი მოწმენდილია ცა! ერთი ციცქნა ღრუბელი მაინც გასრიალდეს ცაზე, რომ გაიხსენოს ავგუსტამ, როგორები არიან ღრუბლები. მაგრამ არა! აგერ, მორბის ერთი დიდი თეთრი გუნდა ჰორიზონტიდან. რა მოაქანებს ასე სწრაფად? მოქრის, მოქრის, მოფრინდა კიდეც, ავგუსტასთან ეშვება და — გაქრა ავგუსტა! ავგუსტა კი არა, ყველაფერი გაქრა ავგუსტას ირგვლივ. ამონ-რას მაგრად უჭირავს მისი ხელი, მაგრამ ვერც ამონ-რას ხედავს ავგუსტა, ღრუბელმა შეფუთა იგი, მის სხეულსა და სულს შეუერთდა და სიამოვნების ჟრუანტელით გაავსო. ღრუბელი ეფერება ავგუსტას, ყველა ღრუბლის სახელით ულოცავს ბაღში გამოსვლას, სიცოცხლესა და ხალისს ჰმატებს, ძალას უნერგავს. ავგუსტა ბავშვივით ხარობს, მადლობას სწირავს ცას, ღრუბელთა დედას. ღრუბელი კი ისევ გასრიალდა მაღლა და გამოჩნდა ავგუსტა, უფრო განათებული და გაბრწყინებული. მხარზე ისევ უზის ნაზი ბულბული და გალობს, შუბლზე მარგალიტი უციმციმებს, ვარდების სურნელი თან ახლავს და მის სულს უხილავი ძალებით ავსებს. ღრუბელმა კი თავისი მსუბუქი მანტია მოასხა ბეჭებზე.

ამონ-რა ხელს არ უშვებს ავგუსტას და ახლა სხვა მხარეს მიჰყავს იგი.

სასახლის ბაღში თეთრმა ცხენმა ახოვანი მხედარი შემოაგელვა.

მხედარმა ჯერ უყურა ავგუსტას, უყურა — არ სჯეროდა, რასაც ხედავდა. შემდეგ კი, — „ავგუსტა, ჩემო ქალღმერთო,“ — შესძახა, ცხენიდან გადმოფრინდა და მისკენ გამოქანდა.

— ავგუსტა... ავგუსტა... ავგუსტა... — იძახოდა იუსტინე და მირბოდა, ავგუსტას ფეხებთან მუხლებზე დაეცა და

ორივე ხელი შემოხვია ქალს, — ავგუსტა... ავგუსტა... — სიხარულით ატირდა იუსტინე.

ავგუსტა თავისუფალი ხელით ეფერებოდა იუსტინეს, თმებზე ეფერებოდა, ფეხზე აყენებას ცდილობდა. იუსტინემ ქვემოდან ახედა ავგუსტას და მთელ სხეულში მისი მომხიბვლელი ღიმილის სითბო შეიგრძნო. შემდეგ ამონ-რას შეხედა იუსტინემ, მუხლებზე დამხობილი ამონ-რას სიმაღლის გახდა და ბიჭს თვალი გაუსწორა. ო, რა თვალები ჰქონია ამ პატარა ბიჭს — იუსტინე ამონ-რას სიკეთესა და თანაგრძნობაში ჩაიძირა, მის თვალებში ჩაპატარავდა და უცბად იგრძნო, რომ სული და სხეული ეწმინდებოდა.

— ამონ-რა, უსაზღვრო პატარა ბიჭო! მომიტევე, მომიტევე! — ამონ-რას მხრებზე შემოხვია ხელები, მხარზე თავი დაადო და ასე გააგრძელა ტირილი, მაგრამ ეს უკვე მონანიებისა და მადლიერების ტირილი იყო.

ასე გაგრძელდა რამდენიმე წუთს. ბოლოს ავგუსტამ ისევ ჩაავლო თმებში ხელი იუსტინეს და თავისკენ ნაზად მიიზიდა. იუსტინე წამოდგა და ახლა უკვე ავგუსტასა და ამონ-რასაც ზემოდან დახედა: ამონ-რა მხრებამდე ძლივს სწვდებოდა ავგუსტას, ავგუსტა კი მხრებამდე ძლივს სწვდებოდა იუსტინეს. მაგრამ იუსტინე ახლა უკვე ხვდებოდა, რომ მათ შორის ყველაზე პატარა ყველაზე დიდი იყო.

ამ დროს ღობის მიღმა გზიდან ბავშვების სიხარულიანი ხმები მოისმა. გარბოდნენ ბავშვები და ატყობინებდნენ ყველას:

— იესო მოდის... იესო ქრისტე მოდის... ქრისტე მოდის... ალილუია, ალილუია...

ამონ-რას გული აუჩქარდა.

აი, თურმე რატომ ესწრაფვოდა დღევანდელ დღეს, რატომ უთხრა ავგუსტას, რომ მესამე დღეს საკუთარ ბაღში გაისეირნებო. იმიტომ რომ იერუსალიმისკენ მიმავალ ქრისტეს დღეს ამ გზაზე უნდა გაეელო. ავგუსტამ უნდა დაინახოს იგი. თავადაც კიდევ ერთხელ დაინახავს იესოს და, იქნებ, ანდრიასაც მოკრას თვალი.

— რა ხდება, ამონ-რა?! — გაოცდა ავგუსტა, — განა ეს ბავშვები მართალს გაიძახიან?!

— ქალბატონო, მართალს გვახარებენ ბავშვები. წავიდეთ, იქნებ დავინახოთ უფალი! — მიუგო ამონ-რამ, მეორე

ხელი იუსტინეს ჩაავლო და ორივე თან გაიყოლა. ავგუსტაც და იუსტინეც მორჩილად მისდევდნენ ამონ-რას: ავგუსტა რწმენით, სიხარულით და მადლიერებით სავსე, იუსტინე კი ჯერ კიდევ გაურკვეველი თავის თავში — რა მოხდა და რა ხდება.

ისინი ჭიშკრიდან გზაზე გავიდნენ.

მახარობელი ბავშვები მორბოდნენ, ხტოდნენ და იუწყებოდნენ:

— იესო მოდის... ქრისტე მოდის... ალილუია!

სახლებიდან ხალხი გამორბოდა და გზა მალე გაივსო იესოს ნახვის მსურველებით.

ალაგ-ალაგ ხალხმა სახლებიდან ფარდაგები გამოიტანა და გზაზე დაფინა. ქალებმა გზა ლამაზი ყვავილებით დაფარეს. შუაგზაზე ან გზისპირას ავადმყოფები, ხეიბრები, ბრმები და ყრუები ჩამწკრივდნენ. ერთგან შვილებმა დამბლადაცემული მამა საწოლით გამოიყვანეს და გზისპირას დააყენეს. ადამიანები იმედსა და აღტაცებას ვერ ფარავდნენ.

ამ ამბის მაყურებელ იუსტინეს უცბად სულში სინათლე ჩაუდგა, ამონ-რასგან ხელი გაითავისუფლა და სასახლეში შებრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ მას და მოსამსახურეებს ზურგზე აკიდებული ფარდაგები და ხალიჩები მოჰქონდათ. იუსტინემ თავისი ხელით გაშალა უზარმაზარი ხალიჩა გზაზე სასახლის წინ. მოსამსახურეებმაც ერთმანეთის მიყოლებით დაფინეს გზაზე ძვირფასი მოქარგული ხალიჩები და ფარდაგები.

ამასობაში შორიდან მომავალი ხალხიც გამოჩნდა.

— აგერ იესო... მოდის იესო... მოდიან... — ახმიანდა გზაზე გამოფენილი ხალხი.

იესო ქრისტე ვირზე იჯდა, თეთრი სამოსი ეცვა.

აქეთ-იქიდან მოციქულები ედგნენ, უკან ხალხის ნაკადი მოსდევდა.

პროცესია ნელა მოიწევდა წინ.

— იესო, ალილუია... იესო, ალილუია... — იძახდნენ ბავშვები, ქალები, მოხუცები. ყვავილების წვიმა არ ცხრებოდა..

იესო და მისი მოწაფეები იუსტინეს სასახლეს მოუახლოვდნენ. გზისპირას მომლოდინე ავადმყოფები და ხეიბრები იესოს წინ გადაუდგნენ და შველა სთხოვეს. მოწაფეებმა

დააპირეს გზა გაეთავისუფლებინათ, მაგრამ იესომ დაუშალა, ვირიდან გადმოვიდა და ავადმყოფებსა და ხეიბრებს მიმართა:

— ყოველ თქვენგანს რწმენისამებრ მოგეგოთ! — და ხელები მათკენ გაიშვირა.

ავგუსტამ, იუსტინემ, ამონ-რამ და ყველამ, ვინც ახლოს იდგა, ან ხეზე იჯდა, ან მაღალი იყო, დაინახეს, როგორ ხდებოდა სასწაული: ყრუმ ყვირილი დაიწყო — მესმისო; ბრმა გაოგნებული იყურებოდა აქეთ-იქით — ვხედავ, ვხედავო; კაცი, რომელიც შვილებმა საწოლით გამოიყვანეს, ფეხზე წამოდგა — მოვრჩი, შვილებო, მოვრჩიო, გაიძახოდა; ორად მოკაკვული ქალი წელში გაიმართა და ბედნიერმა შესძახა — ადამიანად ვიქეცი!; კაცს, რომელსაც სახე და სხეული უკურნებელი წყლულებით ჰქონდა დაფარული, განიწმინდა და სიხარულისაგან ატირდა. ადამიანები ხან ერთს უყურებდნენ გარშემო, ხან მეორეს, რომ საკუთარი თვალით ეხილათ ხეიბარი, რომელსაც ფეხი მოურჩა, ბრმა, რომელმაც ქვეყანა დაინახა, დაწყლულებული, რომელსაც სხეული განეწმინდა. გაოცება, გაოგნება, გაკვირვება, აღტაცება — აი რას გამოხატავდნენ ისინი თავიანთი წამოძახილებით, სახით, ხელებით.

ბევრი განიკურნა, მაგრამ ზოგს არაფერი ეშველა: კუტი იყო და კუტად დარჩა, ბრმა იყო და ბრმად დარჩა, ენაბლუ იყო და ისევ ენაბლუობდა.

— ჩვენ რა დავაშავეთ, იესო!

— უფალო, ჩვენც მოგვხედე!

— გვიხსენი, უფალო!

ეხვეწებოდნენ ისინი და წყრებოდნენ მასზე: ეს რანაირი მესიაა, ზოგს კურნავს და ზოგს — არაო.

იესომ სიბრალულით გახედა მათ.

— ოი, მოქმედნო ურჯულოებისა! — მიმართა იესომ, — ვინც მეუბნება „უფალო, უფალო!," ყველა როდი განიწმინდება და განიკურნება, ან ყველა როდი შევა ცათა სასუფეველში! რატომ მიწოდებთ: „უფალო, უფალო!" — და იმას არ აკეთებთ, რასაც გეუბნებით?

იესომ გზა განაგრძო და იუსტინეს სასახლის წინ გაჩერდა.

— ანდრია, აი ჩემი პატარა მწყემსი! — მიმართა გვერდით მდგომ ანდრიას და ხელი ამონ-რასკენ გაიშვირა.

შემდეგ ავგუსტაზე მიუთითა, — ჭეშმარიტად გეუბნები შენ, ანგელოზი ანგელოზს ფრთებს უსწორებს!

ანდრიამ ტკბილად გაუღიმა ამონ-რას და ფიქრით უთხრა: „ვამაყობ შენით, ჩემო ბოჭო!“

ამონ-რამაც ფიქრით უპასუხა: „ანდრია, ჩემო მასწავლებელო, მე შენით ვამაყობ. გმადლობთ, ანდრია!“

ავგუსტა მონუსხულივით შეჰყურებდა იესოს და გულში ებეჭდებოდა მისი ყოველი სიტყვა, მოძრაობა, ხმა, მისი სახე.

იესომ გზა გააგრძელა. ამონ-რამ თვალი გააყოლა. გული საკუთარ ჰქონდა მოგიზგიზე ცეცხლით.

პროცესიამ ნელა ჩაიარა. ბევრი აედევნა მას.

გზაზე გამოსული ხალხი კიდევ დიდხანს საუბრობდა იესო ქრისტეზე, მის იგავებსა და მცნებებზე.

განკურნებულნი ხალისით უყურებდნენ ყველას, რა სატანჯველისაგან იხსნა ისინი იესო ქრისტემ. ისინი კი, ვინც არ განიკურნა, იესოს აუგად იხსენიებდნენ და იძახოდნენ: ეგ რომ მართლა მესია იყოს, ჩვენ ასე არ მოგვექცეოდაო. მაგრამ მათ ცოტა უსმენდა.

იუსტინემ ნათლად და გარკვევით მოისმინა, როგორ თქვა იესო ქრისტემ: „ანგელოზი ანგელოზს ფრთებს უსწორებსო,“ და იმასაც მიხვდა, რომ ამონ-რასა და ავგუსტაზე ამბობდა.

დღევანდელმა დღემ შეძრა იუსტინეს სული, გამოაღვიძა, გამოაფხიზლა და არჩევანის წინაშე დააყენა.

ეს-ეს არის იესო ქრისტემ მისი სასახლის წინ გზაზე გაიარა.

სულ ცოტა ხნის წინ კი ავგუსტა ამონ-რასთან ერთად ბაღში მოსეირნე დაინახა.

იუსტინემ ჯერ კიდევ არ იცოდა, რას უქადაგებდა იესო ადამიანებს, არაფერი იცოდა ცათა სასუფევლის შესახებ. მაგრამ ქრისტეს ცოცხალმა სახემ, მისმა ხმამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იუსტინემ გუმანით იგრძნო, რომ მართლაც იხილა ძე ღვთისა, რომელსაც ხალხისათვის ცხოვრების განახლების კანონი მოაქვს. იუსტინე იესოს ქარაგმამ გააოცა და ჩააფიქრა: „ანგელოზი ანგელოზს ფრთებს უსწორებსო.“ „რას უნდა ნიშნავდეს ეს? — ფიქრობდა იუსტინე, — განა მარტო იმას, რომ ამონ-რა ავგუსტას ჯანმრთელობაზე ზრუნავს? რატომ თქვა იესომ — ფრთებს უსწორებსო, ან რა-

ტომ უწოდა მათ ანგელოზები? იესო ქრისტე და ამონ-რა — რა კავშირია მათ შორის?“ ამ კითხვებით მიმართა იუსტინემ თავის თავს და მხოლოდ ის დასკვნა გამოიტანა, რომ ამონ-რა, ეს პატარა ბიჭი, რომელიც მხოლოდ ცხრა წლისაა, ღვთის საქმეს ასრულებს. მაშ, ავგუსტას მორჩენაც ღვთის საქმეა.

იუსტინეს ეჭვები ამონ-რას მიმართ ერთბაშად დაიმსხვრა.

ავგუსტა, იუსტინე და ამონ-რა დიდხანს იდგნენ გზაზე, უსმენდნენ ადამიანებს, რომლებიც ქრისტემ განკურნა.

ამონ-რას ისევ მაგრად ეჭირა ხელში ავგუსტას ხელი. ახლა იუსტინესაც მოჰკიდა ხელი და ორივე სასახლისკენ შეაბრუნა. ამონ-რას ხელისგან იუსტინეს გულში უცბად შეიჭრა რაღაც ცხელი ნაკადი და სისხლში გადაინაცვლა. იუსტინეს მთელი სხეული აჟღერდა.

— ამონ-რა, — მიმართა იუსტინემ, როცა სასახლეში შევიდნენ, — თუ შეიძლება, მეც მოვუსმენ შენს საუბრებს ავგუსტასთან!

იუსტინეს ეგონა, ამონ-რა თავს შეიკავებდა, ან არაო, ეტყოდა იმის შიშით, რომ არ განმეორებულიყო ის, რაც პირველ დღეს მოხდა. მაგრამ ამონ-რამ, რომლისთვისაც წარსული უკვე აღარ არსებობდა, თავისი მშვიდი და კეთილი ხმით უთხრა:

— კარგი, შეიძლება.

მე უკვე მყავს მამა, რომელიც მეხმარება საუნჯე დავიმკვიდრო ზეცაში

ამ დღის შემდეგ კიდევ სამმა დღემ გაიარა.

ავგუსტა ყოველდღიურად იცვლებოდა: მის სახეზე წაიშალა უკანასკნელი კვალი თითქმის სამწლიანი მძიმე ავადმყოფობისა და პირვანდელი სილამაზე დაუბრუნდა. ავგუსტას სულმა გაუძლო ავადმყოფობის გამოცდას — კიდევ უფრო ამაღლდა და აღივსო უფლის სიყვარულით.

სასახლეში სიცოცხლე აჩქეფდა.

ბაღში გამრავლდნენ ბულბულები და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სტვენაში. სასწრაფოდ გულუხვად აკოკრდნენ და გაიშალნენ ბუჩქებზე ვარდები, დაამშვენეს და საამო სურნელით აავსეს იქაურობა.

ნაკადული კალაპოტში ველარ დაეტია — ცეკვა და ხტუნვა დაიწყო. სასახლეს ირმები შემოეჩვივნენ და ავგუსტას ეთამაშებოდნენ.

დროდადრო ღრუბლები ეშვებოდნენ და საინტერესო სანახაობებს ქმნიდნენ.

გაიხარეს მონებმა და მოსამსახურეებმა, როცა თავიანთი კეთილი და ლამაზი ქალბატონი იხილეს.

იუსტინე ხარბად ისმენდა ამონ-რას საუბრებს ქრისტეზე, უყურებდა, როგორ კურნავდა ავგუსტას და როგორ მის თვალწინ იცვლებოდა მისი საყვარელი მეუღლე.

— რა ძალაა შენში? — ჰკითხა ამონ-რას და ხელებზე კოცნა დაუპირა.

ამონ-რამ არ დაანება.

— ხომ მოგახსენეთ, ბატონო, — უპასუხა იუსტინეს, — ღმერთმა განკურნა ავგუსტა. მე მხოლოდ მისი ნება აღვასრულე.

— მე ვღებულობ იესო ქრისტეს მოძღვრებას! — გრძნობით წამოიძახა იუსტინემ, — მითხარი, შემიძლია ჩემს თავს ქრისტიანი ვუწოდო?

ამონ-რამ გაიღიმა.

— ბატონო, მომავალში, ალბათ, ადამიანებს, რომლებიც ქრისტეს ირწმუნებენ, ქრისტიანებს დაუძახებენ.

— ნუ მიწოდებ მე ბატონს, მე არ შემიძლია შენი ბატონი ვიყო.

იუსტინეს შეუყვარდა ამონ-რა — პატარა ბიჭი — რწმენისა და სიკეთის განსახიერება. რაც უფრო აკვირდებოდა მას, მით უფრო აოცებდა მისი ცოდნის სიღრმე და ყოვლისმომცველობა, წინასწარმეტყველური ნიჭი და მკურნალობის ძალა. ვერც წარმოედგინა იუსტინეს, რომ დადგებოდა დღე, როცა ამონ-რა თავის გზას გაუდგებოდა. ეს მას ავგუსტამ უთხრა:

— რას იზამს ამონ-რა, დარჩება თუ წავა ჩვენგან?

— როგორ თუ წავა?! — გაუკვირდა იუსტინეს, — სად უნდა წავიდეს?!

ავგუსტამ მხრები აიჩეჩა.

— ხვალ ჩემს მკურნალობას ამთავრებს... რას იზამს მერე?... წავა... — ავგუსტას სიხარულს წუხილი შეერია: მას უმძიმდა თავის სულიერ მასწავლებელთან დაცილება.

მაშინ იუსტინეს აზრმა გაუელვა.

— ჩემო ქალღმერთო, ვიშვილოთ ამონ-რა! გავზარდოთ, როგორც შვილი. იყოს ის ჩვენი მემკვიდრე!

— არ მოისურვებს! მას თავისუფლების მეტი არაფერი უნდა... — თქვა ავგუსტამ.

მაგრამ იუსტინე დარწმუნებული იყო, რომ ამონ-რას კიდეც გაუხარდებოდა, თუ დიდებული მას მამობას შესთავაზებდა. ამიტომ მიიხმო თავისთან ამონ-რა, დაათვალიერებინა სასახლე და სამფლობელოები, უჩვენა საგანძურში ოქროთი სავსე საჭურჭლეები, უამბო, რა დიდებული ქონება და სამფლობელოები აქვს რომში. იუსტინეს ვერც წარმოედგინა, რომ უპატრონოდ დარჩენილი ცხრა წლის ბიჭი, რომელიც გაჭირვებაშია და მაწანწალობს, უარს იტყოდა ყოფილიყო მემკვიდრე მდიდარი რომაელი არისტოკრატისა.

— შენ იქნები ჩვენი არისტოკრატული გვარის გამგრძელებელი. წამოიზრდები და, შესაძლოა, რომის კეისარი გახდე. ავგუსტას და მე გვინდა ხვალ წვეულებაზე გამოვუცხადოთ მოწვეულ დიდებულებს, რომ შენ ჩვენი შვილი და მემკვიდრე ხარ!

იუსტინე ელოდა ამონ-რას მორიდებულ სიხარულს და, რა თქმა უნდა, თანხმობას.

და ვიდრე ის მოლოდინში იყო, ამონ-რას თვალწინ სურათი დაიხატა: აი, მიჰყავს მაცდურს იესო გამოსაცდელად. აიყვანა მაღალ მთაზე, საიდანაც კარგად ჩანს წუთისოფლის ყველა სამეფო და მათი დიდება, და ეუბნება: „ყოველივე ამას შენ მოგცემ, თუ დამხობილი თაყვანს მცემ.“ იესო უშფოთველად უყურებს წუთისოფლის სამეფოებს და ეუბნება მაცდურს: „განვედ, სატანავ, ვინაიდან დაწერილია: უფალს, შენს ღმერთს ეცი თაყვანი და მხოლოდ მას ემსახურე!“ მაცდური უკმაყოფილო მიდის მისგან, იესოსთან კი ანგელოზები მოფრინდნენ.

— ბატონო... — მაგრამ იუსტინემ შეაწყვეტინა.

— ნუ მეძახი ბატონს, მამა დამიძახე...

— ბატონო, — მიმართა ამონ-რამ იუსტინეს მშვიდი ხმით, — მე უკვე მყავს მამა, რომელიც მეხმარება დავიმკვიდრო საუნჯე ზეცაში.

იუსტინე შეცბა, ვერც ბოლომდე ჩასწვდა პასუხის აზრს — ვინ მამაზე ან რა ზეციერ სიმდიდრეზე ლაპარაკობდა ბიჭი, ნუთუ უარს იტყვის ასეთ ბედნიერებაზე?

ამონ-რამ ცოტა შეიცადა და გააგრძელა:

— ბატონო, იქნებ საინტერესო იყოს თქვენთვის ასეთი ამბავი. მოვიდა იესოსთან ერთი მთავარი და ჰკითხა: „კეთილო მოძღვარო, რა მოვიმოქმედო, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიმკვიდრო?“ იესომ უთხრა მას: „რატომ მიწოდებ კეთილს? არავინ არის კეთილი, გარდა ერთისა — ეს ღმერთია. ხოლო თუ საუკუნო სიცოცხლეში გინდა შესვლა, დაიცავი მცნებანი.“ „რომელი?“ — ჰკითხა მთავარმა. იესომ უპასუხა: „იცი შენ მცნებანი: არ იმრუშო, არ კლა, არ იპარო, არ იყო ცრუმოწმე, ნუ მოატყუებ, პატივი ეცი შენს დედასა და მამას, გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.“ მთავარმა მიუგო: „მოძღვარო, ყოველივე ამას ჩემი სიჭაბუკიდან ვიცავდი. რაღა მაკლია?“ იესომ შეხედა მას, შეუყვარდა და უთხრა: „ერთი რამ გაკლია: წადი, რაც გაქვს, გაყიდე, ღარიბებს დაურიგე და ზეცაში გექნება საუნჯე. მერე მოდი და გამომყევი.“ შეწუხდა და დაღონდა მთავარი, რადგან ძალიან მდიდარი იყო...

იუსტინე დიდი ყურადღებით უსმენდა ამონ-რას და ცდილობდა კარგად გარკვეულიყო ნაამბობში.

ამონ-რამ დაასრულა:

— მთავარმა ვერაფერი უთხრა იესოს და განშორდა. მაშინ იესო თავის მოწაფეებს მიუბრუნდა და განუმარტა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, ძნელია მდიდრისათვის ცათა სასუფეველში შესვლა. უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ცათა სასუფეველში.“

იუსტინე საგონებელში ჩავარდა. მიხვდა, რომ ამონ-რა უარს ამბობდა მისი მემკვიდრე გამხდარიყო და არც რაიმე ქონებით მოიხიბლებოდა. მაგრამ მდიდარი მთავრის ამბავი ბოლომდე ვერ გამოიცნო. „მეც ხომ ახალგაზრდა და მდიდარი მთავარი ვარ, როგორ მოვიქცე?“ — ჰკითხა თავის თავს და პასუხს დაუწყო ძებნა.

ამ დროს ამონ-რას ავგუსტას მოსამსახურემ მოაკითხა: ქალბატონი გიხმობთო.

იუსტინე მოეფერა ამონ-რას და ავგუსტასთან გაუშვა.

ავგუსტა ბაღში ელოდა ამონ-რას.

— აი, რა უნდა გიჩვენო! — და ბრტყელი თეთრი ქვა გაუწოდა, — ცხრა წლის ვიყავი, როცა მდინარეში ეს ქვა დავინახე, დავწვდი და ამოვიღე, თუმცა კინაღამ მდინარემ თან გამიყოლა. მას შემდეგ ეს ქვა ჩემს მფარველად გავიხადე და ყოველთვის თან დამქონდა. რაც ავად ვიყავი, სულ სასთუმალთან მედო. შეხედე, რა არის ზედ დახატული ან რა ლამაზი ხაზებია! ზოგჯერ მგონია, რომ რაღაც არის დაწერილი და ვცდილობ გამოვიცნო. გინახავს ასეთი რამ?

ამონ-რამ ქვა ყურადღებით დაათვალიერა, ავგუსტას ხელისგულებს დააკვირდა და ქვის ხაზებს შეადარა.

— ქალბატონო, ეს თქვენი ქვაწერილია.

ავგუსტას ძალიან გაუკვირდა ამონ-რას ნათქვამი.

— რა არის ქვაწერილი?! რატომ არის ქვაწერილი?!

— ქალბატონო, ეს ქვაწერილი მრავალი წლის წინათ გამოგიგზავნათ თქვენმა მასწავლებელმა, დიდმა სულმა. მასზე ჩაწერილია თქვენი ამქვეყნიური ცხოვრების მთავარი აზრი.

და ამონ-რამ ანდრიასეული გულმოდგინებით განუმარტა ავგუსტას, რას ნიშნავს ქვაწერილი და რა მნიშვნელობა აქვს მის ამოცნობას.

— თქვენ ბედნიერი ბრძანდებით, რომ საკუთარ ქვაწერილს მიაგენით და ცდილობთ ამოიცნოთ იგი.

ავგუსტამ უკან გამოართვა ქვაწერილი ამონ-რას.

— მაშ ეს ხაზები და ნიშნები მართლა რამეს ნიშნავს? — ეტყობოდა, რომ ავგუსტა ღელავდა.

— დიახ, მხოლოდ თქვენთვის, რადგან ეს ქვა თქვენთან გამოგზავნილი წერილია.

ავგუსტა ქვაში ჩაწერილ ნიშნებს დააკვირდა, სახეზე გაოცება აღებეჭდა, თვალები გაუფართოვდა.

— ამონ-რა, თითქოს ვცნობ ნიშნებს. დამეხმარე წავიკითხო!

— არა, ქალბატონო, — მიუგო ამონ-რამ, — თქვენს ქვაწერილს მხოლოდ თქვენ წაიკითხავთ. მე იმით დაგეხმარეთ, რომ გითხარით, რას ნიშნავს ქვაწერილი. და როცა ქვაწერილის საიდუმლოს გაიგებთ, თქვენვე უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება — გაჰყვებით თუ არა მინიშნებულ გზას.

— კარგი, რაკი ასეა, ვეცდები წავიკითხო, რა წერია ჩემს ქვაწერილზე!

ავგუსტა მოუთმენლობამ შეიპყრო, ხის ჩრდილქვეშ ბალახებზე მოიკეცა და ქვაწერილი მუხლებზე დაიდო. დიდხანს, მზის ჩასვლამდე, თავი არ აუწევია. ხან პოულობდა გასაღებს, როგორ წაეკითხა ქვაწერილი, ხან ისევ კარგავდა მას. თითქოს ამოიცნო ზოგიერთი ნიშანი, მაგრამ ტექსტისა და ხაზების აზრი მაინც ვერ ამოიკითხა.

იუსტინეს ხმა გაისმა:

— ავგუსტა, ჩემო ქალღმერთო, სად ხარ?

ავგუსტა გამოერკვა. იუსტინემ შენიშნა ხის ქვეშ მჯდარი ავგუსტა და მისკენ წამოვიდა.

— უნდა გაგახარო, — უთხრა იუსტინემ, როცა მიუახლოვდა, — ხვალ ჩვენს წვეულებაზე მამაშენიც იქნება... გვეწვევა პროკურატორი პილატე, მეოთხედმთავარი ჰეროდე ანტიპა. წვეულება ისეთი დიდებული უნდა გვქონდეს, როგორიც ამ სასახლეს არასდროს უნახავს!

ავგუსტა უფლის ანგელოზია

ავგუსტას მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს — სანთლების შუქზე ქვაწერილს ჩაჰკირკიტებდა.

„რას ნიშნავს ეს ხაზები? — ფიქრობდა ავგუსტა, — ხაზები წნულების დიდ კონას ჰგავს. კონაში ერთი მთავარი ხაზია, რომელსაც ხელებივით გამოუშვერია ორი ტოტი და ყველა ხაზი თავისკენ მოუზიდავს, თითქოს გულში ჩაუკრავს. ვთქვათ, ეს ხაზი მე ვარ, ეს ჩემი ცხოვრების გზაა. მაგრამ ეს ხაზები რაღაა? რატომ ვიხუტებ მათ გულში? რატომ არის ასე ბევრი ხაზი ერთის გარშემო, რომლის შემდეგ ყველა მათგანი ისევ თავ-თავის გზით მიემართება? რატომ არიან ეს ხაზები უფრო პატარები და ნორჩები?“

ბევრი იფიქრა ავგუსტამ, მაგრამ პასუხს ვერ მიაგნო.

შემდეგ ნიშნებში სცადა გარკვევა და მათში სიტყვების ამოცნობა. იესოს ნათქვამი გაახსენდა: „ანგელოზი ანგელოზს ფრთებს უსწორებსო.“ „ანგელოზი! ხომ არ წერია აქ სადმე ეს სიტყვა?“ — გაიფიქრა ავგუსტამ და არც გაუჭირდა ბოლოსწინა ნიშნების ჯგუფი ამ სიტყვებისათვის მიემსგავსებინა. მალე ამის მეშვეობით კიდევ ერთი სიტყვა ამოიკითხა: „ნათელი;“ კიდევ მომდევნო სიტყვა; „უნათლოთა.“

ირიჟრაჟა. მზის პირველ სხივზე მასთან ამონ-რა მოვა. დღეს მეშვიდე დღეა და ამონ-რა დაასრულებს მკურნალობას. ავგუსტას იუსტინემ უთხრა, რომ ამონ-რამ უარი თქვა მათი მემკვიდრე და შვილობილი გახდეს. მაშ ავგუსტა ვერ გაუწევს მას დედობას. როგორ უნდა ავგუსტას, რომ დედა იყოს, ბევრი შვილი ჰყავდეს, გაზარდოს ისინი კეთილ და გულმოწყალე ადამიანებად. ავგუსტამ წარმოიდგინა, როგორი დედა იქნებოდა თავისი შვილებისათვის, როგორ ეყვარებოდა ისინი და მათაც ასწავლიდა სიყვარულს. „დედა, დედა, დედა...“ — დაუძახებდნენ შვილები... და უცბად აზრად მოუვიდა ეს სიტყვა მოესინჯა ქვაწერილის ნიშნებში. და რაოდენ დიდი იყო მისი განცვიფრება, როცა მეორე მწკრივი ნიშნებისა ამ სიტყვას დაემთხვა. მზის პირველი სხივი ჯერ კიდევ ემზა-

დებოდა გამოსაჩენად, როცა გახარებულმა ავგუსტამ ასჯერ მაინც გადაიკითხა მთლიანად ამოცნობილი წერილი. ბედნიერი იყო ავგუსტა: ქვაწერილმა გაუხსნა საიდუმლო, ალაპარაკდა მისი ქვაწერილი. სად არის ამონ-რა, რომ უთხრას, რას ამბობს მისი ქვაწერილი!

აკოცა ავგუსტამ ქვაწერილს, გულში ჩაიკრა.

შემდეგ მუხლებზე დადგა და ილოცა, მადლი უძღვნა უფალს.

მზის პირველმა სხივმაც შემოიჭვრიტა ოთახში, კარებს კი ამონ-რა და იუსტინე მიადგნენ.

იუსტინემ ადრეც იცოდა, რომ ავგუსტას ერთი უცნაური ქვა ჰქონდა, ბევრჯერ ცნობისმოყვარეობით ატრიალა იგი ხელში. მაგრამ არასდროს უფიქრია, რომ მის ხაზებსა და ნიშნებში რაიმე აზრი იყო ჩადებული, თუმცა ძალიან უკვირდა: როგორ შექმნა ბუნებამ ასეთი მშვენიერი ქვა და ასე გონივრულად ამოქარგა იგი. ავგუსტას კი მისთვის ჯერ ნათქვამი არ ჰქონდა, რაც გუშინ ამონ-რამ ქვაწერილზე უთხრა. ამიტომ იუსტინე ვერ მიხვდა ავგუსტას აღტაცებისა და სიხარულის მიზეზს, ვერ გაიგო, რატომ მიეგება ამონ-რას, მუხლი მოუყარა, ხელები დაუკოცნა, თავი მკერდზე მიადო და ატირდა. იუსტინემ იფიქრა, განკურნების გამო უხდის მადლობასო.

ავგუსტა კი ახლა სხვა რამის გამო ტიროდა.

ეს იყო სიხარულის და ბედნიერების ცრემლები. ავგუსტა მადლობას უხდიდა პატარა ბიჭს, ანგელოზს, რომელმაც ფრთები გაუსწორა და ცხოვრების გასაღები აპოვნინა.

რისთვის სჭირდება ადამიანს ფრთები? გასაფრენად, რა თქმა უნდა. სულს სჭირდება ფრთები, რომ აფრინდეს. ამონ-რამ სწორედ სულის ფრთები გაუსწორა ავგუსტას და იმ გზის პოვნაშიც დაეხმარა, საითკენაც ავგუსტა უნდა გაფრინდეს.

— ქალბატონო, აბრძანდით! — უკვე მერამდენედ სთხოვა ამონ-რამ ავგუსტას, მას კი არ ესმოდა.

იუსტინემ მხრებზე მოჰკიდა ხელი და ააყენა.

იუსტინეს არასოდეს უნახავს ავგუსტას ასეთი ბედნიერი სახე, არც ასეთი ლამაზი უნახავს იგი ოდესმე — ქალი ანათებდა.

— ამონ-რა, მე წავიკითხე ჩემი ქვაწერილი! — ხმის კანკალით წარმოთქვა ავგუსტამ, — აი, რა წერია აქ!

ავგუსტამ თითი გაადევნა ქვაში ჩაკირულ ნიშნებს და ნელა ამოიკითხა:

„იყავნ
დედა უდედოთა,
ნათელი
უნათლოთა,
ანგელოზი უფლისა.“

ამონ-რამ გაიღიმა. თითქოს ცისფერმა ალმა გადაუარა სახეზე, ისეთი იყო მისი ღიმილი.

იუსტინემ ვერაფერი გაიგო, გარდა იმისა, რომ ქვაზე თურმე რაღაც ყოფილა დაწერილი, და ავგუსტამ შეძლო მისი წაკითხვა. ამიტომ ავგუსტას ჰკითხა:

— რას ნიშნავს ეს სიტყვები? რატომ გიხარია ასე მათი წაკითხვა?

— ჩემო კეთილო მბრძანებელო, — მიმართა ავგუსტამ იუსტინეს და კისერზე მოეხვია, — ამ ქვაზე ჩემი ცხოვრების გზაა ჩაწერილი. ეს ჩემი ქვაწერილია, რომელიც ჩემმა მასწავლებელმა, დიდმა სულმა ოდესღაც გამომიგზავნა!

— ქვაწერილი?! — გაიკვირვა იუსტინემ, — ეს რაღაა? და როგორია შენი ცხოვრების გზა?

ავგუსტამ დააპირა რაღაც ეთქვა, მაგრამ გაჩუმდა. მერე თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ჩემი ცხოვრების გზა... მართლაც, როგორია ჩემი ცხოვრების გზა? რას მეუბნებიან ეს სიტყვები და ხაზები?

— ქალბატონო, — მიმართა ამონ-რამ, — თქვენ ამოიცანით ტექსტი, მაგრამ ახლა უნდა ამოიცნოთ მთავარი: ტექსტისა და ხაზების აზრი. ამის საიდუმლო თქვენმა გულმა იცის, ჰკითხეთ მას. მაშინ სრულად გეცოდინებათ გზა, რომელსაც სულის სრულყოფისკენ მიჰყევხართ. ეს ცოდნა არჩევანის წინაშე დაგაყენებთ: გაჰყვებით ამ გზას, რომელიც არ გიქადით უზრუნველობას, თუ არ გაჰყვებით მას და სხვა გზას აირჩევთ.

ავგუსტამ დიდი ყურადღებით მოისმინა ამონ-რას დარიგება.

— ახლა დაბრძანდით, — სთხოვა ამონ-რამ ავგუსტას.

იუსტინეს ბევრი კითხვა გაუჩნდა ამონ-რასა და ავგუსტას საუბრის გამო, მაგრამ თავი შეიკავა მათგან, რადგან ამონ-რა ავგუსტას მკურნალობას შეუდგა.

ამონ-რამ საწოლზე ჩამომჯდარი ავგუსტას ორივე ხელი თავის ხელებში დაიჭირა და გულის ცეცხლი მოიმარჯვა. გული ბუხარივით აგიზგიზდა და ამონ-რამ უბრძანა ცეცხლს მისი ხელების მეშვეობით ავგუსტას სხეულში გადასულიყო.

ავგუსტა უჩვეულო ჟრუანტელმა შეიპყრო.

გრძნობდა, რაღაც ძლიერი ხდებოდა მის სხეულში, სულში, რაღაც იდევნებოდა და რაღაც მკვიდრდებოდა; ხდებოდა რაღაც იდუმალი, უთქმელი.

იუსტინეც გრძნობდა ამ იდუმალ ძალას და ხედავდა კიდეც, როგორ ემატებოდა სინათლე ავგუსტას სახეს.

რამდენიმე წუთიანი დუმილის შემდეგ ამონ-რამ წყნარი, მშვიდი და რწმენით სავსე ხმით დაიწყო:

— ისმინეთ იესო ქრისტეს გაფრთხილება განკითხვის დღეზე. მოვა კაცის ძე თავისი დიდებით და ყველა ანგელოზი მასთან ერთად, და დაჯდება დიდების ტახტზე. შეიყრება მის წინაშე ყოველი ერი და იგი გამოარჩევს მათ ერთიმეორისაგან, როგორც მწყემსი გამოარჩევს ხოლმე თხებს ცხვრებისაგან. და დააყენებს ცხვრებს თავის მარჯვნივ და თხებს — მარცნივ. მაშინ ეტყვის მეუფე თავის მარჯვნივ მდგომთ: „მოდით, მამაჩემის კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ წუთისოფლის დასაბამიდან თქვენთვის გამზადებული სასუფეველი. ვინაიდან მშიოდა და საჭმელი მომეცით, მწყუროდა და მასვით; უცხო ვიყავი და მიმიღეთ; შიშველი ვიყავი და შემმოსეთ; სნეული ვიყავი და მომარჩინეთ; საპყრობილეში ვიყავი და მომაკითხეთ.“ მაშინ მართალნი ეტყვიან მას პასუხად: „უფალო, როდის გიხილეთ შენ მშიერი და დაგაპურეთ? ან მწყურვალი და გასვით? როდის გიხილეთ უცხო და მიგიღეთ? ან შიშველი და შეგმოსეთ? როდის გიხილეთ შენ სნეული ან საპყრობილეში მყოფი და მოგაკითხეთ?“ მეუფე მიუგებს მათ პასუხად: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც კი გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, მე გამიკეთეთ.“ მაშინ იმათაც ეტყვის, ვინც მარცხნივაა: „წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისათვის. ვინაიდან მშიოდა და საჭმელი არ მომეცით; მწყუროდა და არ მასვით; უცხო ვიყავი და არ მიმიღეთ; შიშ-

ველი ვიყავი და არ შემმოსეთ; სნეული ვიყავი და საპყრობილეში და არ მომინახულეთ.“ ისინიც მიუგებენ პასუხად: „უფალო, როდის გიხილეთ შენ მშიერი, ან მწყურვალი, ან უცხო, ან შიშველი, ან სნეული, ან საპყრობილეში და არ გემსახურეთ?“ მიუგებს უფალი პასუხად: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: როგორც არაფერი გაუკეთეთ არც ერთს ამ მცირეთაგანს, არც მე გამიკეთეთ.“ და წავლენ ესენი საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი — საუკუნო სიცოცხლეში.

ამონ-რა გაჩუმდა. მისი ხელებიდან კვლავ მიედინებოდა გულის ცეცხლი ავგუსტას სხეულსა და სულში.

ავგუსტა და იუსტინე ფიქრებში ჩაიძირნენ.

ავგუსტა იმაზე ფიქრობდა, თუ რას ნიშნავდა „დედა უდედოთა“ და „ნათელი უნათლოთა“ და როგორ უნდა აღესრულებინა თავისი ვალი, რათა მართალი შეხვედროდა განკითხვის დღეს.

იუსტინეს კი არ ასვენებდა მდიდარი თავადის ბედი. რას იზამს იგი: გაყიდის მთელ თავის ქონებას, დაურიგებს ღარიბებს და გაჰყვება იესოს, თუ ვერ შეელევა თავის სიმდიდრეს.

ამონ-რამ აცალა ავგუსტას და იუსტინეს ეფიქრათ.

კარგა ხნის შემდეგ მშვიდად თქვა:

— ქალბატონო, თქვენ უკვე ხმაც დაგიბრუნდათ. თქვენი სიმღერა ბევრს მოხიბლავს.

ავგუსტას სახე გაებადრა.

ნუთუ მართლა შეუძლია დაუკრას არფაზე და ძველებურად იმღეროს? სიმღერაში იგი ყოველთვის შვებასა და ალმაფრენას განიცდიდა.

— ახლავე შემიძლია ვიმღერო? — ჰკითხა მოუთმენლად ამონ–რას.

— დიახ, ქალბატონო.

და მაშინვე ავგუსტამ დიდი ოთახის დავიწყებულ კუთხეს მიმართა. აქ უკვე სამი წელია უქმად დევს მისი ოქროს არფა. დიდი ხანია დაკარგა იმედი, რომ იგი ოდესმე კვლავ დასჭირდებოდა. ოჰ, რამდენი მტვერი დასდებია! ავგუსტამ სათუთად გაწმინდა არფა, ხმები გაუსინჯა, ააწყო. შემდეგ ამონ-რასა და იუსტინეს წინ დაჯდა და სიმღერისათვის მოემზადა.

— ამონ-რა, რომ ვერ შევძლო? ხმამ რომ მიღალატოს?

— ნუ შიშობთ, ქალბატონო, თქვენ კიდევ უფრო უკეთესად იმღერებთ, ვიდრე ადრე! — რწმენით უპასუხა ამონ-რამ.

ავგუსტამ ფრთხილად მოსინჯა არფის სიმები. თითები უფრო და უფრო თამამად ათამაშდნენ არფაზე. ოთახი ჯადოსნური ბგერებით გაივსო.

იუსტინე დაძაბული ელოდა ავგუსტას ხმას. ნუთუ მართლა კიდევ მოისმენს ავგუსტას ღვთიურ სიმღერას?

და აი ავგუსტამ არფის ბგერებში თავისი ხმა ჩააქსოვა. ჯერ ფრთხილად შეარხია ჰაერის ნაკადი და, როგორც კი იგრძნო, რომ ხმა ემორჩილებოდა მის ნებას, ველარ მოითმინა და მკერდიდან, გულისა და სულის სიღრმიდან დაგუბებულმა სიხარულმა ამოხეთქა. მღეროდა ავგუსტა. მღეროდა მადლიერებისა და სიყვარულის სიმღერას, უფლის საგალობელს. ეს იყო მისი მხურვალე ლოცვა, უფლისადმი აღვლენილი. სახეს სიხარულის ცრემლები უსველებდა. დიდ ოთახში მისი სიმღერა ვერ დაეტია, სარკმლებიდან გაიჭრა, კედლები გაკვეთა, კარები ჩამოიღო. სიმღერამ მოიცვა მთელი სასახლე, ბაღი, ქუჩა, სადაც ოთხი დღის წინ იესო ქრისტემ გაიარა. ბულბულები აჰყვნენ ავგუსტას სიმღერას, წყარო გაჩერდა და გაისუსა, უხილავმა ხელმა ღრუბლები ცაზე ხატებად ჩამოქნა. ქუჩაში ხალხი შეიკრიბა და სმენად იქცა. ოთახში კი იუსტინეს ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები, იწმინდებოდა და ფაქიზდებოდა მისი სული.

გულის ცეცხლისაგან დაცლილი და დასუსტებული ამონ-რა ავგუსტას სიმღერისგან იკრებდა ძალას.

ამონ-რამ აღასრულა ღვთის ნება.

ავგუსტამ სიმღერა-ლოცვა-საგალობელი დაასრულა.

არფის ბგერებში ჩაქსოვილი მისი ხმა მარადიულობად იქცა.

— ავგუსტა, ჩემო ქალღმერთო! — შეჰყვირა აღტაცებისგან იუსტინემ, როგორც კი ავგუსტამ სიმღერა დაასრულა.

ბედნიერ, გახარებულ ავგუსტას თავი სიზმარში ეგონა. რა თქმა უნდა, იგრძნო ავგუსტამ, რომ მისი უფლის სადიდებელი სიმღერა ყველა ადრინდელ სიმღერას აჭარბებდა. ავგუსტას სიყვარული და მადლიერება, ერთგულება და თავდადება ამოჰქონდა გულიდან და ამ გრძნობებს სამყაროს ჰფენდა, მაღლა აგზავნიდა — ღმერთთან, დამბადებელთან,

შემოქმედთან. ავგუსტას სახე ასხივებდა, მისი ღიმილი ცისფერ ალად თამაშობდა მის მშვენიერ სახეზე.

— ავგუსტა, ავგუსტა, ჩემო ქალღმერთო! — ვერ ისვენებდა იუსტინე. იგი მეუღლეს მიეჭრა და ისევე, როგორც ათენში ხუთი წლის წინ, ხელში აიტაცა და დაატრიალა. ავგუსტა იცინოდა, იცინოდა და მისი სიცილიც სიმღერას ჰგავდა.

იუსტინემ ავგუსტა ფრთხილად დაუშვა და ახლა ამონ-რას წინ დაიჩოქა, ხელები დაუკოცნა, ჩაიხუტა.

— რა გავაკეთო შენთვის, საკვირველო ბიჭო, რითი დაგასაჩუქრო! შენ ავგუსტა გადამირჩინე, რითი გადაგიხადო ღირსეული ვალი! — აღმოხდა იუსტინეს.

იუსტინე დარწმუნდა, რომ ამონ-რას ვერ მოხიბლავდა ვერავითარი ქონება — ოქროთი სავსე სკივრები თუ ძვირფასეულობანი. მზად იყო დაესაჩუქრებინა იგი გულუხვად, მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ასეთი საჩუქარი? აი, თუნდაც ამ სასახლეს აჩუქებს, თვითონ კი ახალ სასახლეში გადავა, როგორც კი იაკობი მშენებლობას დაასრულებს. უბოძებს დიდ საფლობელოს, სადაც მეფესავით იცხოვრებს. მაგრამ მიიღებს განა ამონ-რა ამ საჩუქარს? მოისურვებს განა მეფესავით ცხოვრებას? იუსტინეს ახსოვდა, რა უთხრა ამონ-რამ ერთი კვირის წინ, როცა ის ავგუსტასკენ მოჰყავდა. მაშინ იუსტინე დაპირდა: მეუღლეს თუ გადამირჩენ, შენს წონა ოქროს მოგცემო. ამონ-რამ მიუგო: მე არაფერი მინდა თქვენგან, მაგრამ თუ ინებებთ და ერთ კეთილ საქმეს შეასრულებთ, თქვენსავე ღირსებას დაამშვენებთო. იუსტინე მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა, რასაც ამონ-რა ეტყოდა.

— მითხარი, ამონ-რა, რითი გადაგიხადო ვალი? — შესთხოვა იუსტინემ.

— ბატონო, — მიუგო ამონ-რამ, — ავგუსტა ღვთის ნებით განიკურნა, მე მხოლოდ აღვასრულე უფლის ნება. თქვენ ჩემს წინაშე არ გაქვთ ვალი. უფლისგან კი ყველანი მარადიულად დავალებულნი ვართ.

— ამონ-რა, რა გავაკეთო უფლისათვის?

— ბატონო, გაიღეთ ხარჯები ტაძრის მშენებლობისათვის ახალი სასახლის წინ, იორდანის მეორე ნაპირას. მშენებლობა კი უცნობ ხუთორმოძღვარს მიანდეთ. — უპასუხა ამონ-

რამ, — ეს კეთილი საქმე თქვენი ღირსების შესაფერისი იქნება.

იუსტინე არც დაფიქრებულა.

— თანახმა ვარ! აშენდეს იქ ტაძარი დიდებული, როგორიც არსად აშენებულა!

და უმალვე დაუმატა:

— მაგრამ არ არის ეს საკმარისი უფლის სამსახურად. რა შემიძლია კიდევ გავაკეთო?

— გული გეტყვით, ბატონო.

— გული მეტყვის, მაგრამ ვიდრე მე გულის ენას ვისწავლი, დრო გავა! შენ მირჩიე!

— ბატონო, რაკი ასეა, მოგახსენებთ, — ამონ-რა წამით დაფიქრდა, — ბატონო, რად გინდათ თქვენ ახალი სასახლე? განა საკმარისი არ არის, რაც გაქვთ? მიეცით ახალი სასახლე ავგუსტას, რომ გამოიყენოს უფლის დავალებისამებრ. ის ხომ უდედოთა დედაა და უნათლოთა ნათელი. ავგუსტა უფლის ანგელოზია.

იუსტინე შეცბა.

რამდენი ხანია ელოდება ახალ სასახლეს. ახალი სასახლით აპირებდა სახელის განთქმას და იუდეაში თავისი დიდების დამკვიდრებას. „აი ჩემი გამოცდაც, — გაიფიქრა იუსტინემ, — მე ან ის მდიდარი თავადი ვარ, რომელმაც არ ისურვა იესოს მცნების შესრულება, ან ის, ვინც ნემსის ყუნწში გაძვრება, რათა დაიმკიდროს ცათა სასუფეველი.“

და იუსტინეს სახე გაუნათდა.

— ავგუსტა, ჩემო ქალღმერთო, შენია ახალი სასახლე! შენ ხარ დედა უდედოთა და ნათელი უნათლოთა, ანგელოზი უფლისა! გამოიყენე, როგორც საჭიროდ სცნობ!

ავგუსტას თავში უცბად გაიელვა ქვაწერილის საიდუმლომ — „დედა უდედოთა, ნათელი უნათლოთა,“ ხაზების კონა ქვაზე... ახალი სასახლე... რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს?

იუსტინემ კი ისევ ამონ-რას მიმართა:

— არც ეს არის საკმარისი უფლის სამსახურად...

— დამიანი უფლის სამსახურს ვერასდროს დაასრულებს. — უპასუხა ამონ-რამ იუსტინეს.

— მე ვიწყებ ამ სამსახურს, საოცარო ბიჭო, ამიტომ იქნებ გავყიდო მთელი ჩემი ქონება და ღარიბებს გავუნაწილო?

ამონ-რამ იგრძნო, რომ იუსტინესთვის უცხო ხდება საკუთრების განცდა, მისთვის ძალას კარგავს ქონება და მაღალი მდგომარეობა, გული მისი სიკეთის ქმნისათვის ემზადება. არა, იუსტინემ არ უნდა გაყიდოს ქონება და დაარიგოს. ასე სიმდიდრე გაუბარაქოვდება. მან თავისი ქონება კეთილ საქმეთა ქმნას უნდა მოახმაროს.

— ბატონო, ძველ სიბრძნეს მოგახსენებთ, — მიუგო ამონ-რამ, — ერთხელ მოწაფეებმა ჰკითხეს კურთხეულს: „როგორ გავიგოთ მცნება, რომელიც მოგვიწოდებს, რომ უარი ვთქვათ საკუთრებასა და ქონებაზე? ერთმა მოწაფემ მიატოვა ყველა ნივთი და მთელი ქონება ღარიბებს დაურიგა, შენ კი მაინც უსაყვედურებ მას მესაკუთრეობას. მეორემ არ მიატოვა არაფერი, მაგრამ შენი საყვედური არ დაუმსახურებია.“ კურთხეულმა უპასუხა: „მესაკუთრეობის გრძნობა განიზომება არა ქონებითა და ნივთებით, არამედ აზრებით.“ ამრიგად, თუ ადამიანი გათავისუფლდება საკუთრების მომწამვლელი სუნთქვისაგან, მაშინ ქონება ხელს არ შეუშლის დაიმკიდროს ცათა სასუფეველი. ქონების დახმარებით იგი უფლის საქმეებს გააკეთებს: ტაძრებს და ხიდებს ააგებს, გზებს გაიყვანს, ჭებს გათხრის.

იუსტინემ გაიხარა.

— ამონ-რა, მე უკვე ვუგებ ჩემს გულს! გული მეუბნება, როგორ ვიცხოვრო! მე ავგუსტას, უფლის ანგელოზს, ამოეუდგები გვერდში და მასთან ერთად ვიღვაწებ!

იუსტინემ შვებით ამოისუნთქა: ასეთი ბედნიერი და ნათელი დილა არასოდეს დამდგარა მის ცხოვრებაში.

ოცდამეთვრამეტე თავი

სასახლეში დიდი წვეულება დიდი გლოვით დასრულდა

— ქალბატონო, ქალბატონო, მამათქვენი მობრძანდა! — დაიძახა კარების მიღმა მოსამსახურე ქალმა.

— მამა! — შესძახა ავგუსტამ და გახარებული გაიქცა გარეთ მამის შესახვედრად. ავგუსტას აღარ სჭირდებოდა ამონ-რას ხელი.

იუსტინე ფეხზე წამოდგა და იგრძნო, როგორ გამსუბუქდა და ამაღლდა ამ დილით: ირგვლივ ყველაფერს უკვე სხვა თვალით შეხედა, გულიც სხვანაირად უძგერდა.

— გმადლობთ, ამონ-რა! შენ ცხოვრების გზა მაპოვნინე! ახლა კი შეხვდები ჩემს მეგობარს და სიმამრს!

ავგუსტა მამას ყელზე ეხვეოდა, კისკისებდა. მამას არ ენახა ავადმყოფი ავგუსტა, მხოლოდ იცოდა, რომ ქალიშვილი ძალიან ცუდად იყო და მკურნალები მის გადარჩენას შეუძლებლად თვლიდნენ. ახლაც იმიტომ მოიჩქაროდა, რომ ქალიშვილი ცოცხალი ენახა. იუსტინემ ის წვეულებაზე მოიწვია, მაგრამ იფიქრა: მიმალავენ ავგუსტას მდგომარეობასო. მამა ბედნიერიც იყო და გაკვირვებულიც, როცა თავისი ქალიშვილი კიდევ უფრო მშვენიერი იხილა, ვიდრე ათენიდან გამოისტუმრა.

— წვეულება გვაქვს, მამა, დიდი წვეულება!

— წვეულება იმის გამო, რომ ავგუსტა გადარჩა, განიკურნა! — დაუმატა იუსტინემ.

— მკურნალები საიდან მოიყვანეთ? — იკითხა ავგუსტას მამამ.

— მკურნალი ერთია, მამა, პატარა ბიჭი, ამონ-რა! გიჩვენებთ მას, ჩვენს ამონ-რას! — ავგუსტამ მოსამსახურეებს სთხოვა ამონ-რასთვის დაეძახათ.

— მალე სტუმრები მოვლენ, მოემზადე! — უთხრა იუსტინემ ავგუსტას, თვითონ კი სიმამრი ბაღში მიიწვია.

ავგუსტა თავის ოთახში გაიქცა და ჩაიკეტა.

მალე სტუმრებმა იწყეს მოსვლა. მოვიდნენ იუდეის პროვინციათა რომაელი მმართველები, მხედართმთავრები, იუდეველი წარჩინებულები, მღვდელმთავრები. ბევრი მოვიდა მეუღლითა და ქალიშვილით. სასახლის ბაღი მოწვეულებით გაივსო. რა ენაზე არ ლაპარაკობდნენ ისინი: რომაულად, არამეულად, ბერძნულად, არაბულად.

— მობრძანდა იუდეის პროკურატორი პილატე პონტოელი თავისი მეუღლით! — გამოაცხადეს მსახურებმა.

იუსტინე მიეგება მათ და პატივი მიაგო.

ცოტა ხანში ისევ გამოაცხადეს:

— მობრძანდა მეოთხედმთავარი ჰეროდე ანტიპა!

იუსტინე მასაც პატივისცემით შეხვდა.

ყველამ იცოდა, რომ პროკურატორ პილატეს და ჰეროდე ანტიპას მტრობა ჰქონდათ ერთმანეთში. ამიტომ გაიკვირვეს, მეგობრულად რომ შეხვდნენ ისინი ერთმანეთს.

სტუმრები ავგუსტას ბაღში დასეირნობდნენ და ყველაფერი უკვირდათ, რასაც ხედავდნენ: ირმები თავს უხრიდნენ პატივცემულ დიდებულებს, ვარდები უხვად აფრქვევდნენ სურნელს, წყარო უცნაურად იქცეოდა — რაკრაკებდა და ხტოდა, შხეფებით ესალმებოდა მათ, ბულბულები მხრებზე ასხდებოდნენ ქალბატონებს და საგალობლებს უგალობდნენ, ლამაზი პატარა ღრუბლები ქოლგებად ეფარებოდნენ მზეზე მოსიარულეებს.

მონებსა და მსახურებს ლამაზი თასებით ნაირ-ნაირი სასმელი და ხილი დაჰქონდათ.

ყველა ავგუსტას გამოჩენას ელოდა. იცოდნენ, რომ ავგუსტა ძალიან ავად იყო, სილამაზე ჩაუქრა, ძალა გამოელია, ბნელი ოთახიდან არ გამოდიოდა და არც არავის უჩვენებდა სახეს. სტუმრების ცნობისმოყვარეობა ზღვარს იყო მისული: როგორ გამოიყურება ახლა ავგუსტა, ვინ განკურნა იგი.

და აი, ავგუსტა სასახლის კიბეებზე გამოჩნდა; და თუმცა არავის გამოუცხადებია, ქალბატონი ავგუსტა მობრძანდებაო, ყველამ უცბად გაიხედა კიბეებისკენ და დაინახა სრულყოფილი მშვენიერება. ავგუსტას თეთრი აბრეშუმის კაბა ეცვა, მხრებზე ღრუბლის მოსასხამი ჰქონდა, შუბლიდან წაყროთა მარგალიტი ფერად სხივებს ისროდა. მისი სახე სიკეთესა და სათნოებას აფრქვევდა. ავგუსტას ირემი მიეგება და მის წინ ლამაზი რქები დახარა, ხოლო ნაცნობი ბულ-

ბული მარცხენა მხარზე დააჯდა და გალობა წამოიწყო. ღრუბელთა ჯგუფმა ავგუსტას თავზე კოხტა საჩრდილობელი შექმნა და ავგუსტას გაჰყვა. ავგუსტამ კიბეები ჩაიარა და სტუმრებისაკენ გაემართა.

მასთან პირველი პროკურატორი პილატე პონტოელი მიიჯრა, ხელზე ეამბორა და მისი მშვენიერებით აღტაცებულმა წარმოთქვა:

— ო, ავგუსტა, შენი სილამაზე აფროდიტეს შეშურდება!

იქვე მეოთხედმთავარი ჰეროდე ანტიპა გაჩნდა. იგი აქამდე იუსტინეს ბაღით იყო მოხიბლული და, ცოტა არ იყოს, შური აღეძრა. ავგუსტას ხილვამ კი წონასწორობიდან გამოიყვანა. იგი პირველად ხედავდა მას, გაგებული ჰქონდა მისი სილამაზის შესახებ, მაგრამ ასეთ სრულყოფას იგი არ ელოდა. ავგუსტას წინაშე მდაბლად დახარა თავი, ხელზე ეამბორა, იუსტინეს მიმართ შური გაუორკეცდა და ბოროტგანზრახული ხუმრობით უთხრა:

— ქალბატონო, თქვენი გულისათვის მზად ვარ გავწირო ჩემი მეოთხედი სამთავრო...

ავგუსტას ირგვლივ სწრაფად შეიკრა მამაკაცების წრე. ულოცავდნენ გამოჯანმრთელებას, უძღვნიდნენ ქების სიტყვებს. ქალთა ერთი ჯგუფი გაწყრა, ქმრებმა რომ მიატოვეს და ავგუსტასკენ გაქანდნენ. სხვები ავგუსტას სილამაზეს ნატრობდნენ.

ავგუსტამ მამაკაცთა წრე გაარღვია და ქალებთან გადაინაცვლა. ყველას ღიმილით მიესალმა და მადლობა მოახსენა მობრძანებისათვის, ზოგი მოიკითხა. ვინ ავგუსტას წამოსასხამით დაინტერესდა და არ იჯერებდა, რომ იგი ღრუბლისგან იყო შექმნილი და ღრუბლებმა უძღვნეს. ერთმა ქალიშვილმა გაკვირვებით ჰკითხა:

— ავგუსტა, რა სამკაული გაქვს შუბლზე?

ავგუსტამ შუბლიდან მარგალიტის მარცვალი მოიხსნა და ხელის გულზე დაიდო.

— ნახეთ, რას იზამს ეს წყაროს მარგალიტი! — უთხრა ცნობისმოყვარე ქალებს.

და რაოდენ დიდი იყო მათი გაოცება, როცა მარგალიტის მარცვალი მყისვე დაიძრა ხელისგულიდან, გაიარა ავგუსტას მკლავი, ყელი, საფეთქელი და თავის ადგილს დაუბრუნდა.

— ჩვენი ბაღის წყარომ მიძღვნა ეს მარგალიტი! — განუმარტა ავგუსტამ ქალებს, მაგრამ მათ ვერც ის დაიჯერეს, რაც საკუთარი თვალით იხილეს, და ვერც ის, რომ ეს იშვიათი ქმნილება წყაროს საჩუქარი იყო.

ისევ პროკურატორმა პილატემ გამოიჩინა სითამამე.

— ამბობენ, — თქვა მან, — ავგუსტა მხოლოდ ღმერთებისთვის მღერისო. იქნებ ჩვენთვისაც იმღეროს ავგუსტამ?

საერთო თხოვნამ ავგუსტა წააქეზა. სასწრაფოდ მოუტანეს მოსამსახურეებმა ოქროს არფა. ავგუსტა კიბის საფეხურზე ამაღლდა, არფა მოიმარჯვა და სიმები მოზიდა. მაღლა მისწრაფებულმა არფის ბგერებმა მალე ავგუსტას ხმაც გაიყოლეს. ავგუსტა უფლის საგალობელს მღეროდა. ახალი ლოცვა-სიმღერა-საგალობელი იმწამსვე იბადებოდა ავგუსტას გულში და უფლისკენ მიქროდა — მაღლა, ხოლო გზადაგზა სამყაროთა მბრძანებლების ყურს ატკბობდა. მღეროდა ავგუსტა თავდავიწყებით, მისი არსებიდან აღმომხდარმა ხმამ, არფის ბგერებში ჩაჩუქურთმებულმა, ყველას გული აუძგერა, ვის ნეტარება მოჰგვარა და სიხარულით აატირა, ვინ — შეაშფოთა და საგონებელში ჩააგდო.

ავგუსტას სიმღერამ მოსვენება დაუკარგა პილატესაც და ჰეროდესაც. ავგუსტას ხმა თითქოს სულის განწმენდას სთხოვდა მოწვეულებს, ცოდვათა მონანიებისკენ მოუწოდებდა. ცოდვა კი, რომელიც გუშინ პილატე პონტიელმა და ჰეროდე ანტიპამ ჩაიდინეს, ავგუსტას სიმღერამ მტანჯველ განცდად გადაუქცია.

სწორედ გუშინ იუდეველთა მღვდელმთავრებმა და მედავითნეებმა პილატეს, იუდეის გამგებელ-პროკურატორს — შეპყრობილი, ნაცემი და შეურაცხყოფილი იესო მოჰგვარეს და მისი სიკვდილით დასჯა მოსთხოვეს. პილატემ დაკითხა იესო, მაგრამ ვერ ჰპოვა მასში დანაშაული. მაშინ ჰკითხა მღვდელმთავრებს:

— განა გალილეველია ეს კაცი?

— ნაზარეველია! — მიუგეს მღვდელთმთავრებმა.

ნაზარეთი მეოთხედმთავარ ჰეროდე ანტიპას სამთავროში შედიოდა.

პილატემ იფიქრა: „გავუგზავნი იესოს ჰეროდეს, მან გამოიძიოს მისი დანაშაული და დასაჯოს. ამით მტრობის ნაცვლად მეგობრობას გამოვუცხადებო.“

ჰეროდე ანტიპამ, როცა იესო დაინახა, გაიხარა, რადგან დიდი ხანია ესმოდა მის შესახებ და უნდოდა ეხილა. იმედი ჰქონდა, რომ იესო რამე სასწაულს უჩვენებდა. მაგრამ რამდენიც არ ეცადა, იესომ არც მის კითხვებს უპასუხა და არც სასწაული უჩვენა. მაშინ განრისხებულმა ჰეროდემ გააჯობინა იგი თავის ჯარისკაცებს, რომლებიც \ციდეც დასცინოდნენ და აფურთხებდნენ მას. შემდეგ ჩააცვა ბრწყინვალე სამოსი და უკან გაუგზავნა პილატეს. ამან პილატე და ჰეროდე გუშინ ერთმანეთთან დაამეგობრა. თუმცა მანამდე ერთმანეთის მტრები იყვნენ.

პილატეს არ უნდოდა იესოს დასჯა. ცოლმაც გააფრთხილა: „არაფერი უყო მაგ მართალს, ვინაიდან მე დღეს სიზმრად ბევრი ვიტანჯე მაგის გამო.“

პილატემ მღვდელმთავრებს გამოუცხადა:

— თქვენ მოიყვანეთ ჩემთან ეს კაცი როგორც ხალხის წამქეზებელი, და აჰა, მე თქვენს წინაშე გამოვიძიე და ვერავითარი დანაშაული ვერ ვიპოვე მასში. არც ჰეროდე ანტიპამ სცნო დამნაშავედ და უკან გამოგვიგზავნა იგი. სიკვდილის ღირსი არაფერი ჩაუდენია მას. ამიტომ ჭკუას ვასწავლი და გავუშვებ!

მღვდელმთავრები, მედავითნეები და მათ მიერ წაქეზებული ხალხი კი გაიძახოდა:

— ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი!

პილატემ გადაწყვიტა შეესრულებინა მათი მოთხოვნა და გადასცა იგი დასასჯელად.

იესო გოლგოთას მთაზე აიყვანეს და ჯვარს აცვეს.

წუხელვე ერთმა კეთილმა და მართალმა კაცმა გამოსთხოვა პილატეს იესოს გვამი და დაასვენა სამარხში. დღეს კი პროკურატორი პილატე და მეოთხედმთავარი ჰეროდე ანტიპა იუსტინეს ეწვივნენ და ახლა ავგუსტას უფლის საგალობელს ისმენდნენ.

„მაინც რანაირი ხმა არის ეს, რომ გულში მწვდება და ყველაფერს მიფორიაქებს?!“ — ფიქრობდა გაოგნებული პილატე.

ჰეროდე ანტიპაც შეძრა სიმღერამ, მაგრამ შურმა და ბოღმამ მას სხვა ფიქრები აღუძრა: როგორ ჩამოეშორებინა იუსტინე და დაესაკუთრებინა ბალიც და ავგუსტაც. „მაშინ მე

ამ ქალს სხვა სიმღერებს ვამღერებ, ისეთებს, რომლებიც გამართობენ,“ — გაიფიქრა ჰეროდე ანტიპამ.

ავგუსტამ კიდევ ერთხელ ჩამოჰკრა არფის სიმებს და ლოცვა-სიმღერა-საგალობლის ბოლო ბგერები ცაში აიჭრა. ავგუსტას სიმღერამ მარადიულობაში გადაინაცვლა.

წუთიერი დუმილის შემდეგ ბალში ოვაციამ იფეთქა და როცა ტაშისცემა ჩაცხრა, პროკურატორმა იუსტინეს ჰკითხა:

— ვინ არის ის მკურნალი, ვინც მშვენიერი ავგუსტა განკურნა?

პროკურატორს იმ აზრმაც გაუელვა, რომ ეს უცნობი მკურნალი, რომელმაც ასეთი სასწაული ჩაიდინა და ავგუსტა გადაარჩინა, სასახლის მკურნალად გაეხადა.

იუსტინემ ირგვლივ მიმოხედა. ეგონა, რომ ამონ-რა სადმე ავგუსტას სიახლოვეს იქნებოდა, მაგრამ ვერსად შენიშნა.

— ამონ-რა! — დაიძახა იუსტინემ, მაგრამ ამონ-რა არ გამოჩნდა, — ავგუსტა, სად არის ამონ-რა? — ჰკითხა მეუღლეს.

ავგუსტაც აქეთ-იქით იყურებოდა და ამონ-რას დაეძებდა, მაგრამ ამაოდ.

მოსამსახურეებს დაავალეს მოეძებნათ მკურნალი და ბალში მოეყვანათ. მაგრამ ვერც მათ იპოვეს იგი. იუსტინე შეწუხდა. ძალიან უნდოდა დიდებულებისთვის ეჩვენებინა ცხრა წლის საოცარი ბიჭი, რომელიც უსაზღვრო ცოდნას ფლობდა, წინასწარმეტყველებდა და რომელმაც სასწაული მოახდინა: შვიდ დღეში ავგუსტა სიკვდილს გამოსტაცა.

— ბატონო, ვერ ვპოულობთ მკურნალს! — უთხრა იუსტინემ პროკურატორს, როცა ამონ-რას ძებნა უშედეგოდ დასრულდა.

პროკურატორმაც და მეოთხედმთავარმაც გაიკვირვეს.

— როგორ, — თქვა ჰეროდე ანტიპამ დაცინვით, — მკურნალი გაქრა?

იუსტინეს არაფერი ჰქონდა სათქმელი.

— ის მაინც გვითხარი, რა მეცნიერებით იმოქმედა მკურნალმა! — მიმართა პილატემ იუსტინეს.

— მან ავგუსტა უფლის ნებით განკურნა! — უპასუხა იუსტინემ.

— როგორ თუ უფლის ნებით?! — გაიკვირვეს დიდებულებმა.

— ვინ არის მისი უფალი? — იკითხა ჰეროდე ანტიპამ.

— მისი უფალი იესო ქრისტეა! — თქვა იუსტინემ და დაუმატა, — იესო ქრისტე ავგუსტას და ჩემი უფალიც არის!

— არ მესმის, რას ამბობს იუსტინე. იქნებ ავგუსტამ აგვიხსნას? — ისევ დაცინვით თქვა ჰეროდემ, თან გაიფიქრა: „რა კარგი მიზეზი მეძლევა ხელთ, რომ იუსტინე დავაჭერინო“.

იუსტინემ იგრძნო დაცინვა, არ შეიმჩნია, რომ სტუმრისთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა.

ავგუსტამ ხალისით განუმარტა:

— მეოთხედმთავარო, ამონ-რამ კითხვა და მეცნიერება იცის, დიდ ცოდნას ფლობს და წინასწარმეტყველების ნიჭი აქვს. იგი ცხრა წლის ბიჭია და ქრისტეს მიერ არის ნაკურთხი. მან კარგად იცის იესო ქრისტეს მოძღვრება ცათა სასუფევლის შესახებ და ჩვენც გაგვანდო. ამ ოთხი დღის წინ იესო ქრისტემ ჩვენი სასახლის წინ ჩაიარა, იერუსალიმისკენ მიდიოდა. ჩვენს თვალწინ სნეულები განკურნა, დავრდომილები ფეხზე დააყენა, ბრმებს თვალი აუხილა. როცა ამონ-რა დაინახა, თავის მოწაფეს უთხრა — აი, უფლის ანგელოზიო — ავგუსტამ არ თქვა სრულად, რაც იესოსგან მოისმინა, რომ ვინმესთვის ავყიობის საბაბი არ მიეცა, — მან მე მიმკურნალა და მიხსნა თავისი გულის ცეცხლით, რასაც იგი უფალ იესო ქრისტესგან ღებულობდა!

პროკურატორის მეუღლე დაძაბული ისმენდა ავგუსტას ნათქვამს, სახეზე ფერი შეეცვალა, პილატეს მივარდა და მკერდში მუშტით დაუწყო ცემა.

— რატომ დაღუპე უცოდველი კაცი, უფალი! — ატირდა იგი, — ხომ შემოგითვალე: სიზმრად ვნახე მეთქი მისი ნათება და ამაღლება. ის ნამდვილად იყო ძე ღვთისა! რატომ გადაეცი იგი გაბოროტებულ მღვდელმთავრებსა და უგუნურ ბრბოს ჯვარცმისათვის!

ქალს გული წაუვიდა.

წვეულები შეჩოჩქოლდნენ. სასწრაფოდ გამოჩნდნენ სასახლის წვეროსანი მკურნალები, რომლებმაც მოასულიერეს ქალბატონი.

ავგუსტამ და იუსტინემ იფიქრეს — ალბათ, კარგად ვერ გავიგეთ, რაც ქალბატონმა თქვაო. ავგუსტა დაბნეულ პროკურატორს მიადგა.

— ბატონო, მიბრძანეთ, ვის ჯვარცმაზეა ლაპარაკი?

პროკურატორმა არ უპასუხა.

ახლა იუსტინემ იკითხა:

— პროკურატორო, თქვენ იესო ქრისტე აცვით ჯვარს?

პროკურატორმა ხელები გაშალა, თითქოსდა მე რა შუაში ვარო, და მის ხმაში თავის მართლება გაისმა:

— ხალხმა მოითხოვა ასე!

პროკურატორის მეუღლე, რომელიც ცრემლებს ვერ იკავებდა, კიდევ უფრო აღშფოთდა და ისევ მუშტებით მივარდა ქმარს.

— შენი უფლება იყო... შენ შეგეძლო არ დაგესაჯა... შენ პროკურატორი ხარ... მაგრამ მშიშარა ხარ, შენ... მღვდელმთავრების შეგეშინდა... — ამას პილატეს მეუღლე ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ტირილით გაიძახოდა, თან მუშტებს არ აჩერებდა, ურტყამდა და ურტყამდა ქმარს, სადაც მოხვდებოდა.

ჰეროდე ანტიპა პილატეს დამცველად გამოვიდა.

— დასასჯელი იყო და დაისაჯა! — განაცხადა მან, — მღვდელმთავრებმა და ხალხმა მოითხოვეს, რა უნდა ექნა პროკურატორს, ვიღაც ცრუწინასწარმეტყველის გამო მეთელ იუდეას და ისრაელს ხომ არ ავაჯანყებთ?

იუსტინე და ავგუსტა გაერკვნენ, რომ სწორედ იესო ქრისტეს ჯვარცმაზეა ლაპარაკი. ჰეროდე ანტიპას საველილო სიტყვამ ავგუსტა მოთმინებიდან გამოიყვანა და ჰეროდე ანტიპას შეუტია:

— ის ჭეშმარიტად ღვთის ძე იყო, უფალი ღმერთი! იესო ქრისტეს არ შეეძლო დანაშაულის ჩადენა. სნეულებს კურნავდა, სიკეთესა და სიყვარულს ასწავლიდა, ხალხს ცათა სასუფევლის საიდუმლო გაანდო! როგორღა გამოვისყიდოთ ცოდვა მისი ჯვარცმის გამო?!

— პილატეს და მე გამოსასყიდი ცოდვები არ გვაქვს! — ბოღმით დაილაპარაკა ჰეროდე ანტიპამ, — თუ იესო მართლა ქრისტე და სასწაულმოქმედი იყო, რატომ არ გადაარჩინა საკუთარი თავი, რატომ არ მიეშველა მას მისი ზეციერი მამა? — ჰეროდე ანტიპას თვალწინ ეხატებოდა გუშინდელი სცენები — როგორ ამცირებდნენ მისი ჯარისკაცები იესოს,

სცემდნენ და ეძახოდნენ: „მოიმოქმედე სასწაული, თუ მართლა უფალი ღმერთი ხარ, მოიხმე მამაშენი ციდან, რომ დაგვსაჯოს შენი ცემისათვის!“ განა არა, შეაწუხა ჰეროდე ანტიპა სინდისმა, რატომ მოვექეცი იმ უბედურს ასე დაუნდობლადო, მაგრამ დანაშაულს მაინც ვერ გრძნობდა.

და ამ დროს ჰეროდე ანტიპას გაახსენდა, როგორ მოატყუეს მისი ლეგიონერები ვიღაც მაწანწალა ბავშვებმა, შემდეგ კი ქალაქის მოედანზე აიგდეს მასხრად, რაღაც დათვის მეშვეობით ლეგიონერებს იარაღი აჰყარეს და მიწაში ჩაარჭეს. უფროსს კი კისერზე ერთი სულელი ბიჭი დაასვეს. ამ ბავშვებიდან ერთ-ერთს სწორედ ამონ-რა ერქვა. აჰა, აი ვინ მაწანწალა ყოფილა ავგუსტას მკურნალი!

— იუსტინე, რა ერქვა თქვენს პატარა მკურნალს? ვერ მოვისმინე მისი სახელი! — გამოსაცდელად იკითხა მეოთხედმთავარმა.

მაგრამ იუსტინე უკვე აღარ იყო მასპინძელი. მან არც იმას მიაქცია ყურადღება, რომ პროკურატორი და მეოთხედმთავარი თანამდებობებით მასზე მაღლა იდგნენ. იუსტინემ საჯაროდ გამოაცხადა:

— ჩვენს სასახლეში აღარ არის დღეს ზეიმი! გლოვაა! ავგუსტა და მე ვგლოვობთ უფლის იესო ქრისტეს სიკვდილს! გთხოვთ დაგვტოვოთ!

დიდებულებმა ერთმანეთს გადახედეს — ეს რა ხდებაო.

— თქვენ გინდათ იგლოვოთ ვიღაც იესოს სიკვდილი? — დაცინვით ჰკითხა ჰეროდე ანტიპამ იუსტინეს, — ამიტომ მომიწვიეთ თქვენთან და ორი დღის გზა გამომატარეთ? ეს დიდებულნიც გლოვისათვის მოიწვიეთ?

მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, რადგან იუსტინემ ავგუსტას ხელი მოჰკიდა და ორივემ სტუმრები ბაღში მიატოვა.

წვეულები დაიბნენ. „მაშ წავიდეთ?“ — ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

არავინ ამართლებდა ავგუსტასა და იუსტინეს მოქმედებას, მაგრამ ვერც იმაში გარკვეულიყვნენ, ვინ იყო იესო ქრისტე და რატომ აცვეს ჯვარს. მოწვეულთაგან არავის სჯეროდა ჰეროდე ანტიპასი, რომელიც იესოს დამნაშავეს უწოდებდა; არც პილატეს ამართლებდა ვინმე, მართალი კაცი ჯვარზე საცმელად რომ გაწირა. მაგრამ არც იმის რწმენა ჰქონდათ, რომ იესო ნამდვილად ქრისტე იყო, ძე ღვთისა.

მეოთხედმთავარი გახარებული იყო მომხდარით, უკეთეს მიზეზს იგი ვერც ინატრებდა, რომ შეატყობინოს რომში კეისარს: იუსტინემ ვიღაც ცრუ მესია იწამა და მის გამო შეურაცხყოფა მიაყენა რომაელ და იუდეველ დიდებულებსო. განა ეს საკმარისი არ იქნება, რომ კეისარმა იუსტინეს დაპატიმრება ბრძანოს? მაშინ სად გაექცევა მას მშვენიერი ავგუსტა თავისი ზღაპრული ბაღით?

მეოთხედმთავარმა სასწრაფოდ დატოვა სასახლე და მის თანმხლებ ლეგიონერებს უბრძანა ცხენებით დაწეოდნენ ფეხით მიმავალ პატარა ბიჭს, დაეჭირათ და დაუყოვნებლივ მასთან მიეყვანათ. მას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ამონ-რამ სასახლე დატოვა.

სხვა დიდებულნი, უკმაყოფილნი და შეურაცხყოფილნი, გაბოროტებულნი და განრისხებულნი, ნელ-ნელა გადიოდნენ ბაღიდან და თავიანთი სასახლეებისკენ მიიჩქაროდნენ.

იუსტინეს სასახლეში არ შედგა დიდი წვეულება.

სასახლეში დიდმა გლოვამ დაისადგურა.

მაგრად გაჯიხეთ და დილეგში ჩააგდეთ

ამონ-რა სასახლიდან ისე გამოვიდა, რომ არავის შე-უნიშნავს.

რაღა საჭირო იყო მისი იქ ყოფნა? ავგუსტამ ჯანმ-რთელობა დაიბრუნა და მალე მთლიანად ამოიცნობს ქვაწე-რილის აზრს. იუსტინემ უფლის გზა და სამსახური აირჩია და ავგუსტასთან ერთად ბევრ კეთილ საქმეს გააკეთებს. წვე-ულებაზე კი ისეთი ხალხი შეიკრიბა, რომელთა ყურები ჯერ ვერ მიიღებენ და შეისმენენ ცათა სასუფევლის მოძღვრებას. თუ კაცს გულისყური დაეხშო, რაც არ უნდა ხმამაღლა ელა-პარაკო, ვერაფერს გააგებინებ, და რაც არ უნდა ბრძნული აზრები უბოძო, ახლოს არ გაიკარებს.

ამონ-რა მაშინ გამოვიდა სასახლიდან, როცა ავგუსტა მამის შესახვედრად გაიქცა. ამონ-რა სასახლის მშენებლობი-საკენ გაემართა.

ცხელოდა. კარგახნის სიარულის შემდეგ ამონ-რამ წყაროსთან შეისვენა, პირზე წყალი შეისხა და ხის ქვეშ ჩრდილში წამოწვა. იფიქრა, ცოტა გადაიგრილებს და მერე გავაგრძელებ გზასო. წყაროს წყნარი რაკრაკი და ჩიტების ჟღურტული ნანასავით ეფინებოდა იქაურობას და ამონ-რას ჩაეძინა, დასუსტებულმა სხეულმა ძალთა მოკრება განიზრახა.

გააღვიძა იგი ცხენების მოულოდნელმა თქარათქურმა — გზაზე ლეგიონერებმა ჩაიქროლეს. შუადღე საკმაოდ გადასული იყო. ამონ-რა წამოდგა, ისევ დაიბანა პირი და წასვლა დააპირა. კვლავ გაისმა ცხენების თქარათქურის ხმა — ლეგიონერები უკან მოაგელვებდნენ ცხენებს. ამონ-რა დაე-ლოდა — ჩაივლიან და მერე გავაგრძელებ გზასო. ლეგიონე-რებმა კი მის წინ მსწრაფლ შეაყენეს ცხენები და გარს შემოეხვივნენ.

— შენ, ეი, რას დაწანწალებ? ვინ ხარ?

ამონ-რამ ვერ მოასწრო რამე ეპასუხა, რომ მეორემ წამოიძახა:

— ვიცანი, ვიცანი... ეგ არის!

— არ შეგეშალოს, თორემ ხომ იცი, რა დღეც დაგადგება! — გააფრთხილა უფროსმა.
— ეგ არის, ეგ! ჰკითხეთ, რა ჰქვია!
— რა გქვია შენ, ბიჭო!
ამონ-რა მშვიდად შეჰყურებდა ლეგიონერებს, თუმცა მათგან კარგს არაფერს მოელოდა.
— ამონ-რა, — უპასუხა უფროსს.
— აი, ხომ გითხარით, ვიცანი მეთქი!
— ძლივს არ ვიპოვეთ... კიდევ კარგი, შენიშნე და უკან დაგვაბრუნე! — შეაქო უფროსმა ლეგიონერი, რომელმაც ამონ-რა იცნო.
— შეკარით და წავიყვანოთ... გავახაროთ მეოთხედმთავარი! — ბრძანა უფროსმა.
სამი ლეგიონერი სწრაფად ჩამოხტა ცხენიდან. თვალის დახამხამებაში მათ ამონ-რას ხელები გაუკრეს, ისევ შეხტნენ ცხენებზე და ერთმა მათგანმა ამონ-რას დაუყვირა:
— აბა, მომყევი! — და თოკი მოსწია.
ცხენები დაიძრნენ და თოკზე გამობმული ამონ-რა სირბილით გაიყოლეს.
— ათისთავო, დაგვასაჩუქრებს მეოთხედმთავარი, ამ ბიჭს რომ მივუყვანთ? — ჰკითხა იმან, ვინც ამონ-რა იცნო.
— რომ გაუხარდება, ნამდვილად ვიცი... საჩუქრებზე კი რა მოგახსენო! — უპასუხა ათისთავმა.
კარგახანს ატარეს ცხენები ჩორთით. ამონ-რას შეკრული ხელები წინ ჰქონდა გაშვებული და სირბილით მისდევდა ლეგიონერებს.
— უფროსო, — თქვა იმან, ვისაც ხელში თოკი ეჭირა, — ცოტა ნელა ვიაროთ, თორემ ვიდრე მივალთ, ამ ბიჭს სული ამოხდება!
— მართალი ხარ, — ბრძანა უფროსმა, — შეანელეთ სვლა!
— რა უნდათ ამ ბავშვისაგან, რას ერჩიან? — იკითხა რომელიღაც ლეგიონერმა, — რა ჩაიდინა ისეთი, რომ მაგის გამო მთელი დღე გვარბენინეს?
— როგორ ვერ გაიგე, შე ბრიყვო, — გამოეპასუხა სხვა, — სწორედ ეს იყო, ჩვენი უფროსი რომ მოატყუა — იესო არც მოსულა ზეთისხილის მთასთანო. ამ ბიჭისთვის რომ არ დაგვეჯერებინა, მაშინ იესოს დავიჭერდით!

— ეჰ! შენ ისიც თქვი, რა დღე დაგვაყარა მაგისმა დათვმა...

— ბიჭო, სად არის შენი დათვი? — გადმოსძახა ზემოდან ვიღაცამ.

ამონ-რამ არაფერი უპასუხა.

— დაანებე თავი, ძლივს სუნთქავს...

— რა ქნა მაგისმა დათვმა? — იკითხა ცნობისმოყვარე ლეგიონერმა, რომელსაც ამხანაგები ბრიყვს ეძახდნენ.

— რა ქნაო... მე ხეზე შემსვა, ამას ყბაში გააწნა... მოკლედ, ათივე, ჩვენი უფროსიანად, კუდამოძუებულები გამოგვრეკა...

— ჩვენი შუბები და მახვილები იმ დათვმა ისე ჩაარჭო მიწაში, რომ ვერავინ ამოაძრო. დღესაც იქვეა ჩარჭობილი და იცინის ჩვენზე ხალხი...

— ეგ არაფერია... თქვენ ყველაზე სასაცილო თუ სატირალი გამოტოვეთ! — თქვა წინ მიმავალმა, — იმ დათვმა ჩვენს უფროსს კისერზე ერთი ნაბიჭვარი დაასვა... დაგავიწყდათ?

ყველამ გულიანად გადაიხარხარა.

— გვახსოვს რომელია... — გამოეპასუხა სხვა, — ნაბიჭვარს შიშისაგან ფეხები მოეკაკვა, ერთი კვირა ფეხებს ვერ შლიდა, ლამის დაახრჩო ათისთავი...

— აბა, აბა, ჩემს მეგობარზე ასეთი ლაპარაკი არ გავიგონო! — ვითომდა მკაცრად, სინამდვილეში დაცინვით დაიძახა უფროსმა და გადაიხარხარა.

— მერე? — იკითა ბრიყვმა.

— რა მერე... ვერ ხსნიდა ის უბედური ბიჭი ფეხებს, მოკაკვული ჰქონდა მუხლები უფროსის ნიკაპთან... ვერა და ვერ გამოაძვრინა თავი უფროსმა მისი ფეხების მარყუჟისგან...

— ხა-ხა-ხა... — ხარხარებდნენ ლეგიონერები.

— მერე?

— მერე და, მეტი რა გზა ჰქონდა, დადიოდა უფროსი და ნაბიჭვარი კისერზე ეკიდა...

— ეგ როგორ?! — გაიკვირვა ბრიყვმა.

— როგორ და თუ გინდა შეგაჯდები ახლავე კისერზე და გაიგებ...

— მერე, კაცო, იმ ბიჭს მოფსმა რომ სდომებოდა?

— კიდეც მოუნდა და კიდეც კისერში აფსამდა ჩვენს უფროსს. ხა-ხა-ხა...

— ხა-ხა-ხა... — ხარხარებდნენ ლეგიონერები.

— იმ ნაბიჭვარს ერთ დღეს კუჭიც აეშალა...

— რაო-რაო?!

— რაც გაიგე... ხა-ხა-ხა... კუჭი აეშალა... გამოვიდა ჩვენი ათისთავი ყაზარმაში. კისერზე ის ცინგლიანი აზის, ჩამომსვითო, ბლავის. ფეხები კი გაშეშებული აქვს და ყელში უჭერს, ათისთავი ძლივს ხროტინებს...

— ხა-ხა-ხა...

— უფროსი გაიძახის, როცა ჩამოგსვამ, იმ დღეს შენი სიცოცხლეც დამთავრდებაო...

— მაშ ჩემს კისერზე გერჩივნოს ჯდომაო?

— ასე გამოდიოდა. გვიბრძანა ათისთავმა — გამომ-ყევითო და წინ გაგვიძღვა. ნაბიჭვარი მაღლიდან გვიყურებს და იცინებს, ხა-ხა-ხა... თურმე მუცელი აქვს გაბერილი და სტკივა... მიშველეთო, გაიძახის...

ლეგიონერები ხარხარებდნენ და ხარხარებდნენ.

— ბიჭმა ვეღარ შეიკავა თავი და უცბად იმისთანა გაისროლა, გვეგონა, დაიქუხაო...

— ხა-ხა-ხა-ხა...

— უფროსი ვერ მიხვდა, საიდან იქუხა... შეშინდა... ხა-ხა-ხა... გაიქცა...

— ხა-ხა-ხა...

—... ზემოდან კი ყვითელი ფაფა ესხმის... ამყრალდა... ხა-ხა-ხა...

— მერე, მერე? — არ ისვენებდა ბრიყვი ლეგიონერი, რომელიც სხვებთან ერთად იჭაჭებოდა სიცილით.

— მერე და მერე... მერე ექიმბაშებმა ასე თქვეს: ან ამ ნაბიჭვარს უნდა მოვაჭრათ ერთი ფეხი მაინც, რომ ათისთავი გამოვათავისუფლოთ, ან ათისთავს უნდა მოვაჭრათ თავიო, ეგენი ისე არიან ერთმანეთში გადაგრეხილნი, რომ სხვანა-ირად ვერ გავაცალკევებთო...

— რას ამბობ?!. მერე?..

— მერე ეს ამბავი ასისთავს მოახსენეს. იმან კი იხუმ-რა: მაგის თავი რაში მჭირდება, შიგ ტვინი მაინც არა აქვს, და თუ რამე აქვს, ისევ სისულელეებითაო, მოაჭერით და გა-დააგდეთო...

— ხა-ხა-ხა...

— საწყალ ათისთავს მართალი ეგონა და თავის ჩამოხრჩობა გადაწყვიტა, ხეს თოკი მოაბა და ჩამოეკიდა...

— აუჰ, რას ამბობ... — შეიცხადა ბრიყვმა ლეგიონერმა, — თავი ჩამოიხრჩო?

— ვერა, ვერ მოახერხა... ხა-ხა-ხა... იმ ბიჭმა თოკი კბილებით გადაღრღნა... უბედურმა იფიქრა, ამ ათისთავთან ერთად მეც მიწაში ჩამდებენო...

— მართლა, კაცო... მერე?

— მერე ორივე მიწაზე დაებერტყა და ბიჭმაც ფეხები გაშალა...

— მერე, მერე? — ვერ ისვენებდა ბრიყვი.

— წამოხტა უფროსი, ახლა კი ვიყრი შენს ჯავრსო, ცოცხალი ვერ გადამირჩებიო... ბიჭიც წამოხტა და გაიქცა... ხა-ხა-ხა... გამოეკიდა უფროსი, მთელი დღე სდია, ენა ძაღლივით გადმოუვარდა, ვერა და ვერ დაიჭირა...

— მაშ არაფერი გამოუვიდა?

— როგორ არა, ამ სირბილში წაიქცა და ფეხი მოსძვრა... ცხვირიც აეგლეჯა... ფეხი ცალკე ეგდო და ცხვირი ცალკე იპოვეს...

— ერიჰა... ახლა უფეხო და უცხვიროა?

— სჯობდა კი მაგრე ყოფილიყო...

— რათა ვითომ?

— იმიტომ რომ ექიმბაშებს შეეშალათ და... ხა-ხა-ხა... მოტეხილი ფეხი... ხა-ხა-ხა... შებრუნებით მიაბეს... ტერფი წინ კი აღარ აქვს, უკან აქვს ტერფი...

— ცხვირი?

— ცხვირიც... ხა-ხა-ხა... უკულმა გამოუვიდათ და ნესტოები ზემოთ მოექცა. ახლა ზემოდან სუნთქავს და ზემოდან გამოსდის ცინგლი, ჯერ ვერ ისწავლა, როგორ მოიწმინდოს... ხა-ხა-ხა...

— შებრუნებული ფეხით როგორ დადის?

— როცა ფეხზე ადგება, მაგას მაშინ გეტყვი...

— სად არის ახლა?

— სად და წევს და კვნესის და იმ ბიჭის ნახვას ნატრობს... ყველაფერი კი, აი, ამისგან დაიწყო, ძლივს რომ დავიჭირეთ...

ლეგიონერებმა კიდევ ბევრი იხარხარეს.

უკვე ჩამოღამდა, როცა ყაზარმაში მივიდნენ.

ჰეროდე ანტიპას მოახსენეს: ბიჭი, რომელსაც დაეძებდი, იპოვეს და მოიყვანესო.

— ახლავე მომგვარეთ! — ბრძანა მეოთხედმთავარმა.

ჰეროდე ანტიპამ იცოდა, რომ ეს ბიჭი ანუ ამონ-რა ცხრა წლის იყო, მაგრამ მასზე ამდენი ლაპარაკის შემდეგ ისეთი წარმოდგენა შეექმნა, თითქოს მის წინაშე დააყენებდნენ მაღალ, კუნთოვან, მოჩხუბარ და მოხულიგნო ბიჭს. ამიტომ ძალიან გაუკვირდა, ლამაზი და კეთილი სახის ბავშვი რომ დაინახა, დაბალი და გამხდარი.

— ხომ არ შეგეშალათ, ნამდვილად ის არის? — უყვირა მეოთხედმთავარმა ლეგიონერებს.

— ჰკითხეთ, ბატონო, თავად გეტყვით! — მოახსენა ათისთავმა.

— რა გქვია? — ჰკითხა ჰეროდემ ბიჭს.

— ამონ-რა, — სუსტი ხმით უპასუხა ამონ-რამ, დაქანცულმა და ძალადაკარგულმა.

— მაშ შენ ხარ, ვისაც ვეძებ?

ამონ-რამ არაფერი უპასუხა.

— რატომ მოატყუე ლეგიონერები, იესო ქრისტე ზეთისხილის მთასთან არც მოსულაო?

პასუხი ვერ მიიღო.

— შენ განკურნე ავგუსტა?

არც ახლა უპასუხა ამონ-რამ.

მეოთხედმთავარი გაბრაზდა, დამცინის ეს ცინგლიანიო. მაგრამ რადგან უკვე გვიანი იყო, ათისთავს უბრძანა: მაგრად გაჯოხეთ და დილეგში ჩააგდეთ, მე კი დილით დავკითხავო.

ათისთავმა ამონ-რა წაიყვანა და თავის ლეგიონერებს დაუძახა.

— ეს ბიჭი კარგად უნდა გავჯოხოთ, რომ ჭკუა ისწავლოს, ასე ბრძანა ჰეროდე ანტიპამ!

ლეგიონერებმა არ დააყოვნეს: სწრაფად მონახეს მოქნილი ჯოხები, ამონ-რა გააშიშვლეს, მიწაზე დააწვინეს და რიგრიგობით და გამეტებით დაუწყეს ცემა. ამონ-რას არ დაუკვნესია, არ დაუყვირია, თითქოს არც გრძნობდა ტკივილს, თვალებდახუჭული იწვა და სადღაც შორს იყო წასული.

ლეგიონერებმა შემდეგ ფეხზე წამოაგდეს და წყალი გადაასხეს — მოსულიერდესო, შემდეგ რიგრიგობით თავში და ცხვირში წკიპურტების რტყმა დაუწყეს, თან სახეში აფურთხებდნენ. ბოლოს ყურებში ჟანგიანი ლურსმნები გაუყარეს — საყურეები მოგიხდებაო.

ლეგიონერები ერთობოდნენ ამ საქმით, იცინოდნენ, ბილწსიტყვაობდნენ.

მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ლეგიონერი აჯანყდა ყველას წინააღმდეგ: ბავშვია, ცოდოა, როგორ შეიძლება ასე აწამოთო.

ათისთავი გაუწყრა.

— აბა, შენც აიღე ჯოხი და ურტყი მაგ მაწანწალას! — უბრძანა ახალგაზრდა ლეგიონერს ათისთავმა.

— მე ბავშვს არ ვცემ! — მტკიცედ უპასუხა მან.

ათისთავი უფრო გადაირია. ის სხვა რამის გამოც ემტერებოდა ახალგაზრდა ლეგიონერს და საბაბი მიეცა, რომ რამდენიმე დღე დილეგში ჩაემწყვდია. ათისთავი სხვებს მიუბრუნდა.

— ესეც გაჯოხეთ მაგ მაწანწალასთან ერთად, რომ უფროსის ბრძანების შესრულება ისწავლოს!

ლეგიონერებმა ეს ბრძანებაც ხალისით შეასრულეს: მაშინვე მისცივდნენ თავიანთსავე ამხანაგს, გააშიშვლეს და დაუწყეს გაჯოხვა.

— რამ გაგაგიჟათ, რამ გაგაცოფათ! — ყვიროდა ახალგაზრდა ლეგიონერი, — ან ამ ბავშვს რატომ აწამებთ, ან მე რა დაგიშავეთ?...

მისი ამხანაგები კი იცინოდნენ და ურტყამდნენ, გულმოდგინედ ასრულებდნენ უფროსის ბრძანებას.

გატანჯული და გონებადაკარგული ამონ-რა და კარგად გაჯოხილი ახალგაზრდა ლეგიონერი მორჩილმა ქვეშევრდომებმა დილეგში ჩაყარეს. მერე უზარმაზარ ქოფაკს მიეფერნენ. ის ჯაჭვით იყო მიბმული დილეგის კარებთან და შეპყრობილებს სდარაჯობდა.

რა მშვენიერი ყოფილა ჩემი ვარსკვლავი

ახალგაზრდა ლეგიონერს მთელი სხეული ეწვოდა, მაგრამ წარმოიდგინა, რა დღეში უნდა ყოფილიყო ეს პატარა ბიჭი, და მის გამო გული შეეკუმშა. „ჩემი ბიჭებიც ამხელები არიან, — გაიფიქრა ლეგიონერმა, — ეს ბავშვი ჩემს უფროს ბიჭს მაგონებს!“ სამი დღის წინ ახალგაზრდა ლეგიონერს რომიდან ცოლი და ორი ბიჭი ჩამოუვიდა. შვილებს მამის ნახვა მოენატრათ, ახალგაზრდა ქალსაც მოენატრა ქმარი. ლეგიონერმა ათისთავს სთხოვა, რამდენიმე დღით გამათავისუფლეო. ათისთავმა სასტიკი უარი უთხრა. ცოლშვილის სიყვარულით, ბიჭებთან თამაშით ვერ გაიხარა, ახლა კი ათისთავმა დილეგში ჩააგდო. ახალგაზრდა ლეგიონერს რისხვით ევსებოდა გული.

ათისთავს არ უყვარდა ახალგაზრდა ლეგიონერი, რომელმაც ადრეც არ შეასრულა მისი ბრძანებანი. ახლა კი უხაროდა, რომ დილეგში ჩააგდო; რაც მისი ლამაზი ცოლი დაინახა, მოსვენება დაკარგა.

ახალგაზრდა ლეგიონერი ახლოს მიუჩოჩდა ამონ-რას, ყურებიდან ჟანგიანი ლურსმნები გამოაძრო, ხალათის სახელო მოიხია, წყლიან ჯამში ჩაასველა და სახეზე მოუსვა.

ამონ-რა უგონოდ იყო, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

ახალგაზრდა ლეგიონერმა სცადა მოესულიერებინა, სახეზე მოეფერა, ოდნავ შეანჯღრია, — ბიჭო, თვალი გაახილეო, — ყურში ჩასძახა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია.

და ამ დროს უცნაური რამ მოხდა: ამონ-რას სხეულიდან ცისფერი ცეცხლის ალი ამოსრიალდა და თითქოს კედელში შევიდაო, გაქრა. ახალგაზრდა ლეგიონერმა იფიქრა, ნამდვილად მომეჩვენაო და ისევ გულმოდგინედ გააგრძელა ზრუნვა, რომ პატარა ბიჭისთვის ეშველა.

ამონ-რას სული კი ცაში აიჭრა და, როგორც ადრე, ჯერ თავისი ძალები მოსინჯა.

აგერ როგორ ციმციმებს სანუკვარი ვარსკვლავი ვარსკვლავთა ჯგუფში. ელვისებურად მიქრის სული მაღლა, მაღ-

ლა. ვერც გრძნობს სისწრაფეს. დედამიწა კი დაპტარავდა და სანთლის ალის ციმციმს დაემსგავსა. სამაგიეროდ სანატრელი ვარსკვლავი გადიდდა, გადიდდა და თვალუწვდენელი გახდა.

„ჩემო ვარსკვლავო! — უხარია ამონ-რას სულს, — რა მშვენიერი ყოფილა ჩემი ვარსკვლავი! იგი უზარმაზარ ლაჟვარდოვან ღრუბელს ჰგავს!“

სულმა მიაღწია ვარსკვლავს: „ვაშა! ვაშა!“ — და ლაჟვარდოვან ღრუბელში შესრიალდა.

ო, რა ფერებია აქ! რა ფორმებია! რა სილამაზეა ირგვლივ ან რა მუსიკა ჟღერს — სფეროთა მუსიკა!

სად არის სიტყვები, რომლებიც ეტყვიან ამონ-რას სულს — რა ჰქვია ამას, იმას ან იმას და იმას! როგორ უამბოს სულმა ვინმეს დედამიწაზე, რას ხედავს ან რას განიცდის აქ — სანუკვარ ვარსკვლავზე!

მიქრის ამონ-რას სული საკუთარი ვარსკვლავის — საკუთარი პლანეტის ზედაპირისაკენ. როგორები არიან და როგორ ცხოვრობენ აქ ადამიანები? რაზე ფიქრობენ? რას ჰქმნიან? რითი ხარობენ? რას ესწრაფვიან და რას ებრძვიან? აი, თითქოს, სულ ახლოა პლანეტის ზედაპირიც — იგი ზღაპრული სასახლეებით, ლაჟვარდოვანი მთებით, ფერად-ფერადი ზღვებით, ტბებითა და მდინარეებით არის მოფენილი. მაგრამ ყველაფერ ამას, რასაც ამონ-რას სული ხედავს და განიცდის, დედამიწის სიტყვებით ვერ აღწერს.

უცბად სული რაღაც ძალამ შეაჩერა. რა ცოტა დარჩა ზედაპირამდე, მაგრამ ველარ მიფრინავს, რაშია საქმე? ამონ-რას სული შეშფოთდა. ეს ჩემი სანუკვარი ვარსკვლავია, აქ მინდა ვიცხოვრო, აქ მინდა ვიშრომო და შევქმნა. აქედან მინდა შევუდგე ახალ სრულყოფას. „იყავით სრულყოფილნი, როგორი სრულყოფილიც არის თქვენი ზეციერი მამაო,“ — ასე დაარიგა იესო ქრისტემ დედამიწის ადამიანები. მაგრამ განა აქვს ამ სრულყოფას დასასრული? ამ სანუკვარი ვარსკვლავიდან, რომელსაც ამონ-რას სულმა უკვე მიაღწია, მაღლა სხვა ვარსკვლავები გამოჩნდა. მათ დედამიწიდან ვერავინ დაინახავს. ეს სხვა ცაა, სხვა ცათა სასუფეველია. გავა წლები, წლები, წლები, საუკუნეები, ეპოქები, და ამონ-რას სულს კიდევ გაუჩნდება ახალი სანუკვარი ვარსკვლავი. ის ვარსკვლავი უფრო შორს იქნება, უფრო მაღლა. იმ ვარსკვლავზე

გასაფრენად სხვა ძალები დასჭირდება, სხვანაირი ფრთები, სხვანაირი ფიქრები და სულ სხვა სიწმინდე. ამ ძალებს აქ შეიძენს, ამ სანუკვარ ვარსკვლავზე, და შემდეგ სხვაზე გაფრინდება. რა იქნება მერე? ამონ-რას სულს მიცემული აქვს ცოდნა ცათა სასუფევლის საიდუმლოსი. რა იქნება და ისევ და ისევ ახალი ვარსკვლავები და ზეციერი მამის სრულყოფისაკენ სწრაფვა. საიდან მოფრინდა იესო ქრისტე დედამიწაზე, რომ საცოდავ ადამიანებს უშველოს, გადაარჩინოს თითოეული მათგანის სული, გააგებინოს, რომ დედამიწა სულის განვითარების უსასრულო გზის მცირე მონაკვეთია, სულის ამაღლების ერთი საფეხურია. თუ ამ საფეხურიდან ფეხი დაგიცდება, თუ სულის სრულყოფის ბილიკს ასცდები, მაშინ დაბლა დაეშვები, იქ, სადაც სული დაიშლება და განადგურდება როგორც მასალა, რომელიც შემოქმედს არ გამოადგა დიდი სამყაროს მშენებლობისათვის. ამას დაარქვა იესო ქრისტემ გეენა, სადაც იქნება კბილთა ღრჭენაო. სხვანაირად როგორ გააგებინოს ადამიანებს, რომ გონს მოეგონ. ცაში დაიუნჯეთ საუნჯეო. აი რა ყოფილა ცაში დაუნჯებული საუნჯე: ძალა, ფრთები, სიმსუბუქე, სიმაღლე და სულის განვითარების ახალი გზა! ცათა სასუფეველში არ ბატონობს უზრუნველობა და განცხრობა, ყველგან შრომა და შემოქმედებაა, ყველგან ოფლის ღვრაა. რომელი საუფლოდან მოფრინდა იესო ქრისტე? ქრისტეს გზა ადამიანებისთვის სიმაღლეების გზაა. ამ გზით სიარული იმას ნიშნავს, რომ იფიქრო ლამაზად და შექმნა სილამაზე, იფიქრო კეთილად და თესო სიკეთე, იფიქრო სიყვარულით და აშენო სიყვარული, იფიქრო გმირულად და გახდე გმირი. ამას სწავლობდა ამონ-რა დედამიწაზე იქნებ მილიონი წელიც. დაიბადა ერთხელ და სულის ფრთებს ერთი ბუმბული გამობა, დაიბადა მეორედ და მეორე ბუმბულიც ამოუვიდა, დაიბადა მესამედ, მეასედ, მესამასედ, გაეზარდა ფრთები, შიგ ციური ძალა ჩაუდგა, სულში ცოდნის ნათელი აკაშკაშდა, სანუკვარი ვარსკვლავიც გაიჩინა და სულმა ძალების მოსინჯვა დაიწყო. იესო ქრისტემ ცათა სასუფევლის საიდუმლო გაუმხილა. ცის სასუფეველი კი არა, ცათა სასუფეველიო. ადამიანებს ჰგონიათ, რომ ცა მხოლოდ ერთია, რომ სამყაროც ერთია. ამონ-რას სულმა კი იცის, რომ ცის ზემოთ კიდევ ცაა, იმ ზემოთა ცის შემდეგ კიდევ ცაა და ასე დაუსრულებლივ. ადამიანი უსასრულობის შვი-

ლია, მაგრამ დედამიწიდან თავი ვერ აუწევია, რომ თავისი უსასრულობა იგრძნოს და დაინახოს. ამონ-რას სული ახალ, სხვა სამყაროში შეიჭრა და უნდა, რომ ამ სამყაროს ღროებითი მკვიდრი გახდეს. რა ჰქვია იმას, რაც ამ სამყაროშია და რაც დედამიწაზე არ არსებობს? ამონ-რას სულს საიდანღაც საკუთარი კითხვის პასუხი ესმის: „ეს არის ცეცხლოვანი სამყარო. შენ ცისფერ, ლაჟვარდოვან ცეცხლში ხარ გახვეული. იესო ქრისტე ამ ცეცხლით ნათლავს ხალხს, ამ ცეცხლოვანი სამყაროსკენ მოუწოდებს ადამიანებს!“ მილიონწლიანი განვითარების შემდეგ ამონ-რას სული ამაღლდა ცეცხლოვან სამყარომდე, მიაღწია ცეცხლოვან სამყაროში სანუკვარ ვარსკვლავს. სულ ცოტაც და დაეშვება მის ზედაპირზე, რომ ცეცხლოვან ცხოვრებას შეუდგეს. ყველაფერს თავიდან დაიწყებს, რადგან ყველაზე უდიდესი დედამიწაზე აქ ყველაზე უმცირესი იქნება, ასე ასწავლის იესო ქრისტე ხალხს. მაგრამ რა უშლის ხელს, რომ დაეშვას? ამხელა მანძილი იფრინა, აქედან დედამიწა სანთლის ციმციმს ჰგავს! ძალაც ჰყოფნის, ფრენაც შეუძლია, რაღა აჩერებს?

„შვილო ჩემო, მე გაჩერებ შენ.“

საიდან მოესმა სულს ეს უხმო ხმა? და როგორი ზრუნვა და სიყვარული ჟღერს მასში.

უხმო ხმამ ამონ-რას სულს უსაზღვრო განცხრობა მიანიჭა.

„შვილო ჩემო! შენ ცეცხლოვან სამყაროს მიაღწიე და შეგიძლია დარჩე აქ. მაშინ გაემართები ზედაპირისკენ, ჩასახლდები კეთილი ცეცხლოვანი არსის საშოში და დაიბადები როგორც ჩვილი ცეცხლოვანი სხეულით. ამით დაიწყება შენი ახალი გზა უსასრულობაში. მაგრამ თუ დაუბრუნდები დედამიწას და ბოლომდე ამოწურავ შენს მისიას, მაშინ ცეცხლოვან სამყაროში შენი გზა უფრო წარმატებული იქნება.“

„ვის ხმას განვიცდი მე? ვინ ხარ შენ?“

„მე შენი მფარველი ვარ.“

ო, დიდებულო სულო, ჩემო დიდო მასწავლებელო! რამდენი საუკუნე და ათასწლეულია მოვილტვი შენსკენ! შენ მზრდიდი, მიცავდი, მეხმარებოდი. ქვაწერილიც შენ გამომიგზავნე. ხომ ასეა?"

ამონ-რას სული სიხარულისაგან თრთოდა.

„ასეა.“

„რატომ ვერ გხედავ? სად ხარ?“

„შენ ჩემში ხარ და მე შენში ვარ. შენი მზერა ვერ შესწვდება ჩემს სივრცეს. ეს პლანეტაც ჩემს გულშია, როგორც სამყაროს ეს ნაწილი. შენ ჩემი სულისა და ჩემი ცეცხლის ნაწილი ხარ.“

„შენ მირჩევ, რომ დედამიწაზე დავბრუნდე?“

„მე გირჩიე, მაგრამ ნება შენია.“

„რას უნდა მივაღწიო კიდევ დედამიწაზე, რა უნდა მოვიმოქმედო?“

„შენ უნდა ჩასახო ჭეშმარიტების მარცვალი და იქცე გმირად იმ ლეგენდებისა და ზღაპრებისა, რომლებსაც საუკუნეებში შეთხზავენ.“

„ხომ არ იქნება ეს პატივმოყვარეობა და თავის განდიდება?“

„არა, შენში აღარ არსებობს პატივმოყვარეობა და განდიდებისაკენ სწრაფვა, ისევე როგორც შიში არ არსებობს შენში.“

„როგორ უნდა ვიქცე ლეგენდებისა და ზღაპრების გმირად? რა უნდა მოვიმოქმედო?“

„შენ უკვე მოიმოქმედე. ახლა საჭიროა დაასრულო.“

„როგორ დავასრულო?“

„მიჰყევი გულის ხმას.“

„მასწავლებელო, მე ვბრუნდები დედამიწაზე.“

„მახარებს, შვილო ჩემო, შენი გადაწყვეტილება. ჩემი თვალთახედვის არეალში იქნები მუდამ!“

ამონ-რას სულმა მსწრაფლ დატოვა ცისფერი, ლაჟვარდოვანი, ენით უთქმელი ცეცხლოვანი სამყარო და დედამიწისკენ გაემართა. ეს იყო ფრენა დროისა და სივრცის გარეშე, სული აზრის სისწრაფით მოჰქროდა.

... ახალგაზრდა ლეგიონერმა უკვე მობანა ამონ-რას სისხლი სახესა და სხეულზე.

— რა უქნეს ბავშვს, როგორ აწამეს და დაასახიჩრეს! — აღშფოთებით ჩურჩულებდა ახალგაზრდა ლეგიონერი, — რა კარგი ბიჭია, ანგელოზს ჰგავს!

ამონ-რა უმოძრაოდ იწვა.

— ნამდვილად მოკვდა საწყალი, — ჩურჩულებდა ახალგაზრდა ლეგიონერი და თავზე ხელს უსვამდა ამონ-რას, ტირილი უნდოდა, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, — რა

ცოტა ხანს იცხოვრა ამ პატარა ბიჭმა და უკვე მოკვდა, მოკლეს... ვინ იცის, როგორი კეთილი და მშრომელი ადამიანი გაიზრდებოდა, ცხოვრებით გაიხარებდა... რა ნახა ამ ქვეყნად?... ადამიანთა უმსგავსება და ბოროტება... შეურაცხჰყვეს და აწამეს...

ახალგაზრდა ლეგიონერს დროდადრო ეჩვენებოდა, რომ მის წინ ვიღაც უცხო ბავშვი კი არა, მისი საკუთარი შვილი იწვა, და ათისთავის მიმართ რისხვა ეუფლებოდა.

— ნამდვილად მოკვდა! — ისევ ჩაიჩურჩულა შეწუხებულმა. ხელები გულზე დაუკრიფა, ფეხები გაუსწორა.

და ამ დროს კედლიდან ცისფერი ნათება შემოიჭრა, ცისფერი ცეცხლის ალი, და ამონ-რას სხეულში ჩაიძირა.

ახალგაზრდა ლეგიონერს შეეშინდა ამ უცნაური ნათების, უკან გადახტა და დილეგის კუთხეში მიიყუჟა. მაშ არც ამ ორიოდ წუთის წინ მოეჩვენა, რომ ცისფერი ალი ბიჭის სხეულიდან გამოვიდა, და არც ახლა, როცა ეს ალი უკანვე დაბრუნდა და მის თვალწინ უსულო სხეულში შევიდა. რა უნდა იყოს ეს?

ცოტა ხანში ამონ-რა შეინძრა, გულზე დაკრეფილი ხელები მიწის იატაკზე გაშალა, და ახალგაზრდა ლეგიონერმა დაინახა ბიჭი, როგორც მიწაზე გართხმული ჯვარი.

ახალგაზრდა ლეგიონერმა გაბედა — ისევ მიჩოჩდა ბიჭთან და დაბალი ხმით ჰკითხა:

— ცოცხალი ხარ?

ამონ-რამ თვალები გაახილა.

ათისთავის ვერაგული ფიქრები, ქოფაკი ძალლი და დილეგი

როგორც კი ახალგაზრდა ლეგიონერი და ამონ-რა ათისთავმა დილეგში გაისტუმრა, არ დააყოვნა და იმ სახლისკენ გაემართა, სადაც ახალგაზრდა ლეგიონერის ლამაზი ცოლი და ბავშვები იყვნენ დაბინავებულნი. უკვე შუაღამე იყო. ათისთავი ფიქრობდა, რომ ლამაზი ქალი, ალბათ, ქმრის მოლოდინში იქნება, ბავშვებს კი უკვე ეძინებათ. მივა და ეტყვის ქალს: შენი ქმარი დილეგშია დამწყვდეული და თუ მისი გამოხსნა გინდა, მაშინ ჩემს ნებას უნდა დაჰყვეო, თუ არა და ვერ იხილავს შენი ქმარი სინათლეს, შენ კი შვილებით ხვალვე უკან გაგაბრუნებო. მეტი რა გზა ექნება ქალს, ფიქრობდა ათისთავი, დამნებდება, მერე კი ვნახოთ.

ამ ვერაგული ფიქრებით მიადგა ათისთავი სახლს და კარზე დააკაკუნა.

შიგნიდან ქალის მოლოდინიანი ხმა გაისმა:

— პეტრე, შენა?

ათისთავმა ხმას გაუტკბილა:

— პეტრესგან ვარ გამოგზავნილი, სათქმელი მაქვს!

ქალს შეეშინდა:

— რა მოხდა, რა დაემართა პეტრეს?

— ხომ გითხარი, სათქმელი მაქვს! — გაუმეორა ათისთავმა.

ქალი მაინც არ მოეშვა:

— სად არის პეტრე? რატომ თვითონ არ მოვიდა? ვინ ხარ შენ?

— ვერ მოვიდა... მე დამაბარა სათქმელი!

— მითხარი ეგ სათქმელი!

— კარი გააღე და გეტყვი! — განერვიულდა კაცი.

ქალმა კარგად იცოდა, რომ მისი პეტრე ასეთ სისულელეს არ ჩაიდენდა: უცხო კაცს შუაღამისას ცოლთან არ გააგზავნიდა და არც რამე სათქმელს დაბარებდა. ამ კაცის

დაშაქრულ ხმაშიც ეჭვი შეეპარა. და ვიდრე რამეს მოიფიქრებდა, უცხო კაცს გასძახა:

— დაიცადე ცოტახანს!

ქალი ბიჭების ოთახში შეეიდა. მამის მოლოდინში ბავშვებს ჩასძინებოდათ.

— ალექსანდრე, მიხეილ, გაიღვიძეთ! — უჩურჩულა დედამ.

ბიჭებმა სწრაფად დაჭყიტეს თვალი, ეგონათ, მამა დაბრუნდაო.

დედამ თითით ანიშნა — ჩუმადო, და უჩურჩულა:

— შვილებო, რაღაც უბედურებაა ჩვენს თავს. ვიღაც უცხო კაცი მოგვადგა და მეუბნება, რომ პეტრესგან ვარ გამოგზავნილიო. მამათქვენი ამას არ გააკეთებდა. ამ კაცს რაღაც ბოროტი აქვს გულში. როგორ მოვიქცეთ!

ბიჭებს ძალიან უყვარდათ მამა და ამაყობდნენ, რომ ის მამაცი ლეგიონერი იყო. თვითონაც სულ ლეგიონერობანას თამაშობდნენ, ვაჟკაცობასა და გამბედაობაში, მოხერხებულობასა და მიხვედრილობაში ვარჯიშობდნენ. ცხრა წლის ალექსანდრეს და რვა წლის მიხეილს ტოლებში წინ ვერავინ დაუდგებოდა, ისე კარგად ხმარობდნენ შუბს, მახვილსა და ფარს, სხვა იარაღებსაც.

ბიჭებს არ შეეშინდათ, უცხო კაცი რომ მიადგა მათ სახლს. ჩაფიქრდნენ, რა მოვიმოქმედოთო. დედას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ალექსანდრე და მიხეილი მასაც დაიცავდნენ და მამასაც.

— არ გავუღოთ კარი, არ შემოვუშვათ! — თქვა ალექსანდრემ, მაგრამ გადაიფიქრა: არ ივარგებს ასე, რადგან ვერ გავიგებთ, რა შეემთხვა მამასო.

— შემოვუშვათ და გვითხრას, რა უნდა და სად არის მამა! — თქვა მიხეილმა.

— მამას დახმარება სჭირდება, შვილებო, რაღაც ამბავია მის თავს! — წუხდა ბიჭების დედა.

ალექსანდრემ სხვანაირად მოიფიქრა:

— თუ ის კაცი ჩუმად გველაპარაკებოდა, მაშ არ უნდა ვინმემ გაიგოს მისი აქ მოსვლა...

— ჰო... — დაეთანხმა მიხეილი.

— და არც ის უნდა, რომ ჩვენ გავიღვიძოთ... დედასთან მოვიდა ჩუმად... ასე გვიან...

— ჰო... — ისევ დაეთანხმა მიხეილი.

— თუ არ შემოვუშვებთ, მაშინ ვერ გავიგებთ, სად არის მამა...

ათისთავმა ისევ დააკაკუნა კარებზე — ფრთხილად და ნერვიულად.

— ნუ გეშინია, დედა, — თქვა მიხეილმა, — შენ გაუღე კარები, ჩვენ აქედან მოვუსმენთ, რას გეტყვის. თუ ბოროტებას დააპირებს, მაშინ ჩვენ ვიცით, რასაც ვიზამთ!

— ქალო, გააღე კარები, სასწრაფოა! — დაისისინა ათისთავმა.

— თქვენი იმედი მაქვს, შვილებო! — უჩურჩულა დედამ ბიჭებს და კარების გასაღებად გაემართა.

ათისთავი ჩუმად, უხმაუროდ შევიდა ოთახში.

ქალმა სანთელი მიანათა. ჩაცმულობით მიხვდა, რომ ლეგიონერი იყო.

— სად არის პეტრე? ვინ ხარ? რა სათქმელი გაქვს? — თავშეკავებით ჰკითხა ქალმა.

— ბავშვებმა არ გაიღვიძონ! სადმე კუთხეში მივდგეთ და გეტყვი! — ჩუმად თქვა ათისთავმა.

— ბიჭები შინ არ არიან, პეტრეს ძმამ თავისთან წაიყვანა! — იტყუა ქალმა.

ათისთავს გაუხარდა. სწორედ ღმერთმა მომიგვარა საქმეო, გაიფიქრა.

— მაშ თუ ეგრეა, გეტყვი! — ათისთავი თამამად ჩამოჯდა საწოლზე, — მოდი, დამიჯექი აქ და ყველაფერს გიამბობ!

— აქედანაც გავიგებ! — უთხრა ქალმა, — თქვი, ბოლოს და ბოლოს, სად არის პეტრე, რა სათქმელი გაქვს!

ბიჭები მეორე ოთახში ისმენდნენ, რას ლაპარაკობდა უცხო კაცი.

— არ გინდა გვერდით დამიჯდე? აი, რას გეტყვი. შენი ქმარი პეტრე ჰეროდე ანტიპამ დღეს დილეგში ჩააგდო. დიდი დანაშაული ჩაიდინა, პატარა ბავშვს ისე სცემა, რომ სიკვდილამდე მიიყვანა. ანტიპა ხვალ პეტრეს თავს მოჰკვეთს. მე შემიძლია ვთხოვო მეოთხედმთავარს და აპატიებს. გინდა?

— მერე რა გიშლის?

ქალი მიხვდა, რომ ეს კაცი მართალს არ ლაპარაკობს, და რომ პეტრე ტყუილუბრალოდ დაუმწყვდევიათ დილეგში.

— მოდი, დამიჯექი გვერდით და გეტყვი, რაც მიშლის. შენ შეგიძლია გადაარჩინო შენი ქმარი, ან ხვალ თავმოჭრილს იხილავ!

ქალი ცოტახანს გაიტრუნა, თითქოს კარებს იქიდან ბიჭების ფარულ რჩევას ელოდა. ბიჭებმაც ურჩიეს, და დედა მიუხვდა მათ.

— მაშ პეტრე დილეგშია? — ჰკითხა შეწუხებული და უიმედო ხმით.

— ჰო — მეთქი, ხვალ ანტიპა თავს მოჰკვეთს!

— ვაიმე, როგორ ვუშველო ჩემს პეტრეს, როგორ ვუშველო! — ტირილი დააპირა ქალმა.

— ხომ გითხარი, როგორ უნდა უშველო!

— იქნებ მატყუებ? — დაეჭვდა ქალი.

— არაფერსაც არ გატყუებ... თუ არ დაიჯერებ, შენს თავს დააბრალე! — კიდევ უფრო დააშინა ქალი ათისთავმა.

ქალი ცოტახანს შეწუხებული იდგა. თითქოს ვერ გადაწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. ათისთავს კი უფრო და უფრო იმედი ეძლეოდა, რომ ცოტაც და ქალი მის ნებას დაჰყვებოდა.

— თუ შენთან მოვალ, ქმარს გადამირჩენ? — ჰკითხა ქალმა ათისთავს.

— სხვა ვერავინ გადაგირჩენს პეტრეს! მოდი, რალას აყოვნებ! — ველარ ითმენდა ათისთავი.

ქალი ისევ ჩაფიქრდა.

— ჯერ გადამირჩინე პეტრე და მერე შევხვდეთ! — უთხრა ქალმა, თითქოს კიდეც შეეხვეწა.

— არა! — გადაჭრით მიუგო ათისთავმა, — თუ არ მოხვალ ჩემთან, ხვალ თავმოჭრილ ქმარს იხილავ!

— შუაღამეა გადასული, ვერ მოვასწრებთ! — ისევ გაიბრძოლა ქალმა.

ათისთავს გაუხარდა, ქალი დათანხმდა.

— მოვასწრებთ, მოვასწრებთ! — ათისთავმა ისიც კი იფიქრა, ქალს ძალიან მოვწონვარ და ამიტომ გაბედულად უთხრა, — ეხლაც და მერეც შევხვდებით... მოდი ჩქარა...

— კარგი, — მორჩილად უთხრა ქალმა, ისეთი ხმით, რომ კაცს ეჭვი არ აეღო მის გულწრფელობაში, — ოღონდ პეტრე გადამირჩინე და თანახმა ვარ!

„ასეც ვფიქრობდი, — გაბედნიერდა ათისთავი, — ეს ლამაზი ქალი ამაღამაც და მერეც ჩემი იქნება... რისი პეტრე, რა პეტრე!“

— მაშინ გაიხადე და მოვალ... წყალს მოვიტან დასაბანად! — ჩუმად უთხრა ქალმა, — იარაღი და ტანსაცმელი აქ დააწყვე! — და კუთხეში დადგმულ სკივრზე მიუთითა. როცა ვითომდა წყლის მოსატანად მიდიოდა, შეჩერდა და ზრუნვით ჰკითხა, — საჭმელიც ხომ არ მოგიმზადო, მშიერი იქნები!

— მერე, მერე, ქალო, ჯერ მოდი ჩემთან! მოიტანე წყალი, თუ მოგაქვს, და დამბანე!

ათისთავი გაჩქარებით იხდიდა ტანსაცმელს. მახვილი სკივრზე დადო, ზემოდან ტანსაცმელი დაყარა.

ქალს ხელში სანთელი ეჭირა და მოუთმენელ ლეგიონერს უნათებდა. შიშველი ათისთავი სანთლის შუქზე მოჩვენებას ჰგავდა. შემდეგ ქალი ბიჭების ოთახში გავიდა ვითომდა წყლის მოსატანად და სანთელიც გაიყოლა. ათისთავი სიბნელეში დარჩა.

— ახლა ჩვენ ვიცით, დედა! — ჩურჩულით თქვა მიხეილმა.

ალექსანდრეს ხელთ ფქვილისაგან დაცლილი ტომარა ეჭირა, მიხეილს მახვილი ჰქონდა მომარჯვებული.

— ქალო, სადა ხარ? — ათისთავს მოთმინება ელეოდა.

— მოვდივარ! — გასძახა ქალმა. თიხის თასში წყალი ააჩხრიალა, ვითომდა, აი, ხომ გესმის, მეც ვჩქარობო, — ვაიმე, სანთელი ჩამიქრა! — წამოიძახა.

— მოდი, მოდი, არ გვინდა სანთელი, არც წყალი გვინდა! — ლამის შეიშალა ათისთავი.

და უცბად რა მოხდა, ათისთავმა ვერ გაიგო.

ჯერ ეგონა, ქალიც ჩემსავით მოუთმენლობამ შეიპყრო და გულში მიხუტებსო. მერე ეგონა, საწოლზე მაწვენსო. მერე — საბანს მაფარებსო. მაგრამ ვერ ხვდებოდა, რატომ ასე უცნაურად იქცეოდა ქალი.

საბოლოოდ კი ის მოხდა, რომ ალექსანდრემ ფქვილის ტომარა ათისთავს თავზე ჩამოაცვა და კისერზე თოკით შეუკრა; ბიჭებმა ერთობლივი ძალებით ხელები ზურგზე გადაუგრიხეს და მაგრად გაუკრეს.

— ქალო, რას მიშვრები! — სისინებდა ათისთავი, — ქალო, გამიშვი, თორემ ქმარშვილს ამოგიწყვეტ!

ქალი კი არაფერ შუაში იყო, ამას ალექსანდრე და მიხეილი აკეთებდნენ.

მიხეილმა ათისთავს გულზე მახვილის წვერი დააბჯინა.

— ბოროტო, — მკაცრად უთხრა მიხეილმა, — თუ არ გინდა ახლავე გაგათავო, მითხარი, სად არის პეტრე? — და მახვილი მიაჭირა.

ახლა კი მთლად გაერკვა ათისთავი, რომ საქმე ძალიან ცუდად ჰქონდა. გაბრიყვდა, გასულელდა, ქალმა მოატყუა, სახლში სხვებიც ყოფილან.

— არ მომკლა, არ მომკლა! — ატირდა ათისთავი, — დილეგშია პეტრე!

მიხეილმა კიდევ მიაჭირა მახვილი.

— არ მომკლა... არ მომკლა... — ისევ შეევედრა ათისთავი.

— ვინ იცავს დილეგს?

— ქოფაკი ძაღლი, მეტი არავინ!

— ვინ ჩააგდო პეტრე დილეგში? — და კიდევ მიაჭირა მახვილი.

— მე, მე... — ტიროდა დაფეთებული ათისთავი, — გამიშვი და გაგითავისუფლებ პეტრეს...

— რატომ ჩააგდე პეტრე დილეგში?

— ჩემი ბრძანება არ შეასრულა...

— რა ბრძანება?

— გაჯოხე — მეთქი ერთი ბიჭი და არ გაჯოხა, შეეცოდა...

— ის ბიჭი სადღაა? — მიხეილი უფრო და უფრო აჭერდა გულში მახვილს ათისთავს.

— ისიც დილეგშია... არ მომკლა... გამიშვი და ორივეს გავათავისუფლებ! — ტიროდა შეშინებული ათისთავი.

— მარტო მაგიტომ ჩააგდე დილეგში პეტრე? თქვი მართალი!.. — და მახვილი ისე მიაჭირა, რომ მკერდი გაუჩხვლიტა.

— არ მომკლა...

— მართალი თქვი — მეთქი! — გაბრაზდა მიხეილი.

— თუ არ მომკლავ, გეტყვი...

— თქვი — მეთქი მართალი! — გაბრაზდა მიხეილი. მახვილმა ათისთავს დიდი საშიშროება აგრძნობინა.

— გეტყვი... გეტყვი... არ მომკლა ოღონდ... პეტრეს ცოლი მომეწონა...

— მერე? — დაჰყვირა მიხეილმა...

— იმიტომ დავიჭირე ერთი ღამით...

— წამოდექი ფეხზე! — უბრძანა მიხეილმა.

თოკით შეკრული ათისთავი, რომელსაც მუცლამდე ტომარა ჰქონდა ჩამოფარებული, მუცლის ქვემოთ კი შიშველი იყო, ალექსანდრემ და მიხეილმა წინ გაიგდეს.

— მომხსენით ტომარა, გამიხსენით ხელები! — ეხვეწებოდა ათისთავი.

მიხეილმა დუნდულებში შუბის წვერი შეუჩხირა.

— მიშველეთ, მიშველეთ! — აყვირდა ათისთავი.

— შვილებო, პირი შეუკარით! — გააფრთხილა დედამ ბიჭები.

ალექსანდრემ ტომარაჩამოფარებულ ათისთავს პირში ლაგამივით ამოსდო თოკი და კეფასთან გაუკვანძა. ათისთავს ყვირილი აღარ შეეძლო, მხოლოდ ზმუოდა და ყმუოდა.

ბიჭებმა იცოდნენ, სადაც იყო დილეგი... ამ სამი დღის განმავლობაში, რაც მამასთან ჩამოვიდნენ, იმდენი ირბინეს ყაზარმაში და მის გარშემო, რომ ყველაფერი შეისწავლეს.

ნახევარმთვარე უნათებდათ გზას.

დილეგთან მართლაც იწვა ჯაჭვით ხეზე მიბმული ქოფაკი ძაღლი. დაინახა თუ არა, ვიღაცეები მოდიანო, ყეფა ატეხა.

— მიდი, მიეფერე ქოფაკს! — უბრძანა მიხეილმა ათისთავს, ალექსანდრემ კი ისევ მიაჭირა დუნდულებზე შუბის წვერი.

ათისთავმა ფეხი ააჩქარა და ქოფაკისკენ გაემართა. ქოფაკიც გამოიქცა მასთან შესახვედრად. ძაღლი სუნით მიხვდა, რომ ეს მისი უფროსი იყო, მაგრამ გაშიშვლებული არასოდეს ენახა. ჯერ ერთი-ორჯერ ბრაზით შეჰყეფა, რატომ ხარ ასე უსირცხვილოდო. ათისთავმა დაიზმუილა. უკნიდან ისევ იგრძნო შუბის ჩხვლეტა. ძაღლმა ხმაც იცნო და პატრონს ფეხებზე დაუწყო ლოკვა. მერე სამი დღის უჭმელმა მოულოდნელად კბილები ჩაასვა, ხორცი გამოუგლიჯა.

— მმმმმ... — აზმუილდა სიმწრისაგან ათისთავი და მიწაზე გაიშხლართა.

ქოფაკმა ჩამოგლეჯილი ხორცის ნაჭერი მიწაზე დააგდო, გვერდით მიუწვა და დიდხანს ყნოსა, შემდეგ კი ნაწილ-ნაწილ დაუწყო ყლაპვა. ძაღლი ძალიან ბედნიერი იყო და დაავიწყდა, რომ დილეგთან არავინ უნდა მიეშვა და არც იქიდან გამოეშვა.

ამასობაში ბიჭებმა დილეგი გახსნეს.

— მამა, ჩქარა გამოდი გარეთ და ეგ ბიჭიც წამოიყვანე! — შესძახა სიბნელეში ალექსანდრემ.

პეტრე მიხვდა, რომ შვილები მის სახსნელად მოვიდნენ. ბიჭიც ფეხზე წამოაყენა და გარეთ გამოიყვანა.

იმის დრო არ იყო, რომ ვითარება გაერკვიათ.

— უნდა გავიქცეთ, მამა! — გააფრთხილა მიხეილმა.

— ძაღლმა შეიძლება დაგლიჯოს ეს ბოროტი! — თქვა ალექსანდრემ.

ვიდრე ქოფაკი თავისი საქმით იყო გართული, ბიჭებმა დილეგში შეათრიეს ათისთავი და გარედან ურდულით გადაკეტეს.

ქოფაკი უკანასკნელ ლუკმას ყლაპავდა და არც ადარდებდა, რომ პატიმრები გაიპარნენ. მარტო მაშინ მიმოიხედა ირგვლივ, როცა მიწაც გალოკა და დარწმუნდა, რომ თურმე ყველაფერი გადაუსანსლავს, მიმოიხედა, რომ ვინმე დაენახა და მისგანაც მოეთხოვა გემრიელი საჭმელი.

მარტო მთვარემ დაიხსომა, საითკენ გაემართნენ პეტრე, მისი ლამაზი ცოლი და გაბედული ბიჭები — ალექსანდრე და მიხეილი, რომლებიც მხრებში ედგნენ ძალადაკარგულ თანატოლ ბიჭს და სიარულში ეხმარებოდნენ. მთვარე კი იმიტომ არის მთვარე, რომ იცის ღამის საიდუმლოებათა შენახვა.

ლმერთი დასაჯა, ყაჩაღი კი გაათავისუფლა

დიდ ბიჭს აერ-დაერია დრო: აღარ იცოდა, რამდენი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ათისთავს გამოექცა. იმის შიშით, რომ ლეგიონერებმა არ დამიჭირონო, ქალაქში ვეღარ გაბედა მისვლა, ვერც სხვაგან სადმე ჩნდებოდა. როგორღაც ხევის პირას ქოხმახივით საცხოვრებელი მოიწყო და იქ იძინებდა.

ამონ-რასა და მის „ავან-ჩავანთა“ ბოღმა აღრჩობდა დიდ ბიჭს. ყველა თავის უბედურებას მას აბრალებდა და შურის საძიებლად ემზადებოდა. მოვძებნი, სადაც არ უნდა იყოს, და მაშინ ნახოსო. ფილოსოფოსის გამოქვაბულებში ასვლას ბუნგლოს შიშით, რა თქმა უნდა, ვერ გაბედავდა, მაგრამ იმედი ჰქონდა სხვაგან სადმე მოიხელთებდა თავის მტრებს.

ხევში წყალი მოჩხრიალებდა. დიდ ბიჭს უყვარდა წყალში ბანაობა და თევზის ჭერა. თევზი და გარეული ხილი მისი მთავარი საკვები გახდა. მთელ დღეებს იმაში ატარებდა, რომ ბანაობდა და უთავბოლოდ ხეტიალობდა. თან სულ ბოროტ ფიქრებში იყო ჩაძირული. თავის წარმოდგენებში ათასჯერ მაინც დაიჭირა ამონ-რა და მისი მეგობრები. მათზე ცდიდა საკუთარ ძალას: აწამებდა თითოეულს, ისინი მის ირგვლივ მუცლებზე ხოხავდნენ, ფეხებს უკოცნიდნენ, ევედრებოდნენ შეგვიბრალეო. დიდი ბიჭი მათ თავდაყირა კიდებდა ხეზე, თვალებს უშანთავდა, თავს სჭრიდა...

ზოგჯერ ისე გაერთობოდა ხოლმე თავისი წარმოდგენებით, რომ ყველაფერი სინამდვილედ ეჩვენებოდა.

ბოროტმა აზრებმა სულ დაუმახინჯეს სახე. ცხვირი წაუგრძელდა და ნესტოებმა მაღლა აიწიეს. მარჯვენა თვალი კაკლისხელა გაუხდა, ბუდეში ვეღარ ჩაეტია და გადმოეკარკლა. მარცხენა თვალი კი დაუვიწროვდა, გაეწელა და სიღრმეში ჩაემალა. ნიკაპი ყელისკენ შეუბრუნდა. ყველაფრის შიშმა მარცხენა ყური ერთი მტკაველი გაუხადა, მარჯვენა კი როგორც საყვირი, ისე დაუგრიხა. ერთი უკანა კბილი ისე გაეზარდა, რომ პირში ვეღარ დაეტია, მარცხენა ყბა გახვრიტა და გარეთ გამოვიდა. თმები სულ გასცვივდა, თავი

აგურივით გაუხდა, ზედ შავი ლაქები დაედო; მარცხენა მხარეს თანდათან პატარა წვეტიანი რქა ამოეზარდა. მარცხენა ხელი მარჯვენაზე გრძელი გაუხდა, ხოლო ხელის მტევნებზე ნეკთან ახლოს თითო ახალი თითი ამოეზარდა. მარჯვენა ფეხი აშკარად დაუპატარავდა, მარცხენა მხარი წაუგრძელდა.

ასე აისახა მის სხეულზე მისი ფიქრები და ზრახვები.

დიდი ბიჭი ვერ ამჩნევდა, როგორ იცვლებოდა მისი გარეგნობა, რადგან არ იყო ირგვლივ რამე, რომ სარკედ გამომდგარიყო. მდინარის მთელ სიგრძეზე, რაც მან გამოიკვლია, გაქრა ყოველგვარი ანარეკლი. დიდი ბიჭი მხოლოდ მაშინ აღმოაჩენდა ხოლმე ცვლილებებს თავის სხეულზე, როცა ხელით მოისინჯავდა ან ხელს წამოსდებდა. კიდეც გაუხარდა, როცა თავზე მისმა ხელმა პატარა რქა იპოვა, მაგრამ სწყინდა, რომ მეორე რქა იგვიანებდა. ერთხელ ხელი გაიკაწრა კბილით, გარეთ რომ გამოეზარდა, და ესეც ძალიან გაუხარდა; მაგრამ გული ეტკინა, როცა ასეთივე კბილი მეორე ლოყაზე ვერ იპოვა.

დიდმა ბიჭმა თავი მთელი ხეობისა და მის ბინადართა მბრძანებლად წარმოიდგინა, მაგრამ ღამით საიმედოდ ემალებოდა თავის ქოხმახში საკუთარ ქვეშევრდომებს, ვაი თუ თავს დამესხან და შემჭამონო.

ერთხელაც ხეტიალის დროს დიდი ბიჭი დიდი გზის წინ აღმოჩნდა. ჯერ იფიქრა, გზაზე ჩემი ყოფნა სახიფათოა — ვინმე შემნიშნავსო. მაგრამ მაშინვე გული დაიმშვიდა: ალბათ, ძალიან დიდი დრო გავიდა, რაც დაკარგული ვარ და ლეგიონერებსაც და ჩემს მშობლებსაც ნამდვილად მკვდარი ვგონიეარო, მკვდარს კი ვინ დაუწყებს ძებნასო. გზის პირას ქვაზე ჩამოჯდა და გზას გახედა: ვნახოთ, ვინ გამოჩნდებაო.

დიდხანს მოუხდა ლოდინი. სხვა რა საქმე ჰქონდა. ცხვირწინ ჭიანჭველების ბუდე შენიშნა. ჯერ ჭიანჭველების თვლა დაიწყო, შემდეგ ჩხირი აიღო და ბუდეში დაუწყო ჩიჩქნა. საწყალი ჭიანჭველები დაფეთებულები გამორბოდნენ ბუდიდან და ერთმანეთს ეხეთქებოდნენ.

დიდი ბიჭი კი ჩხირით სულ უფრო ღრმად იჭრებოდა ბუდეში და ემუქრებოდა, ყველაფერს დაგინგრევთო. ბოლოს ჭიანჭველების მეფის სამყოფელსაც მიაღწია. მეფე განრისხდა, გამოვარდა ბრძოლის ველზე და უხმოდ, თავისი ულვა-

შებით რაღაც დაუყვირა თავის ქვეშევრდომებს. ათასობით აქეთ-იქით გაქცეული ჭიანჭველა დაუყოვნებლივ შემობრუნდა და თავის დამჩაგრავს შეესია. ჭიანჭველები შეუძვრნენ ყურებში, თვალებში, პირში, ნესტოებში, დაერივნენ მთელ სხეულს. ყველგან ურჭობდნენ და ურჭობდნენ მხამიან ნემსებს. დიდმა ბიჭმა ცოფიანივით დაიღრიალა და მდინარეში გადაეშვა.

როცა, როგორც იქნა, მოიცილა ჭიანჭველები და მოსულიერდა, ისევ გზაზე გავიდა და ახლა სხვა ქვაზე ჩამოჯდა. ამ დროს შორს ვიღაც მგზავრი დაინახა.

თანდათან გაარკვია დიდმა ბიჭმა, რომ კაცი ვირზე იჯდა. ჯერ იფიქრა, ვთხოვ, იქნებ რამე საჭმელი ჰქონდეს და მაჭამოს, ან იქნებ თავისთან წამიყვანოს და შემიფაროსო. მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა მგზავრი დიდ ბიჭს, მით უფრო ბოროტი ზრახვები უჩნდებოდა. გზიდან გადავიდა და ბუჩქებს ამოეფარა. ხელში მოხერხებული ქვა მოიმარჯვა.

ვირზე მოხუცი კაცი იჯდა და რაღაც მცირე ტვირთი ვირის ზურგზე ჰქონდა გადაკიდებული. თავს ისე აკანტურებდა, თითქოს თვლემსო. არც მოხუცს და არც ვირს დიდი ბიჭი არ შეუნიშნავთ. ვირმა ჩაქჩაქით ჩაიარა ბუჩქების წინ, და დიდ ბიჭს მოხუცის ჩუმი ღიღინი შემოესმა. „ახლავე გავაჩუმებ!“ — გაიფიქრა დიდმა ბიჭმა, ბუჩქებიდან ჩუმად გამოვიდა და მგზავრს უკნიდან წამოეწია, ახლოს მივიდა და ქვის წვეტიანი მხარე თავში გამეტებით ჩასცხო. მოხუცს ხმაც არ გაუღია, ნელა გადმოწვა ვირიდან და გზაზე დაეცა. ვირმა ზურგზე სიმსუბუქე იგრძნო; ალბათ ჩემი პატრონი ფეხით აპირებს გამომყვესო და უკან მოიხედა, რომ თავისავით მოხუც მეგობრისთვის თვალებით მადლობა ეთქვა. მაგრამ როცა დაინახა, რომ პატრონი დაბლა ეგდო, მის ზურგზე კი ვიღაც თავხედი აპირებდა შეჯდომას, ძალიან გაწყრა და გაგულისდა, ერთი საშინელი დაიყროყინა და დიდ ბიჭს იმისთანა დაუნდობელი ტყუპი ტლინკი მიაყარა, რომ კარგა მაღლა აისროლა და გზიდან გადააგდო.

დიდი ბიჭი გვიან მოვიდა გონს. მუცელი ეწვოდა, ალბათ ორიოდ ნეკნი ჩამტვრეული ჰქონდა. ძლივს გაიხსენა, რა დაემართა და რატომ ეგდო თხრილში. ვაი-ვაგლახით წამოიწია და გზისკენ გაიხედა.

მოხუცი ისევ ეგდო გზაზე, ვირი კი თავს ედგა და იმედს არ კარგავდა, რომ პატრონი თვალს გაახელდა და

ზურგზე შეაჯდებოდა. დიდ ბიჭს იმ ტომარაში, ვირს რომ ჰქონდა გადაკიდებული, რაღაც ეგულებოდა. ფოფხვით მივიდა გზასთან, კვნესით წამოდგა ფეხზე და ვირს გვერდიდან მიადგა. ვირი თითქოს ვერ ხედავდა უცხოს, უძრავად იდგა და პატრონს დაჰყურებდა. მაგრამ როგორც კი დიდმა ბიჭმა ხელები გაიწვდინა და ტომარას შეეხო, ვირმა ისევ საშინლად დაიყროყინა და დიდ ბიჭს თავისი მაჯის სიმსხო და ორადლიანი კუდი ღონივრად მოქნეული მათრახივით გადაუჭირა ზურგზე.

დიდ ბიჭს ნამდვილად ჩაემტვრა კიდევ ორი ნეკნი და მაშინვე გონება დაკარგა.

როცა ცნობა დაუბრუნდა და თვალი გაახილა, დაინახა, რომ თავს ვიღაცეები ედგნენ, რაღაცაზე ლაპარაკობდნენ და მასზე მიუთითებდნენ. დიდმა ბიჭმა იფიქრა, ესენი ნამდვილად ლეგიონერები არიან და მე დამეძებენო. უცბად გაახსენდა, როგორ გადმოაგდო მოხუცი ვირიდან, და თავში გაუელვა, რომ ესენი ამ კაცის მოკვლაშიც დამადანაშაულებენო. შეშინდა დიდი ბიჭი, ლამის ისევ თვალთ დაუბნელდა.

— მე არა, მე არა... — დაიყვირა რაც ძალი და ღონე ჰქონდა. კი არ დაიყვირა, ეგონა დავიყვირეო, პირიდან კი რაღაც საცოდავი სისინი ამოუშვა.

მის თავთან ორი ბიჭი დაიხარა.

— კვდები თუ იმქვეყნიდან ბრუნდები? — ჰკითხა ერთმა.

დიდმა ბიჭმა გაარკვია, რომ ესენი ლეგიონერები არ იყვნენ, და გული მიეცა.

— გეხვეწებით, მიშველეთ! — ტუჩებით უთხრა მან და ბიჭებიც მიუხვდნენ. გზიდან გადაათრიეს, პირში რამდენიმე ყლუპი წყალი ჩაასხეს და მოასულიერეს.

დიდ ბიჭს ტკივილები დაუბრუნდა და კვნესა დაიწყო.

ბიჭები ჩააცივდნენ: ვინ ხარ და რატომ ეგდე გზაზე, რა შეგემთხვა. დიდმა ბიჭმა იფიქრა, ესენი უთუოდ გამცემენ მოხუცის მოკვლის გამო და ლულლული დაიწყო:

— მე არ მომიკლავს... მე არ მომიკლავს... ღმერთს გეფიცებით, მე არ მომიკლავს... მე არ დამაბრალოთ...

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს: აშკარა იყო, უკვირდათ, რას ამბობსო.

— ვინ არ მოგიკლავს? — ჰკითხა ერთმა.

— ის კაცი, ვირზე რომ იჯდა... მე არ მომიკლავს...

— სად არის ვირი ან მოკლული? — ჰკითხა მეორემ.

დიდმა ბიჭმა წვალებით მოიბრუნა პირი გზისკენ, სადაც ვირი და მკვდარი მოხუცი ეგულებოდა, მაგრამ გზაზე არავინ ჩანდა.

— ალბათ მომეჩვენა... — ჩაილუღლუღა. გულში კი გაიფიქრა — გადავრჩიო. მაგრამ სად უნდა გამქრალიყვნენ მოხუცი და ვირი?

ბიჭებმა არ მიატოვეს დიდი ბიჭი. რამდენიმე დღე უვლიდნენ, ასმევდნენ და აჭმევდნენ. სამივემ სწრაფად გაუგო ერთმანეთს.

დიდ ბიჭს ძალიან მოეწონა მათი სახელები — ასე გვეძახის ყველა, განუმარტეს მას.

— მე უზრდელი მქვია, — უთხრა ერთმა.

— მე კი გაუზრდელი, — უთხრა მეორემ.

ბიჭები ძმები იყვნენ.

— ჩვენ ბარაბას შვილები ვართ! — სიამაყით განუცხადა უზრდელმა დიდ ბიჭს.

ბარაბას სახელი მთელ იუდეაში იცოდნენ. ყაჩაღი, მკვლელი და შფოთისთავი იყო. ყველას ეშინოდა მისი. დიდები ურჩ შვილებს ხშირად ბარაბათი აშინებდნენ: მოვა და მოგკლავსო. დიდ ბიჭს კიდეც გაუხარდა და კიდეც შეეშინდა, ბარაბას შვილებს რომ გადაეყარა. შეშინდა იმიტომ, ყაჩაღის შვილებმა რამე არ მიქნანო, გაუხარდა კი იმიტომ, იქნებ ბარაბასთან მიმიყვანონ და ეგება თავის ყაჩაღებში ჩამრიცხოსო.

— სად არის ახლა ბარაბა? — ჰკითხა დიდმა ბიჭმა ძმებს.

— დაჭერილია... სიკვდილით დასჯას უპირებენ, — ჯვარს უნდა აცვან... — უპასუხა გაუზრდელმა.

— რატომ დაიჭირეს ბარაბა? — ისევ ჰკითხა დიდმა ბიჭმა.

— რატომ დაიჭირეს?.. არ გაგიგია, რომ მამაჩვენი ცნობილი ყაჩაღია... დიდ გზებზე ყაჩაღობდა... რამდენიმე კაცი მოკლა... ზოგს სახლი დაუწვა... მეტი გინდა? — უპასუხა გაუზრდელმა.

დიდი ბიჭი შიშისაგან აიბუზა: თუ გაიგებენ, რომ ვირით მიმავალი მოხუცი მე მოვკალი, მეც დამიჭერენ და

ჯვარზე გამაკრავენო. ეს რომ გაიფიქრა, ამ ბიჭებისგან გაქცევა მოუნდა, მაგრამ ნეკნები ჯერ შეხორცებული არ ჰქონდა, ამიტომ არც სირბილი შეეძლო.

— მამათქვენს არ მიჰყავდით საყაჩაღოდ? — დაინტერესდა ბიჭი.

— მამაჩვენი ახლოსაც არ გვეკარებოდა...

— რატომ?! — გაუკვირდა დიდ ბიჭს.

— ნაბიჭვრები ხართო... თქვენი ნახვაც არ მინდაო, ასე გვეუბნებოდა...

— შინ არ მოდიოდა ხოლმე? არაფერი მოჰქონდა სახლში?

— სად შინ? — უპასუხა უზრდელმა, — ჩვენ სახლი არა გვაქვს, სადაც დაგვიღამდება, იქ ვათენებთ...

— მაშ სად მიჰქონდა ბარაბას ნაძარცვი? — ვერ ისვენებდა დიდი ბიჭი.

— არ ვიცით, სად მიჰქონდა...

— არ გიყვართ მამათქვენი?

— შენ რას გადაგვეკიდე... რაში გაინტერესებს ბარაბა! — ცოტა არ იყოს გაწყრა გაუზრდელი, — რად უნდა გვიყვარდეს, როცა მას არ ვუყვარვართ!

დიდი ბიჭი გაჩუმდა. თავში აზრმა გაუელვა. „ეს ბიჭები ჩემზე პატარები არიან და ადვილად დავიყოლებ. განა ჩვენ კი ვერ ვიყაჩაღებთ? კიდევ რამდენიმე უპატრონოს მოვნახავ და ყაჩაღების ბანდას შევქმნი. ბარაბა დაჭერილია... ბავშვების ბანდა ბარაბასას აჯობებს!“ — ეს გაიფიქრა დიდმა ბიჭმა და თავი ყაჩაღების ბელადად წარმოიდგინა. „ყველას შიშის ზარს დავცემ... გავმდიდრდები... თუ ამონ-რა და მისი ავან-ჩავანები სადმე მოვიხელთე, მაშინ ნახონ!“ — და თითქოს უკვე ასეც ხდებოდა ყველაფერი, დიდი ბიჭი წელში გაიმართა, ტკივილები დაივიწყა, — ყაჩაღების უფროსს არაფერი არ უნდა სტკიოდესო, — და ბარაბას ბიჭებს ზემოდან დახედა.

ძმებმა გაკვირვებით შეხედეს — ფეხზე წამოდგაო.

— იცით, რას გეტყვით! — ამაყად და ბრძანებით თქვა დიდმა ბიჭმა, — ამ გზის ბატონ-პატრონი მე ვარ! — და დიდი გზისკენ გაიშვირა ხელი, — ვერც ბარაბა და ვერც სხვა ვინმე აქ ვერ შემეცილება! თქვენს გამოჩენამდე ყოველდღე ერთ-ორ კაცს მაინც ვკლავდი... თუ გინდათ, დღეიდან ერთად

ვიყაჩაღოთ. მე თქვენი უფროსი ვარ! თუ თანახმა ხართ, ფიცი დავდოთ, თუ არა და ახლავე წადით აქედან!

ბიჭები ფეხზე წამოდგნენ. ახლა დაინახეს, რომ ისინი მხრებამდე ძლიევს სწვდებოდნენ დიდ ბიჭს. გაუხარდათ ძმებს: თუ ეს ბიჭი ეგრე იოლად ხოცავს ხალხს, ხელმძღვანელადაც ივარგებსო, გაიფიქრეს და შიში გაუჩნდათ მის მიმართ. ყაჩაღობა კი ორივეს ძალიან უნდოდა.

— თანახმა ვართ! — თქვა ორივემ ერთად, — დავდოთ ფიცი!

ცერის თითები გაიჭრეს და ჭრილობები ერთმანეთს მიადეს, რომ მათ სხეულში ერთმანეთის სისხლი არეულიყო. ფიცი და პირობა შეიკრა.

— ჩვენ ბარაბაზე საშიში და ძლიერები ვიქნებით! — თქვა დიდმა ბიჭმა.

ბარაბას ბიჭები სიამაყით აღივსნენ: მამას აჯობებენ, მამაზე სახელგანთქმული ყაჩაღები გახდებიან!

დიდმა ბიჭმა გზას გახედა და, როცა დარწმუნდა, რომ მართლაც ვიღაც მოდიოდა ცხენით, ბიჭებს ჩუმი ხმით უთხრა:

— ახლა თქვენს გამოცდას მოვაწყობ... მოიმარჯვეთ ქვები და ბუჩქებში დაიმალეთ...

ძმებმა მსწრაფლ შეასრულეს ბრძანება.

და როცა ცხენზე მჯდარი კაცი მათ გაუსწორდა, დიდმა ბიჭმა ბრძანება გასცა:

— ესროლეთ თავში!... არ ააცდინოთ, თორემ...

რამდენიმე წუთში თავგახეთქილი ცხენოსანი გზაზე ეგდო, ძმებმა კი დიდი ბიჭის ბრძანებით უბე და ჯიბეები გადმოუბრუნეს, ტანსაცმელი გააძრეს, შემდეგ სამივე მიიმალა.

ასე შექმნა დიდმა ბიჭმა ყაჩაღი ბავშვების ბანდა. მალე მონახა ოცდაათამდე უპატრონო და თავზეხელაღებული ბიჭი და ოთხი გოგოც კი და მართლაც დასცა თავზარი ახლომახლო სოფლებში და ქალაქებში დიდსაც და პატარასაც.

საღამოობით ყველა კოცონის გარშემო იკრიბებოდა. იხილავდნენ, ვის, როდის და სად შეიძლებოდა დასხმოდნენ თავს. მღეროდნენ, ცეკვავდნენ და ერთობოდნენ.

— ბიჭებო, იცით, ხვალ რა უნდა მოხდეს? — თქვა ერთმა ყაჩაღმა გოგონამ, — აბა, მომისმინეთ. ასე ამბობენ,

რომაელმა მმართველმა, არ მახსოვს, რა ჰქვია, პილატე თუ პულატე, პრეტორიის წინ პატიმრები უნდა გაასამართლოსო. ბევრი ხალხი შეიკრიბებაო... არ გამოგვადგება ეს რამეში?

დიდმა ბიჭმა ძმებსა და კიდევ რამდენიმე ბიჭს დაავალა შეპარულიყვნენ ხალხში, ყველაფერი კარგად გაეგოთ და ამბავი მოეტანათ. ალბათ ბარაბასაც გაასამართლებენო, ფიქრობდა დიდი ბიჭი და უნდოდა გაეგო, როგორ სჯიან ყაჩაღებს.

გვიან ღამით წარგზავნილები უკან დაბრუნდნენ და ხალისითა და სიხარულით უამბეს დიდ ბიჭს, რაც ნახეს და გაიგეს. განსაკუთრებით უზრდელი და გაუზრდელი ეცილებოდნენ სხვებს, რომ ბელადისთვის ეცნობებინათ, რა სანახაობის მოწმენი გახდნენ.

— თურმე მამაჩვენ ბარაბასაც ასამართლებენ! — სიამაყით თქვა გაუზრდელმა.

— მერე?! — ჰკითხა შეშფოთებულმა დიდმა ბიჭმა. არ იცოდა, რა უნდა გახარებოდა: ის, რომ ბარაბას დასჯიდნენ, თუ ის, რომ გაათავისუფლებდნენ.

— დღეს დღესასწაული იყო და პილატე თუ პულატე ყოველ დღესასწაულზე ერთ ვინმეს ათავისუფლებს ხოლმე...

— ვის?

— ვისა და იმას, ვისაც ხალხი მოითხოვს...

— მერე?

— სულელმა მღვდელმთავრებმა პულატეს...

— პილატეს... — გაუსწორა ძმამ ძმას.

— ჰო, როგორც არის, პალატი-პულატეს ერთი უდანაშაულო კაცი მოუყვანეს: თავს მესიად ასაღებს და დასაჯეო...

— მესია რა არის? — ჰკითხა დიდმა ბიჭმა

— მესია, როგორც მივხვდით, ღმერთს ნიშნავს...

— მაშ ის კაცი თავს ღმერთად ასახელებდა?! — გაუკვირდა დიდ ბიჭს.

— ღმერთად ასაღებდა და ხალხი ამბობდა, მართლა ღმერთიაო, ადამიანად ქცეული ღმერთიაო...

— მერე?

— მღვდელმთავრებმა და მედავითნეებმა პულატ-პალატეს მოსთხოვეს, გინდა თუ არა, ეს კაცი აცვი ჯვარსო...

— იმ კაცს იესო ქრისტეს ეძახდნენ...

— იესო ქრისტე აცვი ჯვარსო... ღმერთი გააკარი ჯვარზეო...

ძმები ახარხარდნენ.

— რა გაცინებთ? — განერვიულდა დიდი ბიჭი, — გაგრძელეთ.

— მერე ის მოხდა, რომ მღვდელმთავრებსა და მწიგნობრებს თურმე მამაჩვენის ამხანაგებიც შეუკრებიათ, იმათ ხალხი დააშინეს, ან შეაგულიანეს...

— ხა-ხა-ხა... — იცინოდა უზრდელი.

— და ყველა ერთხმად ყვიროდა: ჯვარს აცვი იესო ქრისტეო...

— ამას რაღა ვუყოვო, ჰკითხა პულატემ...

— პილატემ — მეთქი, შე სულელო, რამდენჯერ გაგისწორო...

— შენ თვითონ ხარ სულელი... პალატე-პულატემ ხალხს ჰკითხა: ამას რაღა ვუყოვო?

— ვისაო?

— ასე კი არ თქვა პალატემ... პალატემ ორივე ხალხის წინ დააყენა...

— ვინ ორივე? — ვერ გაერკვა დიდი ბიჭი.

— ვერ გაიგე? ერთ მხარეს მამაჩვენი ბარაბა დააყენა, მეორე მხარეს ღმერთი, და ჰკითხა ხალხს: ვინ გინდათ გაგითავისუფლოთ — ბარაბა თუ იესო ღმერთიო... ხალხმა... ხალხმა კი არა, მამაჩვენის მეგობრებმა ყაჩაღებმა და მათგან დაშინებულებმა თუ მოსყიდულებმა ყვირილი ატეხეს: ბარაბა გაათავისუფლეო...

— ამას რაღა ვუყოვო, იესო ქრისტეზე ჰკითხა. ეგ ჯვარს აცვიო, იყვირეს...

— პალატე-პულატესაც მეტი რა გზა ჰქონდა, მამაჩვენი ბარაბა იქვე გაათავისუფლა, იესო ქრისტე კი დასასჯელად გადასცა...

— მართლა ჯვარს აცვეს ის ღმერთი? — დაინტერესდა დიდი ბიჭი.

— მაშ, საწყალი, ჯვარს აცვეს... ისიც და კიდევ ორი სხვაც...

— ბარაბა მართლა გაათავისუფლა?

— ვერ გაიგე, რას გეუბნებით ამდენხანს!.. პალატ-პუ-ლატემ ღმერთი დასაჯა, ყაჩაღი კი გაათავისუფლა... ხა-ხა-ხა...

ორივე ძმა და სხვებიც, ვინც ირგვლივ იდგენენ და ისმენდნენ, ახარხარდნენ.

— რა კარგი სამართალი ჰქონია მაგ მოსამართლეს!..

— ეხლა სად არის ბარაბა? — ჰკითხა ძმებს დიდმა ბიჭმა.

— სად იქნება? სადმე დიდ გზაზე იქნება ჩასაფრებული თავის ძმაკაცებთან ერთად, რომ ვინმე გაძარცვოს...

— ბარაბა მაშინვე მისმა ამხანაგებმა წაიყვანეს. ერთი იძახდა, უშენოდ არაფერი გამოგვდისო, ველარ ვყაჩაღობთო...

— ბარაბამ თქვენ არაფერი გითხრათ?

— გვინდოდა დავლაპარაკებოდით, მაგრამ მოგვაფურთ-ხა და დაგვემუქრა — თქვენთვისაც მოვიცლიო...

— იცი რას ვფიქრობ, — თქვა გაუზრდელმა, — მოდი, ჩავუსაფრდეთ ბარაბას, მაგის ძმაკაცების ადგილ-სამყოფელი გავიგოთ და მამაჩვენსაც და მის ამფსონებსაც ჭკუა ვასწავლოთ, და რაც ნაყაჩაღარი აქვთ, ყველაფერი წავართ-ვათ...

დიდი ბიჭი კი მოუსვენრობამ შეიპყრო: რას იზამს ბა-რაბა, როცა გაიგებს, რომ ყაჩაღობაში ბავშვები ეცილებიან, დიდი გზაც წაართვეს და ახლო-მახლო სოფლები და ქალა-ქებიც. აპატიებს ამას დიდ ბიჭსა და საკუთარ შვილებს? იქნებ კიდეც იცის და იმიტომ მიაფურთხა შვილებს?

„მე უნდა დავასწრო ბარაბას, უნდა ვაჯობო," — გა-იფიქრა დიდმა ბიჭმა.

კეთილი თესლი ითესებოდა გულებში ნაყოფის აღმოსაცენებლად

დილეგიდან გამოქცეულები და მათი მხსნელები მთელი დღის განმავლობაში შეუსვენებლივ მიდიოდნენ. რა გზით და საით მიდიოდნენ, არ იცოდნენ, მაგრამ ჩქარობდნენ, რომ ყაზარმიდან რაც შეიძლება შორს წასულიყვნენ. შიშობდნენ, ვაი თუ ანტიპამ მდევრები დაგვადევნაო, და მაშინ არცერთს კარგი დღე არ დაადგებოდა. ამონ-რას ძალიან უჭირდა სიარული, ალექსანდრე და მიხეილი ეხმარებოდნენ.

ერთგან გზისპირას წყარო გამოჩნდა. წყურვილი ყველას აწუხებდა. ცოტახნით შეისვენეს და ყელი გაიგრილეს.

— წადით, დამტოვეთ ამ ადგილას, მე თქვენ გაფერხებთ! — უთხრა ამონ-რამ ბიჭებსა და მათ მშობლებს.

მთელმა ოჯახმა ერთხმად განუცხადა:

— მაგას როგორ ვიზამთ!... მარტო არ დაგტოვებთ!

— არ მინდა, რომ ჩემი გულისთვის უბედურება შეგემთხვეთ. დამტოვეთ, მე მოვუვლი ჩემს თავს! — გულწრფელად გაიმეორა ამონ-რამ თხოვნა, მაგრამ არცერთ მათგანს ასეთი რამის მოსმენაც არ უნდოდა.

— ჩვენი უბედურება და სასჯელი ის იქნება, შენ რომ მიგატოვოთ! — უპასუხა მიხეილმა.

ძმებს ძალიან მოეწონათ ამონ-რა, შეუყვარდათ. პეტრე კი იმასაც ფიქრობდა, რომ თუ თავის პატარა ქალაქში მშვიდობით ჩააღწევდნენ, ამონ-რას შვილად აიყვანდა და თავის ბიჭებთან ერთად გაზრდიდა. პეტრემ მარტო სახელი იცოდა ამ ბიჭისა, მაგრამ რა უნდოდა მისგან ჰეროდე ანტიპას და რატომ გადასცა იგი ლეგიონერებს გასაჯოხად და საწამებლად, ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. ამ ბიჭს ისეთი კეთილი სახე და თვალები აქვს, რომ დანაშაულს ვერ ჩაიდენდაო, ფიქრობდა პეტრე.

გზა გააგრძელეს. თანდათანობით მზეც ჩაესვენა. მოსაღამოვდა.

— ანა, — მიმართა ცოლს პეტრემ, — შეხედე, რა სიმ-ყუდროვეა ამ ადგილას. მოდი, ღამე აქ გავათიოთ და დილით ადრე გავუდგეთ გზას!

ანასაც და ბიჭებსაც მოეწონათ იქაურობა — მოფარებულებიც იქნებოდნენ და დიდი ხე თავსაფრად გამო-ადგებოდათ.

ანამ ხის ქვეშ უკეთესი ადგილი შეარჩია.

— ამონ-რა აქ დავაწვინოთ! — უთხრა შვილებს.

ანამ შალის მოსასხამი გაფინა და ამონ-რა ბიჭებმა ზედ სათუთად დასვეს. ყველამ ამონ-რას გარშემო მოიკალათა. საჭმელი არაფერი ჰქონდათ, გარდა გარეული ვაშლებისა, რომლებიც ალექსანდრემ და მიხეილმა იქვე, ახლოს მოკრი-ფეს. ამონ-რას წითელი ვაშლები აურჩიეს, — უფრო გემრი-ელი იქნებაო.

კარგახანს ვაშლებს ახრამუნებდნენ და ბუნების სიმ-შვიდეს უსმენდნენ. დაღლილები კი იყვნენ, მაგრამ ძილი არა-ვის ეკარებოდა.

— ამონ-რა, — დაარღვია სიჩუმე პეტრემ, — შენ აქაუ-რი ხარ?

— მამა ამონელია, დედა იუდეველი, — უპასუხა ამონ-რამ.

— სად ისწავლე ჩვენი ენა?

— რა ენაა თქვენი? — ჰკითხა ამონ-რამ.

— როგორ? ჩვენს ენაზე გველაპარაკები და არ იცი? — გაიკვირვა პეტრემ, — რომაული!

— მე რომაული არ ვიცი, — მშვიდად უპასუხა ამონ-რამ, — მე არც სხვა ენები ვიცი.

— მაშ როგორ ლაპარაკობ რომაულად?! — კიდევ უფ-რო გაიკვირვა პეტრემ.

— ალბათ, გვეთამაშება ამონ-რა! — მხიარულად თქვა ალექსანდრემ.

— მე არ ვლაპარაკობ რომაულად, მე ჩემს ენაზე ვლა-პარაკობ, — უპასუხა ამონ-რამ.

ყველამ გულიანად გაიცინა.

— ჩვენ არამეული არ ვიცით. შენ კი მშვენივრად ლა-პარაკობ რომაულად! — თქვა მიხეილმა.

— გამოდის, რომ შენ არამეულად ლაპარაკობ და ჩვენ რომაულად გვესმის, ჩვენ კი რომაულად გელაპარაკებით და შენ არამეულად გეყურება. ასეა? — იკითხა ანამ.

— ალბათ ასეა, — უპასუხა ამონ-რამ.

ბიჭებმა ისევ გაიცინეს.

— ასეთი რამ არ ხდება! — თქვა მიხეილმა.

— არ ვიცი, — უპასუხა ამონ-რამ, — მაგრამ მე ახლაც არამეულად გელაპარაკებით, თქვენ კი რომაულად გესმით. თქვენ რომაულად ლაპარაკობთ, მე კი არამეულად ვიგებ. არ ვიცი, როგორ ხდება ეს.

ბიჭებმა ვერაფერი გაიგეს. როგორ შეიძლება ასეთი რამ ხდებოდესო, უკვირდა ორივეს. ანას გული რაღაცას უგრძნობდა, მაგრამ ვერ მიხვედრილიყო. პეტრემ ასეთი ახსნა არ დაიჯერა და ამონ-რას ბავშვურ ცელქობას მიაწერა: რომაულად გველაპარაკება, მაგრამ გვიმალავს, რომ რომაული იცისო.

— სად ცხოვრობ, ვინ არიან შენი მშობლები? — გაგრძელა გამოკითხვა პეტრემ.

— მშობლები არ მყავს, — უპასუხა ამონ-რამ, — ვცხოვრობ ფილოსოფოსის გამოქვაბულებში.

— ეგ რაღაა? — გაუკვირდა ალექსანდრეს.

— ჩემს მასწავლებელს ანდრიას ფილოსოფოსს ეძახდნენ, ის კი გამოქვაბულებში ცხოვრობდა. ახლა მე ვცხოვრობ იქ.

— სად არის ეგ გამოქვაბულები? — დაინტერესდა მიხეილი.

— ქალაქთან ახლოს, მთაში.

— შენი მასწავლებელი ანდრია სადღაა, რატომ დაგტოვა მარტო? — შეწუხდა ანა.

— ჩემმა მასწავლებელმა არ დამტოვა, ის არასოდეს დამტოვებს, — თქვა თავისი მშვიდი და კეთილი ხმით ამონ-რამ, — ანდრია იესო ქრისტემ იხმო თავისთან, მისი მოწაფეა ანდრია.

— იესო ქრისტე? — ჩაფიქრდა პეტრე, — იესო ის კაცი ხომ არ არის, მესიას რომ ეძახიან, ცათა სასუფეველს რომ უქადაგებს ხალხს?

— ის არის. იესო ქრისტე — ღმერთია, — თქვა ამონ-რამ და იგრძნო, რომ ჩვეული ძალა და ენერგია უბრუნდე-

ბოდა. კეთილი, გულისხმიერი ადამიანები თავიანთ გულის ცეცხლს უნაწილებდნენ ამონ-რას და მის ჭრილობებსა და ტკივილებს კურნავდნენ.

— მაშ შენ გეცოდინება, რატომ აცვეს იესო ქრისტე ჯვარს, რა დააშავა? მე გაგებული მაქვს, ის სნეულებს კურნავდა და ხალხს მოუწოდებდა ერთმანეთი გიყვარდეთო, ხალხმა კი ჯვარზე საცმელად გაიმეტა! — პეტრე ცნობისმოყვარეობით დაელოდა პასუხს.

იესო ქრისტე ჯვარს აცვეს?!

ამონ-რას თვალთ დაუბნელდა და თავი გადაუვარდა.

... რა ხდება ეს? სად მიჰყავთ გაბოროტებულ მღვდელმთავრებსა და გაბრიყვებულ ბრბოს იესო ქრისტე — ხელშეკრული და ნაცემი?

მღვდელმთავრები და ბრბო პრეტორიის წინ გაჩერდნენ.

— განმგებელო, განმგებელო... პროკურატორო! — ყვირის, ღრიალებს ბრბო.

აივანზე იუდეის პროკურატორი პილატე გამოდის.

— აჰა, მოგიყვანეთ კაცი, რათა ჯვარს აცვა... იგი ხალხს აბუნტებს და ამბობს — იუდეველთა მეფე და ღმერთის შვილი ვარო!.. — ეუბნებიან პილატეს მღვდელმთავრები.

— ვინ გსურთ, რომ გაგითავისუფლოთ: ყაჩაღი ბარაბა თუ უდანაშაულო, ქრისტედ წოდებული? — ეკითხება პილატე ბრბოს.

— ბარაბა, ბარაბა!.. — ღრიალებს ბრბო.

— იესოს რაღა ვუყოთ? — ისევ ეკითხება პილატე.

— ჯვარს აცვი... ჯვარს აცვი... ჯვარს აცვი... — ისევ ღრიალებს ბრბო.

პილატე ხელებს იბანს.

— აჰა, მე უბრალო ვარ ამ მართლის სისხლისაგან!..

ბრბო კი, გონთ გადასული, ისევ ღრიალებს:

— ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგის სისხლი!..

ამონ-რას სუნთქვა უჭირს, გული ეკუმშება. რას შვრება ეს გამძვინვარებული ბრბო? რამდენი დაბადება დასჭირდება თითოეულ მოღრიალეს, რამდენი ათასი წლის განვითარება, რომ განიწმინდოს ამ საშინელი ცოდვისაგან და შექმნას მონანიების ღირსი ნაყოფი! დაიხოცებიან და ყოველ მათგანს თან გაჰყვება ცოდვა, როგორც სასჯელი სულისა, დაიბადე-

ბიან და თან გამოჰყვებათ ცოდვა, როგორც წინაპართა წყევ-
ლა და ამქვეყნიური სასჯელი...

... იესოს ჯვარზე აწვენენ, ხელებსა და ფეხებს თოკით
უბამენ.

ჯალათები გრძელ ლურსმებს იმარჯვებენ.

„რახ... რახ... რახ... რახ... რახ... რახ... რახ...“

ხელებსაც და ფეხებსაც ხეზე აჭედებენ და ჯვარს
ფეხზე აყენებენ.

— იუდეველთა მეფე, ჰი-ჰი! — დასცინის ვიღაც და
აფურთხებს.

— დაუძახე მამაშენს, რომელიც ცაშია, და გიხსნას! —
ღვარძლით ეძახის ვიღაც.

არც სხვები აკლებენ დაცინვასა და შეურაცხყოფას.

იესოს ყველაფერი ესმის და მათ გამო სიბრალულით
იწვის. იგი დაღუპული ცხვრების სახსნელად მოევლინა ქვე-
ყანას, მათი სულების გადარჩენას ცდილობს, ამ ცხვრებმა კი
გაწირეს იგიც და საკუთარი სულიც. იესო მაინც მათზე
ზრუნავს, მათ ცოდვას საკუთარ თავზე იღებს, ადამიანთა
მოდგმის ცოდვას იღებს იესო ქრისტე საკუთარ თავზე.

— მამაო, მიუტევე ამათ, ვინაიდან არ იციან, რას აკე-
თებენ! — ევედრება ჯვარცმული იესო ზეციერ მამას.

სხვები კი ტირიან და სასოწარკვეთით შესცქერიან
მესიას.

ტირის, ქვითინებს ანდრია.

ტირის მარიამ მაგდალინელი.

ტირის მათე.

ტირიან ქრისტეს მიერ თვალახილულნი.

მარიამს კი, იესოს დედას, ცრემლები დაუშრა. ხელები
შვილისაკენ აქვს გაწვდილი და ჩურჩულებს:

— იესო, შვილო... იესო, შვილო... იესო, შვილო...

იესოს ეცოდება დედა. ვინ ანუგეშებს მას, ვინ იზრუ-
ნებს მასზე?

ქვემოთ საყვარელ მოწაფეს ხედავს.

— დედაკაცო, აჰა, შენი ძე! — სუსტი ხმით ეძახის
მაღლიდან დედას და იქვე მდგომ მოწაფეზე მიუთითებს.

შემდეგ მოწაფეს ჩამოსძახებს:

— აჰა, დედაშენი!..

... იესო ჯვარს აცვეს!

მოდიან იესოს მოწაფეები, ცხედარს ხსნიან, თეთრ ტილოში ახვევენ და ახალ სამარხში ასვენებენ. სამარხთან პილატეს ყარაულები დგებიან, რომ ცხედარი არავინ მოიპაროს. მესამე დღეს იესო მკვდრეთით აღსდგა.

— უფალი წაუღიათ სამარხიდან! — იძახის მარიამ მაგდალინელი და იესოს მოწაფეებისკენ გარბის.

— მარიამ! — ჩაესმის ყურში იესოს ხმა.

— მოძღვარო! — და მარიამი ესწრაფვის მუხლებზე მოეხვიოს აღმდგარ უფალს.

— არ შემეხო, რადგან ჯერ არ ავსულვარ მამასთან! — აფრთხილებს იესო.

მალე იგი თავის მოწაფეებს ეცხადება.

— მშვიდობა თქვენდა! რატომ შეგეშინდათ? ეს მე ვარ თვითონ! — ამშვიდებს გაოცებულ მოწაფეებს.

მოწაფეებს უხარიათ.

იესო ასწავლის და უხსნის მათ ცათა სასუფევლის ბევრ საიდუმლოს. ჩაბერავს სულიწმიდას და ეუბნება:

—აბოვეთ ჩემი ცხვრები! მოიმოწაფეთ ყველა ხალხი! მე თქვენთან ვარ ყოველდღე წუთისოფლის აღსასრულამდე.

უფალი მათ თვალწინ მიემართება მაღლა, მაღლა, ტოვებს ნათელ კვალს და უჩინარი ხდება...

... იესო ჯვარს აცვეს...

— ამონ-რა, ამონ-რა! — ჩაესმა ყურში ალექსანდრესა და მიხეილის ხმები.

ბიჭები წყალს ასხამენ სახეზე და ცდილობენ მოასულიერონ.

ამონ-რამ თვალები გაახილა.

— ცოცხალია, ცოცხალია! — სიხარულით წამოიძახეს ბიჭებმა.

— გმადლობთ, უფალო, ამ ბიჭის გადარჩენისათვის! — აღმოხდა პეტრეს.

ანა ცრემლებს იწმენდდა.

— თვალები გაახილა? ცოცხალია? — დედური სიყვარულით დაიჩურჩულა ანამ, ახლოს მიიწია, შუბლზე ხელი გადაუსვა, აკოცა.

ამონ-რამ თვალები კი გაახილა, მაგრამ ღვარად წამოუვიდა ცრემლი.

ეს არ იყო ტირილი. ამონ-რა არ მისტიროდა იესო ქრისტეს. ეს იყო ტანჯული სულის ოფლი იმათი შეწყალებისათვის, ვინც ბნელი და გაქვავებული გულით მიიღო უფალი. პატარა ბიჭი, რომელსაც მიცემული ჰქონდა ცათა სასუფევლის ცოდნა, გლოვობდა დაღუპულ სულებს, რომელთა ხსნისა და გადარჩენისათვის მოევლინა ქვეყანას მესია. მოსთქვამდა ამონ-რას სული ცათა სასუფევლის ძახილს: „ადამიანო, გაუფრთხილდი საკუთარ სულს! აღაშენე და აღამაღლე, სრულყავი და განავითარე იგი! ეძებე საკუთარი ქვაწერილი, რომელიც დიდმა მასწავლებელმა გამოგიგზავნა, ამოიცანი მისი აზრი და ნებითა და ხალისით მიჰყევი მინიშნებულ გზას! ადამიანო, გაკვალე შენი ბილიკი შორეული ვარსკვლავებისაკენ და ნუ გაიხდი თავს წუთისოფლის შვილად, რადგან უფალმა მარადიულობისთვის შეგქმნა და უსასრულობაში დაგასახლა!“

ამონ-რამ თვალები მოიწმინდა და ყველას გაულიმა. მისმა ღიმილმა მთელი ოჯახი გაახარა. ალექსანდრე და მიხეილი წამოხტნენ, ხტუნვა დაიწყეს და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ვარსკვლავებიან ცას და ბუნების სიჩუმეს გასძახეს:

— ამონ-რა იღიმება... ამონ-რამ გაიღიმა...

ის კი დაავიწყდათ, რომ გამოქცეულები იყვნენ და იმალებოდნენ.

პეტრე ველარ ბედავდა ეკითხა ამონ-რასთვის, რატომ შეგაშფოთა ქრისტეს ხსენებამ.

ბიჭებსაც და მათ დედასაც უნდოდათ გაეგოთ, ვინ იყო იესო ქრისტე და რატომ ტიროდა ამონ-რა.

ამონ-რა კიდეც გრძნობდა და კიდეც ხვდებოდა, რომ ოთხივეს გულისყური მიმართული იყო სახარების მისაღებად; ისინი უხმოდ შესთხოვდნენ: „გვითხარი, რაც იცი, ამონ-რა, ჩვენ გისმენთ!“ რაღაც უხილავმა ძალამ შეკრა ყველას ფიქრი და მისწრაფება, ოთხივე უნებლიეთ უფრო ახლოს მიჩოჩდა ამონ-რასთან და გაიტრუნა.

გულაღმა გაწოლილმა ამონ-რამ ვარსკვლავებიან ცას მიაჰყრო მზერა და, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, ანდრიასეული სიმშვიდით დაიწყო ჩურჩული.

დაბადა დედამ შვილი და დაარქვა მას კაენი.

დაბადა მეორე შვილი და დაარქვა მას აბელი.

გაიზარდნენ ძმები და გაუყო მამამ შვილებს ქონება.

შურით აღივსო კაენი აბელის მიმართ: მას მეტი შეხვ-
დაო.
გაიტყუა ძმა უდაბურ ადგილას და მოკლა.
შემდეგ კაენიც მოკვდა.
აბელის სულს არ ამძიმებდა ცოდვები,
და რადგან აბელმა კეთილად იცხოვრა დედამიწაზე,
ამიტომ მიეცა მის სულს ძალა და აფრინდა ცაში.
კაენის სულს ამძიმებდა ცოდვები,
და რადგან კაენმა ბოროტად იცხოვრა დედამიწაზე,
ამიტომ არ მიეცა ძალა და ვერ აფრინდა მაღლა.

გავიდა ბევრი წელი.
დაბადა დედამ შვილი კაენის სულით და დაარქვა მას
იუდა.
დაბადა მეორე შვილი აბელის სულით და დაარქვა მას
ილია.
გაიზარდნენ ძმები.
იშრომა ბევრი ილიამ, მიეცა ბარაქა მის შრომას,
მადლი შესწირა ილიამ ღმერთს და აღაშენა ღვთის
სადიდებელი.
არ იშრომა იუდამ, მიითვისა ძმის ნაშრომი,
შერისხა ღმერთი და დაანგრია ღვთის სადიდებელი.
მიიცვალა ილია.
მოკვდა იუდა.
აბელის სულს ილიას კეთილი ცხოვრების გამო მიეცა
ძალა და ამიტომ აფრინდა მეორე ცაზე, სადაც მეტი იყო სი-
ნათლე.
კაენის სულს იუდას ბოროტი ცხოვრების გამო დაედო
ცოდვა, წაერთვა ძალა
და ამიტომ დაეშვა დაბლა,
სადაც მეტი იყო სიბნელე.

გავიდა ბევრი, ბევრი წელი.
დაბადა დედამ შვილი აბელის სულით,
რომელიც იყო ილია,
და დაარქვა მას ანდრია.
დაბადა მეორე შვილი კაენის სულით,
რომელიც იყო იუდა,

და დაარქვა მას ჰეროდე.
გაიზარდნენ ძმები.
იცხოვრა ანდრიამ, ჰქმნა ბევრი სიკეთე და ძმასაც ძმობა გაუწია.
იცხოვრა ჰეროდემ, არ ისურვა სიკეთის ქმნა, ჩაიდინა ბევრი ბოროტება და ძმასაც ბოროტება უყო.
მიიცვალა ანდრია.
მოკვდა ჰეროდე.
აბელის სულს
ილიასა და ანდრიას კეთილ ცხოვრებათა გამო კიდევ მიეცა ძალა,
ამიტომ აფრინდა მესამე ცაში,
სადაც მეტი იყო ნათელი, სილამაზე, და ჟღერდა სფეროთა მუსიკა.
კაენის სული
იუდასა და ჰეროდეს ბოროტ ცხოვრებათა გამო უფრო დამძიმდა,
ამიტომ ქვემოთ ჩაიძირა.
იქ კი იყო სიბნელე და სულის ხრწნა.

გავიდა ბევრი, ბევრი, ბევრი წელი.
დაბადა დედამ შვილი აბელის სულით,
რომელიც იყო ილია და რომელიც იყო ანდრია,
და დაარქვა მას იაკობი.
დაბადა მეორე შვილი კაენის სულით,
რომელიც იყო იუდა და რომელიც იყო ჰეროდე,
და დაარქვა მას ლოთი.
იცხოვრა იაკობმა კეთილად, აღაშენა ხიდები, გათხარა ჭები
და უთხრა ადამიანებს: „თქვენი იყოს,“
და ადამიანებმაც კეთილით მიუგეს.
იცხოვრა ლოთმა, კვლავ არ ისურვა სიკეთის ქმნა, თესა შური და ბოროტება,
შურდა ძმისაც.
მიიცვალა იაკობი,
მოკვდა ლოთი.
აბელის სულს

ილიას, ანდრიას და იაკობის კეთილ ცხოვრებათა გამო მიეცა კიდევ ძალა
და აფრინდა მეოთხე ცაში,
სადაც უფრო მეტი იყო სინათლე და უფრო ამაღლებული მუსიკა ჟღერდა
და სრულყოფილი სილამაზე სუფევდა.
და ეს იყო ღვთის წყალობა.
კაენის სული
იუდას, ჰეროდესა და ლოთის ბოროტ ცხოვრებათა გამო კიდევ დამძიმდა
და წყვდიადში ჩაიძირა,
იმძლავრა იქ სულის ხრწნამ და იყო იქ კბილთა ღრჭენა,
და იყო ეს ღვთის რისხვა.

გავიდა ბევრზე ბევრი წელი.
დაბადა დედამ შვილი აბელის სულით,
რომელიც იყო ილია, რომელიც იყო ანდრია და რომელიც იყო იაკობი
და დაარქვა მას მოსე.
დაბადა მეორე შვილი კაენის სულით,
რომელიც იყო იუდა, რომელიც იყო ჰეროდე და რომელიც იყო ლოთი,
და დაარქვა მას სავლე.
და იმრავლეს ქვეყანაზე აბელის სულის ადამიანებმა
და ქმნიდნენ სიკეთეს.
კიდევ უფრო იმრავლეს სავლეს სულის ადამიანებმა
და ჰქმნიდნენ ბოროტებას.
და აღმოჩნდა ადამიანთა სული დაღუპვის წინაშე.
მაშინ მოავლინა შემოქმედმა ძე თვისი ადამიანთა სულის გადასარჩენად.
აუწყა უფალმა ადამიანებს ცათა სასუფევლის საიდუმლო,
მისცა მათ ცხოვრების მცნებები,
მოიმოქმედა სასწაულები: განკურნა სნეულები და დავრდომილები, ბრმები და ყრუები,
და აცვეს ადამიანებმა იგი ჯვარს.

ხმა უდაბნოსა შინა:
ადამიანებო, ადიდეთ უფალი და გაჰყევით მის გზას,
ადამიანებო, ნუ დაჰყვებით წუთისოფლის ცდუნებას,
ადამიანებო, შექმენით მონანიების ღირსი ნაყოფი.

ამას ჩურჩულებდა ამონ-რა ნელა, მშვიდად, სვენებ-სვენებით და დიდხანს, ვიდრე ვარსკვლავებიანი ცა მთლიანად არ შემობრუნდა. ამონ-რას სიტყვები, როგორც კეთილი თესლი, ითესებოდა მიხეილის, ალექსანდრეს, ანასა და პეტრეს გულებში ნაყოფის აღმოსაცენებლად.

ჩურჩულში ჩაეძინა ამონ-რას.

ერთ ბიჭს ვეძებთ, ამ გზაზე უნდა გაევლო, ხომ არ შეგინიშნავთ

გათენდა და დრო იყო გზა გაეგრძელებინათ, მაგრამ ამონ-რას ეძინა და არავის მისი გაღვიძება არ უნდოდა. მთელი ღამე არც ძმებს მოუხუჭავთ თვალი და არც მათ მშობლებს. ამონ-რას ჩურჩულმა თითოეულ მათგანს საკუთარი ფიქრები აღუძრა. იწვნენ ბალახზე ჩუმად, უყურებდნენ ვარსკვლავებს და ცდილობდნენ გარკვეულიყვნენ აბელისა და კაენის სულთა აღმავალ და დაღმავალ გზებში, ცათა სასუფევლის საიდუმლოში და ცხოვრების მცნებებში, რაც იესო ქრისტემ აუწყა ხალხს. ბიჭებს მოთმენა არ ჰყოფნიდათ ესაუბრათ მშობლებთან, რომ უფრო მიხვედრილიყვნენ, რა იჩურჩულა ამონ-რამ, მაგრამ თავს იკავებდნენ — ამონ-რა არ გავაღვიძოთო.

ანამ ერთ ნათელ ვარსკვლავს მიაჰყრო მზერა და თითქოს მისგან ითხოვდა პასუხს თავის კითხვებზე, ვარსკვლავი კი მის სულში იჭრებოდა და ანას სულის სიღრმიდან ამოძახილი ესმოდა: „ადამიანებო, ადიდეთ უფალი და გაჰყევით მის გზას... ადამიანებო, შექმენით მონანიების ღირსი ნაყოფი.“

პეტრეს მთელი ფიქრები ამონ-რას უტრიალებდა: ვინ არის ეს ბიჭი, საიდან იცის ამდენი და რა კავშირი აქვს იესო ქრისტესთან. როცა ყაზარმაში თქვეს — იესო ქრისტე ჯვარს აცვესო, პეტრეს გული ეტკინა, რადგან გაგებული ჰქონდა, რომ ეს კაცი სასწაულებს ახდენდა და სიკეთეს ქმნიდა, ადამიანებს ეხმარებოდა. ამონ-რას წუხანდელი ჩურჩულის შემდეგ კი პეტრე მიხვდა, რომ იესო ქრისტე ადამიანთა სახსნელად მოვიდა ქვეყნად, ადამიანებმა კი არ მიიღეს იგი. ადამიანთა მთელი დანაშაული, ადამიანთა ცოდვა პეტრემ, ამონ-რას ჩურჩულის შემდეგ, საკუთარ ცოდვად განიცადა და გული დაუმძიმდა „მონანიების ღირსი ნაყოფი,“ — განუწყვეტლივ იჭრებოდა მის ფიქრებში ეს სიტყვები და თითქოს მომავალი ცხოვრების გააზრებაში ეხმარებოდა.

ძმები წყნარად წამოდგნენ და მამას ანიშნეს — ადგილს დავზვერავთო.

ბიჭები გზისპირს გაჰყვნენ და გარემოს ყურადღებით აკვირდებოდნენ. ფრთხილობდნენ კიდეც, რომ ისინი ვინმეს არ შეენიშნა. მალე მდინარის ხმა მოესმათ და იქითკენ გაიწიეს.

— ეს დიდი მდინარე, — თქვა ალექსანდრემ, როცა მის ნაპირს მიადგნენ, — იორდანი უნდა იყოს, სხვა ასეთი მდინარე იუდეაში არ არის!

— ხომ შეიძლება აქ თევზი დავიჭიროთ? — თქვა მიხეილმა, — საუზმედ გამოგვადგება!

მდინარის მეორე მხარეს, ოდნავ მოშორებით, ხალხის ფუსფუსი შენიშნეს. პატარახანს უყურეს.

— ბევრი ხალხია, — თქვა ალექსანდრემ, — თითქოს რაღაცას აშენებენ...

ბიჭებმა ფრთხილად გადაინაცვლეს მდინარის აღმა და მოფუსფუსე ხალხს გაუსწორდნენ. ბუჩქებს ამოეფარნენ და სანახაობით გაერთნენ. ხალხი გაცხოველებით მუშაობდა: თხრიდნენ, ეზიდებოდნენ. ბიჭების ყურამდე მათი ხმაც აღწევდა.

— რას აშენებენ? — თქვა მიხეილმა.

— რაღაც დიდს, ხედავ, რამდენი ხალხია... — ჩუმად უპასუხა ალექსანდრემ.

ბიჭებმა ვერ შენიშნეს, როგორ გაჩერდა ამ დროს გზისპირას ცხენოსანთა ჯგუფი.

— ბიჭებო! — შემოესმათ ალექსანდრესა და მიხეილს ვიღაცის ძახილი, — ახლოს მოდით, რაღაც უნდა გკითხოთ!

ბიჭები წამოხტნენ და გაქცევა დააპირეს.

— არ გაიქცეთ, ბიჭებო, არაფერს გერჩით! — დაუძახა უცხომ, რომელიც თეთრ ცხენზე იჯდა. მის გვერდით ასევე მშვენიერ ცხენზე ლამაზი ქალი ამხედრებულიყო. აქეთ-იქიდან ცხენოსანი მცველები ედგნენ.

ბიჭები მიხვდნენ, რომ მცველებს ვერსად გაექცეოდნენ. კეთილმა ხმამ კი ისინი ოდნავ დაამშვიდა.

— ახლოს მოდით, რაღაცას გკითხავთ! — გაუმეორა უცნობმა. მის გვერდით ახალგაზრდა ლამაზი ქალი ალერსიანად იღიმებოდა.

ალექსანდრე და მიხეილი რამდენიმე ნაბიჯზე მიუახლოვდნენ ეტლს და შეკითხვას დაელოდნენ.

— ერთ ბიჭს ვეძებთ, თქვენი ტოლი იქნება, ამ გზაზე უნდა გაევლო. ხომ არ შეგინიშნავთ?

ალექსანდრესა და მიხეილს არც მოსვლიათ აზრად, რომ ეს მდიდარი ბატონი ამონ-რას დაეძებდა, ამიტომ მიხეილმა ალალად უპასუხა:

— არა, არავინ ჩვენი ტოლი ბიჭი ამ გზაზე არ დამინახავს!

მაგრამ ბატონმა გააგრძელა:

— თქვენი სიმაღლისა იქნება, შავი თმები და ლამაზი ნათელი სახე აქვს. ფეხზე თეთრი სანდლები აცვია... იქნებ დაინახეთ სადმე?

ახლა კი მიხვდა ორივე, რომ ეს კაცი ამონ-რაზე ელაპარაკებოდა, მას დაეძებდა. მიხეილმა დაუყოვნებლივ უპასუხა:

— არა, არა, ასეთი არავინ გვინახავს!

— მაშ როგორი ბიჭი გინახავთ, სად შეგხვდათ? — არ მოეშვა მათ ბატონი.

— არაფერი ვიცით... არავინ გვინახავს! — გაიმეორა მიხეილმა.

ბატონმა და ქალბატონმა იგრძნეს, რომ ბიჭები რაღაცას მალავდნენ.

— იუსტინე, მაგათ ნამდვილად იციან და არ გვეუბნებიან! — უჩურჩულა ქალბატონმა ბატონს, — სთხოვე, შეეხვეწე, მართალი გითხრან!

— მეც ასე ვფიქრობ, ჩემო ქალღმერთო! — ჩუმად უპასუხა იუსტინემ ქალბატონს და ბიჭებს მიუბრუნდა, — ბიჭებო, იმ ბიჭს ამონ-რა ჰქვია. ჩვენ მისი მეგობრები ვართ და გვიყვარს იგი. გატყობთ, რაღაც იცით, არ დაგვიმალოთ!

— ჩვენ არაფერი ვიცით! — გადაჭრით უპასუხა ალექსანდრემ, — წავედით აქედან! — ძმას ხელი მოჰკიდა და თავისკენ გასწია.

— ბიჭებო, თუ მართალს არ გვეტყვით, ცუდ სამსახურს გაუწევთ ამონ-რას! — ისევ გამოსძახა ბატონმა, მის ხმაში ხვეწნა იგრძნობოდა, — გვითხარით და კარგად დაგასაჩუქრებთ!

ალექსანდრესა და მიხეილს ვერ მოხიბლავდა ვერავითარი საჩუქარი. ბიჭი დილეგიდან დაიხსნეს, შეიყვარეს, დაუმეგობრდნენ, ძმად გაიხადეს! ეს კაცი კი ეუბნება მათ: გაეცით თქვენი მეგობარი და დაგასაჩუქრებთო! ვინ არიან ეს კაცი და ეს ქალბატონი, ეს დიდებულები, რომ მათ ამონ-რას ასავალ-დასავალი უთხრან? წაიყვანენ და ისევ დილეგში დაამწყვდევენ, იქნებ გააჯოხინონ კიდეც!

ძმები შებრუნდნენ და გაიქცნენ, მაგრამ არა იქითკენ, საითაც თავისიანები ელოდებოდათ, არამედ სულ სხვა მხარეს. უკნიდან ისევ მოესმოდათ უცნობი ბატონის ხმა:

— ბიჭებო, თქვენ, გატყობთ, რომაელები ხართ! თუ ნახავთ ამონ-რას, გადაეცით, რომ ჩვენ — ავგუსტა და იუსტინე — მშენებლობაზე ველოდებით!

ბიჭები კი გარბოდნენ და მხოლოდ მაშინ შეანელეს ნაბიჯი და ამოისუნთქეს, როცა დარწმუნდნენ, რომ ცხენოსნები თვალს მიეფარნენ. უკან შებრუნდნენ და მათკენ მომავალი პეტრე დაინახეს.

— თქვენს საძებნელად წამოვედი, — უთხრა მამამ შვილებს, — და ისიც მოვისმინე, რასაც რომაელი დიდებული გეუბნებოდათ. წავიდეთ და ამონ-რას ვუთხრათ, რაც გავიგეთ!

— იუსტინე და ავგუსტაო! — თქვა იმ ბატონების სახელები მიხეილმა.

— მამა, მდინარის იქით მართლაც რაღაც დიდი მშენებლობაა, ბევრი ხალხი მუშაობს. მაშ ეს ბატონები იქ წავიდნენ? — დააზუსტა ალექსანდრემ.

— ჰო, მეც შევნიშნე, — უპასუხა პეტრემ შვილს და დაუმატა, — შვილებო, რაღაც საჭმელი უნდა ვიშოვოთ, ამონ-რა მშიერი გვყავს და ჩვენც მშივრები ვართ. იქნებ თევზი დავიჭიროთ მდინარეში?

— ჩვენც ვიფიქრეთ ეგ! — თქვა მიხეილმა.

სამივენი მდინარისკენ შებრუნდნენ.

მე უკვე აღარ მჭირდება დაცვა, მინდა, რომ მედალიონი შენ ატარო

ამასობაში ამონ-რამ გაიღვიძა.

— როგორ გეძინა, შვილო? როგორ გრძნობ თავს? — ჰკითხა ანამ დედური ალერსით.

— კარგად, აღარაფერი მტკივა! თქვენმა ზრუნვამ მიშველა! — ხალისიანად უპასუხა ამონ-რამ კეთილ ქალს, რომლის ღიმილმაც მარას ღიმილი გაახსენა.

— მალე პეტრე და ბიჭებიც მოვლნენ და გზას გავაგრძელებთ! — თქვა ანამ, — იქნებ საჭმელიც იშოვონ!

ამონ-რა მოხიბლა პეტრეს ოჯახმა, შეიყვარა ყველა. კარგად ახსოვდა, როგორ გაწირა პეტრემ თავი მისი გულისთვის და როგორ უვლიდა დილეგში. ახლა კი თითოეული მათგანი იცავს ამონ-რას, ზრუნავს მასზე, მის ძილსა და სიმშვიდეს უფრთხილდება.

— წყალს ხომ არ დალევ, შვილო? — ჰკითხა ანამ.

ამონ-რამ თავი დაუქნია. ანა წყაროსთან მივიდა, პეშვით ამოიღო წყალი და ფრთხილად მიუტანა ბიჭს ტუჩებთან. წყალი ძალიან ესიამოვნა ამონ-რას, როგორც მაცოცხლებელმა ძალამ, ისე ჩაუარა მთელს სხეულში.

ანამ სველი ხელი თავზე გადაუსვა და ზრუნვით, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ჩემი ბიჭი, ჩემი საკვირველი ბიჭი!

ამონ-რას ჟრუანტელმა დაუარა. ასე ემართებოდა ხოლმე, როცა დედა ეფერებოდა და რაღაც საალერსოს ჩურჩულებდა. დედა მოუნდა ამონ-რას, მისი ღიმილიანი სახე, ხმა, მასთან საუბარი. რამდენჯერ სთხოვა დედამ: შვილო, მითხარი, რას გასწავლის ანდრიაო, მაგრამ ვერ მოასწრო ამონ-რამ აეხსნა დედისათვის — რა არის სამყარო და როგორ არის იგი აგებული, რა არის სული და როდის გახდება იგი უკვდავი, როგორ მოიპოვებს ადამიანი ცათა სასუფეველს. თუმცა მარას ცხოვრება ისე მიემართებოდა, მისი გული ისე

იღწვოდა სიკეთითა და სიყვარულით, რომ მისი სული ცათა სასუფეველში ნამდვილად დაიმკვიდრებდა უფლის წყალობას.

ანაც დედასავით ეფერებოდა ამონ-რას. როგორი კეთილი თვალები აქვს ანას, რა ლამაზია, მისი ხმაც რა მშობლიურად ულერს.

— მომეფერე, დედა, კიდევ მომეფერე! — თხოვა ამონ-რამ ანას და ახლა ანას დაუარა სხეულში სიხარულის ჟრუანტელმა: ამ საოცარმა ბიჭმა მას დედა უწოდა.

— ჰო, შვილო, ჩემო კარგო, ჩემო ჭკვიანო! — ანას ხმა უთრთოდა. ამონ-რას თავი მუხლებზე დაიდო, წარბები გაუსწორა და თმები თითებით დაუვარცხნა.

„ეს ბიჭი ნამდვილად ღვთის შვილია, — გაიფიქრა ანამ, — რამდენი რამ სცოდნია! და რა კარგად გვიამბო ცათა სასუფეველზე, ქრისტეზე! უნდა ვთხოვოთ, რომ კიდევ გვასწავლოს.“

ამონ-რამ პერანგი გადაისხნა.

— დედა, მომხსენი ეს მედალიონი.

ანამ ამონ-რას მკერდზე უმშვენიერესი მედალიონი დაინახა.

— ეს ოქრომჭედელმა ზაქარიამ მაჩუქა და მითხრა: გაჭირვებაში დაგიცავსო. როცა ლეგიონერები მცემდნენ, ეს მედალიონი მშველოდა და ვერ ვგრძნობდი ტკივილს. მიკვირს, როგორ ვერ შენიშნეს და არ წამართვეს.

— ძალიან ლამაზია, შვილო! — თქვა ანამ, მედალიონით მოხიბლულმა, — ალბათ, კეთილმა სულმა გაჩუქა!

— ძალიან კეთილი კაცია ზაქარია, დედა... მაგრამ მე უკვე აღარ მჭირდება დაცვა. მინდა, რომ ეს მედალიონი შენ ატარო.

ანა თვალს ვერ აცილებდა მედალიონს: ამომავალი მზე სხივებით და სხივებში ჩაქსოვილი ძვირფასი თვლებით თითქოს მოძრაობდა და ანათებდა. საჩუქარი მეტად უცხო და ძვირფასი იყო, და, რაც მთავარია, ამონ-რას ავი ძალებისაგან იცავდა, და ანამ იუარა.

— არა, შვილო, შენ გაჩუქეს და შენთან უნდა იყოს ეს ქმნილება!

— დედა, — სთხოვა დაბეჯითებით ამონ-რამ, — მომხსენი მედალიონი და დამანახე ის შენს მკერდზე. მარტო მე კი არ გთხოვ ამას, ასე სურს მარას, ასე სურს ოქრომჭედელ

ზაქარიას და ასე სურს მედალიონსაც. იქცეს ის თქვენი ოჯახის მფარველად. მომხსენი მედალიონი, დედა.

ანამ იგრძნო ამონ-რას თხოვნის ძალა. მედალიონი მოხსნა, ჩამოიკიდა და სულაც არ გასჩენია იოტის ოდენი განცდა, რომ სამკაული აჩუქეს.

— შვილო, ტვირთი დამაკისრე დიდი! — დაფიქრებით თქვა ანამ.

— ჰო, ასეა, — დაუდასტურა ამონ-რამ.

ამ დროს ამონ-რას გვერდით რაღაც ყრუდ დაეცა და დაიჭყიპინა.

ამონ-რამ ბარტყი შენიშნა. სამი-ოთხი დღის იქნებოდა ბარტყი, გრძელი კისერი, დიდი თავი და დიდი მუცელი ჰქონდა, პაწაწკინტელა ბუსუსებით იყო დაფარული, თავი გვერდზე ჰქონდა გადაგდებული, თითქოს კისერი აქვს გადატეხილიო. ფეხებს საცოდავად ჭიმავდა და დიდ პირს აღებდა.

ამონ-რამ ხეზე აიხედა და საკმაოდ მაღალ ტოტებში ბუდე აღმოაჩინა, ბარტყი იქიდან იყო გადმოვარდნილი. მალე დედა და მამა ჩიტებიც გამოჩნდნენ და საცოდავი ჭყიპინი ატეხეს: ბუდიდან გადმოვარდნილ ბატყს უტრიალებდნენ, ტიროდნენ და ამონ-რას ეხვეწებოდნენ, შვილი გადაგვირჩინეო. ამონ-რამ ბარტყი ფრთხილად აიყვანა ხელში. საცოდავს ტკივილისაგან შავი ფერი დასდებოდა.

— ფეხი მოსტეხია! — შეწუხდა ანა.

ამონ-რამ ბარტყს ფეხი გაუსწორა, შემდეგ ბარტყი ხელისგულებში მოიქცია, თვალები დახუჭა და გულის ცეცხლი გაუგზავნა. ორი-სამი წუთის შემდეგ ხელები გადახსნა და ანამ გაკვირვებისაგან შეჰკივლა კიდეც:

— შვილო, შენ ბარტყს ფეხი გაუმთელე?!

ამონ-რამ მხოლოდ გაიღიმა.

დედა და მამა ჩიტები ისევ საცოდავად ჭყიპინებდნენ. ამონ-რამ მათ შვილი დაანახა და ფეხზე წამოდგა.

— რას აპირებ? — შეშფოთდა ანა.

— ბარტყს ჩავსვამ ბუდეში.

— ხეზე უნდა ახვიდე?! — შეიცხადა ანამ, — არ შეიძლება! აი, მოვლენ ბიჭები და ისინი ჩასვამენ ბარტყს ბუდეში!

— რატომ? მეც შემიძლია ხეზე ასვლა. — წყნარად უპასუხა ამონ-რამ, — ნუ გეშინია, დედა, არ ჩამოვვარდები.

— არა, არ გაგიშვებ! — დაიყვირა ანამ, — შენ ჯერ სუსტად ხარ... აი, ბიჭების ხმაც მესმის... ისინი მოუვლიან ბარტყს.

და მართლაც ერთად მოცვივდა ყველა: ბიჭებიც და მათი მამაც. სამივე მეტად შეშფოთებული ჩანდა.

— სასწრაფოდ უნდა გავიქცეთ! — სულმოუთქმელად თქვა პეტრემ.

— რატომ, რაშია საქმე?! — შეშინდა ანა.

— ნუ მეკითხები... გავიქცეთ, თორემ ცუდი ამბავი ხდება! თუ მოვასწრებთ და იორდანს გადავლახავთ, იქნებ გადავრჩეთ!..

ბიჭებმა ამონ-რას ხელი მოჰკიდეს, ეგონათ, ისევ ჩვენი დახმარება დასჭირდებაო და უნდოდათ მხრებში ამოსდგომოდნენ.

ამონ-რას ხელის მტევნებში უსუსური ბარტყი ჰყავდა ჩამალული.

— მე არ წამოვალ, ვიდრე ბარტყს ბუდეში არ ჩავსვამ, — მშვიდად თქვა და ბიჭებისგან გათავისუფლდა.

— რა ბარტყი?!.. რა დროს ბარტყია?! ამონ-რა, ვიღაც ყაჩაღი ბიჭები შენს კვალს მოსდევენ, სადაც არის აქ იქნებიან! გავიქცეთ, რომ გაღმა გავასწროთ... შენ დაგეძებენ, გესმის? — მიხეილი გაჩქარებით უხსნიდა ამონ-რას ვითარებას და გასაქცევად ეწეოდა.

— წადით თქვენ. მე ვიდრე ბარტყს ბუდეში არ დავაბრუნებ, აქედან არ წავალ... — თქვა ამონ-რამ გადაწყვეტით.

— ამონ-რა, დასვი აქ ბარტყი, ჩვენ კი გავიქცეთ...

და ამ დროს გაიგონეს, როგორ ყვიროდა ვიღაც:

— ამ ხესთან არიან, არ გაუშვათ!

„დიდი ბიჭი," — გაიფიქრა ამონ-რამ.

— გავიქცეთ, გავიქცეთ... — იძახდა მიხეილი.

მაგრამ უკვე ვეღარსად გაიქცეოდნენ.

— ხეს ამოეფარეთ და დაწექით! — უთხრა ამონ-რამ ყველას.

მაგრამ ანა გვერდით დაუდგა მას.

მხეცური ღრიალი მეხივით დაატყდათ თავს.

— აი, ხომ გეუბნებოდით! — ყვიროდა დიდი ბიჭი, — აი, ეგ არის, ამონ-რას რომ ეძახიან... სხვებს თავი დაანებეთ, მაგას ესროლეთ!

ორმოცამდე გაავებული ბიჭი ამონ-რას შორიახლოს გაჩერდა.

— არ გაბედოთ! — განწირულად დაიყვირა ანამ.

— ქალო, გადექი განზე! — დაუღრიალა დიდმა ბიჭმა.

ანამ ხელები ასწია მაღლა:

— არ გაბედოთ!

— ესროლეთ! — ბრძანა დიდმა ბიჭმა.

ბავშვების ბრბომ ერთდროულად აღმართა ხელი და ამონ-რასა და ანასკენ მუშტისხელა ქვებმა გაიზუზუნეს.

ანამ შეჰკივლა და ამონ-რას გადაეფარა.

ყაჩაღ ბავშვთა ბრბომ ქვები სეტყვასავით დააყარა. ქვებს უბედან იღებდნენ და ზუსტად ესროდნენ მიზანს. ამონ-რას ქვები ხვდებოდა თავში, შუბლში, მკერდში, წელში, მუცელში, მუხლებში. ორმოცი ქვა, კიდევ ორმოცი ქვა, კიდევ, კიდევ, კიდევ...

სისხლში ამოისვარა ამონ-რა, მუხლები გადაუტყდა, მაგრამ არ წაიქცა, ქვებს ზურგი შეუშვირა და მთელი სხეულით ხელის მტევნებში მოქცეული ბარტყი დაიცვა. ქვების სეტყვა არ წყდებოდა. ამონ-რას ქვებმა ხერხემალი შეუნგრია, ბიჭი ნელა ჩაიკეცა და მიწაზე ისე დაწვა, როგორც, ალბათ, დედის საშოში იწვა, ვიდრე ქვეყანას მოევლინებოდა.

ქვების ნაწილი ანას ხვდებოდა, მაგრამ ანა ვერ გრძნობდა ტკივილს. მისი თავიდან გაქრა ყველაფერი, გარდა ერთი განწირული აზრის: დაეცვა ამონ-რა, გადაერჩინა შვილი. და როცა შვილი მიწაზე მოკეცილი დაინახა, მაშინვე, მუხლებზე დადგა და ზემოდან გადაეფარა.

ალექსანდრე და მიხეილი მიწაზე გაწვნენ, პეტრეც შვილებს გადაეფარა. ისინი კარგად ვერ ხედავდნენ, რა ხდებოდა ხის მეორე მხარეს. იქ კი საშინელება ხდებოდა: ქვა ქვაზე ეცემოდა, ჭახა-ჭუხი გაჰქონდა, ერთმანეთზე იმსხვრეოდა. მალე ქვების საკმაოდ დიდი გორა აღიმართა. ქვების შხუილი და ზუზუნი კარგახანს გაგრძელდა. პატარა ყაჩაღებმა ის ქვებიც დახარჯეს, რაც უბეში ეწყოთ, და ისიც, რაც ირგვლივ უხვად ეყარა. რამდენიმე ქვა პეტრეს ზურგში, თავში, ფეხებში მოხვდა. პეტრემ გონება დაკარგა.

გაავებული ბავშვები კიდევ დიდხანს არ დაცხრებოდნენ, მაგრამ დიდმა ბიჭმა დაჰყვირა:

— გეყოფათ! სასწრაფოდ დავიმალოთ, თორემ ვილაც მოგვისწრებს!

ყაჩაღების ბრბო წამში გაუჩინარდა. დიდი ხის ძირში ქვების დიდი გორა დარჩა. მის ქვეშ ამონ-რა და ანა იყვნენ ჩაქოლილები.

ქვების გორის თავზე დედა და მამა ჩიტები დასხდნენ და მოთქმით ატირდნენ.

ბარტყი გადარჩება

ავგუსტამ და იუსტინემ ვერ მოისვენეს.

— სადღაც ახლოს არის ამონ-რა! — დარწმუნებით ეუბნებოდა ავგუსტა იუსტინეს, — უნდა მოვძებნოთ!

მშენებლობაზე იუსტინემ იაკობი გამოიძახა და სთხოვა რამდენიმე კაცი გამოეყო, რომ ამონ-რა ეპოვათ. ბავშვებმაც გაიგეს, ამონ-რას ეძებენო და უფროსებს დაასწრეს. ოციოდე ბიჭმა იორდანი გადალახა და მდინარისა და გზის მიდამოებს შეესია. მათ მახვილ თვალს არ გამოეპარა არცერთი ბუჩქი და ხის ძირი, არცერთი მოფარებული ადგილი.

ყველაზე პირველად ფილიპემ დაინახა ქვების ვორა დიდი ხის ქვეშ და იქვე წაქცეული კაცი. მიირბინა და საცოდავი სურათი დახვდა: კაცი ორ ბიჭზე იწვა ზემოდან, ცდილობდა გადაბრუნებულიყო და ბიჭები გაეთავისუფლებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

სხვა ბავშვებმაც მოირბინეს. ერთობლივი ძალებით კაცი ხელში აიყვანეს და გვერდით დააწვინეს. პეტრეს ორივე ფეხი და მარჯვენა მკლავი ჰქონდა მოტეხილი.

— მამა, როგორ ხარ? — ერთდროულად ჰკითხეს შვილებმა.

პეტრემ ძლივს დაილაპარაკა:

— დედას და ამონ-რას მიხედეთ, იქნებ ჯერ კიდევ ცოცხლები არიან!

ბავშვები ალექსანდრესა და მიხეილის გარშემო შეგროვდნენ. ძმები მიხვდნენ, რომ ესენი არ იყვნენ ყაჩაღები და არც ცუდი განზრახვა ჰქონდათ. ყოველ მათგანს სახეზე ეწერა თანაგრძნობა და დახმარებისათვის მზადყოფნა.

— ვინ ხართ თქვენ? — ჰკითხა მიხეილმა ფილიპეს, რომელიც ყველაზე წინ იდგა და პირველმაც მოირბინა.

— ჩვენ ამონ-რას მეგობრები ვართ, მას ვეძებთ! — მიუგო ფილიპემ.

— ამონ-რა და დედაჩვენი ამ ქვების გროვაშია! ვვიშველეთ გამოვათავისუფლოთ ისინი! — მიხეილი და ალექსანდრე უკვე სათითაოდ იღებდნენ ქვებს და გვერდით ყრიდნენ.

ბავშვები მაშინვე შეუდგნენ ქვების გროვის დაშლას.

მოვიდნენ მუშებიც იაკობთან ერთად. მათ ილია და იორამიც ახლდნენ.

უფროსები ბავშვებს მიეხმარნენ, იაკობმა კი პეტრე გამოჰკითხა. პეტრემ თავს ძალა დაატანა, რომ იაკობისათვის ეთქვა, როგორ დაადგა მას და მის ბიჭებს თევზაობის დროს ვიღაც აყლაყუდა ბიჭი და ჰკითხა: სად გყავთ დამალული თქვენი სულელი ამონ-რაო. არავინ გასცა პასუხი აყლაყუდას. იმას სხვა არაფერი უკითხავს, მე თვითონაც მივაგნებო, თქვა. „ჩვენ სასწრაფოდ დავბრუნდით ამ ხესთან და ვთხოვეთ ამონ-რას გავქცეულიყავით. გვინდოდა იორდანის გაღმა გაგვესწრო. იქ ბევრ ხალხს ვხედავდით და ვფიქრობდით, რომ ისინი დაგვიცავდნენ. მაგრამ ამონ-რა ვერ დავიყოლიეთ. მას ხელში ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყი ეჭირა. ვიდრე ბარტყს ბუდეში არ ჩავსვამ, არ გამოგყვებით, გვითხრა. ვეხვეწეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამასობაში ყაჩაღების ბრბო დაგვესხა. ბევრნი იყვნენ. აყლაყუდამ უბრძანა მათ, რომ ქვები ამონ-რასთვის ესროლათ. მეც და ჩემს ბიჭებსაც გვესროდნენ ქვებს. იმ ქვების ქვეშ კი ამონ-რა და ჩემი მეუღლეა... ნეტავ ცოცხლები იყვნენ“... ამას ლუღლუღებდა პეტრე და ტიროდა. იქვე ჩაცუცქული იორამი ამ დროს მას ყურებს, ხელებსა და სხეულს უსინჯავდა, მალამოს ადებდა და უხვევდა.

ამ დროს ავგუსტა და იუსტინე მოვიდნენ.

იაკობმა მათ ვითარება განუმარტა.

ავგუსტა ატირდა, და იუსტინემ ვერ შეძლო მისი დამშვიდება.

ყველა შფოთიანი მოუთმენლობით ელოდა ქვის გროვის დაშლას და იმედს არ კარგავდა, რომ ჩაქოლილები გადარჩებოდნენ.

— გამოჩნდა, — წამოიძახა ფილიპემ, როცა ქვებში ფეხის ტერფი შენიშნა.

მალე ზურგიც გამოჩნდა — ეს ანა იყო.

— დედა, დედა, დედა!.. — წუხილ-სიხარულით იყვირეს ალექსანდრემ და მიხეილმა.

უცნაურ მდგომარეობაში იხილეს ანა. ქალი გაშხლართული კი არ იყო მიწაზე, არც დამტვრეული და დასისხლიანებული იყო. არამედ იდგა ოთხზე და აშკარა იყო, რომ თავისი სხეულით ამონ-რას იცავდა. ამონ-რა კი მის ქვეშ თა-

ვისუფალ სივრცეში უნდა ყოფილიყო მოქცეული. ქვების მთელი გროვა ანას ზურგს ემყარებოდა. ყველას გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: როგორ დაიჭირა ამ სუსტმა ქალმა თავისი ზურგით სიმძიმე, რომელსაც სპილოს გაჭყლეტა შეეძლო.

იქნებ გადარჩა ამონ-რაო, ფიქრობდნენ ადამიანები. მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ანა ფრთხილად გადააწვინეს პეტრეს გვერდით, დაინახეს ის, რაც არასდროს არავის ენახა: იმ ადგილას, სადაც ამონ-რა უნდა ყოფილიყო, მიწაზე ცისფერი ცეცხლის ენები თამაშობდნენ და გარს ევლებოდნენ ხელის მტევნებს, ნიჟარასავით რომ იყვნენ ერთმანეთთან შეკრულნი. სხვა იქ არაფერი იყო.

დუმილით, ჩაფიქრებით, რაღაც უცნაური ზეიმით შეჰყურებდნენ დიდებიც და პატარებიც საოცარ სანახაობას.

ფილიპემ ცეცხლის ენებთან ჩაიჩოქა, ხელები გაიშვირა და ცისფერი ცეცხლიდან ხელის მტევნების ნიჟარა აიღო. ნიჟარას ცეცხლის ენებიც გამოჰყვა. ისინი ფილიპეს სახეზე ელიცლიცებოდნენ, მაგრამ არ სწვავდნენ. ფილიპეს გულში ნათელმა გაიელვა.

— ეს ამონ-რას ხელებია, მე ვიცნობ ამ ხელებს... ამ ცეცხლსაც ვიცნობ, ამონ-რას გულის ცეცხლია... — ჩუმად თქვა ფილიპემ და ნიჟარა ფრთხილად გადახსნა. შიგ ბარტყი დაინახეს: თავდიდა, გრძელკისერა, მუცელგაბერილი.

ბარტყმა დაიჭყიპინა.

ზემოდან დედა და მამა ჩიტებმაც დაიჭყიპინეს — გაიხარეს, შვილი უვნებელი რომ დაინახეს.

ილიამ ბარტყი ხელში აიყვანა, ბევრი არ უფიქრია, უბეში ჩაისვა და ხეზე აცოცდა. ყველა ჩუმად ადევნებდა თვალს, როგორ მიიწევდა მაღლა, ტოტიდან ტოტზე გადადიოდა. ბოლოს მიაღწია ათასწლოვანი ხის კენწეროს, უბიდან ბარტყი ამოიყვანა, ნისკარტში აკოცა და ბუდეში ჩასვა.

ფილიპეს ამონ-რას ხელის მტევნები ისევ ხელისგულზე ეწყო. უნდოდა გულში ჩაეხუტებინა, ეკოცნა, მოფერებოდა, მაგრამ ვერ მოასწრო. ყველას თვალწინ ცისფერი, იისფერი, რიჟრაჟისფერი ცეცხლის ენები უცბად ერთად შეეჯგუფდა, შეერთდა, დამრგვალდა. ცეცხლოვანი სფერო ელვისებურად აიჭრა ცაში და მალე გაუჩინარდა.

— იუსტინე, რა იყო ეს?! — ისე ჩაიჩურჩულა გაოცებულმა ავგუსტამ, რომ მისმა ხმამ იუსტინეს ყურამდე ვერ მიაღწია.

ცას გაჰყურებდნენ ბავშვები, ცას გაჰყურებდნენ დიდები და სადღაც უსასრულობაში ეძებდნენ გზას, რომლითაც უჩინარი ბურთი თუ ამონ-რას ცეცხლოვანი სული მიქროდა. ცაზე კი არაფერი ჩანდა.

— ცათა სასუფეველი... ცათა სასუფეველი... ცათა სასუფეველი... — იმეორებდა თავისთვის ამ სიტყვებს ფილიპე.

იაკობი მუხლებზე დაეშვა და ხელები ცისკენ აღაპყრო.

მუხლებზე დაეშვნენ სხვებიც და ხელები ცისკენ გაიწვდინეს.

ცაში, უსასრულობაში ადამიანებმა ამონ-რას სულს უხმო ლოცვაში ჩაქსოვილი გულის ცეცხლი და სიყვარული დაადევნეს.

მხოლოდ იორამი ხედავდა ცაში აღმავალი ლოცვის მკრთალ ცისფერ ენებს, რომლებიც ერთმანეთისკენ ისწრაფვოდნენ, ერთდებოდნენ და სვეტად მიემართებოდნენ მაღლა, იქითკენ, საითკენაც ამონ-რას სული გაფრინდა. იორამს არ უკვირდა, რასაც ხედავდა, და მთელ ამ ცეცხლის ნაკადს უმურველად ადევნებდა საკუთარი გულის ცეცხლსაც. „მაღლა, მაღლა, ამონ-რა, მაღლა“... — მისძახოდა მისი სული მასწავლებლისა და მეგობრის სულს.

მხოლოდ ავგუსტამ შენიშნა კიდევ ცისფერი ცეცხლის აღმავალი სვეტი და გაოცდა. ეგონა, იუსტინეც ხედავსო, სხვებიც ხედავენო, და აღტაცებით, ჩუმად, ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

— რა ნათელი სვეტია ...რა მშვენიერი ცეცხლის ბილიკია...

იუსტინემ ყური მოკრა ავგუსტას ჩურჩულს, მაგრამ ვერ მიხვდა, რა სვეტსა და ბილიკზე ლაპარაკობდა ავგუსტა.

ზურგზე მწოლარე ანაც ცას გასცქეროდა და თვალებიდან ცრემლის ნაკადი სდიოდა. რამდენი ქვა მოსვდა ანას ზურგში, თავში, ვერცერთმა ვერაფერი ავნო. ქვების გროვას იჭერდა ზურგით და არ ემძიმებოდა. უვნებლად რომ გადარჩა, ანასთვის ეს არ იყო სასწაული. მისთვის სასწაული მაშინ დაიწყო, როცა, ქვების გროვასა და წყვდიადში მოქცეული,

ამონ-რას ჩასჩურჩულებდა: „ოღონდ შენ არაფერი გეკნოს, შვილო... ოღონდ შენ გადამირჩე, შვილო...“ და ამ ჩურჩულში მოესმა ანას ამონ-რას მშვიდი, კეთილი, წყნარი, უშფოთველი, ალერსიანი, სიყვარულით სავსე ხმა: „ბარტყი გადარჩება.“ შემდეგ ანამ ქვების წყვდიადში დაინახა, როგორ განათდა ამონ-რა, მთელმა მისმა სხეულმა ცისფრად დაიწყო ნათება. ზემოდან ქვა ქვაზე იმსხვრეოდა, ბოროტება და სიძულვილი მძვინვარებდა, ანას სხეულის ქვეშ კი ამონ-რა ისე იწვა, თითქოს დედის საშოში ყოფილიყოს, ცისფრად ლიცლიცებდა და სახე უსაზღვრო განცხრომას გამოხატავდა. „ამონ-რა, შვილო, ამონ-რა!“ — ჩურჩულებდა ანა სასოებით. ამონ-რა აღარაფერს ამბობდა, აფრქვევდა ქვების წყვდიადში ცისფერ ცეცხლს და ანას თვალწინ ილეოდა. მხოლოდ ნიჟარასავით შეკრულ ხელებს არ ეკარებოდა ცეცხლი. იქ ბარტყი იჯდა და დროდადრო წამოიჭყიპინებდა. ცისფერი ცეცხლის ენები ანას მუცელსა და მკერდს ედებოდა, მაგრამ ცეცხლი არ სწვავდა მას, ცეცხლი ეფერებოდა და ამშვიდებდა მას.

ტიროდა მიწაზე მწოლარე ანა, მაგრამ ეს არ იყო სიბრალულის, მწუხარების, უბედურების ცრემლები. ანას ცრემლები გზას ულოცავდნენ ამონ-რას სულს; სიხარულის ცრემლებით მიაცილებდა ანა თავის საყვარელ ბიჭს იქ, საითკენაც ის ისწრაფვოდა. მისი ცრემლების სხივებიც, როგორც უსაზღვრო სიყვარულის განცდა, უერთდებოდა ცეცხლოვანი გზის ერთიან ნაკადს, რომელიც დედამიწიდან უსასრულობისკენ მიემართებოდა და რომელსაც მხოლოდ ორი ხედავდა. ანამ წამოიწია, მუხლებზე უნდოდა დამდგარიყო, და კაბის ჭრილიდან ამომავალი მზის მედალიონი გამოძვრა. „აი, რამ გადამარჩინა მე, — გაიფიქრა ანამ, — ამომავალი მზის მედალიონმა გადამარჩინა! — მედალიონი ტუჩებთან მიიტანა და აკოცა, — ამან გადაარჩინა ჩემი ქმარი და შვილები“. ახლაღა შენიშნა მედალიონზე მშვენიერი ქალის სახე. მარამ ბიჭი მიწიერი ცხოვრებისათვის გააჩინა. ანამ კი მარადიულ ცხოვრებაში გააცილა იგი.

ხალხი თანდათან წამოიშალა.

იუსტინე არ ჩქარობდა წამოდგომას. არც იაკობი ჩქარობდა.

— იაკობ, — ჩურჩულით თქვა იუსტინემ, — ახლა მაინც მიჩვენე უცნობი ხუროთმოძღვარი, რომ უმშვენიერესი,

დიდებული ტაძრის პროექტი შეგვიქმნას. ტაძარს აქ ახალი რელიგიის დასამკვიდრებლად ავაშენებთ!

იაკობმა მშვიდად უპასუხა:

— ბატონო, უცნობი ხუროთმოძღვარი აქვეა და ტაძრის პროექტიც მზად არის! — და თორმეტი წლის ბიჭზე, თავის „მოსამსახურეზე“ მიუთითა. ბიჭი მუხლებზე იდგა მათ წინ და ცას გასცქეროდა. მისი სული ამ დროს ამონ-რას სულს მისდევდა.

— ეს?! — გაუკვირდა იუსტინეს, — ამ ბავშვზე მეუბნები?!

— დიახ, ბატონო, მაგან შექმნა თქვენი სასახლის პროექტი, და ეგ ხელმძღვანელობს ჩემი მეშვეობით მშენებლობას!

დაჩოქილმა იუსტინემ ხელი გაიწვდინა და ილიას მხარზე დაადო.

ილია შეკრთა, მოიხედა.

იუსტინე უღიმოდა მას.

— დარჩი უცნობ ხუროთმოძღვრად, სამაგიეროდ საქმე იქნება ცნობილი!...

ხალხი მშენებლობისკენ გაემართა. პეტრე საკაცით მიჰყავდათ. გვერდით ანა და შვილები მიჰყვებოდნენ.

მიდიოდნენ ადამიანები, და ყველას თან მიჰქონდა საკუთარი ტვირთი — ეს იყო დიდი ჭეშმარიტების ხილვით გამოწვეული განცდა. და რადგან არავის შეეძლო მთლიანი ჭეშმარიტების ზიდვა, თითოეულმა თან გაიყოლა ჭეშმარიტების ის ნაწილი, რაც მისმა სულმა ჩაიტია და გულმა განიცადა.

ვერავინ იტყოდა, ვინ უფრო მეტად ან ვინ უფრო ნაკლებად იყო აღვსილი ჭეშმარიტების ნათლით, ვის უფრო მეტი სინათლე მიჰქონდა — მამას თუ შვილს.

მიდიოდნენ ადამიანები, თავ-თავიანთი ჭეშმარიტებებით, როგორც სათავეები ათასი ლეგენდისა და ზღაპრისა ერთ პატარა ბიჭზე, რომელმაც თავისი სიცოცხლე პაწაწკინტელა ბარტყს ანაცვალა, თავად კი უსასრულობისაკენ მიმავალ ცეცხლოვან ბილიკად იქცა.

სასწაულის ადგილას ორი დარჩა — ფილიპე და იორამი.

იორამი ჩაცუცქდა და იმ ერთ მტკაველ მიწას მოუსვა ხელი, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ცისფერი ცეცხლის ენები ლიცლიცებდნენ: იქნებ ამონ-რას ფერფლი დარჩაო. ფერფლი ვერ აღმოაჩინა, მაგრამ ხელმა მიწაზე ერთი ბრტყელი ქვა იგრძნო. აიღო ქვა და დახედა — ზედ მკრთალად ანათებდნენ რაღაც ასოები და ხაზები.

„ამონ-რას ქვაწერილი“, — გაიფიქრა იორამმა. წამიც და ქვაზე ყველაფერი პირწმინდად წაიშალა. „აღევლინა! — გაუელვა ბიჭს თავში. მან ფრთხილად დადო ქვა ადგილზეე, — ტაძრის მშენებლობას გამოადგება.“

იორამი ფილიპესაკენ შემობრუნდა.

— მე და შენ ფილოსოფოსის გამოქვაბულებში უნდა წავიდეთ. იქ სალომე და ბუნგლო გველოდებიან. ჩვენ ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. ამონ-რამ შენი თავი მე ჩამაბარა!

ფილიპეს თვალებში ნაპერწკლებმა იელვეს.

— მაშ, შენ ჩემი მასწავლებელი იქნები?

ისინი წამოდგნენ და გზაზე გავიდნენ.

მაგრამ მათ უკან კიდევ ორნი დარჩნენ — დედა და მამა ჩიტები. ისინი ათასწლოვანი ხის კენწეროზე ისხდნენ და მიმავალი ბიჭების კვალდაკვალ გარემოს სიმღერით ავსებდნენ. გალობდნენ ისინი ჭეშმარიტების იმ ნამცეცზე, რაც დღეს მათ გულებმა ჩაიტიეს.

სიმღერა მათი იყო დიდებული.

სარჩევი

ბიჭი კავკასიის მთათა ღრუბლებიდან 5

პირველი თავი. დაბადების დღე 8

მეორე თავი. თუ გინდა გადარჩე, გამარჯვებაზე იფიქრე 12

მესამე თავი. გეყოფა ტირილი, დროა საქმეს შეუდგეთ 19

მეოთხე თავი. სამყაროს არა აქვს დასასრული, ყველგან ყველაფერია 24

მეხუთე თავი. რა საინტერესო ქვაა, თითქოს ზედ რაღაცეები წერია 28

მეექვსე თავი. შენ რომ გიყვარს სალომე, მოარჩინე, განკურნე 34

მეშვიდე თავი. უებარი მალამო 39

მერვე თავი. მკურნალო, ახლა შენი თავი გეჭება სამკურნალო 44

მეცხრე თავი. ალბათ ბიჭები ექიმობანას თამაშობენ ან მეხუმრებიან 51

მეათე თავი. თუ არ გინდათ ნუ დაიჯერებთ: ისინი ცაში დაფრინავენ 54

მეთერთმეტე თავი. ბოროტი საკუთარ ქვაწერილს ვერაფერს გაუგებს 58

მეთორმეტე თავი. ვინც კითხვა და მეცნიერება იცის, ის ბავშვი აღარ არის 60

მეცამეტე თავი. დამეხმარე, ქვაწერილო, გამიხსენი საიდუმლო 66

მეთოთხმეტე თავი. სული შრომობს და კეთილშობილებით მდიდრდება 71

მეთხუთმეტე თავი. ორივეს ღიმილი რაღაც საიდუმლოს ფარავდა 76

მეთექვსმეტე თავი. თუ შენ გაცება არ შეგიძლია, გასაოცარს ვერაფერში დაინახავ 81

მეჩვიდმეტე თავი. უკვე რვა წლის გახდი, შვილო, როგორ გაიზარდე 88

მეთვრამეტე თავი. შენ უნდა მოარჩინო მამაშენი 99

მეცხრამეტე თავი. ელიან თუ არა შენგან სიკეთეს—ჰქმენ სიკეთე 106

მეოცე თავი.	შენ ხარ ვენახი უფლისა	113
ოცდამეერთე თავი.	პირველი გაკვეთილი მოწაფეებთან	126
ოცდამეორე თავი.	ეს იყო ღიმილი სინანულის, ბოდიშისა და იმედის	138
ოცდამესამე თავი.	სილამაზეს სიყვარულით სავსე გული ბადებს	144
ოცდამეოთხე თავი.	დაიწვი, ცუდო, და აღარასოდეს დამიბრუნდე	150
ოცდამეხუთე თავი.	უნდა გაგახაროთ: ჩვენთან სტუმარი მოდის	155
ოცდამეექვსე თავი.	უცნობი ხუროთმოძღვარი	160
ოცდამეშვიდე თავი.	საქმე უბრალოდ გადაწყდა	165
ოცდამერვე თავი.	დედემიწაზე ნაირნაირი და უთვალავი ქვაა.....	171
ოცდამეცხრე თავი.	დიდ დათვზე სხედან და ისე მოდიან	177
ოცდამეათე თავი.	ყველამ იმედისა და სიყვარულის თითო ნაპერწკალი ესროლეთ	187
ოცდამეთერთმეტე თავი.	ყველას მოექეცი ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ	194
ოცდამეთორმეტე თავი.	თქვენი მეუღლე მორჩება, მე კი ოქრო არ მჭირდება	200
ოცდამეცამეტე თავი	ამას ჯერ ის ყურები არა აქვს, რომ ისმინოს	204
ოცდამეთოთხმეტე თავი	მე მხოლოდ აღვასრულებ უფლის ნებას ..	212
ოცდამეთხუთმეტე თავი	მათ შორის ყველაზე პატარა ყველაზე დიდი იყო	219
ოცდამეთექვსმეტე თავი	მე უკვე მყავს მამა, რომელიც მეხმარება საუნჯე დავიმკიდრო ზეცაში	229
ოცდამეჩვიდმეტე თავი	ავგუსტა უფლის ანგელოზია	234
ოცდამეთვრამეტე თავი	სასახლეში დიდი წვეულება დიდი გლოვით დასრულდა	243
ოცდამეცხრამეტე თავი	მაგრად გაჯოხეთ და ღილეგში ჩაგდეთ ..	253
მეორმოცე თავი	რა შშვენიერი ყოფილა ჩემი ვარსკვლავი	260
ორმოცდამეერთე თავი	ათისთავის ვერაგული ფიქრები, ქოფაკი ძაღლი და ღილეგი	266
ორმოცდამეორე თავი	ღმერთი დასაჯა, ყაჩაღი კი გაათავისუფლა	274

ორმოცდამესამე თავი კეთილი თესლი ითესებოდა გულებში ნაყოფის აღმოსაცენებლად 284
ორმოცდამეოთხე თავი ერთ ბიჭს ვეძებთ, ამ გზაზე უნდა გაევლო, ხომ არ შეგინიშნავთ 295
ორმოცდამეხუთე თავი მე უკვე აღარ მჭირდება დაცვა, მინდა, რომ ეს მედალიონი შენ ატარო 299
ორმოცდამეექვსე თავი ბარტყი გადარჩება 305